ანთიმოზ ივერიელი



დიდაქტები და სხვა თხზულებები

თბილისი
2016

ნინამდებარე კრებულში ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება წმინდა ანთიმოზ ივერიელის თხზულებები: „დიდაქეები", "ანთიმოზ ივერიელის მონასტრის ტიპიკონი", „კანონთა თავები", „საეკლესიო სწავლება", „სწავლება სინანულის საიდუმლოს შესახებ", თავდასაცავად დაწერილი უსტარები, ანთიმოზ ივერიელის მიერ დასტამბულ გამოცემათა წინასიტყვაობები და მიძღვნები. კრებულს თან ერთვის ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებისა და შრომების ქრონოლოგია, კომენტარები და სახელთა საძიებელი.

რუმინულიდან თარგმანი შესრულებულია თეოლოგიის დოქტორის დეკანოზ ალექსი ქშუტაშვილის მიერ. კომენტარები და სამეცნიერო რედაქცია ეკუთვნის - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორებს: ა. ზაქარიაძეს, ი. ბრაჭულს, ვ. რამიშვილს, დ. ჯალაღონიას.

The volume, for the first time in Georgia, presents Georgian translation of Saint Anthim Iverianul's selected fundamental works (collection of sermons - "Didahii", Teachings on Anthim Iverianul's monastery Typicon, On the Mystery of Confession, Ecclesiastical Teaching, Canon Chapters). The sellected collection of Anthim's works is applied with comments, chronology of Anthim iverianul's life and works, and index.

Translation from Romanian is done by doctor of Theology Aleksi Kshutashvili, Comments and editing- by doctors of philosophy- A.Zakariadze, I. Brachuli, D. Jalaghonia, V. Ramishvili.

კრებული მომზადდა და გამოიცა სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის (№ FR/454/2-170/13) ფარგლებში.

The volume is prerpared and issued with financial support of Rustaveli National Science Foundation. Grant № FR/454/2-170/13-the direction of fundamental studies.

რედაქტორი:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი
რისმაგ გორდეზიანი

რეცენზენტები:

გელათის აკადემიის აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ელდარ ბუბულაშვილი

თეოლოგიის დოქტორი **გოჩა ბარნოვი**

© ა. ზაქარიაძე, ი. ბრაჭული, ვ. რამიშვილი, ა. ქშუტაშვილი, დ. ჯალაღონია.

ISBN 978-9941-0-8569-7

© შ.პ.ს. „დობერა". 2016
dobera3@gmail.com
გარეკანის დიზაინი და კომპიუტერული
უზრუნველყოფა-მერაბ გენაძე

ISBN 9941-0-8569-7

შინაარსი

წინათქმა 5

დიდაქეები 7

I ქადაგება - ეს ვთქვი, როდესაც გავხდი მიტროპოლიტი 8

II ქადაგება - ქადაგება უფლის ფერისცვალებაზე, აგვისტოს თვის 6 15

III ქადაგება - ქადაგება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინებაზე 25

IV ქადაგება - ქადაგება მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკეს 33

V ქადაგება - ქადაგება მაცხოვარი იესო ქრისტეს მირქმაზე 42

VI ქადაგება - ქადაგება ყველიერის კვირიაკეს. 48

VII ქადაგება - ქადაგება ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანაზე, ნოემბერის თვის 21 54

VIII ქადაგება - ქადაგება წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღესთან დაკავშირებით, დეკემბერის თვის 6 59

IX ქადაგება - ქადაგება წმიდა მოციქულების პეტრეს და პავლეს ხსენების დღეზე, ივნისის თვის 29 66

X ქადაგება - ქადაგება წმინდა მოციქულთა სნორ მეფეთა კონსტანტინე და ელენეს ხსენების დღესასწაულზე 73

XI ქადაგება - სწავლება მაცხოვარი იესო ქრისტეს წინადაცვეთაზე 79

XII ქადაგება - ქადაგება მიცვალებულ ადამიანზე 82

XIII ქადაგება - ქადაგება პანაშვიდზე 85

XIV ქადაგება - ღვთის განცხადების დღესასწაულზე 87

XV ქადაგება - უფლი ჩვენი იესო ქრისტეს ფერისცვალებაზე 95

XVI ქადაგება - ბზობის კვირიაკეზე 103

XVII ქადაგება -ყველიერის კვირიაკეს 109

XVIII კიდევ ერთი ქადაგება ბზობის კვირიაკეზე 116

XIX ქადაგება - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის და მარადის ქალწულის მარიამის მიძინებაზე 122

XX ქადაგება - წმინდისა მღვდელმთავარ ნიკოლოზის დღესასწაულზე 126

XXI წინასიტყვაობა ბზობის ქადაგებაზე 131

XXII ქადაგება - თავმდაბლობის შესახებ ბზობის კვირიაკეს 133

XXIII ქადაგება - უფალი იესო ქრისტეს ფერიცვალებაზე 140

XXIV ქადაგება - მინისძერაზე 26 ოქტომბერს წმინდა დიდმოწამის და მირონმდინარე დიმიტრის ხსენების დღეს 146

XXV ქადაგება - მთავარანგელოზთა დღესასწაულზე 8 ნოემბერს 153

XXVI ქადაგება - სტიქიონებზე წმ. მირონმდინარე დიდმოწამე დიმიტრის ხსენების დღე, 26 ოქტომბერი 162

XXVII ქადაგება - ბზობის კვირიაკეს 170

XXVIII ქადაგება - წმინდა მოციქულთა სწორთა კონსტანტინესა და ელენეს ხსენების დღეს 175

XXIX ქადაგება - მაცხოვარი იესო ქრისტეს შობაზე 180

XXX ქადაგება – მაცხოვარი იესო ქრისტეს შობაზე, 25 დეკემბერს 185

XXXI ქადაგება - გარდაცვლილი ადამიანის გასვენებაზე 92

XXXII ქადაგება - მიცვალებულ ადამიანზე 195

ანთიმოზ ივერიელის სხვა თხზულებები 197

ანთიმოზ ივერიელის მონასტრის ტიპიკონი 198

საეკლესიო სწავლება 225

კანონთა თავები 245

სწავლება სინანულის საიდუმლოს შესახებ 254

თავდასაცავად დაწერილი უსტარები 267

ანთიმოზ ივერიელის მიერ დასტამბულ გამოცემათა წინასიტყვაობები და მიძღვნები ... 274

კომენტარები 291

სახელთა საძიებელი. 292

ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებისა და შრომების ქრონოლოგია 295

წინათქმა

წმინდა ანთიმოზ (ანთიმ) ივერიელი (1650-1716) ახალი ეპოქის გარიჟრაჟზე XVII-XVIII საუკუნეების საქართველოსა და ევროპის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწეა, რომელიც ცნობილია როგორც დიდი განმანათლებელი და ჰუმანისტი. საქართველოდან გატაცებული და მონად გაყიდული ანდრია (ანთიმოზის საერო სახელი) იერუსალიმის პატრიარქმა დოსითე ნოტარამ გამოისყიდა. შემდგომში ის გახდა უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტი და რუმინეთის კულტურული აღორძინების სულისჩამდგმელი.

წმინდა ანთიმოზი მრავალმხრივი მოღვაწეა: კალიგრაფი, მხატვარი, ხუროთმოძღვარი, ქსილოგრაფი, გრავიორი, მოქანდაკე, ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, სასტამბო საქმის ოსტატი და საგამომცემლო საქმიანობის ორგანიზატორი. რუმინეთში მან დაარსა ოთხი სტამბა, რომლებმაც რუმინეთი საერთაშორისო საგამომცემლო საქმიანობის ცენტრად აქცია. საქართველოში ანთიმოზ ივერიელმა გამოაგზავნა თავისი საუკეთესო მოსწავლე მიხაი იშტვანოვიჩი, რომელმაც 1709 წელს პირველი ქართული სტამბა დაარსა. წმინდა ანთიმოზი რუმინული საეკლესიო და სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელია, რომელიც ყველა ნაშრომს წერდა და ქადაგებებსაც ასრულებდა XVII-XVIII საუკუნეების რუმინულ ენაზე. იგი იყო პოეტი, აღიარებული ორატორი, მწერალი, პოლიგლოტი, მთარგმნელი, ბილინგვური ტექსტების შემქმნელი და გამომცემელი. ქართულის გარდა ფლობდა რუმინულ, ბერძნულ, ძველ სლავურ, არაბულ და თურქულ ენებს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით რუმინეთში დაარსდა ოცი ეკლესია და სამონასტრო კომპლექსი, მისი მეშვეობით რუმინულ ხელოვნებაში შეიჭრა უძველესი ტრადიციების მქონე ქართული ხუროთმოძღვრებისა და სახვითი ხელოვნების ელემენტები.

ვლახეთში მოღვაწეობის 26 წლის განმავლობაში წმინდა ანთიმოზმა გამოსცა 64 წიგნი: აქედან 4 თვითონ მის მიერ არის დაწერილი, 10 წიგნისათვის დაწერა წინასიტყვაობა, 6 წიგნს დაურთო შენიშვნები და კომენტარები, 5 წიგნისთვის შეთხზა ლექსები, 6 წიგნი თარგმნა ბერძნულიდან რუმინულად.

მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ საქართველოსა და რუმინეთის ეკლესიებმა ანთიმოზ ივერიელი წმინდანად შერაცხეს. ხსენების დღე რუმინეთში 27 სექტემბერი, საქართველოში - 13 (26) ივნისი.

წინამდებარე ნაშრომი ანთიმოზ ივერიელის მიერ რუმინულ ენაზე შექმნილი "დიდაქეების" (ქადაგებები) ქართულ ენაზე გადმოთარგმნის პირველი მცდელობაა. მათ შორის გამოირჩევა მორალურ სწავლებათა კრებული, რომელიც უნიკალური წყაროა მე-17-18 საუკუნეების ევროპული თეოლოგიურ-ფილოსოფიური აზრის ისტორიის შესწავლისათვის.

თარგმანი შესრულებულია რუმინულ ენაზე გამოცემული ტექსტების:

Antim Ivireanu, *Opere*, editie critică si studiu introductiv de Gabriel Strempel, Bucuresti, Editura Minerva, 1972; Antim Ivireanu, *Didahii,* Minerva Florin Faifer, Postfata la volumul: Antim Ivireanul, *Didahii.* Bucuresti, Editura Minerva, 1983, the University of Michigan, Anthologierealizita in Redactie de Mihai Dascal; Antim Ivireanu, *Didahii*, Litera Chisinau 2011 შეჯერების საფუძველზე.

„დიდაქეების" თანამედროვე გამოცემები ემყარება რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიაში შემონახულ სამ ხელნაწერს. პირველი - ყველაზე ადრე აღმოჩენილი

ხელნაწერი (#524) შესრულებულია არქიმანდრიტ გრიგორიე დელანუს მიერ 1791 წელს. ეს ხელნაწერი აღმოჩენილ იქნა ქალაქ რომანის ეპისკოპოსის მელქისედეკის მიერ და იმავე წელს იქნა გამოქვეყნებული. მეორე ხელნაწერი (#549) აღმოაჩინა კონსტანტინე ერიბიჩენუმ 1887 წელს. ამ ხელნაწერში პირველთან შედარებით შესულია კიდევ სამი ქადაგება და ერთი სწავლება აღსარების თაობაზე. მესამე ხელნაწერი აღმოჩენილ იქნა 1958 წელს გაბრიელ შრტემპელის მიერ. ეს ხელნაწერი შესრულებულია ვინმე ეფრემ გრამატიკოსის მიერ 1722-25 წლებში, ანუ ანთიმოზ ივერიელის გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე წელიწადში.

თარგმანის დროს მივყვებოდით ანთიმოზ ივერიელის მიერ გამოყენებული ციტირების განსხვავებულ ხერხებს: რიგ შემთხვევაში ის ზუსტად უთითებს ადგილებს ძველი და ახალი აღთქმიდან, ფსალმუნებიდან, მოციქულთა და წმინდა მამების წერილებიდან, ხშირად კი საკუთარი სიტყვებით გადმოაქვს მათი შინაარი. პირველ შემთხვევაში ვხელმძღვანელობდით ახალი აღთქმის გადმოღებისას - წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის პირველი სრული გამოცემით, (1995); ძველი აღთქმის - ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერით, (1987)- ა. შანიძის რედაქციით; მცხეთური ხელნაწერით, (1983) ელ. დოჩანაშვილისა და ზ. სარჯველაძის რედაქციით; მცხეთური ხელნაწერით, (1986) ელ. დოჩანაშვილის და ზ. სარჯველაძის რედაქციით; წიგნნი ძუელისა აღთქმისანი, ნაკვეთი I-ით, წიგნი შესაქმისა და წიგნი გამოსლვათა, (1989) ბ. გიგნეიშვილისა და ც. კიკვიძის რედაქციით; ოთხთავი, ივ. იმნაიშვილისა და ა. შანიძის რედაქციით, (1979); საქმე მოციქულთა, ალ. აბულაძისა და ა. შანიძის რედაქციით, (1950); კათოლიკე ეპისტოლენი, ქ. ლორთქიფანიძის და ა. შანიძის რედაქციით, (1956); პავლენი. ქ. ძოწენიძის, კ. დანელიასა და ა. შანიძის რედაქციით, (1961); გამოცხადება, ივ. იმნაიშვილისა და ა. შანიძის რედაქციით, (1961). მეორე შემთხვევაში ისე გადმოვიტანეთ წმინდა წერილისა და ყველა სხვა ტექსტის თარგმანი თანამედროვე ქართულ ენაზე, როგორც დედანშია მოცემული.


ბიბლიის სრული ტექსტის გამოცემა რუმინულ ენაზე შესრულებულია ბუქარესტის სტამბაში 1688 წელს. არსებობს ვარაუდი, რომ ამ ტექსტის თარგმანსა და გამოცემაში მონაწილეობდა ანთიმოზ ივერიელიც, რის საბუთადაც გამოდგება ის ფაქტი, რომ მის მიერ გამოყენებული ციტირებები სწორედ ამ ბიბლიიდანაა. შესაძლებელია, რომ ანთიმის მიერ წმინდა წერილიდან მოყვანილი ციტატები მისივე თარგმანიც იყოს.

მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის რუმინეთის ეკლესია ერთადერთია, რომელიც ყოველ ხუთ-ექვს წელიწადში ერთხელ გამოსცემს წმინდა წერილსა და სხვა ლიტურგიკულ ტექსტებს ახალი რედაქციით თანამედროვე რუმინულ ენაზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წმინდა ანთიმოზ ივერიელის მიერ შესრულებული ლიტურგიკული ტექსტების თარგმანები ნაწილობრივ დღემდე გამოიყენება რუმინეთის ეკლესიის ღვთისმსახურებაში.

თარგმანი შესრულებულია თეოლოგიის დოქტორის დეკანოზ ალექსი ქშუტაშვილის მიერ.

კომენტარები დარედაქციაეკუთვნის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორებს: **ა. ზაქარიაძეს, ი. ბრაჭულს, ვ. რამიშვილს, დ. ჯალაღონიას,** ფილოსოფიის მიმართულების დოქტორანტს, დეკანოზ **გიორგი წეროძეს;**

ტექნიკური რედაქტორი - ფილოლოგიის დოქტორი **ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი.**


DIDAHII
SAU
CUVINTE DE INVEȚATURA
LA DUMINICILE
SFINTEI PARASIME ȘI LA SĂRBĂTORI ÎMPĂRĂTEȘTI
ALE LUI
ILIE MINIAT
P. S. VENIAMIN MITROPOLITUL MOLDAVIEI
BUCUREȘCI

დიდაქეები

ქადაგება № 1

ეს ვთქვი, როდესაც გავხდი მიტროპოლიტი[1]

"მოვედით და შემომიდექით მე, და გყვნე თქუენ მესათხევლე კაცთა".

სრულყოფილნი და ბრძენნი მკურნალნი თავისი ხელობის სიდიადეს მაშინ უფრო ავლენენ, როდესაც არა რკინითა და ცეცხლით იბრძვიან ვნების დასამორჩილებლად, როგორც ამას ომის წესი მოთხოვს, არამედ როდესაც ვნებულ ადამიანს ნაზი შეხებით და ტკბილი წამლებით უწესებენ მკურნალობას. ასევე როდესაც საექიმო ხელობის საშიშ ხერხებზე უარს ამბობენ და ამის სანაცვლოდ, რამდენიმე დღის განმავლობაში, სამკურნალო და ჯანსაღი საკვების დანიშვნით, ავადმყოფს ტკივილსაც უყუჩებენ და სნეულებისაგანაც კურნავენ.

ასევე სულისა და ხორცის ყოვლად ბრძენმა მკურნალმა, მეუფეთა მეუფემან [მაცხოვარმან იესო] ქრისტემან, ღმერთმან ჩვენმან იხილა რა, რომ სამყარო დასნეულებულია ურწმუნოების ვნებით, შეპყრობილია კერპთაყვანისმცემლობის წყლულით და ჭრილობასავით სივდება ამა სოფლის ცდუნებებით, განიზრახა, მრავალი წესითა და საშუალებით ეზრუნა ადამიანთა და სრულიად კაცთა მოდგმის ცხონებისთვის. ეს არის მისი სიკეთის უპირველესი საქმე, რომ იხსნას ადამიანი ბოროტის ხელებიდან და აიყვანოს თავდაპირველი მშვენიერებისა და ღირსების მდგომარეობამდე, საიდანაც დაეცა წინაპარი ადამის ურჩობის შეცოდებით. [ყოვლისა მპყრობელ ღმერთს] არ მოჰყავს ცეცხლის წვიმა სამყაროს თავზარდასაცემად, არც ზღვას აღადგენს მტრის სპასავით ქვეყნის მოსასპობად, არც სტიქიათა ძალებს აიარაღებს ურწმუნოების წინააღმდეგ, არამედ მხოლოდ კაცთმოყვარებითა და სასწაულებით უხმობს ადამიანებს, სიკეთის ქმედებით და ღვთაებრივი სიტყვებით გარდაქმნის კაცობრიობას და უშუშებს მას სულიერ ვნებებს, რომლებიც მოწამლული ჭრილობებივით ყარს და სივდება.

ჯერ კიდევ განკაცებამდე ინება რა ღმერთმა-სიტყვად განცხადებოდა კაცობრიობას, ადამიანებს მოუვლინა წინასწარმეტყველები, რომ ექადაგათ ამქვეყნად ძე ღვთისას მოსვლის თაობაზე. ამისთვის არ გამოარჩია მეფენი და მთავარნი, არც ფილოსოფოსნი და რიტორნი, არც ზეციდან მოავლინა ანგელოზთა სიმრავლე, რომლებიც არიან უთვალავი რაოდენობით და ემსახურებიან ღმერთს, არამედ გამოგზავნა უბრალო ადამიანები, ცხვრების მწყემსები,[2] როგორებიც იყვნენ მოსე, დავითი, სამოელი და წინასწარმეტყველთა მთელი სიმრავლე, რომელთა მეშვეობითაც დაითესა ჭეშმარიტი სარწმუნოება არა მთელ სამყაროში, არამედ ერთ ერში, ჰურიებში, რომლებიც ცხოვრობდნენ დედამიწის ერთ-ერთ მხარეს – იუდეაში.

ღმერთს უნდოდა, რომ ყველა ადამიანი მოეყვანა ჭეშმარიტ სარწმუნოე-

ბაზე და დაეყენებინა ცხონების გზაზე, რადგან ამაშია ღვთის კაცთმოყვარების დიდი სურვილი, რომ ყველა ადამიანი ცხონდეს, რომ მხოლოდ ჰურიებს არ ჰქონოდათ ჭეშმარიტი სარწმუნოება, ხოლო დანარჩენი ერები მოკლებულნი ყოფილიყვნენ მის მადლს. ამიტომ მოისურვა, რომ მთელ სამყაროში გამოჩენილიყო ღვთაების ნათელი: და როგორც იტყვის ნეტარი მოციქული პავლე, ჟამის აღსრულებისას ინება ღმერთმა, მოსულიყო სოფლად მისი ძე, დაბადებულიყო ქალწულისაგან, დამორჩილებულიყო სჯულს, რომ სჯულის ქვეშ მყოფნი გამოესყიდა. განკაცნა ღვთისმშობლისაგან, მარადის ქალწულისა მარიამისაგან, ურთიერთობდა ადამიანებთან და უნდოდა,რომ ყველა ერი მოეყვანა მისი ღვთაებრიობის შეცნობაზე, ესწავლებინა ყოვლად დიდებული საქმეები, ახალი ცნება და ზეციური ცხოვრება, შეუდგა ამ ახალი ცნებების მსახურების ძიებას. არ უძებნია დიდ ქალაქებში, სადაც ხალხთა სიმრავლეა, არც მეფეთა სასახლეებში, რადგან შეიძულა სიმდიდრე და მისი ძალაუფლება, არც რიტორთა დიდებას მიხედა და არც ფილოსოფოსთა სიბრძნეს, არც მეომართა იარაღისა და აბჯრის ძალას მოუხმო და არც სხვა რომელიმე მსგავს ხერხს, რათა არ ეთქვა რომელიმე ურწმუნოს, რომ მსგავსი საშუალებებით მიიზიდა ქრისტემ ხალხთა სიმრავლე. არამედ, ჩვენ ვიცით, მაცხოვარმა აირჩია მოწაფეები იმავე პრინციპით, როგორც თავის დროზე წინასწარმეტყველნი იყვნენ არჩეულები. რა ქნა? სახარების მქადაგებლებად აირჩია არა მწყემსები, როგორც ეს წინასწარმეტყველების შემთხვევაში იყო, არამედ მეთევზეები და თევზთა[3] მონადირეები და მათ ხელებსა და ბაგეებს ანდო ცათა სასუფევლის ქადაგება და კაცობრიობის სამკურნალო სულიერი წამლების დარიგება, მოუწოდა რა მათ, უთხრა: "მოვედით და შემომიდექით მე, და გყვნე თქუენ მესათხევლე კაცთა. / შეწყვიტეთ უსულო ზღვაზე შრომა. ჩემი სიყვარულისთვის მიატოვეთ ამქვეყნად მეთევზეობის ხელობა. სულ სხვა მხარეს ისროლეთ თქვენი ბადეები! სულიერი ნადირი მოინადირეთ ჩემთვის! მოვედით ჩემდა! შემომიდექით, ჩემო მოწაფეებო და სამყაროს მასწავლებელნო! ჩემი სიყვარულისთვის და ცათა სასუფევლისთვის გამოიყენეთ მეთევზეობის თქვენი ცოდნა!

ზღვასავით ფართოა მსოფლიოში კერპთაყვანისცემა. სამყარო დაფარულია მრავალღმერთიანობის ღრუბლით. ურწმუნოების სიღრმე შთანთქავს მთელ მსოფლიოს; ადამიანები იხრჩობიან ეშმაკების ტალღებში. სამყარო ყარს დაღვრილი ბინძური სისხლით და იშლება გახრწნილი მსხვერპლებით. თქვენ, მეთევზეებს, დაგაყენებთ სამყაროს ექიმებად და მკურნალებად. მსოფლიოს თქვენი ხელობა სჭირდება ვნების გამოსასწორებლად. განსაკუთრებული მოშურნეობით ვემსახუროთ განსაცდელში მყოფ ღვთის ქმნილებას; შემომიდექით მე!"

ხოლო მათ მიატოვეს ბადეები და გაყვნენ მას. უფლის ნებისაებრ იყო მოწოდებული მოწაფეთა უმრავლესობა; როგორც უბრალო და მართალ ადამიანებს, მოციქულებს, არ გაუფიქრიათ მზაკვრობა და მათ გულებში ამ მოწოდების მიმართ არ შეპარულა ეჭვი; არამედ, როგორც კეთილი და უბოროტო ადა-

მიანები, გაყვნენ მას ისე, როგორც რკინა მიჰყვება მაგნიტს და როგორც თმა - სუფთა ქარვას. მაცხოვარი იესო ქრისტეს ძალით მოციქულებმა შეარცხვინეს ურწმუნო წარმართნი და ღვთისმეტყველების ბადეებით, როგორც თევზები, დაიჭირეს ხალხთა დიდი რაოდენობა, მოინადირეს სხვადასხვა ერი, დაიყოლიეს ტირანთა გულები და დაიმორჩილეს იმპერატორთა სულები; მოიპოვეს იმდენად დიდი და მშვენიერი გამარჯვება, რომ მსგავსისთვის არ მიუღწევიათ მთელი მსოფლიოს იმპერატორთ. უიარაღოებმა და სამხედრო ხელობის არმცოდნეებმა, უპოვრებმა, უწიგნურებმა, მარხვებისგან დასუსტებულებმა, კეთილებმა და უმზაკვროებმა, მოციქულებმა, აღმართეს არა ჯარის დროშები, არამედ მხოლოდ მშვიდობის ნიშანი – ჯვარი. იქადაგეს ქრისტეზე არა დოლის ან ბუკის ხმით, არამედ სუსტი და უწიგნური ენებით, განავრცეს ჭეშმარიტი სარწმუნოება გაელვების სინათლის მსგავსად, მაგრამ არა გალესილი მახვილების ელვარებით, არამედ მხოლოდ ღვთისმოსავი ცხოვრების ნათელით. არ გაუვსიათ მიწა უთვალავი სპათი და არც ზღვა - აფრებიანი საბრძოლო ნავებით, არამედ სისხლის, ჭრილობების, დასახიჩრებისა და ძალადობის გარეშე მოციქულებმა მოიარეს მსოფლიო, დაიმორჩილეს მთელი წარმართული სამყარო, სძლიეს ჯოჯოხეთს, დაამარცხეს თაღლითობა, გააძევეს ტყუილი და გავრცელეს მთელ დედამიწაზე და სამყაროში ქრისტეს სახელი და ჭეშმარიტი სარწმუნოება.

ამიტომ, საყვარელნო ჩემო მსმენელებო და პატიოსანნო და კეთილშობილნო თავადნო, მეც, კაცი მცირე და მდაბალი ღმერთმა დამაყენა თქვენს, მცირე სამწყსოს, მწყემსად, რომელსაც მე არ მივიჩნევ მცირედ, არამედ – დიდად და მაღლად; დიდად, რადგან აღიარებთ ჭეშმარიტ სარწმუნოებას და იცავთ მას წმიდად და შეუბილწავად, მიუხედავად იმისა, რომ უცხო ტომელებით გარშემორტყმულები ხართ, მუდმივად იჩაგრებით, იჭირვებთ და იდევნებით იმათგან, ვისაც ეს მიწა-წყალი დაპყრობილი აქვს; მაღლად, რადგან ყოველთვის სამაგალითო თავმდაბლობასა და მორჩილებას ავლენთ ეკლესიისა და მღვდელმთავრის მიმართ.

ღვთის რწმენა და ეკლესიის მორჩილება - ამ ორზე არის დაფუძნებული და გამყარებული ეკლესია. მიუხედავად იმისა, რომ მე ყველაზე უღირსი და მდაბალი ვიყავი, ისევე როგორც დავით მეფსალმუნე იყო ყველაზე მცირე ძმებს შორის მამამისის სახლში, ღმერთმა არ შეხედა ჩემს სიმდაბლესა და უღირსობას, არ შეხედა ჩემს სიღარებასა და უცხოობას, არც ჩემს უვიცობასა და უცოდინრობას, არამედ თავისი უსაზღვრო და უდიდესი სიკეთით დაფარა ხალხისგან ჩემი ყველა სიბილწე და უსჯულოება, რომლებიც სიმრავლით აღემატებიან ჩემს თავზე არსებულ თმას და ზღვაში არსებულ ქვიშას. ამიყვანა მე, უღირსი, მღვდელმთავრობის ამ უდიდეს პატივსა და ხარისხში. და აი, ღმერთმა დამადგინა თქვენს მწყემსად და სულიერ მამად, მლოცველად თქვენი და თქვენი უპატიოსნესი ოჯახების ჯანმრთელობისთვის და ცხონებისთვის, მზრუნველად თქვენი სულების სასიკეთოდ, რომ ვიყო თქვენთვის ნუგეშად ამა

სოფლის ბაბილონური ტყვეობის ტანჯვის ჟამს ისევე, როგორც ერთ დროს იერემია იყო ღვთის რჩეული ერისთვის და როგორც პატრიარქ იაკობის მეთერთმეტე ვაჟი იოსები იყო ეგვიპტელებისთვის; ამ ცხოვრების განსაცდელების გამო, თქვენთან ერთად უნდა ვიტანჯო და ვითმინო. ჩემი ვალია, ვიყო მღვიძარე, მოშურნე, დაუზარავი დღე და ღამე და ყოველ ჟამს თქვენი სულების სასიკეთოდ და ყველას საცხონებლად. ღვთის შიშით გასწავლიდეთ და გმოძღვრავდეთ ჭეშმარიტების გზაზე.

ამავდროულად, თქვენც გაქვთ ვალდებულება, რასაც ისწავლით ჩემგან, თვალთმაქცობისა და მზაკვრობის გარეშე მიიღოთ და შეასრულოთ თქვენივე სულების სასარგებლოდ. ასევე გამოიჩინოთ მორჩილება, რადგან ჩემ მიმართ მორჩილებით თქვენ ქრისტეს დაემორჩილებით. რადგან ნათქვამია ლუკას სახარების მე-10 თავში: "რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა; და რომელმან თქუენ შეურაცხ-გვყნეს, მე შეურაცხ-მყოფს; და რომელმან მე შეურაცხ-მყოს, შეურაცხ-ჰყოფს მომავლინებელსა ჩემსა". ასევე ნეტარი პავლეც ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-13 თავში ამბობს: "დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა და ერჩდით მათ, რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქუენთათვის, ვითარცა-იგი სიტყუაი მისცენ; რაითა სიხარულით ამას ჰყოფდნენ და არა სულთ ითქუმიდენ, რამეთუ არა ადვილ არს ესე თქუენდა".

და მე ვევედრები მის სახიერებას და კაცთმოყვარეობას, გამინათოს გონება, რომ შევძლო ჭეშმარიტების სიტყვის ქადაგება; გამიმტკიცოს გული ღვთის შიშით, რომ დავმწყემსო მისი რჩეული პირმეტყველი სამწყსო, რომელიც ბოროტის ხელებიდან გამოსყიდულია მისი უძვირფასესი სისხლით, როგორც ბრძანებს მოციქული პეტრე: "უწყოდეთ, რამეთუ არა განხრწნადითა ვეცხლითა გინა ოქროითა იხსნენით თქუენ ამაოისა მისგან მამათა მოცემულისა სვლისა, არამედ პატიოსნითა სისხლითა, ვითარცა ტარიგისა უბიწოისა და უმანკოისა ქრისტესითა".[4]

ხოლო მაღალმან და დიდმან ღმერთმან, რომელიც თაყვანისცემულია ყოველი ქმნილების მიერ, უზენაესი სიბრძნის წყარომ, მიუღწევადი ჭეშმარიტი სიკეთის სიღრმემ, შემოუსაზღვრელი წყალობის უფსკრულმა, ვითარცა უფალმან და კაცთოყვარემან, გარდამოავლინოს მადლი სულისა წმიდისა ღვთის გვირგვინოსანს, უბრწყინვალეს და კეთილისმყოფელ მთავარ კონსტანტინე ბასარაბზე და დალოცოს ის თავისი მაღალი სამყოფელიდან, ამრავლოს ვითარცა აბრაამი თესლითი თესლამდე, დაიცვას სამეუფო ტახტზე ჯანმრთელობითა და მშვიდობით ღრმა სიბერემდე მთელ თავის ბრწყინვალე ოჯახთან ერთად. მაღალი ღმრთის ძლიერმა ხელმა და უძლეველმა მკლავმა დაგიმორჩილოს ყველა ხილული და უხილავი მტერი შენი ფეხების კვარხცლბეკთან; ასევე თქვენც, მცირედნო და დიდნო, თქვენიანებთან ერთად გაგაძლიეროთ ღმერთმა კეთილ და მართალ სარწმუნოებაში, ჭეშმარიტების შეცნობასა და მარადიული ცხოვრების სასოებაში, რომელიც სამყაროს დასაბამითგან აღთქმულია ყოვლად მართალი უფლის მიერ. ღვთის რჩეულნო, ხელი მოგეწეროთ თქვენს ყოველ კეთილ და სასარგებლო საქმეში, დაცული იყავით ყოველ დროსა და ჟამს ბოროტის მზაკვრობებისაგან, გფარავდეთ ღმერთი

თავისი წმიდა ანგელოზებით, შეგჭურვოთ სიმართლის იარაღით, გიბოძოთ მშვიდობა, რომელიც აღემატება ყოველგვარ გონებას, რომ ჯანმრთელობით და მშვიდობით, წმინდად და პატიოსნად გაგეტარებინოთ ცხოვრება; თქვენი გონება და გულები დაიმარხეთ მაცხოვარ იესო ქრისტეში, როგორც ბრძანებს პავლე მოციქული: "რაოდენი არს ჭეშმარიტ, რაოდენი პატიოსან, რაოდენი მართალ, რაოდენ წმიდა, რაოდენ საყუარელ, რაოდენ საქებელ, რაოდენი სათნო და რაოდენი ქებულ, მას ზრახევდით„[5] თანამწირველი და ქრისტეს მიერი მღვდელმთავრების ლოცვა-კურთხევით. და ამ ცხოვრების განვლის შემდეგ, ღირს ყვნეს ყოვლადმოწყალემან ღმერთმან ცათა სასუფეველს და მოვისმინოთ მისი ხმა: "მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ. შეევედ სიხარულსა უფლისა შენისასა".[6]

კომენტარები:

[1] ანთიმოზ ივერიელი ამ ქადაგებაში ცდილობს წარმოიდგინოს თუ როგორი უნდა იყოს სულიერი მოძღვარი, რომლის უკვდავი მაგალითი იყო ქრისტე. როგორ უნდა უმკურნალოს ადამიანთა სულიერ და ხორციელ მანკიერებას და ვინ და როგორი უნდა იყოს სულიერი მოძღვარი და რა ევალება მრევლს, მართლმორწმუნე ქრისტიანს, რომ ღმერთის სადიდებლად ერთობლივად იმოღვაწეონ სულის გადასარჩენად.

"ადამიანი შეპყრობილია ურწმუნოების ვნებით, კერპთთაყვანისმცემლობის წყლულით, სოფლის ცთუნებებით."(ანთიმი) ქრისტეს მიერ დადგენილია, "იზრუნოს ადამიანთა და სრულიად კაცთამოდგმის ცხონებისათვის. ეს არის მისი სიკეთის უპირველესი საქმე, რომ იხსნას ადამიანი ბოროტი ხელიდან და აიყვანოს თავდაპირველი მშვენიერების და ღირსების მდგომარეობაში."(ანთიმი) ეს შესაძლებელი იყო გაკეთებულიყო ცეცხლის წვიმით, მტრის სპათა შემოსევით, სტიქიურ ძალათა აბობოქრებით ურწმუნობის წინააღმდეგ. მაგრამ ყოვლად კეთილმა და უსასრულო სიყვარულმა აირჩია სხვა გზა "მხოლოდ კაცთმოყვარეობითა და სასწაულებით უხმობს ადამიანებს სიკეთის ქმედებით და ღვთაებრივი სიტყვებით გარდაქმნის კაცობრიობას და უშუშებს მას სულიერ ვნებებს."(ანთიმი) ადამიანის ზნეობრივი ცხოვრების ჭეშმარიტება მორჩილებაში, თავდამბლობასა და სიყვარულშია. იგი ლაპარაკობს მრევლისა და მოძღვრის მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე. არ უნდა დაივიწყო ღმრთის სიყვარული შენ მიმართ, მაგრამ არც შენი მოვალეობა მის მიმართ, რაც არსებითად ნიშნავს მოვალეობას საკუთარი სულის, ბუნების მიმართ.

"ღმერთს უნდა, რომ ყველა ადამიანი მოიყვანოს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე და დააყენოს ცხონების გზაზე, რადგან ამაშია ღვთის კაცთმოყვარეობის დიდი წყურვილი, რომ ყველა ადამიანი ცხონდეს."(ანთიმი) ჩვენთვის სამაგალითო უნდა იყოს თუ სად და ვის ეძებდა ამ საქმეში დამხმარედ და მსახურად? "არ უძებნია დიდ ქალაქებში, სადაც ხალხთა სიმრავლეა, არც მეფეთა სასახლეში, რადგან შეიძულა სიმდიდრე და მისი ძალაუფლება, არც რიტორთა დიდებას მიხედა და არც ფილოსოფოსთა სიბრძნეს, არც მეომართა იარაღსა დ აბჯრის ძალას მოუხმო და არც სხვა რომელიმე ხერხს, რადგან არ ეთქვა რომელიმე ურწმუნოს, რომ მსგავსი საშუალებებით მიიზიდა ქრისტემ ხალხის სიმრავლე."(ანთიმი) ადამიანებში ეძებდა სულის სიმართლეს და მორჩილებას, სიკეთეს და სიწმინდეს. თუ წინასწარმეტყველები არჩეული იქნა მწყემსებისაგან, ხოლო თავისი მოწაფეები მეთევზეებისაგან და "მათ ხელებს და ბაგეებს ანდო ცათა სასუფევლის ქადაგება და კაცობრიობის სამკურნალო სულიერი ნამლების დარიგება. როგორ შეძლეს ეს მათ? "შეარცხვინეს ურწმუნო წარმართნი და ღვთისმეტყველების ბადეებით დაიჭირეს ხალხთა სიმრავლე, მოინადირეს სხვადასხვა ერის სმენა, დაიყოლიეს ტირანთა გულები და დაიმორჩილეს იმპერატორთა

სულები."(ანთიმი) "ეს არის დიდი და მშვენიერი გამარჯვება, მსგავსისათვის არ მიუღწევიათ მთელი მსოფლიოს იმპერატორთ."-ასე არის შეფასებული მის მიერ ქრისტიანობის გამარჯვება. ეს იყო "ძლევაი საკვირველი", რომელიც მოახდინეს" უიარაღო და სამხედრო ხელობის არმცოდნეებმა, უპოვრებმა, უწიგნურებმა, მარხვისაგან დასუსტებულებმა, კეთილებმა და უმზაკვროებმა. სუსტი და უწიგნური ენით განავრცეს ჭეშმარიტი სარწმუნოება."(ანთიმი) ეს გამარჯვება არის ნიშანი იმისა, რომ სიყვარულის და სიკეთეთის ძალა ყველა ძალაზე უძლიერესია. მოძღვარიც, როგორც მწყემსი, უნდა დაემყაროს ჭეშმარიტ რწმენას და სიყვარულით და სიკეთით ემსახუროს ღმერთს. ამ გამარჯვების შედეგად "მოციქულებმა მოიარეს მსოფლიო, დაიმორჩილეს მთელი წარმართული სამყარო, სძლიეს ჯოჯოხეთს, დაამარცხეს თაღლითობა, გააძევეს ტყუილი და გაავრცელეს მთელ დედამიწაზე და სამყაროში ქრისტეს სახელი და ჭეშმარიტი სარწმუნოება."(ანთიმი) მთავარია არა წარმოშობა,არამედ რწმენა და სუფთა სული, გიყვარდეს მოყვასი შენი. "ღმერთმა არ შეხედა ჩემს სიმდაბლეს და უღირსობას, არ შეხედა ჩემს სიღარიბეს და უცხოობას, არც ჩემს უვიცობას და უცოდინრობას და ამიყვანა მე უღირსი მღვდელმთავრობის ამ უდიდეს პატივსა და ხარისხში."(ანთიმი) ანთიმოზს მის, როგორც მოძღვრის. დანიშნულებად მიაჩნია მწყემსად და სულიერ მამად ყოფნა. ეს ნიშნავს მლოცველად,მზრუნველად და ნუგეშისმცემელად ყოფნას. "მლოცველად ყოფნას თქვენი და თქვენი ოჯახების ჯანმრთელობისათვის და ცხონებისათვის. მზრუნველად თქვენი სულების სასიკეთოდ, რომ ვიყო თქვენთვის ნუგეშად ამა სოფლის ბაბილონური ტყვეობის ტანჯვის ჟამს."(ანთიმი) მოძღვარი უნდა იდგეს თავისი სამწყოს გვერდით ყველგან და ყველაფერში. "ამ ცხოვრების განსაცდელის გამო თქვენთან ერთად უნდა ვიტანჯო და ვითმინო."(ანთიმი) მოძღვრის უმთავრესი ვალი შემდეგში მდგომარეობს: "ჩემი ვალია, ვიყო მღვიძარე, მოშურნე, დაუზარავი დღე და ღამე და ყოველ ჟამს თქვენი სულების სასიკეთოდ და ყველას საცხოვნელად."(ანთიმი) ეს მოვალეობა უპირველესად გათავისებული უნდა ჰქონდეს სასულიერო წოდებას. "იფხიზლეთ, ვინაიდან არ იცით არც დღე,არც საათი, როდის მოვა კაცის ძე."(მათე 25. 13) მოძღვარმა ღვთის შიშით უნდა ასწავლოს ღმრთის ჭეშმარიტება. ქრისტეს ჯვარი არის ეკლესიის და მოძღვრის გზა, ძალა და დროშა. მოძღვრის დანიშნულება და პასუხისმგებლობაა, იტვირთოს პასუხისმგებლობა, იტვირთოს ბრალი ვითარცა ქრისტემ. ამიტომ ბრალის მტვირთველი არის სინდისის ხმა მრევლისათვის. მაგრამ ეს არ არის დამსჯელი ხმა როგორც სასამართლო(კანტი),არამედ სიყვარულით განმსჭვალული სინდისი,რადგან ვისაც არ უყვარს ღმერთი,მას არ შეუცნია ღმერთი,რადგან ღმერთი არის სიყვარული."(იოანე 4.8)

ამავე დროს ანთიმოზი ლაპარაკობს ჭეშმარიტი მართმადიდებელი ქრისტიანის მოვალეობაზე, რაც მოძღვრისა და ეკლესიის მოწოდების წარმატებით შესრულების პირობაა. "თქვენც გაქვთ ვალდებულება, რასაც ისწავლით ჩემგან, თვალთმაქცობისა და მზაკვრობის გარეშე მიიღოთ და შეასრულოთ თქვენივე სულების სასარგებლოდ, გამოჩინოთ მორჩილება, რადგან ჩემ მიმართ მორჩილებით თქვენ ქრისტეს დაემორჩილებით."(ანთიმი) ქრისტიანის სათნოებებია: სწავლა, მორჩილება და მზაობა შეასრულო მოძღვრის მიერ ნასწავლი. ეს არის მორწმუნე ქრისტიანის სულიერი მოვალეობა. ეს არის მოვალეობა, რომელიც სიყვარულით არის გაჟღენთილი და წმინდა სისხლით გამოსყიდული, ვალდებულება, რომელიც არის ვალდებულება საკუთარი თავის მიმართ, უკვდავი სულის მიმართ, რომელიც ქრისტეს გოლგოთით და ჯვარცმით იქნა გამოსყიდული. "ღვთის რწმენა და ეკლესიის მორჩილება, ამ ორზე არის დაფუძნებული და გამყარებული ეკლესია."(ანთიმი) ანთიმი იმოწმებს მოციქულ პავლეს, რომელიც წერილში ებრაელთა მიმართ მე 13 თავში "რჩევა მორწმუნეთა ყოფაქცევაზე" წერს: "მოუსმინეთ თქვენს წინამძღოლებს და დაემორჩილეთ მათ, ვინაიდან ისინი ფხიზლობენ თქვენს სულებზე, როგორც პასუხისმგებელნი."(წერილი ებრაელთა მიმართ 13, 17) ამ პასუხისმგებლობის ცნობიერებით იგი შესთხოვს ღმერთს: "გამონათოს გონება, რომ შევძლო ჭეშმარიტების სიტყვის ქადაგება, განმიმტკიცოს გული

ღვთის შიშში, რომ დავმწყემსო მისი რჩეული სამწყსო, რომელიც ბოროტის ხელიდან გამოსყიდულია მისი უძვირფასესი სისხლით."(ანთიმი) ბოლოს იგი ლოცავს მის სამწყსოს: " გაგაძლიეროთ ღმერთმა კეთილ და მართალ სარწმუნოებაში, ჭეშმარიტების შეცნებასა და მარადიული ცხოვრების სასოებაში, გიბოძოთ მშვიდობა, რომელიც აღემატება ყველანაირ გონებას."(ანთიმი) ამით შესრულებული იქნება ქრისტიანის მოვალეობა-თავისი ცხოვრებით დაამოწმოს მისი ფერისცვალება სახარების და ქრისტეს რწმენის საფუძველზე.

[2] მაცხოვარმა სახარების მქადაგებლად გამოარჩია მეთევზენი. ძველ აღთქმაში წინასწარმეტყველებად გამორჩეულნი არიან მწყემსნი. ესაია ამბობს: ,,ვით მწყემსი დამწყევსავს თავის ფარას; თავისი მკლავით შეკრებს და თავის უბეში ატარებს, წარუძღვება მეძუძურთ". (40;11) იესო ქრისტე ღვთიური მესიაა -მწყემსი კეთილი. იესომ თქვა; ,,მე ვარ მწყემსი კეთილი" იოანე:14-15 ,,ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით: ვინც კარიდან არ შედის ცხვრის სადგომში და სხვა მხრიდან გადის, ქურდია და ავაზაკი. ვინც კარიდან შედის, ცხვრის მწყემსიც ის არის. ცხვარს ესმის მისი ხმა, მწყემსი სახელით მოუხმობს თავის ცხვარს და გაიყვანს. თავის ცხვრებს რომ გაიყვანს, წინ მიუძღვის და ცხვრებიც მიჰყვებიან, რადგან იცნობენ მის ხმას. მე ვარ მწყემსი კეთილი. მწყემსი კეთილი თავის სულს გასწირავს ცხვრებისათვის.... მე სხვა ცხვრებიც მყავს, ოღონდ არა ამ ფარიდან. ისინიც უნდა მოვიდნენ ჩემთან, მოისმენენ ჩემს ხმას და იქნება ერთი ფარა და ერთი მწყემსი". იოანე. 10, 11-36. არსებობს ხატი, სადაც იესო ქრისტეს მწყემსივით შემოუსვამს ცხვარი მხრებზე. ამ ხატს ,,მწყემსი კეთილი" ჰქვია. უფალი იესო ქრისტე ერთადერთი მწყემსია წინ რომ მიუძღვის თავის სამწყსოს, რომელიც მას მისდევს, ესმის და იცნობს მის ხმას. უფალმა მათ უთხრა: ,,მომდევდით მე და ადამიანთა მებადურებად გაქცევთო" და ისინიც გაყვნენ. იესო ქრისტე ასე მიმართავს მეთევზეებს, რომლებიც შემოუდგებიან ქრისტეს და იქცევიან მოციქულებად, ადამიანთა სულის მებადურეებად.

[3] იესოს სასწაულებმა საფუძველი შეუქმნეს თევზის სიმბოლოს წარმოშობას, ხოლო მისმა ბერძნულმა სახელწოდებამ Ἰχθύς ხელი შეუწყო მის დამკვიდრებას. თევზი ქრისტიანობის რწმენის სიმბოლოდ იქცა. განსაკუთრებით მას ადრეული ქრისტიანები იყენებდნენ. ის ერთგვარ რელიგიურ ენას წარმოადგენდა. ტერტულიანე მიუთითებდა ,,ჩვენ თევზები ვართ, რომელთაც Ἰχθύς მიგვიძღვის, წყალში ვიბადებით და მხოლოდ წყალში ყოფნით გადავრჩებით. (Tertullien 1852.#1)

კონსტანტინე დიდის მეფობის შემდგომი პერიოდიდან თევზის სიმბოლიკა თანდათან გაქრობას იწყებს. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ თევზის სიმბოლიკა მეოთხე საუკუნის შემდგომ არ გვხვდება. შეიძლება ეს აიხსნას ელენე დედოფლის ჯვართაღმართვის შემდგომ, ჯვრის სიდიადის წარმოჩენით. როგორც ჩანს, სიტყვა ,,თევზში" ანუ ,,იხთუსში" ძველი ქრისტიანები მთელი ქრისტიანობის არსს მოიაზრებდნენ.

შეიძლება აქვე აღვნიშნოთ, რომ თანამედროვეობის გამოჩენილი მოაზროვნე, მიშელ ფუკო ინდივიდუალიზმის ხელშემწყობ ხელისუფლებას უწოდებს პასტორალურ მთავრობას. როგორც ფარის მწყემსის მოვალეობაა, მოუაროს და დაიცვას თავისი ფარა ღა ის მიზნად ისახავს მოუაროს თითოეული ცხოველის სიჯანსაღეს, ასევე პასტორალურმა მთავრობამ, როგორც მწყემსმა კეთილმა, უნდა იზრუნოს თითოეული ადამიანისათვის. პასტორალური მთავრობა ფუკოსეული პოლიტიკურ-თეოლოგიური დისკურსია, რომელიც ცდილობს ,,მწყემსი კეთილის" ცნება ხელისუფლების დეფინიციად გამოიყენოს.

[4] I პეტრე 1,18-19

[5] ფილიპელთა მიმართ 4.8

[6] მათე 21, 25, იხილეთ და შეადარეთ ლუკა 6, 10

ქადაგება №2

ქადაგება უფლის ფერისცვალებაზე,[1] აგვისტოს თვის, 6

"და წარიყვანა იესო პეტრე და იაკობ და იოვანე, ძმა მისი მთასა მაღალსა და ფერი იცვალა მათ წინაშე".[2]

წმიდა სახარების ეს სიტყვები მოგვითხრობს მაცხოვრის იესო ქრისტეს დიდებულ ფერისცვალებაზე, რომელიც მოხდა თაბორის მთაზე. უნდოდა რა ეჩვენებინა მოწაფეებისა და ჩვენთვის თავისი დიდება, ამ მოვლენამდე ცოტა ადრე, ნათქვამია სახარებაში, როდესაც დადიოდა ფილიპეს კესარიას მხარეებში, მან მოუწოდა თავის მოწაფეებს და ჰკითხა: "ვინ ვჰგონიე მე ერსა ამას და რაი თქვიან ჩემთვის ყოფად?"[3] ხოლო პეტრე მოციქულმა მამა ზეციერის შთაგონებით, მას შემდგომ, რაც დანარჩენმა მოციქულებმა სხვადასხვა მიუგეს, აღიარა, რომ ქრისტე არის ძე ღვთისა ცხოველისა. მაცხოვარმა ამგვარად გამოუცხადა ყველას თავისი დიდება, რწმენაში გაძლიერებულ მოწაფეებს უამბობო თავის მომავალ ვნებებზე, რომ უნდა წავიდეს იერუსალიმში და ეწამოს ერის უხუცესთა, მღვდემთავართა და მწიგნობრებთაგან, უნდა მოკვდეს და მესამე დღეს აღსდგეს.

ამ სიტყვების გაგონების შემდეგ პეტრე მოციქული, რომელიც ჯერ კიდევ ხორციელი ცნობიერებით იყო, არ იცოდა, რა დიდება უნდა მოჰყოლოდა უფლის ვნებებს. შეეცადა, ეს განზრახვა გადაეფიქრებინა მაცხოვრისთვის და ამ სიტყვებით მიმართა: "შორს შენგან, უფალო, ნუ გიყოფინ მსგავსი რამ". რაზეც მაცხოვარმა უპასუხა: " გამშორდი, სატანა! ჩემი საცთური ხარ! რადგან ღმერთისას კი არ ფიქრობ, არამედ კაცისას"[4] ამ სიტყვებით მან უსაყვედურა ხორციელ ფიქრს, რომელიც ყველა ადამიანში თავისი ფესვებით ადამის ცოდვამდე ჩადის. ამბობს, რომ ეს სიტყვები, იმიტომ კი არაა, რომ დაბრკოლებად იქნებოდა მისთვის, არამედ, იმიტომ, რომ ამ სიტყვებით პეტრე აფერხებდა ქრისტეს კაცობრიობის ცხონების საქმესაგან. ამ სიტყვებში ჩანს ღმერთის მხურვალე სიყვარული მთელი კაცობრიობისადმი, ამ მხურვალე სიყვარულით იცვალა ფერი მაცხოვარმა მოწაფეების წინაშე, რათა ისინი რწმენაში გაძლიერებულიყვნენ და არ დაბრკოლებულიყვნენ, როდესაც ნახავდნენ თავის მოძღვარს ჯვარზე ვნებულს.[5]

ამიტომ, დაე ინათოს დღეს მასში დიდების ნათელმა, ნათელმა, რომელიც გაბრწყინდება წმინდანების სხეულებში, როდესაც მიიღებენ მათი სიხარულის სრულყოფილ გვირგვინს. ნათელი, რომელმაც მოიცვა მაცხოვრის სრული სხეული იმდენად, რომ მისი სახე განათდა როგორც მზე, ხოლო სამოსელი გათეთრდა როგორც თოვლი. ხოლო ეს შედარება: სახის ნათელის მზესთან და სამოსლის-თოვლთან მოხდა იმიტომ კი არა, რომ მზეზე ან თოვლზე უფრო ნათელი[6] იყო, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს სამყაროში არ გაგვაჩნია არაფერი, რაც იქნება მზეზე უფრო ნათელი და თოვლზე უფრო თეთრი. ხოლო წმიდანების სხეულებზე თავად მაცხოვარმა ბრძანა მათეს სახარების მე –13 თავში,

რომ ისინი გაბრწყინდებიან, ვითარცა მზე მათი ზეციერი მამის სასუფეველში. წმინდანები, რომლებიც ქრისტეს გარშემო არიან როგორც ვარსკვლავები და ამ ნათელს სწორედ სიმართლის მზისგან იღებენ. თუ მაცხოვარი იესო ქრისტე წმიდანებთან ერთად შედარებულნი არიან მზეს და ვარსკვლავებს და თუ ნათქვამია, რომ წმიდანებიც გაბრწყინდებიან როგორც მზე, მაშინ რამდენად უფრო ძლიერად გაბრწყინდება თავად მზე სიმართლისა. და ეს ნათელი კი არ აბრკოლებდა მოწაფეების სუსტ თვალებს, არამედ რაღაცა ღვთაებრივი სიხარულით აღავსებდა და მხოლოდ ეს ნათელი კი არ ბრწყინავდა ქრისტეს სახეზე, არამედ რაღაც ენით აუწერელი სილამაზე და მშვენიერება ჩანდა მასში. რომ შეკრებილიყო ერთ ადგილას მთელი მიწიერი და ზეციური სილამაზე, ვერ შეძლებდა გაეხარებინა მოციქულების თვალები და გულები ისე, როგორც გაახარა მოწაფეების თვალები ქრისტეს თაბორის ნათელმა.[7]

და ქრისტეს მოწაფეების ეს აღმატებული სიხარული[8] მოდიოდა არა ნათელის ბრწყინვალებიდან, არამედ მაცხოვრის მშვენიერების ბრწყინვალებიდან იქმნებოდა. ამაში ვხედავთ მაცხოვრის უსაზღვო სიყვარულსა და სათნოებას, რადგან შეეძლო სულ მუდმივად ჰქონოდა ხილულად ეს ნათელი, მაგრამ ჩვენთვის სასიკეთოდ, მან დაფარა თავისი ნათელის სხივები, რომ ეთმინა უსაზღვრო ტკივილები ჩვენთვის, ჩვენი ცოდვებისათვის და გამოვესყიდეთ ღვთაებრივ დიდებას.

მაშასადამე, ვინ იქნება ის, ვინც დაინახავს ამ ყველაფერს და არ აღინთება სრულად მაცხოვრის სიყვარულით? და ვინ არ გაოცდება მისი უსაზღვრო ძალით, რადგან მას შეეძლო სულ მუდმივად ებრწყინა ამ დიდებით? და ვინ არ შეიყვარებს ჩვენს მიმართ გამოჩენილ ასეთ სიკეთეს, რადგან (ჰოი, სასწაული!) იმისთვის, რომ მოეხდინა ჩვენი ცხონება, დაფარა თავისი დიდება? რადგან უფრო დიდი სასწაულია ასეთი ბრწყინვალე დიდების დაფარვა, ვიდრე მუდმივად მისი ნათება. და არა მხოლოდ ქრისტეს დიდება ახარებდა მოწაფეების თვალებს, არამედ მოსესი და ილიასი, რომლებიც გამოცხადნენ უფალთან ერთად და ამ ნათელით და დიდებით გარემოცულები იყვნენ. როგორც იმპერატორ არტაქსერქსთან არავის ჰქონდა უფლება შესულიყო უხეში და უშნო ტანსაცმლით, ასევე მარადიული მეუფის წინაშე მის მსახურებს მართებთ იყვნენ შემოსილნი ნათელში და ბრწყინვალებაში. ეს ორი დიდი წინასწარმეტყველი წარმოადგენდა ძველი აღთქმის მამებს: ერთი მათგანი იყო ნომოთეტისი, ანუ სჯულის დამდები, ხოლო მეორე ზილოტისი, ანუ ამ სჯულის განმამტკიცებელი. ღმერთმა ინება ამ ორის თავის თავთან გამოჩენა, რათა სჯულისა და წინასწარმეტყველებისაგან კაცობრიობას მიეღო მოწმობა.[9]

ვის შეუძლია აღწეროს ის სიხარული და მხიარულება, რითაც აღივსო ეს ორი წინასწარმეტყველი, როდესაც მათი უფალი და მაცხოვარი, რომელზეც თავის დროზე ბევრი უწინასწარმეტყველიათ, იხილეს არა მხოლოდ ხორცშესხმული, არამედ ნათელში დიდებაშემოსილი? როდესაც ისინი უფალის იესო ქრისტეს ხილვისა და მოსმენის ღირსნი გახდნენ, რისი უდიდესი სურვილიც ჰქონდათ არა მხოლოდ მათ, არამედ სამყაროს ყველა ერს, ვის შეუძლია, მათი სიხარულის აღწერა, მით უმეტეს, რომ ძველი აღთქმის იმდენ მამასა და წინა-

სწარმეტყველს შორის მხოლოდ ესენი ელირსნენ ასეთი დიდების ხილვას? მართალი მოხუცი სვიმეონი, როდესაც ნახა მაცხოვარი იესო ქრისტე მხოლოდ სახვევებში გახვეული, იმდენად გაიხარა, რომ ყველაზე საშინელ მოვლენას – სიკვდილს, სიხარულის თვალებით შეხედა. ხოლო მოსე და ილია წინასწარმეტყველებმა, როდესაც ნახეს იესო, უკვე დიდებაში შემოსილი, რაოდენ დიდი სიხარულით გაიხარეს და რაოდენ დიდი მხიარულებით გამხიარულდნენ. ადამიანთა ის სულებიც, რომლებიც ჩაკეტილნი იყვნენ აბრაამის წიაღში, როდესაც მოსე წინასწარმეტყველი დაბრუნდებოდა და მოუყვებოდა მათ რაც ნახა და გაიგებდნენ , რომ მათი ხსნა და ცხონება უკვე მოახლოებულია, რა სიხარულითა და სიყვარულით აღივსებოდა მათი მოლოდინი?

მაგრამ, ყველაფერი ეს რადგან აღემატება ჩვენს გონებასა და გაგებას, ამიტომ გარკვეული ფრთხილი დუმილით, სიყვარულით და რწმენით უნდა მივაგოთ პატივი და თაყვანისცემა. პატიოსან და საჭირო საქმედ მიმაჩნია ვიცოდეთ ამ დიდებული ფერისცვალების ჟამს, რა სიტყვებს ეტყოდნენ წინასწარმეტყველები საუბრისას მაცხოვარს იესო ქრისტეს? იქ ,სადაც დიდებული ადამიანები ხვდებიან ერთმანეთს და დიდებული სასიხარულო საქმე სრულდება, გულისხმობს, რომ იქ მშვენიერი და სასიხარულო რამ ხდება. რადგან ვხედავთ, რომ დიდებული ადამიანების სუფრებსა და წვეულებებზე ასე ხდება, ყველაფერი – საჭმელი, სასმელი, საუბრები, ცეკვები და სიმღერები არის სასიხარულო და სამხიარულო: არაფერია ხოლმე სამწუხარო და სამგლოვიარო, არამედ ყველაფერი სასიხარულო და სასიამოვნო.

ვინ არის ის, ვისაც შეუძლია სრულყოფილად აღწეროს დღევანდელი დღის სიდიდე? რადგან ყველაფერი, რაც იყო ყველაზე დიდებული ძველ და ახალ აღთქმაში, ზეცაში და დედამიწაზე დღეს გამოცხადდა, რადგან აქ მოევლინა ძველი აღთქმის ყველაზე დიდი წინასწარმეტყველი და აქვე იყვნენ ახალი აღთქმის ყველაზე დიდი წინასწარმეტყველები; ზეციდან წმინდა სამება განცხადდა, ხოლო დედამიწაზე ქრისტეს წმინდა კაცობრიობა გამოჩნდა. და ამ დიდ და ყოვლად ქებულ სიხარულზე სამი მოციქულის გარდა, რომლებიც ყველაზე მეტად უყვარდა იესოს, სხვა არავინ იყო.

ვნახოთ, რა სასიხარულო საუბრებია. ლუკას სახარების მე-9 თავში ნათქვამია, რომ საუბრობდნენ უფლის ვნებებზე, რომლებიც უნდა მომხდარიყო იერუსალიმში; ესე იგი, საუბრობდნენ ვნებებზე, სიკვდილზე, დაფლვაზე, ჯვარზე, საკვრელებზე, ფურთხებებზე, ყურიმლისცემებზე, შეურაცხყოფებზე და ცემებზე, რომლებიც უნდა მომხდარიყო იერუსალიმში. მაგრამ არის ეს ის დიდებული და სასიხარულო სიტყვები, რომლებიც შეეფერებოდა სათქმელად ასეთ სასიხარულო მოვლენას? ასეთი შინაარსის საუბრები უნდა მომხდარიყო ასეთი დიდი სიხარულის დროს?

მოვლენის არსი სწორედ ეს არის, რომ ეს საუბრები არ უნდა შეფასდეს მიწიერად, როგორც იმ დროს აზროვნებდა პეტრე, არამედ ქრისტეს აზროვნების შესაბამისად, რომელმაც შეიძულა ყოველი მიწიერი და რომლისთვისაც არ იყო არაფერი მეტად ღირსეული, რომ დიდებისთვის აეტანა ვნებებიც და შეურაცხყოფები; რადგან სამყაროს უზენაესმა მოსამართლემ ღმერთმა,

იმისთვის, რომ გაეთავისუფლებინა ბოროტის მონობისაგან, კაცობრიობის გამომსყიდველისაგან გამოსყიდვის ეს დიდი ფასი მოითხოვა, რომ ადამიანებისთვის შეეწირა წამებით და დამცირებებით სავსე სიკვდილი, ხოლო, თავად შეწირული მსხვერპლი იმდენად საყვარელი იყო მამა ღმერთისთვის, რამდენადაც ამისთვის კაცობრიობას შეუნდო ყველა ჩადენილი ცოდვა საუკუნეების განმავლობაში და ზეციური ბჭენი, რომლებიც მანამდე დახშული იყო, გახსნა და გამოსყიდულები შეიყვანა თავის მარადიულ წყალობაში. რადგან ამ ერთმა მსხვერპლმა იმხელა წყალობა გამოიწვია, რომ მან გადაფარა ყველა ადამიანის ყველა ცოდვა და უსჯულოება. აქედან უნდა გავიგოთ, რომ ამ თემაზე საუბარი იყო ყველაზე შესაფერისი ასეთი დიდებული მოვლენის დროს. მონისთვის გათავისუფლებაზე მეტად სასიხარულო რა არის? და რა არის უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებაზე უფრო დიდი ბედნიერება?

ამიტომ, მოსე და ილია, რომლებიც ამდენი ხნის განმავლობაში დაცილებული იყვნენ თავის სულიერ სამშობლოს, რომელიც ძალიან ენატრებოდათ, რაზე ისაუბრებდნენ უფრო მეტი სიხარულითა და ბედნიერებით, თუ არა იმაზე, რომ მიიღეს უფლება უცხოეთიდან დაბრუნებულიყვნენ თავის სამშობლოში დიდი მღვდლის სიკვდილის გამო? ასევე, მაცხოვარ იესო ქრისტესაც, რა საუბარი ექნებოდა მეტად საყვარელი, ვიდრე სამყაროს გამოსყიდვა? იმდენად ძლიერად უნდოდა მაცხოვარს შეესვა სასუმელი ესე, რომ ის მცირედი დრო, რომელიც დარჩენილი იყო მის შესმამდე, ათასწლეულებად ეჩვენებოდა. რადგან ამ სასმისის წყურვილით იქმნებოდა ადამიანთა სულების ცხონება, სამყაროს გამოსყიდვა, ეშმაკის ძალის დამარცხება, რწმენის გამრავლება, ცოდვების შენდობა და სულების ხსნა. და იმდენად უხაროდა ამ ყველაფრის გამო, რომ სიხარულის სანაცვლოდ ითმენდა ჯვარზე წამებას, შოლტებით ცემას, ეკლიან გვირგვინს, ჭრილობებს, სულის ტკივილებს და ამ ტანჯვებზე არ ფიქრობდა, როგორც რამე სასირცხვილოზე. როგორც ძველი აღთქმის იაკობს მცირედ მოეჩვენა თავისი სასძლო რაქილისთვის მსახურების 7 წელი, რადგან ძალიან უყვარდა ის. მითუმეტეს, მაცხოვარს, რომელმაც ისე ძლიერად შეიყვარა თავისი სარძლო, რომ მცირედ ეჩვენება ის წამება და ტანჯვა, რომლითაც თავის საყვარელ სარძლოს გამოისყიდის, განწმენდს თავისი უძვირფასესი სისხლით და ხდის მას ულამაზესს, უმწიკვლოს და უნაკლოს.

ამიტომ, ყველაზე საყვარელი და სასიხარულო საუბრები მისთვის იქნებოდა სწორედ ის, რასაც ძალიან ნატრულობდა. იცოდეს ყოველა ჩვენგანმა კაცთმოყვარე ღმერთის ენით აღუწერელი სიკეთე, უდიდესი წყალობა და სრულყოფილი სიყვარული, რომელმაც (არა თავისი თავისთვის, არამედ ჩვენთვის - საზიზღარი მატლებისთვის) დაითმინა ამდენი ტანჯვა, ტკივილი, ვნება და სიკვდილი.

ხოლო ჩვენ, იმ სიკეთისთვის და სიყვარულისთვის, რომელიც ჩვენთვის არის ნაბოძები, განა არ უნდა დავითმინოთ მცირედი გაჭირვება მაინც? ამ თემებზე საუბრისას მოსე და ილია ემზადებოდნენ უკვე წასასვლელად პეტრე მოციქულმა, რომ არ მოკლებულიყო ამ მშვენიერებასა და ბრყინვალე ნე-

ტარებას, თქვა: "მოძღვარ, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაი, და ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერთი მოსესა და ერთი ელიაისა", რადგან არ იცოდა რას ამბობდა; რადგან ამ დროს არცერთი ხორციელი საქმე არ ახსოვდა, არც საჭმელი, არც სასმელი, არც სიცოცხლე, არც სიკვდილი, არამედ ყველა საგანი, საკუთარი თავიც დაავიწყდა და როგორც მთვრალი ამ ღვთაებრივი მშვენების სიყვარულით, მხოლოდ იმას ნატრობდა და იმისკენ მიისწრაფოდა, რომ მარადიულად ამ ნეტარებაში დარჩენილიყო. მაგრამ, პეტრე მოციქული გამოთქვამს რა თავის სურვილს, მაინც ემორჩილება ღვთის ნებას, რადგან თქვა: უკეთუ გნებავს, ვქმნათ აქ სამი ტალავარი, ანუ არის შენი ნება.

ამის შემდეგ, სახარება მოგვითხრობს, რომ: "ვითარცა ამას იტყოდა, აჰა ღრუბელი აგრილობდა მათ და ხმაი იყო ღრუბლით გამო: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, ამისი ისმინეთ. და ყველა, ვისაც უნდა იყოს ჩემთვის მოსაწონი, რწმენით და სიყვარულით მასთან ერთად იყავით; რადგან ის გაგიხსნით ცხონების გზას და ჯვრის მეშვეობით აღგიმართავთ ცათა სასუფეველში აღმავალ კიბეს. მას უსმინეთ, რადგან ის არის გზა, ცხოვრება და ჭეშმარიტება, ის არის ჩემი სიტყვა და სიბრძნე; ამიტომ, მას უსმინეთ და არა ამ სოფელს, არც საუკუნეების წინანდელ გველს, არც ხორცის მოთხოვნილებებს, არც ფარისევლების სიტყვებს. არამედ თაბორის ნათელი, მოსე და ილია და სხვა სასწაულები, რომლებიც იხილეთ ,მიიღეთ ჭეშმარიტების მოწმობად".

ასევე, ნათქვამია სახარებაში, მოწაფეებმა გაიგონეს თუ არა მამა ღმერთის ხმა, შიშისაგან დაეცნენ პირქვე კანკალით. თუ ღმერთის ასეთმა ტკბილმა და მანუგეშებელმა ხმამ გამოიწვია ამხელა შიში, რაოდენ დიდ შიშს გამოიწვევს უკანასკნელი სამსჯავრო? თუ ასეთ დიდ შიშს იწვევს სჯულის დაცვის შთაგონება, რაღა იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმე აღმოჩნდება ცნებების მიმართ ზარმაცი და დაუდევარი? ნეტავ რატომ? ასეთი დიდი და სასიხარულო მოვლენის დროს, როდესაც ღმერთმა ინება თავისი დიდებისა და მშვენიერების განცხადება, ამავე დროს, ინება თავისი მოწაფეების ესოდენ შეშინება? რა თქმა უნდა, იმისთვის რომ ვისწავლოთ მეორე ფსალმუნის შინაარსი, სადაც წერია: "ჰმონეთ უფალსა შიშით, და უგალობდით მას ძრწოლით". რადგან შვენის ადამიანს დიდ სიკეთეზე გახარება და დიდ დიდებულებაზე შიში და ძრწოლა.

რადგან ეს ორივე გრძნობა შვენის ღმერთს, ამიტომ მარადიულად უნდა ვადიდოთ და ვაქოთ იგი და ვთხოვოთ მის დიდი შეწევნა და წყალობა. რადგან მისი წყალობის გარეშე ვერაფერს ვერ ვიზამთ ჩვენი სულების ცხონებისთვის; რადგან თვითონვე თავისი უტყუარი პირით ამბობს: "უჩემოდ ვერაფრის შემძლებელ ხართ." და თუ მის გარეშე ვერაფრის შემძლებელნი ვართ, ისევ, გულის სიღრმიდან და მხურვალებით მას უნდა მივმართოთ ლოცვით – შეგვიწყალოს დიდითა წყალობითა თვისითა და მრავლითა მოწყალებითა აღხოცოს უსჯულოებნი ჩვენნი, აგვიხილოს თვალნი სულისა და ხორცისა ჩვენისა, რათა შევიცნოთ განგებანი მისნი; ჩვენი სხეულებიდან მოკვეთოს ყველაფერი ხორციელი, ჩვენი ქვის გულების სანაცვლოდ მოგვცეს ცოცხალი გულები, რომ ვიქონიოთ ღვთის შიში და აღვასრულოთ მისი ცნებები. ასევე, როგორც მოცი-

ქულებს, ჩვენც გაგვინათოს გულები, რომ მარადის გავძლიერდეთ ხილულ და უხილავ მტრებზე, წარმართოს სვლანი ჩვენნი ცნებების კვალზე და გვიბოძოს კეთილი აღსასრული, რომ მარადის ქებულ და დიდებულ იყოს სახელი მისი უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

კომენტარები:

[1] ფერისცვალება ხდება ზუსტად განსაზღვრულ დროს და ადგილას და მას აქვს ღვთაებრივი ჩანაფიქრის სახე. ფერისცვალების სასწაული ხდება გოლგოთამდე 40 დღით ადრე. რატომ წარსდგა უფალი ჩვენი, თავისი ღვთაებრივი ბრწინვალებით მისი სამი მოწაფის წინაშე. "ექვსი დღის შემდეგ წაიყვანა იესომ პეტრე, იაკობი და მისი ძმა იოანე და აიყვანა ისინი მაღალ მთაზე განმარტოებით. და ფერი იცვალა მათ წინაშე: გაბრწყინდა მისი სახე მზესავით, ხოლო მისი სამოსელი ნათელივით გასპეტაკდა."(მათე, 17,1-2) ხდება მისი წარმოჩენა ღვთაებრივი ბრწინვალებით და კიდევ ერთხელ დამოწმება მისი ღმერთად ყოფნისა. ეს იყო წამი, როდესაც დრო გაჩერდა და ამავე დროს უდიდესი, გამოუთქმელი სიხარულის და იმედის წყარო.

ფერისცვალების საზრისის და მნიშვნელობის გასაგებად აუცილებელია რამდენიმე ამბავის გახსნება, რა მოხდა ექვსი დღით ადრე? იესომ იცის, რომ ახლოვდება გოლგოთის განსაცდელი და მისი ამქვეყნიდან გასვლა. მას სურს დაამოწმოს მისი მოწაფეების სულერი მდგომარეობა და მზაობა. "იესომ ჰკითხა თავის მოწაფეებს: რას ამბობს ხალხი, ვინ არისო კაცის ძე? მათ უთხრეს: ზოგი ამბობს იოანე ნათლისმცემელიო, ზოგი-ელიაო და ზოგი იერემია ან ერთი წინასწარმეტყველთაგანი" პასუხად ქრისტე კითხულობს: თქვენ კი რას იტყვით: ვინ ვარ მე?"(მათე 16,13-14-15) სიმონ პეტრე პასუხობს: "შენ ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღვთისა." მათე 16,16) ამის შემდეგ ქრისტე უყვება მოწაფეებს იერუსალიმში მოსალოდნელ მოწამეობრივ სიკვდილზე. რაზეც პეტრე შებედავს დაარწმუნოს, რომ" შეინყალე უფალო თავი." ამ თხოვნაში ჩანს ადამიანის რწმენის და აზროვნების სასრულო-,ხასიათი. ქრისტე პასუხობს: "მოცილდი სატანავ! ჩემი საცდური ხარ, ვინაიდან ფიქრობ არა იმაზე, რაც ღვთიურია, არამედ იმაზე, რაც ადამიანურია."(მათე 17, 23) მართლაც ეს ადამიანურია. პეტრეს სიკვდილის შიში ალაპარაკებს ყველაზე მეტად. ეს ყველაზე უფრო ადამიანურია,რაც ადამიანმა მიიღო სამოთხიდან განდევნის შემდეგ. მან არა მარტო სიკეთე-ბოროტების განსხვავება იცის,არამედ მან შეიძინა სიკვდილის ცნობიერებაც. ამიტომ ფრთხილობს პეტრე. ქრისტე კი არის "სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი", მან უნდა გაიაროს გოლგოთა, როგორც ეშმაკზე,სიკვდილზე გამარჯვების აუცილებელი ეტაპი. ფერისცვალება უჩვენებს უფლის ღვთაებრივ ბრწყინვალებას,რამაც ადამიანის სიკვდილი უნდა აქციოს გარდაცვალებად და მარად სიცოცხლედ.მისცეს სასოება. ამის დასტურია გარდაცვლილი მოსეს და ამაღლებული ელიას ხლება ღმერთთან ფერის\ცვალების სასწაულისას.

პეტრემ იცის, ქრისტე ღმერთია და მაინც ეჭვობს. აუცილებელი ხდება მოწაფეების რწმენაში განმტკიცება, რათა მათ გოლგოთის არსის სწორად გაიგონ. რათა გოლგოთაში არ დაინახონ მხოლოდ ტანჯვა წამება და არა ღმერთის უსაზღვრო სიყვარული, რის გამოც იგი თავისი ნებით მიიღებს ამ განსაცდელს ადამიანის ცოდვისაგან გამოსახსნელად. ამ რწმენის გარეშე ქრისტეს სასწაული შეუძლებელი იქნება, რადგან ადამიანის სასოების უდიდესი და ღვთაებრივი საფუძველი გაუგებარი დარჩება.

ფერისცვალების სასწაულს ესწრება ელია და მოსე, ქრისტეს სამი მოწაფე, რომლებიც გახდნენ ცოცხალი მონმეები ქრისტეს ღვთაებრივი სიდიადისა. ეს იყო ღმერთის უდიდესი წყალობა, რადგან ცოცხალ ადამიანს მიეცა ღმერთის ბრწყინვალების ჭვრეტის უფლება, და მამა ღმერთი, რომელიც ამოწმებს რომ ქრისტე ღმერთია. "ნათელმა ღრუბელმა და-

ჩრდილა ისინი და აჰა ამბობს ხმა ღრუბელიდან: ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე. მას უსმინეთ."(მათე,17-5) კიდევ ერთხელ დაამოწმა მამამ, რომ ქრისტე არის შვილი, პირველად ეს დაამოწმა -იოანე ნათლისმცემელთან ქრისტეს თავზე დაშვებული მტრედის სახით. "აჰა გაიხსნენ ცანი, და მან იხილა ღვთის სული, მტრედივით გარდმომავალი, მასზე რომ ეშვებოდა. აჰა ხმა ციდან მეტყველი: "ეს არს ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე."(მათე 3.16-17) ღვთის ხმის ეს ორი განსხავევებული შინაარსი მიანიშნებს, რომ ქრისტეს ამქვეყნიური მისია დასასრულს უახლოვდება და შესრულებულად უნდა მივიჩნიოთ. ამის დასტურია ქრისტეს საუბარი ელიასა და მოსესთან. წმინდა მამები მიიჩნევენ,რომ ამ საუბრის თემა იყო დამდეგი გოლგოთის წამება. ამიტომ მას მიეცა მეუფეობა ამ ქვეყანაზე. ღმერთმა უჩვენა თავისი ღვთაებრივი ბუნება და გოლგოთის ნებაყოფილობითი ხასიათი. ეს კი მიუთითებდა ღმერთის უსაზღვრო და ადამიანისათვის მიუწვდომელ სიყვარულის ადამიანისადმი.

აუცილებელი იყო ღმერთის სიყვარულის ასეთი გამოხატულება. მას არ სურს მოწაფეებს მოუწყოს სასონარკვეთილებით სავსე გამოცდა მათი რწმენისა გოლგოთის წამებით. უნდა გააგებინოს მისი ნებაყოფილობითი ხასიათი. ადამიანმა უნდა ნებით მიიღოს ის ,რაც ღვთისგან დადგენილია. რადგან ამის მაგალითი მისცა ქრისტემ. ეს არის უდიდესი სიყვარულის გამოხატულებაც, რაზეც მისი ნებაყოფილობითი ხასიათი მიუთითებს. ადამიანის სასრულობა იმაშია, რომ მას ვერ გაუგია ასეთი სიყვარულის არსი, ვერ დაუჯერებია. რატომ უნდა გარდაქმნა გამოისყიდო სიყვარულით, როდესაც გაქვს უსაზღვრო ძლიერება და ამ ძლიერებით შეგიძლია მიაღწიო მიზანს?

ფერისცვალების დღესასწაულის ზეიმობის ტრადიცია იწყება ქრისტიანობის პირველსავე საუკუნეებში. მე-4 საუკუნეში დედოფალმა ელენემ თაბორის მთაზე, ფერისცვალების ადგილზე, აღმართა ტაძარი. მიუხედავად იმისა, რომ ფერისცვალება მოხდა თებერვლის თვეში, ჯვარცმამდე 40 დღით ადრე, მაგრამ ფერისცვალების დღესასწაული გადატანილი იქნა აგვისტოს თვეში, რადგან შეუფერებელი იყო ფერისცვალების დღესასწაულის ზეიმობა დიდმარხვის დროს. აგვისტოს მეექვსე დღე არჩეული იქნა,რომელიც 40 დღით არის დაშორებული ჯვართამაღლებას, როდესაც კვლავ ვიხსენებთ ქრისტეს ჯვარცმისეულ ვნებას.

ფერისცვალება არის ხილული სასწაული ღვთის ამქვეყნად მოვლინებისა. ამ სასწაულის მხილველი იყო პეტრე, იაკობი და იოანე, როგორც სულიერად ყველაზე მომზადებული ასეთი გამოცდისა. ისინი კაპერნაუმიდან გამოვიდნენ და თაბორის მთაზე ავიდნენ, რომელიც გალილეის მაღლობებს ზემოთ იყო. ფერისცვალების არსი ვლინდება სიმბოლოებში, თაბორი თარგმანში ნიშნავს სისუფთავეს, სინათლეს. მთა არის სიწყნარე, სიმშვიდე, რაც აუცილებელია ლოცვისათვის, ღმერთთან საუბრისათვის. ნეტარ არიან მოციქულები, რადგან მათ იხილეს ეს ბრწყინვალე სასწაული. ძველი და ახალი აღთქმის მოციქულების სიხარული და სასოება უსაზღვროა. "განა რომელ პირს შეუძლია აღწერა იმ სიხარულისა და მხიარულების, რომლითაც აღივსო ეს ორი წინასწარმეტყველი."(ანთიმი).ხოლო პეტრე იესოს ეუბნება: " უფალო რა კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა."(მათე 17,4) პეტრე მუდამ იესოს გვერდით არის და მან იცის რომ ღმერთთან არის, მაგრამ ეს სხვა სიხარული და ბედნიერებაა გრძნობს პეტრე. მაგრამ ჩვენ როგორ უნდა აღვიქვათ იგი? ანთიმი ამბობს განსაცვიფრებლად: " ყველაფერი ეს აღემატება ჩვენს გონებას და გაგებას, ამიტომ გარკვეული ფრთხილი დუმილით, სიყვარულით და რწმენით უნდა მივაგოთ პატივი და თაყვანისცემა."(ანთიმი) ეს ანთიმის დამოკიდებულების აღმატებულ ხასიათს მიუთითებს. იგი კითხულობს: "ვინ არის ვისაც შეუძლია, როგორც შეესაბამება სრულყოფილად აღწეროს დღევანდელი დღის სიდიადე? რადგან ყველაფერი,რაც იყო ყველაზე დიდებული ძველ და ახალ აღთქმაში,ზეცაში და დედამიწაზე დღეს გამოცხადდა,რადგან აქ მოავლინა ძველი აღთქმის ყველაზე დიდი წინასწარმეტყველნი და აქვე იყვნენ ახალი აღთქმის ყველაზე დიდი წინასწარმეტყველები, ზიციდან წმინდა სამება განცხადდა, ხოლო დედამიწაზე ქრისტეს წმინდა კაცობრიობა გამოჩნდა."(ანთიმი) ყველაფერი გაერთიანდა, რადგან ღმერთი თა-

ვისი სისრულით მოვიდა ამქვეყნად. ამქვეყნიური და იმქვეყნიური აღარ არსებობს. ეს იყო მეორედ მოსვლის სახის გაელვება. მან დაანახა ამ ორი სოფლის ერთიანობის და მთლიანობის გაელვება. ანთიმოზი მორწმუნეთათვის "პატიოსან და საჭირო საქმედ მიიჩნევს ვიცოდეთ ამ დიდებულ ფერისცვალების ჟამს რა სიტყვებს ეტყოდნენ წინასწარმეტყველნი მაცხოვარ იესო ქრისტეს?" ამ სიტყვებში წარმოჩნდება ღმერთის უსაზღვრო სიყვარული ადამიანის მიმართ და ქრისტიანი მორწმუნეს მოვალეობა. მოსე და ელია ქრისტეს ესაუბრებიან გოლგოთის და ჯვარცმის თაობაზე. "არის ეს ის დიდებული და სასიხარულო სიტყვები, რომლებიც შეეფერებოდა სათქმელად ასეთ სასიხარულო მოვლენის დღეს?" ეს უნდა განვიხილოთ ღვთაებრივი აზროვნების განზომილებით და ადამიანური განზომილებით. ფერისცვალების სასწაული იყო ნიშანი მეორე სასწაულისა, ადამის და ევას ცოდვით დაცემისა და სამოთხიდან გაძევების შემდეგ ადამიანთა ბოროტებიდან გამოყვანისა და "ადამიანთა სულების ცხონება,სამყაროს გამოსყიდვა,ეშმაკის ძალის დამარცხება,რწმენის გამრავლება, ცოდვის შენდობა და სულების ხსნა."(ანთიმი) ამ სასწაულს ვერ ხედავდა პეტრე თავისი ადამიანური გონებით და სასრულო აზროვნებით, მიუხედავად იმისა, რომ იცის ქრისტეს ღმერთობა და იცის მისი ამქვეყნად მოვლინების საზრისი და მიზანი. ადამიანმა უნდა სცადოს გაიგოს ღმერთის მიუწვდომელი მსხვერპლი. "იცოდეს ყოველმა ჩვენთაგანმა კაცთმოყვარე ღმერთის ენით აღუწერელი სიკეთე, უდიდესი წყალობა და სრულყოფილი სიყვარული."(ანთიმი) რადგან არა თავისთვის,არამედ ჩვეთვის დაითმინა მაგდენი ტანჯვა, ტკივილი, ვნება და სიკვდილი. ადამიანმა არ უნდა დაივიწყოს ეს. ამ სრულყოფილი სიყვარულის სანაცვლოდ ადამიანისაგან მოითხოვა მოყვასის სიყვარული. ღმერთი არ ავალებს ადამიანს იტვირთოს მოყვასის ბრალი ღმერთის წინაშე, არამედ უყვარდეს მეორე ადამიანი.

ღმერთი იოანე ნათლისმცემელთან ბრძანებს, რომ მას უსმინეთ, რადგან იგი არის საყვარელი შვილი. მაგრამ ფერისცვალებისას მამა ღმერთი უფრო გარკვევით უმხელს ადამიანს თუ რატომ უნდა უსმინო ქრისტეს. "მას უსმინეთ, რადგან ის არის გზა, ცხოვრება და ჭეშმარიტება, ის არის ჩემი სიტყვა და სიბრძნე."(ანთიმი) ეს არის ქრისტე ღმერთის არსის ყველაზე სრული დადასტურება.

ღმერთი ადამიანს ეცნობა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. ასეთი იყო მოსეს თხოვნით მის წინაშე ღმერთის მოვლინება. ეს არის გაფრთხილება ანდა რწმენაში განმტკიცება. მაგრამ ფერისცვალების სასწაულის დროს ღმერთმა მეტად წარმოაჩინა საკუთარი ბრწყინვალება, რამდენადაც ეს მისაწვდომი იყო ადამიანისათვის. ღმერთმა იცის ადამიანის ბუნება და გრძნობს, რომ ადამიანს უნდა დაეხმაროს, სუსტ და არასრულყოფილ არსებას, რადგან მაშინაც კი, როდესაც ადამიანს სურს ღმერთის ნების შესრულება თავისი ცოდვილი ბუნების გამო ვერ ახერხებს.

ანთიმი მიანიშნებს, რომ როდესაც სულიერი მოძღვარი ქრისტიანს ესაუბრება სულიერი და ხორციელი განსაცდელების შესახებ ამით სურს გაახსენოს ფერისცვალების სასწაულის ძალა და საზრისი. მარადიულად უნდა ვადიდოთ, ვაქოთ და ვთხოვოთ დიდი შენევნა და წყალობა. რადგან ფერისცვალება არის მინიშნება, რომ ქრისტიანს მუდმივი სულერი შრომა და მოძღვრის დახმარება სჭირდება რათა შეახსენოს მისი ბრალეული ბუნება და ასევე ჩაუნერგოს ღმერთის და საუკუნო ცხოვრების იმედი. მორწმუნეს უნდა ქონდეს საკუთარი ცხოვრების გამოსწორების და იმქვეყნიური სახეცვლილების სასოება.

როგორი უნდა იყოს ქრისტიანის დამოკიდებულება ღმერთის სასაწაულებისადმი, ღმერთისადმი-ამ სრულყოფილი და უსასრულო სიყვარულისადმი. ანთიმი იმოწმებს მეორე ფსალმუნის შინაარსს: "ჰმონეთ უფალს შიშით და უგალობეთ მას ძრწოლით." რადგან "ჰშვენის ადამიანს დიდ სიკეთეზე გახარება და დიდ დიდებულებაზე შიში და ძრწოლა. რადგან ეს ორივე გრძნობა ჰშვენის ღმერთს."(ანთიმი)

ღმერთის ბრწყინვალე ფერისცვალებამ "ჩვენი ქვის გულების სანაცვლოდ უნდა მოგ-

ვცეს ცოცხალი გულები, რათა ვიქონიოთ ღვთის შიში და აღვასრულოთ მისი მცნებები"(ანთიმი)

[2] ლუკა 9, 28-29

[3] ლუკა 9,18

[4] მათე 16,23

[5] და ექვსი დღის შემდეგ წაიყვანა იესომ პეტრე, იაკობი და იოანე, ძმა მისი და აიყვანა ისინი მაღალ მთაზე განმარტოებით (მათე. 17;1) როგორც წმ. მამები ამბობენ - ეს სამი მოციქული გარდაემატებოდა დანარჩენს, ისინი ადრეევე გახდნენ ღირსნი იაროსის ასულის სასწაულებრივი აღდგინების ხილვისა. მეორე, მაცხოვარი მათთან ერთად წაბრძანდა გეთსამანიის ბაღში. მაცხოვარმა თაბორზე თან წაიყვანა სამი, რათა განედიდებინა ისინი ხილვით და დატოვა რვა, რათა ნეტრ-ექმნა რწმენით. პეტრე გამოირჩეოდა უფლის უსაზღვრო სიყვარულით, იოანე - ერთგულებით, იაკობი - გამოირჩეოდა იმ სიტყვის გამო, ძმასთან ერთად, რამ უთხრა იესოს: „ძალგიძს, შევსვათო შენი სასმისი". იოანე დამასკელი სახარების ამ ადგილს ამგვარად ხსნის: მაცხოვარმა თან წაიყვანა პეტრე, რათა ეჩვენებინა, რომ მისი მონმობა ქრისტეს ღვთაებრიობის შესახებ მამის მოწმობითაც მტკიცდებოდა და დაერწმუნებინა იგი, რომ თვით ზეციურმა მამამ განაცხადა ეს მოწმობა; იაკობი - რაკი სხვა მოციქულებზე ადრე ჰქონდა სურვილი, მომკვდარიყო უფლისათვის; და ბოლოს, იოანე - ქალწულობისა და ღვთისმეტყველების სიმბოლო, რათა ეჭვრიტა ღვთის ძის მარადიული დიდებისათვის და ეთქვა: „პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი.

[6] რაც შეეხება მზეზე უფრო ნათელს, სინათლეს, ღვთაებრივ განათებას, ღვთისმეტყველებისათვის არ არის მეტაფორები, არამედ გამოხატავენ ღვთაებრიობის რეალურ მდგომარეობას.

„ღვთაების სხივები", რომელთა შესახებ საუბრობს დიონესე არეოპაგელი, შემოქმედებითი ძალები, რომლებიც განჭოლავენ სამყაროს. „ღმერთს უწოდებენ ნათელს არა მისი არსებით, არამედ მისი ენერგიებით", ამბობდა წმ. გრიგოლ პალამა. ღმერთი გამოვლინდება, შეცნობადია და შეიძლება შევიცნოთ, ის ნათელია. ღმერთს უწოდებენ ნათელს არა მხოლოდ მატერიალურ ნათელთან ანალოგიის გამო, ღვთაებრივ სინათლე რეალურია, მისტიკურ ცდაში მოცემული. ე.წ. „ტომოს ჰაგიორიტიკოსი" - ათონელ ბერთა აპოლოგიაში ანსხვავებს 1. გრძნობად სინათლეს, 2. გონების სინათლეს, 3. შექმნილ სინათლეს. შექმნილი სინათლე აღემატება ორივეს, რადგან გრძნობადი სინათლე საგნებს გვიმხელს, გონების სინათლე გვიშხელს ჭეშმარიტებას, რომელიც აზრებში იმყოფება. წმიდა პალამა ამბობდა: ღმერთს უწოდებენ ნათელს არა მისი არსებით, არამედ მისი ენერგიებით. ეს ნათელი არის დაფარულის განფარვა. იგი შეგნებული სულიერი ცხოვრებაა. „გნოსისი" - არის ადამიანური პიროვნების მიერ მოხვეჭილი მადლის მატარებელად ყოფნა. ეს ნათელი მხედველობის დაბინდვაა, რადგან ხორციელი თვალის გარეშე ჭვრეტაა. ამ ცეცხლს უმზერდა წმ. მოსე წინასწარმეტყველი მაყვლოვანში. ამ ცეცხლმა ცეცხლოვანი ეტლის სახით აიტაცა წმ. ილია წინასწარმეტყველი.

[7] მნიშვნელოვანია „თაბორის ნათლის" შესახებ ღვთისმეტყველთა კომენტარები. მეთოთხმეტე საუკუნეში ამის თაობაზე დიდი დავა იყო. კალაბრიელი ბერი ვარლაამი ამ მარადისობას და შეუქმნელობას უარყოფდა. მას დროში შექმნილად თვლიდა. გრიგოლ პალამა ამტკიცებდა, რომ თაბორის ნათელი არის ღვთაებრივი ძალა, ენერგია. მოციქულების მიერ ხილული ნათლის ბუნებაზე საუბრობენ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმ. კირილე ალექსანდრიელი, წმ. მაქსიმე აღმსარებელი წმ. ექვთიმე ზოგაბენი. წმ. გრიგოლ პალამა ამბობს... (ადამიანი), რომელმაც მიიღო ღვთაებრივი მადლი, თვითონ არის თითქოსდა ნათელი და სინათლესთან იმყოფება და მისი მეობებით ხედავს იმას, რაც ამგვარი მა-

დლის გარეშე ყველასათვის დაფარულია. იგი მაღლდება არამარტო ხორციელ გრძნობებზე, არამედ ყოველივეზე, რაც ჩვენ ვუწყით... რამეთუ გულით წმიდანი ხედავენ ღმერთს, რომელიც არის ნათელი, უსახლდება სულში და თავს უმხელს მის მოყვარულთა და მისგან შეყვარებულთ". მადლი არის ღვთაებრიობის გამომაჩინებელი სინათლე. „იესო ქრისტეს ღმრთეება რწმენის თვალით იხილვებოდა და იხილავდა ბიბლიაში ადამიანის მიერ ღმერთის პირისპირ ხილვა შეუძლებელია. ეს კარგად ჩანს გამოსვლათა წიგნში (33.18.20). „თქმა მოსემ: მაჩვენე შენი დიდება. თქვა ღმერთმა... ვერც შეძლებ ჩემი პირის ხილვას. არ შეუძლია ადამიანს მიხილოს მე და ცოცხალი დარჩეს."

[8] მოციქულები, რომლებიც მისტიური საიდუმლოს - იესო ქრისტეს ფარისცვალების მომსწრენი გახდნენ, მარადიული ნეტარებით გამოწვეული სიხარული განიცადეს, უფლის ბრწყინვალების ღირსნი შეიქმნენ და იქ სამუდამო დარჩენა უნდათ.„მიუგო პეტრემ და უთხრა იესოს: უფალო, კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა. თუ გნებავს, გავაკეთებთ კარავს: ერთს შენთვის, ერთს მოსესთვის და ერთს ელიასთვის". დიონისე არეოპაგელი ამის შესახებ წერდა: რომ ეს იყო წმიერი სამოთხე წუთისოფელში და მათ სურდათ ამ მარადიული ნეტარი სიხარულის განცდა არ დაეკარგათ. ასკეტი მამები, რომლებიც სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და უფლის მარადიულობას ჭვრეტდნენ, სწორედ ამ დიდი სიხარულისთვის ემზადებოდნენ. პატრიარქი ილია მეორე ბრძანებს: მაცხოვარმა მათ ისეთი ხილვა უბოძა, რაც მათ შეეძლოთ დაენახათ და ეტვირთათ. ეს ბრწყინვალება მუდამ ახლდა უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს, მაგრამ თვალნი კაცთანი დახშული იყო. ეს ყოველივე ეხმიანება დიონისე არეოპაგელის სიტყვებს: რომელიც ამბობს: ღვთაებრივი ყველას ეცხადება მათი დატევნის უნარის მიხედვით, ღვთაებრივის გაგების უნარის მიხედვით.

[9] წმ. მაქსიმე აღმსარებელი წერს: „უფლის ფერისცვალებისას თაბორის მთაზე ნაჩვენები იქნა ცხონების სამი გზა: სათნოების, შემეცნების და ღვთისმეტყველებისა, პირველი ორი გზა ელიასა და მოსეს სახით წარმოჩინდა, ხოლო ღვთისმეტყველებას თავად მაცხოვარი წამოადგენდა.

მოსე გამოჩნდა, როგორც მამამთავარი წინასწარმეტყველთა, პირველი, რომელმაც სჯული მისცა ერსა, გამოიხსნა ისრაელის ერი, ხოლო ილია, - როგორც ცნობილია, წინასწარმეტყველთა შორის, რომელსაც ხორციელი სიკვდილი არ განეცადა - ცოცხლად, ხორციელად იქნა ატაცებული ზეცად.

მოსე უდაბნოში აღესრულა, მან ხორციელი სიკვდილი განიცადა, მაგრამ ღვთის წინაშე ყველა ცოცხალია, როგორც თავად ბრძანებს სახარებაში: „არ არის ღმერთი მკვდართა და ღმერთი ცოცხალთა, არამედ - ღმერთი ცოცხალთა."

მოსე - მხსნელი და სჯულისმდებელია ისრაელის ერისა და ილია უდიდესია წინასწარმეტყველთა შორის - ეს არის უდიდესი პიროვნება. მოვიდა და თაყვანს სცემდა იესოს, ქრისტედ წოდებულს. ამასთან მოციქულებმა იხილეს, როგორც გაბრწყინდა მაცხოვარი. აქედან დაასკვნეს, რომ მათი მიმდევარი იყო და არა უბრალო ადამიანი ან წინასწარმეტყველი, ან თუნდაც მესია, მხსნელი, რომელსაც ებრაელები მოელოდნენ, არამედ -განკაცებული ღმერთი.

თაბორის მთა საკმაოდ მაღალი და კლდიანია. როგორც აღწერენ, ვიდრე იქ მიხვალ, კარგა მანძილი უნდა გაიარო. თაბორზე ასვლა დიდ ჯაფას მოითხოვდა და მოწაფეები ფიზიკურადაც დაღლილები იყვნენ და სწორედ ამან მოჰგვარა ძილი, თუმცა, ეს საღვთო განგებულებითაც მოხდა. ადვილად რომ გადაეტანათ ეს ღვთაებრივი გამოცხადება, შემაძრწუნებელი, რომ არ ყოფილიყო მოციქულებისათვის ფერისცვალების - ამ უდიდესი სასწაულის ხილვა, უფალმა ძილი მოჰგვარა, რათა მათი გონება შემზადებულიყო სასწაულის სახილველად. ძილით ხდება შიშის დაძლევა. რა შიშზეა ლაპარაკი. თაბორზე მოხდა ადამიანისა და ღმერთის წამიერი შეხვედრა. ეს ის წამია, რომელიც მარადისობას უტოლდება.

ქადაგება № 3

ქადაგება ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის მიძინებაზე[1]

ის მოშურნეობა და სიყვარული, რომელსაც ვხედავ მე ამ პატიოსან და წმინდა შეკრებაზე, ჩემში აღძრავს საუბრის სურვილს, თუმცა ჩემი ქადაგება არასდროს არ არის იმ ღირსების, რომ ის მსმენელებს მოეწონოთ. მაგრამ როგორც უფალმა იესო ქრისტემ განაძღო ხუთი ათასი და ამით გამოასწორა თავისი მოწაფეების სულიერი უძლურება და სიღარიბე, ასევე მეც, მოგმართავთ სიყვარულით, რათა ჩემი არარიტორიკული სიტყვით, მოგართვათ სულიერი ტაბლა.

ბევრჯერ მიფიქრია, რომ რამე ახალი მეთქვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მარიამის საქებად და სადიდებლად, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე. იმიტომ კი არა, რომ არ არსებობს მრავალფეროვანი სიტყვები მისი ღირსების საქებად, არამედ იმიტომ, რომ ჩემი გონება არის უმეცრების ღრუბლით დაბინდული და ვერ ვწვდები ღვთაებრივ სიმაღლეებს.[2] ამიტომ მიხდება ჩემს უმეცრებასა და უღირსებასთან შეჭიდება. იმ დროს, როდესაც მცოდნენი და სულიერ სიკეთეებში წარმატებული ადამიანები დუმილით დგანან[3] და ამგვარად ადიდებენ ღვთისმშობლის სიდიადეს, მე, უმეცარმა და ყველანაირი სიკეთისგან დაცლილმა, რა უნდა ვთქვა?

ამიტომ ვცდილობ, გონებით მივწვდე მისი ქალწულების სიმაღლეს, რისკენაც მიისწრაფვის ყოველი ადამინის გონება, თუმცა ეს სიმაღლე თვით ანგელოზთა მზერისთვისაც მიუღწევადია. ღვთისმშობელს შეიძლება მივმართოთ მხოლოდ იმ სიტყვებით, რომლებიც საუკუნეების წინ განისაზღვრა მისთვის უფლისაგან და რომლითაც მას მიმართა გაბრიელ მთავარანგელოზმა. ამიტომ მის საქებად, დიდი შიშით, მეც გავიმეორებ იმავე სიტყვებს: „გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენთანაა“. ამაზე დიდი ქების და პატივის გამოსახატავი სიტყვები სამყაროს დასაბამიდან ჯერ არ თქმულა არავის მიმართ, არამედ მხოლოდ მისთვის გამოითქვა. რამეთუ მან ღვთისგან მიიღო მადლი, რომელიც ანგელოზის სიტყვისაებრ, ჯერ არავის სხვას არ მიუღია. თუმცა წმინდა წერილში სხვა ადამიანთათვის სხვაგვარადაც ყოფილა გამოთქმული ქების სიტყვები. მაგალითად, შესაქმის მეოთხე თავში აბელის მიმართ ნათქვამია: „მოიხილა ღმერთმან აბელს ზედა და ძღუენთა მისთა ზედა“; ენუქის შესახებ ვკითხულობთ: “ნათქვამია, სათნო უყო ღვთისთვის, მაგრამ აღარ იყო, რადგან ამაღლებული იყო მასთან“; ნოეს შესახებ ნათქვამია: „რადგან მხოლოდ ნოეს ეპოვა მადლი უფლის თვალში და დაიცვა წარღვნისაგან“;[4] აბრაამის შესახებ: „იწამა ღმერთი და ეს შეერაცხა მას სიმართლედ და გახდა მამა მრავალთა“;[5] იოსების შესახებ: „იყო უფალი მასთან და გადმოაფრქვია მასზე წყალობა და უბოძა მას მადლი“;[6] მოსესთან დაკავშირებით წერია: „ეს სიტყვა, რომელიც თქვი, აღგისრულებ, რადგან მოიპოვე მადლი ჩემ წინაშე და

შენ გიცნობ უფროს ყოველთა"; დავითის მიმართ ნათქვამია: „ვნახე კაცი ჩემი გულის სულვისამებრ ისეს ძე, რომელიც შეასრულებს ყველა ჩემს სიტყვას".

და რომ არ გამიგრძელდეს სათქმელი, ძველი თუ ახალი აღთქმის ყველა წინასწარმეტყველისა და ყველა წმინდანისათვის ანგელოზებს ნათქვამი ჰქონდათ ხარების სიტყვები და ღმრთისგან მათაც ჰქონდათ მინიჭებული მადლი და წყალობა, თუმცა დაფარულად.

ხოლო წმინდა ქალწულს მიეცა ჭეშმარიტი ხარების სიტყვები, რომლებიც ყველანაირ გონებაზე აღმატებულია; სიტყვები დიდების, პატივისა და სიხარულის, რომელიც აღემატება ყველა ნიჭსა და წყალობას: „გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენთანაა", და არა მხოლოდ ამ სახარებო სიტყვების გამო არის ის დიდებული ყოველ ერში, არამედ იმ ყოვლადპატიოსანი სახელისთვისაც, რომელიც მას ჰქონდა - მარიამი. რადგან მისი ძის სახელი არის ყველა სახელზე აღმატებული, პავლე მოციქულის სიტყვების მიხედვით: „და მიეცა მას სახელი აღმატებული ყველა სახელზე აღმატებული".[7] ასევე ღვთისმშობლის სახელიც იესოს სახელის შემდეგ არის ყველაზე აღმატებული.

და როგორც სახელი იესოს წინაშე მუხლს იყრის ყოველი ზეციერი, მიწიერი და ქვესკნელის ბინადარი, ასევე დედა ღვთისმშობელი ზეცაში არის უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა და სამყაროში მორწმუნეთათვის არის ყოვლად თაყვანისსაცემელი და ნეტარი, როგორც დედამიწის დედოფალი. ხოლო ქვესკნელში მყოფი ბოროტი სულებისთვის არის ყველა წმინდანზე საშინელი. ჩემი მდაბიო გონებისათვის სახელი მარიამი მიგვანიშნებს სამ რამეზე: 1) რადგან ეს სახელი სამი მარცვლისაგან შედგება, ამითი ვიგებთ რომ მან შვა წმ. სამების ერთ-ერთი პირი, ძე და სიტყვა ღვთისა; 2) თითოეული მარცვალი შედგება ორი ასო-ბგერისაგან, ამაში ჩანს მაცხოვრის ორი ბუნება, ღვთაებრივი და კაცობრივი და 3) მთელ სახელში ექვსი ასო-ბგერაა, რომელშიც ვხედავთ ექვს საუფლო დღესასწაულს: ხარება, შობა, ნათლისღება, ჯვარცმა, აღდგომა, ამაღლება. ხარებით განცხადდა საუკუნეებში დაფარული საიდუმლო;[8] შობით შერიგდა ზეცა და დედამიწა, ღმერთი და ადამიანი; ნათლისღებით ჩვენ შევიმოსეთ უხრწნელობის სამოსით, სიკვდილით ჩვენ მოგვეცა სიცოცხლე; აღდგომით მოგვეცა სიხარული და ზეცაში ამაღლებით მამა ღმრთის მარჯვნივ დაჯდომა.

ასევე ანგელოზის მიერ ნათქვამ ხარების სიტყვებში „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანაა" ისევ ვხედავთ ყოვლადწმინდა სამების სახელს. რადგან სიტყვაში *გიხაროდენ* იგულისხმება ძე ღმერთი, რადგან ის არის სამყაროს სიხარული. ხოლო სიტყვაში *მიმადლებულო* იგულისხმება სული წმინდა, რადგან ის ანიჭებს ყოველივეს მადლს, ხოლო სიტყვებში *უფალი შენთანაა*, იგულისხმება მამა ღმერთი, რადგან ისაა ყოველი ხილულისა და უხილავის უფალი. [9]

ხოლო უფალ ღმერთს, რომელმაც მხოლოდ სიტყვით შექმნა და ააღორძი-

ნა ყოველი ხილული და უხილავი, თავისი ყოვლადძლიერებით შეუძლია შექმნილ ვარსკვლავთა უკაშკაშესნი შექმნას; ღამის მანათობელ მთვარეზე უფრო ნათელი შექმნას; მზე შექმნას უფრო დიდი და მხურვალე, ვიდრე გვაქვს; არსებულზე ვრცელი ცა; მგალობელ ფრინველებზე უფრო ხმატკბილნი; არსებულ ყვავილებზე მეტად კეთილსურნელნი; ხეები უფრო ნაყოფიერნი; ქარები და ჰაერი უფრო ჯანსაღი და სასარგებლო; ცხოველები უფრო მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი; სამყარო უფრო დიდი და საკვირველი, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ. მაგრამ არსებას, რომელიც თავის ღირსებით აღემატებოდეს დედა ღვთისმშობელს, ღმერთი ვერ შექმნის, მისი ყოვლადძლიერების მიუხედავად.[10] ისევე როგორც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ რაიმე არსება მეტად აღმატებული, ვიდრე ღმერთი; ასევე ვერ წარმოვიდგენთ ქმნილებას მეტად აღმატებულს ვიდრე ის, რომელმაც იტვირთა განკაცებული ღმრთის დაბადება. და ეს იმიტომ, რომ ის აირჩია თავად ღმერთმა, რომ იყოს მისი მარადიული სამყოფელი, როგორც ამას ამბობს წინასწარმეტყველი დავითი: „ესე არის განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე". [11]

გამორჩეულია ჭეშმარიტად, როგორც მზე, რადგან ღვთის ნიჭიერებითაა გვირგვინოსანი და უფრო მეტად ანათებს, ვიდრე ცის ყველა მნათობი.

გამორჩეული და მშვენიერია, როგორც მთვარე, რადგან თავისი სიწმინდის ნათელით ჩრდილავს ყველა სხვა ვარსკვლავს და ყველა ვარსკვლავი თაყვანს სცემს მას, როგორც დედოფალს.

გამორჩეულია, როგორც ცისკრის ნათება, რადგან მან განდევნა ცოდვის სიბნელე და ღამე და მოიტანა სამყაროში სიცოცხლის მომნიჭებელი დღე.

გამორჩეულია, რადგან არის წყარო, რომელიც თავისი ღვთაებრივი სიკეთეების დინებით ასიცოცხლებს წმ. ეკლესიას და ყველა ქრისტიანის სულს.

გამორჩეულია, როგორც კიპაროსი, რომელიც თავისი სიმაღლით აღემატება ზეცას და თავისი კეთილსურნელებით გააქრობს ყოველგვარ გახრწნილებას.

გამორჩეულია, როგორც შროშანი, მიუხედავად იმისა, რომ ცოდვაში დაცემული კაცობრივი ბუნებით იშვა, არ დაუკარგავს უბიწოების სიქათქათე და მადლი.

გამორჩეულია, როგორც ღრუბელი, რადგან არ განუცდია ცოდვის სიმძიმე.

გამორჩეულია, რადგან ქალწული იყო შობამდე, შობისას და ქალწულად დარჩა შობის შემდეგ. არის სათნოების სიღრმე და ზეციური მშვენიერების ღვთის სულიერი ხატი. არის ბაღი, რომლიდანაც აღმოცენდა დაუჭკნობელი ყვავილი და დაბეჭდილი წყარო, საიდანაც სათავეს იღებს ცხოვრების წყარო, მაცხოვარი იესო ქრისტე.

ის იხილა მოსემ სინას მთაზე, როგორც დაუწველი მაყვალი.

ის იხილა აარონმა, როგორც აყვავებული და ნაყოფით სავსე კვერთხი.

ის იხილა იაკობმა, როგორც კიდე დედამიწიდან ზეცამდე, რომელზეც ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ ღვთის ანგელოზები.

ის იხილა ეზეკიელმა, როგორც დახშული კარი, რომელშიც არავის გაუვლია.

ის იხილა გედეონმა, როგორც საწმისი, აბაკუმმა, როგორც ჩრდილოვანი ხეივანი, დანიელმა, როგორც მთა და სოლომონმა, როგორც სარეცელი.

დედა ღვთისმშობელი დღეს გადადის დედამიწიდან ზეცაში; ტოვებს მწუხარებას და მიდის სიხარულში, ტოვებს მიწიერს და ღებულობს ზეციურს; ტოვებს ხრწნადს და იხვეჭს მარადიულობას და უკვდავებას. დღეს ის აბარებს თავის უწმიდეს სულს თავის ძის ხელში და ანგელოზებისა და მოციქულების გალობით მიასვენებენ მის უპატიოსნეს სხეულს გეთსიმანიის ბაღში დასასაფლავებად.

დღეს ზეცა შლის თავის მკლავებს და ღებულობს მას, ვინც დაბადა ის, ვისაც ვერ იტევს მთელი ქმნილი სამყარო.

დღეს გაოცებულია ანგელოზთა მთელი დასი და ეკითხებიან ერთმანეთს: ვინ არის ეს, რომელიც მაღლდება უდაბნოდან, ანუ დედამიწიდან ზეცაში? ვინ არის ეს, რომელიც გვევლინება, როგორც ცისკარი, მშვენიერი, როგორც მთვარე და გამორჩეული, როგორც მზე? ვინ არის ეს, რომელიც მაღლდება დედამიწიდან ზეცაში, სპეტაკი, აყვავებული, რომელშიც არ არსებობს ნაკლი? აღიხვენით ბჭენნი თქვენნი, ეუბნებიან ანგელოზთა დასნი ერთიმეორეს, აღიხვენით ბჭენნი და გალობით და დიდებით მიიღეთ ზეცისა და ქვეყნის დედოფალი, რომელიც მოდის ზეცათა მეუფე ღმრთის მარჯვენით დასაბრძანებლად, შემოსილი ოქროს სამოსლით და შემკულ–მორთული, როგორც ამას ამბობს დავით წინასწარმეტყველი. რადგან დედა მარიამმა შეარიგა ზეცა და დედამიწა, ღმერთი და კაცი. ის არის მართალთა სიხარული და ცოდვილთა სასოება.

ასევე ჩვენც, სიყვარულით და ღირსებით, სუფთა გულით, გალობით და დიდებით, ვაქებდეთ და ვადიდებდეთ დედა ღვთისმშობელს და სულიერი სიხარულით ვიდღესასწაულოთ მისი მიძინება. ჰოი, დედაო მარიამ! ეს ხალხი, რომელიც დგას შენი დიდებულების წინაშე, ხედავს რა შენი სიწმინდის სიმართლეს და ამავდროულად თავის უღირსობასა და სიმდაბლეს, ვერ ბედავს შუამდგომლის გარეშე თაყვანი გცეს და გმადლობდეს შენგან მიღებული სათნოებისათვის და შეავედრონ შენს წყალობას თავიანთი სულები. ამიტომ, დედაო ღვთისავ! მე უღირსი და დიდად ცოდვილი შენი მონა, შენი ძის მიერ ვარ დადგენილი ამ სამწყსოს სულიერ მამად და ჩემი მეშვეობით ისინი გულის სიღრმიდან და მხურვალებით ლოცულობენ: „ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, ზეცისა და ქვეყნის დედოფალო, ქრისტიანეთა დიდებაო და პატივო, უმაღლესო ცათაო და მზეზე უსპეტაკესო, ყოვლადქებულო ქალწულო, ცოდვილთა სასოებაო, სიმშვიდეო მათთვის, ვისაც ეკვეთება ცოდვების ტალღები, მოხედე ერსა შენსა და იხილე სამკვიდრებელი შენი, ნუ მიგვატოვებ ცოდვილთა, არამედ შეგვეწიე და დაგვიცავ მზაკვრებათა ბოროტისათა, რამეთუ შეგვა-

ჭირვეს მწუხარებანი, ბოროტებანი, ჭირვეულობანი და ვნებანი. მოგვეც ხელი დახმარებისა, ყოვლადწმიდაო ქალწულო, რამეთუ წარვწყდებით. ნუ მიგვატოვებ, რამეთუ შენ ხარ ჩვენი შემწე და ჩვენ შენ გესავთ, რათა შენი ძლიერი დაუძლეველი ოხითა ევედრე ძესა შენესა, რათა წყალობა ჰყოს ჩვენზედა და დაგვიფაროს ჩვენ; მერმეცა ევედრე მხურვალედ, რათა ჩვენი ღვთისრჩეული მთავარი, რომელიც უფლის განგებით დადგენილია ერის მმართველად, შეძლოს ჯანმრთელობით და დღეგრძელობით, მთელი თავისი სამწყსოს სიბრძნით მართვა და დაცვა ხილული და უხილავი მგლებისაგან; მერმეცა ევედრე, რათა დაიცვას ეს უპატიოსნესი თავადებიც ყოველი განსაცდელისაგან და ბოროტთა მზაკვრებათაგან და მისცეს მათ სიყვარული, ერთობა, შეწევნა და დახმარება ყველა კეთილ საქმეში; მერმეცა ევედრე, რათა ჩვენ ყოველთა წარვმართოთ ცხოვრებაი ჩვენი სიწმიდით, პატიოსნებით, უბიწოდ, რათა ერთითა პირითა და გულითა მარადის გაკურთხევდეთ და გადიდებდეთ მღაღადებელნი: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანაა!"

კომენტარები:

[1] ქადაგება ეხება რწმენის ადგილს ქრისტიანის ცხოვრებაში, რას ნიშნავს იყო ჭეშმარიტი ქრისტიანი და რას ნიშნავს ჭეშმარიტი რწმენა? როგორია ქრისტიანის ჭეშმარიტი რწმენა და რა როლი აკისრია რწმენის განმტკიცების საქმეში სულიერ მოძღვარს. ღვთისმშობელის გამორჩეული ადგილი ქრისტიანულ იერარქიაში ჩვენ მოგვიწოდებს მთელი გულით და სულიერი ძალებით გავიაზროთ ღვთისმშობლის ღვაწლი. მით უფრო შემთხვევითი არაა, რომ საეკლესიო წელი იწყება ღვთისმშობლის დაბადებით(სექტემბერი) და მთავრდება ღვთისმშობლის მიძინების(აგვისტო) დღესასწაულით. ღვთის გეგმა სამყაროს გადარჩენისა ღვთისმშობლის მეშვეობით უკვე გაცხადებული იყო დასაწყისში, როდესაც ევას მიმართ ითქვა, რომ " მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის, შენს თესლსა და დედაკაცის თესლს შორის, ის თავს გაგიჭეჭყდეს" (დაბადება,3. 15) ნათქვამია დედაკაცის თესლზე, რაც ნიშნავდა, რომ არ იქნებოდა მამაკაცის თესლიდან დაბადებული. უკვე სამყაროს დასაწყისში ძველი აღთქმის ევას მეშვეობით გაცხადებული იყო ახალი აღთქმის ევაზე, ღვთისმშობელზე. " როგორც ადამში კვდება ყველა,ასევე გაცოცხლდებიან ქრისტეში."(კორინთელთა 15,22) ღვთისმშობელი არის მეორე ევა და მეორე მტრედი. როგორც წარღვნის დასასრულის და იმედის ნიშანი. ქრისტეს დაბადება იყო ახალი იმედი. პალესტინაში, ნაზარეთში ცხოვრობდა უშვილო მოხუცების წყვილი იოაკიმე და ანა. უშვილო წყვილი ითვლებოდა ღმრთის მიერ დაწყევლილად, "დაწყევლილია ყოველი, ვისაც არა აქვს თესლი სიონში და შთამომავალი იერუსალიმში". ასეთი ადამიანებისაგან ყველას ეკრძალებოდა საკვების მიღება, მისგან არ იღებდნენ სამსხვერპლოს ღმრთის საპატივცემულოდ. ერთხელაც, როდესაც იოაკიმეს სურდა მსხვერპლის შენირვა ღმრთისათვის, ღვთისმსახურმა არ მიიღო მისგან სამსხვერპლო და საყვედური უთხრა: თუ როგორ ბედავდა მსხვერპლის შენირვას ღმრთისათვის. იოაკიმე და ანამ დატოვა ტაძარი და იოაკიმე გაემართა მთისაკენ სალოცავად, ხოლო ანა სახლში წავიდა და მხურვალე ლოცვას მიეცა. შესთხოვდა მიეცა შვილი, რომელსაც ღმერთს მიუძღვნიდა და მის სამსახურში განაწესებდა. ღმერთმა შეისმინა მათი ლოცვა და მუდარა. სული წმინდა მოევლინა მათ ამ ლოცვისას და უთხრა: " გიხაროდენ, იოაკიმე შესმენილია შენი ლოცვა და გეყოლება ქალიშვილი, რომელიც ქალწულობაში შობს ყოველთა მეფეს, ღმერთს." ილოცე და მადლობა შესწირე ღმერთს. ხოლო ანას უთხრა: " ანა შენი ლოცვა შესმენილი იქნა, შენ შობ ქალიშვილს, და უწოდებ მას მარიამს და განიხარებენ მასში დედამიწის ყველა ხალხი." ღვთისმშობლის და-

ბადება ზებუნებრივია, რადგან იგი არის ლოცვების შედეგი. იგი არის უცოდველი და ჩვენ უნდა შევთხოვოთ მას თანადგომა და დახმარება.

მარიამი ნიშნავს დედოფალს. იგი უნდა გამხდარიყო ანგელოსთა დედოფალი და ადამიანთა ქალბატონი. სახელში მარიამი დაფარულია კიდევ ერთი საიდუმლო. სახელის თითოეული ასო გამოხატავს ძველი აღთქმის ხუთ დიდ დედაკაცს. " მ "- არის მარიამი, მოსესა და აარონის და, " ა" -ავიგეას ნავახას ცოლს, " რ "- აღნიშნავს რაქელს იაკობის მეუღლეს, " ი "- ივდითს. წმინდა ქვრივს. ამ დედაკაცების მთელი სათნოება და ღვაწლი გაერთიანდა ღვთისმშობელ მარიამში და უსასრულოდ ზეაღმატებული იქნა მათ მიმართ. მოსეს და მარიამი გამოირჩეოდა ქალწულობით და წინასწარმეტყველების უნარით, ხოლო ღვთისმშობელ მარიამში ქალწულობა და წინასწარმეტყველების უნარი მარადჟამს არის. ავიგეა განთქმული იყო ქორწინებაში მორჩილებით, ღვთისმშობელ მარიამზე კი ნათქვამია: " ვინაიდან მოხედა თავისი მხევლის სიმდაბლეს და ამიერიდან ნეტარად ჩამთვლის მე ყოველი თაობა."(ლუკა 1, 48). რაქელი გამოირჩეოდა სილამაზით. იუდითი კი სიბრძნით მოაკვდინებს ოლოფერნეს. ღვთისმშობელი მარიამი თვითონ არის სიბრძნის და ღვთის სიტყვის სავანე და დაამარცხა ეშმაკი. ანა კი იყო რა უშვილო და შუა დიდი სამუელი. (მეფეთა I, 1:20) ღვთისმშობელი მარიამი შეუდარებლად დიადია, რადგან არა უშვილო, არამედ ქალწული გახდა ემანუილი, რაც ითარგმნება როგორც "ჩვენთან არს ღმერთი". ღვთისმშობელი მარიამი გამორჩეულია თავისი სიწმინდით, მოწიწებით და დედობრივი მოწყალებით. მისი შობით იშვა სიწმინდე და მორჩილება,რომელმაც შესაძლებელი გახადა ქრისტეს განკაცება და ამქვეყნად მოვლინება. ეს იყო უდიდესი სასწაული და იმედი.

ანთიმი თავის ქადაგებას ღვთისმშობელი მარიამის სიდიადის და გამორჩეულობის გამომხატველად მიიჩნევს თქმულს: "გიხაროდენ მიმადლებულო,უფალი შენთანაა". მას სურს, გაიაზროს ამ მოწმობის ღვთაებრივი და ადამიანური შინაარსი.

ღვთისმშობელი მარიამის სიდიადე და გამორჩეულობა ადამიანის გონებისათვის ძნელი მისანვდომია. "მცოდნენი და სულიერ სიკეთეებში წარმატებული ადამიანები დუმილით დგანან და ამგვარად ადიდებენ ღვთისმშობელის სიდიადეს, მე უმეცარმა და ყოველნაირი სიკეთისაგან დაცლილმა რა უნდა ვთქვა."(ანთიმი) ეს არის ღვთაებრივი იდუმალება და მიუწვდომელი ღვთაებრივი განზრახულობა.მის მიმართ შეიძლება გამოითქვას ის, რაც" განისაზღვრა მისთვის უფლისაგან და რომლითაც მას მიმართა გაბრიელ მთავარანგელოზმა "გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენთანაა". ეს სიტყვები თავისი საკრალური მნიშვნელობით მიუწვდომელია ადამიანის გონებისა და გაგებისათვის. ამიტომ ეს სიტყვები უნდა გაიმეორო "დიდი შიშით"(ანთიმი) რადგან ვერ ჩაწვდები ამ სიტყვების არსს და მეორეც- " ამაზე დიდი ქება და პატივის გამოსახატი სიტყვები სამყაროს დასაბამიდან ჯერ არ თქმულა არავისათვის,არამედ მხოლოდ მისთვის."(ანთიმი) ანთიმი ამ სიტყვებს ადარებს წმინდა წიგნში გამოთქმულ საქებ სიტყვებს და ცდილობს დაინახოს მათ შორის არსებული განსხვავება, რათა სცადოს შეიცნოს ამ სადიდებელი სიტყვების შინაარსი. აბელისთვის ნათქვამია: მოიხილა ღმერთმან აბელს ზედა და ძღუენთა მისთა ზედა; ენუქისთვის კი ნათქვამია: "ნათქვამია, სათნო უყო ღვთისთვის, მაგრამ აღარ იყო, რადგან ამაღლებული იყო მასთან"; ნოესთვის კი ნათქვამია: „რადგან მოიპოვა მადლი ღვთის წინაშე და დაიცვა წარღვნისაგან"; აბრაამისთვის ნათქვამია: „ინამა ღმერთი და ეს შეერაცხა მას სიმართლედ და გახდა მამა მრავალთა"; იოსებისთვის ნათქვამია: „იყო უფალი მასთან და გადმოაფრქვია მასზე წყალობა და უბოძა მას მადლი"; მოსესთვის ნათქვამია: „ეს სიტყვა რომელიც თქვი, აღგისრულებ, რადგან მოიპოვე მადლი ჩემს წინაშე და შენ გიცნობ უფროს ყოველთა"; დავითისთვის ნათქვამია: „ვნახე კაცი ჩემი გულის სულვისამებრ ისეს ძე, რომელიც შეასრულებს ყველა ჩემს სიტყვას". მათ ყველას მიენიჭა ღვთისაგან მადლი და წყალობა. ანთიმოზი ადასტურებს, რომ მათგან განსხვავებით წმინდა ქალწულს მიეცა:" ჭეშმარიტი ხარების სიტყვები, რომლებიც ყოველნაირ გონებაზე აღმატებულია, სიტყვები დიდების, პატივის და სიხარულის, რომელიც აღემატება ყველა ნიჭს და წყალობას: "გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენთანაა". იგი იმოწმებს პაელე მოციქულს: " და მიეცა მას

სახელი აღმატებული ყველა სახელზე აღმატებული". მართლაც ღვთისმშობლის სახელი იესოს სახელის შემდეგ ყველაზე აღმატებულია.

ანთიმი თვლის, რომ სახელშიც ჩადებულია ღვთაებრივი განზრახულობა. სახელი მარიამი მიგვანიშნებს სამ რამეზე: "რადგან სახელი შედგება სამი მარცვლისაგან,ამით ვიგებთ, რომ მან შვა წმინდა სამების ერთ-ერთი პირი, ძე და სიტყვა ღვთისა, თითოეული მარცვალი შედგება ორი ასო-ბგერისაგან, ამაში ჩანს მაცხოვრის ორი ბუნება, ღვთაებრივი და კაცობრივი, მთელ სახელში ექვსი ასო-ბგერაა, რომელშიც ვხედავთ ექვს საუფლო დღესასწაულს: ხარება, შობა, ნათლისღება, ჯვარცმა, აღდგომა, ამაღლება."(ანთიმი) ანთიმის შთაგონება აქ არ ჩერდება. "გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენთანა". დაფარულია ყოვლადწმინდა სამების სახელი. "სიტყვაში გიხაროდენ -- იგულისხმება ძე ღმერთი,რადგან ის სამყაროს სიხარულია. სიტყვაში მიმადლებულო – იგულისხმება სული წმინდა,რადგან ის ანიჭებს ყოველივეს მადლს. ხოლო სიტყვაში უფალი შენთანაა, იგულისხმება მამა ღმერთი, რადგან ყოველივე ხილულის და უხილავის უფალია."(ანთიმი)

ანთიმი მოიხმარს მთელ მის მჭერმეტყველებას, გონების უნარს. იგი ღვთისმშობლის სიწმინდის, სათნოების, ღვაწლის დასახასიათებლად იყენებს ბიბლიაში მოცემულ ყველა მხატვრულ შედარებას. მის გამორჩეულობას ადარებს" "მზეს, მთვარეს, ცისკრის ნათებას, წყაროს, კიპაროსს, შროშანს, ღრუბელს." (ანთიმი) ესეც არ მიაჩნია საკმარისად და ღვთისმშობელს სხვაგვარად ადიდებს: " არის სათნოების სიღრმე, და ზეციური მშვენიერების ღვთივ სულიერი ხატი. არის ბაღი,რომლიდანაც აღმოცენდა დაუჭკნობელი ყვავილი, დაბეჭდილი წყარო, საიდანაც სათავეს იღებს ცხოვრების წყარო, მაცხოვარი იესო ქრისტე."(ანთიმი)

"ის იხილა მოსემ სინას მთაზე, როგორც დაუწველი მაყვალი, ის იხილა აარონმა, როგორც აყვავებული და ნაყოფით სავსე კვერთხი,ის იხილა იაკობმა, როგორც კიბე დედამიწიდან ზეცამდე, რომელზეც ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ ღვთის ანგელოზები. ის იხილა ეზეკიელმა, როგორც დახშული კარი, რომელშიც არავის გაუვლია. ის იხილა გედეონმა, როგორც საწმისი,აბაკუმმა, როგორც ჩრდილოეთი ხეივანი, დანიელმა, როგორც მთა და სოლომონმა, როგორც სარეცელი."(ანთიმი)

ამ სადიდებელი სიტყვის კულმინაცია არის შემდეგი სიტყვები: "ღმერთი ვერ შექმნის, მისი ყოვლადძლიერების მიუხედავად, არსებას თავის ღირსებაში რომ აღემატებოდეს დედა ღვთისმშობელს. ისე როგორც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მეტად აღმატებული, ვიდრე ღმერთი, ასევე ვერ წარმოვიდგენთ ქმნილებას მეტად აღმატებულს, ვიდრე ქმნილებას, რომელმაც იტვირთა განკაცებული ღმრთის დაბადება. რადგან ის აირჩია ღმერთმა, რომ იყოს მისი მარადიული სამყოფელი." (ანთიმი)

ღვთისმშობლის მიძინებას, ცად ამაღლებას ანგელოზთა დასი გალობით და დიდებით ეგებება. იგი ამაღლდა ცად, როგორც სპეტაკი, უნაკლო, ქვეყნის დედოფალი. მისი ამქვეყნიური ღვაწლი მდგომარეობს იმაში, რომ "დედა მარიამმა შეარიგა ზეცა და დედამიწა, ღმერთი და კაცი. ის არის მართალთა სიხარული და ცოდვილთა სასოება."(ანთიმი) ჩვენც ღვთისმშობლის ცად ამაღლებას უნდა შევხვდეთ "სულიერი სიხარულით" და შევსთხოვოთ: ნუ მიგვატოვებს ცოდვილთ, არამედ შეგვეწიე და დაგვიცავი მზაკვრობით ბოროტებისაგან, მოგვეც ხელი დახმარებისა, ყოვლადწმინდაო ქალწულო.

[2] წმ. ანთიმოზ ივერიელი აგრძელებს აღმოსავლური ეკლესიის აპოფატიკური თეოლოგიის ტრადიციებს, რომლის მეთოდური წესია გონების თვითშეზღუდვა შემეცნების იმ პრინციპულ ზღურბლზე, რისი გადალახვითაც ჭეშმარიტ ღვთისშემეცნებას ცვლის ღმრთის შესახებ იდოლების (ყალბი ცნობიერების) ხელოვნური კონსტრუირება.

[3] წმ. ანთიმი აქ მიუთითებს ბიზანტიურ თეოლოგიაში ისიხასტურ, პალამიტურ ტრადიციაზე, სადაც დუმილით მედიტაციას ღვთისშემეცნებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

[4] დაბადება 6, 8

[5] დაბადება 15, 6

[6] დაბადება 39, 4

[7] ფილიპელთა 2, 9

[8] აქ ნაჩვენებია ტრინიტარული თეოლოგიის შინაგანი კავშირი მარიამის დოგმატთან და ღვთისმეტყველებასთან, რასაც ღმრთისა და ადამიანის პერსონული კორელატურობის კონცეფციასთან და ქრისტიანული ჰუმანიზმის საფუძვლებთან მივყავართ.

[9] წმ. ანთიმოზ ივერიელი განმარტავს მარიამული დოგმატის ერთ-ერთ ასპექტს - ყველა საიდუმლოზე აღმატებულისა და დაფარულის გაცხადებას, რაც ადამიანისა და ღმრთის ურთიერთობის მთელი პროვიდენციური კონცეფციის გამომჟღავნებას მოასწავებს.

[10] ამ ღრმა მედიტაციაში წმ. ანთიმი წარმოგვიდგება როგორც დიდი ღვთისმეტყველი, რომელიც ქმნის ფუძემდებლური მნიშვნელობის თეოლოგემას XVI-XVII საუკუნეების რელიგიის ფილოსოფიისათვის და აზროვნების მთელი ეპოქალური პარადიგმისათვის. ამ თეოლოგემით უარყოფილია განმანათლებლური კონცეპტი პრესტაბილური ჰარმონიის შესახებ, რომლის მიხედვითაც ღმერთმა შექმნა ყველა შესაძლო სამყაროთა შორის უკეთესი სამყარო, მათემატიკისა და მექანიკის უნივერსალური კანონების მიხედვით. ყოფიერების არსება წმ. ანთიმთან გაგებულია, როგორც უსასრულო შესაძლებლობათა ჰორიზონტი, რომელიც იმ ერთადერთ შეუძლებლობასაც შეიცავს, რომელსაც კირკეგორო რწმენის პარადოქსს უწოდებს- „ღმერთი ვერ შექმნიდა ღვთისმშობელზე აღმატებულ არსებას ღირსების თვალსაზრისით.+“ ესაა ღმრთისა და ადამიანის პერსონული კორელატურობის საფუძველი. წმ. ანთიმი აგრძელებს ნეტარი ავგუსტინეს კონცეფციას ღმრთისა და ადამიანის „პირისპირ დიალოგის“ შესახებ, რომელსაც ემყარება ქრისტიანული ჰუმანიზმის ექსისტენციალური ვერსია.

წმ. ანთიმის ამ თეოლოგემაში გამოვლენილია XVI-XVII საუკუნეების აზროვნების ისტორიაში გარდატეხის პუნქტი. წმ. ანთიმი ახორციელებს ტრადიციული თეოლოგიის ჰუმანისტურ გააზრებას; მეორეს მხრივ, უპირისპირდება ემპირისტული და რაციონალისტური განმანათლებლობის ფილოსოფიას. წმ. ანთიმისათვის მიუღებელია როგორც „ღმერთი ადამიანის გარეშე“, ასევე „ადამიანი ღმრთის გარეშე“. ამ თვალსაზრისით, „უადამიანო ღმერთი“ და „უღმერთო ადამიანი“ ერთნაირად საშიში ცდომილებაა. ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის სახით, ადამიანს წილი უდევს თვით შესაქმნელში, ქმნილების შექმნაში.

წმ. ანთიმის მიხედვით, სწორედ ღვთისმშობლის წილხვდომილების თეოლოგემაზეა დამყარებული მთელი ქრისტიანული ჰუმანიზმი და კოსმოგონია. „უფალმა შემიძინა თავისი გზის დასაწყისში, თავის ქმნილებამდე, დასაბამით; უკუნითიდან დამადგინა, თავიდანვე, ქვეყნის დასაბამიდან“ (იგავნი. 8,22-30). რელიგიის ფილოსოფიის ეს კონცეფცია სისტემატური სახით არის ჩამოყალიბებული XX საუკუნის გამოჩენილი რუმინელი რელიგიათმცოდნის მირჩე ელიადეს იმ კრიტიკული თეორიის ალტერნატივად, რომლის მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება „კულტის რელიგია“ და „პრაქტიკული გონების“ რელიგია; ხოლო რელიგიის ჭეშმარიტი არსება ავტონომიური გონების ეთიკურ პოსტულირებაში მდგომარეობს. წმ. ანთიმის თეოლოგემა აშკარად გვაყენებს პიროვნების არსების გადააზრების გზაზე, რომელიც არც ემპირიულად დგინდება და არც აპრიორულად. ის ვლინდება გამოცხადების (ტრანსცენდირების) ხდომილებით თანაკრეატიულობაში.

[11] ფსალმუნი 131, 14

ქადაგება №4

ქადაგება მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკეს[1]

დიდმა სურვილმა და წმინდა სიყვარულმა და განსაკუთრებით თქვენს მიმართ ჩემმა სულიერ-მამობრივმა მოვალეობამ მაიძულა მოვსულიყავი დღეს თქვენთან დასამოძღვრად, რადგან მე უღირსი დამადგინა ღმერთმა თქვენს მოძღვრად, სულიერ მამად და მაცხოვნებელი ცხოვრების მასწავლებლად. ამიტომ თქვენი ყველასი, დიდისა და პატარის მოვალეობაა მომისმინოთ და შეასრულოთ, რასაც გასწავლით, რადგან ესაა მორჩილება ქრისტესი და არა ჩემი. ლუკას სახარების მე-10 თავში ნათქვამია: „რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა; და რომელმან თქუენ შეურაცხ-გვყნეს, მე შეურაცხ-მყოფს".[2] ასევე ნეტარი პავლე მოციქულიც ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში ამბობს: „ ძმანო, დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა და ერიდეთ მათ, რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქუენთათვის, ვითარცა-იგი სიტყუაი მისცენ; რაითა სიხარულით ამას ჰყოფდნენ და არა სულთითქუმიდენ, რამეთუ არა ადვილ არს ესე თქუენდა."[3]

ამიტომ მაცხოვარ იესო ქრისტეს ცნების თანახმად, მე ვევედრები მას, მომცეს ძალა და მადლი, შევძლო გითხრათ სულისთვის სასარგებლო სიტყვები. თქვენი დამოძღვრება არასდროს არც გადამიდია და არც დამზარებია. ამიტომ გთხოვთ, მომისმინეთ.

როგორც სახლის პატრონი, სანამ დათესავს სუფთა ხორბალს თავის მამულში, ჯერ დიდად შრომობს, რომ გაწმინდოს ხორბალი ღვარძლისაგან და სხვა უსუფთაობებისაგან, ასევე ჩვენმა წმინდა მამებმაც დიდად იღვაწეს და გამოარჩიეს კეთილგონიერების საცრით მთელი წმინდა წერილი და როგორც სუფთა ხორბალი, ყველა არსებული სათნოებიდან გამოარჩიეს სამი დიდი სათნოება: რწმენა, სასოება და სიყვარული და დათესეს ისინი წმინდა ეკლესიის მიწაში, ანუ მორწმუნეთა გულებში. და ყველა ქრისტიანის მოვალეობაა, შეასრულოს ისინი. რადგან, ვინც რა არ უნდა თქვას, ამ სამი სათნოების გარეშე არცერთი სხვა საშუალებით არაა შესაძლებელი ქრისტიანის ცხონება, რადგან ისინი ქრისტიანობის საფუძველს წარმოადგენენ. რადგან შეუძლებელია ვინმემ იცხოვროს დედამიწაზე ხორციელი საკვებისა და ჩასაცმლის გარეშე და არც ძილის გარეშე, ასევე ამ სამი სათნოების - რწმენის, სასოებისა და სიყვარულის გარეშე შეუძლებელია არსებობა. დასაწყისში ვიტყვი რამდენიმე სიტყვას სასოებისთვის და სიყვარულისთვის, ხოლო ბოლოს უფრო ვრცლად სარწმუნოებისთვის.

სასოება არის ჭეშმარიტი კადნიერება ღვთის მიმართ, რომელიც ღვთის წყალობით მოცემული აქვს ადამიანის გულს, რომ ის არ ჩავარდეს სასოწარკვეთილებაში და არასდროს არ დაკარგოს იმედი, არამედ იყოს დარწმუნებული, რომ სინანულით ყოველთვის მიიღებს ცოდვების მიტევებას ან სხვა თხოვნებს დროებითსა, თუ მარადიულს. ხოლო, არსებობს ორი სახის სასოება: ერთი

კეთილი და მეორე ბოროტი. კეთილი არის ის, როდესაც ვინმეს აქვს ღვთის იმედი, რომ ცხონდება, ან რომ აღსრულდება რამე სხვა სიკეთე, შესაბამისად, არც წუხს და არც კარგავს არაფერს. როგორც დავით წინასწარმეტყველი ამბობს, „უკეთესია დაყრდნობა უფალზე, ვიდრე დაიმედება მთავრებზე,[4] ხოლო ბოროტი არის ის, როდესაც ვინმეს ისევ ადამიანის იმედი აქვს, რომ ის გაუწევს დახმარებას ან თანადგომას რომელიმე ამქვეყნიური წარმავალი საქმის გაკეთებაში, ასეთი სასოება არის მატყუარა და ამაო. ამ შემთხვევაში დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „ნუ ესავთ მთავართა, ძეთა კაცთასა, რომელთა თანა არს არა ცხორებაჲ“,[5] ასევე ბრძენი სოლომონიც ამბობს: „წყეულ იყოს, ვინც ესავც კაცს“.

ხოლო სიყვარული გულისხმობს ადამიანთა ერთობას, გზას უფლისაკენ და ყველა სათნოების მწვერვალს, როგორც ამბობს პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ ეპისტოლეს მე-13 თავში: „ხოლო აწ ესერა ჰგიეს სარწმუნოებაი, სასოებაი, და სიყვარული, სამი ესე; ხოლო უფროის ამათსა სიყვარული არს“.[6] ეს სათნოებაც სამი სახის არსებობს: ერთი ღვთაებრივი, მეორე ბუნებრივი, ხოლო მესამე ვნებიანი და ბოროტი. ღვთაებრივი სიყვარული არის ის, რომელზეც ნათქვამია მეორე სჯულთა წიგნის მე-6 თავში: „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი“; ხოლო ბუნებრივი სიყვარული არის ის, რომლითაც გიყვარს მშობლები, შვილები, შვილიშვილები, ზოგადად ნათესავები და მეგობრები შენი. რაც შეეხება ვნებიან და ბოროტ სიყვარულს, მის თაობაზე არაფერს ვიტყვით, რადგან ნებისმიერი ჭკვიანი და ღვთის მოშიში ადამიანი იცნობს და ერიდება მას, ამიტომ მის შესახებ არაფერს ვიტყვით, რომ არ დავიბინძუროთ ჩვენი სმენა.

სარწმუნოება თავისი არსებით არის ის, რითაც ჩვენ გვაქვს სასოება და რწმენა საგნების, რომლების დამტკიცებაც შეუძლებელია, როგორც პავლე მოციქული ამბობს: „სარწმუნოების გარეშე შეუძლებელია ესათნოვო ღმერთს“[7] და ამ სიტყვებში ვრწმუნდებით, როდესაც ვუყურებთ ძველი თუ ახალი აღთქმის წმინდანებს და მართლებს. ვხედავთ, რომ მათი ჭეშმარიტი სარწმუნოებისთვის მათ მოიპოვეს ღვთის მადლი და მოახდინეს დიდი და ბუნებაზე აღმატებული სასწაულები და ამით მოუტანეს სიკეთე როგორც საკუთარ თავს, ასევე სხვებსაც; და როგორც ამბობს დავით წინასწარმეტყველი, ღვთის თვალები მარადის იყო მათ ზედა და ყურნი მისნი ლოცვასა მათსა ზედა.

ასევე წმინდა სახარების მრავალ ადგილას ვხედავთ, რომ ისინი ვინც მიდიოდნენ მაცხოვარ იესო ქრისტესთან, ესმოდათ მისი ბაგეებიდან: „თქვენი რწმენისაებრ მოგეგოთ თქვენ“[8] და ნებისმიერი ავადმყოფობისაგან იკურნებოდნენ იმ წამშივე. ასევე, მაგალითად, შეიძლება გამოვიყენოთ სახარების დღევანდელი იგავი მეზვერესა და ფარისეველზე, რადგან ნათქვამია, მეზვერე იცემდა მკერდში მუშტებს და რწმენით ამბობდა: „ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას და შემიწყალე მე“, რის შემდეგაც გამართლებული წამოვიდა ტაძრიდან.

ხოლო ჩვენ, ქრისტიანები რომ გვქვია, რა კეთილი საქმეებით შეგვიძლია ვაჩვენოთ ჩვენი ქრისტიანობა და კეთილმორწმუნეობა და ამავდროულად

გამორჩეულობა იმ ტომებისგან, რომლებსაც ჩვენ წარმართებს ვეძახით? შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენ ვიტყუებთ თავს და რეალურად სარწმუნოება არ გვაქვს: რადგან, რომ გვქონოდა სარწმუნოება, ღმერთიც გვეყვარებოდა და შეძლებისდაგვარად დავიცავდით მის სიტყვებსა და მცნებებს. რადგან ნათქვამია იოანეს სახარების მე-14 თავში: „ უკეთუ გიყუარ მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით“. ხოლო ჩვენ, იმის მაგივრად, რომ გვიყვარდეს ის და დავიცვათ მისი მცნებები, ჩვენ მას ვაგინებთ და დავცინით და მასხრად ვიგდებთ. მისი სიტყვები თითქოსდა ზღაპარი იყოს. ხოლო თუ მკითხავთ, როგორ ვაგინებთ, გიპასუხებთ, როდესაც სჯულით ვაგინებთ ვინმეს, ღმერთს ვაგინებთ. უკვე გითხარით, რომ სარწმუნოება არის მხოლოდ ერთი სახის და ყველა ადამიანს სწამს ღმერთის, რომ ღმერთი არის სჯული და სჯულის შემქმნელი; ამიტომ, როდესაც ვაგინებთ სჯულს, ვაგინებთ ღმერთსაც, ამიტომ ვამბობთ, რომ არ გვაქვს სარწმუნოება.

მაგრამ თუ ვიტყვით, რომ სასოებით გამოვირჩევით წარმართებისგან, ვერც ამით დავიკვეხნით. თუ გვაქვს სარწმუნოება, შეიძლება გვქონდეს სასოებაც, როგორც უკვე გითხარით, ჯერ აუცილებელია კაცს ჰქონდეს ღვთის რწმენა და მხოლოდ ამის შემდეგ მოდის სასოება.

თუ იმას ვიტყვით, რომ სიყვარულით გამოვირჩევით წარმართებისაგან, ვერც ამას დავამტკიცებთ, რადგან ნათქვამი აქვს იოანე მოციქულს: „უკეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ მიყვარს ღმერთი და ძმაი თვისი სძულდეს, მტყუარ არს, რამეთუ რომელსა არა უყუარდეს ძმაი თვისი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უც შეყუარებად?“[9] თუ ჩვენ შორის არ არის სიყვარული და ღვთის მცნების თანახმად, არ ვუსურვებთ ხოლმე სიკეთეს ერთმანეთს, მაშინ არ გვაქვს არც სარწმუნოება, არც სასოება, არც სიყვარული და შემინდეთ რომ ვამბობ, ვართ წარმართებზე უარესები. რადგან ამბობს პავლე მოციქული: „წარმართ ერებს არ აქვთ სჯული და ასრულებენ სჯულისას“. ხოლო ჩვენ გვაქვს სჯული და ვაკეთებთ ყველაფერს სჯულის საწინააღმდეგოდ, ამიტომ ყველა წარმართზე და ტომზე მეტად ცოდვილნი ვართ. დაფიქრდით და მიხვდებით, რომ ზუსტად ასეა, როგორც მე გეუბნებით, რომელი ერი აგინებს ჩვენსავით სჯულს, ჯვარს, ზიარებას, მკვდრებს, ქელეხს, სანთელს, სულს, საფლავს, წანდილს, სეფისკვერს, აღსარებას, ნათლობას, ჯვრისწერას, ეკლესიის ყველა წმინდა საიდუმლოს და ამ ყველაფერს ჩვენსავით მასხრად იგდებს და არცხვენს ქრისტიანულ სჯულს?! რომელი წარმართაგანი აკეთებს მსგავს რამეს ჩვენსავით და იგინებს სჯულს? განა ამ ყველაფრით არ ვაგინებთ თავად ღმერთს? განა ამ ყველაფრით არ ვარცხვენთ მის მცნებებს? რადგან მან, სწორედ მან, გვასწავლა ყველა ეს საიდუმლო, რომ მათი მეშვეობით განვიწმინდოთ ცოდვებისაგან და გაჭირვების და მწუხარების ჟამს მივიღოთ მისგან დიდი წყალობა.

ხოლო ჩვენ თუ გვესმის რომ ვინმე [ფიცის დადებისას] აგინებს იმას, რაც ჩამოვთვალე, იმის ნაცვლად, რომ მივცეთ შენიშვნა და საყვედური, როგორც

უგუნურ ადამიანს, ჩვენ გვსიამოვნებს და ვიცინით. თუ ღმერთი გწამთ, თქვით, განა ეს ყველაფერი ქრისტიანული საქციელია?!

ასევე ამ ყველაფერთან ერთად იმასაც ვამატებთ, რომ ჩვენს მშობლებს ბოროტად ვეპყრობით, შეურაცხყოფას ვაყენებთ და ვცემთ კიდეც; მოხუცებს პატივს არ ვცემთ, მთავრებს და თავადებს ვწყევლით, მღვდელმთავრებს არაფრად ვაგდებთ, ბერებს ცილს ვწამებთ, მღვდლებს დავცინით, ეკლესიებს არ ვუვლით როდესაც დავდივართ იქ, თითქოსდა ბოსელი იყოს. იმის მაგივრად, რომ მოვუსმინოთ წირვა-ლოცვას, ვილოცოთ და ვთხოვოთ ღმერთს ცოდვების შენდობა, ჩვენ ვლაპარაკობთ, ვიცინით, თვალებს ვუპაჭუნებთ ერთიმეორეს იმაზე უარესად, ვიდრე დუქნებში, ვითომც არაფერია. საეკლესიო დღესასწაულებს არ ვიცავთ, უფრო მეტიც, ზუსტად ამ დღეებში ჩავდივართ ხოლმე ყველაზე ბოროტ საქმეებს ისე, რომ ეშმაკს ვახარებთ და ზუსტად ამ დღეებში გვინდა ხოლმე სავაჭროდ წასვლა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ ყველანი გადავედით სიმართლის გზიდან, გავბოროტდით და როგორც ამბობს დავით წინასწარმეტყველი, აღარავინაა ჩვენ შორის, ვინც ეძიებს ღმერთსო. ამქვეყნიური ამაო საგნებით ვართ დაბრმავებულები, სხვა არაფერი გვახარებს, გარდა ბნელი საქმეებისა; როგორც მთიდან დაგორებული ბორბალი, ყველანი ისე მივექანებით ბოროტებისკენ და არც შეგვიძლია გაჩერება. და როგორც პირუტყვი, ვგორაობთ ამა სოფლის ბინძურ სიამეებში.

ამ ყველაფრის მიზეზი სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი ურწმუნოება; რადგან ძველი აღთქმისეული ფარაონივით გაგვიქვავდა გულები და დავდივართ უსირცხვილოდ, როგორც ულაგამო და გაუხედნავი ცხენები, სანამ არ გადავიჩეხებით რომელიმე უფსკრულში და არ დავიღუპებით. ასეთი ქმედებებით ვიქებთ თავს, რომ ვართ ქრისტიანები?! ჰოი, ვაი ჩვენს თავს! რა გვაქვს საერთო ქრისტიანობასთან. თუ ვთვლით, რომ მარტო იმით ვცხონდებით, რომ ქრისტიანები გვქვია! ვერცერთ შემთხვევაში! პირიქით, უფრო დიდ სასჯელს მივიღებთ, თუ არ შევინანებთ და არ გამოვსწორდებით. მაცხოვარი იესო ქრისტე გვეუბნება: „ცათა სასუფეველში არ შევლენ ისინი, ვინც მეუბნებიან უფალო, უფალო, არამედ ვინც ასრულებს ჩემს ნებას“. გთხოვთ, მითხარით, იქნებ მე შევიშალე ჭკუიდან, ქრისტეს რომელ ნებას მივყვებით ან რომელ მცნებას ვასრულებთ?! მე, პირადად, არ მეგულება ჩვენთვის სხვა სახელი, გარდა რაღაცა გამხმარის, გაცივებულის და ყველანაირი სიკეთეგამოცლილის აღმნიშვნელი. მერე ვდგავართ და გვიკვირს, ჩვენ რადგან ქრისტიანები ვართ, რატომ არ გვისრულებს ღმერთი სურვილებს! კიდევ კარგი, რომ საერთოდ არ გვანადგურებს, როგორც სოდომელებს, რადგან ცხადად ვხედავთ, როგორ გვშორდება ღმერთი, ჩვენი ბოროტების გამო გვემართება ამდენი ავადმყოფობა, სიკვდილი, ტანჯვა და გაჭირვება და ვერც კი მოვდივართ გონზე და არ ვტოვებთ ჩვენს ბოროტებებს.

ამიტომ, ჩემო საყვარელნო კრავნო, როგორც თქვენი სულიერი მწყემსი და მამა, ღვთის შიშით გასწავლით: მოდით გონზე და შეინანეთ თქვენი უღირსი

საქციელები, რადგან ღმერთი მოწყალეა და თუ ნახავს ჩვენს მოქცევასა და სინანულს, აუცილებლად შეგვინდობს. ნახეთ, როგორ მოგვიწოდებს ღმერთი ისაია წინასწარმეტყველის მიერ: „მოიქეცით ჩემსკენ და მეც მოვიქცევი თქვენსკენ“.

ახლა, ვინც რა საქმისა ხართ, ხელოსნები თუ ვაჭრები, ყველას გაძლევთ ლოცვა-კურთხევას, აწი, კვირაობით, დიდ დღესასწაულებზე, რომლებსაც საუფლოებს და დედა ღვთისმშობლიანებს ვეძახით და ასევე დიდი წმიდანების ხსენების დღეებზე დახურეთ ყველაფერი და არც გაყიდოთ და არც იყოდოთ, არც ქრისტიანებისგან, არც თურქებისგან და არც სხვებისგან, არც სხვა რაიმე სახით იშრომოთ. როგორც გეტყვით, ისე მოიქეცით. თუ არა, დაგსჯით ეკლესიური წესითა და სჯულის-კანონით ყველანაირი სამართლობის დაცვით. და თუ ვინმე აღმოჩნდება ამპარტავანი და ურჩი, არ დაემორჩილება სამართალს და საეკლესიო ლოცვა-კურთხევას, მათ მთავრის ძალაუფლებითაც დავსჯით.

და არავინ იფიქროს გულში: რა საქმე აქვს მეუფეს ჩვენს პირად ცხოვრებასთან და რატომ უნდა ერეოდეს ჩვენს საქმეში? გპასუხობთ, თუ აქამდე არ იცოდით და არავის უსწავლებია, აჰა, აწი იცოდეთ: თუკი ვინმე ცხოვრობს უნგრო–ვლახეთში, ყველას საქმე მე მეხება, დიდია ის თუ პატარაა, ქრისტიანია თუ წარმართი; რადგან ჩემს ხელში ჩაგაბარათ მაცხოვარმა იესო ქრისტემ, რათა, როგორც პირმეტყველი ცხოვარნი, დაგმწყემსოთ სულიერად. სანამ მე ვარ თქვენი მოძღვარი, ჩემს კისერზეა ჩამოკიდებული თქვენი სულები, ჩემგან მოითხოვს ღმერთი თქვენზე პასუხს და არა სხვისგან.

ვცდილობ გასწავლოთ, მოკლედ, თუ გინდათ იყოთ იესო ქრისტეს შვილები და ქრისტიანები გერქვათ. რადგან, როგორც ცხოვარნი არ შეიძლება იყონ მწყემსის გარეშე, ასევე არც ერი შეიძლება იყოს მღვდელმთავრის გარეშე. თუ ვინმეს აწუხებს თავისი სულიერი ცხოვრება, იჩქარეთ ჩემსკენ, როგორც მამასთან და მაცხოვარ იესო ქრისტეს დახმარებით განგკურნავთ თქვენ.

ასევე შეიძლება თითოეულმა თქვენგანმა იფიქროს, ჩვენ ისედაც გვიჭირს და არ შეგვიძლია შევასრულოთ, რასაც გვიბრძანებო; მაგრამ მე კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ ჭეშმარიტება ისეა, როგორც მე გეუბნებით და მე მრწამს ამისი. იცოდეთ, თქვენი გაჭირვების მეც თანაზიარი ვარ და მეც თქვენთან ერთად, იმავე უღელს ვატარებ; მაგრამ არ მაქვს უფლება, არ გითხრათ სიმართლე: როგორც მეფე ითხოვს ხოლმე ჩვენგან ხარკს, ასევე ღმერთიც ითხოვს რწმენასა და კეთილ საქმეებს. ამბობს მაცხოვარი იესო ქრისტე სახარებაში: „მიაგეთ კეისარს კეისრისა და ღმერთს -ღმრთისა“.[10] არ იფიქროთ,რომ ღმერთს შევეცოდებით და შეგვინდობს მარტო იმიტომ, რომ გვიჭირს და შეძლებისდაგვარად არ შევასრულებთ მის მცნებებსაც. იცოდეთ, თუ რამეა, ჩაგვაგდებს იქ, საიდანაც ვერასდროს ვერ გამოვალთ. მაშასადამე, უარი ვთქვათ ჩვენს მანკიერ ჩვეულებებზე და უწესო ქცევებზე, რომ შეგვიწყალოს უფალმა ღმერთმა, შეგვინდოს ცოდვები და განაგოს ჩვენი ცხოვრება თავისი დიდი წყალობით. ღმერთს ვევედრები, რაც გესაუბრეთ, აღიბეჭდოს ეს სიტყვები თქვენს გულებში, რომ არ დაივიწყოთ და შეძლებისდაგვარად შეასრულოთ. როგორც

უხელს თვალებს ბრმებს და აღმართავს მკელობლებს, ასევე ჩვენც აღგვიხილოს სულიერი თვალი და წარმართოს ჩვენი ცხოვრება ცხონების სწორ გზაზე, რომ მარადის ვაქებდეთ და ვადიდებდეთ მის ყოვლად წმინდა და ყოვლად დიდებულ სახელს. ამინ.

კომენტარები:

[1] ქადაგება ეხება რწმენის ადგილს ქრისტიანის ცხოვრებაში, რას ნიშნავს იყო ჭეშმარიტი ქრისტიანი და რას ნიშნავს ჭეშმარიტი რწმენა? როგორია ქრისტიანის ჭეშმარიტი რწმენა, რა როლი აკისრია რწმენის განმტკიცების საქმეში სულიერ მოძღვარს და რა მოტივები და მიზნები უნდა ამოძრავებდეს მოძღვარს. "დიდმა სურვილმა და წმინდა სიყვარულმა და განსაკუთრებით თქვენ მიმართ ჩემმა სულიერ-მამობრივმა მოვალეობამ მაიძულა, მოვსულიყავი დღეს თქვენს დასამოძღვრად."(ანთიმი) მოძღვრის მოვალეობაა ემსახუროს ქრისტეს საქმეს და ასევე მისი სულიერი და მამობრივი მოვალეობაა, ადამიანის სულიერი და ამქვეყნიური ცხოვრება სწორი გზით წარმართოს. ღმერთი ადამიანს ადგენს თავისი სამწყსოს წინამძღოლად "მოძღვრად, სულიერ მამად და მაცხოვნებელი ცხოვრების მასწავლებლად" (ანთიმი). მან არა მარტო უნდა უქადაგოს ქრისტეს სწავლება, არამედ გაუწიოს მამობრივი მზრუნველობა ამ ცხოვრების გზაზე, რომელიც ეშმაკის ცთუნებებით არის სავსე. ამისათვის იგი უნდა იყოს მასწავლებელიც. ანთიმოზი იქვე მიანიშნებს, რომ ამ მისიის შესრულებაში მას უნდა დაეხმაროს თვითონ მთელი მრევლი და თითოეული მორწმუნე ქრისტიანი. "თქვენი ყველასი, დიდის და პატარის მოვალეობაა, მომისმინოთ და შეასრულოთ, რასაც გასწავლით."(ანთიმი) "რასაც დედამიწაზე შეკრავთ, ზეცაშიც შეკრული იქნება. ხოლო რასაც გახსნით დედამიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც"(მათე. 18.18). ამიტომ მოძღვარს აქვს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ღმრთის წინაშე თქვენ გამო და ხელი არ უნდა შეუშალოთ ამ მოვალეობის შესრულებაში. იგი თავის მოვალეობას უნდა ასრულებდეს სულიერი აღმაფრენით, რომელიც უნდა გადაეცეს მრევლის თითოეულ წევრს. იგი მუდამ მზად უნდა იყოს თავისი მისიის შესასრულებლად." თქვენი დამოძღვრა არასოდეს არ გადამიდია და არც დამზარებია"(ანთიმი).

ქრისტიანს უნდა გამოარჩევდეს "სამი დიდი სათნოება: რწმენა, სასოება და სიყვარული"(ანთიმი). ეს სათნოებანი არ არის შემთხვევითი და გარეგანი ქრისტიანისათვის, რადგან ისინი "დათესეს წმინდა ეკლესიის მიწაში, ანუ მორწმუნეთა გულებში."(ანთიმი) მათი საფუძველი არის ღმერთი. ამდენად მათი შესრულება სავალდებულოა, რამეთუ იგი ყველა ქრისტიანის მოვალეობაა. ანთიმოზი მიიჩნევს, რომ ეს სამი სათნოება "ქრისტიანობის საფუძველს ნარმოადგენენ, რწმენის, სასოების და სიყვარულის გარეშე შეუძლებელია არსებობა და ქრისტიანის ცხონება"(ანთიმი).

როგორია მიმართება ამ სამ სთნოებას შორის შეიძლება გწამდეს და არ გიყვარდეს, გიყვარდეს და არ გწამდეს, ანდა არ გწამდეს და გქონდეს სასოება?

"სასოება არის ნამდვილი კადნიერება ღვთის მიმართ, რომელიც ღვთის წყალობით მოცემული აქვს ადამიანის გულს, რომ არ ჩავარდეს სასონარკვეთილებაში და არასოდეს არ დაკარგოს იმედი."(ანთიმი) სასოება მართლაც არის კადნიერება, რადგან ის არის ღმრთის საჩუქარი, წყალობა, რომელიც არც კი დაუმსახურებია ადამიანს. "იგი დარწმუნებულია, რომ სინანულით ყოველთვის მიიღებს ცოდვის მიტევებას."(ანთიმი) მაგრამ ადამიანი ამ საქმეშიც ცდება, როდესაც მას აქვს არა ღმრთის, არამედ მეორე ადამიანის იმედი. ასეთი სასოება ბოროტია. ანთიმოზი იმოწმებს დავით წინასწარმეტყველს: "ნუ გაქვთ სასოება მთავართა მიმართ ძეთა კაცთასა, რომელთა თანა არა არს ცხონება." მართლაც, ადამიანი

იმდენად კადნიერდება, რომ თავის წარმატებას მიაწერს ან საკუთარ თავს, ანდა სხვა ადამიანს, ბატონს, ხელისუფალს. ამ სახის სასოება არ ემყარება ღმრთის სიყვარულს.

სიყვარული არის მეორე სათნოება "სიყვარული გულისხმობს ადამიანთა ერთობას, გზას უფლისაკენ და ყველა სათნოების მწვერვალს."(ანთიმი) ანთიმოზი იმოწმებს პავლე მოციქულის წერილს "ახლა კი რჩება რწმენა, იმედი, სიყვარული-ეს სამი,ხოლო მათგან სიყვარულია უმეტესი"(კორინთელთა მიმართ 13.13). შემდეგ ანთიმი განასხვავებს სიყვარულის სამ სახეს: "ღვთაებრივს, ბუნებრივს და ვნებიან და ბოროტს."(ანთიმი) სიყვარულია სიბრძნის, ცოდნის და რწმენის ნამდვილობის საფუძველი. "წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყველა საიდუმლო და მთელი ცოდნაც რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი"(კორინთელთა 13.2).

რაც შეეხება მესამე სათნოებას "სარწმუნოება თავისი არსით არის ის, რითაც ჩვენ გვაქვს სასოება და რწმენა საგნებისა, რომელთა დამტკიცებაც შეუძლებელია"(ანთიმი). რწმენა არის მეტაფიზიკური უნარი დაინახო ის, რისი ემპირიული დამტკიცება შეუძლებელია. ადამიანს რწმენა მიეცა როგორც სამოთხის ცოდნის მოგონება. მან იცის, რომ ჰქონდა ღმრთის, სამოთხის ცოდნა, მაგრამ არ შეუძლია მისი დამტკიცება. რწმენამ მოიპოვა ახალი ფუნქცია, რაზეც იმოწმებს პავლე მოციქულს: "სარწმუნოების გარეშე შეუძლებელია ვინმე ცხონდეს." საკუთარი რწმენის დონე განსაზღვრავს იმას, რაც მიგეზღვევა", სარწმუნოებისა თქვენისაებრ მოგეცეს თქვენ". რწმენის დონე განსაზღვრავს იმას, თუ რას მიიღებ ღმრთისაგან. ამიტომ ღმერთს კი არ უნდა საყვედურობდე, არამედ საკუთარ თავს და რწმენის არასრულობაზე უნდა წუხდე და ცდილობდე ქრისტეს რწმენაში განმტკიცებას. ასეთი რწმენა თავისთავად არ მოდის იმის აღიარებით, რომ ქრისტიანი ხარ. რწმენა სულის სიწრფელეს, მორჩილებას და სულიერ შრომას მოითხოვს. უნდა გქონდეს სასოება სულისა და სიყვარული ღმრთისადმი. ასეთი ღვაწლის გარეშე ქრისტიანს ემართება სიყრუე და ხედვის სიბრმავე. ამიტომ ქრისტიანმა და მისმა სულიერმა მოძღვარმა ერთობლივად იზრუნოს სულიერი სიყრუის და სიბრმავის დასაძლევად. თითოეულს აქვს თავისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა. მრევლი მოვალეა უსმინოს და დაემორჩილოს მოძღვარს, ხოლო მოძღვარს ევალება დაუზარელად იზრუნოს მრევლის სულიერ სიფხიზლეზე და მდგომარეობაზე. ქრისტიანობა უდიდეს სულიერ შრომას და გულის სიწრფელეს გულისხმობს, რადგან იგი არის მუდმივი სიფხიზლე და მოლოდინი.

ანთიმი ადარებს მეზვერეს და ფარისევლის რწმენას და მიუთითებს რწმენის სიწრფელის აუცილებლობაზე, რადგან შენი რწმენით მოგეცემა. ფარისევლური რწმენა ჭეშმარიტი რწმენის დამახინჯებაა. იგი უფრო ხმაურიანი და ამპარტავნულია. ამ რწმენას აკლია მორჩილება, გულის სიწრფელე და სიყვარული. რას ნიშნავს ჭეშმარიტი რწმენა და ქრისტიანად ყოფნა? "შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენ თავს ვიტყუებთ და რეალურად სარწმუნოება არ გვაქვს." ასეთი მკაცრი საყვედურის გამოთქმის საფუძველია ის, რომ" არც ღმერთი გვიყვარს და არც მის მცნებებს არ ვიცავთ." შეუძლებელია გიყვარდეს ღმერთი და არ გწამდეს. იგი მამობრივი სიყვარულით და წუხილით მიუთითებს იმ ცოდვებს, რითაც დამძიმებულია ადამიანის ყოველდღიურობა. "ჩვენ მას ვაგინებთ, დავცინით და მასხრად ვიგდებთ მის სიტყვებს, თითქოსდა ზღაპარი იყოს"(ანთიმი). მართლაც, სულიერი სიყრუის და სიბრმავის რა დონეზე უნდა დაეცეს ადამიანი, რომ ზღაპრად მიიჩნიოს, ეს არის სწორედ რწმენის არქონა, არქონა სასოებისა და რწმენისა იმ საგნებისა, რომელთა დამტკიცებაც შეუძლებელია."

"ჩვენ ვერც სასოებით გამოვირჩევით წარმართისაგან"; უნდა გქონდეს რწმენა, რომ იქონიო სასოება, სასოება მოდის ღმრთის რწმენის და სიყვარულის შემდეგ. არა სასოებით, არა სიყვარულით გამოვირჩევით წარმართთაგან, არამედ ღმრთის რწმენით. "ღმე-

რთი სიყვარული არს" (იოანე 4,16). ღმრთის სიყვარული არ არის როდესაც გძულს ძმა და ახლობელი. "რადგან ვამბობ, ჩვენ შორის თუ არა გვაქვს სიყვარული და ღვთის მცნებისამებრ არ ვუსურვებთ ხოლმე სიკეთეს ერთმანეთს, მაშინ არ გვაქვს არც სარწმუნოება, არც სასოება და არც სიყვარული"(ანთიმი). მუდმივი საყვედური, უმადურება, სულსწრაფობა, გულქვაობა არის ის, რაც ჩვენ გვაშორებს ღმერთს. მაგრამ საზოგადო ურწმუნოებას განა მარტო ეს სჭირს. ამაზე კიდევ უფრო დამღუპველია, როდესაც "გვესმის ხოლმე თუ ვინმე აგინებს, რაც ჩამოვთვალე, იმის მაგივრად, რომ შენიშვნა და საყვედური მივცეთ, როგორც უგუნურ ადამიანს, ჩვენ გვსიამოვნებს და ვიცინით. განა ეს ქრისტიანული საქციელია? თქვით, თუ ღმერთი გწამთ"(ანთიმი). მისი ტონი კიდევ უფრო მკაცრდება: "მღვდელმთავრებს არაფრად ვაგდებთ, ბერებს ცილს ვწამებთ, მღვდლებს დავცინით. ეკლესიაში წირვა-ლოცვის მოსმენის, ლოცვისა და ღმრთისათვის ცოდვების შენდობის თხოვნის ნაცვლად, ვლაპარაკობთ, ვიცინით, თვალებს ვუპაჭუნებთ ერთმანეთს"(ანთიმი).

რატომ ხდება ასე? "აღარ ვართ არცერთი, ვინც ეძებს ღმერთს." ამიტომ ადამიანი ჩაიძირა ამქვეყნიურობაში და დაკარგა რწმენა, როგორც უხილავის დანახვის უნარი. მით უფრო "არავინ ეძიებს სიკვდილს ღმრთისათვის". "ამ ყველაფრის მიზეზი სხვა არაფერია, გარდა ჩვენი ურწმუნოებისა"(ანთიმი). ამის შედეგია სულის გაქვავება, სმენის დახშობა და ხედვის დაბნელება, გადაგვარება. ამიტომ ადამიანი კარგავს სირცხვილს ღმრთისა და საკუთარი თავის, როგორც ღმრთის ხატისა და მსგავსის წინაშე.

საზოგადოება ფარისეველი გახდა და გარეგნულად, სხვის დასანახად გარეთ და არაგულწრფელად მისდევს ქრისტიანობას "თვლით, რომ მარტო იმით ვცხონდებით, რომ ქრისტიანები გვქვია" (ანთიმი). ნათლობა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია, მაგრამ ის მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რომლითაც შედიხარ ღვთის სამეფოში, მაგრამ მასში რომ დარჩე, უნდა იშრომო სულიერად, მისდიო მცნებებს და გიყვარდეს. მონათვლა არ არის საკმარისი, შენ უნდა შენი ცხოვრებით დაადასტურო, რომ ჩვენი ცოდვების გამოსყიდვისათვის ქრისტეს ჯვარზე სიკვდილი ჩვენი ცხოვრების წარმმართველია, რადგან ის არის გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება. ჩვენ ქრისტეს მიერ ნაწყალობევ იმედს არ დავკარგავთ და არ ვემტყუნებით. გვიცნობს კი ღმერთი ჩვენ, რადგან ღმერთი ამბობს: "შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა"(მათე. 22. 37), (იოანე 13. 34). ეს იყო ახალი, დიდი მცნება. "ჩემი მოწაფეები რომ ხართ, იმით გაგებენ ყველანი, თუ სიყვარული გექნებათ ურთიერთს შორის"(იოანე 13. 35). ნათლობა არის წყალობა, რომელიც ავანსად არის გაცემული. "ცათა სასუფეველში არ შევლენ ისინი, ვინც მეუბნებიან უფალო, უფალო, არამედ ვინც ასრულებს ჩემს ნებას." ადამიანი ფარისევლობის გამო აღარ ფიქრობს ღმერთზე და არც სწამს იგი. მისთვის რწმენა იქცა გარეგან, ფორმალურ მოქმედებად და ვერ ან არ ხედავს მის საკრალურ ხასიათს. ფარისევლობა სიბრმავეა, სულის სიზარმაცეა და ნების უუნარობა. ფარისეველს უკვირს: "რადგან ქრისტიანები ვართ, რატომ არ გვისრულებს ღმერთი სურვილებს"(ანთიმი), მაგრამ უნდა გვიკვირდეს, თუ რატომ არ გვანადგურებს, "რადგან ცხადად ვხედავთ, როგორ გვშორდება ღმერთი"(ანთიმი). ამის მიზეზია ჩვენი ფარისევლობა, გულსგარეთა რწმენა, გულსგარეთა სიყვარული, გულსგარეთა სასოება. ღმერთი კი არის ჩვენი სულთამხილველი. ჩვენ კი ვცდილობთ მის მოტყუებას და მის ნებას კი არ ვასრულებთ, არამედ ჩვენი სურვილების ასრულებას ვთხოვთ.

ჩვენ აღარ ვაზროვნებთ ღმერთზე, ვკარგავთ ღმრთის რწმენას, არც სასოება გვაქვს. ღმერთი კი პასუხად გვშორდება ჩვენ. ეს არის უდიდესი ხიფათი და განსაცდელი. ამის ნიშანია ამდენი ავადმყოფობა, სიკვდილი, ტანჯვა, გაჭირვება და მაინც ვერ ვტოვებთ ჩვენს ბოროტებას.

ადამიანი მაინც ღმრთის უსაზღვრო სიყვარულის და მოწყალების იმედით ცოცხლობს.

ამიტომ "გონს მოდით და შეინანეთ თქვენი უღირსი საქციელი"(ანთიმი). მოძღვრის მოვალეობაა, როგორც სინდისის ხმამ მიუთითოს მის ცოდვებზე, მაგრამ ამავე დროს იმედი ჩაუსახოს მრევლს. სინანულის და მოქცევის გზით ვიაროთ. მოძღვარი არ არის ქურუმი, რომელიც ღმერთთან ურთიერთობაშია; მოძღვარი არის შუა ქრისტიანსა და ღმერთს შორის. ამიტომ მრევლის, თითოეული წევრის, ყოველი ქრისტიანის ცხოვრება მისი მზრუნველობის და ყურადღების საგანია. "სანამ მე ვარ თქვენი მოძღვარი, ჩემს კისერზეა ჩამოკიდებული თქვენი სულები და ჩემგან მოგთხოვთ თქვენ ღმერთი"(ანთიმი). ანთიმოზი მრევლს აფრთხილებს, რომ ღმრთის უსაზღვრო სიყვარულით ბოროტად არ ისარგებლონ " არ იფიქროთ, ვითომ ღმერთს შევეცოდებით და შეგვინდობს მარტო იმიტომ, რომ გვიჭირს და შეძლებისდაგვარად არ შევასრულებთ მის მცნებებს"(ანთიმი).

იგი პასუხისმგებელია ღმრთის წინაშე მისი მრევლის ცხოვრების გამო, მან უნდა მიუთითოს თითოეულს ქრისტეს გზა. "იცოდეთ, თქვენი გაჭირვების მეც თანამონაწილე ვარ და მეც თქვენთან ერთად იმავე უღელს ვატარებ"(ანთიმი). მოძღვარი თავისი მრევლის ცხოვრებით ცხოვრობს და როგორც უფალმა, მანაც უნდა იცოდეს და იზიარებდეს მრევლის განსაცდელს. მაგრამ სულიერ მოძღვარს, "არ აქვს უფლება არ უთხრას სიმართლე, როგორც მეფე ითხოვს ჩვენგან ხარკს, ასევე ღმერთი ითხოვს რწმენას და კეთილ საქმეებს"(ანთიმი).

ბოლოს როგორც ჭეშმარიტ მოძღვარს შეჰფერის "ღმერთს ვეეედრები, აღბეჭდოს ეს სიტყვები თქვენს გულებში, რაც გესაუბრეთ, არ დაივიწყოთ და შეძლებისდაგვარად შეასრულოთ"(ანთიმი). ჩვენი ცხოვრება უნდა წარიმართოს სულიერი მცნებებით, ცხონების გზით, რომ "მარადის ვაქებდეთ და ვადიდებდეთ მის ყოვლადწმინდა და ყოვლად დიდებულ სახელს"(ანთიმი).

[2] ლუკა 10,16

[3] ებრაელთა 13,17

[4] შდრ.: „კეთილ არს სასოებაი უფლისა მიმართ, ვიდრე სასოებაიმთავართა მიმართ". ფსალმუნი 117,9

[5] ფსალმუნი 145,3

[6] 1 კორინთელთა 13,13

ებრაელთა 11,6 შდრ.: ხოლო თვინიერ სარწმუნოებისა ვერ შემძლებელ არს სათნოყოფაი;

[8] მათე 9, 29

[9] 1იოანე 4,20

[10]მათე 22,21

ქადაგება №5

ქადაგება მაცხოვარ იესო ქრისტეს მირქმაზე[1]

საკვირველი ამბების მოყოლის უნარი აქვთ განათლებულ ადამიანებს. ხალხის სმენის დატკბობა შეუძლიათ რიტორებს. დიდი და ზებუნებრივი საიდუმლოებების განმარტება მოცემული აქვთ სათნოებებში სრულყოფილებს. მაგრამ ჩემგან, რომელშიც არ მოიპოვება არცერთი მსგავსი ღირსება, ვერავინ ვერ მოისმენს რამეს სასარგებლოს.

ამიტომ ვხედავ რა ჩემს უღირსობას, ვცდილობ დუმილს, არ ვიღებ ხმას, მაგრამ მახსენდება რა ჩემი მოვალეობა, ვშიშობ, არ ჩავვარდე ბოროტი მონის სასჯელში და შეძლებისდაგვარად მუდმივად გიყვებით ღვთის საქმეებს. დიდი თავმდაბლობით ვევედრები ჩვენს მაცხოვარს მომიხსნას ენის სიუხეშე და განმინათოს გონება, რომ ღვთის გამოუთქმელი დიდებისთვის მოგმართოთ მცირე სიტყვებით. გთხოვთ, მომიახლოვდეთ მოსასმენად.

იცით, ქალწულობა არის დიდი, მაღალი და საკვირველი სათნოება, რაც ცხადი და დამტკიცებული ფაქტია ბრძენი ადამიანებისთვის; ხოლო ამ დიდებული სათნოების შესახებაც რომ ვისაუბრო, არ ვარ ღირსი. მაგრამ დღევანდელი დღესასწაული გვაიძულებს, გავიხსენოთ და მცირე სიტყვებით ვისაუბროთ ქალწულობაზე, როგორც დიდებულ, უხრწნელ და სრულყოფილ გვირგვინზე, რომელიც პატივით დაბრძანებულია სულიერი საზრდოთი გამოზრდილი ადამიანების წინაშე. დღეს იხსნება წინასწარმეტყველების სიტყვების და ამ დღის დაფარული ნიშნების შინაარსი, რომლებიც ცხადად და განმარტებებით იქადაგება ეკლესიაში. დღეს რეალურად ქმედებით აღსრულდა და განცხადდა პირვანდელი წინასწარმეტყველება. დღეს უფლის იესო ქრისტეს და დედა ღვთისმშობლის დიდებას ცხადად ვუყურებთ. დღეს ზეციური სიხარული, რომელსაც მთელი კაცობრიობა სიყვარულით ელოდა, ეძლევა ხალხს. დასრულდა ძველი და აყვავდა ახალი, რომელიც არასდროს აღარ დაჭკნება. აწი აღარ ბატონობს ძველი აღთქმის უხეში სჯული, არამედ ღვთის წყალობა მეფობს, რომელიც ყველას უხმობს ცხონებისაკენ, დიდი მოთმინებით და არა სასჯელით, როგორც ძველი აღთქმის ოზიას შემთხვევაში, რომელიც გაკადნიერდა და შეეხო იმას, რაც აკრძალული იყო.[2]

ღმერთი ყველას ელის და შიში ვერ გაგვაჩერებს. უფალი გვიხმობს: „მოვედით ჩემდა ყოველნო მწუხარენო და თვითმძიმენო!“ და ვინ ისწრაფის? მოდის თავის ქმნილ სამყაროში არა ჩრდილით, არამედ ცხადად, როგორც სამსხვერპლო ტარიგი დაბრძანებული კიოტში, ანუ დედა ღვთისმშობლის მკლავებში; ტარიგი, რომელზე შეხებითაც გამოსწორდა მეზვერე, განიწმინდა მეძავი და განიკურნა კეთროვანი. ამ ტარიგს არავინ სძულს, არავის აგდებს, არავინ ეზიზღება, უფრო მეტიც, არავის სწირავს გასახრწნელად, არამედ ზრუნავს, რომ

ყველა მიიყვანოს ცხონებამდე, და განისვენოს თავის საყვარელ შვილებთან ერთად ისე, როგორც კაცთმოყვარე ღმერთი. ესაა ახალი წყალობის მადლი. ესენი შეიქმნა (ახალი) მზის ქვეშ, რომელიც ჯერ არ შექმნილა და აღარც შეიქმნება. რადგან იმის აღსასრულებლად, რაც თავად ღმერთმა განაგო მისი დიდი წყალობითა და მოწყალებით, თავად მოვიდა ამქვეყნად მისი ზებუნებრივი განკაცებით. ამის აღსანიშნავად, პავლე მოციქულმა გაახმოვანა ღვთაებრივი საყვირი, როდესაც თქვა: „ძველი დასრულდა და აჰა, ყველაფერი შეიქმნა ახალი“

ამიტომ განა რა შეუძლია ჩემს გონებას, რომ ღირსეულად ვისაუბრო დღევანდელ დღესთან დაკავშირებით? არ შემიძლია მივწვდე იქ, სადაც ვერ ვწვდები და არ შემიძლია ვისაუბრო მასზე, რაც არ ვიცი. ვაღიარებ ჩემს უღირსობას და უძლურობას. არ მაქვს კადნიერება, ამაზე მეტი ვთქვა, რადგან დედა ღვთისმშობლის ქალწულება და სიწმინდე აღემატება კაცობრიობის გონებისა და მეტყველების ნებისმიერ შესაძლებლობას. რამდენადაც შეუძლებელია ვინმემ ღმერთზე უფრო დიდებული რამ ნახოს, ასევე, შეუძლებელია, წმინდა ქალწულის პატიოსნებაზე აღმატებული რამის ხილვა. ღვთისმშობელს, რომელსაც მკლავებში უკავია თავისი ძე - ზეცისა და ქვეყნის შემქმნელი ძე, რომელიც შობილია უწინარეს ყოველთა საუკუნეთა და რომელსაც დღეს ტაძარში მოჰყავს როგორც თავი ეკლესიისა. მამა ღმერთთან თაყვანისაცემად მოჰყავს ძე, რომელსაც თაყვანს სცემს მთელი სამყარო. მისი უსაზღვრო სათნოებიდან გამომდინარე, ემორჩილება სჯულს ის, ვინც მოსეს მისცა სჯული, ემორჩილება ცნების ბრძანებას ის, ვინც ბრძანებით შექმნა ყოველი ხილული და უხილავი. მოდის თავმდაბლობით ის, ვინც აზანზარებს მთელ ქმნილებას. ღებულობს როგორც მოწყალე და მიეცემა მართალი სვიმეონის[3] მკლავებში ის, ვინც თვითონაა მხოლოდ ჭეშმარიტად მართალი. მიდის ტაძარში შესაწირავად ის, ვისაც ეკუთვნის მთელი სამყარო, მიაქვს შესაწირავად ორი გვრიტი მას, ვინც მხოლოდ ერთი სიტყვით შექმნა ყველა ფრინველი; მიაქვს შესაწირავად ორი მტრედი, რომ აჩვენოს თავისი ორი ნება - ღვთაებრივი და კაცობრივი. მიაქვს წმინდა ბარტყების წყვილი, რომ დაახლოვოს ღმერთი და კაცი, რომ გააერთიანოს ძველი და ახალი, ზეციური და მიწიერი. მიაქვს შესაწირავად წმინდა საგანი მას, ვინც მხოლოდ თვითონაა წმინდა იმისთვის, რომ აჩვენოს, შობილია ყოვლადწმიდა დედისაგან, აჩვენოს ეკლესიისა და სარწმუნოების სიწმინდე. მიჰყავს ორი ფრინველი, რომ მღვდლებმა შესწირონ მსხვერპლად და ამით აჩვენოს, რას უპირებს საკუთარ თავს ჩვენი ცხონებისთვის. დედა ღვთისმშობელი ეუბნება მართალ სვიმეონს: „ღირსო და ნეტარო მოხუცო, მიიღე ეს ყრმა, რომელიც თავისივე ნებით მოევლინა ღატაკად, ხოლო მისი რეალური სიმდიდრე ენით აუწერელია: მიიღე ეს ყრმა, რომელიც უფრო მეტად ხნიერია, ვიდრე თავად დრო; მიიღე ეს ყრმა და იხილე ის, ვის სახესაც მზერას ვერ უსწორებენ თავად ანგელოზებიც; მიიღე მკლავებში ის, ვისაც ვერ იტევს მთელი კოსმოსი. ჭეშმარიტად, ასაკით არის ახალშობილი, მაგრამ მისი ნამდვილი ასაკი უსას-

რულობაა. პატარაა, მაგრამ ნებისმიერ სიდიდეს აღემატება. პატარაა შეხედულებით, მაგრამ ცოდნითა და ცნობიერებით შემოუსაზღვრელია.

ტაძარშია ახლა ჩვენთან ერთად, მაგრამ ამავდროულად ზეცაშიცაა დაბრძანებული დიდების ტახტზე და ქერუბიმების ეტლში. მონის სახით ვხედავთ, მაგრამ მთელი სამყაროს მბრძანებელია".

და მართალმა სვიმეონმა მიიქუა თუ არა თავის მკლავებში[4] ყრმა იესო, აღივსო სულითა წმიდითა და თქვა: „ჭეშმარიტად, შენ ხარ ყოველი ქმნილების მბრძანებელი, შენ ხარ სოფლის მაცხოვარი, შენ ხარ ღმერთი ჩვენი, შენ გელოდით დიდი მოუთმენლობით, შენ განატრობდით, შენ გვწყუროდი, შენ გვშიოდი მაგდენი ხანი. შენ თაყვანსა გცემ, შენ გევედრები, რომელიც ხარ ცხოვრებისა სიკვდილის მბრძანებელი, შენ ამ ხრწნადი სოფლისაგან და უძლური სხეულისაგან ან განუტევე მონა შენი, მეუფეო, მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარებაი[5] შენი განმიტევე ამ ცხოვრებისაგან, რომ ჩავიდე ჯოჯოხეთში და ვახარო იქ მყოფთ შენი მოსვლა ამ სამყაროში და ვანუგეშო ისინი, ვინც მაგდენი ხანი ჩაკეტილნი არიან საპყრობილეში. ვუთხრა დიდი სიხარული იქ მწუხარებაში მყოფთ, რომ გიხილე ჩემივე თვალებით, შეგეხე ჩემივე ხელებით, ჩაგიხუტე ჩემივე მკლავებში და რომ აღასრულე სჯულის ყოველი წესი, რომ უნდა ივნო და მოკვდე ყოველთა ცხონებისათვის, რომ შთახვალ ჯოჯოხეთში და გვიხსნი საუკუნო ტანჯვისაგან და შენთან ერთად აღგვამაღლებ ზეცაში და დაგვაბრძანებ მარჯვენით მამისა. ჰოი, უფალო, ნუგეშინისმცემელო და დიდებაო ერისა შენისა ისრაელისაო, ნათელო, განცხადებულო წარმართთა, რომელთა იყვნეს ბნელსა, გევედრები, განმიტევე მონაი შენი მშვიდობით, რომ აღვიარო სახელი შენი ყოვლად დიდებული!"

ჩემო საყვარელნო, ესაა ჩვენი ეკლესიის დღევანდელი დღესასწაული. ესაა ძველი საიდუმლოებების აღსასრული და ახლების დასაწყისი.[6] დღეს აღსრულდა ყოველივე ძველი სჯულის და იწყება ახალი. და რადგან მაცხოვარი იესო ქრისტე, ჭეშმარიტი ღმერთი ჩვენი, რომელიც თავად არის სჯული და სჯულმდებელი, დაემორჩილა სჯულს, რათა გვიჩვენოს, რომ ყველაფერი სრულდება წესით და სიმართლით. შესაბამისად, ჩვენც უნდა ვემორჩილებოდეთ სჯულს. ხოლო ჩვენ რას ვაკეთებთ კი არ ვემორჩილებით, არამედ ვენინააღმდეგებით ღმერთს, თითქოსდა ჩვენი მოსისხლე მტერი იყოს. ათი მცნება განა არ წერია სჯულში? და ჩვენ არცერთს არ ვასრულებთ.

პირველი მცნება გვიბრძანებს, რომ არ გვყავდეს უცხო ღმერთები, ხოლო ჩვენ უსამართლობის მამონა[7] გვყავს ღმერთად.

მეორე მცნებაში ნათქვამია: არა მოიღო სახელი უფლისა შენისა ამაოსა ზედა, ხოლო ჩვენ ვატრიალებთ მას ჩვენს ენებზე, როგორც არაფერი.

მესამე მცნებაში წერია, რომ წმიდა ვყოთ დღე იგი შაბათი, ანუ პატივი ვცეთ და დავიცვათ საეკლესიო დღესასწაულები, ხოლო ჩვენ ზუსტად ამ დღეებში ვაკეთებთ ხოლმე ყველაზე მეტ და უღირს საქმეს.

მეოთხე მცნება გვიბრძანებს: პატივი ვცეთ ჩვენს მშობლებს, ხოლო ჩვენ მათ ვაგინებთ და ვცემთ ხოლმე კიდევაც.

მეხუთე მცნება გვეუბნება: არა კაც ჰკლა, ხოლო ჩვენ, თუ არ შეგვიძლია მოვკლათ ხმლითა და იარაღით, ვკლავთ ენით, და თუ ვერ ვკლავთ სხვებს, საკუთარ თავებს ვიკლავთ ჩვენი ბოროტი ქმედებებით.

მეექვსე მცნებაში წერია: არა იმრუშო, ხოლო ჩვენ სხვა უარეს ბილწ უწმინდურობებს ჩავდივართ, რომლის შესახებ არც შემიძლია საუბარი.

მეშვიდე მცნება გვიბრძანებს: არა იპარო, ხოლო ჩვენ სხვისას ვიღებთ დაუფარავად და ძალადობით.

მერვე მცნებაში წერია: არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა, ხოლო ჩვენ იმისთვის, რომ ხალხის თვალში ვითომ არ დავკარგოთ პატივი, სახარებაზე ხელების დადებით, სიცრუეზე ვიფიცებით და ამით ღმერთს ვკარგავთ.

მეცხე მცნებაში წერია: არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, ხოლო ჩვენ ვცდილობთ, მოყვასმაც გაიგოს ამის შესახებ, ოღონდ ისე, რომ არც არაფერი თქვას, თუ არა, მასვე დაუშავდება.

მეათე მცნებაში ნათქვამია: არა გული გვითქმიდეს მოყვასის საკუთრებაზე, ხოლო ჩვენ უკანასკნელადაც ვართმევთ ისე, რომ საკვებსაც არ ვუტოვებთ.

აჰა, ათიდან არცერთ მცნებას არ ვასრულებთ, მაგრამ თუ ვინმე თვლის, რომ ჩვენი სიტყვები სიმართლეს არ შეესაბამება, მაშინ ამ კაცს დავტოვებ საკუთარ ფიქრებთან და თუ ვერ დაინახავს ამ რეალობას, მაშინ ეს ადამიანი ან ღვთის წინაშე ძალიან დიდი წმინდანია, ან პირიქით – უსინდისო.

ჰოი, უფალო, რომელმან შენი უსაზღვრო სათნოებით და დიდი მოწყალებით ინებე და მიიღე ჩვენი სუსტი ბუნების სხეული[8] და აღასრულე ყოველივე სჯული, მოგვხედე ჩვენ და გაგვინათლე გონება და გული, რომ ჩვენც აღმოვჩნდეთ შენი სჯულისა და მცნებების აღმსრულებლები და მრავლითა მოწყალებითა შენითა შეგვიწყალე ჩვენ, რომ მარადის ვადიდოთ შენი ყოვლად დიდებული სახელი. ამინ.

კომენტარები:

მირქმა (ბერძ. Ἡ Ὑπαπαντὴ τοῦ Κυρίου , ასევე συνάντησις-შეხვედრა. ლათ. Praesentatio Domini — უფლის წარდგინება) მირქმა 12 საუფლო დღესასწაულთაგან ერთ-ერთია. აღინიშნება იერუსალიმის ტაძარში ყრმა იესოს მიყვანება შობიდან მეორმოცე დღეს. იგი ქრისტანული ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი დღესასწაული, რომელიც VI საუკუნემდე განსაკუთრებული ზეიმით არ აღინიშნებოდა. 528 წელს, იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) დროს, ანტიოქიას თავს დაატყდა საშინელი მიწისძვრა, რომელსაც მრავალი ადამიანი ემსხვერპლა. ერთ უბედურებას მეორე და-

ერთო – შავი ჭირის ეპიდემია, ყოველ დღე რამდენიმე ათასი კაცი იხოცებოდა. ამ განსაცდელის ჟამს ერთ კეთილმსახურ ქრისტიანს ეუწყა, რომ საჭირო იყო მირქმის დღესასწაულის უფრო საზეიმოდ აღნიშვნა, მართლაც, როგორც კი ამ დღეს ღამისთევის ლოცვები და ლიტანიობა აღასრულეს, ბიზანტიაში უბედურებათა წყება შეწყდა. ღვთისადმი მადლიერების ნიშნად, 544 წელს, ეკლესიამ განაჩინა, მირქმა (მიგებება) უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი უფრო საზეიმოდ აღენიშნათ. ტაძარში მისი შეგებება სვიმეონ ღვთისმიმრქმელთან განასახიერებს კაცობრიობის ღმერთთან შეხვედრის სიმბოლოს.

[2] 1 ნეშტთა. 13,9

[3] მართალი სვიმეონ ღვთისმიმრქმელი - იერუსალიმში მცხოვრები სწავლული, რომელიც ეგვიპტის მეფემ პტოლემეოს I I ფილადელფოსმა მიიწვია ალექსანდრიაში წმინდა წერილის ბერძნულ ენაზე სათარგმნელად.ესაია წინასწარმეტყველის წიგნის თარგმნისას, როდესაც მივიდა ადგილამდე-"აჰა, მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს, და უწოდებს სახელად ემანუელს"(ესაი. 7,14). ჩათვალა, რომ შეცდომა იყო გაპარული და დააპირა "ქალწულის" ნაცვლად "დედაკაცი" ჩაეწერა, ამ დროს „იყო მისა უწყებულ სულისაგან წმინდისა არა ხილვად სიკვდუილი, ვიდრემდე იხილოს ცხებული უფლისაი". ამ დღიდან მოყოლებული იგი მოლოდინით ცხოვრობდა 360 დღე, ვიდრე შეხვედრის დღე არ შედგა..VI საუკუნეში მისი უხრწნელი ნაწილები კონსტანტინეპოლში დაასვენეს. მართალი სვიმეონ ღვთისმიმრქმელის სიტყვები-აჰა ესერა იესე დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაელისა შორის და სასწაულად სიტყუის საგებელად./ და თვით შენსაცა სულსა განვიდეს მახუილი, რაითა განცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი (ლუკა. 2, 34-35). დაედო საფუძვლად ღვთისმშობლის იკონოგრაფიაში ერთ-ერთ შესანიშნავ ხატს" ბოროტ გულთა დამამშვიდებელი."

[4] შდრ. და მან მიიწუა იგი მკლავთა თვისთა ზედა და აკურთხევდა ღმერთსა და თქუა:/ აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვუისაებრ შენისა მშვუიდობით,/ რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარება შენი,/ რომელ განუმზადე წინაშე პირისა ყოვლისა ერისასა,/ ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა./ და იყვნეს იოსებ და დედა მისი დაკვურვებულ სიტყუათა მათ ზედა მისთვის./ და აკურთხნა იგინი სვიმეონ და ჰრქუა მარიამს, დედასა მისსა: აჰა ესერა იესე დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაელისა შორის და სასწაულად სიტყუის საგებელად./ და თვით შენსაცა სულსა განვიდეს მახუილი, რაითა განცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი./ და იყო ანნა წინასწარმეტყუელი, ასული ფანოელისა, ტომისაგან ასერისა. ესე გარდასულ იყო დღეთა მრავალთა და ცხოვრებულ იყო ქმრისა თანაშვუიდ წელ სიქალწულითგან თვისით./ და ესე იყო ქურივ ვითარ ოთხმეოცდაოთხის წლის, რომელი არა განეშორებოდა ტაძრისა მისგან. მარხვითა და ვედრებითა და მსახურებითა ღამე და დღე./ ესე მასვე ჟამსა შინა მოიწია და აუვარებდა ღმერთსა და ეტყოდა მისთვის ყოველთა, რომელნი მოელოდეს გამოხსნასა იერუსალიმსა შინა,/ და ვითარცა აღასრულეს მის ზედა ყოველივე მსგავსად არს შჯულისა უფლისა, მოიქცეს და წარვიდეს გალილეად, ქალაქად თვისა-ნაზარეთად./

ხოლო ყრმა იგი აღორძინდებოდა და განტკიცნებოდა სულითა და აღივსებოდა სიბრძნითა და მადლი ღმრთისა იყო მის ზედა(ლუკა. 2,28-40). „მცხეთური ხელნაწერი“ . თბ; 1986. მეცნიერება. გვ.208-09

[5] მართალი სვიმეონ ღვთისმიმრქმელის სიტყვები“ აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვუისაებრ შენისა მშვუიდობით,/ რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარება შენი,/ რომელ განუმზადე წინაშე პირისა ყოვლისა ერისასა,/ ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა.“ (ლუკა. 2, 29-34) იქცა ლოცვად, რომელსაც ეწოდება „ სვიმეონ ღვთისმეტყველის გალობა“.

[6] იგივე აზრია გატარებული თეოფანე დაყუდებულის მიერ., წმ. თეოფანე მირქმას მიიჩნევს ახალი და ძველი აღქმის შეხვედრის სიმბოლოდ. მართალი სვიმეონ ღვთისმიმრქმელის სახით, წერს იგი, პირველცოდვით დაღდასმული კაცობრიობა მარადიულობაში მშვიდობით გადადის და ადგილს უთმობს ქრისტიანობას.

[7] მამონა – ძველ ბერძნულად μαμωνᾶς, ლათინურად mammona - სიტყვა, რომელიც სახარებაში გამოიყენება სახარებაში (პიროვნულად – მათე 6:24, ლუკა 16:13 და უპიროვნოდ – ლუკა 16:9, ლუკა 16:11) ამქვეყნიური სიმდიდრის, ქონების, სიამოვნების, ცოდვისა და მათდამი დამონების მნიშვნელობით: „ვერვის ხელ–ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუაი იგი შეიყუაროს, ანუ ერთისაი მის თავს–იდვას და ერთი იგი შეურაცხ–ყოს. ვერ ხელ–ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაისა.

[8] იესომ მიიღო კაცად ქცევის ყველა შედეგი და დამორჩილდა კანონთა ყველა განგებულებას. ადამიანს არ ძალუძს სხვაგვარად გამოხატოს საკუთარი თავი, თუ არა საკუთარი სხეულის საშუალებით. ამდენად, რწმენა მოითხოვს ხილულ ქცევებს, რიტუალებისა, თუ წესების მიდევნას. ყველა მათგანი გაცნობიერებულად უნდა შესრულდეს, როგორც ნიშანი და გამოხატულება იმისა, რაც ადამიანის შინაგანში ძევს. ეს ერთგვარად სინდისის გამოცდაა, იმისი, რაც ჩვენს რელიგიურობას ეხება, და მიზნად ისახავს იმის გაცნობიერებას, თუ რა ნაკლის მატარებელნი ვართ, რა უნდა გამოვასწოროთ. რწმენის გაღრმავებისა და განმტკიცებისათვის საჭიროა გასვლა „გარეგნულის“ საზღვრებს გარეთ, საკუთარი არცოდნის, უვიცობის საზღვრებს გარეთ.

ქადაგება № 6

ქადაგება ყველიერის კვირიაკეს[1]

საყვარელნო, სულიერ საზრდოდ დღეს მხოლოდ მცირე სიტყვებით მოგმართავთ, რომლებსაც გთხოვთ, უსმინოთ სიყვარულით და არ შეხედოთ ჩემს არცოდნასა და ქადაგების მოუხერხებლობას, არამედ შეხედეთ ჩემს სიყვარულს, რომლითაც ყოველთვის გმოძღვრავდით თქვენ. ვიცი, ძნელია ჩემი სიტყვების გამოყენება, მაგრამ ღვთის დახმარებით, მაინც არ დარჩებით სულიერი სარგებლის გარეშე.

წმინდა წერილში, შექმნათა წიგნის მეორე თავში წერია, ღმერთმა როგორ უბრძანა ადამს, ეჭამა ედემის ბაღში არსებული ყველა ხის ნაყოფი, ხოლო სიკეთისა და ბოროტების ცნობის ხის ნაყოფი არ მიეღო და თუ შეჭამდა, იმ დღესვე მოკვდებოდა. ამ სიტყვების აზრი დიდია და ღრმა. მხოლოდ განათლებულ მოძღვრებს აქვთ მოცემული მათი სწორი განმარტება; ხოლო მე, შეძლებისდაგვარად, ვიტყვი მოკლედ მხოლოდ იმას, რაც ვიცი და მესმის, რომ სწორია.

ეს სიტყვები: ,,ყველა ხის ნაყოფისგან, რაც ბაღშია, სჭამე" - მგონი არ შევცდები, თუ ვიტყვი, ნიშნავს იმას, რომ ჭეშმარიტი სწავლება და ღვთის სიტყვები, რომლებიც ინახება აღმოსავლეთის წმინდა ეკლესიის ბაღში, ყველა ქრისტიანმა სიტკბოებით მიიღოს, როგორც სულიერი საზრდო. ამ სიტყვების სისწორეში შეიძლება დავრწმუნდეთ მათეს სახარების მეოთხე თავში გამოთქმული მაცხოვარ იესო ქრისტეს სიტყვებიდან: ,,არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა". ,,ხოლო სიკეთისა და ბოროტების ცნობის ხის ნაყოფი არ მიიღო და იმ დღეს, როდესაც შეჭამ, მოკვდები",[2] ამ სიტყვებში იგულისხმება, რომ ცოდვებს, რომლებსაც ჩვენ შეგნებულად ჩავდივართ, უნდა განვეშოროთ, რადგან იმ დღეს, როდესაც ჩავიდენთ, მოვკვდებით, რადგან არ არსებობს იმაზე დიდი სიკვდილი, როდესაც ვინმე ცოდვით შორდება ღმერთს. იოანეს სახარების მესამე თავში ნათქვამია: ,,რომელმან ქმნეს ცოდვაი, იგი ეშმაკისაგან არს, რამეთუ დასაბამითგან ეშმაკი ცოდავს."[3]

ეს სიტყვები შეგვიძლია სხვაგვარადაც განვმარტოთ: ყოველდღე, როდესაც ვიმყოფებით წელიწადის ბაღში, ყოველი საკვები, რომელიც სასარგებლოა ჩვენი სხეულის გამოსაკვებად, ყოველმა კაცმა მიიღოს, ხოლო მარხვა, რომელიც დადგენილია ჩვენი სულის სასარგებლოდ, არავინ დაარღვიოს. მარხვისგან ადამიანმა შეიძლება მიიღოს კეთილიც და თუ არ დაიცავს - ბოროტიც და სიკვდილით მოკვდეს. ღვთის მცნების დარღვევა იწვევს ადამიანის სულიერ სიკვდილს და ცოდვილი განგდებულ იქნება ეკლესიის ბაღიდან ისევე, როგორც ადამი ედემიდან.

ამ მცირე სიტყვებიდან ჩვენ ვიგებთ, რომ გარკვეული ხის ნაყოფის მიღების აკრძალვის მცნებაში, რომელიც ღვთისგან მიეცა ადამს, იგულისხმება მარხვის მცნება, რომ ამ მცნების დაცვით, ადამს უნდა შეეცნო ღვთის უპირატესობა და დარღვევის შემთხვევაში მოკვდებოდა. ამიტომ თავად ადამის შემქმნელმა და მისთვის მცნების მიმცემმა საუკუნეების შემდეგ, როდესაც თავად განხორციელდა და მოვიდა დედამიწაზე და ცხოვრობდა ადამიანებთან ერთად იმისთვის, რომ ეჩვენებინა ჩვენთვის, რამდენად აუცილებელია ღვთის მცნებების დაცვა და მარხვის შენახვა. თავდაპირველად თვითონაც იმარხულა 40 დღე და 40 ღამე, როგორც ეს ნათქვამია ლუკას სახარების მეოთხე თავში,[4] ეს მარხვა ჩვენთვის იყოს ერთგვარი სარკე, რომელშიც დავინახავთ მთელ ჩვენს ცხოვრებას და გავიხსენებთ იმ დაცემას, რომელიც შეემთხვა ადამს ჭამასთან დაკავშირებული მცნების დარღვევით.

ამიტომ იმ დროს, როდესაც ღმერთმა გვაღირსა და ხვალიდან ვიწყებთ მოგზაურობას დიდ და წმინდა მარხვაში, აუცილებელია, ჩვენც სიყვარულით და მოშურნეობით მივიღოთ უფლის მცნება და შეძლებისდაგვარად შევასრულოთ ის. ახლა ჩვენ ჩვენი სულების მტრის წინაამღდეგ ომს ვიწყებთ, ამიტომ პავლე მოციქულის სიტყვების მიხედვით: მოირტყენით წელნი თქუენნი ჭეშმარიტებითა და შეიმოსეთ ჯაჭვი იგი სიმართლისაი, და შეიხსენით ფერხთა თქუენთა განმზადებულებაი იგი სახარებისა მის მშვიდობისაი, ყოველსა შინა აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისაი, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურვებულთა დაშრეტად და ჩაფხუტი იგი ცხორებისაი დაიდგით და მახვილი იგი სულისაი, რომელ არს სიტყვაი ღმრთისაი; რამეთუ არა არს ბრძოლაი ჩუენი სისხლთა მიმართ და ხორცთა, არამედ მთავრობათა მიმართ და ხელმწიფებათა, სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა მის ამის საწუთროისათა, სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი არიან ცასა ქუეშე.[5]

ამიტომ ვემზადებით რა ჩვენი სულების მტრის წინაამღდეგ სალაშქროდ, თან უნდა ავიღოთ ხუთი რამ, როგორც ერთგვარი სულიერი მარაგი, რომელიც გამოგვადგება გაჭირვების ჟამს. ესენია: აღსარება, ლოცვა, მარხვა, მოწყალება და სიყვარული.[6]

აღსარებისას ჩვენ ვიწმინდებით ცოდვებისგან, როდესაც ღვთის შიშით, შემუსვრილი გულით ჩვენი მოძღვრების წინაშე, როგორც უშუალოდ ღმერთთან, ვაღიარებთ ჩვენ ცოდვებს ისე, რომ ვიდანაშაულებთ და ვამხელთ საკუთარ თავს და სხვაზე არ გადაგვაქვს ბრალი. მაგრამ თუ ვიმართლებთ თავს, თითქოსდა იძულებით ან უძლურებით ჩავიდინეთ ის ქმედება, ასეთი აღსარება არაფერს გვარგებს, როგორც არ არგო ადამს მაშინ, როდესაც ღმერთი შეეცადა მოეყვანა ის სინანულში. ნაცვლად იმისა, რომ ადამს შეეცნო თავისი შეცდომა და ეღიარებინა ცოდვა, მოინდომა ღმრთისთვის დაებრალებინა ყოველივე იმით, რომ მისმა მოცემულმა ქალმა აჭამა აკრძალული ხილი, ევამ კი გველს დაუწყო დანაშაულის გადაბრალება! ამრიგად, ჩვენი აღსარება

უნდა იყოს კეთილი სასოებით და მაშინ მართლა შეგვინდობს ღმერთი; და არა სასოწარკვეთით, როგორც ეს კაენის შემთხვევაში მოხდა, როდესაც მან თქვა: „უფრო დიდია ჩემი დანაშაული, ვიდრე სასჯელი“.[7] ასევე იუდამაც, მიუხედავად იმისა, რომ აღიარა თავისი შეცდომა მღვდელმთავრების წინაშე, რომ გაყიდა უდანაშაულო სისხლი, არაფერში ერგო ეს აღსარება, რადგან სასოწარკვეთილი იყო.

უნდა ვთქვათ ისიც, რომ აღსარება უნდა ითქვას იმ ფიქრით, რომ აღარ შევცოდავთ. ასე მაგალითად, ფარაონმა კი აღიარა: „შევცოდე უფალსა!“, მაგრამ არაფერში არ არგო, რადგან არც უფიქრია უარი ეთქვა ბოროტებაზე და ამიტომაც დაიღუპა. არც სასოწარკვეთით უნდა იყოს ჩვენი აღსარება, როგორც იუდასი, როგორც უკვე აღვნიშნე. რადგან, მიუხედავად იმისა, რომ აღიარა თავისი შეცდომა მღვდელმთავრების წინაშე, რომ გაყიდა უდანაშაულო სისხლი, არაფერში ერგო ეს აღსარება, რადგან სასოწარკვეთილი იყო. ჩვენ ვიქონიოთ კეთილი იმედი, რომ თუ სუფთა გულით ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს და იმ შინაგანი გადაწყვეტილებით, რომ აღარ შევცოდავთ, ღმერთი შეგვინდობს და დავით წინასწარმეტყველივით გავიგებთ: „უფალმა აიღო შენი ცოდვა; აღარ მოკვდები“.

ლოცვით ვთხოვოთ ღმერთს ჩვენი სულების ცხონება და ის აუცილებლად გვიბოძებს მას, რადგან თავად იესო ქრისტემ ბრძანა: „ითხოვეთ და მოგეცემათო!“ გვახსოვდეს, გულის სიღრმიდან ნათქვამი მხურვალე ლოცვა ცას ხსნის და შედის ღვთის სასმენლებში. როგორც ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი, იქ, სადაც ლოცვა აღევლინება მადლიერებით, მოდის სული წმინდის მადლი, ხოლო ეშმაკები განიდევნებიან და ბოროტის მთელი ძალა შორდება ადამიანს. ასევე სხვაგანაც აღნიშნავს, რომ ლოცვით ხდება სიწმინდის დაცვა, ქალწულობის დაბეჭდვა, მრისხანების გაჩერება, ამპარტავნების მოთოკვა, შურის მოსპობა, გაჭირვების მოგვარება და მშვიდობის დაფუძნება; მოკლედ რომ ვთქვათ, ვინც ლოცულობს, ის ესაუბრება ღმერთს.

მარხვით შევიმსუბუქოთ სხეული, გავინათლოთ გონება და გავიხაროთ სულიერად და მივიღოთ მადლი სულისა წმიდისა. ამავდროულად, მარხვა უნდა გავატაროთ ლოცვებით. როგორს საკვები უგემურია მარილის გარეშე, ასევე მარხვაც ლოცვის გარეშე.

წმინდა გრიგოლი თავის მეორე წიგნში მარხვის დაწყებაზე წერს, რომ მარხვა არის სულისა და ხორცის სიმშვიდე, ცხოვრება არეულობის გარეშე, კეთილი დაგეგმარებით, რომელიც ახარებს ღმერთს და ამწუხრებს ეშმაკს; რადგან, როგორც მმარხველების მფარველები არიან წმინდა ანგელოზები და იცავენ მათ ყოველი განსაცდელისგან, ასევე არამმარხველების მცველები არიან ეშმაკები, რომლებიც შთააგონებენ ბევრ ცოდვას.

ამიტომ უნდა ვიღვაწოთ, რომ არ ვიყოთ ეშმაკის თანაზიარნი, რადგან არ გამხდარა არავინ სათნოების მოწაფე, ვინც მათი გემოვნების მიხედვით ჭა-

მდა, სვამდა და განცხრომაში იყო. არც მათგან, ვისაც უყვარდა დროს ტარება, ვინც ცხოვრება გაატარა ხორციელად, არავინ გამხდარა წმინდანი და ცათა სასუფევლის მოზიარე. ვიცი, რომ ჩვენი ბოროტი ცხოვრების წესი ხელს შეგვიშლის, რომ სრულფასოვნად ვიმარხულოთ საკვებით. მაგრამ რაც მთავარია, ვიმარხულოთ ბოროტი საქციელებისაგან, რადგან საკვებისაკენ გვიზიდავს ეს წყეული ხორცი, მაგრამ ბოროტი საქციელის ჩასადენად არ გვიბიძგებს არავინ (არც ვიცი, როგორ ვთქვა სხვაგვარად, უფრო გასაგებად)! სხეულს სჭირდება საკვები, მაგრამ სულს არ სჭირდება ბოროტება. საჭმლისგან ვლებულობთ გარკვეულ სიამოვნებას, მაგრამ ბოროტებისგან არ ვლებულობთ არაფერს, გარდა სულისათვის ზიანისა და სჯულის დარღვევისა.

ჩვენი პატიოსანი შემოსავლებიდან სიყვარულით გავცეთ ხოლმე მოწყალება გაჭირვებულებს, ღარიბებს, მგზავრებს, ავადმყოფებს და საპატიმროებში მყოფთ და ამით მოვიგოთ ღვთის გული. ასეთნაირად ჩვენც შეგვიწყალებს ღმერთი, როგორცაა ეს ნათქვამი ცხრა ნეტარებაში, ხოლო თუ მოპარულისგან გავცემთ, ასეთ შემთხვევაში უარეს სასჯელს მივიღებთ. ახლა თუ ვინმე ფიქრობს, რომ არ ვარ მართალი იმაში, რასაც ვამბობ და დაიმოწმებს იოანე მახარობლის სიტყვებს, რომელიც ამბობს: „უსამართლობის მამონასგან გაეცით მოწყალება“, ასეთი კაცი უნდა წავიდეს და შეისწავლოს წმიდა წერილი იმათგან, ვინც კარგად და სწორად იცის მისი განმარტება და ნახოს, რა შინაარსით თქვა იოანე მოციქულმა ეს სიტყვები და შემდეგ იფიქროს ბოროტი ჩემზე.

იოანე მოციქულის აზრი მდგომარეობს შემდეგში: “უსამართლობის მამონასგან გაეცით მოწყალებაო“. რანაირად? ცრემლებით და შემუსვრილი გულით და იმაზე ფიქრით, რომ აღარ მოექცევი უსამართლოდ არავის, აღარ მოიპარავ და აღარც იყაჩაღებ, მხოლოდ ამის შემდეგ ის მოწყალება იქნება შეწირული ღვთის მიერ. ამაში ვრწმუნდებით მეზვერე ზაქეს ქმედებიდანაც, რომელმაც სთქვა: „აჰა, უფალო, ზოგი ნაყოფთა ჩემთაი მივცე გლახაკთა; და უკეთუ ვისმე ცილი დავსდევ, მივაგო ოთხი წილი“.[8] გაიგეთ რა თქვა ზაქემ, რომელსაც მაცხოვარმა იესო ქრისტემ უპასუხა: „დღეს იქნა ცხოვრებაი სახლისაი ამისა, რამეთუ ესეცა შვილი აბრაამისი არს“,[9] ანუ ეს მოწყალება ზაქემ გაიღო აბრაამის გულითა და გონებით და არა ისე, როგორც ზოგიერთი ჩვენგანი, რომელიც ქურდობს, დედამიწაზე არსებულ ყველანაირ ბოროტებას სჩადის, ხოლო შემდეგ მიდის რომელიმე მღვდელთან და სთხოვს წირვებში მოხსენიებას ცოდვების მისატევებლად, მაგრამ თვითონ ისევ ბოროტ ცხოვრებას აგრძელებს. ასე არ გამოვა, ვაი ჩვენს საცოდავ თავს, ასე არ გამოვა, რადგან ღმერთს ხომ ვერ მოვატყუებთ!

საყვარელნო, მერწმუნეთ, უფლის მცნებისამებრ, თუ გვეყვარება მოყვასნი ჩვენნი, როგორც ჩვენი საკუთარი თავი და სიკეთეს გავუკეთებთ, ამ შემთხვევაში, დავით წინასწარმეტყველის სიტყვებიდან გამომდინარე, ჩვენც

გავხდებით მაღალი ღმრთის შვილები. რადგან სიყვარული ნამდვილად არის ღმერთი და ვინც რჩება ღვთის სიყვარულში, ღმერთიც მასში რჩება, როგორც ამბობს იოანე მოციქული სახარებაში: „და თუ ჩვენ შევუნდობთ შეცდომებს ყველას, ვისაც ჩვენთან აქვს დაშავებული, ღმერთი ჩვენც შეგვინდობს ჩვენს ცოდვებს“.[10] რა სარგებელი იქნება, თუ სხეული დაიცლება არასამარხვო საკვებისაგან, ხოლო სული აღივსება ცოდვებით; რა სარგებელი იქნება, თუ სახე გაყვითლებული და დამჭკნარი იქნება მარხვისაგან და ამავდროულად შენი გონება შურითა და საზიზღრობით ანთებული გექნება; რა სარგებელი აქვს არ სვა ღვინო და ამავდროულად მრისხანების შხამით მთვრალი იყო; რა სარგებელი აქვს არ ჭამო ხორცი და ამ დროს გინებით და შეურაცხყოფებით გლიჯო ჩვენი მოყვასების გულები; რა აზრი აქვს თავშეკავებას ისეთი ქმედებებისგან, რომლებიც ხანდახან ხსნილში დაშვებულია და ამ დროს ისეთი ქმედებების ჩადენა, რომლებიც არასდროსაა დაშვებული. ღმერთს ისინი უყვარს, ვინც ყოველთვის ერიდება აკრძალულს.[11] მაშასადამე, ამ მცირე სიტყვებიდან, რაც გითხარით, თქვენ გაიგეთ ვისთან, რა საშუალებით და იარაღით მოგვიწევს ბრძოლა და როგორ უნდა გავიმარჯვოთ.

ამიტომ თითოეული ჩვენგანი, შეძლებისდაგვარად, სიზარმაცის გარეშე და დიდი მოშურნეობით უნდა შეუდგეს მარხვას. გავიგე, რომ აქ თქვენთან არსებობს ჩვეულება: დიდი მარხვის დაწყების წინა საღამოს იკრიბებით სასახლეში და თითოეული თქვენგანი მოკლე სიტყვით მიმართავს ქვეყნის მთავარს, რის შემდეგაც ითხოვთ ხოლმე შენდობას. აქამდე არ მქონია შემთხვევა, ჩემი თვალით მეყურებინა ამ შეკრებებისთვის, მაგრამ, როდესაც მიამბეს, ძალიან გამიხარდა და მომეწონა ეს ჩვეულება, რადგან ძალზედ პატიოსანი და ღირსეული საქმეა შენდობის თხოვნა ჩვენი მთავარ–ბატონებისაგან, ხოლო ამას უნდა ვაკეთებდეთ არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იწყება დიდი მარხვა, არამედ სხვა დროსაც. როგორც ღვთის წინაშე ყოველთვის ვცოდავთ ხოლმე, ასევე ვცოდავთ ჩვენი მთავარ–ბატონების წინაშეც: იქნება ეს სიტყვით, საქმით, ნებსით, თუ უნებლიეთ, მეცნიერებით თუ უმეცრებით, ცხადად, თუ ფარულად.

თუმცა, როდესაც ყურადღებით ვფიქრობ ამ ჩვეულების თაობაზე, მე პირადად მიპყრობს დიდი მწუხარება. ეს ჩვეულება კი არის თავისთავად მშვენიერი პირველი შეხედვით, მაგრამ თუ დავუკვირდებით, ძალზედ ცუდია, რადგან შენდობებს ერთი მეორისგან ითხოვთ და გასცემთ არა გულწრფელობითა და სუფთა გულით, არამედ სავსე შურით, ბოღმით, ბოროტებით და ბილწი გონებით.

ჩემო საყვარელნო კრავნო, გთხოვთ, გაფიცებთ მაცხოვარ იესო ქრისტეს სისხლს, რომელიც დაინთხა ჩვენთვის, ცოდვილთათვის, შეეშვით ამ ყველაფერს, თუ არა, დაისჯებით. ხოლო მე უღირსი და დიდად ცოდვილი ვევედრები მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთს, გვაცხოვნოს და გვიხსნას სასჯე-

ლისაგან და რომ ეს დიდი მარხვა გავატაროთ მშვიდობით, ჯანმრთელობით, სიწმინდით და ცხონების გზაზე სიარულით, რომ ბოლოს აღდგომის ნათელის ხილვის ღირსები გაგვხადოს ღმერთმა. ამინ!

კომენტარები:

ყველიერის, მიტევების კვირიაკე. (ბერძ. **Ἑβδομάς τῆς Τυρινῆς**). ამ დღის ლიტურგიკული სახელწოდებაა: „ადამის ექსორობაი“ (სამოთხიდან განდევნა ადამისა).

[2] მათე. 4,4

იოანე. 3,8

[4] შდრ. „და ორმეოც დღე გამოიცადებოდა ეშმაკისაგან და არარა ჭამა მათ დღეთა შინა. და აღ-რა-ესრულნეს დღენი იგი, შეემშია“. (ლუკა. 4,2)

[5] ეფესელთა. 6, 14

[6] ეკლესიის მამები ამ კონტექსტში მიტევების ხელოვნებასაც ამატებენ.. „უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი“ (მათე. 6,15). ცოდვის ზეიმი, მისი ამა სოფლად ბატონობის მთავარი ნიშანი არის მტრობა. უთანხმოება, ცილობა და სიძულვილი. ამიტომ ცოდვის სიმტკიცის პირველი შერყევაა მიტევება: უნდა დავუბრუნდეთ ერთობას, თანხმობასა და სიყვარულს. ღვთის გასხივოსნებული მიმტევებლობა ინათებს ჩემსა და ჩემს „მტერს“ შორის, თუ ვაპატიებ. მიტევება ადამიანური ურთიერთობის ყველა ანგარიშგების უარყოფასა და მისი ქრისტესადმი გადაბარებას ნიშნავს. მიტევება ღმრთის სასუფევლის ნამდვილი ძლევამოსილი შეღწევაა ჩვენს დაცემულსა და ცოდვილ ქვეყნიერებაში, ამბობს პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმემანი Father Alexander Schmemann. Great Lent. —Crestwood (N. Y.), 1969.

ანთიმოზიევრიელისაკუთარისიტყვებითგადმოსცემსდაბადებისშემდეგმუხლს-და ჰრქუა უფალსა ღმერთსა კაენ: უფროის არსა ბრალი ჩემი მოტევებისა ჩემისა? დაბ.; 4,13.

[8] ლუკა. 19, 8

[9] ლუკა. 19, 9

[10] მარკოზი. 11, 25

შდრ. „ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი, რაჲთა არა ეჩუენო კაცთა მმარხველად, არამედ მამასა შენსა დაფარულად; და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ“ მათე. 6, 17-18.

ქადაგება № 7

ქადაგება ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანაზე ნოემბრის თვის 21

როგორც მდიდარი ვერ შესძლებს ღარიბისაგან ვერანაირი მატერიალური დახმარების მიღებას, ასევე ვერც ქების ღირსი პატიოსანი ადამიანი მიიღებს უმეცრისაგან შესაფერის ხოტბას! ასევე მეც, ვიცი რა ჩემი სათნოებათა სიღარიბე და განათლების სიმწირე, ვდგავარ, ვფიქრობ და ჩემი თავისა მიკვირს – რა უნდა ვქნა?! რადგან, ერთის მხრივ, ვუყურებ ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის დიდებულ ტაძრად მიყვანას, რომელსაც აღვნიშნავთ ჩვენ დღეს, მეორეს მხრივ, ჩემ წინ ვხედავ სათნოებისა და სიბრძნის ყვავილებით მორთულ ამდენ პატიოსან სახეს, ამიტომ მიპყრობს შიში და ვერ ვბედავ საუბარს. რა ძალა აქვს ჩემს საძაგელ ენას, რომ ღირსეულად აქოს და ადიდოს დედა მარიამი, რომელიც მთელ ქმნილ სამყაროზე უფრო მეტად აღმატებული, გამორჩეული და მიმადლებულია, როგორცაა ეს ნათქვამი *ქებათა ქებაში?* ან რა ძალა აქვს ჩემს წყაროს, რომელშიც მხოლოდ ერთი წვეთია, რომ მორწყოს ასეთი დიდი სულიერი ბაღი.

მაგრამ მადლი სულისა წმიდისა, უძლურთა მკურნალი და ნაკლულებათა აღმავსებელი,[1] მომცემს მე ძალას და დამეხარება, რომ შევძლო რამდენიმე სიტყვით გამოვთქვა ღმერთის დიდება და დედა ღვთისმშობლის პატივი და თაყვანისცემა.

წმინდა წერილში, კერძოდ მეფეთა მესამე წიგნის მე-6 თავში ვკითხულობთ, რომ მეფე სოლომონმა ააშენა სამი ნაწილისგან შემდგარი ღვთის სახლი: პირველ ნაწილში იდგა ხალხის სიმრავლე, მეორე ნაწილში იდგნენ მღვდელმთავრები და მღვდლები, ხოლო მესამე ნაწილს ერქვა წმიდათა წმიდა, რომელშიც არავინ არ შედიოდა, გარდა მღვდელმთავრისა, და ისიც წელიწადში ერთხელ. წმიდათა წმიდაში შესვლისას მღვდელმთავარი აკმევდა და ლოცულობდა თავისი თავისა და ერის ცხონებისთვის. ყოველივე ეს აღწერილია წმიდა პავლე მოციქულის ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-9 თავში: „პირველსა მას კარავსა მარადის შევლენ მღდელნი და მსახურებასა მას აღასრულებენ. ხოლო შინაგანსა მას ერთგზის წელიწადსა მღვდელმოძღუარი იგი ხოლო შევიდის და არა თვინიერ სისხლისა, რომელი-იგი შეწირის თავისა თვისისათვის და ერისა უმეცრებისათვის“.[2] ტაძრის პირველი ნაწილი, სადაც იდგა მორწმუნე ერი, სიმბოლურად აღნიშნავდა ჩვენს თავებზე არსებულ ხილულ ცას, სადაც ჰაერია და სადაც ფრინველები დაფრინავენ. მეორე ნაწილი, სადაც იდგნენ მღვდელმთავრები და მღვდლები, სიმბოლურად წარმოადგენდა მეორე ცას, რომელიც პირველზე მაღალია და სადაც ბინადრობენ ზეციური ძალები, ანუ ანგელოზები და წმინდანების დასი. ხოლო მესამე ნაწილი - წმიდათა წმიდა, სადაც მხოლოდ მღვდელმთავარი წელინადში ერთხელ შედიოდა, სიმბოლუ-

რად წარმოადგენდა მესამე ცას, რომელიც მეორეზეც მაღალია და რომელშიც არავინ შედის ჭეშმარიტი მღვდელმთავრის - ჩვენი ღმრთის, მაცხოვარ იესო ქრისტეს გარდა.

რომ დარწმუნდეთ, ის ტაძარი ნამდვილად სიმბოლურად წარმოსახავდა ზეცას, მოისმინეთ და ნახეთ, რას ამბობს ნეტარი პავლე იქვე ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-9 თავში: „რამეთუ არა ხელით ქმნულთა სიწმიდეთა შევიდა ქრისტე სახედ ჭეშმარიტთა მათ, არამედ თვით მათ ცათა, აწვე ჩუენებად პირსა ღმრთისასა ჩუენთვის".[3]

და რატომ ერქვა წმიდა წმიდათა? იმიტომ, რომ იქ ინახებოდა სჯულის ორი ფიცარი, რომლებიც ღმერთმა მოსეს მისცა სინას მთაზე, ასევე აარონის განედლებული და აყვავებული კვერთხი, მანანათი სავსე ტაკუკი, ოქროს სასაკმევლე და სჯულის კიდობანი. მაგრამ მე შემიძლია ვთქვა, რომ წმიდა წმიდათა ერქვა მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ იქ წარმავალი საგნები ინახებოდა, რომლებიც განასახიერებდნენ ძალიან ბევრ და არსებით საეკლესიო საიდუმლოს, არამედ იმიტომ, რომ მასში 12 წლის განმავლობაში ცხოვრობდა ჭეშმარიტი წმიდათა წმიდა, ანუ ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი, რომელმაც შვა აღთქმული მესია.

როგორც ამტკიცებენ, ტაძრის მესამე ნაწილი განასახიერებდა მესამე ცას, სადაც განათდა ჭეშმარიტი მზე სიმართლისა, ასევე დედა მარიამის საშოც გახდა უმაღლესი ცა, რომელმაც დაიტია წმიდა სამების მეორე პირი - ძე და სიტყვა ღვთისა, მაცხოვარი იესო ქრისტე, ჭეშმარიტი მღვდელმთავარი, რომელმაც მეორედ მისცა სიცოცხლე კაცობრიობას და ევედრებოდა მამა ღმერთს ადამის ცხონებისთვის და მისი უმეცრების შენდობისთვის. რაც შეეხება მიზეზს, რატომ შევიდა წმიდა ქალწული იმ წმიდა ადგილას და ცხოვრობდა იქ იმდენი წლის განმავლობაში, საყოველთაოდ ცნობილია და ჩვენ საჭიროდ ვთვლით, აქ ვთქვათ ამის შესახებ.

შორეულ წარსულში ჰურიებს ჰქონდათ ჩვეულება, თუ ადამიანს არ უჩნდებოდა შვილები, ასეთი ადამიანი შეძულებული და გარიყული იყო საზოგადოებისაგან როგორი დიდი და მდიდარი გვარისაც არ უნდა ყოფილიყო ის. და როდესაც ასეთ ადამიანს მიჰქონდა ხოლმე ძღვენი ტაძარში, მღვდელი სულ ბოლოს იღებდა მისგან შესაწირს, ღვთისმსახურების დროს იდგა ყველაზე უკან და ყველაზე დაბალ საფეხურზე, საჭმელს არავინ არ იყოფდა მასთან ერთად და საერთოდ ითვლებოდა, რომ ეს ადამიანი დასჯილი და დაწყევლილია ღვთისგან.

მაშასადამე, იოაკიმე და ანა იყვნენ რა ბერწები, ერთხელ ისე მოხდა, რომ ერთ-ერთ დღესასწაულზე შემთხვევით, ყველანაირი ბოროტი ფიქრის გარეშე, როგორც მდიდარი და სამეფო გვარის ადამიანებმა, პირველებმა მიიტანეს ძღვენი ტაძარში. ამის გამო მღვდელმა ისე მკაცრად და უხეშად მისცა მათ შენიშვნა, რომ დიდი შერცხვენით ტაძრიდანაც გააძევა ისინი ისე, რომ

ძღვენიც არ გამოართვა. (წარმოვიდგინოთ, რამხელა ტკივილი და მწუხარება შეიპყრობდა ასეთი დიდებული და უმანკო ადამიანების გულს). ხოლო მათ დიდი ღირსებით მიიღეს მღვდლის შენიშვნა და სიფიცხე, დახარეს თავები და მწარე ტირილით, არავისთვის არაფრის თქმით ისე წავიდნენ შინ.

ხოლო ახლა არ გაბედოს რომელიმე მღვდელმა ან მღვდელმთავარმა უსაყვედუროს ვინმეს იმის გამო, რომ არ ჰყავს შვილები, რადგან მხოლოდ იმ შემთხვევაში არის ადამიანი ცოდვილი, თუ ის უსჯულოებებს და ცოდვებს ჩადის. იოაკიმესა და ანას, იმისდა მიუხედავად, რომ დიდი ტკივილი და მწუხარება ჰქონდათ სიბერწისა და ხალხის სიძულვილის გამო, ისინი მუდმივად ცრემლებით და გულის სიღრმიდან ლოცულობდნენ, რომ ღმერთს ებოძა მათთვის წყალობა, მოეხსნა მათი სიბერწე და ეჩუქებინა მათთვის მუცლის ნაყოფი. უნდა ვიცოდეთ, ამას ლოცულობდნენ იმის გამო კი არა, რომ გარდაცვალების შემდეგ შვილებს ელოცათ მათთვის, ან მემკვიდრეობაში მიეღოთ მშობლების მთელი მონაგარი, მამულები და ქონება, როგორც ჩვენს დროში ფიქრობს ხოლმე ხალხი. იოაკიმე და ანა ნატრულობდნენ შვილს აღთქმის გამო, რომ თუ ეყოლებოდათ გინდ ვაჟი, გინდ ქალი, მას აუცილებლად შესწირავდნენ ღმერთს.

ხედავთ ახლა ჭეშმარიტ ქრისტიანულ სიყვარულს და სურვილს, ხედავთ გულის სითბოს, ხედავთ მოშურნეობას? ვინ არის ახლა ჩვენს დროში გინდ მდიდარი, გინდ ღარიბი, რომელსაც რომც ჰყავდეს 100 შვილი, ერთი მაინც შესწიროს ღმერთს? [შვილის მონასტერში გაშვებას] ხალხი უღირს და უაზრო საქმედ თვლის და ამის თაობაზე ბევრ ცუდს ლაპარაკობენ, რისი გამეორება მრცხვენია კიდევაც!

ხოლო ღმერთი, როგორც ამბობს დავით წინასწარმეტყველი: „ღვთის მოშიშთა ნებას აღასრულებს ღმერთი და მათ ლოცვას შეისმენს“. როდესაც დადგა ღვთის განგებისა და აღთქმის აღსრულების ჟამი, როდესაც უფალს ჭურჭელნიც უკვე გამორჩეული ჰყავდა, სათნო ინება ღმერთმა და გახსნა ანას სიბერწე და მან შვა აღთქმის შვილი ისევე, როგორც სარამ ისააკი, რებეკამ იაკობი, რაქილმა იოსები, მანოეს ცოლმა სამსონი, ელკანას ცოლმა ანამ სამოელი და ელისაბედმა იოანე ნათლისმცემელი. ასევე იოაკიმეს ცოლმა ანამაც შვა ღვთის წმიდა ტახტი - ქალწული მარიამი, რათა განისვენოს მასზე მან, ვინც განისვენებს ანგელოზებრივ ტახტზე. მაღალმა ღმერთმა, რომელმაც სიბრძნით გაამყარა ცანი და ქვეყანა დააფუძნა წყალზე, რომლის წინაშეც ძრწიან უფსკრულნი და ჯოჯოხეთის სიღრმენი, მან ყოვლადწმიდა მარიამის სახით გაიმზადა ცოცხალი ზეცა.

ჭეშმარიტად დიდი ღირსება ჰქონდათ იოაკიმესა და ანას, რომ ეშვათ წმიდა ქალწული მარიამი, რადგან: პირველი - ორივენი იყვნენ სამეფო შტოს წარმომადგენლები და დავით მეფის შთამომავლები. ასევე ორივენი იყვნენ სათნო და მართალნი ღვთის წინაშე; მეორე - მათ მიიღეს ეს კურთხევა და წყალობა დიდი გულისტკივილის, მრავალი ლოცვის, გულუხვი მოწყალებისა და ბევრი

ცრემლის შედეგად, როგორც ამბობს დავით წინასწარმეტყველი: ,,ვინც თესავს ცრემლებით, სიხარულს მოიმკის". ჭეშმარიტად მოიხვეჭეს ისეთი დიდი სიხარული, როგორიც არ ჰქონიათ სხვა წმინდანებს არც მანამდე და არც მათ შემდეგ და არც ღვთის მშობელთა სახელი რგებია წილად სხვა არავის.[4]

ამიტომ წმინდა ქალწულის დაბადებიდან 3 წლის გასვლის შემდეგ დიდი ზეიმით, სხვა ქალწულთა თანხლებით, დანთებული ჩირაღდნებით, დავით მეფსალმუნის წინასწარმეტყველების მიხედვით მშობლებმა, მათი აღთქმისამებრ, წმინდა მარიამი ტაძარში მიიყვანეს. მივიდნენ რა ტაძრის კარებთან, ნეტარმა ანამ დიდი რწმენითა და ღირსებით უთხრა მღვდელს: ,,ჰოი, მაღალო ღვთის მსახურო, მიიღე ეს ქალწული, რომელიც ჩემი საშოს ნაყოფია, რომელიც მოვიგე დიდი გულისტკივილით, ცრემლებთან შერეული ლოცვებით და დააბრძანე იგი ღვთის სახლში, რადგან მას აღვუთქვით და ღმერთმა დიდი წყალობა მოიღო ჩემზე და მომიხსნა ერის ყვედრება; მიიღე ის ყველანაირი ეჭვის გარეშე და შეიყვანე ყოველგვარი დაყოვნების გარეშე ტაძარში, რამეთუ ღმერთსაა შეწირული".

მღვდელმა ზაქარიამ მოისმინა რა ეს სიტყვები და დაინახა რა ყოვლადწმინდა ქალწული, გაიკვირვა და დიდი სიხარულით წინასწარმეტყველური სიტყვებით მიმართა მას: ,,შენ ხარ ჭეშმარიტად სიცოცხლის დახშული კარი, რომელიც ნახა წინასწარმეტყველმა იეზეკიელმა. ამიტომ გეხსნება ტაძრის კარი, რომ შეხვიდე და დაემკვიდრო მასში, რადგან ჭეშმარიტად შენთვის აააშენა ის სოლომონმა, განჭვრიტა რა წინასწარმეტყველური ხედვით შენი სიწმიდე. შენ ღირსი ხარ, დაემკვიდრო მასში, რადგან ყველაფერი, რაც მასშია, შენ განგასახიერებს. ამიტომ თუ განცხადდა ჭეშმარიტება, ჩრდილიც უნდა აეხადოს მას.

შემოდი, ღვთის ასულო, ტაძარში სიხარულით და მხიარულ იყავ მასში, რადგან ჭეშმარიტად დავინახე ისრაელის მაცხოვრების სიახლოვე, რომელიც ამ სოფლად შენგან უნდა მოივლინოს!

შემოდი, ყოვლადწმიდაო, თამამად და სიხარულით, რომელიც ხარ სამყაროს მაცხოვრის იესოს ქრისტეს სავანე!

შემოდი, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა გამორჩეულო ასულო, შენთვის გამორჩეულ ადგილას, რომ ისაზრდოო ზეციური პურით, რომელსაც, ანგელოზების მიერ, მაღალი ღმერთი – მამა საუკუნეთა გამოგიგზავნის!

შემოდი წმიდათა წმიდაში, რამეთუ ღირს ხარ ჭეშმარიტად, რომ გაგემხილოს დაფარული ზეციური საიდუმლო, რომ შენგან იშვება სამყაროს შემოქმედი!

შემოდი და გახდი ღმერთისა და კაცის შემრიგებელი!"

მერე მღვდელი ზაქარია შეტრიალდა მშობლებისკენ და უთხრა: ,,გიხაროდენ თქვენ, წმიდანო მეუღლენო, კურთხეულო წყვილო, იოაკიმე და ანა, რადგან თქვენ ღირსნი გახდით იყოთ ასეთი წმიდა ყრმის მშობლები. სავსენი

ხართ ნეტარებით, რადგან ამ პატარა ქალწულში წინასწარმეტყველური თვალით ვხედავ, რომ ჭეშმარიტად ის არს ჩვენი წინაპრების [ადამისა და ევას] სიშიშვლის დამფარველი, წინასწარმეტყველთა სარკე და ხსნა სოფლისა!“

მაშასადამე, ამ მცირე სიტყვებით, რომელიც ვთქვი, უნდა გავიგოთ, რომ წმიდა ქალწული ორი მიზეზით შევიდა წმიდათა წმიდაში: პირველი- მთავარანგელოზი გაბრიელის ხარების სიტყვებით განწმენდილიყო პირვანდელი ცოდვისგან და მეორე - როგორც გამორჩეულ ჭურჭელს, სულიწმიდის მადლით, მიეღო საშოში ღვთის სიტყვა და ძე.

ამიტომ ჩვენც, როდესაც შევდივართ წმინდა ეკლესიაში, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, განვიწმიდოთ ჩვენი ცოდვებისა და ბოროტი ფიქრებისგან და ამის შემდეგ სრული ცნობიერებით გავხდეთ გამორჩეული ჭურჭლები და ჩვენს გულებში მივიღოთ მადლი სულისა წმიდისა, სიტყვა ღვთისა და ასე გავხდებით ჭეშმარიტად ამ დღის მედღესასწაულენი. დედა ღვთისმშობელს მიუხედავად იმისა, რომ ვუწოდებთ ყოველი სიხარულის მიზეზს, ჩვენ მაინც უძლურნი ვართ, შესაფერისი ღირსებით ვადიდოთ იგი, რადგან მისი სიწმინდე ამარცხებს ნებისმიერ ენას და აღემატება ადამიანის გონებას. მიუხედავად ამისა, ჩვენი ცხონებისთვის დიდი სიხარულითა და მადლით, ყოველთა ვსთქუათ: ,,გიხაროდენ, მიმადლებულო, ანგელოზთა ქებაო, უფალი შენთანაა“. მისი გამოუთქმელი წყალობა და მადლი, იყავნ მარადის თქვენ ყოველთა თანა.

კომენტარები:

[1] „მადლი სულისა წმიდისა, უძლურთა მკურნალი და ნაკლულებათა აღმავსებელი“ – ციტატა ეპიკლეზისის ლოცვიდან, რომელიც იკითხება ადამიანის სასულიერო პირად (დიაკვნად, მღვდლად, ეპისკოპოსად) კურთხევის დროს.

[2] ებრაელთა. 9, 7

[3] ებრაელთა. 9, 24

[4] მართლმადიდებელი ეკლესიის ლიტურგიკულ ტექსტებში, კერძოდ ჩამოლოცვისას, წმინდა იოაკიმეც და ანაც ღვთის მშობლებად იწოდებიან.

ქადაგება № 8

ქადაგება წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღესთან დაკავშირებით

დეკემბრის თვის 6

ღვთის მიერ შექმნილი ადამიანი, რაკი იგი ორი ნაწილისაგან: პირმეტყველი სულისა და მგრძნობიარე სხეულისაგან შედგება, შესაბამისად, სათნოებებიც ორმაგი: სულიერი და ხორციელი აქვს. სულიერი სათნოებები არის ოთხი: სიმამაცე, სიბრძნე, სამართლიანობა და სიწმინდე. სხეულის სათნოებებიც არის ოთხი: სიძლიერე, სიმრთელე, მშვენიერება და ჯანმრთელობა. სულისა და ხორცის ჩამოთვლილი სათნოებებიდან იშვება სხვა ოთხი საერთო სათნოებაც: სარწმუნოება, სასოება, სიყვარული და თავმდაბლობა.

ღვთის წყალობით ამ ოთხ უძრავ სათნოებაზე, როგორც ურყევ საძირკველზე, მსურს დღეს ავაგო ჩემი მეტყველება. უპირველეს ყოვლისა, მოკლედ გეტყვით თითოეული სათნოების შესახებ, რა არის მათი ძალა და ქმედება, რომ მერე უფრო ნათლად გაიგოთ ქადაგების შინაარსი. ღვთის წყალობითა და კურთხევით, სანამ გექნებათ ამისი მოსმენის დრო და მოთმინება. მაშასადამე, გიხმობთ, მისმინოთ სიყვარულით, რომ ღვთისგანაც მიიღოთ საზღაური.

როგორც პავლე მოციქული ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მეთერთმეტე თავში ამბობს: „ვერ შესაძლებელ არს სათნოყოფაი [ღმერთსა]; რამეთუ სარწმუნოებაი ულირს რომელი მოუხდების ღმერთსა, რამეთუ არს, და მაძიებელთა მისთა სასყიდლის მიმცემელ ექმნების“, და რომ დარწმუნდეთ ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში, მოისმინეთ და ნახეთ, რას ამბობს მაცხოვარი იესო ქრისტე მარკოზის სახარების მეთექვსმეტე თავში: „წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაი ესე ყოველსა დაბადებულსა. რომელსა ჰრწმენეს და ნათელიღოს, ცხოვნდეს; და რომელსა არ ჰრწმენეს, დაისაჯოს“.[1]

აჰა, როგორც ვნახეთ, სარწმუნოების გარეშე შეუძლებელია ცხონება და იცოდეთ, რომ მისი ადგილი არის ადამიანის გული და სათნოებებით გამდიდრებული ცხოვრება, როგორც ამაზე მეტყველებს წმინდა მოციქული იაკობი: „რამეთუ ვითარცა ხორცნი თვინიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებაი თვინიერ საქმეთასა მკუდარ არს“. და არავინ გაივლოს თავის გონებაში, რომ სათნოებების გარეშე მხოლოდ რწმენით ცხონდება. ეს დიდი შეცდომაა. აჰა, მოკლე სიტყვებით გითხარით სარწმუნოების ძალის შესახებ. ახლა მოისმინეთ სასოების შესახებაც.

სასოება არის ჭეშმარიტი კადნიერება ღვთის წინაშე მოცემული ადამიანის გულში ღვთაებრივი ნათელით, რომ არასდროს წარეკვეთოს იმედი ღვთის წყალობაში, არამედ დარწმუნებული იყოს, რომ სინანულით მიიღებს ცოდვების შენდობასაც და სხვა სათხოვართა აღსრულებასაც, დროებითისა თუ მარადიულის. ადამიანის გულში სასოება მტკიცდება და მყარდება, უპირველეს ყოვლისა, მაცხოვარ იესო ქრისტეს მადლითა და შეწევნით, რადგან ის არის ჩვენი ჭეშმარიტი და სრული სასოება. როგორც კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში პავლე მოციქული ამბობს: „ჩვენი სასოების უფალი იესო ქრისტეა მაცხოვრის და ღმრთის ჩვენის ბრძანებით, რამეთუ მისგან ვღებულობთ ყველაფერს“. ასე-

ვე, თავად მაცხოვარი იესო ქრისტე გვასწავლის: „და რაიცა ითხოვოთ სახელითა ჩემითა, იგი ვყო, რაითა იდიდოს მამაი ძისა თანა“. ქრისტეს ამ მადლზე დაფუძნებულია მთელი ჩვენი სასოება.

აჰა, თქვენ გაიგეთ სასოების ძალის შესახებ და ახლა მოგითხრობთ სიყვარულის შესახებაც:

სიყვარული, როგორც პავლე მოციქული ამბობს, არის უმეტესი, ვიდრე სარწმუნოება და სასოება, არის ყველა სათნოების მწვერვალი, აერთიანებს ყველას და გზას უკვალავს ღმრთისკენ. მათეს სახარების 22-ე თავში, თავად მაცხოვარი იესო ქრისტე სიყვარულის შესახებ ამბობს: „ამ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინასწარმეტყველნი დამოკიდებულ არიან“.[2]

თქვენ უკვე გაიგეთ სიყვარულის ძალის თაობაზეც. ახლა გეტყვით თავმდაბლობის შესახებაც. თავმდაბლობა არის სისრულე, კავშირი და ბეჭედი ყველა სათნოებისა, რადგან თუ ვინმე ასრულებს სამყაროს ყველა სათნოებას, მაგრამ არ აქვს თავმდაბლობა, ყველაფერი იკარგება, ყველაფერი ამაოა, სიცარიელეა და მათი შესრულების ღვაწლი უაზროა, რადგან თავმდაბლობა არის ყველა სათნოების დედა. და როგორც დედა თავისი ბუნებრივი სიყვარულით დიდ ღვაწლს დებს რომ ასაზრდოოს, გაზარდოს და დაიცვას თავისი შვილები, რომ რაიმე ბოროტება ან განსაცდელი არ შეემთხვათ, ასევე თავმდაბლობაც ასაზრდოებს დანარჩენ სათნოებებს და იცავს მათ განსაცდელებისაგან, რათა არ დაიღუპონ. თავდაპირველი და ყველაზე დიდი ცოდვა არის ამპარტავნება, რომელიც თავად სატანამ გააჩინა და ეს სატანა ღმერთთან ყველაზე ახლოს მდგომი ანგელოზი იყო და ერქვა *ლუციფერი*, რაც ითარგმნება, როგორც *დიდი ნათელის მატარებელი*. ესოდენ დიდი ანგელოზი ამპარტავნებამ დასცა მასთან აყოლილ სხვა მრავალ ანგელოზთან ერთად და ყველანი ჯოჯოხეთის უფსკრულში შთააგდო. იმ უდიდესი ნათელის შემდეგ, რომლის მატარებელიც იყო იგი, ყველანაირ სიმუქეზე და სიშავეზე საშინელ უკუნით სიბნელედ გადაიქცა და განკუთვნილი აქვს მარადიული და დაუსრულებელი სასჯელი, რამეთუ არის სული და მის ჭრილობას არ აქვს უნარი არც განკურნების, არც მოშუშების და არც სინანულის.

ამპარტავნების ცოდვამ, მისი უდიდესი შურიანობის თვისებიდან გამომდინარე, შეაცდინა საწყალი ადამიც, დააკარგვინა პატივი, მიიყვანა სიკვდილამდე და შთაიყვანა ჯოჯოხეთში. მიუხედავად იმისა, რომ ამპარტავნების ცოდვას დიდი ძალა აქვს და *ლუციფერიც* შთააგდო ჯოჯოხეთის უფსკრულში, თავმდაბლობის სათნოება კი გაცილებით მეტი ძალის მქონეა; რადგან თავმდაბლობამ თავად ღმერთი, რომელიც ანგელოზ *ლუციფერის* შემქმნელია, დაატოვებინა ზეცა, დიდება და ქება, რომელსაც ანგელოზები შეასხავდნენ, ჩამოიყვანა დედამიწაზე, გახადა კაცი და როგორც ამბობს პავლე მოციქული, იქამდე დაიმდაბლა თავი, რომ ჯვარს ეცვა, მიიღო სიკვდილი, შთავიდა ჯოჯოხეთში და გამოიყვანა ადამი მთელ მის ნათესაობასთან ერთად და აიყვანა ზეცად. ხოლო ლუციფერის ამოყვანა შეუძლებელი იყო, რადგან მას დაბლა სწევდა ცოდვა.

ცოდვა ემსგავსება ქვას, რომელსაც იზიდავს მისი გამჩენი – დედამიწა. სათნოება კი ემსგავსება ცისკენ ანუ ჰაერისკენ მიმართულ ცეცხლს, რომელიც ჰაერში ჩნდება და მისით იკვებება კიდევაც. ასევე ღმერთიც არის გამანა-

დგურებელი ცეცხლიც და ამავდროულად მოლივლივე პაწია ალიც, როგორც ის წინასწარმეტყველმა ილიამ დაინახა. როგორც ადამიანს, რომელსაც სახლში აქვს ოქრო, ვერცხლი, იარაღი და ძვირფასი ტანსაცმელი და სახლიდან გასვლისას კლიტეს ადებს, რომ ქურდი არ შემოვიდეს, არ გაძარცვოს და არ დააზარალოს, ასევეა თავმდაბლობაც, ბოქლომით რაზავს ყველა სათნოებას, რომ არ მოვიდეს მთავარი ქურდი - ეშმაკი და არ დაგვაცარიელოს ყველაფრისგან, რაც დიდი სულიერი შრომითა და ღვაწლით მოგვიპოვებია.

აჰა, შეძლებისდაგვარად, მოკლედ აგიხსენით ოთხი სათნოების ძალა და ქმედება, რომლებიც აუცილებლად უნდა დათესოთ თქვენს გულებში, დაიცვათ და შეასრულოთ: მხოლოდ ამ შეთხვევაში იქნებით კიდევაც ბედნიერები, ანუ ნეტარები, როგორც ამას გვეუბნება თავად მაცხოვარი იესო ქრისტე: „ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ, მე ვამსგავსებ გონიერ კაცსო“[3].

როგორც უკვე გითხარით, ამ ოთხი სათნოების ძალასა და ქმედებაზე, როგორც უძრავ ოთხწახნაგიან ქვაზე, ყველა წმინდანმა, მართალმა და ბრძენმა ადამიანმა ააგო თავისი სათნოების სახლი, როგორც ეს ნათქვამია სახარებაში: „და გარდამოხდა წვიმაი, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუთნეს სახლსა მას, და არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა“, ხოლო ეს ქვა, როგორც ამბობს პავლე მოციქული, არის თავად მაცხოვარი იესო ქრისტე.

ერთ-ერთი ასეთი ბრძენთაგანი, წმიდა, მართალი და ნეტარი ადამიანი არის სასწაულთმოქმედი დიდი ნიკოლოზი, მირონ-ლიკიის მთავარეპისკოპოსი, რომლის ხსენებასაც აღვასრულებთ ჩვენ დღეს ამ წმინდა სალოცავში და რომელიც ეკლესიის კლდის მწვერვალზე დგას, როგორც ღვთის მიერ დაცული ციხე-სიმაგრე ყველა მხრიდან გამაგრებული ოთხი სულიერი ქვემეხით: სარწმუნოებით, სასოებით, სიყვარულითა და თავმდაბლობით. სარწმუნოების ქვემეხით უკუაგდებს ეკლესიის მტრებს - მწვალებლებს; სასოების ქვემეხით სასოწარკვეთილები მოჰყავს ღმერთთან; სიყვარულის ქვემეხით ეხმარება ღარიბებსა და გაჭირვებულებს; თავმდაბლობის ქვემეხით ცოდვილები აჰყავს ზეცაში.

უძრავად დგას სარწმუნოებისა და სასოების მთაზე და ვერაფერი დაფარავს მას; მყარად დგას სიყვარულისა და თავმდაბლობის კლდეზე და ვერაფერი დაამსხვრევს მას! შორიდან ჩანს, რომ მწვერვალზეა დაფუძნებული; ანათებს, რადგან უფლის ეზოსა და ღმრთის სახლში დანთებული ჩირაღდანია. ასე ბრწყინავს ნათელი მისი წინაშე კაცთა და ვერცერთი ჭურჭელი ვერ დაფარავს მისი კეთილი საქმეების ბრწყინვალებას! ანათებს მთელ სამყაროში მისი სასწაულებით, როგორც მზის სხივი. ცნობილია ყველა მისი კეთილი საქმე და მოწყალება, ყველას აქვს მიღებული მისი სიყვარული და ყველას უხარია მისი ხსენება, როგორც დიდ სოლომონს აქვს ნათქვამი: „მართალი ადამიანის ქებით ხარობენ ერნი“. *კანონად სარწმუნოებისა და ხატად სიმშვიდისა და მოძღვრად მარხვისა – უგალობს მას ეკლესია – ამიტომაც მოიგო მან სიმდაბლითა სიმაღლე და სიგლახაკითა სიმდიდრე.* ის ბოლომდე გაჰყვა თავის მოძღვარსა და მასწავლებელს, მაცხოვარ იესო ქრისტეს, კეთილ და ჭეშმარიტ მწყემსს, რომელმაც თავი დასდო სამწყსოისა თვისისათვის. წმინდა ნიკოლოზმა სრულად დაიცვა ღვთის მცნება და შეიყვარა ღმერთიც და მოყვასიც, როგორც საკუთარი თავი.

მის სრულყოფილ სიყვარულს ამტკიცებს ის დახმარება, რომელიც მან გაუწია სამ ქალიშვილს, როდესაც ისინი განსაცდელის წინაშე იდგნენ და შეეძლოთ დაეკარგათ თავისი სიწმინდე და ქალწულობა. გაიგო წმინდა ნიკოლოზმა მათი უღირსი მამის შესახებ, რომელმაც სიღარიბის სახლიდან განდევნისათვის განიზრახა საკუთარი შვილების ქალწულობის გაყიდვა და ამ მიზნით გადაწყვიტა მოეყვანა აფროდიტე, ანუ მრუშობა და მცირეოდენი ოქრო-ვერცხლი ეშოვა. გულის სიღრმიდან სიმწრით, ოხვრითა და მხურვალე ცრემლებით გოდებდა წმიდა ნიკოლოზი და ფიქრობდა: „სამი ქალწულის სახეებს ვხედავ, როგორც სამოთხის სამ სათნოებას, ხოლო ამ ცოდვის ჩადენის შემდეგ შეიცვლებიან და გარდაიქცევიან ჯოჯოხეთის სამ ბოროტებად. მცირედი მოგების გულისთვის დაკარგავენ ისეთ ქონებას, რომელიც მთების გულებში დამალული ან მთელ მსოფლიოში გაფანტული განძზე მეტად უძვირფასესია; ეს მზისებური ნათელი მშვენიერება მზადაა, დაკარგოს საკუთარი ნათელიცა და სამკაულიც და გარდაიქცეს ბნელი ეშმაკების ბუდედ.“

ამ ფიქრების შემდეგ წმინდანმა თავის გულში თქვა: „არა, ბოროტო სულო, არ დავუშვებ, რომ ზეცას დააკლდეს ამგვარი სამი ულამაზესი ვარსკვლავი, არ დავუშვებ, რომ ჯოჯოხეთმა შთანთქოს ასეთი წმიდა სულები და ასეთი უმშვენიერესი ყვავილები. ჰოი, ცრუო სიყვარულო, მე გადაგიტეხავ ისრებს, რომლებიც ჭრილობის გარეშე კლავენ; ლუციფერო, მე გაგირღვევ ყველა შენს ბადეს და გაგიქარწყლებ მთელ შენს მზაკვრობას.“

ასე თქვა წმიდანმა და მყისვე დამალა მზემ ყველა სხივი და დღის სინათლე სრულად ჩაქრა. ღამის სიბნელეში, როდესაც, დაღლილობის გამო, ცამ ყველა თვალი დახუჭა დასაძინებლად ისე, რომ არც მთვარეს ეღვიძა და არც ყველაზე მცირე ზომის ვარსკვლავებს ჰქონდათ გახსნილი თავისი ვერცხლისფერი სახეები, ისე სწრაფად გაიქცა წმინდა ნიკოლოზი ღარიბი სახლისკენ თითქოსდა არ ყოფილიყო კეთილის განმზრახველი, არამედ ბოროტმოქმედი, და ერთხელ და ორჯერ კი არა, არამედ სამჯერ შიგ შეუყარა უამრავი ოქრო. ამით გააგდო სიღარიბე და მასთან ერთად ბოროტი და ბილწი განზრახვა და იხსნა სამი ქალწულის სიწმინდე ეშმაკის მახისგან.

ნახეთ, რა ქნა წმიდანმა?! დაინახეთ, სიკეთის კეთებისთვის გულის რაოდენი სიმხურვალე ჰქონდა?! მიხვდით, მოყვასის მიმართ რა დიდი სიყვარული ჰქონდა?! ისწავლოს ახლა ყველა მდიდარმა თუ ღარიბმა! როდესაც გაიგებთ ძმის, მოყვასი ქრისტიანის გაჭირვებას, სუფთა სიყვარულით და პირფერობის გარეშე დაეხმარეთ, თუ გაქვთ საშუალება ფულით ან სხვა რაიმე მატერიალური საშუალებით, თუ არა და თუნდაც კეთილი რჩევით ან ნუგეშის სიტყვით. ამ შემთხვევაში არა მარტო მე, არამედ ყველა ღვთის მოშიში ქრისტიანი ასეთ მორწმუნეს ჩათვლის წმიდა ნიკოლოზის და სხვა წმინდანების თანასწორად. მოწყალების მიმართ ღმერთიც იმდენად მადლიერი და მიმღებია, რომ სარწმუნოებით და სიყვარულით შეწირულს ერთნაირად იღებს, ბევრსა თუ მცირედს, ანუ ნებისმიერ მოწყალებას, თუ ის სუფთა გულით შესაძლებლობების შესაბამისადაა გაღებული.

ამის მაგალითს ვხედავთ ქვრივის მიერ ორი ლეპტის შეწირვაში, რაც მაცხოვარ იესო ქრისტეს მიერ ყველაზე დიდ შესაწირად იყო მიღებული და ასევე იმ იგავში, სადაც მე-11 ჟამს მისულებისათვის იგივე საზღაური გადაუხადა

ვენახის პატრონმა, რაც პირველივე ჟამიდან მომუშავეებს. თუ მოწყალების გაღებით ჩვენს მეზობლებს გავუკეთებთ ხოლმე სიკეთეს, როგორც ამას გვასწავლის წმინდა წერილი და უშუალოდ მაცხოვარი იესო ქრისტე, რომელიც ყველაფრის საწყისი და დასასრულია, რას ფიქრობთ, რა სიკეთე აგვინაზღაურდება ამით? ნეტავ, როგორ შეგვეწევა ღმერთი ყველაფერში? რადგან დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „წყალობა უფლისა საუკუნითგან და ვიდრე უკუნისამდე მოშიშთა მისთა ზედა“. განა არ ვიქნებით ჩვენც მართლები, განა არ ვიქნებით ჩვენც წმიდანები? რადგან ასე გვიბრძანებს ჩვენ მაცხოვარი იესო ქრისტე: "წმიდები იყავით, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, თქვენი ღმერთი“.

კეთილი საქმეებით ხდება ადამიანი წმიდა და ქებული და არა ბოროტი საქმეებით. არც განთქმულ სახელს დატოვებს ადამიანი გარდაცვალების შემდეგ, თუ ბოროტი საქმეები ექნება ჩადენილი ან თუ ვუკეთებთ ვინმეს მცირეოდენ სიკეთეს და ამას ვაკეთებთ პირფერობით, რომ ხალხმა გვაქოს. თანაც თუ ვინმეს პატარა სიკეთეს გავუკეთებთ, მერე გვინდა, რომ ის ადამიანი ყველაფერში ჩვენი მონა–მორჩილი გახდეს და თუ ეს ასე არ ხდება, ცხვირიდან გამოვადენთ ხოლმე მთელ ჩვენს სიკეთეს: ვლანძრავთ, ვაგინებთ და ვწყევლით კიდევაც, რომ ღმერთმა დასაჯოს და ხალხშიც ვლაპარაკობთ ამის შესახებ. თავს ვიქებთ, რა დიდი სიკეთე გავუკეთე იმ ადამიანს, ის კი ასეთი უმადურია.

მაგრამ ჩვენი მასწავლებელი მაცხოვარი იესო ქრისტე ასე კი არ გვასწავლის, არამედ გვეუბნება: როდესაც ვაკეთებთ სიკეთეს ან ვიღებთ მოწყალებას, მარცხენამ არ უნდა იცოდეს, რას აკეთებს მარჯვენა. მაშასადამე, თუ ვინმეს აქვს სურვილი გამოასწოროს თავისი ცხოვრება ისე, როგორც მე გელაპარაკებით, იმან მიწის მაგივრად ნიადაგად სიყვარული აიღოს, რათა სარწმუნოებამ იქ გაიდგას ფესვები, გაიზარდოს დიდ ხედ და თავის დროზე გამოიღოს მდიდარი ნაყოფი, როგორც ამას ამბობს დავით წინასწარმეტყველი: ყველა ხე და ყველა მცენარე მიწიდან აღმოცენდება და იზრდება, ხოლო თუ მიწა არ აქვს, ის ხმება და კვდება. ასევეა სარწმუნოებაც. თუ აღმოცენდება სიყვარულიდან, ის იზრდება, ძლიერდება და სათნოებების ყველა ნაყოფს იღებს, რადგან სარწმუნოების ნიადაგი სიყვარულია.

სინას მთაზე ღმრთის მიერ მოსესთვის მიცემულ ათ მცნებაში პირველი და ყველაზე დიდი არის სიყვარულის მცნება; რადგან არ უთქვამს, გწამდეს უფალი ღმერთი შენიო, არამედ: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი!“

ნეტავ რატომ თქვა, „შეიყვარე მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“? ორი მიზეზით: პირველი- იმისთვის რომ შენც უნდა ამჟღავნებდე სიყვარულს ისე, როგორც ყოველთვის ამჟღავნებდა და ამჟღავნებს სიყვარულს ღმერთი შენ მიმართ და მეორე- ყველა ადამიანს საკუთარი თავი უყვარს ყველაზე მეტად და თავისთვის უნდა პატივიც და სიკეთეც. შესაბამისად, ამ მაგალითით ღმერთმა გვითხრა, როგორ უნდა გვიყვარდეს ჩვენი მოყვასი. ღმერთმა დაგიფაროს, მაგრამ თუ შეგემთხვევა ისეთი რამ, რომ შენს სახლს მოეკიდება ცეცხლი, ან თავს დაგესხმებიან ქურდები, პირველი, ვინც დაგეხმარება- იქნება შენი ახლო მეზობელი და არა შენი ღვიძლი ძმა, რადგან ის შორსაა. ვისაც სიმართლით უყვარს, ისაა ნამდვილი მორწმუნე. წმიდა მოციქული იოანე ღვთისმეტყველი

ამბობს: „უკეთუ ვინმემ თქუას, ვითარმედ მიყვარს ღმერთი და ძმაი თვისი სძულდეს, მტყუარ არს, რამეთუ, რომელსა არა უყუარდეს ძმაი თვისი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უც შეყუარებად?“[4] ამის თაობაზე მაცხოვარ იესო ქრისტესაც უთქვამს თავისი მოწაფეებისთვის: „ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“.[5]

ახლა შენ, საცოდავო ადამიანო, შენ გქვია ქრისტიანი და ქრისტეს მოწაფე? სადაა შენი სიყვარული მოყვასის მიმართ? სადაა შენი მორჩილება შენი მოძღვრისა და მასწავლებლის მიმართ? რამდენ დღესაც არ იცხოვრებ ქრისტიანულად, მით უფრო დიდ სასჯელს დაიმსახურებ. არ გქონდეს იმედი, რომ მხოლოდ ქრისტიანის სახელის ტარებით ცხონდები, რადგან ამბობს მაცხოვარი იესო ქრისტე: “არა ყოველმან რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო, და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაი ჩემი“[6]. ქრისტეს ნება კი სხვა არაფერია, გარდა სიყვარულისა, და ვისაც გააჩნია მოყვასის სიყვარული და სიკეთეს უკეთებს მას, ეს ის ადამიანია, რომელიც ღვთის ყველა მცნებას ასრულებს. ის, ვინც რჩება სიყვარულში, ის ღმერთში რჩება და ღმერთი მასში, როგორც ამას ამბობს წმიდა მოციქული იოანე.

ამჟამად კი ჩვენი ქრისტიანები იმდენად განუდგნენ ღმერთს, რომ იგი მატყუარადაც გამოყავთ და ამბობენ, ვითომ წმიდა წერილი ზღაპარია და ადამიანების გამოგონილიაო. ამბობენ ხოლმე: როგორ შეიძლება, რომ მიყვარდეს ჩემი მეზობელი, თუ იგი ჩემი მტერიაო? ვიდრე იმას იფიქრებ, რომ შენი მეზობელი შენი მტერია, შენ ვერ იქნები ქრისტიანი; არამედ უნდა თქვა, რომ ხარ წარმართი, ურჯულო და უნამუსო კაცი. შენი უფალი მაცხოვარი იესო ქრისტე გიბრძანებს, გიყვარდეს შენი მტრებიც და სიკეთესაც უკეთებდე მათ, ხოლო შენ ეწინააღმდეგები და არ ემორჩილები მას. ვერ აცნობიერებ, რომ შენ კაცი ხარ, ხვალ ან ზეგ მოკვდები და მიწა და ჭიები შეგჭამენ. თუ ისე მოხდა, რომ შენი მოსამსახურე ან მოჯამაგირე შეგეწინააღმდეგა, განა არ გაუჯავრდები და არ დასჯი? ხოლო მაცხოვარი იესო ქრისტე, რომელიც ჩვენი ჭეშმარიტი ღმერთი და მთელი მსოფლიოს მსაჯულია, როგორ ფიქრობ, არ გაგასამართლებს და არ დაგსჯის საუკუნო ტანჯვით? დააკვირდი, იმას, ვისაც შენ მტერს ეძახი, სინამდვილეში შენი მტერი არ არის, არამედ მეგობარია, თუ მოიქცევი ისე, როგორც შენ გასწავლის ქრისტე; ხოლო თუ არ მოიქცევი ღვთის ბრძანების შესაბამისად, შენ თვითონ შენივე თავის მტერი და სულის წარმწყმედელი იქნები. ადამს თავის დროზე რომ დაეჯერებინა ღვთის მცნებისთვის, არ დაისჯებოდა არც თვითონ და მასთან ერთად არც მთელი კაცობრიობა; ჩვენც ახლა რომ ვიყოთ ქრისტეს ნამდვილი მორჩილები, არ ვიქნებოდით ასეთ გაჭირვებასა და მწუხარებაში.

პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ ეპისტოლეს მე-13 თავში წერს: „ენასა ღათუ კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყვი, ხოლო სიყუარული არა მაქუნდეს, ვიქმენ მე, ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ, გინა წინწილანი, რომელნი ხმობედ. და მაქუნდეს ღათუ წინაისწარმეტყუელებაი და უწყოდი ყოველი საიდუმლოისა ყოველი მეცნიერებაი, და მაქუნდეს ღათუ ყოველი სარწმუნოებაი ვიდრე მთათაცა ცვალებადმდე, და სიყუარული თუ არა მაქუნდეს, არა-ვე-რაი ვარ. და შე-ღათუ-ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი და მივსცნე ხორცნი ჩემნი

დასაწუველად, და სიყუარული არ მაქუნდეს, არარაივე სარგებელ არს ჩემდა“[7].

გაიგე, რას ამბობს?! ხოლო შენ რომ გძულს შენი ძმა იმდენად, რომ თვალით დანახვაც არ გინდა მისი, გშურს მისი, ყველასთან ცუდს ლაპარაკობ მასზე, ყველგან და ყოველთვის ცდილობ გაუკეთო ბოროტება და ზარალი მიაყენო, ასეთი ქმედებებით ნამდვილად არ ხარ ქრისტიანი, ადამიანიც კი არ ხარ, არამედ სატანა, რომელმაც დააშორა ადამი ღმერთს. და რომელია ის მღვდელი, რომელიც შენ, ცილისმწამებელს, ქრისტეს სისხლსა და ხორცს გაზიარებს?! ის ნამდვილად არ იქნება მღვდელი, არამედ იუდა და ქრისტეს გამყიდველია. ასეთ მღვდელს ღმერთი არ შეუნდობს, რამდენი სიკეთეც არ უნდა გააკეთოს, რამეთუ გვასწავლის ქრისტე: „წყალობაი მნებავს და არა მსხუერპლი“.

ამიტომ, ჩემო საყვარელნო ქრისტეს მიერნო ძმანო და კურთხეულნო ქრისტიანენო, რომლებიც შეიკრიბეთ დღეს აქ, რომ იდღესასწაულოთ და გაიხაროთ წმიდა ნიკოლოზის ხსენებით, თითოეულმა, შეძლებისდაგვარად, მაგალითი უნდა ავიღოთ წმიდანისაგან. დავემსგავსოთ მას და, უპირველეს ყოვლისა, შევიყვაროთ ღმერთიც და როგორც წერია თავდაპირველ მცნებაში – ჩვენი მოყვასიც; გვიყვარდეს ჩვენი მტრები და სიკეთით მივაგოთ მათ, პატივი ვცეთ ჩვენს მშობლებს, როგორც ხორციელებს, ვინც გაგვაჩინეს, ასევე სულიერებსაც, ანუ ღირსეულ ბერებსა და პატიოსან მღვდლებს. რაც შეგვიძლია მოვერიდოთ მრუშობას, ლოთობას, შურს, ღალატს, ცუდ ჩვევებს, ბოროტ საქმეებს, სხვა მრავალ მსგავს ქმედებებს, რადგან ყველაფერი ეს ეშმაკის მოგონილია, რომ დაგვაშოროს მაცხოვარს იესო ქრისტეს და აბუჩად აგვიგდოს, როგორც მოისურვებს. და თუ დავიცავთ ყველაფერს, რაზედაც გესაუბრეთ ახლა მე თქვენ, ამ შემთხვევაში ვიქნებით კარგი ქრისტიანები და ჭეშმარიტი ღვთის, მაცხოვარ იესო ქრისტეს, ნამდვილი მოწაფეები. შესაბამისად, ყველანაირი ეჭვის გარეშე ვიქონიოთ რწმენა, რომ ამ ქვეყნად გვექნება მშვიდი და უშფოთველი ცხოვრება, ასევე იმ ქვეყნადაც ვიქნებით ნეტარებაში და მარადიულ სიხარულში წმიდა ნიკოლოზთან და სხვა წმიდანებთან ერთად ცათა სასუფეველში, რომელსაც ყველანი მოვიპოვებთ უფალი იესო ქრისტეს მადლით, რომლის წყალობაც ყოფილიყოს თქვენ თანა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

კომენტარები:

ებრაელთა. 11, 6-7

მათე. 22, 40

შდრ.: ვამსგავსო იგი კაცსა გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი თვისი კლდესა ზედა. მათე 7, 24

[4] 2 იოანე. 4, 20

იოანე. 13, 35

მათე. 7, 21

1 კორინთელთა. 13, 1-3

ქადაგება № 9

ქადაგება წმიდა მოციქულების, პეტრეს და პავლეს, ხსენების დღეზე, ივნისის თვის 29

იმდენად დიდია წმინდა მოციქულების პეტრესი და პავლეს ღირსებები, რომელთა ხსენებასაც აღვასრულებთ ჩვენ დღეს, რომ კაცთა ენას ვერ ძალუძს მათი აღწერა.

იმდენად მდიდარი და მრავალრიცხოვანია მათი ღვთითშთაგონებული სწავლებები, რომ აღემატება ზღვის ქვიშისა და ცის ვარსკვლავების რიცხვს. იმდენად დიდია მათი ღვაწლი, რომ ადამიანის გონება ამას ბოლომდე ვერასდროს ვერ ჩასწვდება და ვერცერთი ამქვეყნიური ენა ამას ვერ აღწერს. იმდენად დიდებულია მათი საქმეები, რომ ვერცერთ ბაგეს ვერ ძალუძს აღავლინოს მათთვის ღირსეული ქება.[1]

მაშასადამე, წარმოდგენა არ მაქვს, რა უნდა ვქნა ახლა, რომ ასეთი დიდი წმინდანებისათვის შესაფერისი ქება აღვავლინო. ვილაპარაკო? მაგრამ ჩემმა უმეცარმა და სულელმა გონებამ რა უნდა ილაპარაკოს, რომ ღირსეულად ადიდოს ეს ორი წმიდანი? გავჩუმდე? მეშინის არ დავისაჯო, როგორც უმადური, რომელიც მალავს წმიდა პეტრეს და პავლეს დამსახურებას მართლმადიდებელი ეკლესიისა და მთელი მსოფლიოს წინაშე ღვთაებრივი განგებულების, ანუ ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების საქმეში, რაც გულისხმობდა წარმართი ერების, გზააბნეული პირმეტყველი სამწყსოს, ქრისტეს ნათელში, ჭეშმარიტ სარწმუნოებაში მოყვანას და ცხონების გზაზე დაყენებას.

ამიტომ რომ გადავლახო ჩემი გონების უმეცრება, წმიდა პეტრესა და პავლეს შევადარებ ორ დიდ მნათობს,[2] ანუ მზესა და მთვარეს და ამგვარად ოდნავ მაინც მივუახლოვდები მათი დიდებული საქმეების ღირსეულ დახასიათებას და თანაც არ დავისჯები, როგორც უმადური და დაუდევარი ღვთისმსახური.

შექმნათა წიგნის პირველ თავში მოსე წინასწარმეტყველი წერს, რომ ღმერთმა შექმნა ორი დიდი მნათობი: ერთი – მეტად დიდი, მეორე – შედარებით მცირე; დიდი მნათობი, ანუ მზე - დღის მბრძანებლად, ხოლო შედარებით მცირე მნათობი, ანუ მთვარე - ღამის მბრძანებლად. ცხადია, მათი შექმნა აუცილებელი იყო სამყაროს კეთილი მართვისა და გამგეობისათვის. იგივე ღმერთი როდესაც განკაცდა უკვე ეკლესიის დაფუძნებისა და გამტკიცებისათვის, ისევ შექმნა სხვა ორი დიდი მნათობი: ერთი დიდი, ანუ პეტრე, რათა იგი ყოფილიყო ჰურიათა შორის ღვთაებრივი შემეცნების დღის ბრძანებელი და მეორე მცირე, ანუ პავლე, როგორც წარმართთა შორის კერპთაყვანისმცემლობის ღამის მბრძანებელი, რომ სასწაულების და ჭეშმარიტი სწავლების ნათელით გაეგდო სიცრუის ბნელი ღრუბლები.

დავიწყოთ საუბარი დიდი მნათობით, მზით, და ვამბობთ, რომ ის არის ყველა სხვა ვარსკვლავის გვირგვინი და ყველას აღემატება თავისი ნათელით, რომ მთელ მსოფლიოს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, ყველა კუთხე-კუნჭულს ანათებს, ათბობს და ეფერება თავისი სხივებით. ვინ არ აღიარებს, რომ ყველა ეს თვისება შეესაბამება წმიდა პეტრეს ღირსებებს, რადგან ის იყო მოციქულთა თავი და პირველი მოწაფეთა შორის, რომელმაც, როგორც სხვა საიდუმლო მზემ, მთელ მსოფლიოში განავრცო მადლისა და სათნოებების სხივები. მან მოიარა მთელი ჰურიასტანი, ანტიოქია, პონტო, გალატია, კაპადოკია, ასია და ბითვინია და ღვთაებრივი სიტყვების ნათელით განაგდო ურწმუნოების სიბნელე და ყველა ავადმყოფს, გაჭირვებულსა და ეშმაკეულს ანიჭებდა განკურნების მადლს. ამ მზეს იმხელა დიდი ძალა და მადლი ჰქონდა, რომ თავისი ჩრდილითაც ახდენდა სასწაულებს, როგორცაა ეს მოთხრობილი მოციქულთა საქმის მე-5 თავში: „ვითარმედ უბანთაცა ზედა გამოაქუნდეს უძლურნი და დასდგმიდეს ცხედრებითა და საკაცებითა, რაითა მოსვლასა მას პეტრესა აჩრდილი ოდენ ვისმე მისი შეადგეს მათგანსა“.[3]

მზის სითბოს აქვს ხეებისთვის, ბალახებისთვის, ძვირფასი ქვებისა და მიწის ნაყოფისათვის სიცოცხლის, ზრდისა და ნაყოფის გამოღების ძალის მიცემის ბუნებრივი თვისება. ასევე პეტრე მოციქულის საიდუმლო მზის სიცოცხლის მომცემ სითბოს ასეთივე თვისებები აქვს; რადგან იმ მცირე სხივმაც კი, რომელიც მან გაუგზავნა იერუსალიმის ტაძრის „მშვენიერის“ სახელით ცნობილ კარიბჭესთან მჯდომარე დაბადებიდანვე მკელობელს, იმ წუთშივე განკურნა ის, უთხრა რა ეს სიტყვები: ,,მოიხილე ჩუენდა“, იმ წამსვე გაუმაგრდა ფეხის ტერფები და წვივები.

ამავე ცხოველსმყოფელი ძალით პეტრე მოციქულმა განკურნა და საწოლიდან წამოაყენა ვინმე კაცი, რომელსაც ერქვა ენეა, რომელიც რვა წლის განმავლობაში დავრდომილი იყო და ფეხზე ვერ დგებოდა. ასევე ქალაქ იოპეში მოახდინა სასწაული და მკვდრეთით აღადგინა მორწმუნე ქალი სახელით *– ტაბითა.*

მზეს აქვს სხვა თვისებაც. კერძოდ, ის აღწევს კარების ღრიჭოებში და კედლების ნაპრალებში, აღწევს სახლების სიბნელეში და ანათებს მათ. ასევე, პეტრე მოციქულსაც არ აკლდა ეს თვისება, როგორც ეს ნათქვამია იერემია წინასწარმეტყველის წიგნის მე-17 თავში: ,,ღრმაა ადამიანის გული და ვინ შეიცნობს მას“.[4] მოციქულმა თავისი ყოვლისმხედველი სხივებით გამოიძია და გამოამჟღავნა ანანიას და საფირას მატყუარა გონება და განზრახვა, რის შედეგადაც ისინი სიკვდილით დაისაჯნენ.

ასევე პეტრე მოციქულმა გამოამჟღავნა სვიმონ მოგვის გულის დაფარული განზრახვები, რის გამოც პირდაპირ ამხილა და უთხრა: ,,სიმწარედ ნაღვლისა და თანა შეკრულ ცოდვისა გხედავ შენ, შეინანე უკუე უკეთურებისა

ამისგან შენისა და ევედრე უფალსა, მი-ხოლო თუ-გეტეოს შენ უსჯულოებაი ეგე გულისა შენისაი".[5]

თუმცა ასტრონომებისა და მეცნიერების მიერ დამტკიცდა, რომ მზეზეც ჰქონია გარკვეული ლაქები (ეს ძველი ადამიანებისთვის უცნობი იყო,). მაშასადამე, ჩვენც ვაღიაროთ, რომ პეტრე მოციქულის საიდუმლო მზესაც აღმოაჩნდა გარკვეული ლაქები. განა რა იყო იმ ლაქაზე უფრო დიდი, როდესაც მღვდელმთავრის ეზოში სამჯერ უარი თქვა თავის მოძღვარზე? განა არ იყო დიდი ლაქა ის, რომ გეთსამანიის ბაღიდან გაიქცა და მიატოვა მაცხოვარი იესო ქრისტე? მაგრამ ეს ლაქები მან ჩამოირეცხა სინანულის ცრემლებით, რომლებსაც ხშირად ღვრიდა გულის სიღრმიდან, ჩამოირეცხა და გახდა სრულად წმიდა, როგორც განახლებული და კაშკაშა მზე.

წმიდა იოანე ოქროპირი 48-ე ფსალმუნის განმარტებაში წერს, რომ მრავალმა იმპერატორმა აღაშენა ციხე-სიმაგრეები და სასწაული შენობები, რომლებსაც დაარქვეს საკუთარი სახელები, მაგრამ ამით არავითარი სარგებელი არ მიუღიათ, რადგან წავიდნენ ამქვეყნიდან და ხშირ შემთხვევაში მათი სახელი არც არავის ახსოვს; ხოლო მეთევზე პეტრეს შემთხვევაში, რომელსაც არ გაუკეთებია არაფერი მსგავსი რამ, გარდაცვალების შემდეგაც ანათებს უფრო მეტად, ვიდრე მზე.

ახლა გადავიდეთ დიდი მნათობისგან მცირე მნათობზე, მზიდან - მთვარეზე, ნათელი ჭურჭლისგან - გამორჩეულ ჭურჭელზე, ანუ პეტრე მოციქულიდან - პავლე მოციქულზე.

ფილოსოფოსები დიდ ძალასა და ღირსების მქონეობას ანიჭებენ მთვარეს. უპირველეს ყოვლისა, ამბობენ, რომ ის არის ღამის სამკაული, მზის მსგავსი და ზღვის მბრძანებელი: ეს ღირსებები ნამდვილად შეესაბამება რჩეულ ჭურჭელსაც, ანუ პავლე მოციქულს, რომელიც არის ღამის სამკაული, რომელიც ღმერთმა გააგზავნა წარმართებში კერპთაყვანისმცემლობის სიბნელის გასანადგურებლად, ისევე, როგორც ამას ამბობს ისაია წინასწარმეტყველი: „დაგაყენე წარმართთა ნათლად სამყაროს კიდეებამდე, ცხონების გზის საჩვენებლად".

ღამის წყვდიადი მაშინ იყო გავრცელებული მთელ სამყაროში, როდესაც ვერცხლს და ოქროს, ძვირფას ქვებსა და ხეებს თაყვანს სცემდნენ, როგორც ღვთაებებს და ადამიანები მთელი თავიანთი სულიერი ძალებით ემსახურებოდნენ იმას, რაც უყვარდა ლუციფერს და ეშმაკებს. ადამიანებს, როგორც ჯოჯოხეთის ნაშობებსა და ბოროტების შვილებს, სხვა არაფერი სურდათ, გარდა ბოროტების, წარმართობის, ხორციელი ტრფიალის, უსირცხვილო წეს-ჩვეულებების, სიწმიდეების სრული დავიწყების, ვერცხლისმოყვარეობისა და ამპარტავნობის სიყვარულის გარდა; მაშინ უარყოფილი იყო ღვთის სჯული და ჭეშმარიტი სარწმუნოება და ადამიანები ემსახურებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ ხორციელ ვნებებს.

მაშასადამე, რომ განეგდო ღამის ეს სიბნელე და რომ გაენათებინა ეს მყრალი წყვდიადი, გამოარჩია ღმერთმა პაელე, რომ მთვარესავით გაენათებინა სამყარო და მოესპო კერპთაყვანისმცემლობის სიბნელე, როგორც ეს ნათქვამია წმიდა წერილში: ,,ერმა, რომელიც იჯდა ბნელსა შინა, იხილა დიდი ნათელი".

პავლე მოციქულს შეესაბამება სამყაროს მეორე მბრძანებლობაც, რადგან იგი მზის მსგავსია და პეტრესავით ყველაფერში სრულყოფილი აღმოჩნდა. მთელი ღირსებით შეგვიძლია გავიმეოროთ ისაია წინასწარმეტყველის სიტყვები: ,,და გაანათებს მთვარე, როგორც მზის ნათელი". და ვინ არ აღიარებს, რომ ჭეშმარიტად, პავლე მოციქული აღმოჩნდა პეტრე მოციქულის მსგავსი? ნამდვილად, პეტრე იყო თავმდაბალი ადამიანი, რადგან იმ სასწაულებრივ თევზებზე ნადირობის შემდეგ მან მაცხოვარ იესო ქრისტეს უთხრა: ,,განვედ ჩემგან უფალო, რამეთუ კაცი ცოდვილ ვარ მე". და უფრო მეტად თავმდაბალი გამოჩნდა ფერხთბანვის დროს, როდესაც მაცხოვარს უთხრა: ,,არასადა დამბანო ფერხნი ჩემნი". ასევე, უფრო თავმდაბალი აღმოჩნდა სიკვდილის ჟამს, როდესაც ისურვა ჯვარზე თავდაყირა დაკიდულიყო.

განა პავლე მოციქულიც არ მიემსგავსა პეტრეს თავმდაბლობით, როდესაც საკუთარ თავს თვლიდა ყველა მოციქულზე მდაბლად და მიიჩნევდა, რომ საერთოდ არც იყო ღირსი მოციქულად წოდებულიყო? საკუთარ თავს მიიჩნევდა ყველაზე უდიდეს და უპირველეს ცოდვილად და ამბობდა: ,,იესო ქრისტე მოვიდა ამ სოფლად, რომ აცხოვნოს ცოდვილები, რომელთაგან პირველი მე ვარ".

მომთმენი იყო პეტრე და მომთმენი იყო პავლეც. ორივემ სიხარულით დაითმინა საკრეველები, გვემა, საპყრობილე, დევნა და ასევე სიხარულითვე მიიღეს მაცხოვარ იესოს სახელისთვის შეურაცხყოფები. სიმწრით დაიტირა პეტრემ თავისი შეცდომა. ასევე პავლემაც რამდენი ცრემლი დაღვარა, როდესაც, უმეცრების გამო, იყო ღვთის ეკლესიის მგმობელი და მდევნელი. როდესაც მაცხოვარმა იესო ქრისტემ სამჯერ ჰკითხა პეტრეს: „სიმონ იონაისო, გიყუარ მეა?" - პეტრე მოციქულისთვის არ იყო იოლი მწუხარებით პასუხის გაცემა: ,,ჰე, უფალო, შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ". პავლე მოციქულიც იმდენად მხურვალე იყო ქრისტეს სიყვარულში, რომ არაფრად მიიჩნევდა მთელი სამყაროს არცერთ სიმდიდრესა და სიამეს და ამბობდა: ,,ვინ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესსა: ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამ ანუ ურვამან ანუ მახვილმან? რამეთუ მრწამს მე, ვითარმედ არცა სიკუდილმან, არცა ცხორებამან, არცა ანგელოზთა, არცა მთავრობათა, არცა ძალთა, არცა ამან სოფელმან, არცა სიმაღლეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხუამან დაბადებულმან შემიძლოს ჩუენ განყენებად სიყუარულსა ღმრთისასა".

პეტრე მოციქულის ჩრდილითაც კი ბევრი ავადმყოფი და არა წმიდა

სულით შეპყრობილი ადამიანი იკურნებოდა; ასევე პავლე მოციქულის სარტყლითა და სამოსლით განიდევნებოდა ყველა უძლურება და ბოროტი სული. პეტრემ აღადგინა შობითგან დავრდომილი ადამიანი, რომელიც იწვა ტაძრის კარებთან. იგივე გააკეთა პავლე მოციქულმაც ქალაქ ლისტრაში. პეტრემ მკვდრეთით აღადგინა ტაბითა, პავლემ კი მკვდრეთით აღადგინა ჭაბუკი ევტიხი, რომელიც სარკმლიდან გადმოვარდა. ორივენი იყვნენ ქრისტესთვის ღვაწლში, ტანჯვაში, ადამიანების სულების ცხონებისთვის მზრუნველობაში, სასწაულების აღსრულებაში, სიკვდილსა და დაფლვაში, რადგან ორივემ აღიარა ჭეშმარიტი სარწმუნოება რომში, ეწამა და დაიფლა.

როგორც უკვე ითქვა, მთვარის ერთ-ერთი ღირსება არის ზღვის მბრძანებლობა, რაც პავლესაც შეესაბამება, რადგან სამჯერ დაიმსხვრა ზღვაში ნავი, რომელშიც თვითონ იმყოფებოდა; მთელი ღამე და დღე გაატარა ზღვის სიღრმეში და მაინც დაამარცხა საშინელი ტალღები და მუდამ უვნებელი გამოდიოდა ზღვის განსაცდელებიდან.

ყველა სხვა თვისებასთან ერთად, მთვარეს აქვს ეს თვისებაც: როდესაც ის სავსეა ცის კამარაზე, ძაღლები, როგორც მტრები, თითქოსდა ბრძოლით, განუწყვეტლივ უყეფენ მას, რადგან ვერ იტანენ მის სინათლეს; მიუხედავად ამისა, ის მაინც რჩება წმიდად, სპეტაკად და დაუბრკოლებლად ანათებს და აგრძელებს თავის გზას ცის კამარაზე.

რამდენი ველური და ცოფიანი ძაღლი არ აღმდგარა პავლე მოციქულზე საყეფად. უყეფა მას მთელმა ეფესომ, რადგან გაცხადებულად ქადაგებდა, რომ ადამიანთა ხელებით ნაკეთი კერპები ღმერთები არ იყვნენ. უყეფეს იკონიაშიც, როდესაც წარმართებმა და ჰურიებმა განიზრახეს მისი ჩაქოლვა. უყეფა ელიმა მოგვმაც, რომელიც პავლე მოციქულის საიდუმლო მთვარის ნათელის გამო დაბრმავდა. ბოლოს რამდენიმე ჰურიამაც დაუყეფა, როდესაც თავისივე თავი დაიწყეველეს და დაიფიცეს, რომ მანამდე არაფერს შეჭამდნენ და დალევდნენ, სანამ არ მოკლავდნენ პავლეს.

მაგრამ ამ დევნის, გაჭირვებისა და მწუხარების მიუხედავად, მოციქულმა უშიშრად გააგრძელა თავისი გზა და სულ ამბობდა: „ვინ დამაშორებს ქრისტეს სიყვარულს? გაუშვი, იბრაზონ ჰურიებმა, ბოროტს განიზრახვიდნენ ტირანები, იყეფონ ცოფიანმა ძაღლებმა; მე მაინც გავივლი ჩემს გზას, ვიქადაგებ და დავიცავ ჭეშმარიტ სარწმუნოებას“. ვინ არ აღიარებს, რომ პავლე მოციქული ანათებდა წარმართებში ისე, როგორც სავსე მთვარე თავის დღეებში?

ეჭვგარეშეა, რომ წმიდა პეტრე ეკლესიაში იდგა, როგორც დიდი მნათობი, რადგან ანათებდა როგორც მაღალი ღმრთის მზე, ხოლო წმიდა პავლე იდგა როგორც მცირე მნათობი, მაგრამ ნათელით, სათნოებით, ღირსებითა და დიდებით თანასწორი მზისა.

ახლა მოვაბრუნებ ჩემს სიტყვას შენსკენ, ჰოი, ქრისტიანო ქვეყანავ და შენთან ერთად გავიხარებ, რადგან მფარველებად გყავს ორი მოციქულთა თავი

- პეტრე და პავლე და შენს გვირგვინში აღბეჭდილია ჯვრის სახე იმისათვის, რომ მარადის ცხოველსმყოფელი ძელის შეწევნისა და მფარველობის სასოებაა გქონდეს. ოდითგან ყორანი არ დაბრუნებულა ნოეს კიდობანში, რადგან წინასწარმეტყველი უფრო დიდი სიხარულის მოლოდინში იყო. ხოლო ახლა, ქრისტიანო ქვეყანავ, შენთან მოსულია სიხარული და მშვიდობა არა [მტრედით] ზეთისხილის ტოტით, არამედ - [არწივით] ნისკარტში ჯვრით. მოფრინდა შენს მკლავებში, პატიოსანო ქვეყანავ, დიდებული ფრინველი და აქებს და უგალობს, ერთი მხრივ, მზეს და, მეორე მხრივ, მთვარეს. როგორც მზე - მარჯვენივ, ხოლო მთვარე - მარცხნივ, ასევე არიან დიდებული მოციქულები პეტრე და პავლე, რაც იმის ნიშანია, რომ ისინი ზრუნავენ და იცავენ შენს ერს ერთნაირად როგორც კეთილმორწმუნეებს, ასევე ცოდვილებსაც; მართლებს მარჯვენივ, რადგან მზე ანათებს დღეს და არის სიმბოლო მადლისა, ხოლო ცოდვილებს მარცხნივ, რადგან მთვარე ღამე ანათებს და ღამე არის ცოდვის სიმბოლო.

გიხაროდენ და მხიარულ იყავ, რამეთუ ასეთი ორი დიდი მფარველი და მხურვალე მეოხი გყავს.

ხოლო თქვენ, დიდნო მოძღვარნო ამა სოფლისა, პეტრე და პავლე, მოხედეთ ამ ერისა და მთელი საქრისტიანოს მოშურნეობას, რომელიც თქვენ წინაშე დგას და ქებას აღავლენს და დაიცავით ისინი თქვენი შემწეობით და მხურვალე მეოხებით, დაიფარეთ თქვენი საფარველის ქვეშ და ორი დიდი მნათობის მსგავსად, გადმოგვხედეთ მათ, რომლებიც ვიმყოფებით სიკვდილის ჩრდილსა და წყვდიადში. გვანუგეშეთ ჩვენ, უღირსნი, რომლებიც გოდების უფსკრულში ვიმყოფებით. მეოხ იყავით ღვთივდაცული ერისთვის, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, სამეუფო მღვდლობისთვის და განსაკუთრებით ევედრეთ ჯვარცმულ მაცხოვარ იესო ქრისტეს, რომლის სახარებაც მაგდენი შრომით, დევნით, ტანჯვით, წამებით, საპყრობილით, ჯვრითა და სიკვდილით იქადაგეთ მთელ მსოფლიოში.

მრავალსა წელსა დაიცავით ჩვენი ქრისტიანი, კეთილმორწმუნე და თქვენი ღირსეული თაყვანისმცემელი, მთავარი [კონსტანტინე],[6] რომ მიეცეს მმართველობის სიბრძნე და ჩვენც, მასთან ერთად, გვქონდეს სულიერი და ხორციელი მშვიდობა, დაცულნი ვიყოთ ქრისტიანობის ყველა მტრისგან და ვიქადაგოთ მრავალი წელი თქვენი სახელი, აღვნიშნავდეთ თქვენს ღვაწლს და ვიზეიმოთ თქვენი დიდებული და ნათელი ხსენება. ამინ.

კომენტარები

ანთიმოზ ივერიელი ამ ქადაგებაში თეოლოგიური ჰერმენევტიკის ბრწყინვალე ნიმუშს გვივლენს.

[2] ამ მონაკვეთში ანთიმი იყენებს ალეგორიის მეთოდს.

საქმე 5, 15 შდრ.: „ვითარმედ უბანთაცა ზედა გამოაქუნდეს უძლურნი და დადგმიდეს ცხედრებითა და საკაცებითა, რაითა მოსლვასა მას პეტრესსა აჩრდილი ოდენ ვისმე მისი შეადგეს მათგანსა".

იერემია 17,9 შდრ.: „სიღრმითა გულისაითა უმეტეს ყოველთა, და კაცი არს, და ვინ იცნას იგი?"

ანთიმოზ ივერიელი გულისხმობს უნგრო–ვლახეთის სამთავრო გერბს, რომლის ცენტრშიც გამოსახულია ფრთებგაშლილი არწივი, რომელსაც ნისკარტში ჯვარი უჭირავს, ხოლო ჯვრის აქეთ–იქით ოქროსფერი მზე და მთვარეა. ანთიმოზი ასევე ცნობილია, როგორც უნიჭიერესი ჰერალდიკოსი, რომელსაც არაერთი უნიკალური გერბი შეუქმნია, მათ შორის ბრინკოვეანუს სამთავრო გვარის ხსენებული გერბის დახვეწაშიც მონაწილეობა მიუღია. ამ გერბს ანთიმოზი ხშირად ბეჭდავდა ხოლმე თავისი წიგნების თავფურცელზე და ეს გერბი რუმინეთის სახელმწიფოს თანამედროვე გერბის პროტოტიპად იქცა. რუმინეთის ამჟამინდელი გერბის ცენტრალურ ფიგურას ასევე ფრთებგაშლილი არწივი წარმოადგენს, რომელსაც ნისკარტში ჯვარი უკავია.

[6] კონსტანტინე ბრინკოვიანუ (+1714)-უნგრო-ვლახეთის მთავარი, ქვეყნის საერო ხელისუფალი ანთიმოზ ივერიელის მიტროპოლიტობის პერიოდში. მთავრის ქვეყანაში არყოფნის დროს უზენაესი ხელისუფლის უფლებამოსილებანი დროებით გადადიოდა უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტის ანთიმოზ ივერიელის ხელში. წმინდა ანთიმი და კონსტანტინე ცდილობდნენ, განეხორციელებინათ საერო და სასულიერო ხელისუფლებათა სიმფონიის პრინციპი. ოსმალეთის იმპერიისათვის სახელმწიფო ღალატის ბრალდებით კონსტანტინე ბრინკევიანუ და მისი ოთხი ვაჟიშვილი დააპატიმრეს. სტამბოლში გადაიყვანეს და 1714 წლის 14 აგვისტოს თავი მოჰკვეთეს. დასჯის წინ თურქები ამაოდ აიძულებდნენ რუმინეთის ხელისუფალს ისლამი მიეღო. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „უმჯობესია ათასჯერ მოკვდე, ვიდრე უღალატო რწმენას". რუმინეთის ეკლესიამ მონამეობრივად აღსრულებული მთავარი და მისი ვაჟები წმინდანებად შერაცხა.

ქადაგება №10

ქადაგება წმინდა მოციქულთასწორ მეფეთა კონსტანტინე და ელენეს ხსენების დღესასწაულზე[1]

,,დიდებითა და პატივითა გვირგვინოსანჰყავ იგი"

მდიდარ კაცს მეფისათვის ძვირფასი საჩუქრის მირთმევა შეუძლია, მცოდნეს - ღირსეული ხოტბის შესხმა, მე კი, უმწეოსა და გლახაკს, კეთილ საქმეებსა და ცოდნაში არ ძალმიძს უკეთესი ძღვენისა და ქების მიცემა ღვთის მიერ რჩეულისა, დიდებული მეფისა და მოციქულთასწორისა კონსტანტინესთვის, გარდა ჩემი მოდრეკილი თავისა და სულიერი თავმდაბლობისა, ამიტომაც მის სადიდებლად მსურს ვთქვა რამოდენიმე სიტყვა არა ამპარტავნებით, არამედ თავმდაბლობით, არა მაღალფარდოვანი და რიტორიკული გამონათქვამებით, არამედ უბრალო და მოკრძალებული სიტყვებით, არა ისე, როგორც შეჰფერის წმინდანს, არამედ როგორც ძალმიძს. ხოლო თქვენ, გთხოვთ, მომისმინოთ სიყვარულითა და ლმობიერებით.

მოკრძალებით მინდა ვკითხო წმინდა წერილისა და კერძოდ, სამოციქულოს მცოდნეთ: ღვთის იმ მრავალ ნიჭთაგან, რომლებითაც დაჯილდოვებული იყო წმინდა პავლე მოციქული, რომელი ნიჭი იყო ყველაზე დიდი და განსაკუთრებული, რომლის წყალობითაც გახდა იგი მთელ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი და გამორჩეული?

ზოგი ასახელებს ზეციურ მეცნიერებას, რომლის მეშვეობითაც მოციქულმა ისწავლა მრავალი ენა, საძირკვლიდან აღმოფხვრა წარმართობა და ქრისტეს სახელი და რწმენა იქადაგა სოფლის კიდემდე; ზოგი - ღვთაებრივ გამოცხადებებს, რამეთუ ჯერ კიდევ ხორცში ყოფნისას იყო აღტაცებული მესამე ცამდე, სადაც იხილა ზეციური მშვენება, მოისმინა ადამიანის მიერ გამოუთქმელი სიტყვები; ზოგი კი - სასწაულებს, რომლებიც შეუდარებლად სრულდებოდა მისი ხელით და ხალხს რწმენის ნათელს ჰფენდა; მაგრამ ყველა აღიარებს, რომ არცერთ ნიჭს ისე არ განუდიდებია პავლე მოციქული, როგორც მის მოწოდებას და ეს მართლაც ასეა, რამეთუ პავლეს მოქცევაში არც სხვა მოციქულთა ქადაგებას შეუტანია წვლილი და არც მათ სასწაულებს, არამედ ეს მოახდინა თავად ღვთის სიტყვამ. თანაც, აღსანიშნავია, რომ ძე ღვთისამ უშუალოდ პავლესათვის გააკეთა ის, რაც სხვა დროს მთელი კაცობრიობისთვის ჰქონდა გაკეთებული, კერძოდ, პირველად თუ ყველა ადამიანისთვის მოხდა მაცხოვრის განკაცება, მერე უკვე მხოლოდ პავლეს მოსაქცევად გადმოვიდა იესო ქრისტე ზეცით და მთელი თავისი ღვთაებრივი დიდებით ხორციელად გამოეცხადა.

ღვთის მოწოდებას ისე განუდიდებია ნეტარი პავლე, რომ სხვა მოციქული და მოწამენი ვერ მოდიან მასთან ახლოს. მის მსგავსად დიდი კონსტანტინეც ასევე მოწოდებით მოექცა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე და მასავით უშუალოდ ზეციდან მიიღო ეს მოწოდება!

როგორც ლუკა მოციქული მოგვითხრობს, დამასკოს გზაზე პავლეს ნათე-

ლი მოეხვია და მოწოდების ხმაც მოესმა. ასევე მემატიანის აღწერით, წმინდა კონსტანტინემაც იხილა ვარსკვლავების ნათელით ზეცაში დაწერილი სიტყვები და გაიგონა ხმაც, რომელმაც უთხრა: „ამით სძლებ!"[2] პავლესაც და კონსტანტინესაც გამოცხადება შუადღეზე ჰქონდათ; პავლეს ჯვარცმული ქრისტე გამოეცხადა, კონსტანტინეს კი - ჯვარი ქრისტესი.

იმ დროს, როდესაც წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „სიტყვები არ მყოფნის, რომ აღვწერო პავლეს სიდიდეო", მე, რომელსაც არ მაქვს წმინდა იოანეს ოქროს პირი, გული და მჭერმეტყველების ნიჭი, რა სიტყვები მოვძებნო დიდი კონსტანტინეს საქებლად, რომელმაც მოწოდებით მიიღო პავლე მოციქულის მადლი?! ამიტომაც ვუწყი რა ჩემი ცოდნის სიმწირეს, არ აღვწერ წმინდა მეფის ყველა დიდებულ საქმეს, არამედ მხოლოდ მცირედი სიტყვებით შემოვიზღვრები.

წმინდა კონსტანტინეს ეკლესია სამი ტიტულით მოიხსენიებს: ღვთივგვირგვინოსანი, დიდი მეფე და მოციქულთასწორი. დავიწყოთ თავიდან: რატომ იწოდება იგი ღვთივგვირგვინოსნად?

პირველი - სხვა მეფეებს ადამიანები ირჩევენ მეფეებად და ძვირფასი ქვებით მორთულ ოქროს გვირგვინებს ადგამენ თავზე. ხოლო დიდი კონსტანტინეს შემთხვევაში, მისი კეთილი და სუფთა გულის გამო, თავად ღმერთმა გამოარჩია წარმართთაგან, ვითარცა პავლე ჰურიათაგან. ზეციური ხმით მოუწოდა მეფობისაკენ და როგორც დავით წინასწარმეტყველი წერს: ,,დაადგა თავსა მისსა გვირგვინი ქვისა მისგან პატიოსნისა და ხმალი სათნოებისა შეარტყა მას. ჟამთააღმწერელიც მოგვითხრობს, რომ განთიადისას გამოეცხადა სიზმრად კონსტანტინეს თავად უფალი იესო ქრისტე და აუწყა: ,,ნიშანი, რომელიც ზეცაში გიჩვენე, არის იარაღი, რომლითაც კაცთა მოდგმა ვიხსენი ბოროტისაგან, ატარე იგი შენს წინაშე, ვითარცა იარაღი მაღლა აღმართული და ამით სძლო ყოველთა მტერთა ერისათა, რომელიც მოგეცა ჩემგან სამწყსოდ და მარადის იქნები მძლე და მხსნელი!"

მეორე - მეფობა არის სრულყოფილი ნიჭი, რომელიც მამისაგან ნათლისათა გადმოდის ზეცით რჩეულთა და სათნოებით შემოსილთა ზედა. წმინდა კონსტანტინე სულიერი ღირსებებისათვის გამოარჩია ღმერთმა, რათა გამხდარიყო ქრისტიანთა პირველი მეფე, რათა გაემწარებინა სატანა, დაეცვა ქრისტეს სამწყსო გონიერ მგელთაგან და სულიწმიდის იარაღით განებნია იგინი, კვლავ აეღორძინებინა ეკლესია, რომელიც მანამდე საუკუნეების განმავლობაში ტირანთა მიერ ტანჯული მათ ფეხქვეშ კვნესოდა! მეფის გვირგვინი გაყოფილია მღვდელმთავრის მიტრისაგან, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მეფეს არ გააჩნია [ეპისკოპოსის] სასულიერო ხარისხი, ის მაინც იღვწის ერის სიკეთისა და კეთილდღეობისთვის[3] როგორც ხორციელ და წარმავალ, ასევე სულიერ და მარადიულ საკითხებშიც. შესაბამისად, ეპისკოპოსებთან ერთად მეფეები მოციქულთასწორის საზღაურს იღებენ. მოციქულები კი ეკლესიის მეუფენი და მღვდელმსახურნი არიან, რამეთუ ღმერთთან ერთად იღწვიან სოფლის ცხონებისათვის.

ამიტომ სრულიად მართებულად უთხრა დიდმა კონსტანტინემ პირველ

მსოფლიო საეკლესიო კრებაზე შეკრებილ წმინდა მამებს: ,,თქვენ ეკლესიასა შინა ხართ დადგენილი ეპისკოპოსებად, ხოლო მე კი ეკლესიის გარეთ არსებულ საქმეთათვის დამადგინა ღმერთმა ეპისკოპოსადო!“

აქედან გამომდინარე, მსოფლიოს მეფეებმა და ხელმწიფეებმა არ უნდა იფიქრონ, თითქოს მხოლოდ იმისთვის დაადგინა ისინი ღმერთმა სახელმწიფოთა სათავეში, რომ მშვენიერ ტახტებზე, ძვირფას სამოსელში, ოქროს გვირგვინითა და სკიპტრით ხელში ისხდნენ ხალხის თვალის მოსაჭრელად, რადგან მხოლოდ სამართლიანობით იძენს მეფე პატივისცემას ადამიანთა თვალში. ასევე ბრძენი ისიოდე ბრძანებს,[4] რომ ორი რამისთვის დაიდგინეს ადამიანებმა მეფენი: პირველი – აღასრულონ სამართალი და მეორე – გამოასწორონ ყველანაირი სიმრუდე. ამიტომაც დავით წინასწარმეტყველი ერის სახელით ამბობს: „ღმერთო, სასჯელი შენი მეფესა მიეც და სიმართლე შენი ძესა მეფისასა, განსჯად ერისა შენისა სიმართლით და გლახაკთა შენთა განკითხვით.“ ნეტარია ის ერი, რომელიც ცხოვრობს ისეთ ქვეყანაში, სადაც სამართალი სუფევს. ასევე ერთ ფილოსოფოსსაც უთქვამს, რომ ნაყოფიერ წელს არ მოაქვს იმდენი სიმდიდრე ქვეყნისათვის, როგორც სამართლიანი ხელმწიფის მმართველობას. ასევე სხვა ფილოსოფოსსაც ჰკითხეს: „რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელმწიფისათვის, რომ მისმა ქვეშევრდომებმა იცხოვრონ კეთილად და ყველაფრით უზრუნველყოფილებმა?“ ბრძენმა ფილოსოფოსმა უპასუხა: „უნდა იყოს განურჩევლად ყველასათვის თანაბრად სამართლიანიო!“

რაც შეეხება მეორე ტიტულს, რატომ მოვიხსენიებთ წმინდა კონსტანტინეს დიდ მეფედ? შეიძლება ბევრმა თქვას, იმიტომ რომ ღვთივგვირგვინოსანი იყოო, ანუ როგორ არ იქნებოდა დიდი მეფე, თუ ის თავად ღმერთმა გამოარჩია და აკურთხაო. მართალია, მე არ ვიტყვი, რომ ასეთი განმარტება არასწორია მეთქი, მაგრამ ნახეთ, რას წერს ევსევი კესარიელი: „მეფე კონსტანტინეს ხალხმა უწოდა “დიდი” არა მხოლოდ მისი მნიშვნელოვანი სამხედრო გამარჯვებებისათვის, არამედ იმ მრავალრიცხოვანი კეთილი საქმეებისთვის, რაც მან თავისი ქვეშევრდომებისათვის გააკეთა. მეფე ვერ იყო ხოლმე მშვიდად, თუ ერთ ადამიანს მაინც ხედავდა მწუხარეს. ტანსაცმელსა და საკვებს გაჭირვებულები მხოლოდ მისგან იღებდნენ.[5] ძალიან ბევრი ადამიანი მიდიოდა მასთან დახმარების მისაღებად და არავინ ბრუნდებოდა ხელცარიელი და ნუგეშის გარეშე.“ ჟამთააღმწერლის ეს სიტყვებიც, რა თქმა უნდა, სწორია. თუმცა არც მხოლოდ დიდი ქველმოქმედებისათვის ვეძახით წმინდა კონსტანტინეს ,,დიდს” და აქ მინდა გავიხსენო დავით მეფის წინასწარმეტყველება, რომელიც 70-ე ფსალმუნშია ნათქვამი: ,,და თაყვანი სცენ მას ყოველთა მეფეთა ქუეყნისათა და ყოველნი ერნი ჰმსახურებდნენ მას”. მე ვთვლი, რომ ეს წინასწარმეტყველება მხოლოდ დიდი კონსტანტინე მეფის დროს აღსრულდა, რადგან მხოლოდ მას ემორჩილებოდა იმხანად მსოფლიოს ყველა მეფე და რადგან იგი თაყვანს სცემდა ქრისტეს და ჭეშმარიტი სარწმუნოების მიმდევარი იყო, ყველა მეფემ მიბაძა მას და თაყვანი სცა წმინდა სამებას. სწორედ ამის გამო ვეძახით წმინდა კონსტანტინეს „დიდს“, რომ იმდროინდელ სამყაროში ის ყველა მეფეს წინამძღოლობდა. იგი იყო დიდი, რადგან ქრისტეს ეკლესიის დამცველად მოევლინა და მისი კეთილმორწმუნეობის საზღაურად დაუმორჩილა ღმერთმა მთელი

სამყარო იმდენად, რომ კონსტანტინე მეფესთან ინდოეთიდანაც კი მივიდნენ ელჩები ძღვენით და თაყვანი სცეს მას, როგორც უძლეველ მეფესა და სამართლიან მბრძანებელს, რამეთუ მისი სამხედრო სიძლიერე და ქრისტიანული სიმტკიცე მთელმა მსოფლიომ შეიტყო და აღიარა.

რაც შეეხება მესამე ტიტულს, რატომ ვუწოდებთ მას მოციქულთასწორს? მას არც ქალაქებსა და სოფლებში უვლია და უქადაგია ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოება, არც სიცხესა და უამინდობაში უვლია მშიერ-მწყურვალს ფეხით, პეტრესავით ციხეში ყელზე ჯაჭვით დაბმული არ დაუმწყვდევიათ, პავლეს მსგავსად არ უცემიათ ჯოხებით, ანდრიასავით ძელზე არავის უცვამს და სხვა მოციქულთა მსგავსად არ უწამებიათ და მოუკლავთ. მაშ, რატომ იწოდება მოციქულთასწორად?! იმიტომ რომ, რაც მოციქულებმა ქადაგებებითა და მოღვაწეობით გააკეთეს, წმინდა კონსტანტინემ ის პირადი მაგალითით შეძლო, რადგან მეფეთა და ქვეყნის მმართველთა სიძლიერე გამოიხატება ხალხის დაყოლიებაში, მაგრამ ამას ვერ მიაღწევენ, თუ თავდაპირველად თვითონვე არ მოიქცევიან ისე, როგორ ქცევასაც სხვებისაგან ელოდებიან. მაგალითად, ასე მოიქცა ჩინეთის მეფე ტუმჩიუნი, როდესაც ჯერ თვითონ ჩაჰკიდა ხელები გუთანს და მიწის ხვნა დაიწყო, რის შემდეგაც უკვე მთელმა ერმა მიჰბაძა მას და შრომას შეუდგა. ალექსანდრე მაკედონელმაც ტირის კუნძულის შემოვლისას ჯერ თვითონ აიკიდა ბეჭებზე ხის მორი, რის მერეც მთელმა მისმა ჯარმა დაიწყო ხეებისა და ქვების ზიდვა, ააგეს ხიდი და განაგრძეს გზა გამარჯვებისკენ. ასევე წმინდა კონსტანტინემაც საკუთარი მაგალითით მოუწოდა ყველა ქვეშევრდომს და ქრისტეს მორწმუნედ აქცია. იგი სრულიად სამართლიანად იწოდება მოციქულთასწორად, რადგან თავისი კანონებითა და ბრძანებებით დაასრულა მოციქულთა მიერ ქადაგებებით დაწყებული საქმე და ქრისტეს სახელი და ჭეშმარიტი სარწმუნოება მთელ მსოფლიოში გაავრცელა.

იმდენად, რამდენადაც წმინდა კონსტანტინემ თავისი თავმდაბლობით, კეთილი საქმეებითა და სრულყოფილი ქრისტიანული რწმენით ეს სამი ტიტული მოიპოვა, ვისღა შეეპარება ეჭვი იმაში, რომ მას დიდი კადნიერება გააჩნია ღვთის წინაშე.

სწორედ ამიტომ, ჩემი უღირსობისდა მიუხედავად, შევთხოვ წმინდა კონსტანტინეს, თავის მხურვალე ლოცვებში მოიხსენიოს შენი პატიოსანი და ბრწყინვალე უდიდებულესობა და ევედროს მრავალმოწყალე ღმერთს, რომ მრავალს ბედნიერად, კეთილდღეობითა და ჯანმრთელობით დაგასწროს შენ, ამინ!

კომენტარები:

ამ ჰომილიტიკური ხასიათის ქადაგებაში, მორალური პლანის გვერდით ნათლად იკვეთება ანთიმოზ ივერიელის პოლიტიკური მრწამსი, კერძოდ, განსაკუთრებული ინტერესი ეკლესიისა და სახელმწიფოს იდეოლოგიურ პრინციპზე, სახელმწიფოს მმართველის თვისებებზე და მის მიერ გატარებული პოლიტიკის პრიორიტეტებზე.

XVIII ს-ის დასაწყისის ევროპულ კონტექსტში, კონკრეტულად რუმინეთის დასავლეთ

საღვარზე კათოლიკური იდეოლოგიური ექპანსიის-უნიატობის გავრცელებისა და კათოლიკობაზე მოსახლეობის დიდი ნაწილის ძალით გადმოყვანის პირობებში, (Preot Prof. Dr. Mircea Pacurariu, Istoria Bisericii Ortodoxe Romane, Editura Episcopiei Dunarii de Jos, Galati, 1996. გვ.250) რასაც უცილობლად პოლიტიკური დამოუკიდებლობის არსებითი შეზღუდვაც მოჰყვებოდა. კათოლიკური იდეოლოგიის მიხედვით საერო-პოლიტიკური და საეკლესიო ხელისუფლების ლეგიტიმური მფლობელი მხოლოდ რომის პაპია. ამის საწინააღმდეგოდ, წმინდა ანთიმოზ ივერიელს წინა პლანზე გადმოაქვს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის მართლმადიდებლური კონცეფცია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა წმინდა კონსტანტინე დიდმა. ეს მოდელი აღმოსავლეთ ევროპაში უკვე IV საუკუნიდან, ანუ წმინდა მეფე კონსტანტინე დიდის მმართველობიდან იმკვიდრებს. იგი გულისხმობდა თანაბარ, აქტიურ თანამშრომლობას და გამორიცხავდა პოლიტიკურ დაპირისპირებას. ამ კონცეფციის მიხედვით ორივე მხარე თანამშრომლობს ერის სულიერი თუ მატერიალური სიჯანსაღის გამყარების საქმეში და მათ შორის ყალიბდება ჰარმონიული ურთიერთობა (Bejan S., Raporturile dintre Biserică şi Stat, în „Biserica Ortodoxă Română", Anul XL, No. 2 (488), noiembrie, 1921 გვ,191) ერის კეთილდღეობა არ განისაზღვრება მხოლოდ მატერიალური პარამეტრებით, მას ასევე სჭირდება სულიერი საზრდოც. ამიტომ ჯანსაღ საზოგადოებაში ეკლესია და სახელმწიფო არ უპირისპირდებიან ერთიმეორეს, არამედ თანამშრომლობენ. წმინდა ანთიმოზი თავის ქადაგებაში აღნიშნავს, რომ „მეფის გვირგვინი გაყოფილია მღვდელმთავრის მიტრასგან". მიუხედავად იმისა, რომ მეფეს არ გააჩნია სასულიერო ხარისხი, ის მაინც იღვწის ერის სიკეთისა და კეთილდღეობისთვის როგორც ხორციელ და წარმავალ, ასევე სულიერ და მარადიულ საკითხებშიც. შესაბამისად, ეპისკოპოსებთან ერთად მეფეები მოციქულთასწორის საზღაურს იღებენ. მოციქულები კი ეკლესიის მეფენი და მღვდელნი არიან, რამეთუ ღმერთთან ერთად იღწვიან სოფლის ცხოვნებისათვის. იმავე იდეის გასამტკიცებლად წმინდა ანთიმოზ ივერიელი ქადაგების სხვა ადგილას საგანგებოდ იხსენებს კონსტანტინე დიდის მიერ პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევის ფაქტს და ამ კრებაზე მეფის მიერ ნათქვამ სიტყვებს: „თქვენ ეკლესიასა შინა ხართ დადგენილი ეპისკოპოსებად, ხოლო მე კი ეკლესიის გარეთ არსებულ საქმეთათვის დამადგინა ღმერთმა ეპისკოპოსად" ამ ორ ციტატაში გამოიხატა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მართლმადიდებლური მიდგომა. მეფის გვირგვინი და მღვდელმთავრის მიტრა, ანუ საერო და საეკლესიო ხელისუფლებები, გაყოფილია. მეფე შეიძლება იწოდებოდეს ეპისკოპოსად, მაგრამ მხოლოდ ეკლესიის გარეთ არსებული ანუ საერო პრობლემებისთვის. ასევე მოციქულიც, ან მისი მემკვიდრე ეპისკოპოსი, არის მეფე, მაგრამ მისი ძალაუფლება მხოლოდ ეკლესიით შემოისაზღვრება, სასულიერო ხარისხი და მადლი თავის თავში არ მოიცავს საერო პოლიტიკურ ფუნქციებს. მეფე ეხმარება ეკლესიას, მაგრამ არ ერევა მის შიდა საქმეებში. კერძოდ, მეფე შეიძლება იყოს საეკლესიო კრების მოწვევის ინიციატორი, მაგრამ თვითონ არ იღებს მონაწილეობას მისი მსვლელობის პროცესში და ასევე არ ახდენს ზეგავლენას გადაწყვეტილებების მიღებაზე. ჩვეულებრივ, კრება სუფთა რელიგიური ხასიათის საკითხებს განიხილავს, მაგრამ იმით, რომ გადაილახება სარწმუნოებრივი პრობლემები და უთანხმოებები, სახელმწიფოში მცხოვრებ ადამიანებშიც მყარდება ზნეობრივი პრინციპები, მცირდება ყველა სახის დანაშაულობები და დაპირისპირება.

ანთიმოზ ივერიელი განსაკუთრებულად ლაპარაკობს წმინდა კონსტანტინე დიდის ღვთაებრივ მოწოდებასა და რჩეულობაზე: „სხვა მეფეებს ადამიანები ირჩევენ მეფეებად

და ძვირფასი ქვებით მორთულ ოქროს გვირგვინებს ადგამენ თავზე, ხოლო დიდი კონსტანტინეს შემთხვევაში, მისი კეთილი და სუფთა გულის გამო, თავად ღმერთმა გამოარჩია. "მაგრამ ეს რჩეულობა არის უშუალოდ ღვთისგან ბოძებული განსაკუთრებული ნიჭი და არა ეკლესიის ან, მითუმეტეს, რომის პაპის მიერ მიცემული ლეგიტიმაცია. „როგორც პავლე მოციქულმა, ასევე [კონსტანტინე მეფემაც] უშუალოდ ზეციდან მიიღო თავისი მოწოდება"აღნიშნავს წმინდა ანთიმოზ ივერიელი.

[2] კონსტანტინე დიდის თანამედროვე ისტორიკოსები – ევსები კესარიელი და ლაქტანცი, მოგვითხრობენ მეფის ქრისტიანობაზე მოქცევის ამბავს: თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგე სარდალთან მაქსენტისთან გადამწყვეტი ბრძოლის წინა დღეს, 312 წლის 28 ოქტომბერს, როდესაც კონსტანტინე. 20.000 ჯარისკაცით უპირისპირდებოდა მაქსენტის 150.000 ჯარისკაცს, შუადღის საათზე კონსტანტინემ ცაზე მზის თავზე დაინახა გაბრწყინებული ჯვარი წარწერით – in hoc vinces (ამით სძლებ). ღამე უკვე ძილში კონსტანტინეს გამოეცხადა თავად მაცხოვარი იესო ქრისტე ჯვრით ხელში, რომელმაც უბრძანა, რომ ბრძოლის დროს მის ჯარს აუცილებლად წინ უძღოდეს ჯვრიანი დროშები. მეფემ ზუსტად შეასრულა ხილვაში მისთვის მოცემული ბრძანება, რამაც მისი სამხედრო გამარჯვება და ქრისტიანობაზე მოქცევა განაპირობა.

[3] ამ სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ მეფის ინსტიტუტის წარმოშობა არ მომდინარეობს რაღაცა ზებუნებრივი ძალიდან ან კათოლიკური ეკლესიიდან, არამედ ხალხისაგან, ჩვეულებრივი ადამიანებისგან, შესაბამისად, რომის პაპს არ ხელეწიფება ჩარევა ქვეყნის მმართველთა არჩევასა და დადგენაში. ეს ძალზე მნიშვნელოვანი პოზიციაა, რადგან ამით ანთიმოზ ივერიელი პრაქტიკულად იცავს ვლახეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას რომის ეკლესიის პრეტენზიებისაგან მსოფლიო პოლიტიკურ ჰეგემონიაზე. მართალია, იმ პერიოდში ქვეყანა ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ოსმალეთის იმპერიასთან, მაგრამ ქართველ წმინდანს კარგად ესმოდა, რომ უფრო მარტივია იარაღით დაკარგული დამოუკიდებლობის დაბრუნება, ვიდრე იდეოლოგიური ბორკილებისაგან გათავისუფლება.

აქ წმინდა ანთიმოზი განსაკუთრებით გამოყოფს სახელმწიფოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს - სამართლიანობის დაცვას.

[5] ეს ფრიად მნიშვნელოვანი განცხადებაა, რადგან თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური აზროვნება ან საერთოდ გამორიცხავს, ან ნაკლებ ყურადღებას უთმობს ერის სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მატერიალურ, კულტურულ და ინტელექტუალურ მოთხოვნილებებთან ერთად რელიგიური ცხოვრება ადამიანის არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული ეკლესიის საქმიანობას და იზრუნოს ერის სულიერ სიჯანსაღეზე.

ქადაგება №11

სწავლება მაცხოვარ იესო ქრისტეს წინადაცვეთაზე

,,და როცა გასრულდა რვა დღე ყრმის წინადასაცვეთად, უწოდეს მას სახელად იესო, ჩასახვამდე დარქმეული ანგელოზის მიერ".[1]

შექმნათა წიგნის მე-17 თავში ნათქვამია, როგორ დადო ღმერთმა აბრაამთან აღთქმა და ჭეშმარიტების ნიშნად უბრძანა: "ეს არის აღთქმა, რომელსაც დაიცავ, ჩემსა და თქვენ შორის და შენ შემდეგ, შენს თესლს შორის, მათს მოდგმაში: წინადაიცვეთოს თქვენგან ყოველი წული და იქნება ჩემი აღთქმა თქვენს ხორცზე საუკუნო აღთქმად. და დაუცვეთელი მამაკაცი, რომელიც არ დაიცვეთოს ხორცს თავისი დაცვეთილობისას მერვე დღეს, მოიკვეთება ის სული თავისი მოდგმიდან, რადგან ჩემი აღთქმა დაარღვია".[2] ამ წინადაცვეთილობის დაწესებით ღმერთმა ინება ოთხი რამის ჩვენება: პირველი - ის, რომ ღვთის მორწმუნენი გარეგნული ნიშნითაც უნდა ყოფილიყვნენ გამორჩეულნი; მეორე - ის, რომ აბრაამის მოდგმა პირვანდელი ცოდვისგან უნდა გათავისუფლებულიყო; მესამე - ის, რომ აბრაამი უნდა გამხდარიყო მრავალრიცხოვანი მორწმუნე ერის მამა, მატარებელი იმ სარწმუნოებისა, რომლის ერთგულიც იყო თავად აბრაამი; და მეოთხე - ის რომ აბრაამის შთამომავლებიდან უნდა დაბადებულიყო მაცხოვარი იესო ქრისტე.

მაშასადამე, ამ აღთქმის ნიშნად, რომელიც დაიდო ჩვენთან, ქრისტემაც მიიღო წინადაცვეთა, როგორც ეს არის მოთხრობილი ლუკას სახარებაში: „და ვითარცა აღესრულნეს დღენი იგი რვანი წინადაცუეთისა მისისანი, და უწოდეს სახელი მისი იესუ,"[3] და ეს სახელი ჭეშმარიტად არის ყველა სხვა სახელზე უზენაესად დიდებული, რადგან, როგორც განმარტავს თავად ნეტარი პავლე, ეს სახელი „ითარგმანება, როგორც მაცხოვარი". სხვა მრავალი სახელწოდებებითაც შესაძლებელია დამტკიცდეს, რომ იესო ჭეშმარიტად არის კაცობრიობის მაცხოვარი, მაგრამ, განსაკუთრებით, ეს ცხადი ხდება შემდეგი რვა ეპითეტ სახელწოდებიდან, რომლებსაც მიაკუთვნებენ მას:

უპირველეს ყოვლისა, მას ვეძახით *„საუკუნო ცხოვრებას"*, როგორც ეს ნათქვამია იოანეს სახარების მე-17 თავში: „და ესე არს ცხორებაი საუკუნოი. რაითა გიცოდიან შენ მხოლოი ჭეშმარიტი ღმერთი და რომელი მოავლინე იესუ ქრისტე".[4]

მეორე მისი სახელწოდება არის *„დიდება"*, როგორც ამას ბრძანებს დავით წინასწარმეტყველი: „განვძღე გამოჩინებასა დიდებისა შენისასა".

მესამე, რაც მას ეწოდება არის *„განსუენება"*, რადგან თავად იესო ქრისტე

ბრძანებს: „აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთაჲ“.

მეოთხე, მას ეწოდება *„სიხარული“*, რადგან ნათქვამია იოანეს გამოცხადების მე-19 თავში: ,,ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ და მივსცეთ მას დიდებაი, რამეთუ მოვიდა ქორწილი კრავისაი (ანუ ქრისტესი), და ცოლმან მისმან განმზადა თავი თვისი“, (ანუ ეკლესია).[5]

მეხუთე, მას ეწოდება *„სასუფეველი“*, რადგან ასე მიმართავს მაცხოვარი იესო ქრისტე მართალ ადამიანებს საშინელ სამსჯავროზე: „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკჳდრეთ დასაბამითგან სოფლისაჲთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი“.

მეექვსე ეპითეტი მას ეწოდება *„გვირგვინი“*, რადგან ასე ბრძანებს იოანე მოციქული გამოცხადებაში: „გეპყრას, რაც გაგაჩნია, რათა არავინ წარგტაცოს შენი გვირგვინი“.

მეშვიდე, რაც მას ეწოდება არის *„ტალანტი“*, რადგან ნათქვამია მათეს სახარების მე-20 თავში: ,,და ვითარცა შემწუხრდა, ჰრქუა უფალმან სავენახისამან ეზოის-მოძღვარსა თვისსა: მოუწოდე მუშაკთა მათ და მიეც მათ სასყიდელი: იწყე უკანასკნელთაგან, ვიდრე პირველთამდე. მოვიდეს მეათერთმეტისა ჟამისანი იგი და მიიღეს თითოი დრაჰკანი“.[6]

მერვე, მას ეწოდება *„სერობა“*, რადგან ასეა ნათქვამი ლუკას სახარების მე-14 თავში: ,,კაცმან ვინმე ყო პური დიდი და მოუწოდა მრავალთა.[7] და იწყო თითოეულმან ყოველმან ჯმნად. პირველმან მან ჰრქუა მას: აგარაკი ვიყიდე და უნებელი ზედა-მაც მისვლად და ხილვად იგი.[8] და სხვამან თქუა: უღლეული ხართაი ვიყიდე ხუთი და მივალ გამოცდად მათა.[9] და მერმე სხუამან ჰრქუა: „ცოლი შევირთე და მის გამო ვერ ხელ-მეწიფების მოსვლად“,[10] ამ ადამიანებში იგულისხმებიან ცოდვილნი და ამა სოფლის სიამის მოყვარულნი, რომლებიც არ ელირსებიან სერობის ტრაპეზს და ვერ იხილავენ ღვთის სახეს.

მაშასადამე, ამ სახელწოდება–ეპითეტებში, რომლებიც დავასახელეთ, მოიაზრება იესო მაცხოვარი, რადგან მან აცხოვნა კაცობრიობა ეშმაკის ბატონობისგან და გვიჩვენა მარადიული ცხოვრების გზა.

და მიიღო წინადაცვეთა, რომ განცხადებულიყო ორი რამ: პირველი - რომ უნდა აღსრულებულიყო ყოველი რჯული, მით უმეტეს, რომ თავად იყო სჯულმდებელი ღმერთი და ამით სჯულის მიმართ მორჩილების მაგალითი მოგვცა; და მეორე - უნდა დახშულიყო მწვალებელთა, მგმობელთა და ცილისმწამებელთა პირნი, რომელნიც ამბობდნენ, რომ ვითომ ძე ღვთისა არ განკაცებულა და მხოლოდ მოჩვენებით დაბადებულაო.

ხოლო მაცხოვარმა იესო ქრისტემ წინადაიცვეთა ზუსტად მერვე დღეს იმიტომ, რომ ეს უნდა გამხდარიყო მისი მეორე მოსვლისას საშინელი სამსჯავროთი მერვე საუკუნის წინადაცვეთის წინასახე.[11] რადგან, როგორც ორპირი

მახვილით, იგი სამყაროსგან მოკვეთს ყველა ბოროტებას და ყოველგვარ უსამართლობას და ცოდვილებს შთააგდებს ჩაუქრობელი ცეცხლის გულში, ისევე შეკრებს მართლებს ცათა სასუფეველში, რომელიც, დაე, გვებოძოს ჩვენ ყოველთა. ამინ!

კომენტარები:

ლუკა. 2,21

[2] შდრ.: დაბ. 17, 10-14 „და ესე არს აღთქუმაჲ, რომელ დაიმარხო შორის ჩემსა და თქუენსა და შორის ნათესავისა შენისა შემდგომად შენსა ვიდრე ნათესავთამდე, წინა-დაიცკთოს თქუენმან ყოველმან წულმან. და წინა-დაიცკთოთ ჴორცი წინა-დაუცველობისა და იყოს სასწაულ აღთქუმისა ჩემდა და თქუენდა. და ყრმამან რვისა დღისამან წინა-დაიცვითოს თქუენმან ყოველმან წულმან ნათესავსა შორის თქუენსა, სახლისწულმან და ვერცხლით ფრდილმან ყოვლისაგან ძისა უცხოჲსა, რომელ არს თესლისაგან შენისა, წინა-დაცველთით წინა-დაიცვითოს სახლისწულმან სახლისა შენისამან ღა ვერცხლით ფრდილმან. და იყოს აღთქუმაჲ ჩემი ჴორცსა ზედა თქუენსა აღთქუმაჲ საუკუნოჲ. და წულმან რომელმან არა წინა-დაიცვითოს ჴორცი წინა-დაუცველობისა მისისა, მოისპოს სული იგი ნათესავისაგან მისისა, რამეთუ აღთქუმაჲ ჩემი განაქარვა.“

[3] ლუკა. 2,21

იოანე. 17,3

[5] გამოცხ. იოანესი. 19.7; ქადაგების ამ ტექსტში წმ. ანთიმოზს მოტანილი აქვს საკუთარი განმარტებები ფრჩხილებში. იგი ასე განმარტავს კრავს და ცოლს „ქორწილი კრავისაი (ანუ ქრისტესი), და ცოლმან მისმან განამზადა თავი თვისი”, (ანუ ეკლესია).

[6] მათე. 20, 8-9

ლუკა. 14, 16

[8] ლუკა. 14, 18

[9] ლუკა. 14, 19

[10] წმ. ანთიმმა ამ ამონარიდში ექსტერპერაციებით გააერთიანა ლუკას სახარების ოთხი მუხლი 16, 18,19, 20

[11] მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატური და სიმბოლური ღვთისმეტყველება განიხილავს კაცობრიობის ისტორიის სამ ეტაპს: 1. ღმერთის მიერ სამყაროს შექმნისა და ადამიანის მიერ კვირის განმავლობაში შრომის ექვსი დღე – ასოცირდება კაცობრიობის ისტორიდან ადამიდან იესო ქრისტემდე, ანუ შრომის, ტანჯვისა და ცოდვის მონობაში ცხოვრების პერიოდთან; 2. იესო ქრისტედან დღემდე ჩვენ ვიმყოფებით მეშვიდე დღეში, იგივე მეშვიდე საუკუნეში – ანუ განსვენების, ცოდვისგან გათავისუფლებისა და სატანის ბატონობის დამხობის პერიოდში; 3. ხოლო მაცხოვრის მეორედ მოსვლის შემდეგ დადგება ნერვე დღე, იგივე მერვე საუკუნე – ანუ მარადიული დღესასწაულის პერიოდი, რომელიც ყველანაირი ასტრონომიული დროს მიღმა იქნება, ამიტომაც მას „კვირის მერვე დღეს“ უწოდებენ, როდესაც, სახარების სიტყვებისამებრ, შეიცვლება ცა და დედამიწა და მკვდრეთით აღდგომილი მართალი ადამიანები მარადიული ნეტარი ცხოვრებით გაიხარებენ.

ქადაგება №12

ქადაგება მიცვალებულ ადამიანზე

„ნუ სტირთ, რამეთუ ყრმაი ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს“[1]. ეს სიტყვები თქვა ძე ღვთისამ, როდესაც საწოლზე მწოლიარე სინაგოგის მთავრის იაიროსის მიცვალებული ქალიშვილი ნახა. იმავე სიტყვებით მივმართავ თქვენს სიბრძნესაც კურთხეულნო მსმენელებო, შენ, ჩემო სულიერო შვილო *[სახელი]*, და თქვენ, ყველა დანარჩენ მოსიყვარულე ნათესავს, რომლებიც ერთად დიდი მწუხარებითა და ცრემლებით გლოვობთ ამ მიცვალებულ კეთილშობილ და პატიოსან ქალიშვილს.

„ნუ სტირთ, რამეთუ ყრმაი ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს“. მისი ნეტარი აღსასრული არის მიძინება და არა სიკვდილი. ამიტომ ის ახლა არ ითხოვს თქვენგან ცრემლებს, არ სჭირდება თქვენი ოხვრები, არ ღებულობს არც მწუხარებას და არც ტირილს. სატირალნი არიან წარმართები, რადგან არ აქვთ ჭეშმარიტი სარწმუნოება, ჰურიები, რადგან არ აქვთ წმინდა ნათლობა და მწვალებლები, რადგან დაშორებულნი არიან ეკლესიის მკლავებს; რადგან ისინი ნამდვილად კვდებიან, ისინი მარადიულ სიკვდილს ღებულობენ, როგორც რომაელთა მიმართ ეპისტოლეს მეექვსე თავში ნათქვამია: „რამეთუ რომელი-იგი მოკუდა, ცოდვითა მოკუდა ერთ-გზის“.[2]

ხოლო ქრისტიანი ქალიშვილი, რომელიც წმიდა ნათლისღების საიდუმლოთი ნაშობია სულიერად, რომელსაც სარწმუნოების რძე უწოვია, რომელიც ღვთაებრივი სიბრძნის სახლშია გამოკვებილი, რომელიც წმიდა საიდუმლოებების მადლითაა გაძლიერებული, რომელიც სიკეთით, სათნოებებით, ღვთისთვის მოსაწონი საქმეებით იყო დაცული, ასეთი შვილი ნამდვილად არ მომკვდარა, არამედ მიიძინა. ამასვე გვიმტკიცებს წმინდა სახარებაში მაცხოვარ იესო ქრისტეს უტყუარი ბაგე: „რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მო-ღათუ-კუდეს, ცხოვნდესვე. და ყოველი, რომელი ცოცხალ არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე“.[3] მაშასადამე, ეს ფაქტი დამტკიცებულია, რომ მორწმუნე ქრისტიანი არ კვდება, არამედ მისი აღსასრული არის მიძინება. ამას მოწმობს წმიდა ბასილი დიდის სიტყვებიც გარდაცვალების შესახებ: „მართალთა სიკვდილი არის მიძინებაო“. ამავეს ამბობს სულთმოფენობის ლოცვებში: „უფალო, სიკვდილი არ ჰქვია იმას, როდესაც შენი მონები სხეულიდან გამოვდივართ და შენთან მოვდივართ, არამედ გარდაცვალებაა მწუხარებიდან და ტანჯვიდან ნეტარებაში, სიხარულში, განსვენებაში და მხიარულებაში“.

ჭეშმარიტად, რა ტკბილია ასეთი მიძინება და რამდენად უფრო სასურველია, ვიდრე ყოველდღიური ბუნებრივი დაძინება. ბუნებრივი დაძინების დროს ადამიანი რჩება გრძნობების გარეშე: ვერ ხედავს, არ ესმის, ვერ აცნობიერებს, საკუთარ თავსაც ივიწყებს, ივიწყებს თავის შვილებს, ნათესავებსა და მეგობრებს, რჩება ყველანაირი ამ ცხოვრებისეული სიამის და ამქვეყნიური ნათელის გარეშე.

ხოლო ამ ბოლო მიძინების ჟამს კი, ჰოი, რამხელა სიხარულს, შვებასა და თავისუფლებას განიცდის და ეს იმის სანაცვლოდ, რომ კარგავს მატერიალური სინათლის აღქმის უნარს. უფრო მეტიც, მას ზეცის კარიბჭე და ჭეშმარიტი

ხელთუქმნელი ნათელის ხედვის უნარი ეხსნება. ჰოი, ნახეთ, რას ამბობს ისაია წინასწარმეტყველი თავისი წიგნის მეცხრე თავში: „ხალხმა, ბნელში მოარულმა, იხილა ნათელი დიდი, წყვდიადის ქვეყანაში მაცხოვრებლებს ნათელი გამოუბრწყინდა“. საყვარელნო, მის მაგიერ, რომ თქვენ გაიფანტოთ თავი დროს ტარებასა და სიმდიდრის მოხვეჭაში, მოიგეთ ის ერთადერთი მშვენიერება, რომელიც სათნოა ღმრთისათვის. ამას მოწმობს დავით წინასწარმეტყველიც მე-16 ფსალმუნში: „ხოლო მე სიმართლითა ვეჩვენო პირსა შენსა, განვძღე გამოჩინებასა დიდებისა შენისასა“. როგორც უკვე ვთქვი, ხორცში მყოფი დაძინებული ადამიანი ვერ ხედავს თავის ნათესავებსა და მეგობრებს, მიცვალებულის სული კი ღვთაებრივ მიუწვდომელ ნათელში მარადის ხედავს თავის მშობლებსაც, შვილებსაც და ნებისმიერს, ვისი დანახვის სურვილიც აქვს. ამაზე ლაპარაკობს პავლე მოციქულიც კორინთელთა მიმართ ეპისტოლეს მე-13 თავში: „აწ ვიცი მცირედ, ხოლო მერმე ვიცნა, ვითარცა შევემეცნე“.[4]

იმ დროს, როდესაც ყოველდღიური ბუნებრივი დაძინების შემდეგ ადამიანი ისევ უბრუნდება შრომას, ტანჯვას, მწუხარებასა და ვნებებს, იქ, საბოლოო მიძინების შემდეგ, რომელსაც ჩვენ ადამიანები სიკვდილს ვეძახით, მიცვალებული ტანჯვიდან გადადის სიხარულში, ხრწნადობიდან -უხრწნელობაში, ცრემლების ქალაქიდან - სიხარულის სოფელში, შფოთიანი ცხოვრებიდან - ცხონების მშვიდ ნავთსადგურში, ეგვიპტის მწუხარებიდან -აღთქმული მიწის ბედნიერებაში, ამა სოფლის მონობიდან - ზეციურ აზნაურობაში, კაცობრივი ცხოვრებიდან - ანგელოზებრივ ცხოვრებაში. რა შეიძლება იყოს ამაზე მეტი ბედნიერება?! რომელი დაძინება შეიძლება იყოს უფრო სანატრელი, ვიდრე გარდაცვალების მიძინება?!

ამიტომ ამბობს სული წმიდა ეკლესიასტეს მე-7 თავში: „უკეთესია სიკვდილის დღე გაჩენის დღეზე, რადგან დაბადება არის ტკივილის, ხოლო სიკვდილი ნეტარი ცხოვრების დასაწყისის დასაწყისი“.[5]

ამიტომ კიდევ ერთხელ ვამბობ: „ნუ სტირთ, რამეთუ ყრმაი ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს“. ჩემთან ერთად წმიდა იოანე ოქროპირიც ამბობს: ,,ადამიანის გარდაცვალება საჭიროა გვიხაროდეს და არ ვტიროდეთ“ და რა მიზეზით, ამასაც განმარტავს წმიდანი: ,,თუ ახალგაზრდა ნავიდა ამქვეყნიდან, ე.ი. ამა სოფლის ბოროტებებისგან დროულად ცხონდა, ხოლო თუ მოხუცი იყო, ე.ი. აიღო ამ ცხოვრებიდან ყველაფერი, რაც სურდა და ისე წავიდა“.

ჩვენ ხომ არასდროს ვტირით მაშინ, როდესაც ჩვენს ნათესავს ან მეგობარს სძინავს, არამედ ვართ უფრო მშვიდად, ჩუმად, რომ არ შევაწუხოთ, თუმცა კი ვიცით, რომ ძილი არის „დღის დასასრულის“ ერთგვარი დროებითი გარდაცვალება, როგორც ამას ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი. მაშ, რატომ უნდა მივტიროდეთ მიცვალებულებს? რატომ უნდა ვწუხდეთ ჩვენი ძმებისა და მეგობრების აღსასრულის გამო, რომლებმაც განისვენეს უფალში, რომლებიც ზეციურ დიდებაში განიხარებენ და წმიდანების სამყოფელში განისვენებენ? ჭეშმარიტად, უმოწყალო სიკვდილმა უდროოდ მოკვეთა ეს გამორჩეული ყვავილი და ძალზე ადრე წაიყვანა ამ ქვეყნიდან ქალთა მოდგმის სამკაული.

მაგრამ ცრემლებიცა და მწუხარებაც ამაოა, რადგან უფრო მეტად იღბლიანია ის მეზღვაური, რომელიც ძლიერი ქარით სწრაფად მიემგზავრება წყნარ ნავსადგურში, ვიდრე ის, რომელიც ქარის გარეშე, ზედმეტად მდორედ მოგზა-

ურობს. ასევე უფრო ნეტარია ის ადამიანი, რომელიც ახალგაზრდა უდროოდ მიიცვალა და მიაღწია ღვთაებრივ სიმშვიდესა და მხიარულებას. ბრძენი სოლომონი ამბობს: ,,მცირე წლებით წასულმა რეალურად მრავალი წელი აღასრულა, რადგან მოსაწონი იყო ღვთის წინაშე მისი სული". ასევეა ამ უპატიოსნესი ქალიშვილის სულიც: მისი ღრმა რწმენით, ქრისტიანული სათნოებებით, შეუდარებელი სიწმიდითა და სულიერი ღირსებებით მოსაწონი იყო ღმრთისათვის.

ამიტომაც მცირედი წლებით გარდაიცვალა, რომ მოიმკას ღვთისთვის სათნო საქმეების ნაყოფი, ანუ უკეთ რომ ვთქვა, მცირე წლებით აღესრულა, რომ მოიხვეჭოს მარადიული ცხოვრება.

ფრინველი, რომელსაც ჰქვია ფენიქსი, რაც უფრო ადრე კვდება, მით უფრო მეტი დღე ემატება მის შემდეგ ცხოვრებას, რადგან სიკვდილი მას უახლებს სიცოცხლეს და ჩუქნის მრავალ ნაყოფიერ წელს. ასევე ეს ქალიშვილიც რომ აღსრულებულიყო სასიკუდინოდ, მაშინ იქნებოდა დასატირიც, რადგან გაქრებოდა ასეთი კეთილი და მადლმოსილი მშვენიერი სახე; მაგრამ რადგანაც აღსრულდა, რომ იცოცხლოს მარადიულობაში, სიხარულით, ანგელოზებთან ერთად, რომ იშვას მეორედ ზეცაში, როგორც ფენიქსი, რილასთვისაა საჭირო ცრემლები? როგორც მოციქული პავლე ამბობს, საჭიროა, რომ ამ ხრწნადმა სხეულმა შეიმოსოს უხრწნელება და მოკვდავმა შეიმოსოს უკვდავება. ამიტომ შეწყვიტეთ გლოვა და მწუხარება, რადგან არ მოკვდა, არამედ დაიძინა!

და როგორც მოციქულებმა უთხრეს მაცხოვარ იესო ქრისტეს ლაზარეზე, იმავეს მეც გაგიმეორებთ: „უკეთუ დაიძინა, ცხონდეს". ყველანაირ ეჭვგარეშეა, რომ მაღალი ღმერთი დაასვენებს მის ქრისტიანულ სულს აბრაამის, ისაკისა და იაკობის სამყოფელში, ცოცხლებისა და მართლების სავანეში, სადაც მარადის ანათებს ღვთაებრივი და ხელთუქმნელი ნათელი.

რადგან ყველა სხვა სათნოებასთან ერთად, მიცვალებულის სულისთვის ძალზე სასარგებლოა წმიდა ეკლესიის მეოხება და მორწმუნე ქრისტიანეთა ლოცვები, ამიტომ თითოეულმა ქრისტიანმა რომ მოიხვეჭოს მარადიული ნეტარება, მოგიწოდებთ, ჰოი, ყოვლადუსამღვდელოესნო მეუფენო, ღირსნო მღვდელმონაზონნო, პატიოსანნო მღვდელნო, პატივცემულნო თავადნო და თქვენ ყველას, მთელ ერს, რომელნიც იმყოფებით აქ, ერთიანი გულითა და ხმით ვსთქუათ ერთად: ღმერთმა შეუნდოს და აცხოვნოს, რომ ღირს იქმნას ეს ქალიშვილიც და ჩვენც (როდესაც ღვთის ნება იქნება), რათა ყველამ ერთად განვიხაროთ ცათა სასუფეველში, სადაც მარადიული ცხოვრება და დაუსრულებელი სიხარულია. ამინ!

კომენტარები:

ლუკა 8, 52

რომაელთა 6, 10

იოანე 11,25

კორინთელთა 13,12

§ ეკლესიასტე 7, 1

ქადაგება №13

ქადაგება პანაშვიდზე[1]

წმიდა წერილში, კერძოდ, მეფეთა მეორე წიგნის მე-12 თავში, ზებუნებრივ რამეს ვკითხულობ და ამიტომ ძალზედ მიკვირს. მეფე დავითს ავად გაუხდა მისი პირველი შვილი, რომელიც ჰყავდა ბარსაბასგან. ბავშვის ძალიან მძიმე მდგომარეობის გამო, მეფე მუდმივად დამწუხრებული იყო: ვერც ჭამდა, ვერც სვამდა და ვერავის შეეძლო მისთვის ნუგეშის მიცემა. ხოლო მას მერე, რაც გარდაიცვალა, ნათქვამია წმიდა წერილში, მაშინვე დაიბანა, იცხო სურნელოვანი ზეთები, შეიმოსა ნათელი სამოსელი, წავიდა ღვთის სახლში და მადლობა შესწირა ღმერთს. გამოვიდა რა გარეთ, სუფრა გააშლევინა და დრო გაატარა. ამის გამო ვდგავარ და მიკვირს: როგორ შეეძლო ამის გაკეთება? ბავშვი სანამ ცოცხალი და ავადმყოფი იყო, ტიროდა და წუხდა, ხოლო მას მერე, რაც გარდაიცვალა, განიხარა!

პასუხს ამაზე გვაძლევს თავად დავით მეფე: „ და ჰრქუეს დავითს: რაჲ არს ესე, რომელ შენ ჰყავ? რამეთუ ვიდრე იყო ყრმაჲ იგი, იმარხევდ, იღაძებდ და სტიროდე და ვითარცა მოკუდა, აღსდეგ და განმხიარულდი და სჭამე და ჰსუ? მიუგო დავით: ვიდრე ცოცხალ იყო, ვწუხდი, რათამცა წყალობა ეყო ღმერთსა და ეცხოვნა ყრმაჲ იგი. ხოლო აწ რაჲ მოკუდა, აქა არღარა მოიწიოს, არამედ მე მისა მისლვად ვარ, და რაჲსაღა ვწუხ? “.[2]

ამიტომ მოგმართავ შენ, ჩემო საყვარელო სულიერო შვილო *[სახელი]* და ყველას, მოსიყვარულე ნათესავებო, მორჩით მწუხარებას და დაუტევეთ ცრემლები, რადგან განისვენა უფალში ამ უპატიოსნესმა ქალიშვილმა, რომელსაც ვიხსენებთ ჩვენ დღეს. ცრემლები და გლოვა არაფერს არგებს მიცვალებულებს, ვერც დააბრუნებს ამ ცხოვრებაში და ვერც გამოიყვანს საფლავებიდან. წმიდა მოციქულებმა კანონი დააწესეს, რომ არ მივსტიროდეთ მიცვალებულებს, არამედ მოვიხსენიოთ ლოცვებსა და წმინდა საიდუმლოებებში, გავიღოთ მოწყალებები და სხვა სიკეთეები გავაკეთოთ მათ სახელზე, რადგან სათნოა ეს ყველაფერი ღვთის წინაშე და დიდ სარგებელსა და მადლს იძლევა მიცვალებულთა სულების საცხოვნებლად. ამას ამტკიცებს წმიდა დიონისე არეოპაგელის სიკვდილის შესახებ სიტყვებიც: „ლოცვები, რომლებიც სრულდება წმინდა სამკვეთლოზე შეეწევა არა მარტო ცოცხლებს, არამედ, განსაკუთრებით, მიცვალებულთაცო“. [3]

ამიტომ წმიდა ეკლესიაც მუდმივად ევედრება ღმერთს მოწყალებას, რომ მიცვალებულს შეუნდოს მისი კაცობრივი უძლურებითა და სისუსტით ჩადენილი ცოდვები და განუსვენოს აბრაამის, ისააკისა და იაკობის სამყოფელში, სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი. ასევე ეკლესია ლოცულობს, რომ

ღმერთმა შეუნდოს მიცვალებულს ადამიანური სისუსტით ჩადენილი ყველა სიბინძურე, რადგან, როგორც ნათქვამია, არავინ არის წმიდა ღვთის წინაშე.

და რადგან ეს ყოვლადპატიოსანი ქალიშვილი, რომელსაც ვიხსენიებთ დღეს ამ საეკლესიო ღვთისმსახურებაზე, ამქვეყნად ცხოვრობდა, როგორც მლოცველი, ახლა ყველამ, ვინც ჩემთან ერთად ხართ აქ, ერთი გულითა და ხმით შევთხოვოთ მაღალ ღმერთს, მიეტევოს, რაც შეუცოდავს ღვთისა და კაცთა წინაშე. და როდესაც ჩვენი დრო დადგება, ჩვენც შეგვინდოს უფალმა. ამინ!

კომენტარები:

ანთიმი ამ მოკლე ქადაგების სათქმელსაც აფუძნებს წმინდა წერილს, ქადაგების ამგვარი არქიტექტონიკა საერთოდ დამახასიათებელია მისთვის. ამაში იგი იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის და სხვა დიდი მქადაგებლების ტრადიციების გამგრძელებელია.

[2] 2 მეფეთა 12, 22-23

[3] მნიშვნელოვანია, რომ ანთიმს აქ მოჰყავს რუმინულ ენაზე არარსებული თარგმანი დიონისე არიოპაგელისა. შდრ.: საეკლესიო იერარქია. თავი 7; პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ღირ. ეფრემ მცირის თარგმანი; გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა, თბ., 1961.

ქადაგება №14

ქადაგება ღვთის განცხადების დღესასწაულზე

კურთხეულნო ძმანო და დანო, ნათელი და ბრწყინვალე იყო მაცხოვარ იესო ქრისტეს შობის განვლილი დღესასწაული; მაგრამ მეტად ბრწყინვალე და დიდებულია დღევანდელი დღესასწაული; რადგან იქ ქრისტეს შობის ნიშნად ვარსკვლავი გამოჩნდა ცის კამარაზე, ხოლო აქ თავად მამა ღმერთი მოწმობს ზეციდან ნათელღებულისთვის სიტყვებით: *„ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ“* [1]. იქ მოგვებმა მათი ძღვენით თაყვანი სცეს, როგორც ღმერთს და მეფეს, ხოლო აქ თავად ზეციური ანგელოზები ემსახურებიან მას, როგორც ჭეშმარიტ ღმერთს და სრულ კაცს. იქ იყო, როგორც სახვევლებში გახვეული და ბაგაში დასვენებული უმწეო ჩვილი ბავშვი, ხოლო აქ, როგორც სრული ღმერთი და სრული კაცი ნათელს იღებს იორდანეს წყალში იმისთვის, რომ განწმიდოს მთელი კაცობრიობა პირველქმნილი ცოდვის ხრწნილებისაგან. იქ მთავარანგელოზი გაბრიელი ემსახურებოდა მორჩილებით, ხოლო აქ ანგელოზი და წინამორბედი იოანე აღასრულებს საიდუმლოს.

მაშასადამე, თუ დღევანდელი დღესასწაულის მოვლენები უფრო ნათელია, ვიდრე განვლილი დღესასწაულისა, ე.ი. მით უფრო მეტად დიდებულიცაა. რადგანაც თავად მაცხოვარი ქრისტე ინათლება, ჩვენც მოვინათლოთ არა იმიტომ, რომ უკვე არ ვართ მონათლულნი წმინდა ნათლისღებით, ანუ წყლითა და სულით, არამედ იმიტომ, რომ წავბილწეთ ჩვენი ცოდვებით წმინდა ნათელი. სინანულის ცრემლებით უნდა განვიბანოთ და განვიწმინდოთ, როგორც ისაია წინასწარმეტყველი ამბობს: *„განიბანეთ, განიწმიდეთ, ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა“* [2] რომლითაც ხარობს ჩვენი მტერი ეშმაკი და ამის შემდეგ შევიმოსოთ ახალი ადამი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, როგორც ამას ამბობს პავლე მოციქული, რომ ჩვენც ავმაღლდეთ ზეცაში, როგორც ქრისტე, განწმენდილები და განათლებულები და ვისაც მიღებული გვაქვს მისი ქადაგება, მაშინ, როდესაც ვცოდავთ, სწრაფად გავიქცეთ მისკენ, რადგან იგი მიგვიღებს, როგორც კეთილი და კაცთმოყვარე ღმერთი.

ნათელს იღებს ქრისტე იმისთვის, რომ აკურთხოს წყლები. ნათელს იღებს ქრისტე იმისთვის, რომ გამოგვიცხადოს საიდუმლო. წინასწარმეტყველის ხელი აღასრულებს მსახურებას იმისათვის, რომ ნათელი სცეს მამის „ხელს“, ანუ ძეს და სიტყვას ღვთისას. კაცი აღასრულებს მსახურებას და კაცი ინათლება; თავად იოანე, როგორც მონა, მსახურობს და ქრისტე, როგორც კაცი, ნათელს იღებს.

ამიტომ ჩვენც, დავით წინასწარმეტყველის სიტყვის მსგავსად, როგორც ჭეშმარიტნი და ბრძენნი მონანი, წმინდა გულებით ჩავერთოთ ამ საიდუმლოში. კეთილი და მორწმუნე გონება ვიქონიოთ, რომ სწორად ჩავწვდეთ ამ საიდუმლოს; რომელნიც ხართ მორწმუნენი და მართალნი მოდით და მოისმინეთ დავითის სიტყვები: *„მოვედით მისა და განათლდით, და პირსა თქუენსა არა ჰრცხუენეს“*,[3] და როგორც ამბობს ისაია წინასწარმეტყველი, ცოდვანი ჩვენნი

უფროს თოვლისა განსპეტაკნეს. და რომელნიც ხართ მორწმუნენი და ღვთის მოშიშნი აქეთ და ადიდეთ ეს საიდუმლო, რადგან მსგავსი ქება წარემართება ღვთის წინაშე, ვითარცა საკმეველი კეთილსურნელოვანი. ხოლო ვინც წარმართია და ჩვენს საიდუმლოებებს დასცინის, წავიდეს და არ გაეკაროს ეკლესიას, რომ არ მოვიდეს მასზე ღვთის რისხვა და არ დაისაჯოს მსგავსად მოსესი, რომელმაც, როდესაც სინას მთაზე ღვთისგან სჯულის ფიცრების მისაღებად ავიდა, დატოვა მცნება, რომ არცერთი ცხოველი, არც პირუტყვი არ მიახლოებოდა მთას და, თუ ამგვარი რამ მოხდებოდა, ჰურიათა ბრბოს უნდა ჩაექოლა ის მცნების დამრღვევი.

ასევე ახლაც საიდუმლოს აღვნიშნავთ და ვდღესასწაულობთ და ამით ვმაღლდებით არა ხორციელად მთაზე ასვლით, როგორც მოსე, არამედ გონებით აღვიტაცებით დიდ და მაღალ ფიქრებში; და მხოლოდ რაოდენიც მორწმუნენი ვართ, მოვედით, რათა, დაე, ჩავწდეთ გონებით დღევანდელი დღესასწაულის საიდუმლოს!

უფალი იესო ქრისტეს შობის შემდგომ მოგვების მიერ მოტყუებული და დამცირებული ჰეროდე ძალზედ განრისხდა და ბრძანა ბეთლემსა და მის შემოგარენში ორი წლისა და მის ქვემოთ ასაკის ყველა ყრმის მოწყვეტა. იმ თოთხმეტ ათას ყრმას შორის იყო თავისი დედის, ელისაბედის, მკლავებში მყოფი ჩვილი - წმინდა იოანეც. როდესაც ჯალათები მას მოსაკლავად მიუახლოვდნენ, ღვთის განგებით, გაიხსნა მთა და იოანემ დედამისთან ერთად გაიარა მთა და მეორე მხარეზე აღმოჩნდნენ. ხოლო უფლის ანგელოზმა წარიყვანა ის უდაბნოში და ზრდიდა, ვიდრე არ შეიქმნა ასაკით 33 წლისა და 3 თვის, ხოლო მისი საკვები იყო - ხეების ფოთლები და ველური თაფლი.

და მოვიდა მასთან ღვთის სიტყვა და უთხრა, დაეტოვებინა უდაბნო, წასულიყო ჰურიასტანის მხარეს და ექადაგა ხალხისთვის სინანული. და მიდიოდა მასთან მრავალი ჰურია, აღიარებდნენ საკუთარ ცოდვებს, ინათლებოდნენ იორდანეს წყალში და ეკითხებოდნენ: *„წინასწარმეტყველი იგი ხარი შენ? და მიუგო: არა“.* [4] ამგვარად პასუხობდა იგი არა იმიტომ, რომ არ იყო წინასწარმეტყველი, არამედ იმიტომ, რომ მას არ ეკითხებოდნენ, არის იგი ჩვეულებრივი წინასწარმეტყველი, არამედ სურდათ, შეეტყოთ, არის თუ არა იგი ის წინასწარმეტყველი, რომელზეც მოსეს ჰქონდა ნათქვამი: *„წინასწარმეტყველს, როგორც მე ვარ, შენი წიაღიდან, შენი მოძმეებიდან, დაგიდგენს უფალი“,* [5] ანუ ჰურიებმა იცოდნენ, რომ მათ შთამომავლობაში დიდი წინასწარმეტყველი უნდა გაჩენილიყო და ფიქრობდნენ, რომ იოანეა ის წინასწარმეტყველი და ამისთვის ეკითხებოდნენ. ამიტომ ის პასუხობდა:“ *არ ვარ მე ის, არამედ „ესერა მოვალს უძლიერესი ჩემსა შემდგომად ჩემსა, რომლისა ვერ ღირს ვარ განხსნად საბელსა ხამლთა მისთასა“,* [6] ანუ არ ძალმიძს ჩავწვდე მის შობასო, რადგან, როგორც კაცი, ჩემ შემდეგ დაიბადა, მაგრამ, როგორც ღმერთი, ჩემზე უადრეს შობილია ღვთაებრივ უჟამო წლებშიო. *„მე უკუე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა. რომლისა ნიჩაბი ხელთა მისთა, განწმიდოს კალოი თვისი და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა;“* [7] ანუ გულთამხილველია, როგორც ჭეშმარიტი

ღმერთი და სცნობს ცოდვილებსა და მართლებს, ანუ ცოდვილებს დასჯის მარადიულ ცეცხლში, ხოლო მართლებს შეკრებს ცათა სასუფეველშიო.

იოანე ესაუბრება რა ჰურიათა დიდ ჯგუფს, განმეორებით ეუბნება: „არ ვარ მე ის, ვინც გგონიათ, არამედ, აჰა, ის მოდის“[8] ამ დროს ხალხთა სიმრავლიდან მოვიდა კიდევაც ქრისტე მოსანათლად. ხოლო იოანემ დაინახა რა ის, უთხრა ჰურიებს: „აჰა ტარიგი ღმრთისაი, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი. ესე არს, ძე ღვთისა ჭეშმარიტისა, რომლისთვის-იგი ვთქუ“. [9] მაშინ, მაცხოვარი იესო ქრისტე მიუახლოვდა იოანეს და უთხრა: “მოვედ და ნათელმეც, რამეთუ ამისთვის მოვსულვარ“.[10] ხოლო იოანემ უპასუხა: „მე მჭირდება შენგან ნათლისღება იმისთვის, რომ დავამოწმო სხვა ნათლისღება, რომელიც შენი სახელით იქნება და შენ როგორ გინდა, რომ მოინათლო ჩემგან? იორდანეს წყალმა გიხილა რა შიშისაგან უკუნ იქცა მართლუკუნ, ხოლო მე როგორ გავკადნიერდე და როგორ მოგნათლო იმ დროს, როდესაც დიდი წინასწარმეტყველი და ღვთის მხილველი მოსე ვერ გაკადნიერდა, რომ შეეხედა შენი სახისთვის, ხოლო მე, როგორ გავბედო და ჩემი ცოდვილი ხელებით, როგორ შევეხო შენს თხემს? თივა მიწისა ვარ და როგორ მივუახლოვდე აუტანელ ცეცხლს? უფალო, შენ განმწმინდე, შენ ნათელმეც, უფალო, ხოლო მე არ ვარ ღირს და ვერც ვბედავ ნათელი გცე!“[11]

ნათლისმცემლის ასეთ სიტყვებზე მაცხოვარმა იესო ქრისტემ პასუხად უთხრა: „იოანე, ზედმეტია ახლა ეს სიტყვები, რადგან ლაპარაკის დრო არ არის: ღვაწლის დროა ახლა. ამისთვის განეკაცდი, ამისთვის შევიმოსე სხეული, ამისთვის მოვედ ღატაკად და თავმდაბლად, რამეთუ ესრეთ შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე. მოვედ და ნათელ მეც მე, რათა აღესრულოს ყოველი ჩემი განგება და თავის დამდაბლება“.[12]

მაშინ მიუშვა წმინდა იოანემ, ნათელი სცა და გარდამოვიდა სული წმინდა მტრედის სახით ქრისტეს თავზე და ხმა გაისმა ზეციდან: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ ცხონებისათვის სოფლისა“.[13] და გამოვიდა იესო მდინარიდან ნათელღებული.

ასე მოხდა მაცხოვარ იესო ქრისტეს ნათლისღება, როგორც ამას ჩვენ წმინდა მოციქულები გვიამბობენ. დღევანდელ დღესასწაულთან დაკავშირებით, ჩვენ გვიჩნდება რამოდენიმე შეკითხვა, რომელზეც პასუხები აუცილებელია, რომ ვიცოდეთ. პირველი შეკითხვა არის: რატომ მოინათლა მაცხოვარი იესო ქრისტე იმ დროს, როდესაც მას ცოდვა არ ჰქონდა? მეორე: რატომ მოინათლა იორდანეში და არა სხვა მდინარეში? მესამე: რატომ გარდამოვიდა სული წმინდა მაცხოვრის თავზე და რატომ მტრედის სახით? მეოთხე: რამდენი ნათლობა არსებობს? მეხუთე: რატომ არის ნათლობა წყლითა და სულით?

აი, ეს ის ხუთი შეკითხვაა, რომლებზეც პასუხების ცოდნა ძალზედ მნიშვნელოვანია; სხვა შეკითხვებიც არსებობს, მაგრამ საუბარი რომ არ გაგვიგრძელდეს, ახლა მოკლედ; მხოლოდ ამ ხუთს, შევეხებით. მაშასადამე, რაოდენიც შეიკრიბენით დღეს ეკლესიაში, ამ დღესასწაულზე, აღიხილნეთ თვალნი თქვენნი, არა მხოლოდ ხორცისანი, არამედ სულისანიც, რომ ჩასწვდეთ იმას,

რასაც ვიტყვით, რადგან ეს არ არის ამქვეყნიური საკითხები, არამედ ეს ყოველივე დიდი და საოცარი საიდუმლოა, რომელიც კაცობრიობის ცხოვნებისათვის აღსრულდა.

პირველი შეკითხვა არის: რატომ მოინათლა ქრისტე იმ დროს, როდესაც მას ცოდვა არ ჩაუდენია? ჩვენ ვამბობთ, რომ ნათლობით ადამიანს მიეტევება პირადი ცოდვები და იგი ასევე იწმინდება პირვანდელი ცოდვისაგან, მაგრამ ქრისტე იყო უცოდველი, როგორც ამას გვეუბნება წინასწარმეტყველი ესაია *„რადგან სიავე არ ჩაუდენია და მის ბაგეში სიცრუე არ ყოფილა“,* [14] მაშასადამე, რისთვის მოინათლა იგი? ჩვენ ვიცით, რომ არსებობს ოთხი სტიქია, რომლებისგანაც შექმნილია ადამიანიცა და მთელი სამყაროც და ამ სტიქიონებში გაიხრწნება ადამიანის სხეული მაცხოვარ იესო ქრისტეს მეორედ მოსვლამდე და ამათგანვე, კვლავ აღსდგება ყოველივე.

პირველი და ყველაზე სასარგებლო სტიქიონია ჰაერი, რომლის გარეშეც ადამიანს ერთი საათითაც არ შეუძლია არსებობა. მეორე უფრო მაღალი სტიქიონია - ცეცხლი, არა მხოლოდ ის, რომელსაც ვხედავთ საკუთარი თვალებითა და რომელსაც გამოვიყენებთ ყოველ დღე, არამედ ზეციური ცეცხლიც. მესამე სტიქიონია – წყალი და მეოთხე - მიწა. მაშასადამე, ამ ოთხი სტიქიონიდან არის შექმნილი ადამიანი, ანუ მათგან არის შექმნილი მისი სხეული. და ეს ოთხივე სტიქიონი იკურთხა უფლის ამქვეყნად მოსვლით. ჰაერი და ცეცხლი იკურთხა ღვთის სიტყვის გარდამოსვლით, ხოლო მიწა იკურთხა, როდესაც მაცხოვარი იშვა ხორციელად გამოქვაბულში. საჭირო იყო მეოთხე სტიქიონის, ანუ წყლის კურთხევაც და ეს სხვაგვარად ვერ მოხდებოდა, თუ არა უფალი იესო ქრისტეს ხორციელად იორდანეში მონათვლით. ამით გაცხადდა ჩვენი სარწმუნოების უდიდესი საიდუმლო! მდინარეში ნათლისღებით შეიმუსრა აგრეთვე გველების, ანუ ეშმაკების თავები, რომლებიც იმყოფებოდნენ წყალში, როგორც ამას ამბობს დავით წინასწარმეტყველი: *„შენ შეჰმუსრე თავები ვეშაპთა წყალთა ზედა“.*[15]

მეორე შეკითხვა იყო: რატომ მოინათლა მაცხოვარი იესო ქრისტე მაინცა - დამაინც იორდანეში, და არა სხვა მდინარეში. ვპასუხობთ - ეს მდინარე უფრო მეტად ნაკურთხია, ვიდრე სხვა მდინარეები, რადგანაც მასში ბევრი სასწაული აღესრულა. სწორედ ამის გამო მივიდა მაცხოვარი იესო ქრისტე ამ მდინარეზე. პირველი სასწაული ისუ ნავესის დროს მოხდა, როდესაც მან მთელ ერთან ერთად გაიარა შუა წყალში ისე, რომ არავინ დასველებულა. მანამდე, თორმეტი მღვდელი კიდობანთან ერთად შევიდა მდინარეში და ღვთის ბრძანებით წყალი უკუიქცა, მანამ, ვიდრე მთელმა ერმა არ გაიარა. მეორე სასწაული მოხდა მაშინ, როდესაც ილია წინასწარმეტყველმა თავისი ხალენით გააპო წყალი და თვითონ და მისმა მოწაფემ გაიარეს მშრალზე. მესამე სასწაული მოხდა, როდესაც ელისე წინასწარმეტყველის მოწოდებით ასურეთის მთავარსარდალმა, მეფის ვეზირმა, ნემანმა, შვიდჯერ განიბანა იორდანეში და განიკურნა კეთრისაგან. მეოთხე სასწაული აღსრულდა ელისე წინასწარმეტყველის დროს. ერთხელ, როდესაც რამდენიმე ადამიანი წინასწარმეტყველთან ერთად მიდიოდა მდინარის პირას, ერთ-ერთს ნაჯახის თავი წყალში ჩაუვარდა. ელი-

სემ აიღო ნაჯახის ტარი, გაიწოდა მდინარისაკენ და ხმამაღლა წარმოთქვა: *უფალო გამოგვიცხადე შენი სასწაული*[16] და იმ წამსვე ნაჯახის თავი ამოხტა წყლიდან და თვითონვე დაესვა ტარზე. როგორც წმინდა იოანე დამასკელი წერს, ჯვართამაღლების კანონის მეოთხე გალობის ერთ-ერთ ტროპარში, ეს სასწაული წმინდა ნათლისღების წინასახის გამოხატულებაა. მაშასადამე, ამ სასწაულების გამო, მაცხოვარმა იესო ქრისტემაც ნათელი იღო იორდანეში.

მესამე შეკითხვაა: რატომ გარდამოვიდა სული წმინდა ნათლისღებისას მაცხოვარზე და ამავდროულად გაიხსნა ცა და გაისმა მამა ღმერთის ხმა: *„ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ“*? მაშასადამე, როდესაც მამა ღმერთმა ამ სიტყვებით დაამოწმა მაცხოვარზე, ჰურიებს შეიძლება ეფიქრათ, რომ ეს ხმა და სიტყვები „ესე არს ძე ჩემი საყუარელი“ იოანესთვის იყო განკუთვნილი, რადგან მას იცნობდნენ, როგორც წინასწარმეტყველს, წმინდანს და წინასწარმეტყველის ძეს.

სულიწმინდა იესო ქრისტეს თავზე იმიტომ გარდამოვიდა, რათა ყველას დაენახა, თუ ვისთვის დაამოწმა მამა ღმერთმა.

მაგრამ რატომ გარდამოვიდა სულიწმინდა მტრედის სახით? აქ უნდა მოგიყვეთ ერთი ამბავი ძველი აღთქმიდან, თუმცა კი, ეს ყველას გეცოდინებათ. როდესაც ღმერთმა მოავლინა წარღვნა და ადამიანთა ცოდვების გამო წარიწყმიდა ყველა ცოცხალი არსება პირისაგან მიწისა, ადამიანიდან დაწყებული ცხოველამდე. კიდობანში, რომელიც იყო აშენებული ღვთის ბრძანებით, გადარჩა მხოლოდ ნოე და მისი ოჯახი; მასთან ერთად კიდობანში იმყოფებოდნენ ქვეყნის ცხოველები და ცის ფრინველები, ასევეა ეს მოთხრობილი შექმნათა ნიგნში. როდესაც დასრულდა წარღვნა, ნოემ გამოუშვა ყორანი, რომ ენახა, დაშრა თუ არა წყალი, მაგრამ ყორანმა იპოვა რა ლეში, ზედ დაჯდა და აღარ დაბრუნებულა. ნოემ ნახა, რომ ყორანი არ ბრუნდება, მაშინ კიდობნიდან უკვე წმინდა ფრინველი - მტრედი გამოუშვა, რომელმაც არ ისურვა დამჯდარიყო უწმინდურობაზე, არამედ ნისკარტით ზეთისხილის ტოტი დაიჭირა და ასე დაბრუნდა კიდობანში. და მიხვდა ნოე, რომ წყალი დამშრალიყო.

ამიტომაც სული წმინდა გარდამოვიდა მაცხოვარ იესო ქრისტეს თავზე მტრედის სახით, რომ ამით ეჩვენებინა ხალხისათვის - ან დამშრალია კაცობრიობის ცოდვების წარღვნა. მეორე მიზეზი არის ის, რომ მტრედი არის კეთილი, ანუ ფრინველი, რომელსაც არ აქვს ბოროტება; როგორც მაცხოვარი იესო ქრისტე ამბობს სახარებაში „იყავით გონიერნი, როგორც გველები, და უმანკონი, როგორც მტრედები“ [17]

მეოთხე შეკითხვაა: რამდენი ნათლობა არსებობს? შეგვიძლია ვთქვათ, რომ სულ არის რვა, როგორც ამას წმინდა იოანე დამასკელი მისი *ღვთისმეტყველების* მეოთხე თავში წერს. პირველი ნათლობა არის წარღვნისა, კაცთა ცოდვის მოსასპობად. მეორე არის მოსე წინასწარმეტყველის, როდესაც მან ჰურიებთან ერთად გაიარა მეწამული ზღვა. მესამე ნათლობაა შჯულის, როდესაც ვინმე გაუწმინდურდებოდა, იგი ვერ მიდიოდა ხალხთან, სანამ ტანს და სამოსს არ გაიბანდა წყლით. მეოთხე ნათლობა იოანესია, რომელიც იყო მხოლოდ სინანულისა. მეხუთე ნათლობა არის ქრისტესი, რომლითაც მოვინათ-

ლეთ ჩვენც ქრისტიანები. მეექვსე ნათლობა არის სინანულის და ცრემლების, რომლითაც ვიწმინდებით მის მერე, რაც ჩვენი ცოდვებით ვბილწავთ ჩვენს თავდაპირველ ნათლობას. მეშვიდე ნათლობა არის მოწამეობის, რომელიც არის უფრო დიდი და პატიოსანი, რადგან მას აღარ ემუქრება ცოდვებით წაბილწვა. ამ ნათლობის პირველი მაგალითი გვიჩვენა თავად მაცხოვარმა იესო ქრისტემ, როდესაც დასთხია თავისი წმინდა სისხლი ჯვარზე, ხოლო შემდეგ, იმავე ნათლობით მოინათლნენ მოწამეები და ღირსი გახდნენ ცათა სასუფევლისა. მერვე ნათლობა არის უკანასკნელი ჟამის - ჩაუქრობელი ცეცხლისა, რომელიც დაწვავს ცოდვილებს, როგორც ეს არის ნათქვამი დღევანდელი დღის კანონის მეექვსე გალობის ერთ-ერთ ტროპარში: „უკანასკნელი ჟამის ჩაუქრობელი ცეცხლით, ქრისტე ნათლავს მისი ღვთაებრიობის ურწმუნოებს".[18]

მეხუთე შეკითხვაა: რატომაა ნათლობა სულითა და წყლით? უნდა ითქვას, რომ ადამიანი არის შედგენილი ორი ნაწილისაგან - სხეულისა და სულისგან. სხეული, რადგანაც მატერიალური და მგრძნობიარეა, როდესაც იბილწება, მას სჭირდება წყლით განბანვა, რადგანაც წყალიც მატერიალურია. ხოლო სულის შემთხვევაში, რადგანაც იგი არამატერიალურია, მას უკვე სულიწმინდა წმენდს, განანათლებს და აცხოვნებს ცოდვებისაგან.

როგორც მოისმინეთ, ეს შეკითხვები გვქონდა ჩვენ დღევანდელ დღესთან დაკავშირებით, ამიტომაც კურთხეულნო ქრისტიანენო, საჭიროა, რომ ჩვენ, ვინც ნათლისღება წმინდა სამების სახელით მივიღეთ, თავი უნდა დავიცვათ ეშმაკის ყველა საქმისა და მანქანებისაგან, რათა არ წავბილწოთ ჩვენი ცოდვებით წმინდა ნათლობის მადლი და არ დავარღვიოთ ჩვენი აღთქმა, რომელიც მივეცით ქრისტეს; ღმერთმა რომ ჩვენი ლოცვა და დღესასწაულები შეიწიროს, მაქსიმალურად უნდა დავიცვათ ღვთის მცნებები და ვიზრუნოთ ჩვენი ცხონებისა და ცათა სასუფევლის დამკვიდრებისთვის, რადგან იქ არის ჩვენი ადგილი, როგორც ამას პავლე მოციქული ამბობს :„ხოლო ჩვენი მოქალაქეობა ცაშია". [19] ჩვენი ბუნება და სული არ უნდა მოიხიბლოს ამა სოფლის სიამით, რადგან ყოველივე არის წარმავალი და ცრუ. გავექცეთ მკვლელობებს, მრუშობას, სიძვას, ლოთობას და სხვა ბოროტ საქმეებს. არ ვიყოთ ერთიმეორის მიმართ შურით განწყობილნი, ნურც ცილს დავწამებთ ერთიმეორეს უმოწყალო და ბოროტი გულით, იმისათვის რომ დავღუპოთ ერთმანეთი, როგორც ამას ხშირად ვხედავთ, ამას ბევრი ადამიანი აკეთებს ისე, რომ არც ღმერთის ეშინიათ, არც ცოდვის; არ ფიქრობენ არც სიკვდილზე და არც სამსჯავროზე. ასეთ ადამიანებს მხოლოდ ქრისტიანების სახელი ჰქვიათ, ხოლო გულით ქრისტესაგან შორს არიან, როგორც ამას ესაია წინასწარმეტყველი ამბობს და მათი საქმეები არამც თუ წარმართული, არამედ უფრო მეტად ეშმაკეულიც კი არის, რადგან მხოლოდ ეშმაკს არ სურს სიკეთე ადამიანისათვის. როგორც ამბობს თავად მაცხოვარი იესო ქრისტე, ის არის ბოროტი და ცრუ.

ნუ დავიდებთ ჩვენს გულებში ამპარტავნებას, რა კეთილი საქმეც არ უნდა ვაკეთოთ, რადგან იმთავითვე დავკარგავთ ჩვენი მთელი ღვაწლის საზღაურს. მოკლედ რომ ვთქვათ, განვეშოროთ ყველა ბოროტ და ულირს საქმეს, რომელიც ჭრილობას აყენებს ჩვენს სულს და რომლის გამოც ხარობს ეშმაკი. ვიღვა-

წოთ, რომ მხოლოდ კეთილი და ღვთისთვის სათნო საქმეები ვაკეთოთ, რადგან ასე დავიმკვიდრებთ უკვდავებას და მივიღებთ საზღაურს ცათა სასუფეველში.

მივესწრაფებოდეთ ეკლესიაში მისვლას და თუ ამას ყოველ დღე ვერ შევძლებთ, ჩვენი უძლურებებისა და გაჭირვებების გამო, რომლებიც ყოველთვის თან გვახლავს ამასოფლის ტალღებში მოქცეულთ, კვირაობით და დღესასწაულებზე მაინც მოვახერხოთ სიარული, რადგანაც სწორედ ამისთვის დაწესდა ეს წმინდა დღეები. პირველი - იმისათვის, რომ ჩვენ და ჩვენმა საყოლმა დავისვენოთ ყოველდღიური საქმეებისგან. მეორე- რომ მრავალი სიკეთის და წყალობისათვის, რაც გვეძლევა მრავალმოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთისაგან, აღვავლინოთ დიდება და მადლიერება. მესამე- რომ მოვისმინოთ ჩვენი სულისათვის სასარგებლო გალობა და ლოცვა, რადგან როგორც ადამიანის ხორცს არ ძალუძს არსებობა მატერიალური საკვების გარეშე, ასევე არც სულს ძალუძს არსებობა სულიერი საზრდოს გარეშე, რომელიც არის ღვთის სიტყვა. ასე გვეუბნება მაცხოვარი ქრისტე სახარებაში: „არა მხოლოდ პურით ცოცხლობს კაცი, არამედ ყოველი სიტყვით, რომელიც გამოდის ღმერთის პირიდან".[20] ნუ ვივლით საცეკვაოდ და გასართობად დუქნებში, როგორც გვჩვევია ხოლმე, რადგან სარგებლის სანაცვლოდ, ჩვენ წარვწყმდებით სულიერად და ხორციელად, მაგრამ თუ მაინც ერთად შეკრება გვსურს, იმისათვის რომ ერთმანეთს სიხარული გავუზიაროთ, ეკლესიაზე უკეთესი და მშვენიერი ადგილი არ მოიძებნება. რადგან აქ, ჩვენივე თვალით ვხედავთ არა მხოლოდ ხალხის სიმრავლეს, არამედ თავად უფალ იესო ქრისტეს, როგორც მარადიულ მეუფეს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, წმინდა ანგელოზებს, მოციქულებს, მოწამეებს და ყველა წმინდანს. ჩვენი ყურით ვისმენთ მათ მიერ აღსრულებულ სასწაულებსა და დიდებულ საქმეებს. აქ, ეკლესიაში, ჩვენ ვხარობთ სულიერადაც და ხორციელადაც, არ ვკარგავთ არაფერს, არამედ პირიქით, ვღებულობთ მადლს, სიწმინდეს და ღვთის წყალობას.

და როდესაც ეკლესიიდან გამოვდივართ, ნუ წავალთ აქედან ცარიელები, არამედ მოვიქცეთ ისე, როგორც ზღარბი იქცევა ხოლმე, რადგან როდესაც ის მიდის ვენახში, თავდაპირველად თავად ძღება ყურძნით, ხოლო შემდეგ არყევს ვაზს და თავისი ნემსებით აგროვებს ჩამოცვენილ მარცვლებს და მიაქვს თავისი შვილების გამოსაკვებად. ასევე თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარ სახლებში წავუღოთ ჩვენს შვილებსა და სხვებს, ვინც ეკლესიაში ვერ მოვიდა ის სიტყვები, რომელნიც მოვისმინეთ წმინდა სახარებიდან და სხვა წიგნებიდან, რომ ისინიც გამოვკვებოთ სულიერი საზრდოთი. ამის შემდეგ დავიცვათ ჩვენი გონება ბოროტი ფიქრებისგან და ჩვენი სხეულები ყოველი უწმინდურობისაგან. ვიქონიოთ სიყვარული ყველას მიმართ, გავიღოთ მოწყალება გაჭირვებულთათვის, ვიყოთ სტუმართმოყვარენი, მოვიკითხოთ ავადმყოფები და პატიმრები. სიკეთე გავუკეთოთ ჩვენს მტრებს, როგორც ამას გვასწავლის მაცხოვარი ქრისტე. გაჭირვებისა და განსაცდელის ჟამს ვიქონიოთ მორჩილება ჩვენი ბატონების და უფროსების მიმართ. დავუჯეროთ და პატივი ვცეთ ჩვენს

მშობლებს. ღირსებით და პატივით მოვეპყრათ ჩვენს მოძღვრებს, მღვდლებსა და ბერებს, რადგან ასეა ღვთისათვის სათნო.

და თუ ასეთი ცხოვრებით ვიცხოვრებთ, ვიქონიოთ სასოება ღვთისადმი, ამქვეყნიურცხოვრებაშიცგვექნებასიკეთედასიხარული,ხოლომომავალცხოვრებაშიუფალიგანგვაწესებსმართალთადასშიდამივიღებთმარადიულნეტარებას დამარადვიქნებითმამისადაძისადასულისაწმინდისა ქებასადადიდებაში.ამინ!

კომენტარები:

იხ. მათე 3:17

ეს. 1:16

ფსალმუნი 33:5

იოანე 1: 21

რჯული 18:15, საქ. 3:22

მათე 3: 11-12

აქ სახარებისეული ტექსტის ავტორის თავისუფალი ინტერპრეტაცია.

სახარებისეული ტექსტის ავტორის თავისუფალი ინტერპრეტაცია.

[9] იოანე 1: 29. ციტატის ნაწილი არის სახარებისეული ტექსტის ავტორის თავისუფალი ინტერპრეტაცია.

[10] აქ სახარებისეული ტექსტის ავტორის თავისუფალი ინტერპრეტაცია.

სახარებისეული სცენის ავტორის მიერ თავისუფალი ინტერპრეტაცია.

[12] აქაც ანთიმი მიმართავს სახარებისეული სცენის თავისუფალ ინტერპრეტაციას.

[13] მათე 3: 17 ციტატის ნაწილი არის სახარებისეული ტექსტის ავტორის მიერ თავისუფალი ინტერპრეტაცია.

[14] ეს. 53: 9, I პეტრე 2: 22 -

[15] ფს. 73:13

[16] 4 მეფეთა 6:6

მთ. 10:16.

[18] აქ ანთიმი საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტს.

[19] ფილ. 3:20

[20] მთ. 4:3

ქადაგება №15

ქადაგება უფალი ჩვენი იესო ქრისტეს ფერისცვალებაზე[1]

"წარიყვანნა იესო პეტრე და იაკობ და იოვანე, ძმაი მისი, და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თვისაგან. და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად და გაბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე. ხოლო სამოსელი მისი იქნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი".[2]

როდესაც ხილული მზე ამოდის ცისკარზე და დედამიწაზე მაღლდება, ის ჰფენს თავის სხივებს და ანათებს მთელ სამყაროს: ხმელეთს, ზღვებს, ჰფანტავს სიბნელეს, ბურუსს, ათბობს და ასაზრდოებს ყველა ცოცხალ არსებას, რითაც დიდ სიკეთეს აკეთებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველას და ყველაფერს ასულიერებს, აცოცხლებს, ახარებს და ამხიარულებს. ხოლო რაოდენ უმეტეს ამისა არს მზე სიმართლისა, ანუ ძე და სიტყვა მამა ღმერთისა, უფალი ჩვენი იესო ქრისტე (რომლის შესახებაც თქვა მალაქია წინასწარმეტყველმა მე-4 თავში: „ამოგიბრწყინდებათ, ჩემი სახლის მოშიშნო, მზე სიმართლისა"[3]), რომელიც აღვიდა და განათდა დღეს თაბორის მთაზე და გაბრწყინდა თავისი ღვთაებრივობის სხივებით.

რომ არ ყოფილიყო ჭეშმარიტად ძე ღვთისა, ვერ მისცემდა მიცვალებულებს სიცოცხლეს, როგორც მოსეს; ვერ განანათლებდა ცოცხლებს, როგორც ილიას; ვერ გააქრობდა ეჭვისა და წინააღმდეგობის ფიქრს მოციქულთა გონებიდან, ვერ ჩანერგავდა და განამტკიცებდა უფრო მეტ რწმენას მათ გულებში და ვერ ეჩვენებოდა მათ გაბრწყინებული, როგორც ჭეშმარიტი მესია. ქრისტეს, უცოდველსა და უდანაშაულოს, თავისივე ნებით სურს სიკვდილზე წასვლა, რომ ადამიანებს მხოლოდ უყვარდეთ ის მთელი გონებით, გულითა და სულით, ხოლო სხვა ყველაფერი არარაობად ჩათვალონ. ამიტომ მივმართავ თქვენს გულისხმიერებას, რომ მცირე ხნით სიყვარულით მომისმინოთ, რათა გავიგოთ, რომ ჩვენც გვმართებს ისეთივე სიყვარული ქრისტეს მიმართ, როგორიც ჰქონდათ მოციქულებს.

ყოვლადბრძენი ზირაქის წიგნის მეორე თავში ჩვენ ვსწავლობთ, როგორ უნდა განვეწყოთ, როდესაც ვემზადებით ღვთისმსახურებისათვის: „შვილო, თუ უფალს მიეახლები სამსახურად, განსაცდელებისთვისაც გაამზადე თავი"[4] . ამიტომ ის, ვინც ემზადება ემსახუროს ღმერთს, განსაცდელებსა და ბრძოლებს უნდა ელოდოს ბოროტი ეშმაკისაგან, მაგრამ ამ დროს სასოწარკვეთილებაში კი არ უნდა ჩავარდეს, არამედ პირიქით, ღვთისგან უნდა ელოდოს უფრო მეტ ძალასა და დახმარებას (ოღონდაც ამ დროს ადამიანი უნდა იყოს ჭეშმარიტი რწმენით და მტკიცე სასოებით აღვსილი, იყოს მართალი და სთესოს კეთილი საქმეები); ამ შემთხვევაში ღმერთი არ დაუშვებს, რომ განსაცდელის სიმძიმე მის ძალებს აღემატებოდეს, არამედ ამ დროს ღმერთი განაშორებს მისგან მწუხარებასა და განსაცდელს. ბევრი მაგალითია ამის დამადასტურე-

ბელი: პირველ რიგში უნდა ვახსენოთ აბრაამი, რომელსაც ღმერთმა მთაზე ასვლა და თავისი მხოლოდშობილი, საყვარელი ძის - ისააკის საკუთარი ხელით მსხვერპლად შეწირვა უბრძანა.

განა მძიმე არ იყო ეს ღმრთის ბრძანება აბრაამისთვის? განა მის გულში არ იყო დიდი და აუტანელი ტკივილი? მაგრამ ღმერთმა დაინახა მისი რწმენა. აბრაამი არ შეყოვნებულა, რათა შეესრულებინა ღვთის ბრძანება და უფალმა მაშინვე გაუქრო მწუხარება და ტკივილი ანგელოზის გამოცხადებით, რომელმაც გამოუცხადა აბრაამს: „ნუ აღმართავ ხელს ამ ყმაწვილზე, ნურაფერს დაუშავებ მას".[5]

ასევე რამდენი გაჭირვება განიცადა ჰურიების ერმა ეგვიპტეში ფარაონის მონობის დროს; მაგრამ მოსეს მეშვეობით ათი სასჯელი მოევლინა ფარაონს. ღმერთმა ყველაფერი გააკეთა, რათა ეხსნა თავისი ერი მწუხარებებისგან. ასევე მართალმა და მრავალტანჯულმა იობმა ერთ წამში დაკარგა არა მხოლოდ მრავალრიცხოვანი პირუტყვი, სახლები, ძენი და ასულნი, მთელი ქონება, არამედ მთელი სხეული დაეფარა კეთრის წყლულებითა და მატლებით; და საერთოდაც ნაგავსაყრელზე აღმოჩნდა. მაგრამ ვინაიდან დიდი ვაჟკაცობითა და მოთმინებით აიტანა ყველა განსაცდელი, ღმერთმა დაუყონებლივ ორმაგად აღუდგინა ყოველივე, რაც დაკარგა.

ეს ყველაფერი მოვყევი იმისათვის, რომ განვმარტოთ და ვისწავლოთ დღევანდელი დღესასწაულის, ქრისტეს ფერისცვალების დღესასწაულის, საიდუმლო, რომელიც დაეხმარა მოციქულებს, რომ არ ჩავარდნილიყვნენ ურწმუნოებაში. მოციქულები, ხედავდნენ ქრისტეს უდიდესი თავმდაბლობით ცხოვრებას, უზომო გაჭირვებასა და სიღარიბეს, იმდენად მძიმეს, რომ ხშირად თავის მოსადრეკი ადგილიც კი არც ჰქონდა ჰურიებისაგან დევნილს. მათი ფიქრები, როგორც უბრალო და გაუნათლებელი ადამიანებისა, აიბნა, მათში დაიწყო ეჭვისა და ურწმუნოების შეპარვა, რომ იესო არ არის ჭეშმარიტი მესია, მით უმეტეს, რომ რამდენიმე დღეში იგი უნდა მომკვდარიყო უღირსი სიკვდილით.

ამ ურწმუნოების ჟამს, მხოლოდ ქრისტეს, ძე ღვთისას უშუალო დახმარება თუ უშველიდა მათ. ამიტომაც აიყვანა ისინი მთაზე და მათ წინაშე ფერი იცვალა და უჩვენა მათ თავისი ღვთაებრივი ნათელი (რამდენადაც ამის დანახვა შესაძლებელია ხორციელი თვალებისთვის). მაცხოვარმა გაანათლა და განადიდა კაცობრივი ბუნება, რომლითაც იყო შემოსილი. ამ ნათელით გაბრწყინდა მისი სამოსელიც, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო თავმდაბალი, გარეგნულად ღატაკი, რომელსაც დევნიდნენ და რამდენიმე დღის შემდეგ ჰურიების მიერ იქნებოდა შეურაცხყოფილი, დამცირებული, ნაცემი, ნაწამები, დაწყლულებული და ბოლოს ჯვარცმული, ვითარცა ბოროტმოქმედი. სწორედ ამ დროს მოციქულები უნდა მდგარიყვნენ მტკიცედ თავის რწმენაში, არ უნდა ეფიქრათ, რომ იესო მხოლოდ კაცია, არამედ უნდა სცოდნოდათ, რომ ის არის ჭეშმარიტი სრული ღმერთი. სწორედ ამიტომ იცვალა ფერი იესომ მათ წინაშე.

იმისათვის, რომ ურწმუნოების განსაცდელისაგან გადარჩენილიყვნენ, მო-

ციქულებს მაცხოვრის დახმარება სამ რამეში სჭირდებოდათ: პირველი, საჭირო იყო ერწმუნათ, რომ ქრისტე არის ჭეშმარიტი მესია; მეორე, როდესაც დაინახავდნენ ჯვარცმულსა და მკვდარს, მათ არ უნდა დაეკარგათ რწმენა, რომ ის არის ჭეშმარიტი ღმერთი; მესამე, უნდა მიეცა მათთვის მიზეზი, რომ შეყვარებოდათ ის მხურვალე სიყვარულით.

ამიტომ ვხედავთ, თუ რაოდენ დიდი დახმარება გაუწია საკუთარი ფერისცვალებით ქრისტემ მოციქულებს, რათა შეეცნოთ იგი, როგორც ჭეშმარიტი მესია. ამ მიზნით გახდა საჭირო სამი მოწმის: მოსეს, ილიასა და ზეციერი მამის დამოწმება. „და აჰა ესერა - მოგვითხრობს მახარობელი - ორნი კაცნი მის თანა ზრახვიდეს, რომელნი იყვნეს მოსე და ელია. რომელნი გამოჩნდეს დიდებითა და იტყოდეს განსვლასა მას მისსა, რომელი ეგულებოდა აღსრულებად იერუსალემს".[6] და მამა ღმერთმა ხმით ღრუბლიდან დაამოწმა: „და ხმაი იყო ღრუბლით გამო: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, ამისი ისმინეთ",[7] რათა მოციქულები არ შესუსტებულიყვნენ საკუთარ რწმენაში, როდესაც მას ჯვარცმულს დაინახავდნენ. თავიდან იესო ქრისტე ჯერ მოსეს და ილიას ესაუბრება მომავალ ჯვარცმაზე და სიკვდილზე, უცხადებს მათ თავის ღვთაებრიობას, რომლითაც განადიდა კაცობრივი ბუნება და რომლითაც განადიდებს წმინდანებს, მეორედ მოსვლის ჟამს.

სახარებაში ნათქვამია, „და აჰა ეჩუენნეს მათ მოსე და ელია მის თანა, და თანა-ზრახვიდეს",[8] დიდებული საუბარი და მოსაუბრეები ჰყავს დღეს ქრისტეს, რადგან ქრისტე არის მესია, მოსე არის სჯულმდებელი, ხოლო ილია არის დიდი წინასწარმეტყველი; ქრისტე არის სოფლის მაცხოვარი, მოსე არის ჰურიათა გადამრჩენელი, ხოლო ილია იქნება მეორედ მოსვლამდე მართალთა მხსნელი. ქრისტე არის სჯულის მომცემი, მოსე არის სჯულის მასწავლებელი, ხოლო ილია არის სჯულის აღმსრულებელი.

ხედავთ, რა დიდებული თანამოსაუბრენი ჰყავს მაცხოვარს?! საინტერესოა ისიც, რომ მოსე მოკვდა, ხოლო ილია ცოცხალია. ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს ის, რომ ქრისტეს გამოეცხადა ერთი წმინდანი მკვდრებიდან და ერთი წმინდანი ცოცხლებიდან? ეს იმიტომ, რომ მომავალი სამსჯავროს დროს განისჯებიან და ცათა სასუფეველში ერთად იქნებიან ნეტარებაში ის მართლები, რომლებიც მეორედ მოსვლის ჟამს იქნებიან ცოცხალნი, თუ მკვდარნი, რადგან ქრისტეს დღევანდელი ფერიცვალების საიდუმლო წარმოადგენს ცათა სასუფევლის დიდების ერთგვარ წინასახეს, ამიტომაც იქნა გამოცხადებული ერთ-ერთი მიცვალებულთაგანი - მოსე და ერთ-ერთი ცოცხალთაგანი - ილია. ის, რომ ცათა სასუფეველში ერთად იქნებიან ცოცხლებიცა და მიცვალებულებიც, გვიმოწმებს პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ ეპისტოლეს მე-15 თავში: „ყოველთავე უკუე არა შევისუენოთ, ხოლო ყოველნივე განვახლდეთ. რამეთუ ჯერ-არს ხრწნილისა ამის შემოსად უხრწნელებაი, და მოკუდავისა ამის შემოსად უკუდავებაი".[9]

„და ეჩუენნეს მათ მოსე და ელია",[10] ნეტავ რისთვის? ოთხი რამისთვის:

პირველი მიზეზი: ხალხში რომ გამქრალიყო ის ცრუ წარმოდგენა ქრისტეზე, თითქოს ის იყო ილია, იერემია, ან სხვა რომელიმე წინასწარმეტყველთაგანი. მეორე მიზეზი: ენახათ ჰურიებს, რომ ქრისტე არ არის მოსეს სჯულის წინააღმდეგი და ამიტომაც სიყვარულით ესაუბრება თავად სჯულმდებელ მოსეს და სჯულის აღმსრულებელ ილიას. მესამე მიზეზი: ეჩვენებინა, რომ თავად არის სიცოცხლისა და სიკვდილის მბრძანებელი, ცოცხლებისა და მიცვალებულების უფალი; და როდესაც მათ უხმობს, ისინი მოდიან კიდევაც, როგორც ეს არის ნათქვამი დღევანდელი მერვე გალობის ერთ-ერთ ტროპარში: „რომელიც ჰბრძანებ ცასა და სუფევ ქვეყანასა და უფლებ ქუესკნელსა, დადგნენ წინაშე შენსა, ქრისტე ღმერთო, ქუეყანისაგან მოციქულნი, ზეციდან ელია და ქუესკნელიდან მოსე“. მეოთხე მიზეზი: მოციქულებს უნდა ენახათ, თუ როგორ იყო განდიდებული ის ორი წინასწარმეტყველი : კერძოდ, მოსეს ჰქონდა დიდი სიმშვიდე და სიკეთე, ხოლო ილიას - სარწმუნოების დიდი მოშურნეობა, ამიტომ მოციქულებიც უნდა იყვნენ ისეთივე მშვიდები, კეთილები და მოშურნეები იქ, სადაც იქნება საჭირო რწმენის სიმტკიცე და ჭეშმარიტი ღმრთის თაყვანისცემა.

ამ ოთხი მიზეზისთვის მაცხოვარს გამოეცხადა მოსე და ილია. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მათი გამოცხადება იყო საჭირო იმისთვის, რომ მოციქულებისთვის დაემოწმებინათ, რომ იესო არის მესია, თუმცა, ეს მოწმობა არც უნდა ყოფილიყო აუცილებელი, რადგან ზეციდან გაისმა მამა ღმერთის ხმა, ბევრად უფრო სარწმუნო, ვიდრე წინასწარმეტყველებისა: „და აჰა ხმაი იყო ღრუბლით გამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ“.[11]

ჰოი, რა ჭეშმარიტი და სარწმუნოა ეს მოწმობა! ჰოი, რა სიკეთე და ნეტარება მოიხვეჭეს იმათ, ვინც მოისმინა ეს მოწმობა და ზეციერი მამის ბრძანების შესაბამისად გაჰყვა მაცხოვარს! მართალია, რომ ამ ცხოვრებაში მცირეოდენ იდევნებოდნენ, მაგრამ როგორც ამბობს ბრძენი სოლომონი, დიდ ნეტარებასა და სიხარულს ელირსნენ: „რადგან ისინი ღმერთმა გამოსცადა და თავისი თავის ღირსად შერაცხა. ქურაში ოქროსავით გამოსცადა ისინი და დასაწველ მსხვერპლად შეიწყნარა “.[12] მართალია, მცირეოდენ იყვნენ ღვაწლში, მაგრამ დიდი საზღაური მიიღეს. მცირე ხანი იყვნენ მწუხარებაში, მაგრამ მარადიულ ცხოვრებაში გაიხარეს, რადგან როგორც ამბობს პავლე მოციქული, ამქვეყნიური ცხოვრების დევნა ვერ შეედრება მომავალი ცხოვრების დიდებას.

და აჰა, ხმა ღრუბლიდან, რომელმაც თქვა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ“.[13] ნეტავ, ეს სიტყვები, რომელნიც წარმოსთქვა მამა ღმერთმა: “მაგისი ისმინეთ“, ნათქვამი იყო მხოლოდ მოციქულებისთვის, თუ ჩვენთვისაც? მე მგონი, რომ ეს ჩვენთვისაც იყო ნათქვამი, რადგან ჩვენ ქრისტიანები ვართ და ქრისტეს მოწაფენი. ახლა პირველად უნდა გავიგოთ ამ სიტყვის – „ისმინეთ“ მნიშვნელობა. შემდეგ კი, უკვე უფრო ნათლად გავიგებთ სხვა სიტყვების შინაარსაც. ეს „ისმინეთ“ აქ არ გაიგება, როგო-

რც ცარიელი სიტყვა, რომელიც ადამიანის პირიდან გამოდის და ყურით ვისმენთ, რადგან ასეთი მოსმენა არ ნიშნავს დაჯერებასა და მორჩილებას, არამედ მხოლოდ ხმის გაგებას. სახარებაში იგულისხმება ქმედების დასასრული, მაგალითად, როდესაც მსახურს ეუბნებიან მიდი და გააკეთე, ხოლო მას ესმის რა ეს სიტყვები, ავლენს მორჩილებას, მიდის და ასრულებს ბრძანებას. ასე მამა ღმერთი გვეუბნება: „მაგისი ისმინეთ", ანუ, რასაც გვიბრძანებს ქრისტე, უნდა დავემორჩილოთ და შევასრულოთ მისი ნებისაებრ, ჩვენი სულების სასიკეთოდ.

მაშასადამე, დავიცვათ ღვთის მცნება და დავემორჩილოთ ქრისტეს. მე ვთვლი, რომ როგორც შორსაა ცა მიწისაგან, ასე შორს უნდა ვიყოთ მხოლოდ გარეგნული მორჩილებისაგან, რადგან ქრისტე გვეუბნება იოანე სახარების მე-14 თავში: „უკეთუ გიყუარ მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით".[14]

ახლა ვნახოთ, თუ გვიყვარს ქრისტე, მისი რომელი მცნება უნდა დავიცვათ.

ქრისტე გვასწავლის: „ჭირი არ დაგელევათ ამქვეყნად".[15] ჩვენ არ გვსურს არანაირი მწუხარების ტვირთვა, ხოლო თუ განსაცდელში აღმოვჩნდებით, იმიტომ კი არა, რომ ღვთის სიყვარული მოგვაკლდა, არამედ ჩვენი თავკერძა სურვილების შეუსრულებლობის გამო.

ქრისტე გვასწავლის: „ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ",[16] ხოლო ჩვენ არ ვიღებთ ღვთის მშვიდობას და მუდმივად ვშფოთავთ, როგორც ზღვის ტალღები ქარიშხლის დროს.

ქრისტე გვასწავლის: „ნუ განიკითხავთ, რაჲთა არა განიკითხნეთ"[17] ხოლო ჩვენ არც დღეს, არც ღამეს და არცერთ საათს არ ვატარებთ, რომ ბოროტებით არ განვიკითხოთ არა მხოლოდ ისინი, ვისაც ვიცნობთ, არამედ უცნობებიც.

ქრისტე გვასწავლის: „ყოველი რომელი გინდეს თქუენ, რაითა გიყონ კაცთა, ეგრეცა თქუენ ჰყვით მათა მიმართ",[18] ხოლო ჩვენ გვსურს, რომ პატივს გვცემდნენ, თავს გვიხრიდნენ, საჩუქრებს გვჩუქნიდნენ, გვაქებდნენ, ჩვენზე კარგს ლაპარაკობდნენ, ყველა სურვილს გვისრულებდნენ, ბოროტებას რომც ჩავდიოდეთ, არავინ იღებდეს ხმას და არ გვეწინააღმდეგებოდეს. ჩვენ კი ამ დროს ყველას განვიკითხავთ, არავის არ ვეხმარებით, სიკეთეს არ ვუკეთებთ და არ გვსურს, რომ ვინმემ თხოვნით მოგვმართოს. ყველას ვლანძღავთ, ყველას ბოროტებით ვიხსენებთ, ცილს ვწამებთ, ვიგდებთ მასხრად და დავცინით, ყველაზე ვლაპარაკობთ, რომ არიან გიჟები და უგუნურები. მხოლოდ ჩვენი თავი მოგვაქვს, როგორც ყველაზე ბრძენი, ღმერთზე უფრო მეტადაც კი და ვივიწყებთ რომ, ამა სოფლის სიბრძნე არის სისულელე ღვთის წინაშე.

ქრისტე გვასწავლის: „მცნებასა ახალსა მიგცემ თქუენ, რაითა იყუარებოდეთ ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარეთ თქუენ, რაითა თქუენცა იყუარებოდით ურთიერთას",[19] ხოლო ჩვენ ერთმანეთი გვძულს და ვცდილობთ, ხელი ვკრათ ერთმანეთს, თითქოს მშობლები მოგვიკლეს ან სხვა რამ ბოროტება გაგვიკეთეს.

ქრისტე გვასწავლის: „რომელსა სირცხჳლ უჩნდეს ჩემდა მომართ მას ძემანცა კაცისამან არცხჳნოს, ოდეს მოვიდეს დიდებითა თჳსითა და მამისაჲთა და წმიდათა ანგელოზთაჲთა“,[20] ხოლო ჩვენ არც ღმერთის გვრცხვენია, არც მის სიტყვებს ვისმენთ, არ ვიცავთ იმას, რასაც გვასწავლიან ჩვენი სულისათვის საცხოვნებელსა და სასარგებლოს, უფრო მეტიც, სხვადასხვა საბაბს ვეძებთ, რომ თავი გავიმართლოთ, თითქოსდა არ შეგვიძლია იმის შესრულება, რასაც იესო ქრისტე გვასწავლის. ვითომ ოჯახებში გვაქვს პრობლემებიო, დრო არ გვიწყობს ხელსო, ჩვენზე ბატონობენ წარმართებიო, და საერთოდ, გვაქვს ბევრი პრობლემა და მწუხარებაო. მაგრამ როდესაც ჩვენი საკუთარი სურვილებისა და ახირებების შესრულება გვინდა, მაშინ როგორღა ვპოულობთ დროსაც და ყველანაირ საშუალებას მათ მისაღწევად?!

ღმერთს არ ვემორჩილებით იმაში, რაც ჩვენი სულებისთვის სასარგებლო და კარგია, რადგან ჩვენ გვგონია, რომ მისი მცნებები მძიმე და ცუდია. ამიტომაც არც პატივს ვცემთ მას, თითქოს ჩვენი მოსისხლე მტერი იყოს. ხოლო ადამიანებს, რომლებსაც არ ეშინიათ ღმერთის, არც ხალხის რცხვენიათ, მათ ვუჯერებთ ყველაფერში და ამით ვილუპავთ სულებს. ჩავდივართ ბოროტებებს და ამით ხალხის სალაპარაკო, გასალანძღი და დასაწყევლები ვხდებით ხოლმე. ვღებულობთ ურწმუნო ადამიანების რჩევებს და დიდი სურვილით, სიხარულითა და სიყვარულით ვასრულებთ მათ. ვაქებთ ამგვარ ადამიანებს და პატივს ვცემთ მათ, როგორც საუკეთესო მეგობრებს და არ ვფიქრობთ იმას, რომ მათი რჩევების შესრულებით ვილუპავთ სულებს. ხოლო ღმერთს, რომელსაც ყველა ადამიანის ცხოვნება სურს, არაფრად ვაგდებთ.

ქრისტე გვასწავლის: „ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“[21] ხოლო ჩვენ გვშურს ერთმანეთის, ბოროტებას ვუსურვებთ და ყველაფერს ვაკეთებთ ზიანი რომ მივაყენოთ არა მხოლოდ სხვის ქონებას, არამედ მათ პატივსა და ღირსებას და ამით ჩავდივართ ცოდვას სულიწმიდის წინააღმდეგ. მაგრამ ღმერთს არ შეუქმნია ეს სამყარო მხოლოდ ერთი ადამიანისთვის, არამედ ყველასთვის, არც ცათა სასუფეველი შექმნილა ერთეულებისთვის, არამედ ყველასათვის; ღმერთს სამყარო მხოლოდ ერთი ადამიანისთვის რომ შეექმნა, რაში დაჭირდებოდა მას ევას შექმნა? და ამის შემდეგ მათი კურთხევაც: „ინაყოფიერეთ, იმრავლეთ და აავსეთ ქვეყანა“.[22] ხოლო თუ ვინმე გამოხატავს კიდევაც სიყვარულს სხვის მიმართ, ამას აკეთებს ტყუილითა და თვალთმაქცობით, ან შიშის, სირცხვილის, ან რაიმე ბოროტი სარგებლის გამო.

ქრისტე გვასწავლის: „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს-ღმრთისა“[23] ხოლო ჩვენ არც საეკლესიო, არც საერო უფროსებს, არც თავად ღმერთს არ ვემორჩილებით სიმართლით და არ ვცემთ მათ სათანადო პატივს. არამედ სიყვარულის სანაცვლოდ, ბოროტებით და ცბიერებით ცილს ვწამებთ და ბოროტებით ვსაუბრობთ მათზე. მაგრამ ნახეთ, რას ამბობს ღმერთი მათზე გამოსვლათა წიგნის 22-ე თავში: „ღვთის მსაჯულებს ნუ შეურაცხყოფდა

თავკაცს შენს ხალხში ნუ დასწყევლი".[24] წმინდა წერილის განმმარტებლები ღვთის მსაჯულებში გულისხმობენ ეკლესიის მღვდელმთავრებს, მოძღვრებსა და მასწავლებლებს, ხოლო თავკაცებში - მეფეებს, ბატონებსა და მსაჯულებს.

ხოლო ჩვენ ბოროტს ვისზე ვამბობთ, ვის ვწყევლით და ვის ვწამებთ ცილსა? რა თქმა უნდა, მღვდელმთავრებს, მთავრებსა და ჩვენს ბატონებს, სწორედ მათზე, ვისზედაც ღმერთი გვასწავლის, რომ ბოროტად არ მოვიხსენიოთ. დავით წინასწარმეტყველი გვასწავლის: „დასდევ უფალო საცოი პირსა ჩემსა",[25] ხოლო ჩვენ საერთოდ არა გვაქვს ღვთის შიში. რადგან ჩვენი გონება ღვთისა და ადამიანთა წინაშე ბოროტია, სწორედ ამიტომაა ჩვენი ცხოვრება დაწყევლილი, შფოთვარე, სავსე შიშითა და სიძულვილით, გაჭირვებებითა და მწუხარებით.

აჰა, ჩვენ გვამხელენ ჩვენივე საქმეები, რადგან არც ვემორჩილებით ქრისტეს, არც გვიყვარს ის, რადგან თუ გვეყვარებოდა, შევასრულებდით კიდეც მის მცნებებს. თითოეული ჩვენგანი იქცევა თვითნებურად, ჩავდივართ მხოლოდ იმას, რაც ჩვენ გვსურს და არ გვახსენდება არც სიკვდილი და არც სამსჯავრო. თუ ჩვენ არ გამოვასწორებთ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენი დასასრული ბოროტი იქნება.

ამიტომაც, ჩემო საყვარელნო, აღვმართოთ ჩვენი გონება თაბორისაკენ, ჩვენსკენაც მოვიდეს ნათელი ჭეშმარიტი, ვიხილოთ ის სულიერი თვალით, ვიყოთ ჩვენც მოციქულებივით ქრისტეს მიმართ სავსენი მოშურნეობითა და სიყვარულით, დავემსგავსოთ ჩვენს მოსეს და ილიას მათ ღვაწლში და ღვთის მცნებების აღსრულებაში. რათა ჩვენც ქრისტესთან ერთად ავმაღლდეთ სულიერ სიმაღლეზე, ვიხილოთ მისი დიდება, ნათელი ღრუბელი და ვისმინოთ მამა ღმერთის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი,"[26] და სხვა დანარჩენი. და ბოლოს, ღირს ვიქმნეთ მასთან ერთად შევიდეთ ცათა სასუფეველში.

ჰოი, უფალო იესო ქრისტე, გევედრებით ჩვენ უღირსნი და ცოდვილნი მონანი შენნი, რომელნიც გამოგვისყიდე შენი უძვირფასესი სისხლით ცბიერი ეშმაკის ხელიდან, მოწყალე გვექმენ ჩვენ მრავლისა მოთმინებისა შენისათვის, შენი სიბრძნის ნათელით განგვინათლე დაბნელებული სულის თვალები, ჩვენს გაქვავებულ გულებში აღანთე შენი ცეცხლი და ღირს გვყავ მადლითა შენითა, რათა ვყოთ ნება შენი და მთელი სულით შეგიყვაროთ შენ, ამ დაცემულ და მწუხარებით სავსე წუთისოფელში; ხოლო მომავალ ცხოვრებაში, შენი ღვთაებრიობის ნათელისა და დიდების ხილვის ღირსად შევიქმნეთ, რომ მარადის გადიდებდეთ შენი დაუსაბამო მამით და ყოვლადწმიდით და სახიერით და ცხოველსმყოფელი სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

კომენტარები:

[1] იესო ქრისტეს ფერისცვალებას წმ. ანთიმოზი უძღვნის სხვა ქადაგებასაც (იხ." ქადაგება უფლის ფერიცვალებაზე, აგვისტოს თვის 6") მისგან განსხვავებით, ამ ქადაგებაში ანთიმოზი დეტალურად ჩერდება ადამიანთა ქრისტეში შეხვედრის სასწაულზე, დათმე-

ნაზე, როგორც პერსონული რწმენის საფუძველზე, ხოლო ბიბლიიდან მოტანილი მაგალითებიდან აშკარად იკვეთება ექსისტენციონალიზმთან ანთიმოზის ხედვის კავშირი.

[2] მათე 17: 1-2

[3] მალაქია 3:20

ზირაქი 2:1

[5] დაბ. 22:9

[6] ლუკა 9: 30-31

ლუკა 9: 35

[8] მათე 17: 3

[9] I კორ. 15: 51, 53

[10] მათე 17: 3

მათე 17: 5

[12] სიბრძ 3:5-6

[13] მათე 17: 5

[14] იოანე 14: 3

[15] ინ. 16:33

[16] თავისუფალი გადმოცემა აღნიშნული ადგილისა

[17] მთ. 7:1

[18] მთ. 7:12

[19] ინ. 13:34

[20] ლკ. 9:26

[21] იოანე 13:35

[22] დაბ. 9:1

[23] მკ. 12:17

[24] გამ. 22:27

[25] ფსალმუნი 140: 3

[26] მათე 17: 5

ქადაგება №16

ქადაგება ბზობის კვირიაკეზე

დიდი მონდომება და წმინდა სიყვარული, უფრო მეტად კი მამობრივი ვალდებულება, რომელიც გამაჩნია თქვენ მიმართ, მარად მაიძულებს, არ ვიყო დაუდევარი თქვენზე ზრუნვაში და შეძლებისდაგვარად გასაზრდოოთ სულიერი დამოძღვრებით. რამეთუ ამაშია ჩემი ჭეშმარიტი დანიშნულება, რომ ვიყო თქვენი სულიერი მოძღვარი და მამა და ვიზრუნო თქვენს სულიერ ცხონებაზე. ხოლო თქვენ, მაშინ გამოაჩენთ რომ ხართ ნამდვილი სულიერი შვილები, რჩეული და წმინდა სამწყსო, როდესაც თითოეული თქვენგანი სიყვარულით მიიღებს და შეძლებისდაგვარად შეასრულებს, რასაც გასწავლით.

ამიტომაც, ჩემო საყვარელნო მსმენელებო, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ყველანი შევიკრიბეთ ბზობის კვირის აღსანიშნავად, ახლა ამ დღის შესახებ არაფერს გეტყვით. ერთი: იმიტომ რომ ეს საუფლო დღესასწაულია და ამიტომ ბევრის თქმა და ლაპარაკია საჭირო, რომ რაღაცა მაინც განვმარტოთ ამ დღის დიდების თაობაზე, და მეორე: ვიცი, რომ თითოეული ამ კვირაში ცდილობს მოემზადოს და ღირსი გახდეს წმინდა ზიარების მისაღებად ზოგი დიდ ხუთშაბათს, ზოგი შაბათს, ზოგი კი კვირას, აღდგომა დღეს.

ამიტომ ვალდებულად ვთვლი თავს, რომ გესაუბროთ იმაზე, რასაც შთამაგონებს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომ იყოს თქვენთის მეტად სასარგებლო, და ამისთვისაც ვითხოვ მისგან შეწევნასა და წყალობას. ხოლო თქვენ, გთხოვთ, სიყვარულით მომისმინეთ, რასაც გეტყვით, რადგან ვგონებ, თუ ჩემი სიტყვებიდან არ მიიღებთ არანაირ სარგებელს, დანამდვილებით ვიცი, არაფერი დაგიშავდებათ მაინც.

შვიდ საიდუმლოთაგან, რომლებსაც იცავს წმინდა აღმოსავლეთის ეკლესია, ყველაზე პირველი და დიდი არის ნათლობა. მის გარეშე ვერავის ძალუძს ცათა სასუფეველში შესვლა; რადგან ასე ამბობს მაცხოვარი იესო ქრისტე იოანეს სახარების მე-3 თავში: „უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელ-ეწიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა“,[1] ზუსტად ამ ნათლობით ადამიანი ხდება წმიდა, ნეტარი, სრულყოფილი და მადლისმიერი ძე ღვთისა.

მაგრამ მე გავბედავ და ვიტყვი, რომ სინანულის საიდუმლო, წმინდა ნათლისღებასთან არის თანასწორი, ღირსებაში და მოქმედებაშიც და ვთვლი, რომ არ ვცდები ამ შეფასებაში. რატომ? რადგან ის ოთხი ნიჭი, რომელიც ეძლევა ადამიანს ნათლობით, იბილწება ცოდვით და ნეტარისგან ადამიანი გარდაიქცევა ბოროტად, წმინდანისაგან ცოდვილად, სრულყოფილისაგან - არარაობად, ღვთის ძეობიდან ეცემა ეშმაკის შვილად; რადგან ასეა ნათქვამი იოანეს სახარების მე-3 თავში: „რომელმან ქმნეს ცოდვაი, იგი ეშმაკისაგან არს, რამეთუ დასაბამითგან ეშმაკი ცოდავს“.[2] და ის, რომ სინანულის საიდუმლო ნათლისღებასთან არის თანასწორი ღირსებაში და მოქმედებაში, შეგვიძლია

დავამტკიცოთ ბევრი ფაქტებით, რომლებისგანაც გავიხსენებთ ერთი-ორს.

შექმნათა წიგნის მერვე თავში ღმერთი ეუბნება ნოეს: „ამიერითგან აღარ დავწყევლი მიწას ადამიანის გამო, რადგან ბოროტისკენაა მიდრეკილი ადამიანის გულისთქმა მისი სიყრმიდანვე. მეტად არ გავანადგურებ ცოცხალ არსებას, როგორც მოვიქეცი“,[3] და ამით გამოაჩინა თავისი დიდი სულგრძელობა და მოთმინება.

ამიტომაც, როგორც გვასწავლიან ეკლესიის მამები, ის წარღვნა სიმბოლურად წმინდა ნათლისღებას აღნიშნავდა; რადგან, როგორც წარღვნის წყალმა მთელი დედამიწისაგან წაშალა ყველა ცოდვა და უსჯულოება; წმინდა ნათლისღების წყალიც წმენდს მთელ კაცობრიობას, როგორც პირვანდელი ცოდვისა, ასევე ბოროტი ნებით ჩადენილი პირადი ცოდვებისაგან. მაგრამ ღმერთმა რადგანაც იცის, რომ ეშმაკი თავისი დიდი ბოროტებით, შურითა და ბოლმით ათასი ხერხით არ შეეშვება ადამიანის ცდუნებას და, რომ ადამიანმა ცოდვის სიბილწითა და კუპრით არ წაიბილწოს ნათლობისას შემოსილი წმინდა სამოსელი, ამიტომაც, როგორც წყალობის და მოწყალების მამა, ღმერთმა მისცა ადამიანს სინანულით განკურნების საშუალება, რომ მისი მეშვეობით ისევ უბრუნდებოდეს თავდაპირველ ღირსებას და ურჩობის და წარწყმედის ძისაგან ისევ ხდებოდეს ძე ღვთისა, მკვდრისაგან ისევ ცოცხალი, დაკარგულისაგან ისევ ნაპოვნი. რადგან ნათქვამია ლუკას სახარების მე-15 თავში: „ძე ესე ჩემი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედილ იყო და იპოვა“.[4]

ამბობს ღმერთი ისაია წინასწარმეტყველის წიგნის პირველ თავში: “განიბანენით, წმიდა იქმნენით, მოსპენით უკეთურებანი სულთაგან თქვენთა წინაშე თვალთა ჩემთა, დასცხერით ბოროტთაგან თქვენთა. და მოვედით და შევიტყუნეთ, – იტყჳს უფალი, – და უკეთუ იყვნენ ცოდვანი თქვენნი, ვითარცა ღებილნი, ვითარცა თოვლი განვასპეტაკო. ხოლო უკეთუ იყვნენ, ვითარცა ძოწეულნი მეწამულნი, ვითარცა მატყლი განვასპეტაკო“.[5]

დაუფიქრდით, გთხოვთ, მთელი გონებით და გაიგეთ ეს სიტყვები, რომლებსაც გვეუბნება ღმერთი ისაია წინასწარმეტყველის პირით: „განიბანეთ და განიწმიდეთ“, რადგან არ ამბობს მხოლოდ განიბანეთო ამ უბრალო წყლით, რომელსაც ვსვავთ და ყოველდღიურად ვხმარობთ, რომელსაც მხოლოდ ადამიანის კანის დაბანა შეუძლია, არამედ ამბობს განიბანეთ და განიწმიდეთ თქვენი ცოდვებისაგან წმინდა სინანულის წყლითა და ცრემლებითო. ასევე გვეუბნება: „ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა“, ანუ ეს ნიშნავს, რომ უნდა ვთქვათ ხოლმე აღსარება არა მხოლოდ ბაგეებით, არამედ გულით და იმ ფიქრით, რომ ამიერიდან აღარ უნდა შევცოდოთ, რადგან ღმერთი სრული თვალია და ყოვლისმხედველია, ის არ უყურებს მხოლოდ ბაგეებით ნათქვამს, რომლებიც ხორცის სამსახურისთვისაა შექმნილი, არამედ იყურება ადამიანის გულის სიღრმეში; რადგან ღმერთია, რომელიც განიკითხავს გულსა და თირკმელს, როგორც ამბობს დავით წინასწარმეტყველი მე-7 ფსალმუნში, თუ არ შეინანებთ გულით და: „არა თუ მოიქცეთ, მახჳლი მისი ლესულ არს,

მშჯლდსა მისსა გარდაუცუამს და განუმზადებიეს იგი; და მის თანა განუმზადებიან ჭურნი სიკუდილისანი; ისარნი მისნი შესაწველთათჳს ქმნნა.“.[6] რადგან სინანული მაშინაა სინანული, როდესაც ადამიანი თავისივე ნებით, ყველანაირი ზენოლის გარეშე მიდის მოძღვართან აღსარების სათქმელად შემუსვრილი გულით, თავმდაბლობით, მხურვალე ცრემლებით და მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ აღარ ჩაიდინოს ცოდვები, რადგან ესაა აღსარების საფუძველი. მხოლოდ ამის შემდეგ გვეუბნება ღმერთი: „მერე მოდით და ცილობა ვყოთ“, ანუ მერე გვექნება კადნიერება მივიდეთ, გავხსნათ პირი და ვიჩივლოთ ეშმაკის წინააღმდეგ იმ გაჭირვებისა და უბედურების გამო, რომელსაც ის ჩვენ გვმართებს. და ღმერთი გვპირდება, რომ ჩვენი ცოდვების დიდ სიწითლეებს, ანუ მკვლელობების სისხლებს, ის განწმედს და განასპეტაკებს თოვლივით და მატყლივით, ისე როგორც ეს მოთხრობილია მარკოზის სახარების მე-9 თავში – განსპეტაკდა მაცხოვარი და მისი სამოსელი თაბორის მთაზეო.

ამიტომ ამაზე დიდი სიკეთე და შენდობა განა რა შეიძლება არსებობდეს, რომ მონანული ადამიანები ხდებოდნენ წმიდა და სპეტაკნი, როგორც თავად მაცხოვრის სხეული, „რომელმაც უსჯულოება არ ქმნა და არც მზაკვრობა მოიპოვა პირსა მისსა“.

აჰა, მაშასადამე, როგორც უკვე გითხარით, სინანულის საიდუმლო ნათლისღების საიდუმლოსთან ტოლია ღირსებასა და ქმედებაში. რადგან, როგორც ერთი განბანს პიროვნებას პირვანდელი ცოდვისაგან და ქმნის მას ნეტარად, წმიდად, სრულყოფილად და მადლით ძედ ღვთისად, ასევე წმინდა სინანულიც დაღუპულ ადამიანს აცოცხლებს, დაკარგულ ადამიანს ხდის ნაპოვნს, უღირსს ხდის პატიოსნად და წმიდად და ურჩობის ძისაგან - ღვთის ძედ ხდის.

როგორც ამბობენ ისტორიკოსნი, როდესაც ღმერთმა უბრძანა ნოეს, აეშენებინა კიდობანი, ის მას აკეთებდა ასი წლის განმავლობაში, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ადამიანებს ჰქონოდათ დრო მოსულიყვნენ გონს და მოენანიებინათ თავიანთი ცოდვები. მთელი ამ ასი წლის განმავლობაში მართალი ნოე ქადაგებდა და აფრთხილებდა ხალხს, რომ ღმერთი მოავლენს წარღვნას, რომელიც დაფარავს მთელ დედამიწას და ყველა ცოცხალი არსება დაიღუპება. მაგრამ ადამიანებს საერთოდ არ სჯეროდათ მისი, არამედ დასცინოდნენ და მასხრად იგდებდნენ მას, ამბობდნენ, რომ ნოეს თავად არ ესმოდა, რას ლაპარაკობს და რას აკეთებს. ასევე, როდესაც დაიწყო წვიმა, ღმერთს შეეძლო ერთ დღეშივე დაემთავრებინა ყველაფერი, მაგრამ არ მოინდომა, არამედ 40 დღისა და 40 ღამის განმავლობაში აწვიმა და ამით აჩვენა თავისი დიდი მოთმინება, რადგან ადამიანებს კიდევ აძლევდა სინანულის დროს, მაგრამ სამწუხაროდ, არც ასეთნაირად მოვიდნენ გონზე. ხოლო უკვე გვიან, როდესაც დაინახეს ადამიანებმა, რომ წყალი მატულობდა და არ ჩერდებოდა, დაიწყეს სახლის სახურავებზე, ბორცვებზე, ხეებზე და მთებზე ასვლა, მაგრამ უკვე აღარაფერი შველოდა. რადგან ღმერთმა ჩაკეტა კიდობანი გარედან და გასაღებიც თვითონ შეინახა, ამიტომაც გარეთ დარჩენილთათვის აღარ იყო გადარჩენის არცერთი საშუალება და დაიღუპა ყველა ცოცხალი არსება, ადამიანიც და ცხოველიც.

ასევე ჩვენც, ქრისტიანებს, 100 წელი კი არა, არამედ უკვე 1710 წელია გვექადაგება მართალი ნოეს მიერ იესო ქრისტე, რომელმაც თავისი სხეულის კიდობნით გვაცხოვნა პირვანდელი ცოდვისაგან. გვექადაგება, რომ მოვა წარღვნა საშინელი და მწარე, წარღვნა სავსე მწუხარებითა და ტკივილით, წარღვნა უკანასკნელი და საშინელი სამსჯავროსი. და თუ არ მოვალთ გონზე, არ მივატოვებთ ბოროტებას და თუ არ მოვინანიებთ, სამუდამოდ ჩავიძირებით ჩაუქრობელი ცეცხლის უფსკრულში.

და ეს ამბავი მუდმივად გვეუწყება ეკლესიის პირით, სახარების ქადაგებითა და მოძღვრების სწავლებით, მაგრამ მაინც ვერ მოვდივართ გონზე, რომ მოვინანიოთ და შევეშვათ ბოროტ საქმეებს. ვხედავთ რა, რომ იმატებს ჩვენი წარწყმედის წარღვნის წყალი, არ ვჩქარობთ ჩვენს გადასარჩენად გავიქცეთ სინანულის კიდობნისკენ. ამიტომ ჩვენ უფრო მეტად ვეცემით ბუნებით და ვფიქრობთ, რომ არც დღეს, არც ხვალ და არც ზეგ არაფერი დაგვემართება, სანამ მოულოდნელად არ მოვა ჟამი და არ წარვწყმდებით სულითა და ხორცით.

შეგიძლიათ დარწმუნდეთ ჩემი აქამდე ნათქვამი სიტყვების სისწორეში იქიდან, რასაც ახლა გეტყვით: ვინც ვართ ჩვენ ახლა შეკრებილები ამ ტაძარში, რაც დაიწყო ეს წმინდა და დიდი მარხვა პირველივე კვირიდანვე, ვაღიაროთ: ვთქვით რომელიმემ აღსარება ისე, როგორც ეს საჭიროა? შევასრულეთ რომელიმემ სიყვარულით სინანულის კანონი, რომელიც დაგვადო მოძღვარმა? შეძლებისდაგვარად დავიცავით რომელიმემ თავი წმიდად და უბიწოდ? გავატარეთ ქრისტიანულად ეს დღეები ეკლესიური წესითა და კანონით, მარხვით, ლოცვითა და სიკეთის ქმედებით? მე მგონი, რომ ეს ყველაფერი არცერთმა არ შევასრულეთ; მაგრამ, რომ არ გამოვჩნდე მატყუარა, ვუშვებ, რომ შეიძლება ეს ყველაფერი შეესრულებინა რომელიმე უბრალო ადამიანს. ხოლო ჩვენ, რომლებიც თავს წარმოვაჩენთ სხვებზე მეტად პატივცემულებად, ღირსეულებად, ბრძენებად და მცოდნეებად, სულ გადავდეთ ეკლესიაში მოსვლა კვირიდან კვირამდე და დროს ვატარებდით ნაირ-ნაირი საჭმელებისა და სასმელების მირთმევით და ჩვენი ხორცების ყველანაირი სურვილების დაკმაყოფილებით; ხოლო ჩვენი სულებისთვის არანაირად არ გვიზრუნავს, თითქოსდა უსინდისოები ვიყოთ. და მხოლოდ ამ ბოლო კვირას ვაბარებთ აღსარებას, რომ შევინახოთ მარხვა სამი დღე და ვეზიაროთ დიდ ხუთშაბათს. მაგრამ რა აღსარებას ვაბარებთ ხოლმე, მხოლოდ ღმერთმა იცის, მრცხვენია კიდევაც ამისი თქმა.

ზოგიერთები აღსარებას ამბობენ რაიმე ცუდი შემთხვევის შიშის გამო, სხვები უბრალოდ ტრადიციის გამო, სხვები მხოლოდ ადამიანური სირცხვილის გამო, სხვები ბატონების შიშით. ზოგს ორ-ორი მოძღვარი ჰყავს, ერთი სოფელში და მეორე ქალაქში; სოფლელ მღვდელს, როგორც უბრალო ადამიანს ეუბნება, როგორც თვითონ თვლის, მძიმე ცოდვებს, ხოლო ქალაქელ მღვდელს ეუბნება თავისი ჭკუით მსუბუქ ცოდვებს და ასეთნაირად რეალურად ვაჭრობს და ცბიერობს აღსარებაში.

და მოკლედ რომ ვთქვათ, არცერთ ჩვენგანს არ უნდა კეთილი ნებით, ღვთისმოსაობითა და სრული გონებით აღსარების თქმა, რომ მივატოვოთ ცოდვები, არამედ მხოლოდ ხალხის დასანახად იმ მიზეზებისთვის, რაც უკვე გითხარით, რომ მხოლოდ ვეზიაროთ და მერე მაპატიეთ როგორც ძაღლები, ვუბრუნდებით ხოლმე ჩვენივე ნარწყევს, როგორც დედა-ღორები, ვუბრუნდებით ჩვენივე სიბინძურესა და სიმყრალეს, როგორც ამას ამბობს მოციქულთა თავი პეტრე, თავის მეორე კათოლიკე ეპისტოლეს მეორე თავში. ნაჩქარევად ვამბობთ აღსარებას, ნაჩქარევად ვეზიარებით და ასევე ნაჩქარევად ვუბრუნდებით ჩვენს ჩვეულ ცოდვებს, თანაც ისეთი სიხარულითა და ბედნიერებით ჩავდივართ მათ და თანაც ვტრაბახობთ ამით, თითქოსდა დიდ სიკეთესა და სიმდიდრეს ვიგებდეთ, როგორც ამბობს ამის შესახებ დავით წინასწარმეტყველი: „რამეთუ იქებინ თავით თვისით ცოდვილი გულის თქმათა შინა სულისა თვისისათა, და უღმრთონი იკურთხევინ“.[7]

და ამ ტყუილი აღსარების დროს რას ვაკეთებთ? ვეძებთ ძალიან უბრალო მოძღვარს, რომ მას აქეთ ეშინოდეს და რცხვენოდეს ჩვენი და როგორც მას ვატყუებთ, ასე გვგონია, რომ ღმერთსაც მოვატყუებთ, მაგრამ ღმერთს ვერ მოვატყუებთ, არამედ ჩვენ თვითონ ვიტყუებთ საკუთარ თავს ჩვენივე სულების წარსაწყმედად.

და როდესაც მივდივართ აღსარებაზე, მოძღვარს არ ვეუბნებით, რომ ვჭამთ ჩვენი ქრისტიანი მოყვასის ხორცსა და მისი შრომის ნაყოფს; არ ვეუბნებით, რომ ნაყროვანებითა და გაუმაძღრობით ვსვამთ მის სისხლსა და მისი მძიმე შრომით ჩამოწურულ ოფლს, არამედ ვამბობთ იმას, რომ ბატონის სუფრაზე ოთხშაბათსა და პარასკევს ვჭამეთ თევზი, ხოლო დიდ მარხვაში მივირთვით კიბორჩხალა, ღვინო და ზეთი.

არ ვამბობთ, რომ გულებში შურის შვიდთავიანი გველეშაპი გვყავს დაბუდებული, რომელიც მუდმივად გვიჭამს ღვიძლს, როგორც ჟანგი რკინას და როგორც ჭია ხეს, არამედ ვამბობთ, ვითომ არავისთვის არაფერი დაგვიშავებია.

არ ვამბობთ აღსარებაში უკუღმართობებს, ცილისწამებებს, ჩადენილ ბოროტებებს, პირფერობებს, დასმენებს, ღალატს, რომლებსაც მუდმივად ჩავდივართ ერთიმეორის მიმართ. და ამ დროს თავს ვიმართლებთ იმით, რომ ვერ ვიღებთ მოწყალებას, ვითომ არა გვაქვს ხელის შეწყობა ცხოვრებაში, ჩვენ თვითონ გვიჭირს, გვაქვს ბევრი გადასახადი, სახლი შესაკეთებელი, გვყავს ბევრი შვილი და სხვა ადამიანები, რომლებსაც ვინახავთ.

არ ვამბობთ, რომ ჩვენ ჩვენი მსახურების ტყუილებისა უფრო მეტად გვჯერა, ვიდრე გაჭირვებული ადამიანის სიმართლის, რომელსაც, რომც დაიფიცოს, არ ვამართლებთ, არამედ ისეთი სისასტიკით ვსჯით, რომ შეგვეძლოს, საერთოდ გავაქრობდით ამ ქვეყნიდან. ამ დროს თავს ვიმართლებთ, რომ ამ მძიმე ცხოვრების ტალღების ქვეშ ვითომ არ გვაქვს დრო, ვიზრუნოთ ჩვენს სულებზე და მხოლოდ ათასში ერთხელ გადავიხდით ხოლმე ერთ ორმოცდღი-

ან მოსახსენებელს და ისიც მოპარული, და არაპატიოსნად ნაშოვნი ფულით.

არ ვამბობთ აღსარებაში, რომ როდესაც ვხედავთ ვინმეს, ვინც გაჭირვებულს ავიწროებს, აყაჩაღებს და უსამართლოდ ექცევა, ჩვენ მას ვაქებთ და ვამბობთ, რომ ეს ადამიანი მართალი, ბრძენი, ჭკვიანი და სამართლიანიაო. ხოლო ვინც არ ერევა მსგავს უსამართლობებში, იმას ვწყევლით, ვამბობთ, რომ სულელია, უღირსი და გონება ნაკლული საიმისოდ, რომ ქნას სამართალი და სამართლიანობა. ამ დროს გვავიწყდება ისაია წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი სიტყვები 64-ე თავში: „ჩვენი უწმინდურობის გამო ჩვენი სიმართლე ღვთის წინაშე, როგორც ქალის გამოსაცვლელი ტილოები, მყრალია".[8] და რომ არ გამიგრძელდეს საუბარი, მოკლედ ვიტყვი, იმ ბოროტებებისთვის, რომლებსაც ჩავდივართ ჩვენი სურვილისამებრ, ვპოულობთ დროსაც და საშუალებებს, ხოლო სულის სასარგებლო საქმეებისთვის ვერ ვპოულობთ ხოლმე დროს.

ამიტომაც, ჩემო საყვარელო მსმენელებო, გთხოვთ იესო ქრისტეს სახელით, რომელმაც ეშმაკის მონობისაგან ჩვენს გამოსასყიდად ჯვარზე დასთხია თავისი უძვირფასესი სისხლი, მოვიდეთ გონზე და მივხვდეთ, რომ რასაც ჩავდივართ, დაღუპვის გზაზე მივყავართ. და იმ დროს, როდესაც ჯერ თავი არ დაგვინებებია ჩვენი ბოროტი ჩვევებისთვის, ვიშრომოთ ხოლმე ღვთის ვენახში ჩვენი სულების საცხონებლად დიდი მარხვის პირველი ჟამიდან, ან თუნდაც მეთერთმეტე ჟამიდან, როგორც ახლაა. ხოლო მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთი მოგვცემს სრულ საზღაურს, რომელსაც შვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

კომენტარები:

იოანე 3: 5

I იოანე 3: 8

შექმნათა 8: 21+

ლუკა 15: 24

ისაია 1: 16, 18

ფსალმუნი 7: 12-13

ფსალმუნი 9: 23

ეს ციტატა ისაიას 64-ე თავში არ იძებნება და გადმოცემულია თავისუფალი თარგმნით.

ქადაგება № 17

ქადაგება ყველიერის კვირიაკეზე

თითოეული მონადირე იმზადებს იარაღს თავისი ხელობის შესაბამისად. ანუ ის, ვინც ფრინველებზე ნადირობს, იმზადებს ბადეებს, თოკებსა და გალიებს, ხოლო გარეულ ცხოველებზე მონადირე იმზადებს თოფს, რკინის ხაფანგებს, თხრის ორმოებს და სხვა მსგავსს. ასევე მეთევზეც იმზადებს ანკესებს, კაუჭებს, ბადეებს და ყველაფერს, რაც სჭირდება მის ხელობასა და საქმეს. ხოლო ვისაც უნდა მოინადიროს ადამიანები, როგორ ფიქრობთ, რა იარაღები უნდა გამოიყენოს? (რადგან ადამიანების მონადირებაცა და დაჭერაც შესაძლებელია, როგორც ამას ამბობს მაცხოვარი იესო ქრისტე მათეს სახარების მე-4 თავში: "მოვედით და შემომიდეგით მე, და გყვნე თქუენ მესათხევლე კაცთა".[1])

არ მგონია, რომ ადამიანების მონადირება შესაძლებელი იყოს სხვა რამით, გარდა სიტყვისა და სწავლებისა, რადგან არ მგონია, რომ ადამიანებისთვის მეტად ძლიერი და მყარი ბადე და კაუჭი არსებობდეს, ვიდრე ღვთის სიტყვებით დაწნული მოძღვრება, რომელიც იჭერს ადამიანებს და სამარადისოდ აერთიანებს მათ ღმერთთან! მარჯვნივ და მარცხნივ გასროლილი სწავლების ეს ბადე, როდესაც გაივსება ნადავლით ,არის დიდი მადლისა და სიხარულის მომტანი, როგორც ამქვეყნიურ ცხოვრებაში, ასევე მომავალშიც.

როგორც თევზის დაჭერა ბადითა და ანკესით ხდება მღვრიე და ღრმა წყალში, ასევე ღვთაებრივი სიტყვების კაუჭი და სულიწმინდის მადლი იჭერს ადამიანს, როდესაც ის ბნელი ცოდვების სიღრმეში იმყოფება და გამოყავს ის ღვთაებრივი ცნობიერების ნათელზე. მაშასადამე, კურთხეულნო ქრისტიანნო, რომელნიც შეიკრიბეთ დღეს ამ ტაძარში, მე, როგორც ღვთის მიერ დადგენილ უღირს სულიერ მეთევზეს, მაქვს ვალდებულება გავშალო დამოძღვრების ბადე და ასევე ვისროლო ქადაგების სიტყვის ანკესი და ღვთის იმედით, დარწმუნებული ვარ, რომ ცოდვების სიღრმიდან ამოვიღებ დიდ ნადავლს, რადგან ვიცი თქვენი გულების კეთილი განწყობა და სიყვარული, ანუ სიყვარული სულიერი სიტყვების მოსმენის მიმართ და ამ ნადავლით ღმერთს გავუშლით დიდ და მისთვის მოსაწონ ნადიმს. რადგან ღმერთს იმაზე მეტად არაფერი არ უხარის, როგორც ის, როდესაც ცოდვილი ადამიანი სინანულით დაუბრუნდება ღმერთს, როგორც ნათქვამია ეს წმინდა სახარებაში: "დიდი სიხარული იქნება ზეცაში ერთი ცოდვილისთვის, რომელიც სინანულისკენ მოიქცევა",[2] ასევე წინასწარმეტყველი ამბობს: "ნებით არა მნებავს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხოვრება მისი."

ამიტომაც გთხოვთ, გახსენით თქვენი გულების სასმენელნი და მოისმინეთ ჩემი სიტყვები, რომ თქვენც და მეც ვისარგებლოთ სულიერად, რადგან პავლე მოციქული ამბობს, "ნეტარ არიან ვისი მეტყველებაც შესმენილ იქნება"; ხოლო შემდეგ მოსმენილი სიტყვებიდან უნდა გამოიღოთ სულიერი ნაყოფი,

რომ ქადაგების მოსმენა და ღვაწლი არ დარჩეს უაზროდ და უნაყოფოდ. რადგან თქვენც თუ აღმოჩნდებით, როგორც უნაყოფო ხეები და ვენახი მტევნების გარეშე, რა აზრი ექნება თქვენს აქ ყოფნას?

აჰა, დადგა ჟამი და ღვთის წყალობით, ხვალიდან ვიწყებთ მოგზაურობას წმინდა მარხვაში და რადგან გვიწევს ჩვენი სულების მტრის წინააღმდეგ ომში ნასვლა, უნდა მოვემზადოთ, როგორც ქრისტეს მამაცი მეომრები. და როგორც ამბობს პავლე მოციქული: „მტკიცედ უკუე დეგით, მოირტყენით წელნი თქუენნი ჭეშმარიტებითა და შეიმოსეთ ჯაჭვი იგი სიმართლისაი. და შეისხენით ფერხთა თქუენთა განმზადებულებაი იგი სახარებისა მის მშვიდობისაი. ყოველსა შინა აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისაი, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურვებულთა დაშრეტად; და ჩაფხუტი იგი ცხორებისაი დაიდგთ და მახვილი იგი სულისაი, რომელ არს სიტყუაი ღმრთისაი. რამეთუ არა არს ბრძოლაი ჩუენი სისხლთა მიმართ და ხორცთა, არამედ მთავრობათა მიმართ და ხელმწიფებათა, სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა მის ამის საწუთროისათა, სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი არიან ცასა ქუეშე".[3]

და ყველას, ვინც ვართ, ზრდასრულები თუ მცირეწლოვნები, მამაკაცები თუ ქალები, ბიჭები თუ გოგონები, მოხუცები და ახალგაზრდები, დაოჯახებულები თუ დასაოჯახებლები, გვევალება შევასრულოთ სამი რამ: პირველი— ყველანი მივიდეთ ჩვენს მოძღვრებთან, და დიდი პასუხისმგებლობითა და შემუსვრილი გულით, ვაღიაროთ ჩვენი ცოდვები, დაუფარავად და ყველანაირი შიშის გარეშე. უნდა ვთქვათ ყველაფერი, რაც ჩაგვიდენია სიტყვით თუ საქმით, გინდა გონებით, ნებსით თუ უნებლიეთ, ცოდნით თუ უცოდინარობით, რადგან აღსარება არის ერთ-ერთი შვიდთაგანი საიდუმლო და როდესაც ვამბობთ აღსარებას, მღვდელს კი არა, არამედ უშუალოდ ღმერთს ვაბარებთ მას.

მაგრამ შეიძლება ვინმემ გაიფიქროს, თუ ღმერთს ვაბარებთ აღსარებას, მღვდელი რაღაში გვჭირდება, რადგან ისიც ჩემსავით ცოდვილიაო? მართალია, ცოდვილია შენსავით, მაგრამ ღვთის მადლითა და სულიწმინდის ქმედებით მაცხოვარ იესო ქრისტესგან აქვს ძალა, რასაც შეკრავს ან გახსნის დედამიწაზე, ის იქნება გახსნილი ან შეკრული ზეცაშიც. როგორც ეს ნათქვამია იოანეს სახარების მეოცე თავში... " უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ."[4]

და არა მხოლოდ საერონი უნდა აბარებდნენ აღსარებას, არამედ უფრო მეტად სასულიერო პირებიც, ანუ დიაკვნები, მღვდლები, ბერები და მღვდელმთავრები. რადგან ჩვენ ვართ ღვთის წინაშე უფრო ცოდვილნი და დამნაშავენი, ვიდრე უბრალო ხალხი; და რა ცოდვებსაც ჩვენ ჩავდივართ, ძირითადად ცოდნით ჩავდივართ და თუ არ მოვინანიებთ, უფრო მეტ სასჯელს მივიღებთ, ვიდრე ისინი, ვინც უცოდინაროზით სცოდავენ, როგორც ეს არის ნათქვამი ლუკა სახარების მეთორმეტე თავში "რამეთუ ყოველსა, რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა იძიოს მისგან და რომელსა მიეცა ფრიად, უმეტესი მოჰხადოს მას."[5]

და ეს აღსარების საიდუმლო ღვთის მიერ იმიტომ დაწესდა, რომ ადა-

მიანი, რომელიც მიდის და სხვა ადამიანთან სჩადის ცოდვას(მაგალითად, მეძავთან, იშიშვლებს თავის სირცხვილს და ასეთნაირად უერთდება ეშმაკს და იბილწავს სხეულს), ისევ ადამიანთან უნდა მივიდეს ანუ ამჯერად უკვე მოძღვართან და აღიაროს ყველა თავისი ცოდვა. რადგან ცოდვა მან ადამიანის მეშვეობით ჩაიდინა, ამიტომ ის ცოდვა ადამიანისვე მეშვეობით უნდა განადგურდეს, როგორც ქრისტემ გააკეთა ეს ჩვენთან; რადგან ჩვენ ადამიანის ანუ ადამის გამო დავკარგეთ სასუფეველი და ისევ ადამიანის ანუ ქრისტეს წყალობით ჩვენ დავიბრუნეთ ის. რომც არ აღიარო ღვთის წინაშე შენი ცოდვები, მან მაინც ყველაფერი იცის. რადგან მასთან არის ყველაფერი დაწერილი, რაც ჩაგვიდენია და რაც არა. განა არ იცოდა ღმერთმა, სად იყო ადამი, როდესაც ის დაემალა მას ცოდვის ჩადენის შემდეგ? ღმერთი კითხულობდა: "ადამ სად ხარ?" [6]და ამით მოუწოდებდა მას სინანულისკენ, რომ მას ეთქვა: "უფალო, შევცოდე, და დავარღვიე შენი მცნება და განვიძარცვე შენი მადლისაგან, ამიტომ მრცხვენის დავდგე შენ წინაშე და დავიმალე" (მაგრამ სად დაიმალები ღვთის წინაშე, ჰოი, საწყალო, რადგან: ზეცაში თუ აფრინდები, მანდაა მისი სამკვიდრებელი; ჯოჯოხეთში რომ ჩახვიდე, მისი პირი იქაცაა; ზღვის კიდეზე რომ დაიმალო, იქაც მიუწვდის მას ხელი).

მაგრამ ადამმა ვერ მოიფიქრა, რომ ასეთი პასუხი გაეცა და რაც თქვა, იმან სარგებლობა არ მოუტანა არაფერში, რადგან არ მოუნანიებია. განა აბელის მკვლელობის შესახებ არ იცოდა ღმერთმა? და ასევე ღმერთმა მოუწოდა კაენს სინანულისკენ: "სად არის შენი ძმა აბელი?" მაგრამ არც მან მოინდომა დანაშაულის აღიარება, არამედ როგორც დაწყევლილმა ,ისე უპასუხა, "განა ვარ მე მცველი ძმისა ჩემისა?" და ასეთივე პასუხი მიიღო – წყევლა.

და როდესაც ქრისტე დედამიწაზე იყო, ის ეუბნებოდა თავის მოციქულებს: "ვინც მაღიარებს ადამიანთა წინაშე, მეც ვაღიარებ მას მამისა ჩემისა წინაშე: ხოლო ვინც უარმყოფს ადამიანთა წინაშე, მეც უარვყოფ მას, მამისა ჩემისა წინაშე."[7]

ამ სიტყვებში ჩანს ღმერთს მარტო ის კი არ უნდა, რომ მას ვაღიარებდეთ ადამიანთა წინაშე, არამედ ვაღიარებდეთ, რომ ვართ ცოდვილები ღვთის წინაშე, რომ ასეთნაირად ღმერთმა შეგვინდოს ჩვენი ცოდვები.

და როდესაც ვამბობთ აღსარებას, არ უნდა გვრცხვენოდეს და არ უნდა დავმალოთ რაიმე მცირე ცოდვაც კი, რადგან ასეთნაირად ვერ მივიღებთ ვერანაირ სარგებელს. ჩვენ წმინდა მამების წიგნებიდან ვიცით, რომ ბევრი ადამიანი, რომელსაც არ უთქვამს ყველა ცოდვა მოძღვართან, ჯოჯოხეთში დაისაჯა. და რომ ჩვენც ასევე არ დავისაჯოთ, ყველაფერი სრულად უნდა ვაღიაროთ, რათა შენდობაც ასევე სრულად მივიღოთ. ასევე, აღსარების შემდეგ, რა კანონსაც მოგვცემს ჩვენი მოძღვარი, უნდა მივიღოთ ის დიდი სიყვარულით და სრულად უნდა შევასრულოთ. როგორც კაცს, რომელსაც აქვს ვინმეს მიმართ ვალი, ვერ გადარჩება, სანამ მას სრულად არ გაისტუმრებს, ასევე აღმსარებელიც, რომელსაც მიღებული აქვს მოძღვრისაგან კანონი, ვერ ცხონდება, სანამ არ შეასრულებს მას. ამიტომაც მთელი ძალითა და ღონით დავიზღვიოთ თავი ცოდვის ჩადენისაგან.

მეორე– რაც აუცილებელია, უნდა ვიმარხულოთ, რადგან მარხვა არის ნლის მეათედი ღმერთისთვის შესაწირი და მარხვის მაგალითი გვიჩვენა იესო ქრისტემ, რომელმაც იმარხულა ორმოცი დღე და ღამე, როგორც ნათქვამია ეს ლუკას სახარების მე-4 თავში, მაგრამ მარხვა უნდა იყოს ლოცვასთან შეერთებული, რადგან როგორც საჭმელი არ არის გემრიელი მარილის გარეშე, ასევე არც მარხვა ვარგა ლოცვის გარეშე.

როგორც ამბობს წმინდა ბასილი დიდი მარხვის შესახებ მეორე ქადაგებაში, რომელიც მოგვეპოვება მის პირველ წიგნში, გვასწავლის, რომ ყველა ეკლესიაში ანგელოზები იწერენ, ვინც მარხულობს. ასევე ჩვენც შევეცადოთ, რომ მცირე გემრიელი საჭმლის გულისათვის, არ დავკარგოთ ჩვენი ადგილი ანგელოზების სიაში.

ასევე წმინდა გრიგოლიც აღნიშნავს, მარხვის დაწყებაზე ქადაგებაში, რომელიც წერია მის მეორე წიგნში, რომ მარხვა არის სულისა და ხორცის მშვიდობა, აუღელვებელი და კეთილი ცხოვრება, ცხოვრება, რომელიც ახარებს ღმერთს და მწუხარედ ხდის ეშმაკს. როგორც მარხულ ადამიანებს იცავენ ხოლმე განსაცდლებისგან კეთილი ანგელოზები, ასევე იმათ, ვინც არ მარხულობს თავზე ადგანან ეშმაკები, რომლებიც ცოდვისაკენ უბიძგებენ.

ამიტომაც უნდა ვიმარხულოთ, რათა არ გავხდეთ ეშმაკთა თანაზიარნი; არავინ გამხდარა მცოდნე და ბრძენი, ვინც ცხოვრება გაატარა საჭმელებით განცხრომაში, არც სათნოების მოწაფე გამხდარა, ვინც გართობებზე დაიარებოდა, არც წმინდანი გამხდარა უწმინდურობის მოყვარული, არც ხორციელად მცხოვრები გამხდარა ცათა სასუფევლის თანაზიარი.

ამიტომაც ყველა მორწმუნე და ღვთის მოყვარე ადამიანი სიხარულით, მხიარულებით შეუდგეს მარხვას, რადგან ბრძოლისა და განსაცდლის პირისპირ ვერვინ იქნება მამაცი, თუ იქნება მწუხარე, მწუხარე, როგორც ზარმაცი ბავშვი, რომელიც მიჰყავთ სკოლაში; ნუ წუწუნებ წმინდა დღეების გამო, ნუ ითრგუნები კვირის ბოლოს, ისევე როგორც ზაფხულის მოსვლა თრგუნავს ზამთარს; ჰურიებივით ნუ გამოიყენებ შაბათს ლოთობისათვის, ნუ ითვლი მარხვის დღეებს, როგორც ითვლის ხოლმე ბოროტი მუშა შრომის ანაზღაურებას; ნუ ხარ მწუხარე იმის გამო, რომ შენს სამზარეულოში ცეცხლი არ ანთია და რომ შენი მზარეული არ დგას ღუმელთან.

მრცხვენია, კიდევაც ვილაპარაკო გემოთმოყვარეების მწუხარების შესახებ, როგორ იტანჯებიან ხოლმე მარხვის დღეებში, ხშირად ამთქნარებენ, წვებიან საწოლში მცირე ხნით და შემდეგ ისევ ფეხზე დგებიან. ძალით იძინებენ და ცდილობენ ისე გაატარონ მარხვის დღეები, რომ ვერც შეამჩნიონ. უბრაზდებიან მზეს, რომ სწრაფად არ ჩადის და რომ მალევე არ დგება ღამე; მარხვის დღეები ეჩვენებათ ბევრად უფრო ხანგრძლივი, ვიდრე ჩვეულებრივი დღეები. ჩივიან თითქოსდა სტკივათ მუცელი, აქვთ თავბრუსხვევა და კუჭის აშლილობა, რაც რეალურად მარხვის მიზეზი კი არ არის, არამედ გაუმაძღრობის. უმადოდ მიუსხდებიან სამარხვო სუფრას, ლანძღავენ და აგინებენ კომბოსტოსა და სხვა ბოსტნეულს და ამბობენ, რომ "მცენარეული საკვები უაზროდ შეიქმნა ამ ქვეყანაზეო". ასევე გემოთმოყვარე ხალხს ახასიათებთ წყლის უზომოდ სმა,

თითქოსდა სამკურნალო მწარე წამალს იღებენ და უნდა ჩაიტანონ სიმწარე. ზოგიერთები კი მადას სპირტიანი სასმელებით იკმაყოფილებენ: ბრაგით, ლუდით, შერბეთით, მეოდითა და ლივეჟით.

ნუ აღრევ მარხვას შენს გემოთმოყვარე სურვილებთან, რადგან არ დარჩები დაუსჯელი. საბაბად ნუ იგონებ არარსებულ სნეულებებს. ცილს ნუ სწამებ მარხვას, თითქოს და ავადმყოფობის მომტანი იყოს. პირიქით, მარხვა საჯანმრთელოა. ხოლო შენი ბოროტი ჩვევების გამო მარხვა მტრად გეჩვენება, არადა ასე არ არის. რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ მიაჩვიე შენი თავი მარხვას და დროთა განმავლობაში გაგიადვილდება და სამკურნალოც გახდება შენთვის. მაგრამ თუ მუდმივად თვალწინ გექნება არა სამარხო საჭმელები და სასმელები, ასეთნაირად ვერასდროს შეიძენ სიყვარულს მარხვის მიმართ, არამედ ყოველთვის ის მოგეჩვენება უცხოდ და მძიმედ. მარხული ცხოვრება ემსგავსება მომავალ უხრწნელ და მარადიულ ცხოვრებას. მაშასადამე, გავექცეთ გემოთმოყვარეობას, რაც შეგვიძლია, რადგან შეუძლებელია, რომ ადამიანი იყოს იმავდროულად გემოთმოყვარე და ღვთის მოყვარეც.

როდესაც მარხულობთ, არ უნდა იმარხულოთ მხოლოდ საჭმლით, არამედ უმთავრესად თავი უნდა შევიკავოთ ბოროტი საქმეებისაგან; ჩვენ ვიზიანებთ სულს, როდესაც ვიწყევლებით, ვგმობთ, გვშურს, ცილს ვწამებთ, ვმრისხანებთ, ამბები მიგვაქვს ერთი მეორის შესახებ, რის გაკეთებაც ძალიან ხშირად გჩვევიათ. აი, ასეთნაირად თქვენ სულიერად ცარიელდებით. მსგავსი რამ მხოლოდ ეშმაკს უყვარს, რომელიც კაცთა ნათესავის მტერია. კიდევ ვის აქვს ეს ჩვევა, რომ თავისი მოყვასი ქრისტიანი დაასმინოს გარდა ეშმაკისა, რადგან ადამიანს ბოროტი შთააგონებს, რომ ჩადიოდეს ამ ცოდვას და ასეთნაირად დაიღუპოს სული. ყველა ცოდვა, რომელსაც ადამიანი აღსარებაში იტყვის და მას შემდეგ, რაც შეასრულებს მოძღვრის მიერ მოცემულ კანონს, ადამიანს მიეტევება, მაგრამ მას არაფრით არ მიეტევება დასმენის ცოდვა, რადგან მკვლელობაზე უფრო დიდი ცოდვაა.[8]

თქვენც მოძღვრებო გაძლევთ ლოცვა-კურთხევას, როდესაც ვინმე აღსარებაში გეტყვით, რომ ჩაუდენია დასმენის ცოდვა, თუ მთელი გულით ადამიანი იტყვის, რომ აღარ ჩაიდენს ამ ცოდვას, მხოლოდ ამ შემთხვევაში მიეცით ამას შენდობა, თან მიეცით სინანულის კანონი და მხოლოდ ამის შემდეგ აზიარეთ. მაგრამ თუ არ შეეშვება ამ ცოდვას, არც თუ მხოლოდ ზიარებისგან დააყენეთ, არამედ ეკლესიაშიც არ მიიღოთ, რადგან ეს ადამიანი არის ღვთის წინააღმდეგი და ემსგავსება ეშმაკს.

მესამე, რაც უნდა გავაკეთოთ ყველამ, არის ის, რომ მოწყალება უნდა გავიღოთ. ახლა რომ მოისმინეთ ეს ჩემი სიტყვა, ზოგიერთმა შეიძლება გაიფიქრა თავის გულში: "მაგრამ ჩვენ თვითონ ვართ ღარიბები და გაჭირვებულები, არ გვაქვს ფული და როგორ შეგვიძლია მოწყალების გაღება?" მოწყალება მრავალი სახისაა და მათგან რომელზეც მიგიწვდება ხელი, ის გააკეთე. როგორც ეს ნათქვამია მათეს სახარების მე-12 თავის 36-ე მუხლში: "რამეთუ მშიოდა და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და მასუთ მე; შიშუელ ვიყავ, და შემმოსეთ მე, სნეულ ვიყავ და მოხედეთ მე; საპყრობილეს ვიყავ, და მოხუედით ჩემდა". [9]ამის

გარდა მოწყალების სხვა სახეებიც არსებობს: თუ დაარწმუნებ ვინმეს, რომ გააკეთოს კეთილი საქმე, ესეც მოწყალებაა; თუ ურჩევ ვინმეს, სულიერად იცხოვროს, ესეც მოწყალებაა; თუ სიტყვებით ანუგეშებ ვინმე მწუხარე ადამიანის გულს, ესეც მოწყალებაა; და მოკლედ რომ ვთქვათ, ქრისტეს სახელით თუ მიაწვდი ვინმეს ცივი წყლის ერთ ჭიქას, იცოდე არ დაგეკარგება შენ შენი საზღაური, როგორც ეს არის ნათქვამი მარკოზის სახარების მე-9 თავში.[10]

აჰა, როგორც ხედავთ, შესაძლებელია მოწყალების გაღება ფულის გარეშეც, ამის მაგივრად ჩვენი დიდი ამპარტავნებით ჩვენ ვიმაღლებთ თავს და ვამაყობთ და ცამდე აგვყავს ჩვენი თავი, თითქოს და არასოდეს მოვკვდებით, ვართ სავსენი სიხარბითა და გემოთმოყვარეობით და სრული ბოროტებისკენ ვართ მიდრეკილნი და ვერც ვჩერდებით. არც ღვთის სიტყვები გვაწყნარებს და არც ჯოჯოხეთის ტანჯვას მოვყავართ გონებაზე.

და აღარ ვიცი რაღა ვთქვა, ჩემი მოვალეობის გამო, როდესაც ვეუბნები ადამიანებს სულისთვის სასარგებლო სიტყვებს, უმრავლესობა ჩემზე ბოროტად ლაპარაკობს: რაღა ეს გამოჩნდა, ყველაზე წესიერი და მცოდნე, რომ მოინდომა ჩვენი გამოსწორება. გვახსოვდეს, რომ ჩვენი წინაპრებიდან გადმოგველოცა ზნეობა და წესიერება და აქამდე ჯერ არავის არ უთქვამს, რომ ეს წესები არის ბოროტი და გასაუქმებელი.

ამიტომ მეც გეტყვით თქვენთვის გასაგები მაგალითით, რათა დაინახოთ, რას ემსგავსება თქვენი ლაპარაკი: ჭიას, რომელიც პირშუშხა ფესვსა ჭამს, ვინმემ რომ უთხრას: შეეშვას და სხვა მეტად ტკბილ ფესვებზე გადავიდეს, ის უპასუხებს, რომ პირშუსხაზე უფრო ტკბილი არაფერიაო, რადგან იქ დაიბადა და მის დღეში მხოლოდ ეს მცენარე აქვს გასინჯული. ასევე თქვენც, მიჩვეული რომ ხართ ამ თქვენი ცხოვრების წესსა და ქმედებებს და არავინ გყავდათ, რომ ესწავლებინა თქვენთვის სწორად ცხოვრება, ამიტომაც ჩემი სიტყვები ახლა გეჩვენებათ უჩვეულოდ და მწარედ. მაგრამ როდესაც ჩვენი გონებით დავიწყებთ ფიქრს ჭეშმარიტებაზე უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც ამას გვასწავლის ერთ–ერთი ფილოსოფოსი: „შეიცანი შენი თავიო!“ ანუ უნდა დავინახოთ: რა ვიყავით თავდაპირველად, რა ვართ ახლა და რა ვიქნებით გარდაცვალების შემდეგ. ეკლესიასტეს წიგნის მე-12 თავი ჩვენ გვასწავლის: „მოვისმინოთ ყველაფრის თავი და ბოლო: ღვთისა გეშინოდეს და დაიცავი მცნებანი მისნი, რადგან ეს არის კაცის თავი და თავი. რადგან ყველა საქმეს სამსჯავროზე მიიტანს ღმერთი, ყოველივე დაფარულს, კეთილს თუ ბოროტს“.[11]

და თუ ჩაგწვდებით ამ სიტყვებს და თუ ისინი მიეკრობა თქვენს გულებს, მაშინ ვიცი,მიხვდებით, რომ ცუდს არაფერს გასწავლით და გირჩევთ, ხოლო უფრო მეტად ვადანაშაულებ მღვდლებს, რადგან, როგორც ამბობს მაცხოვარი იესო ქრისტე, ისინი არიან მიწის მარილი; თუ მარილი დაკარგავს თავის თვისებას, რითიღა უნდა დამარილდეს? ანუ, როდესაც მღვდლები არიან უსწავლელნი და გამოუცდელნი, რასღა ასწავლიან ხალხს? რადგან პირველი და ყველაზე დიდი საფუძველი - ღვთის შიში მათ თავად არ გააჩნიათ და საიდანღა ექნებათ სიბრძნე, რადგან, როგორც ამბობს დიდი სოლომონი: “დასაბამი სიბრძნისაი არს შიში უფლისაი”.[12]

და თუ არ მოვლენ გონს, არ გამოსწორდებიან და არ შეასრულებენ თავის მოვალეობას, დიდ სასჯელს მიიღებენ ღვთისგან. მაგრამ თქვენც ვალდებულნი ხართ მიხვიდეთ კარგ მოძღვართან, რომელიც არის ნასწავლი და ვინც სულისთვის სასარგებლოს გასწავლის და არ უნდა მიხვიდეთ განურჩევლად ნებისმიერ უღირს და დასაწყევლ მღვდელთან. რადგან ის, ვინც თავს თვლის ექიმად, მაგრამ არ იცის, როგორ უმკურნალოს წყლულებს, რა სარგებელს მოუტანს დაჭრილ ადამიანს? ასევეა სულიერი მოძღვარიც, თუ არ არის განათლებული, თუ არ იცის ეკლესიის საიდუმლონი და არ აქვს ღვთის შიში, რა სარგებელს მოუტანს იგი ადამიანს, რომელიც მასთან აღსარებისათვის მივა?

ეს ყველაფერი გითხარით, რადგან ვალდებული ვარ, რომ ეს ყველაფერი აგიხსნათ, ხოლო მაღალმა ღმერთმა, რომელიც თვალებს აღუხელს ბრმებს და აღადგენს დაცემულებს, აღგიხილოთ თქვენც სულისა და გონების თვალები, გატაროთ სწორ გზაზე და ყველანი გვაღირსოს ამ მარხვის მშვიდობით გავლას, ჯანმრთელობით და ცოდვების შენდობით მივაღწიოთ წმინდა ცხოველსმყოფელ აღდგომას უფლისა ჩვენისა მაცხოვრისა იესო ქრისტესი, რომლისა არის დიდება, პატივი და თაყვანისცემა უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

კომენტარები:

მათე 4: 19

თავისუფალი გადმოტანა ტექსტისა ავტორის მიერ

ეფესელთა 6: 14–17, 12.

იოან. 20,23

ლუკა 12.48

[6] შესაქმე 3,10

თავისუფალი გადმოტანა ტექსტისა ავტორის მიერ

[8] როგორც ჩანს, ამ პასაჟში, წმინდა ანთიმოზი დასმენის ცოდვაზე აკეთებს ამახვილებს განსაკუთრებულად ყურადღებას იმ ისტორიული გარემოების გამო, რომელშიც მას უწევდა ცხოვრება-ვგულისხმობთ თურქების ექსპანსიას და ეროვნულ–გამათავისუფლებელ ბრძოლის ქარცეცხლს, რომელშიც თავად ანთიმოზი აქტიურად იყო ჩართული; იგი ორჯერ – 1711 და 1716 წლებში თურქების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზატორი იყო. ანთიმოზ მიჩნია, რომ ამ დროს დასმენა და ღალატი ნამდვილად ერთ–ერთი უმძიმესი დანაშაულია.

[9] მათეს სახარების 12.36 აღნიშნული ფრაზა არ იკითხება

[10] მარკ. 9, 41

ეკლესიასტე. 12, 13-14

[12] იგავნი 9,10.

ქადაგება № 18

ქადაგება ბზობის კვირიაკეზე

"წარვედით დაბასა მაგას, რომელ არს წინაშე თქუენსა; და შე-რაჲ-ხჳდოდით მას შინა, ჰპოოთ კიცჳ დაბმული, რომელსა კაცი არღა დაჯდომილ არს; აღჰჴსენით იგი და მომგუარეთ.და უკუეთუ ვინმე გრქუას რაჲ თქუენ, არქუთ, ვითარმედ: უფალსა უჴმს ეგე, და მეყსეულად მოავლინოს იგი აქა."[1]

როგორაა შესაძლებელი, რომ მთელი სამყაროს შემქმნელ უფალს ხელთ არ ჰყავდეს თუნდაც ასეთი უბრალო ცხოველი? მიუხედავად იმისა, რომ მას წასასვლელად არ ჰქონდა არც ეტლი და არც პირუტყვი ჰყავდა. მას შეეძლო ანგელოზთა და მთავარანგელოზთა ფრთებით, დიდებით, გადაადგილება, როგორც ეს არის ნათქვამი დავით წინასწარმეტყველის მე-17 ფსალმუნში: "და აღჴდა ხერუვიმთა ზედა და აღფრინდა, და აღფრინდა იგი ფრთეთა ზედა ქართასა."[2]

მაშ, რა აკლდა ღმერთს, რომ შეჯდა ასეთ უბრალო ცხოველზე? მას თავისთვის რაიმე კი არ აკლდა, არამედ ჩემთვის გააკეთა ეს, რადგან დიდ შიშში მაგდებდა მე ყოველთვის, როდესაც ვკითხულობდი: "საშიშია, ვინც იღებს მთავართა სულებს, საშიშია უფრო მეტად, ვიდრე ამაქვეყნის მეფენი." და სხვა ადგილას ამბობს: "უფალი ღმერთი მოშურნე, თავისუფლად მოქმედებს." ამის შიშით, რომ იყო შეპყრობილი ჩვენი წინაპარი პირველმშობელი ადამი, ამიტომაც დაიმალა და ვერ გაბედა საშინელი ღვთის სახის წინაშე დამდგარიყო. მაგრამ ღმერთი რამდენადაც საშიში და შესაძრწუნებელია, იმდენად სათნო და თავმდაბალიცაა. რადგან მან არ მოისურვა, კაცობრიობა მოეყვანა ჭეშმარიტების გზაზე შიშითა და ზარით, არამედ სათნოებითა და სიკეთით. ამიტომაც მას დასჭირდა ეს პირუტყვი, რომ თავმდაბლობითა და სათნოებით შესულიყო იერუსალიმში.

რადგან მანამდე მაცხოვარს საკმარისად ჰქონდა ნაჩვენები თავისი სამართლიანობის დიდება და ძალა, ამიტომაც საჭირო გახდა, რომ სუსტი და მომაკვდავი ადამიანებისთვის ეჩვენებინა თავისი დიდი წყალობა და სათნოება, რომ შესრულებულიყო ზაქარია წინასწარმეტყველის სიტყვები: „იხარებდ ფრიად, ასულო სიონისაო, ქადაგებდ, ასული იერუსალჵმისაჲ. აჰა, მეუფე შენი მოვალს შენდა მართალი და მაცხოვარი, თავადი მშჯდი, და მჯდომარე კარაულსა ზედა, და კიცუსა ახალსა.".[3] ამ სიტყვებით სულიწმინდამ უჩვენა ხალხს, რომ მეფე, რომელიც შეიძლება ყოფილიყო საშიში, სინამდვილეში არის სათნო და თავმდაბალი.

იმისათვის, რომ ეჩვენებინა თავისი სიკეთე, ჰოი, საყვარელნო, ღმერთს დასჭირდა ეს პირუტყვი. ისევე, როგორც მეფეები სხვა სამოსლით მიდიან სანადიროდ, სხვა სამოსლით დაკრძალვებზე და სხვა სამოსლით ქორწილებში, ასევე ღმერთიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა მშვენიერებით იმოსება. ამი-

ტომაც იგი სხვა მშვენიერებით შემოსილი მოვა ღრუბლებზე, კაცობრიობის სამსჯავროდ, რადგან მსაჯულს შეჰფერის იყოს შემოსილი დიდებითა და ძალაუფლებით. მაგრამ ახლა რადგან არ მოდის სამსჯავროდ, არამედ მოდის, რომ გამოისყიდოს და თავისთან მოიყვანოს კაცობრიობა, ასეთი სამოსელი შეჰფეროდა მას, რადგან თვითონვე ინება ღმერთმა და თავისი ძე მოავლინა არა სოფლის განსასჯელად, არამედ საცხოვნებელად ამა სოფლისა.

ამიტომაც დასჭირდა მას, რომ ყოფილიყო თავმდაბლობითა და სიკეთით შემოსილი, რადგან არ მოდიოდა შესაშინებლად, რათა ადამიანები შიშისგან არ გაქცეულიყვნენ ისე, როგორც ოდესღაც ჰურიები შეშინდნენ სინას მთაზე, ვერ გაუძლეს ღვთის გამოცხადებულ დიდებასა და გაექცნენ. ვინმეს რომ ჰქონოდა სარკესავით ყოვლისმხედველი თვალები და რომ შეძლებოდა სულ ოდნავ მაინც დაენახა ღვთის სიკეთეთა სიდიადე, ის აღინთებოდა უდიდესი სიყვარულითა და სიხარულით და შეუჩერებლად აღავლენდა ღვთის ქებას, რათა არ დაეკარგა ღმერთთან სიახლოვე და ხსოვნა იმ დიდი სათნოებებისა, რაც იხილა.

და ისინი, ვინც ხედავენ ღვთის სიკეთეებს, ნეტავ რა სიხარულით გაიხარებენ?! რა მხიარულებით იქნებიან აღვსილნი?! და რა დღესასწაულებს იზეიმებენ?! რა საგალობლებს და რა ფსალმუნებს იგალობებენ?! რა თქმა უნდა, არა მხოლოდ საგალობლებისა და ფსალმუნების გალობით უნდა აღვნიშნოთ ღვთის სათნოების წინაშე ჩვენი სიხარული, არამედ (შეიძლება ითქვას) განსაკუთრებულად, ზებუნებრივი და უდიდესი სიხარულით.

და რომ ჩვენი სიხარული და მხიარულება არ იყოს აზრს მოკლებული, ჩვენი სულიერი გონებით უნდა ვიცოდეთ ყველა დღესასწაულის ჟამი, რათა არ გვითხრას წინასწარმეტყველმა შემდეგი სიტყვები: „და ასიდამან ცათა შინა ცნა ჟამი თჳსი. გურიტმან და მჭურინავმან და მერცხალმან, ველისა სირთა, დაიცვნეს ჟამნი შემოსლვისა მათისანი, ხოლო ერმან ჩემმან არა ცნა სასჯელნი უფლისანი“.[4] ამიტომ არ ეგების, თუკი ფრინველებმა იციან ჟამი თავისი გადაფრენისა და ჟამი ბუდის გაკეთებისა, ხოლო ჩვენ არ გვქონდეს სულიერი საგნების ხედვის უნარი და ჩვენი წმინდა ეკლესიის მიერ დადგენილ დრო—ჟამნებს არ ვიცნობდეთ. ცოცხალი ადამიანის სხეულისა და ასევე სულისათვისაც საზიანოა დროების ცვლა, რადგან ადამიანებს ხშირად არ გვყოფნის დრო სათნოებების გასამრავლებლად. ამიტომაც ჩვენმა ეკლესიამ, როგორც მზრუნველმა და მოსიყვარულე დედამ, რომელიც მარადის მღვიძარებს და ლოცულობს ჩვენთვის, ისე დააწესა დროების ცვალებადობა, რომ ის საზიანო კი არა, არამედ ღვთის ქებისათვის და სიკეთის კეთებისკენ შთაგვაგონებს. ამიტომაც მაცხოვარ იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლის კვირიაკედან-წითელ პარასკევამდე ეკლესიამ დააწესა: იყოს სინანულისა და კანონების შესრულების ჟამი; ხოლო წითელი პარასკევიდან-აღდგომამდე: მწუხარებისა და სიმწრის ჟამი; ხოლო აღდგომიდან-სულთმოფენობამდე: სულიერი სიხარულისა და მხიარულების დრო. იმიტომ დააწესა ღმერთმა დროთა ცვლილებე-

ბის ეს საიდუმლო, რომ ადამიანი სულიერად იზრდებოდეს და მრავალ კეთილ საქმეს აკეთებდეს.

ხოლო ახლა, რადგან მაცხოვარის, იესო ქრისტეს, იერუსალიმში შესვლის დღემ და ჟამმა მოაწია, შეიძლება იკითხოთ: რატომ დააწესა ჩვენმა ეკლესიამ ეს წმინდა დღესასწაული, ანუ უფრო სწორად, რა უნდა ვაკეთოთ ამ დღეს? გპასუხობთ: ეკლესიას უნდა, რომ ამ დროს ჩვენი სულიერი გონება იყოს ღმერთისკენ მიმართული; სურს ჩვენი სიმართლე, სურს ჩვენი ჭეშმარიტი სიყვარული, სურს ჩვენი თავმდაბალი გულებიდან წამოსული ღვთის დიდება, რადგან ადამიანის ცხონება ღმერთისაგან მოდის, ადამიანს არ უნდოდა ღმერთთან მისვლა, ხოლო მოწყალე ღმერთი თავად მოვიდა ჩვენთან. მაგრამ თუ იკითხავთ, რატომ მოვიდა? მოვიდა (როგორც თვითონ ამბობს), დაკარგულების და წარწყმედილების მოსაძიებლად და საცხოვნებლად; მოვიდა, რომ მათ, ვინც იმყოფებოდა სიკვდილის სიბნელეში, გამოუცხადოს ჭეშმარიტი ნათელი; მოვიდა, რომ იხსნას ცოდვის მიმართ დამონებული და დაკარგული ადამიანები; მოვიდა, რომ გაუცხოებულნი მოიყვანოს მათ მშობლიურ მამულში; მოვიდა, რომ მკვდარნი აღადგინოს, რომ ღვთისგან განდგომილები ისევ შეარიგოს მამა ღმერთთან და ისევ გახადოს ისინი სულიწმინდის მატარებელნი და ცათა სასუფევლის მემკვიდრენი, ანუ მოვიდა მონების გამოსასყიდად, მკვდრების აღსადგენად და საცხოვნებლად, უძლურთა განსაკურნებლად და დაკარგულთა სწორ გზაზე დასაყენებლად.

ამიტომაც განკაცდა ღმერთი და თავად მივიდა იმასთან, ვინც თავის დროზე გაექცა მას; სულიერად დაბრმავებული და გონებაშეშლილი ადამიანი გაექცა სიკეთეს, გაექცა ისე, რომ წინასწარმეტყველთა სიტყვებმაც ვერ შეძლეს დაებრუნებინა ის ჭეშმარიტების გზაზე. ამიტომაც, თავად ღმერთი განკაცდა და მივიდა მასთან, ვინც გაურბოდა, რათა დაებრუნებინა. ამას გვასწავლის წმინდა მოციქული, როდესაც ამბობს, რომ მაცხოვარ იესო ქრისტეს არ აუღია ანგელოზების ბუნება, არამედ აბრაამის თესლისგან მიიღო განკაცება. შეიძლება ითქვას, რომ ღმერთმა შეიპყრო ერთ-ერთი თავისი მტერი, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ მოკლას, არამედ გახადოს თავის ძედ და თავისი სახლის მემკვიდრედ.

ამიტომაც მიიღო ჩვენმა მაცხოვარმა აბრაამის თესლი, მაგრამ, თუ გინდა, გასაგები იყოს ის, რის შესახებაც მოგახსენე, მოისმინე ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები: „სული უფლისაჲ ჩემ ზედა, რომლისა ძალით მცხო მე, მახარებელად გლახაკთა მომავლინა მე. განკურნებად შემუსრვილთა გულითა, ქადაგებად ტყუეთა განტევებასა და ბრმათა ახილვასა წოდებად წელიწადი უფლისაჲ შეწყნარებული, და დღე ნაცვლისმოგებისა ღმრთისა ჩემისა, ნუგეშინის-ცემად ყოველთა მგლოვარეთა, მიცემად მგლოვარეთა სიონი დიდებად, ნაცრისა წილ საცხებელი შუებისაჲ მგლოვარეთა, სამკაული დიდებისაჲ სულისა წილ მოწყინებისა, და იწოდნენ: ნათესავებ სიმართლისა, დანერგულ უფლისა სადიდებელად. "[5] ნეტავ, რა არის ამ სიტყვებზე უფრო

მეტად ტკბილი და სათნო? რა არის უფრო მეტად საყვარელი და მშვენიერი? ამიტომაც, მამა ღმერთმა გამოგზავნა ქრისტე ამ სათნო საქმეების გასაკეთებლად, ამიტომაც კურთხეულ იყოს მისი მოსვლა ამსოფლად, კურთხეულ იყოს ის, ვინც გამოგზავნა მაცხოვარი ადამიანებთან და კურთხეულ იყოს მომავალიც, რომლის კეთილი საქმეების დიდებას დღეს აღავლენენ ყრმები: "კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანა მაღალთა შინა" და ამ სიტყვებს ჩვენც უნდა ვიმეორებდეთ, არა მხოლოდ დღეს, არამედ მთელი ჩვენი ცხოვრება. ეს არის ის დიდი საიდუმლო, რომლის აღნიშვნასაც იწყებს დღეს ჩვენი ეკლესია და ამავდროულად ჩვენ გვაგებინებს ძველი აღთქმის წინაპრების მწუხარებას, ოხვრასა და ტირილს, რადგან მათ უსაზღვრო სიყვარულით სურდათ ენახათ ქრისტეს მოსვლა ამსოფლად, როგორც ამას ეუბნება თავად მაცხოვარი თავის მოწაფეებს: " ნეტარ არიან თუალნი, რომელნი ხედვენ, რომელსა თქუენ ხედავთ, და ყურნი, რომელთა ესმის, რომელი თქუენ გესმის. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ: მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მეფეთა უნდა ხილვაჲ, რომელსა თქუენ ხედავთ, და ვერ იხილეს, და სმენად, რომელი თქუენ გესმის, და ვერ ესმა."[6] რადგან ძველი აღთქმის მამებმა მიიღეს მხოლოდ ღვთის ამ სიკეთის აღთქმა, მაგრამ არ მიუღიათ მემკვიდრეობა, რადგან ასე ამბობს თავად მოციქული, ყველა, ვინც ამ რწმენის მქონე იყო, მოკვდა, რადგან ვერ მიიღეს ეს აღთქმული მემკვიდრეობა, არამედ მხოლოდ შორიდან უყურებდნენ მას, ძალზედ შთამბეჭდავად ამბობს ამ სიტყვებს მოციქული, როდესაც ლაპარაკობს ძველი აღთქმის მამებზე, რადგან ისინი ემსგავსებოდნენ იმათ, ვინც შორიდან უყურებდა ძალიან საყვარელ საგანს, მაგრამ არ შეეძლოთ მასთან მიახლოება, მხოლოდ თვალებით უყურებდნენ და გონებით და სულით ნატრობდნენ, მაგრამ ვერ წვდებოდნენ. ძველი აღთქმის ერთ-ერთმა პატრიარქმა, რომელიც ქრისტეზე დიდი ხნით ადრე გარდაიცვალა, თქვა: „ველოდე მე მაცხოვარებასა შენსა უფალო, და ძუალნი ჩემნი სასოებასა შინა განისვენონ." ძველი აღთქმის მამებს შევადარებდი იმათ, ვინც ღამის სიბნელეში ზღვაში შეპყრობილნი არიან ქარიშხლით, სიშორეში ხედავენ იმედის მომცემ რაღაცა ნათელს, ყველანაირად ცდილობენ, რომ მიაღწიონ მას, მაგრამ, რომ ვერ ახერხებენ, მხოლოდ თვალებით და გონებით წვდებიან მას. ასევე ჩვენი წინაპრები უყურებდნენ რა ჭეშმარიტების ნათელს, უფალს, ჩვენს მაცხოვარ იესო ქრისტეს, რომლის ნათელმაც გაანადგურა ჯოჯოხეთის სიბნელე და ჩრდილი, თავმდაბლობით აღაპყრობდნენ თავიანთ ხელებს და მთელი სულითა და გონებით ნატრობდნენ კაცობრიობის ხსნას, ამიტომაც წინასწარმეტყველმა ღაღადებით თქვა: "სწრაფად გვიბოძე შენი წყალობა, უფალო, რადგან ძალზედ შევწუხდით". ამ ღაღადებისკენ მოგვიწოდებს ჩვენ ისაია წინასწარმეტყველიც: "ვინც გაიხსენებთ ღმერთს ნუ დადუმდებით და ნუ ხართ უხმოდ, სანამ არ აღასრულებს იერუსალიმის დიდებას ქვეყანასა ზედა" სხვა ადგილას ასევე ამბობს: "სიონისათვის არ დავდუმდები და იერუსალიმისათვის არ დავისვენებო, სანამ არ გამოვა ნათელივით, მისი მართალი და მაცხოვარი როგორც, ანთებული ჩირაღდანი". აქ ნათქვამია, რომ ტაძრისა

და მორწმუნეთა კრებულის დიდი სიყვარულის გამო, არც გავჩუმდები და არც დავისვენებ, არამედ მარადის ჩემი ლოცვებით შევღაღადებ მოწყალე ღმერთს, სანამ არ მოავლენს მთელი კაცობრიობის მიერ ნანატრ მაცხოვარს, რომელიც, როგორც მზე და აღნთებული ჩირაღდანი გაარღვევს ამასოფლის სიბნელეს და ჭეშმარიტ ნათელს მოუტანს მორწმუნეებს, ღვთაებრივი საგნების ცოდნით აღუხელს მომაკვდავ ადამიანებს სულიერ თვალებს, რადგან ძე ღვთისამ აღასრულა თავისი აღთქმა; წინასწარმეტყველმა გულის სიღრმიდან თქვა ეს სიტყვები: "დანამეთ ზეცა და მაღალი ღრუბლები, რომ აწვიმოს მართალთა ზედა, გაიხსნას მიწა და გამოცხადდეს მაცხოვარი." ჰოი, წინასწარმეტყველო, რას ამბობ? რა გსურს? თუ გსურს, რომ ჩამოვიდე ზეციდან და ღრუბლებიდან, როგორ ეუბნები დედამიწას, რომ გამოაჩინოს მაცხოვარი? როგორ შეუძლიათ ცას, ღრუბლებსა და დედამიწას გამოაჩინოს ძე ღვთისა? არადა, ორივე მართალია, რადგან ზეციდანაც გადმოვა და დედამიწაზეც გაცხადდება: ზეციდან, რადგან ძე ღვთისაა დედამიწაზე, ძე კაცისაც არის. ამიტომაც ვღაღადებ ზეცისკენ და დედამიწისკენ, რომ გამოგვიცხადონ ამასოფლის მაცხოვარი.

ამიტომაც ჩვენი ეკლესია ამ დღეს გვიცხადებს ძველი აღთქმის მამების ამ სიტყვებს, რადგან, რაც მათთვის იყო მხოლოდ აღთქმული, ჩვენ ღვთის წყალობით ცხადად მოგვეცა. რასაც ნატრობდნენ ის წმინდა მამები, ჩვენ ის გვაქვს. რა წყალობასაც ელოდნენ, ჩვენ მოგვეცა; და რასაც ისინი შორიდან უმზერდნენ, ჩვენ დღეს გაგვაჩნია, როგორც ამას ამბობს მახარებელი რომელი იყო პირველითგან, რომელი გუესმა და ვიხილეთ თუალითა ჩუენითა, რომელი ვიხილეთ და ჴელნი ჩუენნი ჰმსახურებდეს სიტყუასა მას ცხორებისასა."[7] ეს გამოცხადება ჩვენ გვაძლევს იმაზე დიდ სიხარულს, რაც ჰქონდათ ძველი აღთქმის წმინდანებს, ამ სიხარულის მოლოდინი მაიძულებს ვთქვა ეს სიტყვები: "მეამბორე შენი ბაგეთა ამბორით". რადგან ყველამ, ვინც იყო სულიწმინდის მადლის მატარებელი, სულით იცოდა, რაოდენ დიდი მადლი გადმოვა მის ბაგეებზე.

ამიტომაც, რადგან ჰქონდა ძალიან დიდი სურვილი, რომ თვითონაც ყოფილიყო ამ უდიდესი სათნოების თანაზიარი, ამბობს, რომ სურს მემთხვიოს თავისი ბაგეებითო; ამ სიტყვებით თითქოს ამბობს: მოსესი არ მესმის, რადგან ენაბლუა; ესაიას ბაგეები არ არის წმინდა; იერემიას არ ძალუძს მეტყველება, რადგან ყრმაა და ყველა წინასწარმეტყველი დადუმდა. არამედ თავად მაცხოვარმა მიქადაგოს და გამომიცხადოს თავისი მამის ნება და განმიახლოს ჩემი ბუნება და გონება განმინათლოს, რომ მისი ღვთაებრივი მოძღვრების მდინარენი გახდეს მარადიულ ცხოვრებასთან ჩემი მიმყვანნი და ცხოველსმყოფელი წყლის წყარო.

მაშასადამე, ძმანო, ხედავთ რა დიდ საიდუმლოს აღნიშნავს დღეს ჩვენი ეკლესია. საიდუმლო, რომლის ნახვასაც ნატრობდნენ ჩვენი წინაპრები ,დაწყებული კაცობრიობის შექმნიდან, მაგრამ ვერ მიიღეს. ჩვენ კი დღეს გვებო-

ძა ის და აღვნიშნავთ მას კიდევაც. აქედან გასაგებია, რას მოითხოვს ჩვენგან ეს წმინდა ჟამი: ითხოვს ლოცვის ღვაწლს, ღვთის ქებას, მადლიერებას იმ სიკეთეთათვის, რომელიც მიგვიღია ღვთისგან, მოწყალების გაღებას, მარხვას, ხშირ ზიარებას, სულის სინმინდეს. ეს ყველაფერი ამზადებს ჩვენს გულებს, რომ ღვთის სავანედ იქცნენ და რომ სათნოებით აღივსოს ჩვენი გულები, რადგან სათნოებების ამ სამკაულებით, სძალი უხმობს თავის საყვარელ სიძეს და ეუბნება მას: „ჩემი გულის სარეცელი მორთულია ღვთაებრივი მონატრების ყვავილებით და ჩემი სახლი აგებულია კეთილი საქმეების კეთილსურნელი უხრწნელი ხეებით". და ამ მშვენიერ სარეცელზე სიძესაც უხარის განსვენება და რჩება იქ, ვიდრე არ გავა დღე და არ დადგება ღამის ჩრდილი. ამ საიდუმლოს ჭეშმარიტების აღსანიშნავად ადამიანი უნდა ემზადებოდეს საკუთარი ცხოვრების ყოველ დღეს.

მაგრამ თუ არაფერს არ გავაკეთებთ ჩვენი სულის მოსამზადებლად, რაღაში გვერგება ეს წმინდა დრო? ამიტომაც საჭიროა, რომ ჩვენც გავხდეთ ამ დროის თანაზიარნი და ვილვაწოთ მაცხოვარის, იესო ქრისტეს, იერუსალიმში შესვლის დღის აღსანიშნავად,მოვემზადოთ მისი წმინდა ვნებების დასანახად, რათა ჩვენც ავაზაკთან ერთად შევღაღადოთ: „მომიჯსენე მე, უფალო, ოდეს მოხვდე სუფევითა შენითა"[8] და სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველმა ღმერთმა გვიბოძოს მარადიული ცხოვრება. ამინ!

კომენტარები:

მარკოზ.11,2-3

ფსლ. 17,10

ზაქ.9;9, მათე.21,5

იერემია 8:7.

ეს. 61;1-3

[6] ლკ. 10. 23-24

1იონ. 1:1

[8] ლკ. 23;42

ქადაგება №19

ქადაგება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის და მარადის ქალწულის მარიამის მიძინებაზე[1]

„რამეთუ მოხედნა სიმადაბლესა ზედა მხევლისა თვისისასა; რამეთუ აჰა ესერა ამიერითგან მნატრიდნენ მე ყოველნი ნათესავნი“.[2]

„შეწევნითა მართლისათა მრავალი იქმნის დიდებაჲ“,[3] ამბობს ყოვლად ბრძენი სოლომონი, და ასევე, „კურთხევაჲ უფლისა თავსა ზედა მართალთასა“.[4]

ამიტომაც ყველა წმინდანი, გამონაკლისის გარეშე, არის მართალი ღვთის წინაშე და კურთხეული მის მიერ; მაგრამ ზეცაში და დედამიწაზე არ არსებობს უფრო მეტად მართალი და კურთხეული, ვიდრე ყოვლადწმიდა მარიამი, რადგან, როგორც წმინდანი, ღირს იქნა ეშვა ყველაზე წმიდა და ჭეშმარიტად მართალი კურთხეული მაცხოვარი იესო ქრისტე და მის მიძინებას დღეს აღნიშნავს ჩვენი წმიდა ეკლესია.

და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მრავალი ცოდვისა და დაბნელებული გონების გამო, არ ვარ ღირსი რამე ვთქვა მისი დიდებისთვის და ქებისათვის, მაინც შეძლებისდაგვარად და მისი მეოხებით ვიტყვი იმას, რასაც განმინათებს გონებაში ჭეშმარიტი ნათელი - იესო ქრისტე, მაშასადამე, გთხოვთ, მისმინოთ სიყვარულით.

„რამეთუ მოხედა სიმადაბლესა ზედა მხევლისა თვისისასა“[5] და სხვა.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ცნობილია, რომ ღმერთი არის ყოვლადძლიერი, რადგან მისი ძალა შეესაბამება მის ნებას და მას შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, რასაც მოისურვებს, როგორც ამას ამბობს დავით წინასწარმეტყველი: „ყოველივე, რაოდენი ინება, უფალმან ჰქმნა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“.[6] ამიტომაც მას, რომ მოესურვა, შეეძლო სხვა გზით ადამიანის ხსნა ბოროტის ხელიდან და მისი ცხონება, ისე რომ თვითო არ განკაცებულიყო, მაგრამ არ ისურვა. ალბათ შემეკითხებით რატომ? იმიტომ, რომ თავისი განკაცების საიდუმლოთი მან ისურვა ეჩვენებინა თავისი ბუნების ოთხი თვისება: სიკეთე, სიბრძნე, ძალა და სიმართლე.

უპირველეს ყოვლისა გამოაჩინა თავისი სიკეთე, რადგან ისურვა, რომ ადამიანი აღმდგარიყო მისი დაცემული მდგომარეობიდან, ადამიანი, რომელიც იყო ცოდვის მონა, როგორც ამას წმინდა პავლე მოციქული ამბობს, სხვა არაფრის გამო, არამედ მხოლოდ თავისი სიკეთით ჯერ შექმნა ადამიანი, ხოლო შემდეგ აცხონა იგი.

მეორე - გამოამჟღავნა სიბრძნე, რადგან როგორც ყოვლად ბრძენმა, ნახა ის გზა, თუ როგორ უნდა ეცხოვნებინა ადამიანი. როგორ? ისე, რომ გაეერთიანებინა ორივე ბუნება და გამხდარიყო ღმერთიც და კაციც. როგორც ადამიანს უნდა ებრძოლა ბოროტ ეშმაკთან ადამიანისთვის, ხოლო როგორც ღმერთს

უნდა გაემარჯვა და ეცხოვნებინა ადამიანი, როგორც ამას განვმარტავთ ქვემოთ.

მესამე - გამოაჩინა ძალა, რადგან როგორც ყოვლადძლიერმა ღმერთმა გააკეთა ასეთი დიდი და საშინელი საქმე. ამბობს წმ. იოანე დამასკელი: „რა არის იმაზე მეტად დიდებული, რომ ღმერთი განკაცდა: შემქმნელი იქცა ქმნილებად, არამატერიალური ღმერთი იქმნება მატერიალურ ადამიანად, უხილავი - ხილულად, უფალი - მონად, და მაღალი ღმერთი მდაბალ ადამიანად. და ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ბუნების გაერთიანებით ღმერთმა შეინარჩუნა ორივე ბუნება უცვლელად, უქმნელი რჩება უქმნელად, ქმნილი ქმნილებად, და უხილავი უხილავად. მოკლედ რომ ვთქვათ: ღვთაება რჩება ღვთაებად, ხოლო კაცობრივი ბუნება კაცობრივად. არც ღვთაებრივი ბუნება გარდაქმნილა კაცობრივად და არც კაცობრივი გარდაიქცევა ღვთიურად. და ის არის ყველაზე დიდი და საკვირველი საქმე, რომ შეერთების შემდეგაც თითოეულმა ბუნებამ შეინარჩუნა თავისი თვისება“.

მეოთხე - გამოამჟღავნა სიმართლე. როგორ? იმით, რომ არ მოინდომა შებრძოლებოდა ბოროტ ეშმაკს განცხადებული ღვთაებრიობით, არამედ შეიმოსა სხეული, რადგან ეშმაკს შეეძლო თავის გასამართლებლად ღმერთისთვის ეთქვა: მე ადამიანს ვებრძვი და არა ღმერთსო, და არ არის სამართლიანი, რომ შენ, ღმერთი, მებრძოლო მე, შენ, სამყაროს შემქმნელი -მე, რომელიც ვარ ქმნილება. ამიტომაც მაცალე მე, როგორც ქმნილებამ ვებრძოლო ქმნილებას, ანუ ადამიანს.

ამიტომაც, როგორც ამბობს დავით წინასწარმეტყველი, ღმერთი, რომელიც ყოვლად სამართლიანია, და ყოვლის მძლეველი, რას აკეთებს? ეშმაკს რომ არ ჰქონოდა თავისმართლებისათვის სათქმელი სიტყვა, და არ ეთქვა, რომ ღმერთი უსამართლოდ იქცევა, ამიტომაც ღმერთმა შეისხა ხორცი და გახდა ჭეშმარიტი კაცი, რათა შეებრძოლოს ადამიანის ბუნების მტერს, როგორც კაცი და სძლიოს იგი როგორც ღმერთმა.

ადამიანის ბუნება დამარცხებული იყო ბოროტის მიერ და ამიტომაც ბოროტი უნდა დამარცხებულიყო ადამიანის ბუნებით: დამარცხებული ხდება გამარჯვებული და გამარჯვებული - დამარცხებული. რა ხერხითაც თავის დროზე გაიმარჯვა იმავე ხერხით უნდა დამარცხდეს; მოატყუა ადამიანი, რომ ის ვითომ გახდებოდა ღმერთი და ახლა თვითონ მოტყუვდა, რადგან ხედავდა კაცს და აღმოჩნდა ღმერთის ხელეში, რომელიც კაცში იყო დამალული.

ამიტომაც ღმერთი, რომ დაეცვა სამართლიანობა, ხდება კაცი - ყოვლადწმიდა ქალწულის ხორცისა და სისხლისგან. ვუფიქრდები ამ სასწაულის სიღრმეს და ვრჩები გაკვირვებული სიტყვების გარეშე, რათა შესაფერისად ვადიდო ეს უდიდესი სასწაული. როგორ ვადიდო კაცთმოყვარეობის წყარო? როგორ ვიქადაგო წყალობის სიმრავლე? როგორ გავკადნიერდე ქალწულობის სიწმიდის წინაშე და გამოვცადო ბუნებაზე აღმატებული საიდუმლოს სიღრმე?

და როგორ ვისაუბრო შენს შესახებ ყოვლადწმიდაო ქალწულო, რადგან არა მხოლოდ, რომ შენგან იშვა ხორციელად ძე და სიტყვა ღვთისა – საქმე, რომელიც ყოველგვარ ბუნებაზეა აღმატებული, არამედ, რამეთუ შენ გახდი დედა და დარჩი ქალწულად. რადგან ქალის ბუნება ისეთია, რომ ის არის ქალწული მანამ, ვიდრე იცავს ქალწულებას. მაგრამ თუ ქალწულია, ვერ გახდება დედა და ქალი, რომელმაც შვილი შვა, ვეღარ დარჩება ქალწულად, ხოლო შენს შემთხვევაში შენგან შობილმა, როგორც ბუნების შემქმნელმა, შეცვალა ბუნების წესი და შობის შემდეგ ისევ დარჩი ქალწულად.

ჰოი, დიდებული და ბუნებაზე აღმატებული საქმე! ჰოი, წმინდაო საშოვ და ღვთაების ჭურჭელო! ჭეშმარიტად შენში დაირღვა ცოდვის წერილი. შენში გახდა ღმერთი კაცი, ისე, რომ არ შეიცვალა ღვთაებრივი ბუნება. ამიტომაც რა ენით უნდა ვადიდო შენი ქალწულობა და ბუნებაზე აღმატებული შობა? რადგან შენი მეშვეობით ღირსნი გავხდით დიდი წყალობისა, რა ყვავილებით უნდა შევამკო შენი ქალწულობის გვირგვინი, შენ, რომელიც ზეციერი მამის მიერ სათნოებათა ყველა ყვავილის გვირგვინის მფლობელი ხარ?

რა ძღვენი უნდა მოგართვათ შენი ღირსების შესაფერისი? შენ, რომელმაც მთელი კაცობრიობა დიდებითა და პატივით გვირგვინოსანი გახადე, რადგან ყველაფერი, რაც ამა სოფლისაა, არარაობაა შენს წინაშე. რადგან თუ ცას გიწოდებ, შენ უფრო მაღალი ხარ, რადგან ცის შემქმნელი შობე. თუ გიწოდებ ღვთის ხატებას, ნამდვილად ღირსი ხარ. თუ ანგელოზთა დედოფალს გიწოდებ, ჭეშმარიტად სიმართლე იქნება, და სხვა რაც არ უნდა გიწოდო, არ იქნება საკმარისი, რომ ვადიდო შენი სიწმიდე.

გიხაროდენ, რამეთუ შენ თვითონ იწინასწარმეტყველე, რომ შენ განატროდნენ ყოველნი ნათესავნი კაცთანი და ჭეშმარიტად შეგნატრიან, რათა შენი უსაზღვრო თავმდაბლობით წარსდექ შენი შემქმნელის წინაშე და გახდი მიზეზი იმისა, რომ თავი დაიმდაბლა მან, ვინც ბუნებით არ არის თავმდაბალი, დატოვა მამის სავანე, მოვიდა და დაემკვიდრა შენს ყოვლადწმიდა საშოში.

ჰოი, ქალწულობის ნეტარო წმიდაო თავმდაბლობავ, რამხელა ძალა გქონია! რადგან შენი მეშვეობით სიკვდილამდე დაიმდაბლა თავი მან, ვისგანაც შიშით იმალება ცა და ყველაფერი ქედს იდრეკს და ამავდროულად აღამაღლე ბუნებით მდაბალი ადამიანი, იმდენად, რომ ცათა სასუფეველი დაიმკვიდრა. ჭეშმარიტად ნეტარია ის, ვინც მოიგო კურთხეული თავმდაბლობა და მიიღო დიდება ადამიანებისგანაც და ღვთისგანაც.

და შენ, ყოვლადწმიდაო ქალწულო, როგორც შენ თავად ბრძანე, რომ ღმერთმა მოხედა სიმდაბლესას შენსას და აღგამაღლა დედამიწიდან ზეცაში, რომ ღმერთთან ერთად იყო დედოფალი, მოგვხედე ჩვენ, უფლის მონებს და შენი თბილი ლოცვებით ეფერე შენს ძესა და სამყაროს საშინელ მსაჯულს, რომ გვიხსნას ყოველი მწუხარებისა და განსაცდელისაგან. და როგორც ღვთაებრივი ძალით ერთ წამშივე მთელი მსოფლიოდან შეკრიბე საქადაგებლად წა-

სული მოციქულები, რომ გალობებითა და ლოცვებით გააცილონ დასამარხად შენი წმინდა სხეული,[7] ასევე შეკრიბე ჩვენი გაბნეული გონებაც, ამა სოფლის ამაო ცხოვრებიდან, შეკრიბე და განგვინათლე, რომ მარადის ვადიდოთ და ვაქებდეთ ღმერთს. ხოლო შენ, როგორც ჭეშმარიტ ღვთისმშობელს, ღირსებით გიგალობთ ანგელოზებრივ სიტყვებს: „გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენთანა“.

კომენტარები:

[1] წმინდა ანთიმოზი მარიამ ღვთისმშობლის მიძინებას უძღვნის კიდევ სხვა ქადაგებას. იხ. მესამე ქადაგება. ამ მოცემულ ქადაგებაში აქცენტი გადატანილია ქრისტიანული ეთიკის იმ ერთერთი მთავარი ცნების არსობრივ გახსნაზე, როგორიცაა თავმდაბლობა. ავტორი მას მადლმოსილ ნიჭს უწოდებს.

[2] ლკ. 1:48

[3] იგ. 28:12

[4] იგ. 10:6

[5] ლკ. 1:28

[6] ფს. 134:6

საღმრთო გადმოცემით ცნობილია, რომ დედა ღვთისმშობლის გარდაცვალებისას მსოფლიოში გაბნეული ყველა მოციქული სასწაულებრივად იმწამშივე შეიკრიბა წმინდა მარიამის სხეულთან.

ქადაგება № 20

ქადაგება წმინდა მღვდელმთავარ ნიკოლოზის დღესასწაულზე[1]

„ მე ვარ მწყემსი კეთილი; მწყემსმა სული თვისი დასდვა ცხოვართა თვისთათვის“.[2]

როდესაც ვიხსენებ იმ დიდ მოშურნეობასა და უზომო სიყვარულს, კეთილ მწყემსებს რომ აქვთ თავისი ცხვრების მიმართ, დიდი გაოცება მიპყრობს და ვადიდებ მათი გულის რწმენასა და სიყვარულს, რომლითაც იცავენ თავიანთ ცხვრებს. ასეთი იყო წმინდა და ღვთის ერთგული მონა - მოსე, რომელიც ისრაიტელი ერის მწყემსი იყო. როდესაც მოსემ დაინახა ჰურიათა მიმართ ღვთის უდიდესი და საშინელი მრისხანება, და იმასაც მიხვდა, რომ მათ განადგურება დაიმსახურეს, თავისი სამწყსოსადმი დიდი სიყვარულის გამო, მოსემ არ მოინდომა თავად გაქცეულიყო და მარტო გადარჩენილიყო, არამედ, როგორც ნათქვამია გამოსვლათა წიგნის 22-ე თავში, დადგა გულისწყრომით სავსე ღვთის წინაშე და დაუწყო ვედრება: „გეევედრები, უფალო, შეგცოდა ამ ერმა დიდი ცოდვით და გაიკეთეს ღმერთები ოქროსგან; და ახლა თუ გნებავს, რომ შეუნდო ეს ცოდვა - შეუნდე, ხოლო თუ არა, მეც წამშალე იმ წიგნიდან, რომელშიც ჩამწერე“.[3] დაინახეთ ამ მწყემსის დიდი მოშურნეობა და სიყვარული?! ჭეშმარიტად, ჩემო საყვარელო მსმენელნო, აქა ვდგავარ და მიკვირს ამ მძიმე სიტყვების გამო, რომელნიც მოსემ წარმოთქვა ესოდენი გულისწყრომით! მაგრამ უფრო მეტად მაკვირვებს და აღმაფრთოვანებს ადამიანების მიმართ ღვთის უდიდესი მოთმინება და სიყვარული, სიკვდილით რომ არ დასაჯა მოსე ურჯულო ჰურიებთან ერთად: რადგან ღმერთს არა მარტო მოსე, არამედ მთელი სამყაროც არაფერში სჭირდება, როგორც ამას ამბობს დავით წინასწარმეტყველი მე-16 ფსალმუნში: „სათნოებანი ჩემნი არა გიხმს“.[4]

ჩემი სიტყვებით ზედმეტად შორს რომ არ წავიდე, ვიტყვი, რომ ღმერთმა კი არ შეხედა მოსეს სიტყვების გულისწყრომას, არამედ მოსეში დაინახა უდიდესი სიყვარული, რომელიც მას თავისი ცხვრების მიმართ ჰქონდა, რომ მათ არაფერი ცუდი არ დამართოდათ, რომ მას ერჩივნა თვითონაც დაღუპულიყო მათთან ერთად, ამიტომაც ღმერთმა არავის დასჯა არ მოისურვა.

ჭეშმარიტად დიდი იყო მოსეს სიყვარული ჰურიების მიმართ, მაგრამ უფრო დიდი იყო ქრისტეს სიყვარული მთელი კაცობრიობისადმი. რადგან მოსე მზად იყო მხოლოდ ერთი ერისთვის მომკვდარიყო, ხოლო ქრისტე მთელი კაცობრიობისთვის შეიწირა, ასევე მოსეს არ უთქვამს: დამსაჯე მე და ჰურიები გადაარჩინეო, ხოლო ქრისტეს სურვილი და მიზანი სწორედ ეს იყო, უბრალოდ მოვიდა, რათა თავისი სიკვდილით მთელი სამყარო გადაერჩინა, როგორც ეს ნათქვამია დღევანდელ სახარებაში: „სულსა ჩემსა დავდებ ცხოვართა ჩემთათვის“[5] და სხვა ადგილას ისევ ამბობს: „ამაღლებად ჯერ–არს

ძისა კაცისასა, რაითა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნო". მაშასადამე, ამ სიტყვებიდან შეიძლება დავინახოთ კეთილი მწყემსის ერთგულება და ჭეშმარიტი სიყვარული; ან გთხოვთ, ყურადღებით მომისმინოთ.

მსოფლიოში ბევრი თავის თავს მწყემსს უწოდებს და ვითომ ზრუნავს კიდევაც თავის ცხვრებზე. მაგრამ ვამბობ, რომ ესენი ბოროტი არსებანი არიან და მხოლოდ სიტყვით იბრალებენ სიკეთეს, ხოლო საქმით შორს არიან მისგან, ისე როგორც ცა დედამიწისგან, რადგანაც ისინი თავის ცხოვართა სიკეთეზე და გადარჩენაზე კი არ ზრუნავენ, არამედ მათ მხოლოდ პირადი სარგებელი ამოძრავებთ. მათ მწყემსი კეთილის სახელი კი არ შეეფერებათ, არამედ - დაქირავებულის, უფრო ზუსტად კი, ქურდები და ავაზაკები უნდა ერქვათ; რადგან ისინი თავიანთ ცხვრებს ტოვებენ მგლების ხელში, ხოლო მგლები კი დაუსჯელად დანავარდობენ ცხვრის ფარაში, რათა მოიპარონ, დაგლიჯონ და დაღუპონ ცხვრები. ამათზე ამბობს მაცხოვარი იესო ქრისტე მათეს სახარების მე-7 თავში: „ეკრძალენით ცრუ-წინასწარმეტყუელთაგან, რომელნი მოვიდოდიან თქუენდა სამოსელითა ცხოვართაითა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ, ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი",[6] ანუ უღირსი და ბოროტი საქმეებით გამოიცნობთ მათო.

ასევე 23-ე თავში მაცხოვარი მსგავს ადამიანებს უწოდებს თვალთმაქცებს, ბრმებს, სულელებს და გარედან გალამაზებულ საფლავებს. თვალთმაქცებს ეძახის, რადგან მათ ადამიანების წინაშე მაცდურად თავის წარმოჩენა სჩვევიათ, თითქოსდა წმინდანები და მართლები არიან;[7] ბრმებს უწოდებს, რადგან არ სურთ, ადამიანებს ასწავლონ, რაც სწორია, მართალია და ჭეშმარიტი, არამედ ყოველთვის სულის წარსაწყმედელი საქმეებისაკენ უბიძგებენ. სულელებს ეძახის, რადგან ღვთის ყველაზე დიდ მცნებებს აღრევენ და ცხოვრობენ ამაო ცხოვრებით. გარედან შელამაზებულ საფლავებს ეძახის, რადგან ხალხს თავს აჩვენებენ თითქოსდა წმინდა მამებზე და მოციქულებზე უფრო მცოდნენი, მართალნი, კეთილნი და ღირსნი არიან, თუმცა როგორც რჯულის დამრღვევნი, არ იღებენ და არ იცავენ იმას, რაც დააწესეს წმინდა მამებმა და მოციქულებმა ეკლესიის სადიდებლად, ქრისტიანობისა და სარწმუნოების განსამტკიცებლად.

იმისათვის, რომ ათასნაირი სარგებელი მიიღონ, ხალხს აბრკოლებენ ღვთის ნებისადმი მორჩილებაში და ამის გამო ეს გარეწარნი უფრო დიდ სასჯელს მიიღებენ.

„მწყემსი კეთილი სულსა თვისსა დასდებს თვისსა ცხვართათვის". ტიმოთეს მიმართ პირველი ეპისტოლეს მე-3 თავში წმ. პავლე მოციქული ამბობს, რომ ეპისკოპოსი უნდა იყოს უბიწო, გონიერი, წესიერი, სტუმართმოყვარე, კარგი მასწავლებელი, სათნო, ცუდის არ ჩამდენი, არა ვერცხლისმოყვარე, თავისი ოჯახის კეთილი გამგებელი. რადგან, თუ მას არ ძალუძს თავისი სახლის კეთილი მართვა, როგორ შეძლებს უფლის ეკლესიაზე ზრუნვას?[8]

ამიტომ მე კი არა,არამედ მართალი გონება ჩვენ გვკარნახობს, რომ კე-

თიოლ მწყემსს უნდა ახასიათებდეს სამი რამ: პირველი - მართალი სარწმუნოება, მეორე - სრული სიბრძნე და მესამე - ხელთ ეპყრას კვერთხი. წმინდა რწმენით უნდა მარადის ეძიოს სამწყსოს სიკეთე და სარგებელი და არა მხოლოდ ძლიერთა და ჯანმრთელთათვის, არამედ უძლურთა და სუსტთათვისაც. თავისი სიბრძნით უნდა მწყემსავდეს ადამიანებს ისე, რომ თითოეულს უნდა აძლევდეს მისი ასაკისა და ცხოვრების წესის შესაბამის სწავლებას, რადგან სნეულებანი მრავალფეროვანია და არ შეიძლება განიკურნონ ერთი და იმავე წამლით, ასევე არც ერთ სწავლებასა და რჩევას არ ძალუძს, განკურნოს და დაამშვიდოს ყველა ადამიანის სული, ყველას სხვადასხვა წამალი სჭირდება. სხვა რჩევა-დარიგება სჭირდება კაცს და სხვა ქალს; სხვა დარიგება სჭირდება ხნიერს და სხვა ახალგაზრდას; სხვანაირი სწავლა სჭირდება მდიდარს და სხვა ღარიბს, სხვა ნუგეში სჭირდება მხიარულს და სხვა მწუხარეს; სხვა განკურნებას საჭიროებს ჯანმრთელი და სხვას ავადმყოფი. სხვა საყვედური სჭირდება ბატონს და სხვა მოსამსახურეს; სხვა დარწმუნება სჭირდება თამამ ადამიანს და სხვა მშიშარას; სხვა გაკეთილშობილება სჭირდება თვინიერ ადამიანს და სხვა ფიცხს; სხვა სიტყვა სჭირდება განათლებულ ადამიანს და სხვა უწიგნურს.

მოკლედ რომ ვთქვათ, როგორც უკვე გითხარით, თითოეულს მისი ასაკისა და ცხოვრების წესის მიხედვით უნდა ასწავლოს და ანუგეშოს კვერთხით, რომელიც ხელთუპყრია, ანუ ძალაუფლებითა და სულიწმიდის მადლით, რომელიც მას აქვს მოცემული, უნდა დასაჯოს როგორც ცხოვარნი, ასევე მგლებიც და სხვა ველური მტაცებელნი, რომლებიც მოდიან სამწყსოს გასანადგურებლად. მართლაც, რატომ არ უნდა დაისაჯონ ცხოვარნი, თუ თავს არ ანებებენ ესოდენ უთვალავ ცოდვებსა და ვნებებს; ასევე მგლებიც უნდა დაისაჯონ, რომლებიც მწყემსის ხელში არსებულ კვერთხს ვერ ხედავენ და ყოველგვარი შიშის გარეშე იტაცებენ და ჭამენ ცხვრებს. ამ კვერთხისთვის აქვს დავით წინასწარმეტყველს ნათქვამი 22-ე ფსალმუნში: „კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან, ამათ ნუგეშინის-მცეს მე".[9] წმინდა კვერთხით მოსემ გადაარჩინა ჰურიათა ერი და ზღვაში დააღრჩო ფარაონი.

ამიტომაც მწყემსს, რომელსაც სურს, რომ სჯულითა და სიმართლით მწყემსავდეს თავის სამწყსოს, მუდმივად ხელთ უნდა ეპყრას თავისი კვერთხი ანუ საყვედური და დარიგება და საჭიროების დროს უნდა სჯიდეს თავის სამწყსოს და ამავდროულად იგერიებდეს ბოროტ მტაცებლებს. ამაშია მისი მწყემსობის კეთილი აღსრულება, რომ მართალი სწავლებით დაიცვას თავისი სამწყსოს სულიერი სიჯანსაღე, მწყემსი ვალდებულია, მარადის ზრუნავდეს თავისი სამწყსოს ჯანმრთელობისთვის და თუ ფარაში აღმოჩნდება რომელიმე უძლური და ავადმყოფი ცხვარი, მისი ნების გარეშეც კი უნდა დაიჭიროს, დააწვინოს, დააბას, ამოკვეთოს დაწყლულებული ხორცი, გადააგდოს ის და ჭრილობაზე მალამო დაადოს. ამ დროს ყურადღებას არ უნდა აქცევდეს ცხვრის ფეხების ქნევას, რომლებითაც შეიძლება თვითონ მწყემსსაც მიადგეს ზიანი ან სახეზე, ან ხელზე, ან ფეხზე. ასეთი კეთილი მზრუნველობითა და ღვაწლით მწყემსი კეთილი განირჩევა დაქირავებულისგან, რადგან დაქირავებული არ შრომობს

სამწყსოს სასარგებლოდ, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ თავისი გასამრჯელო მიიღოს, მაგრამ როგორც კი შორიდან მომავალ მგელს ანუ ეშმაკს დაინახავს, ის ტოვებს სამწყსოს და გარბის, რადგან დაქირავებულია და გული არ შესტკივა ცხოვართათვის. ღმერთმა დაიცვას ყველა სამწყსო ასეთი ცრუ მწყემსებისაგან, როგორც შავი ჭირისაგან.

„მწყემსი კეთილი სულსა თვისსა დასდებს სამწყსოსათვის“

როდესაც ინება უფალმა, ჩვენმა მაცხოვარმა, იესო ქრისტემ, ზეცად ამაღლება, თავის მოწაფეებს აღუთქვა, რომ მათ არ დატოვებდა მარტო, არამედ გამოუგზავნიდა სხვა ნუგეშინისმცემელს ანუ სულიწმიდას, რომლის მიერაც ისინი ყოველივეში განისწავლებიან და მიიღებენ სრულ ჭეშმარიტებას. ეს აღთქმა უცვლელად გადავიდა ყველა მღვდელმთავარზე, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში დღემდე და სოფლის დასასრულამდე უმწყემსიათ და მომავალშიც იქნებიან მწყემსნი კეთილნი. სინესის უთქვამს, რომ, როგორც კეისარს არასდროს მოაკლდება მეომრებიო, ასევე ქრისტეს ეკლესიასაც არასდროს მოაკლდებიან მწყემსნი კეთილნი, რათა ანუგეშონ და სულის ცხონების გზაზე უწინამძღვრონ ღვთის რჩეულ ერს. ასეთ კეთილ მწყემსთა შორისაა წმინდა ნიკოლოზიც, მირონ-ლუკიის სასწაულთმოქმედი მთავარეპისკოპოსი, რომლის ხსენებასაც აღვსარულებთ ჩვენ დღეს. იგი აღმოჩნდა თავისი მოძღვრისა და მასწავლებლის, იესო ქრისტეს, ღირსეული მიმდევარი. მან გაამრავლა მისთვის ბოძებული ტალანტი არა ორმაგად, არამედ სამმაგად, რადგან იმდენად იღვაწა, რომ აღასრულა სამი დიდი სათნოება: პირველი - თავისი უფლის და მაცხოვრის, იესო ქრისტეს, დიდება და თაყვანისცემა; მეორე - მსოფლიო ეკლესიის მთელი სამრევლოს სარწმუნოებაში განმტკიცება; მესამე - მისთვის ჩაბარებული სამწყსოსათვის გაკეთებული სიკეთეთა გამრავლება.

მაცხოვარ იესო ქრისტეს დიდებისა და თაყვანისცემისათვის გაწეული ღვაწლის სათნოებაში იგულისხმება: ჭეშმარიტი სარწმუნოება, წმიდა სიყვარული, განუწყვეტელი ლოცვა, მარხვა, სინანულის ცრემლები, უსაზღვრო თავმდაბლობა, მღვიძარება, ღვთის მიმართ დიდების მეტყველება და მრავალი სახის სხვადასხვა ღვაწლი. ეს ყველაფერი ერთად აჩვენებს ღვთის მიმართ მის განუზომელ სიყვარულს. ამიტომაც ღმერთმაც შეიყვარა იგი და მთელ სამყაროში ცნობილი და დიდებული გახადა.

ხოლო მისი საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული სათნოება გამომჟღავნდა კეთილმორწმუნე კეისარ კონსტანტინესა და ნიკეაში შეკრებილი მსოფლიო კრების წინაშე, სადაც ის დაუპირისპირდა ერესიარქ არიოზს, რომელსაც, როგორც მაცდურსა და ჭეშმარიტების მგმობელს, სახეში ხელი გაარტყა და ასეთნაირად, ერთის მხრივ, დაადუმა მისი ბინძური და ცილისმწამებელი პირი და მეორეს მხრივ, აღიარა ძისა და სიტყვის თანაარსობა მამასთან და სულისწმიდასათან.

ხოლო ის სათნოებანი, რომლებიც გამოაჩინა მან თავისი სამწყსოს მიმართ როგორც თავის სიცოცხლეში, ასევე გარდაცვალების შემდეგ, გამოიხატა მის განუზომელ სიყვარულში, სულისთვის სასარგებლო დარიგებებში, გულუხვ მოწყალებებში, მრავალსახის განკურნებებში, ყველას მიმართ გამოჩენილ

ზრუნვაში, სიკვდილისაგან ხსნაში, საპყრობილედან განთავისუფლებაში, ზღვის ღელვიდან მგზავრთა გამოხსნაში და სხვა უთვალავ კეთილ საქმეებში, რომელთა სათანადოდ გამოთქმაც და აღწერაც ასე ძალუძს ჩემს ნაკლულსა და უღირს ენას. ამ საქმეს მივანდობ ცოდნასა და განათლებაში ჩემზე გამოცდილებსა და სრულყოფილებს, რომელთაც ხელეწიფებათ ჩემზე უკეთ და სრულად დაგიმოწმონ საქმენი მისნი.

ხოლო მე, თავმდაბლად ქედს ვიდრეკ და ვევედრები ყოვლისმპყრობელ ღმერთსა და ზეცათა მეუფეს, რომ წმინდა ნიკოლოზის მხურვალე მეოხებით ჩვენს დიდებულ მთავარს უბოძოს: მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრება, სრული ჯანმრთელობა, ხილულ და უხილავ მტერთა ძლევა და ამ მცირე ღვანლისა და წარმავალი შესანირავისათვის, რომელიც მან გაიღო ღვთის წმინდანის პატივსაცემად და ღვთის სახელის შესამკობად, ცხოვრების მრავალი ბედნიერი წლის შემდეგ უბოძოს მას ცათა სასუფეველში მარადიული განსვენება, მადლი და ნეტარება.

ასევე თქვენც, ვინც დღეს აქ ხართ შეკრებილნი და ყველას ვინც ვერ მოვიდა, გიბოძოთ ჯანმრთელობა, წმიდა ცხოვრება, სულის ცხონება, ყველა თქვენს კეთილ და სასარგებლო საქმეში დახმარება და შეწევნა, ასევე ყველა ქრისტიანს იგივეს ვუსურვებ, რათა ყველანი ერთად ვაქებდეთ და ვადიდებდეთ მის წმინდა ნეტარ სახელს.

ამინ!

კომენტარები:

შეადრ.VIII ქადაგება"წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღესთან დაკავშირებით, დეკემბერის თვის 6"

[2] შეადრ.: „მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი-დადვის ცხოვართათვის". იოანე. 10,11.

[3] ანთიმოზს აქ მოჰყავს გამოსვლათა წიგნის არა 22-ე, არამედ 32-ე თავის 11-13 და 32 მუხლები.

[4] ავტორი საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ფსალმუნის ფრაზას.

[5] იოანე 10,11. აქ და ქვემოთ კიდევ ორ ადგილას ავტორი საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს სახარების მოცემულ მუხლს.

[6] მათე 7: 15,16

იხ. მათე 23, 12-33

[8] შდრ.. „ჯერ არს ეპისკოპოსისაი, რაითა უბრალო იყოს, ერთის ცოლის ქმარ, ფრთხილ, წმინდა, შემკულ, სტუმართ მოყუარე, სწავლულ, არ მეღუინე, არა ანგაჰრ, არა საძაგლის შემძინებელ, არამედ მყუდრო, ულალველ, ვერცხლის უყრულ. თვისისა სახლისა კეთილად განმგებელ, შვილნიმცა უსხენ დამორჩილ;ებულნი ყოვლითა ღირსებითა". Iტიმ.2,2-4

[9] ფსალმ. 22,4

ქადაგება № 21

წინასიტყვაობა ბზობის ქადაგებაზე

ჰოი, რაოდენ საკვირველი და დიდებულია სიხარულის ნიშნები, რომელნიც ეჩვენა დღეს იერუსალიმს უფალის იესო ქრისტეს შესვლისას!

იგი იღებს მას როგორც გამარჯვებულს! მთელი ქალაქი გამოსულია მის შესახვედრად. მთელი ერი და ხალხის სიმრავლე, ყველა ასაკის ადამიანი თავმდაბლობით თაყვანს სცემს მას. ყველა მას აქებს და ადიდებს. ზოგი საკუთარ სამოსელს უფენს მიწაზე, რომ მასზე გადაიაროს, ზოგიერთები კი ხეების ფოთლებით უმკობენ მას გზას, მას ყვავილებით წინ მიუძღვებიან, პალმის ტოტებით მოყვებიან, ადიდებენ მას, როგორც დავითის ძეს: „ოსანა ძესა დავითისასა“. ხოლო სხვები ქადაგებენ მასზე, როგორც ისრაელის მეფეზე: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, მეუფე ისრაელისა“.[1]

და ეს სიხარული რომ უფრო მეტად საკვირველი იყოს, უმანკო ყრმებიც ტოტებით ხელში ადიდებენ მას: „ოსანა მაღალთა შინა“.

ნეტავ საიდან მოდის ამდენი მხიარული ხმა? საიდან ამდენი ოსანა? რა მიზეზითაა ამდენი სიხარული ხალხში და ამხელა პატივი მაცხოვარ იესო ქრისტეს მიმართ? ამაზე გვპასუხობს წმ. მოციქული იოანე დღევანდელ სახარებაში: „ამიტომაც შეეგება მას ერი, რადგან გაიგო, რომ აღასრულა ეს ნიშანი! ლაზარეს ხორციელმა აღდგენამ მიზეზი მისცა ერს, რომ ასე განსაკუთრებულად დახვედროდნენ ქრისტეს. სირბილით მიუყვებოდნენ მას, ხის ტოტებით ხელში და ადიდებდნენ: „ ოსანა ძესა დავითისა“.[2]

და აღდგომის შესახებ ჩემი საიდუმლო ფიქრი მაიძულებს დღეს, ჩემო საყვარელნო, რომ გითხრათ ეს სიტყვები და განგიმარტოთ, ვის განასახიერებს ეს ლაზარე და რამდენი წყალობაა საჭირო, რომ აღადგინოს ის, ვინც, როგორც ლაზარე, ოთხი დღის განმავლობაში მკვდარი წევს საფლავში. მომისმინეთ სიყვარულით, თუ გნებავთ, რომ სულიერი სარგებელი ნახოთ. [3]

კომენტარები:

მათე, 23,39.ასევე „ოსანა ძესა დავითისასა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!“ მათე 21, 9.

[2] „...ხვალისაგან ერი მრავალი, რომელ-იგი მოსრულ იყვნეს დღესასწაულსა მას, რამეთუ ესმა, ვითარმედ იესუ მოვალს იერუსალემდ, მოიღეს რტოები და ნაკისკუდთაგან და განვიდეს მიგებებად მისა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა! კურთხეულ არს მო-

მავალი, სახელითა უფლისაითა, მეუფე ისრაელისაი!“, - ასე აღწერს იოანე მახარებელი მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის ამბავს. იოანე, 12 12-13.

[3] შდრ: წმინდა ანდრია კრიტელის „სიტყვა ბზობის კვირიაკეს თქმული“-:„დღითი-დღე წარვსთქვამდეთ სიტყვათა წმიდათა, ამმაღლებელ ნეტართა ასულისათა: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, მეუფე ისრაჱლისა! (იოანე 12, 13). საიდან და საით ვალს? – ჩვენსკენ მამიდან, საყდრისკენ ლაზარესა ზედა აღსრულებული სასწაულით. როდის ვალს და ვისთვის? – ჟამსა თვისსა, ჩვენისა ცხოვრებისათვის: ერთგზის აღსასრულსა ჟამთასა (ებრაელთა 9, 26). მან ნებსით ამოირჩია სიკვდილი ადამიანებისთვის. რათა ეხსნა ადამიანი. მაშ, მივბაძოთ ქრისტეს სიმდაბლეს (თავმდაბლობას), ხელი ვჰკიდოთ სიღატაკეს, რათა გავმდიდრდეთ; ვიხილოთ გემო ჯვრისა (უფლისა), რათა დავიმკვიდროთ სიტკბოება სიცოცხლისა“. ამ ორი ამონარიდის შედარება აშკარას ხდის, რომ ანთიმოზ ივერიელისათვის ანდრია კრიტელის ნაშრომები სიღრმისეულად ახლო იყო.

ქადაგება № 22

ქადაგება ბზობის კვირიაკეს[1] თავმდაბლობის შესახებ

არა მგონია, რომ მათ შორის, ვისაც სახარების თუნდაც მცირედი ცოდნა აქვს, მოიძებნებოდეს ისეთი ვინმე, რომელიც, დიდი განმარტებების გარეშე, თვითონ ვერ ხვდებოდეს, ვის განასახიერებს ლაზარე, რომლის შესახებაც დაწვრილებითაა მოთხრობილი იოანეს სახარებაში. ვერ ხვდებოდეს, რომ ცოდვა არის სულის სიკვდილი, რომ მკვდარი, რომელიც ოთხი დღის განმავლობაში წევს საფლავში და ყარს, არის ცოდვილი ადამიანი, რომელიც თითქოს ცოცხალია, ლაპარაკობს, ხარობს და მუდმივად დროს ატარებს - სინამდვილეში მკვდარია! რადგან მისი სული, რომელიც პიროვნების ყველაზე გამორჩეული და მბრძანებელი ნაწილია - მკვდარია! რადგან მას აკლია ღვთის მადლი, რომელიც ჭეშმარიტი ცხოვრების მომცემია და ამ მცირე სიტყვებიდანაც ყველასათვის გასაგები ხდება, ვის განასახიერებს ლაზარე.[2] მაგრამ თუ კონკრეტულად ლაზარეს შემთხვევაში მეტ–ნაკლებად ყველაფერი გასაგებია, ზოგადად ლაზარეს აღდგინების მთელ ამბავში ბევრი მიზეზი გვაქვს ფიქრისა და გაკვირვების, რადგან აქ ვხედავთ განსხვავებულ ნიშნებს როგორც ქრისტეს ქმედებაში, ასევე ხალხის რეაგირებაშიც, რასაც ვერ ვხედავთ ქრისტეს მიერ მკვდართა აღდგენის სხვა შემთხვევებში, და არც მოთხრობილია რომელიმე სხვა მახარებლის მიერ.

ჩვენ ვიცით, რომ ლაზარეს გარდა უფალმა იესო ქრისტემ აღადგინა ორი სხვა მიცვალებულიც, როგორც ეს ჩანს მათეს სახარების მე-9 თავში, და ლუკას სახარების მე-7 თავში.[3] ერთი იყო იაროსის ქალიშვილი და მეორე ქვრივი ქალის ძე: ერთი მოხდა კაპერნაუმში, მეორე ქალაქ ნაინში; ერთი იყო 12 წლის, მეორე ასევე ახალგაზრდა ასაკის. ერთი იყო მხოლოდშობილი, მეორეც ასევე დედისერთა; ერთი მოხდა თავის მამის სახლში, ხოლო მეორე ქალაქის შესასვლელში. არცერთ შემთხვევაში - არც მკვდრეთით აღდგენილი გოგოსა და არც ბიჭის შემთხვევაში, ერს არ გამოუჩენია რაიმე განსაკუთრებული რეაგირება, როგორც ეს მოხდა დღეს ლაზარეს აღდგინების შემთხვევაში: არ გამოსულან არც ხის ტოტებითა და ყვავილებით ხელში ქრისტეს შესახვედრად; არც ყრმებსა და არც მოზრდილებს არ უძახებიათ: „ კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანა მაღალთა შინა ღმერთსა“.

ნეტავ, რატომ არსებობს ეს განსხვავება ამ ორი მიცვალებულის აღდგენის ამბავსა და ამ მესამე ამბავს შორის? განა ის ორი შემთხვევაც არ იყო სასწაული, როგორც ეს მესამე? განა ეს ორი მკვდარი და ეს მესამეც იმავე ქრისტემ არ აღადგინა? ნეტავ, რატომ მოჰყვა ლაზარეს აღდგინებას ამხელა სიხარული, პატივი და დიდება, ხოლო იმ ორი მიცვალებულის შემთხვევაში მოხდა მხოლოდ მადლობის შეწირვა უფლისადმი და სხვა არაფერი? ამ სიტყვების საიდუმლოსა და ამ მიცვალებულის ამბავს რომ ჩავწვდეთ, იგი უნდა განვმარტოთ არა მარტო სახარების სიტყვებით, არამედ სახარებისეული აზრითა და სულით.

წმინდა მამები ერთ აზრზე დგანან, როდესაც ამბობენ, რომ პირველი ორი განასახიერებს ცოდვილს ისევე, როგორც ლაზარე, როგორც უკვე ვთქვი. მაგრამ სამივე მიცვალებული არ განასახიერებს მხოლოდ ერთ ცოდვილს, არამედ ცოდვილთა სხვადასხვა სახეებს, რადგან ცოდვილთა სხვა ტიპს განასახიერებს იაიროსის ქალიშვილი, სხვა ტიპს ქვრივის ძე და სულ სხვას ლაზარე. იაიროსის მიცვალებული ქალიშვილი, რომელიც გარდაიცვალა სახლში, განასახიერებს ადამიანს, რომელიც სცოდავს თავისი გონებითა და ნებით, ანუ რომელსაც გააჩნია ცოდვის ნება, მაგრამ ის ცოდვა ვერ გამოავლინა საქმეში: ან იმის გამო, რომ მას არ მიეცა შესაბამისი დრო, ან იმის გამო, რომ მას არ მიეცა საშუალება განეხორციელებინა ის, რაც სურდა. ასევე განასახიერებს იმას, ვინც არცოდნის, გაუფრთხილებლობის, ახალგაზრდული სულისკვეთების, ან ადამიანური ბუნების სისუსტის გამო, მოულოდნელად ებმება ცოდვის მახეში, როგორც ამას განმარტავს ნეტარი თეოფილაქტე. ასევე განასახიერებს იმას, ვინც ნამდვილად შესცოდა, მაგრამ მისი ცოდვა, ვთქვათ ასე, არის დამალული სახლში, არ განცხადდა და არ გახდა ცნობილი ხალხისათვის.

ხოლო ქვრივი ქალის ძე, რომელსაც საკაცით მიასვენებდნენ ქალაქგარეთ, განასახიერებს იმ ადამიანს, რომელმაც ჩაიდინა ცოდვა: დატკბა ნაყროვანებით, ან მრუშობით, ან უკუღმართობით, ან სხვა რამე მსგავსი ცოდვით. განასახიერებს ასევე იმასაც, ვინც პირველ ცოდვას დაამატა მეორე, ღვთის ერთი მცნების დარღვევით არ შეშინდა და დაარღვია მეორეც და მესამეც, თან არა ფარულად როგორც პირველმა, არამედ ურცხვად და უტიფრად შუა ქალაქში ხალხის დაბრკოლებით და თავისი მეზობლებისათვის ზიანის მიყენებით.

მესამე მიცვალებული ანუ ლაზარე განასახიერებს ადამიანს, რომელიც დაბერდა ცოდვაში, მიეჩვია ბოროტებას და არასდროს არ ზრუნავს თავისი სულის ცხონებისთვის, ყოველდღე მრუშობს, სიძვას სჩადის, იპარავს, იტაცებს, არ რცხვენია ადამიანების, არ ეშინია ღმერთის და ყურად არ იღებს სწავლებებსა და რჩევებს. გაჭირვებულები ტირიან მის წინაშე, მაგრამ მას ისინი არ ეცოდება; ისმის ქვრივთა ღაღადისი, რადგან არ ზრუნავს მათზე და არ აღასრულებს მათზე სამართალს; კვნესის მეზობელი, რადგან უსამართლოდ ექცევა და არ უსმენს მას. ეს ცოდვილი არა მხოლოდ დამარხულია ცოდვის საფლავში მეტყველების, სუნთქვის, გრძნობისა და ცხონების იმედის გარეშე, არამედ ლაზარესავით სახვევებით დაბმული აქვს ხელები და ფეხები, ანუ მაგრად არის შეკრული მისი ცოდვებით, როგორც ეს არის ნათქვამი სულიწმინდის მიერ, იგავთა მე-5 თავში: თითოეული იკვრება თავისი ცოდვების ღვედებით ისე, რომ აღარც შეუძლია რაიმე სიკეთისა ან ღვთისთვის სათნო საქმის გაკეთება.

მისი სახე სუდარითაც იყო დაფარული, რადგან დაბრმავებულა თავისი ცოდვების გამო, ვერ აცნობიერებს თავის საცოდავ მდგომარეობას, ვერ ხედავს იმ უფსკრულს, რომელშიც იმყოფება და არ ფიქრობს იმ მარადიულ ტანჯვაზე, რაც მას ელის. წევს და ზემოდან ადევს მძიმე ქვა, რომელიც ბოროტ ჩვევას განასახიერებს. ჩვევა, რომელიც აწვება და ამძიმებს მის სულს, არ აძლევს მას საშუალებას წამოდგეს თავისი დაცემის სამარიდან და არც ამოსუნთქვის საშუალებას.

როგორც მართას უთქვამს ლაზარეს შესახებ: „უფალო, ყარს“, ასევე სრულიად მართებულად, ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი ცოდვილიც ნამდვილად ყარს, რადგან არა მხოლოდ ოთხი დღე, არამედ კვირების, თვეების, წლების და მრავალი ხნის განმავლობაში წევს დამარხული ცოდვის სამარეში. ახლა შეგვიძლია ნათლად დავინახოთ, თუ რატომ მოჰყვა ასეთი დიდი სიხარული ლაზარეს აღდგინებას, რადგან მსგავსი რამ არ მომხდარა პირველი ორი მიცვალებულის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთისათვის ყველაფერია შესაძლებელი, ადამიანური გაგებისათვის უფრო ძნელი და საკვირველი ჩანს ისეთი მიცვალებულის აღდგინება, რომელიც ოთხი დღის განმავლობაში იწვა საფლავში, აყროლებული, როგორც ლაზარე, ვიდრე ისეთი მიცვალებულის აღდგინება, რომელიც მიყავდათ დასამარხად, როგორც ვაჟის შემთხვევაში. ან მიცვალებული, რომელიც რამდენიმე წუთით ადრე გარდაიცვალა, როგორც იაიროსის ქალიშვილის შემთხვევაში. ეს ყველაფერი ასე მოხდა იმისათვის, რომ დაინახოს იმ ცოდვილმა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება გაატარა ცოდვაში, დაბერდა ბოროტებაში, სრულად დაშორდა ღვთის მადლს, გახდა ცოდვების მსახური და ეშმაკის მონა, რაოდენ ძნელია მისი მობრუნება ბოროტი ჩვევის უფსკრულიდან და რომ შეუძლებელია მისი აღდგენა, თუ არა დიდი ღვაწლით, უზომო სინანულითა და ღვთის განსაკუთრებული წყალობით. თუ თქვენ ჩაუღრმავდებით ყველაფერს იმას, რაც ვთქვით, გთხოვთ, დაუფიქრდეთ, რა გააკეთა ქრისტემ, როდესაც აღადგინა ის სამი მიცვალებული და თქვენ მიხვდებით ჭეშმარიტებას.

პირველი მიცვალებულის, იაიროსის ქალიშვილის შემთხვევაში, როგორც მოგვითხრობს მათე მახარობელი, როდესაც მივიდა მასთან მაცხოვარი იესო ქრისტე, არ წარმოთქვა არც ერთი სიტყვა, არამედ ხელით შეეხო მიცვალებული გოგონას ხელს და გოგონაც მაშინვე წამოდგა.

მეორე მიცვალებულის, ანუ ქვრივის ვაჟის შემთხვევაზე მოგვითხრობს ლუკა მახარებელი. შეეხო თუ არა მაცხოვარი მიცვალებულის საკაცეს, უთხრა მას: ჭაბუკო აღსდეგ! და მიცვალებულიც მაშინვე წამოჯდა.

მესამის, ანუ ლაზარეს შემთხვევაში, რას არ ამბობს და რას არ აკეთებს იესო ქრისტე, რომ აღადგინოს ის. წაიკითხეთ იოანეს სახარების მე-11 თავში. პირველად ნათქვამია: „შეძრწუნდა სულითა, ვითარცა რისხვით“; მეორედ მისი ღვთაებრივი თვალებიდან ცრემლები გადმოდინდა: „და ცრემლოოდა იესუცა“;[4] მესამედ: „აღიხილნა თუალნი ზეცად და თქუა: მამაო გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი.“[5] რის შემდეგაც საშინელი ხმით, რომლითაც აღაშფოთა მთელი ჯოჯოხეთი ამოიყვანა ლაზარე სიკვდილის წყვდიადიდან ცხოვრების ნათელზე: „და ესე ვითარცა თქუა, ჴმითა დიდითა ღაღატ-ყო: ლაზარე, გამოვედ გარე!“[6]

ახლა მითხარით, რას განასახიერებს ეს ყველაფერი? რას გვასწავლის ეს განსხვავებულობა, რომლითაც ქრისტემ აღადგინა სამი მკვდარი? პირველს ხელის შეხებით, მეორეს - უბრალო სიტყვით, ხოლო მესამეს - ცრემლებით, ლოცვითა და დიდი ხმით?

ღვთივგანბრძობილი ოქროპირი, წმინდა თეოფილაქტე და წმინდა სახარე-

ბის განმარტებელნი გვეუბნებიან, რომ სიცოცხლისა და სიკვდილის უფალს, მაცხოვარ იესო ქრისტეს, ამით ჩვენთვის უნდა ესწავლებინა, რომ ცოდვილი, რომელიც მკვდარია ღვთის მადლის დაკარგვის გამო, რადგან შესცოდა უყურადღებობითა და ბუნების სისუსტის გამო, შედარებით იოლად აღსდგება, მიატოვებს ცოდვას და მოვა ღვთის მადლის შეხებით სინანულში.

ასევე სხვაც, რომელიც დაშორდა ღვთის სიყვარულს, ორჯერ თუ სამჯერ, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდაა ბოროტებაში, ესეც ღვთის შეწევნით და სახარების სწავლებით თუ არ შეინანებს დღეს, შეინანებს ხვალ, მიატოვებს ბოროტებას და მოუბრუნდება ცხონების გზას.

ხოლო მესამე, რომელიც დაბერდა ცრდვაში და სრულიად მიეჩვია ამა სოფლის ამაოებასა და ბოროტ სურვილებს, მისთვის არ არის იოლი მობრუნება, არამედ რჩება სინანულის გარეშე და კვდება ცოდვაში, როგორც ამას ამბობს დავით წინასწარმეტყველი: „შორსაა ცოდვილთაგან ცხონება“. რადგან მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში არ უძებნია ღვთის გზა და იმისათვის რომ მოვიდეს სინანულში მას სჭირდება დიდი ზეციური დახმარება, ღვთის ცოცხალი სიტყვა, რომელიც სრულად აღადგენს მას ცოდვისაგან, როგორც აღადგინა ლაზარე საფლავიდან.

და რადგან მსგავსი რამ არ ხდება არასდროს, ან ხდება ძალზედ იშვიათად, რადგან ღმერთი არ არის ვალდებული, რომ ვინმეს აცხოვნებდეს ძალით, ამიტომაც, როდესაც ხდება მსგავსი სასწაული, ანუ, როდესაც ცოდვაში დაბერებული მოვა სინანულში, როდესაც ოთხი დღის მკვდარი აღსდგება მკვდრეთით, როდესაც უძღები შვილი დაუბრუნდება მამის სახლს, როდესაც მოიძებნება დაკარგული ცხვარი და დრაქმა, ჭეშმარიტად, ღვთის წყალობის ამ სასწაულს დიდი სიხარული მოაქვს როგორც ზეცაში, ასევე დედამიწაზეც და ამ სიხარულის განსახიერებაა ის სიხარული, რომლითაც შეეგებნენ იესოს იერუსალიმში ლაზარეს აღდგინების შემდეგ. უხარია ღმერთს, უხარია ანგელოზებს, უხარია მთელ ეკლესიას, რადგან მოიპოვა ხელახლა თავისი საყვარელი ძე, რომლის ცხონების იმედიც არ არსებობდა. აი, რაოდენ სირთულეს, ბრძოლასა და დაბრკოლებას გულისხმობს იმ ადამიანის სინანული, რომელიც ცოდვაში დაბერდა.

ჩემო საყვარელნო, ნეტავ თუ შეიძლება ვიფიქრო მე, რომ ჩემს პირმეტყველ სამწყსოში არიან ასეთი გზააბნეული ცხვრები, ასეთი ლაზარეები, ასეთი გულგაქვავებული და სინანულის არ მქონე ცოდვილები? თქვენი დიდი რწმენა არ მაძლევს საშუალებას, რომ მსგავსი რამ ვიფიქრო. მაგრამ თუ ისე მოხდება, რომ ღმერთთან დაშორების გამო, აღმოჩნდება ვინმე ასეთ საცოდავ და სავალალო მდგომარეობაში, დიდი გულის ტკივილით ვეტყვი მას იმავე სიტყვებს, რაც უთხრა ქრისტემ ჰურიებს ლაზარესათვის: „სადა დასდევით იგი?!“ სად დასდევ, ჰოი ცოდვილო, შენი მშვენიერი, საკვირველი და პატიოსანი სული?! სად დამარხე შენი პიროვნების ყველაზე გამორჩეული ნაწილი, ღვთაებრივი ძალის ყველაზე გონიერი ქმნილება, ანგელოზთა საყვარელი მეუღლე?! სად არის ღვთის ხატების მშვენიერება?! სად არის ღვთის მადლის სამკაული?! სად

არის დიდება?! სად არიან საკვირველი საუნჯენი, რომლებიც მზეზე ძლიერად კაშკაშებენ?!

და ასე, ყოველგვარი ზრუნვის გარეშე, მიანდე შენი სული ცოდვას და მან განაბნია ის, როგორც ქარმა მტვერი. მაგრამ როგორ არ გეცოდება შენი თავი? როგორ არ დასტირი შენს უბედურებას? შენ დაგტირის მთელი ეკლესია! ტირიან მართალნი, ტირის შენი სულის მფარველი ანგელოზი, რადგან ცხადად ხედავს შენს დაღუპვას. ხოლო შენ ერთ ცრემლსაც არ ღვრი, არ წუხხარ და არც სინანულში მოდიხარ. ჰოი, ჩემო მკვდარო შვილო, ამ უგრძნობლობის საფლავში დამარხულო, ლაზარევ, გამოვედ გარეთ! გონს მოდი, დაინახე შენი საცოდაობა, დატოვე შენი ბოროტი ჩვევები ცოდვის მიმართ, რომელმაც მოგკლა და დაგაშორა შენს შემქმნელ ღმერთს: „მობრუნდით ჩემსკენ და მეც თქვენსკენ მოვტრიალდები," ამბობს ღმერთი მალაქია წინასწარმეტყველის პირით ყველა ცოდვილის მიმართ![7]

შვილნო ჩემნო, ჭეშმარიტად მოწყალეა ღმერთი და დიდად მომთმენი და ყველა ადამიანის მობრუნება და ცხონება სურს და ამიტომ მიიღო კიდევაც ჯვარი და სიკვდილი. მხოლოდ ერთი რამაა საჭირო, რის გარეშეც შეუძლებელია როდესმე ცოდვილი მოვიდეს სინანულში. ის, რაც არც არის ნაჩვენები ქრისტეს მიერ ლაზარეს აღდგინებაში. მართალია, მაცხოვარს შეეძლო აღედგინა ლაზარე ისე, როგორც იყო ის ჩაკეტილი საფლავში, მაგრამ არ ინება, პირველად ბრძანა, რომ გადაეგორებინათ საფლავის ქვა და მხოლოდ ამის შემდეგ აღადგინა მიცვალებული. მაგრამ, იცით, რატომ გააკეთა ასე? იმიტომ, რომ გაიგოს ყველა ცოდვილმა, თუ მათგან არ გადააგორებენ ბოროტი ჩვევის ქვას, შეუძლებელი იქნება აღდგინება და სინანული. „გადააგორეთ ქვა!" ეს ქვა თავისი გულიდან უნდა აიღოს ვერცხლისმოყვარემ და დააბრუნოს სხვისი ნივთი, არავინ არ შეავიწროვოს და არავინ გაძარცვოს. ხოლო თუ ამას არ იზამს, ვერ აღსდგება.

ეს ქვა უნდა მოიხსნას მრუშობის მოყვარემ, ანუ უნდა მიატოვოს ბოროტი ჩვევა და ხორციელი სურვილი. ხოლო თუ ამას არ იზამს, ვერ აღსდგება. ეს ქვა უნდა გადააგოროს შურიანმა, დამსმენელმა, ამპარტავანმა და ცილისმწამებელმა კაცმა. იგი არ უნდა შეურაცხყოფდეს ცილისწამებებით თავის ძმას, არ უნდა ინახავდეს მტრობას გულში, არ უნდა უსურვოს სხვას ბოროტება და არ უნდა ქედმაღლობდეს სხვათა მიმართ. თუ ამას არ იზამს, ვერც ცხონებას მიიღებს და ვერც აღსდგება ცოდვის საფლავიდან.

მაგრამ, რა უნდა ვთქვა? მე მეშინის, რომ ჩვენ შესახებ იქნება ნათქვამი ისაია წინასწარმეტყველის წიგნის მე-6 თავში გამოთქმული სიტყვა: „გაუსქელდათ გული, ყურებით ძნელად იგებენ და მათი თვალები დახშულია," ეს არის ჩემი შიშის მიზეზი!

როდესაც დავითმა გოლიათთან ბრძოლა გადაწყვიტა, მან არ წაიღო არც ერთი იარაღი გარდა შურდულისა და მდინარიდან აღებული ხუთი ქვისა. და რა მოხდა?! როგორც ნათქვამია წმინდა წერილში, კერძოდ, მეფეთა პირველი წიგნის მე-17 თავში, ისროლა რა პირველივე ნატყორცნი ქვა, დამპყრობელს

შუბლში მოახვედრა, იგი ძირს დაანარცხა და მოკლა. გოლიათი განასახიერებს ცოდვას; დავითი, რომელიც ებრძვის ცოდვას , განასახიერებს სახარების მქადაგებელს; ქვები განასახიერებენ ღვთის სიტყვებს, ხოლო შურდული ღვთის მადლის ძალას.

ამ გოლიათს, ჰოი, რამდენი დავითი, ანუ სახარების რამდენი მქადაგებელი შეებრძოლა სული წმინდის ძალით, ძველად და ჩვენს დროშიც, ცოდვას ესროლეს არა მხოლოდ სახარების ერთი სიტყვა, არა მხოლოდ ერთი ქვა, როგორც ეს გააკეთა დავითმა, არამედ მრავალი და მრავალგვარი სიტყვა და სწავლება.

იმ დროს, როდესაც წმინდა წერილი არ მცონარებს და სახარების ქადაგება არ წყდება, მერე რა? განა დაეცა ამით გოლიათი? განა მოკვდა თქვენში ცოდვა? სად არის თქვენი ცხონების ნიშნები, სად არის ძლევის ნიშნები?

ვიცი, რომ დღეს ყველამ მიიღეთ ეკლესიიდან მცენარეთა მწვანე რტოები, რომლებიც ძლევას განასახიერებენ, ვხედავ, რომ ხელთ გიპყრიათ ისინი; რადგან ამ დღეებში თქვენ დაამარცხეთ თქვენი მტრები, ანუ ეშმაკი და ცოდვა.

მაგრამ, ეს ყველაფერი მართლა ასეა? ღმერთმა ქნას, რომ ეს მართალი იყოს! ჰოი, რა დიდი სიხარული იქნებოდა თქვენს გამო ზეცაში! მაგრამ მე მეშინის, რომ თქვენ ხელთ გიპყრიათ ძლევის ნიშნები, მაგრამ სინამდვილეში გამარჯვებულია ეშმაკი, რადგან ვერ ვხედავ თქვენში სინანულს, ვერ ვხედავ გულწრფელ აღსარებას, ვერ ვხედავ სიკეთეს, რომელიც ახარებს ანგელოზებს და მწუხარებაში აგდებს ეშმაკს.

ჩემო საყვარელო შვილნო! ჯერ კიდევ გაქვთ ცხონებისათვის დრო. თქვენ კიდევ გაქვთ ვნების შვიდეულის მაცხოვნებელი დღეები, რომლის დროსაც თქვენი სულების ცხონებისთვის ძე ღვთისამ დაათხია თავისი წმინდა სისხლი. მაშასადამე, ამ წმინდა დღეებში გამოასწორეთ ის, რაც უდებებისა ან ბოროტის ცდუნების გამო ვერ გააკეთეთ ამ წმინდა მარხვის განმავლობაში, მიატოვეთ მტაცებლობა, მიატოვეთ სხვების შევიწროვება, მტრობა, ცილისწამება და მრუშობა.

წინასწარმეტყველი იონა, როდესაც ნინევიელებს უქადაგებდა სინანულს ეუბნებოდა: „სამი დღეღა და ნინევია განადგურდება“. ასევე დღეს, მეც გეუბნებით თქვენ: „სამი დღეღა დარჩა“: ორშაბათი, სამშაბათი და ოთხშაბათი; ვინც ამ სამ დღეში არ შეინანებს და არ იტყვის აღსარებას ქრისტიანულად, სინანულითა და გულის შემუსვრით და ვნების ხუთშაბათს არ ეზიარება ქრისტეს წმინდა სისხლსა და ხორცს, ჭეშმარიტად, ასეთი ადამიანისთვის ძალზედ მცირედი იქნება ცხონების იმედი.

თითოეულმა დიდი ყურადღებით იფიქროს იმაზე, რაც ვთქვი და ღმერთმა გაანათლოს თითოეულის გონება, რომ შეასრულოთ ყველაფერი, რაც აუცილებელია თქვენი სულების საცხოვნებლად.

კომენტარები:

[1] ქადაგება ეხება ბრალის ფენომენოლოგიას. ავტორი სიღრმისეულად აღწერს, რომ

მისი გამოვლინების განსხვავებული ხასიათი განსაზღვრავს მიზღვევის განსხვავებულ ხასიათს. ერთი ღვთის ერთი მცნების დარღვევით არ შეშინდა და დაარღვია მეორეც და მესამეც, თან არა ფარულად როგორც პირველმა, არამედ ურცხვად და უტიფრად შუა ქალაქში ხალხის დაბრკოლებით და თავისი მეზობლისათვის ზიანის ხოლო „მესამე, ლაზარე, რომელიც დაბერდა ცოდვაში და სრულიად მიეჩვია ამა სოფლის ამაოებასა და ბოროტ სურვილებს, მისთვის არ არის იოლი მობრუნება, არამედ რჩება სინანულის გარეშე და კვდება ცოდვაში." ლაზარეს არც კი უცდია და ,რაც მთავარია, არც კი მოინანია-მთელი თავისებურება ამაშია.

ქადაგებაში ანთიმი მორწმუნეს მოუწოდებს მუდამ ეძიოს ხსნა და ცოდვებისაგან გათავისუფლება, სინანულის მადლი მომკას. მკვდრეთით აღდგენის ამ სამ შემთხვევაში ადამიანებს აჩვენა ის ღვთაებრივი ძალისხმევა, რაც აუცილებელი ხდება ცოდვილის სულის გამოხსნისათვის, რათა ადამიანი გააფრთხილოს მოსალოდნელი სამსჯავროს მძიმე ხასიათის შესახებ. ბრალის ხასიათი და ბრალეულობის დონე გავლენას ახდენს სულის ხსნის საქმეზე. ლაზარეს მაგალითზე უჩვენა, რომ ყველაზე მძიმე ცოდვილის სულის ხსნაც შესაძლებელია ღმერთისათვის, რაც არის იმედი ცოდვილთათვის. რამდენი ძალისხმევა დასჭირდა. ღმერთის მიერ სულის ხსნას, რაც არ არის უბრალო საქმე. მაგრამ ამავე დროს უჩვენა, რომ ამ ხსნისას არ არის სასიკვდილო ავადმყოფობა, ამბობს იესო ლაზარეზე. ანთიმი მიანიშნებს ბრალისა და სინანულის აუცილებელ კავშირზე ქრისტიანის ცხოვრებაში.

[2] წმ. ანთიმოზი ლაზარეს სახით წარმოგვიდგენს ადამიანს, ყოველი ცოდვით დამძიმებულს, რომელიც ყარს ცოდვებისაგან.

მაცხოვარმა ეს კანონი განგვიწესა: "ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა" (მათე. 5,3)

როგორც იოანე ოქროპირი აღნიშნავს, ჩვენი დამორჩილება და განკრძალვა ისე არაფერს შეუძლია, როგორც სიმდაბლეს, ანუ როდესაც თავმდაბლობას ვიმარხავთ, მშვიდად ვართ და საკუთარ თავზე ოცნებით არასოდეს ვიზრახვით.

უდიდესი სიხარულის მატარებელია ლაზარეს აღდგინება, რაც არ მომხდარა სხვა მიცვალებულთა აღდგინებაში. ეს არის ნუგეშის ფენომენის შემოსვლა ადამიანში. რაც ადამიანისათვის შეუძლებელია, უფლისათვის შესაძლებელია. ეს სიხარული სუფევს იმ დიდებულ დღეს იერუსალიმში. აქ ხდება საოცარი ძალმოსილების გამოვლინება ღვთაებრივი მოძღვრისა.

[3] ეს სიუჟეტი აღწერილია ლუკას სახარების 7.14 და მათეს სახარების 28.20

იოანე. 11: 33, 35

ავტორი საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს იონ.11,41

[6] იონ. 11;43

ეკლესია თვლის, რომ ადამიანი ვერ დაძლევს ცოდვილ ვნებებს დამოუკიდებლად, ღვთის დახმარების გარეშე, რადგან ჩემს გარეშე ვერაფრის გაკეთებას ვერ შეძლებთ. (იოანე15,5) მაგრამ მორწმუნემ თავისი სინანულით უნდა აჩვენოს ღმერთს, რომ მზად არის და სურს ცოდვებისაგან გათავისუფლება.

ქადაგება № 23

ქადაგება უფალის იესო ქრისტეს ფერისცვალებაზე[1]

„და აჰა ჴმაჲ იყო ღრუბლით გამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ.“.[2]

დედამიწას ჯერ არ უნახავს უფრო დიდებული რამ, ვიდრე ის, რაც დღეს მოხდა, არც ხილულ სამყაროს უნახავს ამაზე დიდი და ნათელი სასწაული. ზესა და სიტყვას ღვთისას, რომელმაც მოახდინა უთვალავი ნიშანი და სასწაული, არ გაუკეთებია უფრო დიდი სასწაული, ვიდრე ეს: თაბორის მთის მწვერვალზე ინება მოციქულებისთვის ეჩვენებინა თავისი ღვთაებრიობის ზენათელი დიდება. ამიტომაც ერთ წამში შეიცვალა თავისი სახე და ხატი ისეთნაირად, როგორიც ის იყო უწინარეს ყოველთა საუკუნეთა შემკული ზეციური მთელი მშვენებით და გაბრწყინებული ღვთიურობის მთელი ნათელით. სხივები, რომელნიც გამოედინებოდნენ მისი ღვთაებრივი სახიდან ამარცხებდნენ მზის ნათელს და მისი სამოსის სიქათქათე იყო გაცილებით დიდი, ვიდრე სინათლის ბრჭყვიალება.[3] წინასწარმეტყველთა შორის გამორჩეულნი მოსე და ილია და მოციქულთა შორის დიდებულნი: პეტრე, იაკობ და იოანე ამ საწაული ამბის მოწმენი იყვნენ. ნათელი ღრუბლის სახით, რომელმაც მთა და მოციქულები მთელიანად დაფარა, თაბორზე განცხადებული იყო სული წმინდა; მაგრამ, რათა ყველას გაეგო, რომ ამ დიდებულ მოვლენაში განცხადდა სრულად წმინდა სამება, დაუსაბამო მამამ თავისი იქ ყოფნა დაამოწმა მოციქულების მიმართ ნათქვამი სიტყვებით: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, მისი ისმინეთ“.[4]

ჰოი, ნეტარნო მოციქულთა თვალებო, რომელნიც ღირს იქმენით ამ საოცარი სილამაზის დიდების ხედვისა! რა საიდუმლოები არ ცხადდება ამ დიდებულ საქმეში და რა სულიერ და მაცხოვნებელ სწავლებებს არ გვიცხადებს მაცხოვრის ასეთი გამშვენება! ადამიანის ცნობიერება ვერ მისწვდება ამას და არც ანგელოზებრივ გონებას შეუძლია მისი დატევა.

ამიტომ მეც, რაკი ვიცნობ ჩემს უღირსობას და ცოდნის სიმცირეს, ვერ ვბედავ შევიდე ამ სასწაულის სიღრმეში და რამეთუ ვძრწი ამ ღვთაებრივი სილამაზის მიმართ, თავმოდრეკითა და მდაბალი დუმილით ვბედავ და მცირე სწავლებით მოგმართავთ თქვენ, რომელიც ვფიქრობ, იქნება ძალზედ სასარგებლოა თქვენი სულების ცხონებისათვის და ამიტომაც გთხოვთ, მომისმინეთ სიყვარულით.

ვუყურებ ამ ღვთაებრივ და შიშის მომგვრელ სილამაზეს, როდესაც უჟამო მამამ ზეციდან ცოცხალი ხმით დაამოწმა, რომ ეს გამშვენებული იესო, არის მისი საყვარელი ძე.[5] იქ მყოფი მოციქულებისათვის სხვა არა უსწავლებია რა, მხოლოდ ეს: „მისი ისმინეთ!“ არ უთხრა მათ: ადიდეთ ჩემი ძეო, არც ადიდეთ საქმენი მისნიო, არც მისი სახელით იქადაგეთო, არც მისი სწავლებით განცვი-

ფრდითო, ნურც სიცოცხლეს გაწირავთ მისთვისო, არც ტანჯვა, გაჭირვებანი და მწუხარებანი დაითმინეთ მისთვისო და არც სხვა მსგავსი რამ, არამედ თქვა, რომ მხოლოდ ისმინონ, იქონიონ მორჩილება და საკუთარი ნება მის მხოლოდშობილი ძის ნებას დაუმორჩილონ - „მისი ისმინეთ!“

როდესაც გამოვიძიე ამის მიზეზი, დავინახე, რომ წმიდა წერილის ძველ და ახალ აღთქმაში და ასევე წმინდა მამების სწავლებაში, ეს მცნება არის ძალზედ საიდუმლო და ღრმა. და შეუძლებელი იყო, რომ მოციქულთათვის მიეცა სულისთვის სასარგებლო და ცხონებისთვის აუცილებელი სხვა უფრო დიდი მცნება, ვიდრე ეს - მორჩილება![6]

მიზეზი არის ის, რომ, ვისაც მორჩილება აქვს, მას აქვს ყველა ნიჭი, მადლი და სათნოება; ის არის გონებით სრული, მომთმენი, თავმდაბალი და კეთილი, მიმტევებელი, სტუმართმოყვარე, პატიოსანი, მშვიდი და მოკლედ რომ ვთქვათ, ის არის ყველა სათნოების ნავთსაყუდელი და ყველა ნიჭის ჭურჭელი. და ეს ყველაფერი რომ სიმართლეა, ამას გვიმტკიცებს წმიდა სახარება.

წმინდა იოანე მახარობელი მოგვითხრობს თავისი სახარების I თავში, როდესაც იოანე ნათლისმცემელმა დაინახა მისკენ მიმავალი იესო ქრისტე, მადლით აღვსებულმა ყველას მიმართ სიხარულით დაიწყო მოწმობა: “და მიჰხედა იესუს, ვიდოდა რაჲ იგი, და თქუა: აჰა, ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“.[7] იოანეს ეს სიტყვები ეკლესიის ყველა მოძღვრის გაკვირვებას იწვევს.

იმ დროს, როდესაც კაცობრიობაში იმდენი ცოდვა იყო, რომელიც უნდა წარეხოცა ძეს ღვთისას, ნეტავ, რატომ არ თქვა: რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი, არამედ თქვა მხოლობით რიცხვში: „ცოდვას სოფლისას“.[8] და როდესაც ამბობს „ცოდვას“, გაუგებარია: ქრისტეს უნდა წარეხოცა მხოლოდ ერთი, რომელიღაცა ცოდვა და დანარჩენი დაეტოვებინა?

წმინდა თეოფილაქტე[9] განმარტავს სახარების ამ ადგილს: სოფლის ცოდვა, რომელიც წარხოცა უფალმა, არის ურჩობა. წარხოცა იმით, რომ თვითონ გახდა მორჩილი სიკვდილამდე. იოანემ დაარქვა მას სოფლის ცოდვა - ისე თითქოსდა სხვა უფრო დიდი ცოდვა არ არსებობდეს ამ სოფელში, ვიდრე ურჩობა. და თქვა: ცოდვა და არა ცოდვები, რადგან ერთი ურჩობა მოიცავს ყველა სხვა ცოდვას.

ამიტომაც, როცა ითქმება, რომ უფალმა წარხოცა ეს ერთი ცოდვა, იგულისხმება, რომ მასთან ერთად წარხოცა ყველა დანარჩენი და როგორც ამბობს წმინდა თეოფილაქტე: ურჩობა მისი საპირისპიროთი იყო განკურნებული, ანუ სოფლის ურჩობა დაიძლია ქრისტეს მორჩილებით. აქედან ძალიან ნათლად ჩანს, რომ ურჩობა არის ყველა ცოდვის დასაწყისი და ფესვი. და ამავდროულად მორჩილება არის ყველა სათნოების წყარო და დედა. ამიტომაც მამა ღმერთმა, ფერისცვალების დროს, სრული სამართლით მოციქულებს მისცა მორჩილების ეს მცნება. რადგან მასში მოქცეულია ყველა სათნოება და ნიჭი.

ჩემი სიტყვები მტკიცდება, უფლის, იესო ქრისტეს, ხორციელი ძმის, იაკობის მიერ ეპისტოლეს მეორე თავში ნათქვამი სიტყვებით, რომელიც ეხება აბრაამის მიერ თვისი ძის, ისააკის, მსხვერპლშეწირვას, მოციქული ამ მსხვერპლს ახსენებს მრავლობით რიცხვში, მაგრამ მსხვერპლი იყო ერთი და არა რამდენიმე. ანუ შესანირი იყო ერთი და არა მრავალი. ამიტომაც ნესით უნდა ეთქვა მხოლობით რიცხვში და არა მრავლობითში. ამის საიდუმლო მდგომარეობს შემდეგში - მსხვერპლი, რომელსაც სწირავდა აბრაამი, იყო მორჩილება და რადგან მორჩილება მოიცავს ყველა სათნოებას, შესაბამისად მოიცავს ყველა კეთილ საქმეს. ამიტომაც იაკობ მოციქულმა თქვა, რომ აბრაამი „საქმეთაგან განმართლდა“ და არა საქმითო, რადგან ღვთის წინაშე მისი მორჩილება შეირაცხა არა როგორც ერთი, არამედ როგორც მრავალი კეთილი საქმე. ასეთია დიდი და საკვირველი მორჩილების სათნოება.

ამიტომაც მეფეთა პირველი წიგნის მე-15 თავში სული წმინდა ამბობს: „უკეთესია მორჩილება, ვიდრე მსხვერპლი“. ანუ ღმერთისთვის მეტად სათნოა მორჩილება, ვიდრე მსხვერპლი, რადგან, ვინც სწირავს მსხვერპლს, ღმერთს სწირავს უცხო საგანს, ხოლო მორჩილება გულისხმობს, რომ ადამიანი ღმერთს საკუთარ ნებასა და თავისუფლებას უძღვნის. ამიტომ ღმერთისათვის მორჩილებაზე მეტად სხვა რაგვარი მსხვერპლი შეიძლება იყოს უფრო მოსაწონი? და ამიტომაც წმინდა ეფრემი, მორჩილების შესახებ ქადაგებაში ამბობს: მორჩილებას შეუძლია ბევრად უფრო მეტი, ვიდრე სხვა დანარჩენ სათნოებასო, რაშიც გვარწმუნებს წმინდა წერილის როგორც ძველი, ისევე ახალი აღთქმაც, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ღვთის მორჩილებმა მოიხვეჭეს განსაკუთრებული საზღაური.[10]

ღმერთმა ნოეს დაავალა კიდობნის გაკეთება და ნოემ ააშენა ის ყველანაირი ამაო და ბოროტი ეჭვების გარეშე.

აბრაამს უბრძანა: „გამოვედ შენი მიწიდან და შენი ნათესავებიდან და წარვედ მიწად, რომელსაც მიგითითებ.“ და აბრაამმა შეასრულა ეს ბრძანება, ასევე, ყოველგვარი ეჭვის გარეშე. მეორედ ისევ აბრაამს უბრძანა, რომ დაეკლა საკუთარი ძე - ისააკი; და მან არა მწუხარებით, არამედ სიხარულით მიიღო ეს ბრძანება.

ისააკს მიეცა დიდი წყალობა, რადგან დამორჩილდა და სიყვარულით დათანხმდა, რომ შეწირულიყო ღმერთისთვის და არ შეშინდა.

მოსეს მიეცა ბრძანება, რომ წასულიყო ეგვიპტეში ეგვიპტელთა მონობიდან ისრაელი ერის გამოსახსნელად. და მიუხედავად იმისა, რომ იყო ენაბლუ და ხედავდა ბევრ დამაბრკოლებელ სიძნელეს, კერძოდ მას ელოდა ტირანი და გულით მრისხანე ფარაონი, მაინც არ შეშინდა.

ქრისტეს მიერ პეტრეს ებრძანა გაევლო წყალზე და მიუხედავად იმისა, რომ ეს შეუძლებელი რამაა, იგი უსიტყვოდ დაემორჩილა ბრძანებას.

პავლემ, ხილვისგან გამოწვეული შიშის გამო, როდესაც ცხენიდან გზაზე გადმოვარდა, თქვა: „უფალო, რას მიბრძანებ, რომ გავაკეთო?“ და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დამორჩილდა იმას, რაც მას უთხრა ხმამ.

და ყველა მათ, ვინც ზემოთ ვახსენეთ, მათი მორჩილების გამო, ღვთისგან მიიღეს დიდება, ქება და პატივი: ნოე გახდა კაცობრიობის მხსნელი, აბრაამი - მრავალი ერის მამა; ისააკი - გახდა ძე კურთხევისა და ქრისტეს წინა სახე; მოსე - ისრაელის წინამძღოლი და ღმერთის მიერ შეყვარებული; პეტრე იქცა მოციქულთა თავად, რომელსაც ჩაბარდა ცათა სასუფევლის გასაღები; პავლე გახდა წარმართთა მოძღვარი, გამორჩეული ჭურჭელი და ზეციურ სათნოებათა მჭვრეტელი.

და არა მხოლოდ ესენი, არამედ ძველი თუ ახალი აღთქმის ყველა ის, ვინაც დაემორჩილა ღმერთს, გახდა მადლის ძე და ანგელოზებთან ერთად ხარობს ცათა სასუფეველში.

ახლა ჩვენი ცხონებისთვის ასეთ აუცილებელ და საჭირო მცნებას, რომელი ჩვენგანი იცავს? მართალია, ჩვენ ყოველდღე: ლოცვის დროს, შეკრების, საუბრის, თითოეული საქმის კეთებისას ვახსენებთ ღმერთს და ვუწოდებთ მას უფალს. მაგრამ თუ ვუწოდებთ მას უფალს, სადღაა მაშინ ჩვენი მორჩილება, რომელიც გვევალება, როგორც მონებს ბატონის მიმართ? მსახური ასრულებს თავისი ბატონის ნებას, ხოლო ჩვენ განა ვაკეთებთ რაც გვევალება? რომელ მცნებებს ვიცავთ? რა სიყვარულსა და პატივს მივაგებთ მას? თავად ღმერთი, მალაქია წინასწარმეტყველის პირით წიგნის პირველ თავში, ამბობს: „თუ ვარ მე უფალი, სადაა ჩემს მიმართ შიში? რომელია თქვენს შორის, ვისაც ეშინის ჩემი, თაყვანს მცემს, და რცხვენია ჩემი?“

„არავინ არს მიერთამდე“ – ამბობს დავით წინასწარმეტყველი მე–3 ფსალმუნში[11] – „ყოველთავე მიაქციეს, ერთბამადუხმარ იქმნნეს, არა ვინ არს, რომელმანცა ჰქმნა სიტკბოება, არა ვინ არს მიერთამდე“.

ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ არც ჩვენი შვილები და არც ჩვენი მოსამსახურეები არ გვემორჩილებიან და ვერც ჩვენს ვნებებს ვიმორჩილებთ, რომლებიც ებრძვიან ჩვენს სულებს, და ყველაფერი ეს ღმერთის სამართლიანი სასჯელია ჩვენ ზედა.

სამართლიანად ამბობს ჩვენზე პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეს პირველი თავის 29-ე მუხლში, რომ ვართ „აღსავსენი ყოვლითა სიცრუითა, სიძვითა, უკეთურებითა, ანგაჰრებითა, ბოროტებითა, სავსე შურითა, კაცის–კვლითა, ხდომითა, ზაკუვითა, ბოროტის ჩუეულებითა, ცუნდრუკებითა, ძვირის–მეტყუელ, ღმრთის შემაწუხებელ, მაგინებელ, ამპარტავან, ლაღ, მომპოვნებელ ბოროტისა, მამა–დედათა ურჩ“, მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ ვართ ამასოფლის, ხორცისა და ეშმაკის მონები, რადგან შევიცანით რა ჭეშმარიტი ღმერთი, არ ვემორჩილებით მას, როგორც უფალსა და მბრძანე-

ბელს. და რადგან ეს სიმართლეა, მოვიდეთ გონს და დავამტკიცოთ ღვთის მიმართ ჩვენი სიყვარული და რწმენა. ამინ!

კომენტარები:

ავტორი პირველად არ ჩერდება ამ თემაზე. მოცემულ ქადაგებაში იგი განსაკუთრებულად ჩერდება იმ თემაზე, რომ ფერისცვალების სასწაული არის ადამიანთა გარდაცვალების და მეორედ მოსვლისას მკვდრეთით აღდგომის იმედის საფუძველი და არა სიკვდილისა და გაქრობისა.

[2] მათე 17.5. წმინდა ანთიმოზის ეს არცთუ დიდი ქადაგება უნდა ჩაითვალოს თეოლოგიური მჭევრმეტყველების კლასიკურ ნიმუშად. აქ გახსნილია თაბორის მთის საიდუმლოს ზენათელი დიდება. პირველად აქ გვხვდება დამოწმება, რომ იესო არის ძე და ადამიანების ცოდვისაგან დახსნის ერთადერთი გზა: „მისი ისმინეთ." რას ნიშნავს "მისი ისმინეთ?"- ეს ქადაგება მთლიანად ეძღვნება ამ თემის გახსნას ანთიმის მიერ შექმნილი სქემით.

[3] ანთიმი ამ პასაჟში ხაზს უსვავს, რომ ფერისცვალება არის არა მხოლოდ ქრისტეს ღვთიური ბუნების კიდევ ერთი მოწმობა, არამედ ასევე ღმერთის გამოვლინების ახალი ფორმების ჩვენება, რომელიც გამოვლინდა ღვთაებრივი ნისლის და ადამიანისათვის დამაბრმავებელი სინათლის სახით.

ფერისცვალების სასწაულისას მამა ღმერთი ადამიანს მოუწოდებს „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, მისი ისმინეთ". აქ არის ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების შეჯამება. ეს იყო დადასტურება წმინდა სამების მთლიანობისა. ვინც მე მისმენს, მამას უსმენს.

[5] პირველად ღმერთმა ქრისტეს შვილობა იოანე ნათლისმცემელთან დაადასტურა , ეს მოხდა ქრისტეს წყლით ნათლისღების დროს. „მე ვიხილე ციდან მტრედივით გარდმომავალი სული და დაივანა მასზე საფუძველი/"(იოანე 1,32) მათე 4,16 „ აჰა ხმა ციდან მეტყველი: ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე."(მარკოსი 1.11), (ლუკა 3,22), (იოანე 5, 37), პეტრე 1.17), (კოლ.1.13)რატომ გახდა საჭირო კიდევ ერთხელ დადასტურებულიყო ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება?

ფერისცვალება არის ქრისტეს ღვთიური ბუნების კიდევ ერთი დადასტურება მისი მოწაფეების წინაშე, რომ ისინი განმტკიცდნენ და უიმედობასა და ურწმუნობაში არ ჩავარდნენ ჯვარცმის სასწაულის განცდისას.

[6] ავტორი ხსნის ქრისტიანული ღვთისმეტყველების საკვანძო ცნებას-მორჩილებას და მის საპირისპირო-ურჩობას. განხორციელებულია მათი შედარებითი ფენომენოლოგიური ანალიზი: ურჩობა მოიცავს ყველა სოფლის ცოდვას. ურჩობას ამარცხებს ქრისტე მორჩილი სიკვდილით, რაზეც მიუთითებს წმ. თეოფილაქტე. მორჩილების ნიმუშია: აბრაამი, რომელიც ეჭვის გარეშე ბრძანების შემსრულებელია. არათუ შემსრულებელი, არამედ სიხარულით მიმღებია ყოველივესი. ისააკის მორჩილება სიყვარულით - რაც შიშის დამძლევია. პეტრეს მორჩილება-გავედით წყალზე - შეუძლებლის დამორჩილებაა. პავლეს მორჩილება: უფალი რასაც მიბრძანებს, რომ გავაკეთო. ყველანი მორჩილებით იღებენ დიდებას.

ჩვენ ადამიანებს მორჩილება არ ძალგვიძს. ჩვენი ცოდვების სასჯელი ჩვენს თავშია. მთელი ქადაგება ეძღვნება იმას, თუ როგორ გავხდეთ მორჩილნი.

იოანე.1.36

[8] ქართული ტექსტისგან განსხვავებით სახარების მოყვანილი ციტატის (იოანე 1: 29) ბერძნულ დედანში და შესაბამისად რუმინულ თარგმანში ფრაზა „ცოდვანი სოფლისანი" წერია მხოლობით რიცხვში „ცოდვას სოფლისას": ბერძნულად – „τήν αμαρτίαν τού κόσμου"; რუმინულად – „păcatul lumii".

[9] იგულისხმება დიდი ბიზანტიელი ღვთისმეტყველი, სახარების ცნობილი განმმარტებელი ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი (XI საუკუნის ბოლო XII საუკუნის დასაწყისი). ანთიმი ეთანხმება წმინდა თეოფილაქტეს, რომელიც განმარტავს სახარების ამ ადგილს, ამბობს სოფლის ცოდვა, რომელიც წარხოცა უფალმა არის ურჩობა. წარხოცა იმით, რომ თვითონ გახდა მორჩილი სიკვდილამდე. ფერისცვალებამ უჩვენა ქრისტეს ღვთიური ბუნება და მით უფრო ცხადი ხდება ქრისტეს მორჩილების უსაზღვროება, რომელიც მხოლოდ გეთსიმანიის ღამის მუდარაში გაცხადდება: „მაგრამ არა როგორც მე მსურს, არამედ როგორც შენ." (მათე 26,39), (იოანე 5.30),(ფილი.2.8), (ებრ. 5,7-8). ეს იყო ღმერთის ჭეშმარიტი რწმენისა, ნდობისა და იმედის მაგალითი.

[10] ანთიმოზი მიანიშნებს, რომ მორჩილების მცნება არის საიდუმლო. შეუძლებელია მაცხოვარს მოციქულთათვის მიეცა სულისათვის სასარგებლო და ცხონებისთვის აუცილებელი სხვა უფრო დიდი მცნება, ვიდრე - მორჩილება! მორჩილებაში იხსნება ქრისტიანობისა და ქრისტიანის არსი. ამ სივრცეში იგი არ გულისხმობს მონურ მორჩილებას ბატონისადმი, არამედ წარმოადგენს მზადყოფნას დაჰყვეს მზრუნველი მამის სიტყვას. ამაში იხსნება რწმენის იდუმალება, ის რაზეც საუბრობს კირკეგორი და რასაც აბრაამის რწმენას უწოდებს.

[11] სინამდვილეში არის მე–13 ფსალმუნის მე–3 მუხლი.

ქადაგება № 24

ქადაგება მიწისძვრაზე 26 ოქტომბერს, წმინდა დიდმოწამის და მირონმდინარის დიმიტრის ხსენების დღეს

„უფალო, მიხსნენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმდებით“ [1]

ქებისა და გალობის გარდა, სხვას რას უნდა ველოდოთ ქრისტიანული დღესასწაულების მოყვარულებისაგან წმინდა დიდმოწამე დიმიტრის ხსენებისას, რომელიც მთელს მსოფლიოში დღეს აღესრულება, მაგრამ მე, უღირსი და მცირედ მცოდნე, ვერ ვბედავ ქების გვირგვინების დაწნას და მისი სასწაულების შესახებ იმგვარად საუბარს, როგორც მას შეჰფერის. რადგან სხვაგვარ სწავლებას ითხოვს მისი მოწამეობრივი ბრძოლები და სხვას მისი ბრწყინვალე ღვაწლი.

ამიტომაც სხვებს მივანდობ მისი დიდებული საქმეების განდიდებას, დაე, სხვებმა ისაუბრონ მისი ზებუნებრივი სიმამაცის შესახებ, სხვებმა იქადაგონ მისი მოთმინების შესახებ, თუ როგორ დაითმინა ჭრილობები და შეხვდა სიკვდილს. ხოლო მე არა მჭევრმეტყველი, წმინდა დიმიტრის საქმეებით გაკვირვებული, ვცდილობ დუმილით თაყვანის ვსცე მის სიდიდეს, მაგრამ ღვთის შიშით მაინც წარმოვთქვამ დასაწყისში თქმულ სიტყვებს: „უფალო, მიხსნენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმდებით“.

მსურს გიჩვენოთ, თუ რა განსაცდელში ჩაცვივდნენ შუა ზღვაში ნავში მყოფი მოციქულები, და როგორ დაუყოვნებლივ მიიღეს ხსნა მაცხოვარი იესო ქრისტესგან. იმედი მაქვს წმინდა დიმიტრის მეოხებით გასარგებლებთ სულიერად. ამიტომაც გთხოვთ, მომისმინოთ სიყვარულითა და ყურადღებით.

ვფიქრობ, ნამდვილად საშინელი იქნებოდა ზღვის ღელვა იმ დღეს, რადგან სახარებაც ამბობს, რომ ის დიდი იყო: „და აჰა ესერა აღძრვაი იყო დიდი ზღუასა შინა“.[2]

ცხადად წარმომიდგენია ის ზღვა, როგორ ქროდა ყველა მხრიდან ქარი, როგორ გროვდებოდნენ შავი და ხშირი ღრუბლები, მთელი ზღვა ივსებოდა მრისხანების ქაფით და ყველა მხრიდან მთასავით მაღალი ტალღები მოემართებოდა მათკენ. თითქოსდა ცხადად ვხედავ, როგორ გაშმაგებული ებრძვის ზღვის ღელვას მოციქულთა ნავი: ერთის მხრივ, მას ეხეთქებოდნენ ტალღები, ხოლო, მეორეს მხრივ, ქარი, ერთის მხრივ, მაღლდებოდა ცამდე, მეორეს მხრივ, ეცემოდა ჯოჯოხეთამდე. თითქოსდა ცხადად ვხედავ მოციქულთა სახეებზე გამოხატულ სიკვდილის შიშს: ერთი კანკალებს, მეორე ღელავს, მესამე შიშითაა შეპყრობილი, სხვა ყვირის, ამავდროულად ყველა ოხვრითა და ცრემლით, და ლოცვით ითხოვს ქრისტესაგან შველას, რომელსაც ამ დროს სძინავს: „უფალო, მიხსნენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმდებით“.[3]

ხოლო მე არ მიკვირს, არც ზღვის მღელვარების, რადგან ასეთია მისი, როგორც არამდგრადი სტიქიის მუდმივი ბუნება - ხან წყნარია, ხან კი მღელვა-

რე. არც მოციქულების შიშისა მიკვირს, რადგან გაჭირვება ყოველთვის იწვევს ადამიანებში მღელვარებასა და შიშს. მე მიკვირს იმისა, რაც მოხდა შემდეგ: მივიდნენ რა მაცხოვართან მოციქულები და შეევედრნენ, იმავე წამს მიიღეს კიდევაც დახმარება, „და იქმნა მეყსეულად დაყუდება დიდ,“[4] ნათქვამია სახარებაში.

იმავე წამს დამშვიდდნენ ტალღები, გაქრა სიბნელე, გაიფანტა ღრუბელი, დამშვიდდა ზღვა და მთელმა, უვნებელმა ნავმა მიაღწია ნაპირს.

როდესაც ვიძიებდი ამ სასწაულის სწრაფი აღსრულების მიზეზს, სახარების განმარტებებიდან გასაგები ხდება, რომ ეს იყო მოციქულების მიერ ერთი სულითა და ერთი ხმით ნათქვამი ლოცვა; ყველამ ერთდროულად ღაღადჰყო, ყველამ შეევედრა და ყველამ ერთდროულად სთხოვა დახმარება: „უფალო, მიხსნენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმდებით“! ამიტომაც უფალმა იმ წუთშივე, როგორც კი მოისმინა მათი ლოცვა, დაიცვა და გადაარჩინა ისინი, არც ერთი არ მიატოვა ზღვის ღელვაში დასაღუპად.

ამიტომაც ამბობს წმიდა თეოფილაქტეც: „ეძინა უფალს იმისთვის, რომ მისულიყვნენ მასთან დახმარების სათხოვნელად შეშინებული მოციქულები, და მათი ერთობლივი ლოცვის პასუხად გადაერჩინა ისინი განსაცდელისაგან“. ნამდვილად, დიდ მაგალითს ვიღებთ ჩვენ ამ ამბიდან, რათა ჩვენც ვილოცოთ და ვთხოვოთ ხოლმე ღმერთს დახმარება ჩვენი საერთო განსაცდელის ჟამს.

წუთისოფელის მღელვარებაში ადამიანებს არასდროს აქვთ არც სიმშვიდე, არც მოსვენება. ზღვის ტალღებში მცურავი ნავები არის სამეფოები, მხარეები, საუფლონი, ქალაქები, ხალხთა სიმრავლე, სახელმწიფოები, ქვეშევრდომნი, მდიდრები, ღარიბები, დიდნი და მცირენი, რომლებიც მოგზაურობენ ზღვაში და განსაცდელში იმყოფებიან.

დიდი ქარიშხალი, რომელიც აზვირთებს ზღვას, იმ განსაცდელებს განასახიერებს, რომლებიც მუდმივად გვაწუხებენ.

ტალღები, რომლებიც ნავს ეკვეთებიან, იმ განსაცდელებებსა და უბედურებებს, რომლებიც ყოველდღიურად გვემართება.

ღრუბლები, რომლებიც ცას აბნელებენ, ელვანი, რომლებიც თვალებს აბრმავებენ, ქუხილი, რომელიც მამაც გულებსაც კი აფრთხობს, განასახიერებენ სხვადასხვაგვარ შემთხვევებს: მოულოდნელ ხიფათს, მტერთა მიერ დაგებულ საფრთხეებს, სხვა ადამიანების გამო ასობით გამოწვეულ მწუხარებას; ყაჩაღობებს, ტყვეობებს, მძიმე და აუტანელ გადასახადებს, რომლებსაც ღმერთი უშვებს, რომ დაინახოს ჩვენი რწმენა და მოთმინება.

მაგრამ, ღმერთმა თავისი ხალხი, რომ იხსნას და გადაარჩინოს ამ მძიმე განსაცდლებისაგან, ნეტავ, რა უნდა გაკეთდეს ამისთვის? ამას გვასწავლის ისრაიტელი ერის მაგალითი, როდესაც მას უდაბნოში ავიწროებდა ქანაანის ჯარი და არადის მეფე[5]; მაგალითს გვაძლევენ ბეთულიას მცხოვრებლები[6], როდესაც მათ ქალაქს ალყა შემოარტყა ოლომფორნეს მრისხანე მხედრობამ; მაგალითს გვაძლევს ეზრა, როდესაც ბაბილონის ტყვეობიდან ისრაელის გა-

თავისუფლებულ ერთან ერთად ბრუნდებოდა იერუსალიმში; მაგალითს გვაძლევენ ნინევიელნი, რომლებიც, იონა წინასწარმეტყველის მიერ გაფრთხილებულნი, გადაურჩნენ ღვთის რისხვას - განადგურებას.

ყველანი ვინც ახლა ვახსენეთ, რადგან ილოცეს ერთი ხმითა და ერთი გონებით და სთხოვეს ღმერთს დახმარება, ამიტომაც გადარჩნენ!

წმიდა წერილში ნათქვამია: „და ევედრებოდნენ ისრაელიანები უფალს, და შეისმინა უფალმა ხმა ლოცვისა ისრაელისა, და მისცა ქანაანი მის ხელთქვეშ." ასევე, ბეთულიას მცხოვრებლებმა შეღაღადეს უფალს, ყველამ ერთად და განუწყვეტლივ, და შეისმინა ღმერთმა მათი ლოცვა და იხსნა ოლომფორნეს ხელთაგან. სთქვა ეზრამ: „შევსთხოვეთ ღმერთს, ეჩვენებინა ჩვენთის სწორი გზა, ჩვენი შვილებისთვის მიეცა ცხონება და მთელი ჩვენი მონაგარისთვის გადარჩენა, და შეისმინა ჩვენი". ასევე ნინევიელებმა ღმერთს განუწყვეტლივ შეღაღადებდნენ, და ძაძებით შემოსნენ ყველანი, დიდნიც და მცირენიც, და დაინახა უფალმა მათი ცრემლები და არ მოსპო არც ისინი და არც მათი ცხოველები და არც მათი ქალაქი. ამიტომაც დავით წინასწარმეტყველი 21-ე ფსალმუნში ამბობს: „შენ გესვიდეს მამანი ჩუენნი, გესვიდეს შენ და იხსნენ იგინი. შენდამი ღაღადებდეს, და ცხონდეს, შენ გესვიდეს, და არა ჰრცხვენა".

და რას ვნახულობთ ჩვენ კიდევ წმინდა წერილის ისტორიებსა და იგავებში, საიდანაც ვსწავლობთ, როგორ უნდა გავექცეთ ჩვენკენ მომავალ გასაჭირს? თავად ღმერთი გვასწავლის დავით წინასწარმეტყველის მიერ 49-ე ფსალმუნში: „და მხადე მე დღესა ჭირისა შენისასა, და მე გიხსნა შენ". 90-ე ფსალმუნში ნათქვამია: „ხმა ჰყოს ჩემდამო, და მე ვისმინო მისი, და მისთანა ვიყო ჭირსა შინა, ვიხსნა იგი და ვადიდო იგი. დღეგრძელობითა განვაძღო იგი, და ვუჩვენო მას მაცხოვარებაი ჩემი." ასევე ისაია წინასწარმეტყველის წიგნის 41-ე თავში ნათქვამია: „ნუ გეშინინ, რამეთუ შენ თანა ვარ. ნუ შესცთები, რამეთუ მე ვარ ღმერთი შენი, რომელმან განგაძლიერე შენ, და შეგეწიე შენ". იგივე ნათქვამია იერემია წინასწარმეტყველის წიგნის 29-ე და ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნის მე-10 თავებში. თავად უფალი ჩვენი იესო ქრისტე ასევე წმინდა სახარებაში გვასწავლის: „ითხოვდეთ და მოგეცემათო". და რომ დავრწმუნდეთ, რომ მისი აღთქმა არის ჭეშმარიტი, მარკოზის სახარების მე-11 თავში გვეუბნება: "ყოველსა რომელსა ლოცვასა შინა ითხოვდეთ, გრწმენინ, რამეთუ მოიღოთ, და გეყოს თქუენ". ამ ყველაფრიდან შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ არ არსებობს სხვა უფრო სასარგებლო და ღირსეული საქმე, ვიდრე ერთობლივი ლოცვა და ღმერთისგან წყალობისა და შეწევნის თხოვნა.

ჩვენ რომ ვიცავდეთ უფლის ამ რჩევასა და სწავლებას და ვლოცულობდეთ, ყოველ ჯერზე როდესაც შეგვემთხვევა ხოლმე დიდი გაჭირვება და განსაცდელი, ჰოი, რაოდენ დიდ დახმარებას, ნუგეშსა და უზომო წყალობას მივიღებდით ღვთისაგან!

ღმერთი არის ყოველთა მამა. ყველანი ვუყვარვართ, როგორც ჭეშმარიტი შვილები და მისი უსაზღვრო წყალობისა და კაცთმოყვარეობიდან გამომდინარე, ის ვერ ითმენს, რომ ჩვენ მუდმივად ვიმყოფებოდეთ უბედურებებსა და

გაჭირვებებში, ის მხოლოდ ჩვენს ლოცვას მოელის. მისი ყურადღება მუდმივად არის მომართული ჩვენკენ, რომ ისმინოს ჩვენი ლოცვების ხმა; მისი სასმენელი მუდმივად გახსნილია, რომ მოგვისმინოს მაშინვე, როცა მოვუხმობთ მის წმინდა სახელს.

მაგრამ რა უნდა ვთქვა ჩვენი საუკუნის ადამიანთა საშინელ გულქვაობაზე? ყველას უჭირს, ყველა გაჭირვებაშია, ყველა კვნესის ტანჯვის უღელის ქვეშ. მაგრამ არის განა ვინმე, ვინც დავით წინასწარმეტყველთან ერთად ეუბნებოდეს უფალს: "ხმითა ჩემითა უფლისა მიმართ ღაღად–ვჰყავ, ხმითა ჩემითა უფლისა მიმართ ვილოცე, განვფინო მის წინაშე ვედრება ჩემი, და ჭირი ჩემი წინაშე მისსა მიუთხრა"? ან არის ვინმე განა, რომელიც მწუხარების ჟამს მიმართავს ღმერთს სიტყვებით: „შემიწყალე, უფალო, და ისმინე ჩემი"?

ჩვენ გვინდა, რომ ღმერთი გვეხმარებოდეს და გვწყალობდეს ისე, რომ არც კი ვლოცულობდეთ. მაგრამ განა გაგონილა ისეთი მეფე ან ბატონი, რომელიც ურიგებდეს თავის ერს მოწყალებას, წყალობას, შეუმსუბუქოს მძიმე გადასახადები იმის გარეშე, რომ არ სთხოვონ და არ დაუმტკიცონ მას თავისი გაჭირვება? ანუ უკეთ რომ ვთქვა-გაგონილა ისეთი მამა, რომელიც აძლევდეს პურს თავის შვილებს ისე, რომ არ სთხოვონ მას? და ის, რასაც თხოვნის გარეშე არ უკეთებს მეფე თავის ერს და არც მამა თავის შვილებს, გინდათ, რომ ღმერთმა გაგვიკეთოს ჩვენ - უღირსებს ისე, რომ არც ვილოცოთ? „ქედმაღალი ღატაკი შეიძულა ჩემმა სულმა", - ამბობს უფალი ზირაქის წიგნის 25-ე თავში. ღმერთი ვერ იტანს გაჭირვებულ, დაქცეულ, უბედურ ადამიანებს, რომლებიც ამპარტავნობის გამო ქედმაღლობენ და არ უნდათ აღიარონ რომ უჭირთ.

და როგორ ფიქრობთ, ვინ არიან ეს ადამიანები? ჩვენ ვართ ყველანი, რომლებიც განვიცდით მაგდენ აუტანელ მწუხარებას, ვნებებს, განსაცდელებს, გაჭირვებებს, უბედურებებს და მიუხედავად ამ ყველაფრისა, არ ვიმდაბლებთ თავს ღვთის წინაშე, არ ვიხრით ქედს ჩვენი დიდი ამპარტავნობის გამო, ოხვრითა და ცრემლებით არ მივდივართ ღმერთთან დახმარების სათხოვნელად.

და როგორ უნდა გადარჩეს ერი, ეს უბედური ქვეყანა, როგორ უნდა დაიბერტყოს გაჭირვების ის მძიმე ტვირთი, რომელიც მას აწვება? ჩვენ მხოლოდ ჩვენს ძალებსა და გონებაზე ვართ მინდობილი, რომელიც ღვთის წინაშე არარაობაა. ვცდილობთ, წარვმართოთ ერი და დავიცვათ ის ბოროტებისაგან, მაგრამ ტყუილად ვშრომობთ, რადგან ამბობს მაცხოვარი იესო ქრისტე: „უჩემოდ ვერაფერს ვერ შეძლებთო". ასევე დავით წინასწარმეტყველი ამბობს 126-ე ფსალმუნში: „არა თუმცა უფალმან დაიცვა ქალაქი, ცუდად იღვიძებენ მხუმილავნი მისნი".

მაგრამ ასე მგონია, რომ ზოგიერთმა მსმენელთაგანმა შეიძლება თქვას, რომ ჩვენ ისედაც ბევრს ვლოცულობთ ღმერთზე, როდესაც გვემართება მწუხარება და გაჭირვება და მივმართავთ მის წყალობას, მაგრამ ვერ ვხედავთ ვერანაირ დახმარებას, ვერც ვრწმუნდებით, რომ ჩვენი ლოცვები აღწევენ ცასო. თუმცა ეჭვი მეპარება, რომ ამას მართლა ვინმე აკეთებდეს.

მოგიყვებით რა უპასუხა კეისარმა ტიბერიუსმა ერთ ახალგაზრდას, რომელიც მრავალი ჩადენილი ბოროტების გამო დიდ ხანს იტანჯებოდა საპყრობილეში ბორკილებით, შიმშილით, მწყურვალებითა და წყვდიადში ყოფნით და რადგან იცოდა, რომ ციხიდან გამოსვლის არანაირი იმედი არ ჰქონდა, დიდი ხვეწნით მიმართა კეისარს, რომ ებრძანებინა მისი სიკვდილით დასჯა, რომ შეწყვეტილიყო მისი ტანჯვა-წამება, რაზეც ტიბერიუსმა უპასუხა: „შენ ჯერ არ მოგიპოვებია მადლი ჩემი თვალების წინაშეო და მთხოვ ესოდენ დიდ წყალობას?“

ანუ, თუ დამნაშავეს არა აქვს კადნიერება ითხოვოს მიწიერი მეფისაგან თუნდაც სიკვდილი, მით უმეტეს ჩვენ, როდესაც იმდენად დამნაშავენი ვართ ყოვლად ძლიერი ზეციური მეფის წინაშე და ვართ ცოდვებით დამძიმებული, როგორ გვინდა, რომ ღმერთმა მოისმინოს ჩვენი ლოცვები და გვიბოძოს წყალობა? ნაიკითხეთ ისაია წინასწარმეტყველის წიგნის 59-ე თავი და გაიგეთ მიზეზი: ჩვენი ლოცვები რატომ არ აღწევენ ღმერთის სასმენელს. წინასწარმეტყველი ამბობს: განა არ ძალუძს უფალს ჩვენი გადარჩენა? განა დამძიმდა მისი ყური, რომ მოგვისმინოს? როგორ ფიქრობთ-აგრძელებს წინასწარმეტყველი-განა არ ძალუძს ღმერთის ყოვლადძლიერ ხელს თქვენი განსაცდლებისაგან ხსნა? თუ გგონიათ, რომ მისი ყურები დახშულია და არ ისმენს თქვენს ლოცვას? არა, ასე არ არის. თქვენი ცოდვების გამო შეატრიალა ღმერთმა თქვენგან თავისი სახე, რომ არ შეგინყალოთ. თქვენი მრავალი ცოდვა არის ის, რაც აჩერებს მის წყალობას და ის, რაც აჩერებს თქვენს ლოცვებს, რომ მიაღწიონ მის ღვთაებრივ დიდებას. რადგან ხელნი თქვენნი გასვრილნი არიან სისხლში; ბაგენი თქვენნი უსჯულოებას მეტყველებენ, თქვენი ენა უკუღმართობებს ფიქრობს; ფეხნი თქვენნი ბოროტების გზაზე დადიან. არავინ არ მეტყველებს მართალს, არავინ არ იძლევა სწორ რჩევებს, არავინ არ აღასრულებს სწორ სამართალს.

და როგორ გინდათ, რომ თქვენი ისმინოს ღმერთმა?! როგორ გიხსნათ გაჭირვებისაგან?! და უკეთ რომ ვთქვა, როგორ გვითმენს მაგდენს, როგორ გვაცდის, როგორ გვიტანს და არ გვანადგურებს, როგორც სოდომელებს?! ჰოი, დიდება, უფალო, დიდ მოთმინებასა შენსა, დიდება შენდა!!!

ერთ-ერთი ფილოსოფოსი ერთხელ ზღვაზე მოგზაურობდა ნავით და მასთან ერთად ნავში იმყოფებოდა რამოდენიმე ბოროტი ადამიანი. დაიწყო რა ზღვაზე დიდი ქარიშხალი და დაღუპვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, ბოროტმა ადამიანებმა დაიწყეს თავიანთ ღმერთებზე ლოცვა, რომ იხსნან ისინი. ხოლო ფილოსოფოსმა უთხრა მათ: გთხოვთ, ხმას ნუ იღებთ, ვაი და გაიგონ ღმერთებმა, რომ აქა ხართ, მაშინ მართლა დავიღუპებითო. ასევე მეც ვეუბნები ცოდვილებს, რომლებიც ლოცულობენ, სჯობს გაჭირვების ჟამს ხმას ნუ იღებენ თავიანთი ბილწი ბაგეებით, რადგან გადარჩენის ნაცვლად, შეიძლება სულ მთლად დაიღუპონ მათი ცოდვების გამო.

უპირველესად გვმართებს მივატოვოთ ბოროტება, მტაცებლობა, უკუღმართობა, მტრობა, შური, სიძულვილი და მხოლოდ მაშინ ვილოცოთ. რადგან მხოლოდ მაშინ ღმერთის სასმენელი იქნება ჩვენს მიმართ მოპყრობილი. წმი-

ნდა იოანე ოქროპირი ამბობს: „მხოლოდ მაშინ, როდესაც წმინდა ბაგეებით ვლოცულობთ, მხოლოდ მაშინ ლოცვა აღწევს უფლის სასმენელს“. ანუ, როდესაც ჩვენ ვართ წმინდა, მხოლოდ მაშინ ჩვენი ლოცვა აღწევს ზეცას. მაგრამ ამის გარდა სხვა რაღაც არის კიდე საჭირო, რომ ლოცვის მეშვეობით დავიხსნათ თავი ჩვენი გაჭირვებებისაგან. რადგან ბოროტება და გაჭირვება არის საერთო, აუცილებელია, რომ ლოცვაც იყოს საერთო. ამიტომ ყველამ ერთობლივად უნდა ვილოცოთ, ყველამ ერთად უნდა ვთხოვოთ უფალს დახმარება, როგორც ეს გააკეთეს დღეს მოციქულებმა ნავში. ერთი პირითა და გულით შეღაღადეს: „უფალო, მიხსნენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმდებით“! მაგრამ ისე კი არ უნდა იყოს, რომ ერთი ლოცულობდეს და სხვა არც კი ფიქრობდეს; ერთი ტიროდეს და მეორე იცინოდეს; ერთი წუხდეს და სხვა ხარობდეს, რადგან მაშინ, ნამდვილად, ღმერთი არ მოგისმენს.[7]

მაცხოვარი იესო ქრისტე, მათეს სახარების მე-18 თავში ამბობს: „უკეთუ ორნი თქუენგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა ყოვლისათვისვე საქმისა, რომელიცა ითხოონ, ეყოს მათ მამისა ჩემისაგან ზეცათაისა“. მაშასადამე, როდესაც ორი ადამიანი ერთად ლოცულობს და შედეგად იღებს წყალობას, მით უმეტეს, მიიღებს მთელი ერიც და ხალხთა მთელი სიმრავლე, თუ ერთი პირით, ერთი ხმით და ერთი გულით შევსთხოვთ ღმერთს დახმარებას.

ამიტომაც, ჩემო საყვარელო შვილებო, გთხოვთ, ილოცეთ ყოველთვის და ყველამ ერთად.[8] მით უმეტეს, ჩვენს დროში, როდესაც გამრავლდა გაჭირვება და ყველას ყოველი მხრიდან გვავიწროვებს უბედურებები, მწუხარებები და ტანჯვები. წინასწარმეტყველი დავითი ამბობს: „ნება მოშიშთა მისთა ჰყოს, და ვედრებისა მათისა შეისმინოს, და აცხოვნნეს იგინი“.[9] ღმერთი მარადის შეგვისმენს, როდესაც წმინდა გულით შევთხოვთ მას და ის გვიხსნის ყოველი განსაცდელისა და გაჭირვებისაგან მეოხებითა წმინდისა დიდისა მოწამისა დიმიტრისა, რომლის ხსენებას აღვასრულებთ ჩვენ დღეს და რომლის მეოხებაც შეეწიოს ჩვენს მთავარს, პატიოსან თავადობას და მთელ ქრისტიან ერს. ამინ!

კომენტარები:

„უფალო, მიხსნენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმდებით“ (მათე 8)- ეს უნდა იყოს მორწმუნე ქრისტიანის მუდმივი ვედრება ღმერთის მიმართ, რადგან არ უნდა დაავიწყდეს საკუთარი ცოდვილი ბუნება, შექმნილი სამყაროს ცვალებადი და მერყევი ბუნება და რომ ყველაფერი ღმერთის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

[2] ანთიმი აქ ყურადღებას ამახვილებს ლოცვის რაობაზე. რა არის ლოცვა? როგორც იოანე დამასკელი ამბობს: ლოცვა არის გონების ზეასვლა ღვთისაკენ, ანდა ღვთისადმი თხოვნა იმისა, რაც შესაფერისია. გავიხსენოთ ჯვარცმული მაცხოვარი ამბობს: " მამაო, თუ შესაძლებელია ამშორდეს მე ეს სასმისი, მაგრამ არა როგორც მე მნებავს, არამედ- როგორც შენ (მათე, 26.39). აქედან ნათელია ყველასათვის, რომ მხოლოდ ღვთისგან ვითხოვდეთ შემწეობას განსაცდელთა ჟამს და რომ ჩვენეულ ნებას იმას ვამჯობინებდეთ, რაც საღვთოა. წმ. იოანე ოქროპირი აღნიშნავს: მუდამ ღმერთისკენ

ვისწრაფოთ და ყოველივე მას შევსთხოვოთ. ლოცვას არაფერი შეედრება: იგი შეუძლებელსაც იქმს, ძნელს აიოლებს, უჯეროს ჯეროვანს შეიქმნს. ნეტარი დავითიც ამას აღასრულებდა, ამიტომ ამბობდა: "შვიდგზის დღესა გაქებდე შენ განკითხვათათვის სიმართლისა შენისათა" (ფს 118,164) საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II ბრძანებს: როგორ ვილოცოთ? უპირველეს ყოვლისა, ადამიანმა უნდა ილოცოს მთელი გულითა და თუ შეუძლია ცრემლითაც კი. მხოლოდ მაშინ ისმენს უფალი ჩვენს თხოვნას. თუ კი მრავალი საზრუნავით დამძიმებული მეფე დავითი ღმერთს მრავალგზის ევედრებოდა, ჩვენ დღე და ღამე უნდა ვილოცოთ " და შეიქმნება დიდი სიმშვიდე". წმ. ანთიმოზი სვამს კითხვას: რატომ არ აღწევენ ჩვენი ლოცვები ღმერთის სასმენელს? წმ. იოანე ოქროპირი ბრძანებს "მთელი გულით ვილოცოთ". ჭეშმარიტად მუდმივი და მოუკლებელი ლოცვა გვმართებს ძვირხილულობაშიც და სიხარულშიც, უბედურებისა და კეთილდღეობის ჟამს.... "თუ დედამიწაზე შეიკრიბა ორი ადამიანი ერთად მლოცველი, მიეცემათ მათ მამისაგან ჩემისა ზეცათასა" (მათე,16) ლოცვის ძალით ვისწავლით მთავარ მორჩილებას - რითაც დავძლევთ შიშს და ვიქნებით მომთმენი და მამაცი.

[3] ადამიანმა სულიერი მზაობით უნდა მიიღოს ყოველი ცხოვრებისეული განსაცდელი და ცხოვრებისეულ ბობოქარ ზღვაში მუდამ ღმერთის იმედი უნდა ქონდეს და ამბობდეს: „უფალო გვაცხოვნე, რამეთუ წარვწყდებით"

ანთიმი თვლის, რომ ღვთის სასწაული მდგომარეობს მის კეთილ ნებაში, წარუძღვეს ადამიანს ამ ბობოქარ ზღვაში. საკვირველია სრულიად სხვა: მე მიკვირს იმისა, რაც მოხდა შემდეგ. მივიდნენ რა მაცხოვართან და შეევედრნენ, იმავე წამს მიიღეს დახმარება, „და შეიქმნა დიდი სიმშვიდე",(ანთიმოზი)

[5] იესო ნავეს 10.40;12.14 აღწერილია ქანაანელთა სტრატეგიული ქალაქის არადის მეფის სიმამაცე, იგი იყო პირველი, ვინც გაბედულად შეებრძოლა იესო ნავეს ძეს. არადი იუდას უდაბნოში მკვდარი ზღვის დასავლეთით მდებარეობდა.

[6] ეს ქალაქი მოხსენიებულია მხოლოდ არაკანონიკურ ბიბლიურ წიგნში- ე.წ. „ივდითის წიგნში", სადაც აღწერილია ნაბუქოდონოსორ II-ის არმიის შემოჭრა იუდეაში. ოლომფორნე, ასურელი მხედართმთავარი, განადგურებით ემუქრებოდა ალყაშემორტყმულ ქალაქს. ქალაქი თავგანწირულმა მოქალაქეების ლოცვამ და ივდითის გმირობამ გადაარჩინა. წიგნის 10 თავის უძველესი ქართულენოვანი თარგმანი ოშკის, ანუ ათონის ბიბლიაშია შემონახული.

განსაცდელის ჟამს უნდა გაერთიანდნენ მორწმუნენი და ერთად ილოცონ და შესთხოვონ ღმერთს დახმარება და გადარჩენა.(მარკოზი 4,38) ადამიანის შიში ცხოვრების და ბუნების სტიქიონების გამო გამოწვეულია მათი მცირედი მორწმუნეობით: „მათ უთხრა: რატომ ხართ ასე მხდალნი?, რატომ არა გაქვთ რწმენა?"(მარკოზი 4,40)(ლუკა 8,25), (იობ.26,12),(ფსალ.88, 10)

[8] ადამიანი, თემი, ხალხი გაუსწორდება ყოველ უბედურებას, განსაცდელს, თუკი გაერთიანდებიან ლოცვაში :"ყველაფერი, რასაც ითხოვთ ლოცვაში, ითხოვეთ და მოგეცემათ თქვენ." იხ. მარკოზი, 11, 24 ,მათე 7,7, ლუკა 11,9, იოან. 14,13.

[9] ფსალმუნი 144: 19.

ქადაგება № 25

ქადაგება მთავარანგელოზთა დღესასწაულზე, 8 ნოემბერს

„ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე შეურაცხ–ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი“.[1] მათე 18.

მხოლოდ მდიდრებსა და დიდ ადამიანებს არ ეკუთვნით დიდება და პატივი, არამედ ამ მაღლის ღირსნი ასევე მცირე და თავმდაბალი ადამიანებიც არიან, მიუხედავად იმისა, რომ დიდნი ბრჭყვიალებენ მდიდრული სამოსით, ხოლო მცირეთ ისიც კი არ გააჩნიათ, რომ სხეული დაიფარონ. დიდებულნი განისვენებენ ლამაზ და ფართო საწოლებზე , ხოლო მდაბიონი პირდაპირ მიწაზე ან ჭილოფზე გდიან. პირველთ გარს ახვევიათ მრავალი მსახური, ხოლო მეორენი მეგობართა და ახლობელთა დახმარებასაც კი მოკლებულნი არიან; ერთნი სიმდიდრესა და ფუფუნებაში არიან, ხოლო მეორენი - მწუხარებასა და გაჭირვებაში. მიუხედავად ამ დიდი განსხვავებებისა, მცირეთ არ ეკუთვნით ნაკლები პატივი და სიყვარული, ვიდრე დიდებულებსა და მდიდრებს, არც სამართლიანია, რომ დიდებულებს ხალხი თაყვანს სცემდეს, ხოლო მცირეთ მასხრად იგდებდნენ. ამიტომაც ყველას ეშინოდეს გაჭირვებულების წყენისა; ამიტომაც რცხვენოდეს მათ, ვინც ჩაგრავს გაჭირვებულებს, რადგან, თუ მდიდარი ძალითა და ძალაუფლებით პასუხობს შეურაცხყოფას, ღარიბების შემთხვევაში მფარველი ანგელოზები სჯიან მათ, ვინც მათ აწყენინებს. ამიტომაც უფალი იესო ქრისტე უბრძანებს ყველას, დღევანდელ სახარებაში, ფრთხილად იყვნენ და ასეთი ადამიანები არ ჩათვალონ ამ ქვეყნის ნაგვად და დასაცინად. „ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე შეურაცხ–ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი“ (მათე 18), - ამბობს უფალი.[2] ამის მიზეზი არის ის, რომ ღმერთს იმდენად უყვარს ისინი, რომ მათ ანგელოზები, რომლებიც მუდმივად ჭვრეტენ ღვთის სახეს ზეცაში, თან სულ სდევენ. [3]დღევანდელი სახარების სიტყვებიდან ვიგებთ, თუ რაოდენ დიდებულნი არიან ღვთის წინაშე მცირენი; ყველა ხედავს, რომ ის, ვინც ბედავს მათთვის წყენის მიყენებას, რაოდენ დიდ ცოდვას სჩადის და რაგვარი პასუხისგება მოუწევს თავიანთი საქციელის გამო.

მე მივანდობ ჩემზე ბრძენსა და სწავლულ ადამიანებს იქადაგონ მთავარანგელოზთა კრებაზე, რომლის ხსენებასაც აღვასრულებთ ჩვენ დღეს, ის რაც შეჰფერის ამ დღესასწაულს. ხოლო მე სხვა სიტყვებს მივმართავ მსმენელებს იმ იმედით, რომ იქნებ ღმერთმა დაუშვას რომელიმე ცოდვილის გონების განათება და მოიყვანოს იგი სინანულში, რადგან ფრიად დიდი სიხარული იქნება ზეცაში, ერთი მონანიებული ცოდვილის გამო! ამიტომაც გთხოვთ, მომისმინეთ სიყვარულით და მიიღეთ სულიერი სარგებელი.

ამა სოფელში არსებობენ ორი სახის დამცირებულნი, რომელთაც ადამიანები, როგორც წესი, წყენას აყენებენ: პირველნი არიან ღარიბნი, ხოლო მე-

ორენი მღვდელნი. ღარიბებისათვის ნათქვამია ზირაქის სიბრძნის მე-13 თავში: „მდიდარს სძულს ღარიბი“. ასევე იაკობ მოციქული (უფლის ძმა) თავისი ეპისტოლეს მე-2 თავში ამბობს: „ხოლო თქუენ შეურაცხ–ჰყავთ გლახაკი.“ მღვდლების შემთხვევაში კი ამას მოწმობს საყოველთაო და განსაკუთრებით ამ კუთხის ჩვეულება, რომ ხალხში მღვდლები არიან ყველაზე უპატიო და დამცირებულ მდგომარეობაში. მაგრამ სინამდვილეში ისინი, ვინც ხალხს მცირედ და მდაბიოდ მიიჩნევს, არ არიან მცირენი, არამედ ბევრი მათგანი მეტად ღირსეული და დიდი ადამიანია, რადგან შემიძლია ამათ შესახებ ვთქვა მოციქულის სიტყვებით, რომ მთელი სოფელი არ არის მათი ღირსი. ღარიბნი არიან იმდენად დიდნი, რაოდენ დიდიც არის თავად ქრისტე, რადგან მათ მაცხოვარი არც მსახურებს და არც მეგობრებს უწოდებს, არამედ ძმებს: „რაც უქენით ამ მცირეთაგანს ძმათა ჩემთაგანს, მე მიყავით.“ ხოლო რაც შეეხება მღვდლებს, ისინი იმდენად შეუდარებელნი არიან, რომ ღმერთის შემდეგ მათი მსგავსი არ არსებობს არც ზეცაში, არც დედამიწაზე. ისინი ღმერთთან შედარებით მცირენი არიან, ხოლო სხვა ადამიანებთან შედარებით კი დიდნი. რა თქმა უნდა, მღვდლები ანგელოზები არ არიან, მაგრამ მადლის გამო, რომელსაც ატარებენ, ანგელოზზეც დიდნი არიან. ამიტომაც ამბობს წმინდა ეფრემ ასური მღვდლობის შესახებ პირველ სიტყვაში: „დიდებულ სასწაულს და გამოუთქმელ ძალას წარმოადგენს მღვდელი; ცას სწვდება, ანგელოზებთან ურთიერთობს და ღმერთთან აქვს სიახლოვე“.

და რომ გამოსცადოთ საქმითა და გონებით ამ მცირედთა ანუ მღვდელთა სიდიდე, რომლებსაც ხალხი მასხრად იგდებს, დაუფიქრდით, რა ძალის მქონენი არიან ისინი ზეცაში და დედამიწაზე, ადამიანებისა და ღვთის წინაშე.

როდესაც უფალმან ჩვენმან, იესო ქრისტემ, შეუნდო ცოდვები განრღვეულს, რომელიც მოუყვანეს მას განსაკურნებლად, იცით, რა თქვეს მწიგნობრებმა და ფარისევლებმა, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ: „განა ვის ძალუძს ცოდვების შენდობა, გარდა მხოლოდ ღმერთისაო?!“ მართალია, ერთადერთი, ვისაც შეუძლია ადამიანებისათვის ცოდვების შენდობა - არის ღმერთი ანუ ღვთის მადლი, მაგრამ მღვდლები ყოველდღე შეუნდობენ ცოდვილებს მათ ცოდვებს და ჩვენ ყველას გვწამს, რომ მათ აქვთ ამისი ძალა. ამიტომ, შეგვიძლია განა ვთქვათ, რომ ისინი ამ სოფელში არ არიან ერთგვარად სხვა ღმერთები?

მოისმინეთ, სხვა უფრო მაგარ მაგალითს მოგიყვანთ. აქ, თქვენ თვალწინ. რომ გენახათ ერთ მხარეს მტრების მიერ დაჭრილი შავი არაბები, სასიკვდილო წყლულებით და მძიმე ჯაჭვებით დაბმულნი და მეორე მხარეს ძალზედ ძლიერი ადამიანი, რომელიც ეტყოდა მათ: გათავისუფლდით და განიკურნოს თქვენი წყლულები, თქვენს სხეულებს მოსცილდეს სიშავე, რომელიც აბნელებს მათ და ამ სიტყვების შემდეგ დაგენახათ, მათ ხელებსა და ფეხებს როგორ ეხსნებათ ბორკილები, როგორ ხდებიან მეყსეულად ჯანმრთელნი და როგორ თეთრდება მათი სხეულები. გეკითხებით, ნეტავ, რას იტყოდით იმ ადამიანზე?

რას იტყოდით მის ძალაზე? დარწმუნებული ვარ, თქვენ იტყოდით და აღიარებდით, რომ ის ადამიანი ყველა ადამიანზე აღმატებულია, რომ ის ზეციდან გადმოსული ერთგვარი სხვა ღმერთი და ამავდროულად კაციცააო.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ ეს ადამიანი არის ერთი მცირეთაგანი, რომელსაც მთელი სოფელი არაფრად აგდებს, შავი არაბები არიან საწყალი ცოდვილები, რომელთაც ცოდვა ეშმაკებივით აშავებს; ესენი ყოველნი დაჭრილნი არიან, რადგანაც რამდენჯერაც სჩადიან ცოდვას, იმდენჯერ მათ სულებში აღიბეჭდება სასიკვდილო წყლულები. ისინი მძიმე ჯაჭვებით არიან დაბმულნი, რადგან ცოდვა ეშმაკის მონებად აქცევს მათ. და ამ დროს აქ მოდის ის მცირე საწყალი მღვდელი და ერთი სიტყვით: „ღმერთმა შეგინდოს ცოდვანი შენნი," ცოდვილთა სულებს უკეთებს უფრო დიდებულ რამეს, ვიდრე ის, რაც წეღან მოვისმინეთ: ხსნის ცოდვების საკვრელებს, კურნავს ჭრილობებს, წმენდს ცოდვის ლაფს, ათავისუფლებს ადამიანთა სულებს ეშმაკებისგან, ამეგობრებს მათ ღმერთთან და ანგელოზებთან თანამყოფს ხდის.

ახლა როგორ გეჩვენებათ ეს „მცირედი" ადამიანი? როგორ ფიქრობთ, არსებობს სხვა ვინმე მასზე ძლიერი დედამიწაზე? სხვა რა გითხრათ: არც დედამიწაზე და არც ზეცაში ღმერთის გარდა არავის აქვს იმხელა ძალა, როგორც იმ „მცირეს". დაგიმტკიცებთ კიდევაც ამას: გაიხსენეთ ის ადამიანი წმინდა სახარებიდან, რომელიც იერუსალიმიდან იერიქანში ჩადიოდა და რომელსაც ავაზაკები დაესხნენ თავს. ის კაცი შეიძლება ყოფილიყო როგორც ჩვეულებრივი ჩვენი ერთ–ერთი ქრისტიანი და მართლმორწმუნე ადამიანი. თითქოს და ცხადად წარმომიდგენია ის, წყლულების გამო, ნახევრად მკვდარი წევს მიწაზე, ყველასგან ითხოვს დახმარებას, წუხს და ტირის არა იმდენად სიცოცხლისათვის, რომელიც სცილდება, არამედ სულისთვის, რომელიც შეიძლება დაეკარგა მისი მრავალი ცოდვების გამო.

მოვიდნენ ახლა აქ დიდებული მეფეები და ამა სოფლის ძლიერნი და ვნახოთ: აქვთ იმდენი ძალა, რომ გადაარჩინონ იმ საწყალი ადამიანის სული მარადიული ტანჯვისაგან? რა გითხრათ: მეფეები და ამა სოფლის ძლიერნი აქ რა მოსატანია. მოვიდნენ სასუფევლის ანგელოზები, მრავალთვალი ქერუბიმები, ექვს-ექვს ფრთიანი სერაფიმნი, საყდარნი, უფლებანი, ანგელოზთა ყველა დასი და ვნახოთ, ეყოფათ თუ არა მაგდენი ძალა? ანგელოზებთან ერთად დასახმარებლად მიუშვი წმინდანი მოწამეები და მოციქულები, იჩქარონ ღირსთა, მართალთა, წინასწარმეტყველებმა, პატრიარქებმა, მათთან ერთად ზეციდან გადმოვიდეს თავად ყოვლადწმინდა დედა ღვთისმშობელი - ანგელოზთა და ადამიანთა დედოფალი, და რა გგონიათ? ფიქრობთ, რომ ანგელოზთა და წმინდანთა ეს ყველა დასი შესძლებს გამოიხსნას ის ნახევრად მკვდარი ადამიანის სული ცოდვებისაგან, რომლებიც ექაჩებიან მას ჯოჯოხეთში? თუ ვინმე იტყვის, რომ მათ ეს შეუძლიათ, ის ადამიანი არ იქნება მართალი, რადგან ასეთი რამ ეწინააღმდეგება წმინდა ეკლესიის სწავლებას, ეს ადამიანი არ იქნება ქრისტეს საწმყსოდან, რადგან ქრისტეს არ უსწავლებია ასეთი რამ სახარე-

ბაში. ანგელოზებს შეუძლია ლოცვა, წმინდანებსა და მართლებს – ვედრება, დედა ღვთისმშობელს - შუამდგომლობა, რომ იმ ცოდვილი ადამიანის სულმა მიიღოს ცოდვებისაგან ხსნა, მაგრამ ცოდვების შენდობა საკუთარი ძალით არ შეუძლია არც ერთ წმინდანსა თუ ანგელოზს!

მიზეზი კი არის ის, რომ ზეცაში მყოფ წმინდანებს არ აქვთ გახსნისა და შეკვრის ძალა, არამედ ეს ძალა აქვთ მხოლოდ აქ დედამიწაზე მყოფ ჩვეულებრივ ადამიანებს – მღვდლებს! ახლა ხედავთ? რაც არ შეუძლია ზეცაში წმინდათა მთელ დასს, ძალუძს დედამიწაზე ამ მცირეთაგან ერთ-ერთ მღვდელს. აბა ვნახოთ, აქ, შემთხვევით, რომ მოვიდეს ნებისმიერი მღვდელი, დაინახოს სასიკვდილოდ დაჭრილი ადამიანი, რომელიც ითხოვს დახმარებას და სულის ცხონებას, დაინახოს მისი ცრემლები, მისი კვნესა, მოისმინოს მისი ლოცვა და დალოცოს ის კაცი იმ ხელით, რომელსაც არ იღებენ სამთხვევად ამა სოფლის დიდებულნი, მიუშვი მხოლოდ თქვას: „გათავისუფლებ ყველა შენი ცოდვისაგან“, იმავე წამს დაინახავთ უცხო, საშინელსა და დიდებულ საქმეს, იმ წამშივე იმ ადამიანის სული მარადიული ტანჯვისაგან ცხოვნებას მოიპოვებს, მიიღებს ცოდვათა შენდობას, გაიქცევიან ეშმაკები, გაიხარებენ წმინდა ანგელოზები და ყოვლად სამართლიანი ღმერთი, რომელსაც ხელთ ეპყრა საზღაურის მიგების მახვილი; ისევ ჩააგებს მას ქარქაშში და გახდება ლმობიერი.

ამიტომაც ცხადია, რომ ღმერთის გარდა ზეცაშიც არავის აქვს იმხელა ძალა და უფლება, როგორც აქვთ დედამიწაზე ამ მცირედთაგანთ, ანუ მღვდლებს.[4]

ამ თითქოსდა უმნიშვნელო ადამიანთა კიდევ ერთი სასწაული საქმე იხილეთ: მთელი სამყარო გაოცდა, როცა იესო ნავემ ცაზე მზე უძრავად გააჩერა, იქამდე, ვიდრე არ დაამარცხა მტრები; მაგრამ ბევრად საკვირველი იქნებოდა, რომ იესო ნავეს მზისთვის ეთქვა, რომ უძრავად კი არ გაჩერებულიყო ცაზე, არამედ დედამიწაზე ჩამოსულიყო - ეს ხომ ჭეშმარიტად საშინელი რამ იქნებოდა! ხოლო, ის, რასაც მღვდელი თითქმის ყოველდღიურად საკურთხეველში აკეთებს, არაფრით არ ჩამოუვარდება ამ საქმეს. იგი ცაში მყოფ ხილულ მზეს კი არ უბრძანებს, არამედ მის მიერ გამოთქმული სიტყვებითა და ლოცვებით დედამიწაზე ჩამოჰყავს „მზე სიმართლისა“, ანუ თავად მხოლოდშობილი ძე ღვთისა ჩამოჰყავს ზეციდან, რომ პური და ღვინო თავის ხორცად და სისხლად გარდააქციოს და ცოდვათა მისატევებელი უსისხლო მსხვერპლი აღასრულოს. მღვდელი ამას ასრულებს ერთხელ და ორჯერ კი არა, არამედ წლის განმავლობაში ნებისმიერ დღესა და ნებისმიერ ადგილას, სადაც მოისურვებს. განა ეს არ არის ძალა, რომელიც ანგელოზებსაც კი განაკვირვებს. პავლე მოციქული ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე–7 თავში, ძველი აღთქმის მელქისედექს ამსგავსებს ძეს ღვთისას, რადგან ისიც სწირავდა ღმერთს მსხვერპლს ღვინისა და პურის სახით, რაც წმიდა ევქარისტიის წინასახეს განასახიერებდა.

ხოლო ჩვენ ვკადნიერდებით და უღირსად ვიხსენიებთ ხოლმე ჩვენს

მღვდლებს, რომლებიც ყოველდღიურად არა წინასახეს და ჩრდილს, არამედ ჩვენი მაცხოვარი ღმერთის ჭეშმარიტ სისხლსა და ხორცს სწირავენ.

განა ეს მღვდლები მელქისედექზე უფრო მეტად არ არიან მიმსგავსებულნი ძეს ღვთისას? ჭეშმარიტად, გონება ვერ პოულობს აზრებს, არც ენა სიტყვებს, რათა გამოხატოს ამ მცირეთა სიდიადე.

და ამ დროს რა პატივს მიაგებს მათ ხალხი? უფრო სწორედ რომ ვთქვა, რა წყენას არ იღებენ ეს ადამიანები ქრისტიანებისაგან და თავიანთი სულიერი შვილებისაგან?

„მთელი შენი სულით გეშინოდეს უფლისა (ბრძანებს სული წმიდა ზირაქის წიგნის მე–7 თავში) და პატივი მიაგე მღვდელს“. ასევე სხვა ადგილას ამბობს: „მთელი სულით გწამდეს უფალი და პატივი მიაგე მის მღვდლებს“. მაგრამ ვინ ასრულებს ამას? არის განა ვინმე, ვინც პატივს სცემს მღვდლებს, აქებს და ადიდებს მათ?

ძველ აღთქმაში იმხელა ყურადღება ექცეოდა მღვდლების პატივისცემას, რომ თავად ღმერთმა მეორე სჯულთა მე–17 თავში ბრძანებს, რომ თუ ვინმე უპატიოდ მოექცეოდა მღვდელს და არ დაემორჩილებობა მის ბრძანებას, ის ადამიანი სიკვდილით უნდა დასჯილიყო.

როგორ ფიქრობთ, რა სასჯელს იმსახურებს ახლა ის ხალხი, ვინც ამხელა კადნიერებით შეურაცხყოფას აყენებენ ჩვენი წმინდა ეკლესიის მღვდლებს, რომლებიც ღირსებით, მადლითა და ძალით ბევრად აღემატებიან ძველი აღთქმის მღვდლებს?!

წმინდა ათანასე აღწერს რა ანტონი დიდის ცხოვრებას, მოგვითხრობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ წმინდა ანტონი იმდენად დიდი და ცნობილი იყო თავისი მადლითა და სათნოებებით, რომ ეშმაკები ძრწოდნენ მის წინაშე და უდაბნოს ველური მტაცებლებიც ემორჩილებოდნენ მას, მაინც, ხვდებოდა თუ სადმე რომელიმე მღვდელს, მუხლს იდრეკდა მის წინაშე და არ დგებოდა ფეხზე, სანამ არ ემთხვეოდა ხელზე და არ მიიღებდა მისგან კურთხევას. ხოლო ახლა, ანტონები კი არა, წმინდანები კი არა, არამედ უღირსი და ცოდვილი ადამიანები, ის კი არა, რომ მღვდლებს ხელზე ემთხვიონ, არამედ იმხელა კადნიერებით ეტაკებიან მათ თავიანთი გრძელი ენებით, რომ ლანძღავენ, აგინებენ და შეურაცხყოფას აყენებენ მათ. განა შეიძლება ამას კეთილი რწმენა და ქრისტიანული საქციელი დაერქვას?!

თითქოს და მესმის, როგორ მპასუხობს მე ზოგიერთი ადამიანი, რომ ახლანდელი მღვდლები აღარ არიან ისეთები, როგორც იყვნენ ძველი დროის მღვდლებიო: მაშინდელნი იყვნენ კეთილნი, ხოლო ახლანდელნი – განბოროტებულნი; იმდროინდელნი იყვნენ მოღვაწენი, ხოლო ახლანდელნი – ზარმაცები; ისინი იყვნენ მმარხველნი, ხოლო ესენი ლოთნი არიან; ისინი – უმანკონი, ხოლო ესენი – მზაკვარნი; ისინი – სულიერნი იყვნენ, ხოლო ესენი – ხორციელნი არიან, ამიტომაც ეს მღვდლები ხალხში სამართლიანად უპატივცემულნი

არიან (ანუ გამოდის, რომ სამღვდელოება სულ არ უნდა გვყავდეს და ვიყოთ, როგორც პირუტყვი ცხოველები).

ხოლო მე ვიტყვი, ამაში ჭეშმარიტად არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, მე ყველას ვუპასუხებ წმინდა წერილის სიტყვებით: „ვინ დაგადგინა შენ მთავრად და მსაჯულად ჩუენ ზედა?!"[5] ასევე ჩემთან ერთად წმინდა პავლე მოციქულიც ამბობს: „შენ ვინ ხარ, რომელი განიკითხავ სხვისა მონასა?"[6] ასევე ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მეორე თავში ნათქვამია: „ამას რამე ჰგონება, ჰოი, კაცო, რომელი შჯი ესევითარისა მოქმედთა მათ და იქმ მასვე ვითარ-მე შენ განერე საშჯელსა ღმრთისასა?" [7]ვინ მისცა უფლება საერო ხალხს, რომ ბოროტად ილაპარაკონ მღვდლებზე და მზაკვრულად ილაპარაკონ მათ ცროვრებაზე და ქმედებებზე? განა დიდი კონსტანტინე არ იყო კეისარი და თანაც ქრისტიანი კეისარი? მაგრამ, როდესაც მიუტანეს ამბავი, რომ ერთ-ერთ მღვდელი ცოდვილი და უძღები ცხოვრებით ცხოვრობს, კონსტანტინემ არ მოინდომა მისი ცხოვრებისა და საქმეების გამოძიება, არამედ, როგორც ქრისტესმოყვარე კაცმა, თქვა: „საკუთარი თვალებითაც რომ დავინახო, რომ მღვდელი ცოდვას ჩადის, ჩემს მანტიას გადავიფარებდი და დავმალავდი მის ცოდვას." ასევე ნიკეის პირველ მსოფლიო კრებაზე, როდესაც ზოგიერთი მღვდლისა და ეპისკოპოსის წინააღმდეგ მიმართული წერილი მიუტანეს, ნეტარმა კეისარმა არ მოისურვა წაკითხვა, დახია და თავადვე ჩააგდო ცეცხლში და ამგვარი ღირსშესანიშნავი სიტყვები წარმოსთქვა: „ღმერთმა ნუ ქნას, რომ როდესმე განვიკითხო ღვთის მღვდლებიო."

მაშასადამე, რისი გაკეთებაც ვერ გაბედა ასეთმა დიდმა და წმინდა კეისარმა, როგორ ბედავს, რომ გააკეთოს რიგითმა, ცოდვილმა, უღირსმა და საცოდავმა ადამიანმა?

მეორეს ასეთ პასუხს გავცემ: თქვენ რომ ამბობთ მღვდლებზე ცოდვები აქვთო, ის ცოდვები ბავშვობიდანვე მოჰყვებათ, თუ მას შემდეგ დაიწყეს შეცოდება, რაც მღვდლები გახდნენ? თუ ბავშვობიდან მოჰყვებათ, ე.ი. მათი ბრალი კი არ არის, არამედ ერის ხალხისა, რომლებმაც ისინი არ აღზარდეს ღვთის შიშით, სწორი სწავლებითა და კეთილი მაგალითებით. ხოლო, თუ შემდგომში, უკვე როგორც მღვდლებმა დაიწყეს მათი ჩადენა, ისევ და ისევ ერისკაცებისაგან ისწავლეს ეს, იმათგან ისწავლეს ყველანაირი ბოროტება, რამეთუ ბოროტებას მღვდლები კი არ ავრცელებენ, არამედ ერისკაცნი. მაშ, რატომ არ ლაპარაკობთ თქვენს თავზე, ბოროტების მაგალითს რომ იძლევით? რატომ განიკითხავთ მღვდლებს, რომელნიც თუმცა კი გახდნენ ბოროტნი, მაგრამ განა იმიტომ არა, რომ ბოროტი მასწავლებლები ჰყავდათ?

მაგრამ შევუერთდები თქვენს აზრს და დაგეთანხმებით რომ ყველაფერი, რასაც ამბობთ მღვდლებზე, სიმართლეა. ოღონდ მოისმინეთ ერთი ამბავი.

არკადი კეისარის[8] მეუღლემ, დედოფალმა ევდოკიამ, როდესაც შეიტყო, რომ ღაზის მოსახლეობის უმრავლესობა არ არის ქრისტიანი და თაყვანს სცემენ კერპებს, ხვეწნა დაუწყო თავის გვირგვინოსან მეუღლეს, რომ ყველა ღონე

ეხმარა იმ ხალხის ქრისტიანობაზე მოსაქცევად, რომ ისინი თავიანთი წარმართობით არ შეურაცხყოფდნენ არც სამეფოს, არც ქრისტეს სახელს და არც ჭეშმარიტ სარწმუნოებას. არკადი კეისარმა უპასუხა: „დიახ, დიდი ხანია ვიცი მე ეს ამბავი, რომ იმ ხალხის უმრავლესობა კერპთთაყვანისმცემელია, მაგრამ რა ვქნა? საჭიროა ისე მოვიქცე, თითქოს არაფერი ვიცი და მივუშვა მოიქცნენ ისე, როგორც უნდათ, რადგან მათ მიერ გაღებული გადასახადებიდან სამეფო დიდ მოგებას იღებს."

ახლა მეც ამ პასუხიდან ვიღებ მაგალითს, როგორ გავაჩუმო ის ხალხი, რომელიც ასეთი კადნიერებითა და მონდომებით განიკითხავს მღვდლების ცხოვრებას. თქვენ, მოშურნენო, როდესაც ამბობთ, რომ მღვდლები ბოროტნი და ცოდვილნი არიან, მეც გიდასტურებთ და ვამბობ, რომ ცოდვილნი არიან, ოღონდ ისინი, ვისაც თქვენ ცოდვილებად თვლით, თქვენ გლოცავენ. ისინი თქვენ გაკურთხებენ, წმინდა ნათლისღებით მეორედ გშობენ, წმინდა მირონცხებით სულიწმიდის ბეჭედს განიჭებენ, თქვენი ცხოვრების წიგნიდან ცოდვებს შლიან, ღვთის მეგობრებად გხდიან, გაზიარებენ უფლის სისხლსა და ხორცს, თავიანთი ლოცვებით გეხმარებიან თქვენი ავადმყოფობის, თქვენი გაჭირვების, თქვენი სიცოცხლის ბოლო ჟამს და გარდაცვალების შემდეგაც. თქვენ კი უყურადღებოდ ტოვებთ იმ სულიერ სარგებელს, სიკეთესა და მადლს, რომელსაც მათგან იღებთ და საოცრად დიდი გაბოროტებითა და მრისხანებით უყურებთ მათ ცოდვებსა და შეცდომებს, რასაც ისინი, როგორც ხორციელნი და წუთისოფლის შვილნი, სჩადიან. განა ვის რას უშავებს მღვდელი, როცა თავად სცოდავს? და თუ არავის არაფერს უშავებს, არამედ პირიქით, სარგებელი მოაქვს მორწმუნეებისა და ეკლესიისათვის, რატომ ცდილობთ დაამციროთ და შეურაცხყოფა მიაყენოთ ადამიანს - მღვდელს, რომელიც არაფერს გიშავებთ? რა ვთქვა ამაზე? ბოროტება, რომელიც ფეხმოკიდებულია ხალხში, აბრმავებს თითოეული ჩვენგანის თვალებს და არ აძლევს საშუალებას, დავინახოთ საკუთარი დიდი ცოდვა და განვიკითხავთ ამ მცირეთთაგანთა ცხოვრებას.

ხოლო თავად დიდი [იოანე] ოქროპირი, მათეს სახარებაზე მე-17 ჰომილიაში ასეთ სიტყვებს ამბობს: „მღვდლები არიან ისინი, ვინც ქრისტეს ადგილს იკავებს; და ვინც პატივს სცემს მღვდელს, ამით თავად ქრისტეს სცემს პატივს;" ხოლო ვინც აგინებს მღვდელს, თავად ჩვენს უფალს აგინებს და შეურაცხყოფას აყენებს; რადგან ქრისტემ მღვდლები დატოვა ეკლესიაში თავის მსახურებად (თავადი—ბატონიც კი ხომ არ მოითმენს, როცა ვინმე შეურაცხყოფას მიაყენებს მისი სახლის მმართველად დატოვებულ მსახურს) მითუმეტეს, როგორ მოითმენს ქრისტე თავისი მსახურების შეურაცხყოფას?!

და ბოლოს ვიკითხავ: როგორ ფიქრობთ, რა საზღაურს მიიღებს ასეთი ხალხი სააქაოს, თუ საიქიოს? არასოდეს წაგიკითხავთ წმინდა წერილში, რა დაემართა ნოეს, როცა დალია და დათვრა? სულმთლად გაშიშვლდა და ისე დაიძინა თავის სახლში, ხოლო მისმა შვილმა ქამმა, დაინახა რა მამის სიშიშვლე, კი არ დააფარა, არამედ გარეთ გავიდა და ბოროტი ილაპარაკა თავის ძმებთან

მამაზე. ხოლო ისინი, როგორც ბრძენი და ღირსეული შვილები, უხმოდ მივიდნენ და დააფარეს, თან ისე, რომ თავი არ მიუტრიალებიათ და არ შეუხედავთ მამის სიშიშვლისათვის. და რა მოჰყვა ამას? ნათქვამია წმინდა წერილში: „და განიფრთხო ნოე ღვინისაგან და ცნა, რაოდენ უყო მას ძემან მისმან უჭაბუკესმან და თქუა: წყეულ არიან ყრმა, მონა იყავნ ძმათა მისთაი, რადგან ბოროტი ილაპარაკა ჩემზე ხალხში“. „წყეულ იყავნ თვითონ მისი შვილებიც და მისი ქონებაც; ბატონობა არ ჰქონოდეს მის ცხოვრებაში. არამედ მისი ძმების მორჩილი მონა ყოფილიყოს.“[9] ასე თქვა მოხუცმა ნოემ და დღემდე და მარადის ქამის მოდგმა წყეული იქნება.

ჩემო საყვარელნო, იფიქრეთ იმაზე, რომ ასევე დაემართება იმათ, ვინც წყენას მიაყენებს ამ მცირეთაგანს, მხოლოდ ღვთისმოყვარე ქრისტიანები მოერიდონ მღვდლების შეურაცხყოფას, რათა სემისა და იაფეტის კურთხევა მიიღონ. მე ვევედრები მოწყალე ღმერთს, რომ სააქაო და საიქიო ცხოვრებაში ღმერთმა გიბოძოთ სემისა და იაფეტის დალოცვა. ამინ!

კომენტარები:

ღმერთისთვის ყველა თანასწორია. იგი ადამიანს შეაფასებს არა მისი ამქვეყნიური წარმატებებით, არამედ მისი სულიერი ღვაწლით და რწმენის გულწრფელობით. მხოლოდ მდიდრებსა და დიდ ადამიანებს არ ეკუთვნით დიდება და პატივი, არამედ ამ მადლის ღირსნი, ასევე მცირე და თავმდაბალი ადამიანები არიან, მიუხედავად იმისა, რომ დიდნი ბრჭყვიალებენ მდიდრული სამოსით, ხოლო მცირეთ ისიც კი არ გააჩნიათ, რომ სხეული დაიფარონ.(ანთიმოზი).„ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე შეურაცხ–ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი“. (მათე18, 10), (მარკოზი 9, 42), (ლუკა 17, 1)

[2] ქრისტეს ღვთაებრივი სიყვარული უსაზღვროა და ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე ვალდებულია პატივი სცეს უმცირესს, დავრდომილს, გაჭირვებულს“ მიუხედავად ამ დიდი განსხვავებებისა, მცირეთ არ ეკუთვნის ნაკლები პატივი და სიყვარული, ვიდრე დიდებულებსა და მდიდრებს, არც სამართლიანია, რომ დიდებულებს ხალხი თაყვანს სცემდეს, ხოლო მცირეთ მასხრად იგდებდნენ. ამიტომაც ყველას ეშინოდეს გაჭირვებულების წყენისა;“

3 როგორც წმინდა იოანე დამასკელი ამბობს: ანგელოზი არის არსება გონისმიერი, მარად მოძრავი, თვითუფლებრივი, უსხეულო, ღვთისადმი მომსახურე, მადლით უკვდავების მიმღები ბუნებაში, რომლის არსების სახე და საზღვარი მხოლოდ შემოქმედმა უწყის. ისინი ცაში მკვიდრობენ და ერთი საქმე აქვთ - უგალობონ ღმერთს და ემსახურონ მის საღვთო ნებას.

დიონისე არეოპაგელმა ციური არსებები ცხრა დაასახელა. რასაც ეს მღვდელ- მესრულე სამ - სამ მწყობრად განყოფს. პირველი არის ექვსფრთიანი სერაფიმების, მრავალთვალა ქერუბიმების და უწმინდეს საყდართა მწყობრი, რომლებიც მარადის ღვთის გარშემოა. მეორეა უფლებათა, ძალთა და ხელმწიფებათა მწყობრი. მესამეა მთავრობათა, მთავარანგელოზთა და ანგელოზთა მწყობრი.

დამასკელი აღნიშნავს: არ ვიცით, არსებით თანასწორნი არიან ისინი, თუ ურთიერთისგან განსხვავდებიან. ეს ყოველივე მამა შემოქმედმა და ყოვლის მცოდნე ღმერთმა უწყის.

ქადაგებებში წმინდა ანთიმოზი განიხილავს ზეცაში ანგელოსთა იერარქიულობას და მის ძალას, თუ მათ რა შეუძლიათ. ასევე წმინდანების და მართლების ფუნქციაა, ეეედრონ ღმერთს. ხოლო ღვთისმშობლის შუამდგომლობით ადამიანთა სულმა მიიღოს ცოდვებისაგან ხსნა.

ცოდვით დამძიმებულ მინაზე - ცოდვის შენდობის უნარი მხოლოდ მღვდელს ძალუძს.. რა არის ეს ძალა, რითაც ის ამას აკეთებს. წმინდა ანთიმოზი ბრძანებს, - მღვდლები ანგელოზები არ არიან, მაგრამ მათ აქვთ მადლი და სწორედ ეს მადლი აქცევთ მათ ანგელოზებზე დიდად. სიდიდეს და გამოუთქმელ ძალას წარმოადგენს მღვდელი. მღვდლობა არის უფლის წინაშე არა ოდენ საკუთარ თაზე, არამედ ხალხზე ლოცვით წარდგომა. ზეციურ სამეფოს მისაღწევ გზაზე შედგომილ ადამიანთა სულების დამოძღვრა.

როგორც წმინდა წერილში პირდაპირ წერია: მღვდლობის ხარისხში დადგინება არის განსაკუთრებულ, მადლმოსილ საიდუმლო ნიჭთან ზიარება. ესაა ის მადლი, რასაც წმინდა ანთიმოზმა მიუძღვნა თავისი ქადაგება.

აქვე აღვნიშნავთ: ქრისტიანობის ლოცვა ასე იკითხება - "საღვთო მადლი, რომელიც ყოველადვე უძლურებასა ჩვენსა ჰკურნებს და ნაკლულოვნებასა ჩვენსა აღავსებს..... რაითა დაემკვიდროს მისთანა მადლმან ყოვლადწმინდისა სულისა. ამინ" ვინც ამ ცოდვისაგან არ არის თავისუფალი, უნდა მოინანიოს და დაეხმაროს გაჭირვებულს.

[4] ამა სოფელში არსებობენ ორი სახის მცირენი და მათ ადამიანები, როგორც წესი, წყენას აყენებენ: პირველნი არიან ღარიბნი, ხოლო მეორენი მღვდელნი.„მღვდლები არინ ყველაზე უპატიო და დამცირებულნი."(ანთიმოზი) მათი ღვანლი შეუფასებელი და დაუფასებელია. წმინდა ეფრემ ასური მღვდლობის შესახებ პირველ სიტყვაში ამბობს: „დიდებულ სასწაულს და გამოუთქმელ ძალას წარმოადგენს მღვდელი; ცას სწვდება, ანგელოზებთან ურთიერთობს და ღმერთთან აქვს სიახლოვე". არც მღვდელმა უნდა დაივიწყოს ეს და გაისიგრძეგანოს თავისი მოვალეობა და დანიშნულება მორწმუნესა და ღმერთის წინაშე. „ღმერთის გარდა არც ზეცაში არავის არა აქვს იმხელა ძალა და უფლება, როგორც აქვთ დედამიწაზე ამ მცირედებს, ანუ მღვდლებს." (ანთიმოზი)

[5] საქმე მოციქულთა 7.27

რომაელთა მიმართ ეპისტოლე 14.4

აქ როგორც ჩანს მექანიკური შეცდომაა, სინამდვილეში დამონმებულია რომ.

[8] რომის იმპერიის გამოყოფის შემდეგ მას ერგო აღმოსავლეთ რომის იმპერია. იგი აღმოსავლეთ რომის იმპერიის პირველი კეისარია 395-408წწ.

[9] შესაქმე თავი IX 24-525, ციტატის პირველი ნაწილი ზუსტად მიპყვება ძველი აღთქმის ტექსტს, მეორე ნაწილი წმიდა ანთიმოზის დანამატი, ინტერპრეტაციაა.

ქადაგება № 26

ქადაგება სტიქიონებზე წმ. მირონმდინარე დიდმოწამე დიმიტრის ხსენების დღე, 26 ოქტომბერი

„და აჰა ესერა აღძრვაი იყო დიდი ზღუასა შინა ვიდრე დაფარვადმდე ნავისა ღელვათაგან“.[1]

ბუნებით კეთილ და მართალ მიწიერ მამას უყვარს თავისი შვილები, ყველას ერთნაირად და თანასწორად უნანილებს მემკვიდრეობას, ანუ არ აძლევს ერთს უფრო მეტს და მეორეს ნაკლებს, ან მაგალითად არ დაუშვებს უყვარდეს უფროსი უფრო მეტად, ვიდრე უმცროსი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ერთი შვილი აღმოჩნდება უფრო მეტად მორჩილი თავისი მამისა, ვიდრე სხვა. მხოლოდ ამ შემთხვევაში, მორჩილებიდან ან ურჩობიდან გამომდინარე შვილმა შეიძლება უფრო გაამრავლოს, ან შეამციროს თავისი მამის სიყვარული. მსგავს მაგალითზე მოგვითხრობს მათე მახარებელი ერთ-ერთ იგავში: ნათქვამია, რომ ერთ კაცს ჰყავდა ორი ძე და ერთ-ერთს დაავალა საქმის გაკეთება, შვილი დაპირდა, მაგრამ არ შეასრულა, ხოლო მეორე არ დაპირებია, მაგრამ შეასრულა. ასეთივე კეთილი და მართალი არის მთელი ქმნილი სამყაროს მამა, წმინდა სამება ღმერთი, რადგან თითოეულ ქმნილებას მადლს ანიჭებს მისი დამსახურების მიხედვით.

ამიტომაც პატივს მიაგებს ანგელოზებს, როგორც მასთან ყველაზე მიახლოებულ უხორცო და უკვდავ არსებებს; პატივს მიაგებს ადამიანებს, როგორც თავის ხატად და მსგავსად შექმნილებს; პატივს მიაგებს უსულო ქმნილებებსაც - ანუ ცასა და ქვეყანასაც და ყველაფერს, რაც არის შექმნილი მის მიერ.

ყველაზე გამორჩეული, ღვთის მიერ მონიჭებული პატივი არის ორმაგი: პირველი პატივი გამოიხატა მაცხოვარი იესო ქრისტეს ამქვეყნად პირველი მოსვლის ჟამს; ხოლო მეორე პატივი გამოცხადდება მეორედ მოსვლის საშინელი სამსჯავროს დროს. პირველი მოსვლის ჟამს ადიდა ანგელოზები, რადგან ჯერ გაბრიელ მთავარანგელოზს დაავალა ეხარებინა და ეზრუნა დედა ღვთისმშობლისათვის. ხოლო ანგელოზთა დანარჩენმა სიმრავლემ უგალობა ღმერთს ქრისტეს შობისას: „ დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.“

ხოლო ადამიანებს პატივი მიაგო სიყვარულით, როგორც ეს ნათქვამია პავლე მოციქულის რომაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-5 თავში: „უკეთუ მტერ რაი ვიყვენით, დავეგენით ღმერთსა სიკუდილითა ძისა მისისაითა, რაოდენ უფროის აწ, და–რაი–ვეგენით, ვცხონდეთ მაცხოვარებითა მისითა!“ [2]

ასევე ყველაფერ დანარჩენსაც პატივი მიაგო ღმერთმა, რათა ყოველი ქმნილება მოიყვანოს უფალ იესო ქრისტეში, როგორც ეს ნათქვამია პავლე მოციქულის ეფესელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში: „გუაუწყა ჩუენ საიდუმლოი იგი ნებისა მისისაი სათნოებისაებრ მისისა, რომელი—იგი წინაითვე განაჩინა მას შინა განგებულად აღვსებისა მის ჟამთაისა, თავ—ყოფად ყოველივე ქრისტეს მიმართ, რაი—იგი არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“.[3] და ყველაფერს მიაგო პატივი რომელიმე განსაკუთრებული სამკაულით: ცას მიაგო პატივი ანგელოზთა და სულიწმინდის გარდამოსვლით, რადგან გაიარეს იგი; მტკნარ წყლებს მიაგო პატივი ნათლისღების ჟამს; დედამიწას პატივი მიაგო მიწისძვრით, საფლავთა გახსნით და მიცვალებულთა აღდგომით; საჭირო იყო მლაშე წყალთათვის პატივის მიგება და მათ იგი მიანიჭა ზღვის ღელვით.

„და აჰა ესერა აღძრვაი იყო დიდი ზღუასა შინა.“ მიწისძვრის შესახებ ლაპარაკობენ ძველი ელინი ფილოსოფოსები, რომ ის წარმოიშვება სტიქიების შეზავებით, და თითოეული (ეს ფილოსოფოსი ამ საკითხზე. რედ.) მსჯელობს სხვადასხვანაირად. ხოლო ყველა ივიწყებს ამ ღელვის მთავარ მიზეზს - ღმერთს. ჩვენ ახლა ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რაც ილაპარაკეს ფილოსოფოსებმა - ანაქსაგორამ, არისტოტელემ, დემოკრიტემ და ანაქსიმენმა, მაგრამ დავუჯერეთ ღვთის მიერ ფილოსოფოსს და წინასწარმეტყველს დავითს, რომელმაც თქვა: „რომელი მოხედავს ქუეყანასა ზედა, და ჰყოფს მას შეძრწუნებულ, რომელი შეახებს მთათა, და კუმოდიან, ხოლო გარეთუ მიიქცი პირი შენი, შეძრწუნდიან“.[4]

რაკი დავასკვენით, რომ რყევის მთავარი მიზეზია ღმერთი, ამასთან დაკავშირებით უნდა განვმარტოთ სამი რამ: პირველი, რისთვის შეიქმნა ზღვაში ღელვა; მეორე, რატომ ეძინა ქრისტეს ნაგში; მესამე, რატომ დაუშვა, რომ მის მოწაფეებში გაჩენილიყო შფოთი და მღელვარება.

ჯერ პასუხი გავცეთ პირველ კითხვაზე. წმინდა წერილში ბევრგანაა ნათქვამი, რომ ღმერთი მუდმივად ორმაგ მოქმედებაშია: კერძოდ, კაცობრიობის განგების მიზნით, ერთის მხრივ, რისხავს და, მეორეს მხრივ, სწყალობს კაცობრიობას.

ისრაელის ხალხზე გადმოსულ ღვთის რისხვაზე ნათქვამია ისაია წინასწარმეტყველის წიგნის მე-9 თავში: „და მოსპობს უფალი ისრაელისაგან თავსა და ბოლოსა, დიდსა და მცირესა, ერთსა შინა დღესა“. ხოლო, რაც შეეხება წყალობას, იქვე ისაია წინასწარმეტყველთან ისრაელი აღიარებს ღვთის წინაშე: „გაკურთხებ შენ უფალო, რამეთუ განმირისხდი და მერე ისევ უკუაქციე შენი რისხვა და შემიწყალე მე.“

ღვთის რისხვაზე ასევე ლაპარაკობს დავით წინასწარმეტყველი: „ჭაბუკნი მათნი შეჭამნა ცეცხლმან, და ქალწულნი მათნი არა იგლოვნენ. მღვდელნი

მათნი მახვილითა დაეცნენ და ქურივნი მათნი არა იტირნეს.“ ხოლო უფლის წყალობის შესახებ ნათქვამია

68-ე ფსალმუნში: „ისმინე ჩემი უფალო, რამეთუ ტკბილ არს წყალობა შენი, მრავლითა მოწყალებითა შენითა მოიხილე ჩემ ზედა“.

და როგორც ვთქვით, რომ ღმერთი ადამიანთა განგების მიზნით ორმაგ ქმედებებს მიმართავს, ორივეს ახორციელებს დიდი სიბრძნით. მაგრამ აქვე უნდა ვთქვა, რომ ღმერთი უფრო მეტად რისხვის მქმნელია, და ადამიანებს სჯის ბუნებრივი სტიქიონების მეშვეობით, ანუ ცეცხლით, ჰაერით, წყლით და ამ მიწით, რომელიც აერთიანებს ყველა ადამიანს.

მაგალითად, ნოეს ჟამს ღმერთმა წყლით დასაჯა ადამიანები, როდესაც მოუვლინა წარღვნა და დაიღუპა ყველა ხორციელი არსება ადამიანიდან დაწყებული ყველა ცხოველამდე, როგორც ეს ნათქვამია მოსეს წიგნის მე-7 თავში. ცეცხლით დასაჯა სოდომელები აბრაამის დროს, როდესაც დაწვა მათი ქალაქები, როგორც ეს ნათქვამია დაბადების წიგნის მე-19 თავში. მოსეს დროს, მიწით დასაჯა ქორე, დათანი და აბირონი, როდესაც გაიხსნა მიწა და შთანთქა ისინი და ყველა ვინც იყო მათთან ერთად, როგორც ეს აღწერილია რიცხვთა წიგნში. ჰაერით ღმერთმა დასაჯა ჯიუტი ფარაონი, რომელიც ქარის ძალით, თვითონ და მისი ჯარი დაიხრჩო მეწამურ ზღვაში, როგორც ნათქვამია გამოსვლათა წიგნის მე-14 თავში. ამიტომ ძველი აღთქმის დროს ღმერთი უფრო მეტად იყო შურის მაძიებელი, ხოლო ახლა არის წყალობისა და მოწყალების ღმერთი. ამიტომ ღმერთი ახლაც მოქმედებს იმავე სტიქიონებით, მაგრამ უკვე იმისათვის, რომ გამოავლინოს თავისი დიდი წყალობა და მოწყალება: წყალი – ნათლობის ჟამს „ახრჩობს“ ადამიანის ცოდვებს; ცეცხლი – ორმოცდამეათე დღეს სული წმინდა გადმოვიდა მოციქულთა თავებზე ცეცხლოვანი ალების სახით; მიწა – გამოქვაბულმა შეიფარა წმინდა ქალწული უფლის შობის დროს, შემდეგ მიწაზე მაცხოვარი დადიოდა და ქადაგებდა, მთაზე მოხდა ჯვარცმა, კლდეში დაფვლა და მკვდრეთით აღდგომა; ჰაერი – ღრუბლით მაცხოვარი ამაღლდა ზეცაში.

მაშასადამე, ღმერთის ამ ორმაგი ქმედების საჩვენებლად მათე მახარებელი მოგვითხრობს დღევანდელ სახარებაში: „და აჰა ესერა აღძრვაი იყო დიდი ზღუასა შინა“. აღზრვითა და ღელვით უფალი იძლევა მცირე სასჯელს და ამით უნდა აჩვენოს, რომ თვითონაა ის, ვინც ძველი აღთქმის დროს სჯიდა სტიქიონებით და მათი მეშვეობით იჩენდა წყალობასაც. რადგან ნათქვამია: „შეჰრისხნა ქართა მათ და ზღუასა და იქმნა მეყსეულად დაყუდება დიდ“.[5] ზღვაში იქმნება დიდი აღძრვა და მღელვარება იმისათვის, რათა ყველამ შეიცნოს, რომ მისია ზღვა და მან შექმნა იგი: „და ხმელეთიც მისმა ხელებმა შექმნეს“ – ნათქვამია წმინდა წერილში. ასევე იმიტომაც, რომ არ იფიქროს ვინმემ, რომ მხოლოდ მიწით შემოისაზღვრება ქრისტე ღმერთის ძალა, არამედ მთელ ქვე-

ყნიერებაზე ის მოქმედებს, როგორც ყოვლადძლიერი უფალი. ნათქვამია: „შენ ბატონობ ზღვის ძალებზე და მისი ტალღების მღელვარებას შენ ამშვიდებ.“

მეორე კითხვაა: რატომ ეძინა მაცხოვარს ნავში, როგორცაა ნათქვამი მათეს სახარებაში, ხოლო მარკოზ მახარებელი ამბობს: „და თავადი იყო პირით კერძო.“ რატომ უნდა მომხდარიყო მღელვარება იმ დროს, როდესაც ეძინა? ვგონებ, მღვიძარე რომ ყოფილიყო, შეიძლება სამი რამ მომხდარიყო: პირველი, არც მოხდებოდა ზღვის მღელვარება! მეორე, ზღვის მღელვარების დაწყებისთანავე რომ გაეღვიძა, მაშინვე თვითონვე დააცხრობდა მას და ასე რომ არ გაეკეთებინა, ნავში მყოფი მოწაფენი იფიქრებდნენ, რომ მას არც შეუძლია ასეთი რამის გაკეთება; მესამე, მღვიძარე რომ ყოფილიყო, მოწაფენი არც შეევედრებოდნენ მას: „უფალო, მიხსნენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმდებით.“

ნათქვამს იმასაც ვამატებ, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე, როგორც ჭეშმარიტი ღმერთი, ყოვლისმცოდნეა და შესაბამისად იცოდა მოციქულების მცირედმორწმუნეობა, ამიტომ დაიძინა ნავში და აცადა ზღვის მღელვარებას, რათა მოციქულებისთვის მათი რწმენის სისუსტე ეჩვენებინა და ამის გამო მცირეოდენ ესაყვედურა და გასწყრომოდა მოციქულებს. რადგან სრული რწმენა რომ ჰქონოდათ, არც უნდა ეთქვათ, რაც თქვეს, და არც უნდა შეშინებულიყვნენ. რადგან, რომ ჰქონოდათ მისი ღვთაებრივი ბუნების რწმენა, უნდა ეფიქრათ: თუ უფალი ჩვენთან არის, რა ბოროტი უნდა შეგვემთხვას? რადგან წმინდა მოციქული პავლე რომაელთა მიმართ ეპისტოლეს მე–10 თავში ამბობს: „რამეთუ, ყოველმან რომელმან ხადოს სახელისა უფლისასა, ცხონდეს“. ანუ არ არის აუცილებელი, რომ ადამიანი უშუალოდ ხედავდეს ქრისტეს, არამედ მხოლოდ წმინდა რწმენით შეჰღაღადოს მის ყოვლადწმინდა სახელს და ცხონდება კიდევაც თავისი გაჭირვებებისაგანო. ხოლო მოციქულებს მით უმეტეს არ უნდა შეშინებოდათ, რადგან უშუალოდ მაცხოვართან ერთად იყვნენ ნავში.

ამიტომაც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ უსაყვედურა მათი ურწმუნოება, გამოუცხადა მათ მათი სულიერი მცირედმორწმუნეობა და უთხრა: „რაისა შეშინდით, მცირედ მორწმუნენო?“ ხოლო ამის შემდეგ ადგა ფეხზე და შეჰრისხნა ქარსა და ზღვასა.

ჩემო საყვარელნო შვილებო, ამ ამბავში ჩვენ ვხედავთ ზეციური მკურნალის, ანუ სრულყოფილი მკურნალის, მზრუნველობას ჩვენზე. პირველ რიგში ჭრილობებს ათავისუფლებს დამპალი ხორცისაგან, ხოლო ამის შემდეგ ადებს მაკურნებელ მალამოებს. უფრო მეტს ვიტყვი, რომ არ განკურნებულიყო მოციქულების ურწმუნოება, არც დასცხრებოდა ზღვის მღელვარება და არც დამყარდებოდა სიმშვიდე! იგივე საიდუმლო ქმედება, დაფარული სახით, იყო გამოცხადებული მაცხოვარი იესო ქრისტეს მიერ მოხდენილ სხვა სასწაულებშიც. მაგალითად, განრღვეულსაც უფალმა იესო ქრისტემ უთხრა: „კადნიერ იყავ შვილო, შეგინდვეს შენ ცოდვანი შენი“ ანუ თავიდან მოუხსნა მას ცოდვე-

ბის სიმყრალე, ხოლო ამის შემდეგ უთრხა: „აღიღე სარეცელი შენი და წარვედ სახლსა შენსა“.

უცნაურად არ ჩამითვალოთ ჩემი ნათქვამი სიტყვები მოციქულთა მცირე რწმენის შესახებ, რადგან ის შიში, რომელიც მათ გაუჩნდათ, ზუსტად ამტკიცებს მათ მცირედ მორწმუნეობას. ასევე მოხდა სხვა დროსაც, ნავში ბედსაიდისკენ მგზავრობისასაც, როდესაც ასევე შეეშინდათ ღამით დაინახეს რა მათკენ შორიდან წყალზე მიმავალი ქრისტე. შეეშინდათ, რადგან, როგორც მახარებელი მარკოზი ამბობს: მათი გულები იყო გაქვავებული და არ ესმოდათ ბოლომდე, რაც ხდებოდა. მათი მცირედმორწმუნეობა ჩანს იმ სიტყვებშიც, რომლითაც მიმართეს ქრისტეს: „მოძღვარ, არას ჰზრუნავ, რამეთუ წარვწყდებით.“[6] ხოლო ქრისტემ უპასუხა: „რაისა ესოდენ მოშიშ ხართ, ვითარ არა გაქუს სარწმუნოებაი?“

როგორ ფიქრობთ საყვარელნო ჩემნო: ეს სიტყვები მხოლოდ საყვედურისთვის იყო თქმული და ამავდროულად ცარიელი და უსაფუძვლოა? არა, ასე არ არის! ეს სიტყვები იყო მაკურნებელი მალამოების მსგავსი, რომლებსაც გამოცდილი ექიმები იძლევიან, მალამოები, რომლებიც გემოთი მწარე და მჟავეა, მაგრამ ძლიერი მოქმედება აქვთ, ასუფთავებენ სხეულს წყლულებისგან, შხამებისაგან, ყველანაირი უწმინდურობისგან და აჯანმრთელებენ ადამიანს. ასეთივე იყო მაცხოვარი იესო ქრისტეს სიტყვებიც - სიტყვები სიცოცხლის და ჯანმრთელობის მომტანი, მიუხედავად იმისა, რომ მწარე გემოც დაჰკრავდა. როგორც თქვა მოციქულმა პეტრემ: „უფალო ვისთან უნდა წავიდეთ, რადგან შენთანაა ცხოვრების სიტყვებიო“. ეს სიტყვები ამტკიცებს იმას, რომ მოციქულებში იმ დროისთვის უკვე იყო განმტკიცებული რწმენა, რადგან ზღვის ღელვაში ყოფნით მაცხოვარმა დაინახა რა მოციქულების რწმენის სისუსტე, შეჰრისხნა ქარი და შეიქმნა დიდი სიმშვიდე.

საყვარელნო, ვდგავარ ახლა და მიკვირს ერთის გამო! ნეტავ, რა საჭირო იყო, რომ ქრისტე ჰრისხავდა უსულო და უგრძნობ სტიქიონებს: ზღვასა და ქარს? არ მგონია, რომ ქრისტე სტიქიონებს ჰრისხავდა, არამედ ეშმაკებს, რომლებიც მსგავს რამეს, ღვთისგან დაშორების გამო, ჩვენს განსაცდელად მოქმედებენ. საიდან ვრწმუნდები, რომ ნამდვილად ასეა? მარკოზ მახარობლის სიტყვებიდან, სადაც ნათქვამია, რომ მაცხოვარმა ქარს მიმართა სიტყვებით: დადუმენ პირი და იყავ! მსგავსი სიტყვებით, როგორც წესი, მაცხოვარი ქრისტე მიმართავდა ეშმაკებს, როგორც ეს მოხდა კაპერნაუმში, ადამიანის შემთხვევაში, რომელსაც ჰყავდა ბოროტი სული და იმ ადამიანის შემთხვევაშიც, რომელმაც მაცხოვარს მიუყვანა თავისი ძე, რომელსაც ყრუ და უტყვი სული ჰყავდა. როგორც ამბობს მათე მოციქული, მაცხოვარმა იმავე სიტყვებით მიმართა ქარს: დადუმენ და შეჰრისხნა ქართა მათ და ზღუასა.

მესამე კითხვაა: რატომ დაუშვა, რომ მისი მოწაფენი შეშინებულიყვნენ.

თავიდანვე, განკაცებული მაცხოვარი იესო ქრისტე, ღმერთი ჩვენი, თავის მოწაფეებს სიტყვითა და საქმით ასწავლიდა გაჭირვებულ, შევიწროებულ და განსაცდელებით სავსე ცხოვრებას, და ამით აჩვენებდა, რომ ეს არის ჭეშმარიტი გზა. რადგან თვითონაც თავისი ამქვეყნიური ცხოვრების დასაწყისშივე გადაიტანა დევნა, მწუხარება, განსაცდელი და შემდეგ სიკვდილიც. ამიტომაც გააფრთხილა თავისი მოწაფეები: თქვენც იქნებით დევნილებაში, თქვენც მოგკლავს და შეგიძულებს ყველა ერი ჩემი სახელისათვის. დაუშვა, რომ მისი მოწაფენი შეშინებულიყვნენ, გასაჭირში ჩავარდნილიყვნენ, და ეს იმისათვის, რათა მოეხდინა დიდი სასწაული და ამ სასწაულით გამოეყვანა ისინი მცირედმორწმუნეობისაგან.

ჭეშმარიტად, სასწაულის მიზეზი არის ზღვა და მხოლოდ ღმერთს შეეძლო ამ სასწაულის მოხდენა. რადგან მან არ მოახდინა სასწაული კვერთხით, როგორც ეს გააკეთა ღვთის მონა მოსემ მეწამულ ზღვაში; ან ხალენით, როგორც ელისემ ილიას[7] შთაგონებით გადაიარია იორდანეზე; ან აღთქმის კიდობნით, როგორც ეს გააკეთა ისუ ნავემ, როდესაც გააჩერეს ორივე მხარეს იორდანე, არამედ მაცხოვარმა მხოლოდ სიტყვითა და ბრძანებით გააჩერა ზღვის მღელვარება, როგორც ბატონმა მის მონას მხოლოდ სიტყვით უთხრა ზღვასა და ქარს: „დადუმენ და იქმნა მეყსეულად დაყუდება დიდი". და ამბობს მარკოზ მოციქული „და შეეშინა მათ შიშითა დიდითა და იტყოდეს ურთიერთას: ვინ - მე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუაიცა ერჩიან მას? "[8]

აჰა, ვდგავარ და მიკვირს – როგორ გახდა შესაძლებელი, რომ დღეს ერთდროულად აღვნიშნავთ ორ მღელვარებას: ერთი, რომელიც მოხდა ზღვაში ეშმაკთა მიერ, ღმერთისგან დაშორების მიზეზით, იმისათვის, რომ გამოსწორებულიყო მოციქულთა მცირედმორწმუნეობა; და მერე, რომელიც მოხდა ხმელეთზე, ეშმაკის წყვილის - დიოკლეტიანესა და მაქსიმეს კეისრების გულთა სისასტიკის გამო, იმისათვის, რათა დამტკიცებულიყო დიდი მოწამის, დიმიტრის სარწმუნოება, რომლის ხსენებასაც აღვასრულებთ ჩვენ დღეს. დიდი მღელვარება და აბობოქრებული ტალღები მიემართა წმიდა დიმიტრის კურთხეული ნავის წინააღმდეგ, რადგან ეშმაკის ხსენებული წყვილი ცდილობდა შეეღწია მისი ნეტარი სულის სიღრმეში და ჩაეძირათ ის. მაგრამ იმ ველურმა და ცოფიანმა ადამიანებმა არ იცოდნენ, რომ წმიდა დიმიტრის ნავი არ იყო ადვილად ჩასაძირი, მას ჰქონდა ძლიერი ანძა, გამძლე აფრები, ჰყავდა გამოცდილი მეზღვაური და კარგი, მცოდნე მესაჭე.

მისი ანძა იყო - პატიოსანი ჯვარი, რითაც იგი ამაყობდა, რადგან იყო უძლეველი, მტკიცე და მას შეეძლო, რომ გაეძლო მის გულში არსებულ სული წმინდის „ქარების" ქროლვას.

დიდ ძალასა და კადნიერებას მას ანიჭებდა პავლე მოციქულის მიერ გალატელთა მიმართ ეპისტოლეს მე-6 თავში ნათქვამი სიტყვები: „ხოლო ჩემდა ნუ

იყოფინ სიქადულ, გარნა ჯუარითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა"[9]. და განსაკუთრებით მას აძლიერებდა მაცხოვარ იესო ქრისტეს ნათქვამი სიტყვები: „ვინც არ აღიღებს ჯვარსა თვისსა და არ შემომიდგება მე, არა არს ჩემდა ღირს." ხოლო მეზღვაური, ყველასათვის ცნობილია, გარდა იესო ქრისტესი, განა, სხვა შეიძლება ყოფილიყო ვინმე?! რადგან იგია ყველაზე გამოცდილი მოგზაური ზეციურ ქალაქში, იგი თავად იქაურია, მისი მამული ზეცაა, როგორც ნათქვამია იოანეს სახარების მე-16 თავში: „მეუფებაი ჩემი არა ამის სოფლისაგან არს;"[10] და მე-6 თავში ნათქვამია: „მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვხედ".[11]

თავად ეს მეზღვაური და მესაჭე მყოფობდა დიმიტრის სულის სიღრმეში და როდესაც ხედავდა ოდნავ შეშინებულს, ეუბნებოდა: „დიმიტრი, შენ ხარ ჩემი კრავი და ძალიან კარგად ვიცი, რომ მომყვები მე. ნუ გეშინის, ვერავინ მოგიტაცებს ჩემი ხელებიდან. მოგცემ შენ მარადიულ ცხოვრებას და იქ, სადაც შენს ხელს განგმირავენ შუბებით - მე ვიქნები; შენს ჭრილობებს მე მივიღებ და არ მიგატოვებ, რათა არ განიცადო აუტანელი ტკივილები. იჩქარე, რადგან ხელსაყრელი ამინდია, მე, ჩემი წმინდა სულით უკვე აღვავსე შენი რწმენის აფრები. დიმიტრი, მე გაგხდი ჩემი სიკვდილის თანაზიარს. ღვთის მადლით ვნებებს გადიხარ და ამიტომაც ღვთის შვილი ხარ. არ მიგატოვებ, მონობის სული შიშისკენ გიბიძგებს, მაგრამ მე გიბოძებ ძეობის მემკვიდრეობის სულს, რომელიც დაამოწმებს, რომ შენ ხარ ღვთის შვილი და როგორც ღვთის შვილი იქნები ჩემთან ერთად, შენს მიერ შეყვარებული ქრისტეს თანამემკვიდრე. დიმიტრი, ჩემო შვილო, ხედავ ჯვარს? მე იგი შენს გულში აღვმართე. ამ ჯვარზე განისვენებს ჩემი ვნება და სიკვდილი, ხოლო ყოვლად ძლიერი ღმერთის წყალობამ და მთელი კაცობრიობის მიმართ მისმა სიყვარულმა აღმადგინეს მე მკვდრეთით. ეს ქარიშხალი და საშინელი ტალღები დასცხრებიან და მე გადაგარჩენ მათგან. შემომიდექ მე, რადგან მე შევატრიალე საჭე ამაოებასა და აღვირახსნილობისაგან ჩემი სასუფევლის აღუწერელი მშვენიერების მხარესკე. შემომიდექ სიკვდილით და მარადიულ ცხოვრებას მიიღებ, რომელშიც მიხილავ და გაიხარებ."[12]

ამიტომაც ჩვენც, მდაბალნი მონანი შენნი, დიდო მოწამეო დიმიტრი გევედრებით, რადგან ესოდენ დიდი პატივი გაღირსა ღმერთმა, რომ გახდი მისი შვილი და მისმა მარჯვენამ აღგიყვანა სასუფეველში, რათა იხარებდე ანგელოზებთან ერთად. შენს სიტყვასა და ლოცვას ბევრი რამ შეუძლია, ამიტომაც მეოხ გვეყავ ჩვენც, ვინც ვმღელვარებთ ეშმაკთა მიერ გამართულ დიდ ქარიშხალსა და ამქვეყნიური ამაოების ტალღებში.

თუ ღმერთს სძინავს, ანუ თავს გვაჩვენებს თითქოსდა სძინავს, და არ უნდა ჩვენი მოსმენა, შენ გაქვს დიდი კადნიერება მის წინაშე და აღადგინე ის ძილისაგან და მეოხ გვეყავ შენ, ღირსო, ჩვენ უღირსთათვის; მეოხ გვეყავი

შენ, ღვთის მიერ შეყვარებულო, ჩვენთვის, ჩვენი ურჩობისა და ცნებათა დარღვევის გამო ღვთის მიერ შეძულებულებისათვის; მეოხ გვეყავი შენ, ღვთის სრულყოფილო მეგობარო, ჩვენთვის, ჩვენი ცოდვების გამო მისი მტრებისათვის.

დაცხრეს ქარიშხალი და დამშვიდდნენ ზღვის ტალღები, რადგან ვალდებულნი არიან შეასრულონ შენი ნება. იღვაწე, რომ ყველანი შეგვკრიბო შენს კურთხეულ ნავში, როდესაც მოგვიხმობს ყოვლადმოწყალე უფალი თავისთან საზღაურის გადახდის ტკბილ დღეს, რათა შენთან ერთად ვაკურთხებდეთ ყოვლად დიდებულ სახელს მამისა და ძისა, და წმინდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

კომენტარები:

მათე. 8-24

რომაელთა მიმართ. 05.10

ეფეს.I 9-10

ფსალმუნი 103: 32, 29.

მათე. 8.26

მარკოზი 4; 38

ილია და ელისე გზაზე მიდიოდნენ და იორდანეზე რომ გადავიდნენ ილიამ თავისი კვერთხით შუა განაპო მდინარე და ასე ხმელეთზე გადავიდნენ. და როდესაც ილია ემშვიდობებოდა ელისეს, მას დაუტოვა თავისი ხალენი, და უთხრა, რომ თუ უკან დაბრუნებისას იმავე მდინარეზეხალენით მოახდენდა სასწაულს, და მდინარე განიყოფოდა ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ, მასზე გადმოვიდოდა მისი მადლი. მართლაც ასე მოხდა, მდინარე გაიყო და ელისე უვნებლად გავიდა გაღმა.

[8] მარკოზი 4.41

გალატელთა 6,14

[10] გალატელთა 6. 18;39

იოანე 6,51

[12] აქ ტექსტში ბრჭყალებში ჩასმული ციტატა ეკუთვნის თავად მთხრობელს, ტექსტის ავტორს. ეს მისი ჩართული მონოლოგია

ქადაგება № 27

ბზობის კვირიაკეს[1]

„ კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანა მაღალთა შინა.“

მათე მახარობელი მოგვითხრობს დღევანდელი წმინდა დღესასწაულის ისტორიას, როგორ შევიდა უფალი და მაცხოვარი იესო ქრისტე იერუსალიმში: „და ვითარცა მიეახლნეს იერუსალიმად და მოვიდნენ ბეთბაგედ და ბეთანიად, მთასა მას ზეთის ხილისათასა, მაშინ წარავლინა იესუ ორი მოწაფეთა მისთაგანნი და ჰრქუა მათ: წარვედით დაბასა მაგას, რომელი არს წინაშე თქუენსა და მეყსეულად ჰპოოთ ვირი დაბმული და კიცვი მის თანა, აჰხსენით და მომგუარეთ მე იგი. და უკეთუ ვინმე გრქუას რაიმე, თქვენ არქუთ, ვითარმედ: უფალსა უხმენ ეგე, და მეყსეულად მოავლინნეს იგინი. ესე ყოველი იქმნა, რაითა აღესრულოს სიტყუაი იგი წინასწარმეტყველისაი, რომელ თქუა: არქუთ ასულისა სიონისასა: აჰა, ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა მშვიდი და ზე ზის იგი ვირსა და კიცუსა, ნაშობსა კარაულისასა.“[2]

მაგრამ ჩვენ ამჯერად გვერდზე გადავდებთ მახარებლის სიტყვებს და გავამახვილებთ ყურადღებას წინასწარმეტყველის სიტყვებზე: „აჰა, ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა მშვიდი.“ და არა მხოლოდ ეს ერთი წინასწარმეტყველი, არამედ წინასწარმეტყველთა მთელი კრებული ერთხმად აღიარებს უფალ იესო ქრისტეს, როგორც მეუფეს და ამიტომაც მას ეწოდება მესია (ანუ ცხებული მეფე).

მაგრამ შეიძლება ვიღაცამ იკითხოს ქრისტესთვის, ამქვეყნად რა დიდი სამეუფეო საქმე აჩვენა? ან რა საქები საქმე შეუსრულა? სად ჰყავდა კარისკაცნი? სად ედგა ტახტი? სად ჰყავდა სამეფო მსახურნი და ხალხთა სიმრავლე? სად ჰქონდა გერბი, სამკაულები და სხვა ნივთები, რომლებიც ეკუთვნის მეფეებს? მართალია, არც ერთი მსგავსი საგანი მას არ ჰქონდა, რადგან ქრისტეს სასუფეველი არის უხილავი და მიუწვდომელი, მარადიული და ურყევი, უძლეველი და უკვდავი, ზეციური და სულიერი და არა მიწიერი და ხორციელი. როგორც თავად უთხრა პილატეს: „მეუფებაი ჩემი არა ამის სოფლისაგანი არს“,[3] ამიტომაც ზეციურმა მეუფემ და მოძღვარმა სახარების მთელ საქმეს დაარქვა ცათა სასუფეველი, ანუ ყველაფერი, რაც წერია წმინდა სახარებაში არის ზეციური და ღვთაებრივი, რადგან წარმართავს ჩვენს გეზს ცათა სასუფევლის სწორ გზაზე. ზეციური სულით ჩვენ გვაძლიერებს და გვასწავლის, რომ ვიცხოვროთ ზეციური ცხოვრებით, რომ მოვიგოთ ცათა სასუფევლის სავანეები და გავხდეთ სრულყოფილნი, განმღრთობილნი და

ზეციურნი. ამიტომაც, რადგან ასეა მართებული, მაცხოვარმა იესო ქრისტემ მთელ სახარებას დაარქვა ცათა სასუფეველი, რადგან მასში სხვა არაფერია, გარდა ღვთაებრივი და ზეციური საქმისა.

ამიტომაც ამ მეუფეზე თითქოსდა თითით მიგვითითებს ზაქარია წინასწარმეტყველი: „აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა მშვიდი.“ ხედავდნენ რა ამ მეუფეს ფარისევლები, შურის გამო, ბოროტს ლაპარაკობდნენ, მაგრამ მცირეწლოვანი ყრმები, სული წმინდით შთაგონებულები, სიხარულის ხმებით ადიდებდნენ მას: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა; ოსანა მაღალთა შინა“, რაც იმას ნიშნავს, რომ გვაცხოვნე ჩვენ, რომელიც მოხვედ ზეცით.

ღირსეულმა და კეთილმა მეფეებმა მრავალი და გამორჩეული საქმენი უნდა აღასრულონ, მაგრამ მათი მთავარი დანიშნულება არის თავისი ერის დაცვა მტრების ხელყოფისა და შემოსევებისაგან. და ეს საქმე მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ შეასრულა სრულყოფილად, რადგან ჩვენ მუდმივად გარშემორტყმულნი ვართ ხუთი ძლევამოსილი მტრის მიერ, რომელნიც მუდმივად გვებრძვიან და ჩვენ დიდ და განუკურნებელ ჭრილობებს გვაყენებენ. ხოლო, ყოვლადძლიერმა ღვთაებამ ისინი სძლია და გაანადგურა. რომელია ეს ხუთი მტერი? ესენია: ცოდვა, სიკვდილი, ჯოჯოხეთი, ეშმაკი და ხორცი.

ცოდვა, მისი ყოვლადწმინდა სისხლის დათხევით ჩამქრალია და ვერაფერს დაგვიშავებს, თუ არ შეგვიპყრობს რაიმე ბოროტება. სიკვდილი, რომელიც ცოდვისგან წარმოიშვა, როგორც ამას ამბობს პავლე მოციქული: „ერთი ადამიანის მიერ ცოდვა შემოვიდა სოფელში, ხოლო ცოდვის მიერ სიკვდილი“ და რომელიც, როგორც უმოწყალო მტერი თავზე გვადგა, მაცხოვარმა თავისი სიკვდილით დათრგუნა. ჯოჯოხეთი, რომელიც ცოდვის სამართლიანი საზღაურია, თავისი იქ შთასვლით იესო ქრისტემ დააცარიელა და გაანადგურა. ეშმაკი, როგორც ყველა ცოდვის საწყისი და ჩვენი სულების მტანჯველი, დააბა და შთააგდო ჯოჯოხეთის ყველაზე ღრმა უფსკრულში. ხორცი კი, საკუთარი ვნებებითა და ჯვარზე სიკვდილით, დაიხსნა ვნებებისაგან და განწმინდა.

მაცხოვარმა იესო ქრისტემ, რომ ამ ხუთი უმოწყალო მტრისაგან გვიხსნა, წმინდა წერილის მოწმობიდან შეგვიძლია დავრწმუნდეთ. პირველი, ცოდვისთვის მალაქია წინასწარმეტყველი ამბობს: „გვიხსნის ყველა ჩვენი ვნებებისაგან და ყველა ჩვენს ცოდვას დაახრჩობს ზღვის სიღრმეში.“ ჩვენს ცოდვებს ასევე განასახიერებენ ფშვინიერი ეგვიპტელები, რომლებიც მისდევდნენ რა ისრაელის შვილებს, დაიხრჩვნენ მეწამულ ზღვაში (ანუ ქრისტეს სისხლში).

სიკვდილის შესახებ კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლეს მე-15 თავში პავლე მოციქული ამბობს: „ახალ ჟამს (ანუ საყოველთაო აღდგომის დროს) ჩვენი მტერი, სიკვდილი განქარდება და იმ დღიდან აღარ იარსებებს ადამიანებში სიკვდილი“.[4]

ჯოჯოხეთის შესახებ იგივე წმინდა მოციქული გვასწავლის: „არაფერი დამღუპველი არ დაემართება მათ, ვინც არიან იესო ქრისტეში, რომლებიც არა ხორცის, არამედ სულის მიერ არიან.“

ეშმაკის შესახებ თავად მაცხოვარი იესო ქრისტე ამბობს იოანეს სახარების მე-12 თავში: „ახლა არის სოფლის განკითხვის ჟამი; ახლა ამა სოფლის უფალი განიგდება გარეთ.“[5]

ხორცის ვნებებისაგან გვიცავს ჯვრის ძალა, რომელზეც ჩვენი ძველი ადამიანი[6] ჯვარცმულ იქნა, როგორც ნათქვამია ეს რომაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-6 თავში: „დაითრგუნოს ხორცი, ანუ ცოდვის ძალა, რომ აღარ ვემსახუროთ ცოდვას.“[7]

მაცხოვრის სიკვდილით ყველა მორწმუნეს მიეცა ძალა, რომლის მადლითაც ძლიერდება რა შინაგანი[8] ადამიანი, გარე [9]და ძველ ადამიანს ჯვარს ეცმევა მის ცოდვებთან და ვნებებთან ერთად, და ახალი ადამიანი[10] იმოსება სიწმინდითა და კურთხევით.

ხოლო თუ გნებავს შეიცნო ამ დიდებული მეფის ბუნება და ხასიათი მახარებელი (განმარტავს რა წინასწამეტყველის სიტყვებს) წერს: „მოვალს შენდა მშვიდი“.[11] როგორც წესი, ადამიანებს სურთ მეფის ხილვა ამპარტავნებით ქედმაღალს და მბრძანებლობდეს ძალაუფლებითა და დაშინებით. ხოლო ბრძენი სოლომონი ბრძანებს: „წყალობა და ჭეშმარიტება არის მეფის მცველები და სამართლიანობა აძლიერებს მის ტახტს“. შესაბამისად, „მშვიდი“ – არის ყველაზე დიდი და მაღალი ქება ჩვენი მეუფე ქრისტესთვის!

კარგად თქვა მის შესახებ ზაქარია წინასწარმეტყველმა: „მოვალს შენდა მშვიდი“. ამბობს მშვიდი და არა საშიში და მრისხანე, რადგან არ მოვიდა ჯვარის მოსახმობად, არ მოვიდა იმისათვის, რომ ხალხს დაუწესოს გადასახადები ან დაამძიმოს დიდი და მძიმე შრომით, და არც წაართვას მიწიერი ქონება იმისათვის. არამედ მოვიდა რომ გასცეს ზეციური სამკაულები. „მოვალს მშვიდი“, ანუ მოდის რომ დაითმინოს ტანჯვა, გვემა, დანერწყვა, დამცირება და დევნა; ხოლო მისი ხორცი, როგორც ამბობს ისაია წინასწარმეტყველი; „მისცა გვემისთვის და სახე მისი დანერწყვისათვის“. უფრო მეტიც, იმხელა სიმშვიდე ჰქონდა ამ მეფეს და იმდენი სიკეთე გვიბოძა ჩვენ, რომ როდესაც მოციქულს დასჭირდა თხოვნით მიემართა ადამიანებისათვის, იგი ქრისტესმიერ სიმშვიდეს სთხოვდა მათ: გაფუცებთ თქვენ, ძმანო სიმშვიდესა ქრისტესსა.

და რადგან ყველა ადამიანი მიყვება და ემორჩილება მეფეებს, ჩვენ როგორ არ უნდა მივმართოთ ჩვენი ცხოვრება ამ ჩვენი კეთილი და მშვიდი ზეციური მეფისკენ? მაგრამ ამის მაგივრად ჩვენს გულებში გაბატონებულია ველური მტაცებლების მრისხანება და შურისძიების სურვილი, ასპიდის ენა, გველის პირი, რომლებითაც მთელი დღეების განმავლობაში სხვებს ცილს ვწამებთ,

ვამცირებთ, მასხრად ვიგდებთ, ვაგინებთ და ერთიმეორეს ბოროტებასა და ზარალს ვუსურვებთ.

ამის შემდეგ მახარებელი მოგვითხრობს, რომ მოწაფეებმა შეასრულეს უფლის დავალება და მიუყვანეს ვირი და მასთან ერთად კვიცი. მაგრამ აღმოჩდნენ ისეთები, რომლებმაც დაუყვირეს, რას აკეთებთ, რატომ ხსნით კვიცსო?! ეს სიტყვები არ დაინერა ტყუილად მარკოზ მახარებლის მიერ, რადგან ამით მას უნდოდა ეჩვენებინა, რომ მომავალშიც ყოველთვის იქნებიან ისინი, რომლებიც შეეწინააღმდეგებიან მოციქულებს და ყველას, ვინც გაყვება მათ, ყველას ვინც მოისურვებს მიიღოს ქრისტე და იღვაწოს ხალხის სიკეთისკენ მოსაქცევად. რადგან ესეც წერია, რომ სიკეთის წინააღმდეგ აღსდგება ბოროტება, სიცოცხლის წინააღმდეგ - სიკვდილი და მართლის წინააღმდეგ-ცოდვილი.

ამის შემდეგ უფალი შეჯდა ვირზე და ხალხის მრავალრიცხოვან ჯგუფთან ერთად გაემართა იერუსალიმისკენ.[12] ხოლო, სიყვარულით აღძრულ ადამიანებს უხაროდათ ასეთი დიდებული შესვლა და ფინიკისა და ზეთისხილის ტოტებით ეგებებოდნენ მას და ამით ქადაგებდნენ არა მხოლოდ მის ძლევას, არამედ მის წყალობასაც. და ისინი, ვინც ანთებულნი იყვნენ ღვთაებრივი სიყვარულით, უფენდნენ ფეხქვეშ თავის ტანსაცმელს. მსგავსი თაყვანისცემა არ მომხდარა მანამდე არცერთი ძლევამოსილი მეფის მიმართ. მის მერე მსგავს თაყვანისცემას გამოხატავენ იესო ქრისტეს მიმართ ადამიანი რომლებმაც განაგდეს ძველი ადამიანები. მის ბოროტ ჩვეებთან ერთად და ქრისტეს სადიდებლად შეუდგნენ სულიერ ღვაწლს. რა თქმა უნდა, ამის გაკეთება აუცილებელია წლის სხვა დროსაც, მაგრამ ახლა განსაკუთრებით, მარხვის, ანუ სინანულის ჟამს გამოვხატოთ თაყვანისცემა და ქრისტესთან ერთად ჯვარზე ვაცვათ ჩვენი ცოდვები და მასთან ერთად აღვსდგეთ მარადიული ცხოვრებისათვის.

ამიტომაც, თუ გვსურს, რომ დავხდეთ უფალს ქრისტიანულად, ღირსებით და თაყვანისცემით, უარი უნდა ვთქვათ მრისხანებაზე, ჩვენგან ამოვნერწყვოთ შური, ჩავაქროთ მომხვეჭელობის სურვილი, დავახშოთ ცბიერი პირები და მგმობელი ბაგეები. თუ უსამართლოდ წავართვით ვინმეს რამე, უნდა დავუბრუნოთ და თუ გვაქვს რაიმე ჩვევა, რომელიც გვიბიძგებს უღირსი და ბოროტი საქმეებისკენ, ისიც უნდა განვაგდოთ. რადგან ყველაფერი ეს ეშმაკის საკვრელებია; და თუ ამას არ გავაკეთებთ ახლა, როდესაც ჩვენ თვალწინ გვაქვს იმდენი მაგალითი, და როდესაც ამისკენ მოგვიწოდებს მთელი ეკლესიის სწავლება, უფრო მეტიც, ქრისტეს მიერ გადატანილი სიკვდილი, ჯვარი, სამსჭვალნი, ლახვარი, გეემა და დანერწყვა, გინება, საკვრელები და სისხლის დანთხევა - როდესღა უნდა გავაკეთოთ და მოვიდეთ სინანულისკენ?!

და თუ გვინდა, რომ ღირსეულად და სიყვარულით შევხდეთ უფლის ვნებასა და აღდგომას და თუ გვინდა სუფთა გულით დავხვდეთ უფალს, რომელიც მოდის ჩვენს საცხოვნებლად, უნდა განვიძარცვოთ ძველი ადამიანის სამოსელი, დავამსხვრიოთ და გავსრისოთ ჩვენი ძველი ვნებები და მხოლოდ ასე შევძლებთ მის ღირსეულ მიღებას და მცირეწლოვან ყრმებთან ერთად, რომლებიც უბოროტონი არიან, მდაბალი გულით და სულიერი სიხარულით, ღირსებით ვღაღადებდეთ: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა. ოსანა მაღალთა შინა"![13]

კომენტარები:

ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულს ეხება ანთიმოზ ივერიელის რამდენიმე ქადაგება. კერძოდ, მე -16, მე-18 , 21-ე , 22-ე. განსაკუთრებულია ავტორის ინტერესი ამ დღესასწაულის მიმართ. მოცემული 27-ე ქადაგებაში სახარებაში განმარტებულია თუ როგორ უნდა მოვემზადოთ ქრისტეს დასახვედრად.

მათე 21, 1,2,3,4,5

[3] იოანე.18.36

აქ ავტორი საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს I კორ 15,26 შდრ.; „უკანაისკნელ მტერი იგი განქარდეს-სიკუდილი"

[5] შდრ „უტევე მაგას, დღედ დაფვლისა ჩემისა დამიმარხა ეგე" იოან. 11,7.

[6] ძველი ადამიანი – იგულისხმება მაცხოვრის ჯვარცმითა და აღდგომით ცოდვისაგან ჯერ გამოუხსნელი ძველაღთქმისეული ადამიანი.

[7] აქაც ანთიმოზი, რომაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-6 თავის 12 მუხლს, საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს.

[8] ინაგანი ადამიანი – იგულისხმება ღმერთისაკენ მიმართული ადამიანის სული.

[9] გარე ადამიანი – იგულისხმება ცოდვებით შეპყრობილი ადამიანის ხორცი.

[10] ახალი ადამიანი – იგულისხმება მაცხოვრის ჯვარცმითა და აღდგომით ცოდვისაგან უკვე გამოუხსნელი ახალაღთქმისეული ადამიანი.

[11] მათე 21,5.

[12] შდრ; იხარე დიდად, სიონის ასულო! აჰა, შენი მეფე მოდის შენთან, მშვიდი, ამხედრებული სახედარზე და ჩოჩორზე, ხრდალი ვირის ნაშიერზე (ზაქარია 9, 9; მათე 21, 5).

[13] ანთიმოზი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ იერუსალიმში დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეებს სიყვარულის გამომჟღავნების საშუალება მისცა, ხოლო მოძულეებსა და მტრებს - მისი შეცნობისა და სინანულად მოქცევისა.

ქადაგება № 28

წმინდა მოციქულთა სწორთა კონსტანტინე და ელენეს ხსენების დღეს[1]

„ყველა ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება, და ვინც თავს დაიმდაბლებს-ამაღლდება“[2]

შეუძლებელია ვინმემ მიაღწიოს ცხონების სიმშვიდეს, თუ მანამდე არ გაივლის მოთმინების კარიბჭეს.

შეუძლებელია ვინმე ამაღლდეს ნეტარების ზეციურ ქალაქში, თუ მანამდე არ გაივლის თავმდაბლობის გზას.

შეუძლებელია ვინმე აღვიდეს წმინდათა სასახლეში, თუ მანამდე აქ მიწიერ ქალაქში არ დაიმდაბლებს სულს.

შეუძლებელია ვინმე ქრისტესთან ერთად სუფევდეს ზეცაში, თუ მანამდე აქ ჯვრით ხელში არ გაივლის ქრისტეს გზას.

შეუძლებელია ვინმეს ამ ქვეყნად დარჩეს დიდი და ქებული სახელი, თუ მას ექნება ბოროტი და უღირსი საქმეები ჩადენილი.

ეს ყველაფერი იცოდა დიდმა კონსტანტინემაც და ნეტავ ვის ძალუძს აღწეროს მისი დიდი თავმდაბლობა?! ვის შეუძლია გამოაშკარაოს მისი სრულყოფილი ქრისტიანული ცხოვრება და მისი ქრისტიანული აზროვნება, რის წყალობითაც მას მიეცა ღვთაებრივი მადლი და ცათა სასუფევლის აღუწერელი სიხარულისა და ნეტარების თანაზიარება?!

რადგან, როდესაც დაიბადა ამ ქვეყნიურ ნათელში, გაიზარდა და დაუტევა მშობელთა სახლი ბრიტანიაში, მაშინ იგი ჯერ არ იყო ქრისტიანი, მაგრამ უკვე გაურბოდა წარმართულ აზროვნებას, გაურბოდა წარმართული ცხოვრების ბილწ ცხოვრებას და მიილტვოდა ქრისტიანული ცხოვრებისკენ.

და გადამწყვეტ ჟამს განა არ გამოაჩინა თავისი დიდი ქრისტიანობა?! როდესაც გაიგო მაქსენტის[3] წარმართული ცხოვრების უსამართლოებანი, რომლებსაც იგი სჩადიოდა ქრისტიანების წინააღმდეგ, მიუხედავად აუცილებელი რაოდენობის ჯარის არქონისა, მან მაინც წამოიწყო ომი მაქსენტის წინააღმდეგ, რადგანაც ღვთაებრივი განგებისაგან იყო გამხნევებული და სულიერად გაძლიერებული იმით, რომ გამოეცხადა ზეცაში ჯვარი, რომელსაც თან ჰქონდა წარწერა: „ამით დაამარცხებ“- ამ გამოცხადებით კეთილმორწმუნე კონსტანტინე იმდენად გაძლიერდა სულიერად, რომ იმდენად ძლიერად შეებრძოლა წარმართ მაქსენტის, რომ სრულად დაამარცხა ის და დაახრჩო კიდევაც მდინარე ტიბერის წყლებში.

ამ ზეციური ნიშნებით გამხნევებულმა კურთხეულმა იმპერატორმა იმდენად ბევრი გააკეთა ქრისტიანობისთვის, რომ ყველას უკვირს, ვისაც კი ესმის.

ადამიანი არის თავის თავში შეყვარებული პირუტყვი. რატომ არ უყვარს შრომა? რატომ არ უყვარს ღვაწლი? და რას არ აკეთებს იმისათვის, რომ ოღონდაც იყოს მოსვენებით, სიმშვიდეში და გაუფრთხილდეს თავის ჯანმრთელობას? და როდესაც არის ჯანმრთელი, რას არ აკეთებს, რომ დაშორდეს იმას, რაც მის ჯანმრთელობას ავნებს. რაღას არ ხარჯავს, რომ გაუძლოს ზამთრის ყინვას და ზაფხულის სიცხეს? და როდესაც არის ავად, რას არ გაიღებს, რამდენს არ ითმენს, რამდენს არ იტანჯება იმისთვის, რომ დაიბრუნოს ის, რაც დაკარგა? ადამიანი ყველაფერზე მიდის: ქონებას ხარჯავს, იღებს მწარე წამლებს, სვავს გულის ამრევ სითხეებს და სისხლსაც გამოიღებს ხოლმე და ყველაფერს აკეთებს საკუთარი ჯანმრთელობისათვის და ხორციელი გადარჩენისათვის. აქედან შეიძლება ყველა მიხვდეს რამდენად ტკბილია ჯანმრთელობა და რამდენად შეყვარებულია თავის თავზე ადამიანი.

მაშასადამე, ჯანმრთელობის ასეთმა სურვილმა, რომელიც სხვებს აიძულებს ყველაფერი გააკეთოს, შესაძლებელიც და შეუძლებელიც, კეთილშობილ კონსტანტინეს ვერაფერში ვერ უშველა. როდესაც მისი სხეული დაიფარა საშინელი წყლულებით, წმინდა კონსტანტინემ მაინც არ დაკარგა თავისი ქრისტიანული კეთილშობილება. არც ერთ ექიმს არ შეეძლო მოეძებნა მისთვის განმაკურნებელი წამალი.

ხოლო ჰურიები თავისი შურით ურჩევდნენ იმპერატორს მოეკლა დიდი რაოდენობის ჩვილი ბავშვი და ებანავა ამ ბავშვების თბილ სისხლში და ასეთნაირად თითქოს და დიდი კონსტანტინე განიკურნებოდა. როგორ ფიქრობთ, მიიღო ქრისტეს მოყვარე იმპერატორმა ეს რჩევა? რა თქმა უნდა, არა. რატომ? რადგან კეთილმორწმუნე იმპერატორმა თავისი დიდი რწმენით თქვა დიდი ხმით: „უკეთ იქნება ღვთის სიყვარულით მოვკვდე ავადმყოფი, ვიდრე დავიბრუნო ჩემი ჯანმრთელობა და სიცოცხლე მაგდენი უდანაშაულო სისხლის დანთხევით.“

ჭეშმარიტად მორწმუნე იმპერატორის პასუხია. მან უფრო მეტად დააფასა სხვების სიცოცხლე, ვიდრე თავისი საკუთარი. განა, არ გამოჩნდა ამით ქრისტეს მოყვარეობა? მე მგონი, რომ მთელმა ზეცამ და ყველა ანგელოზმა სიხარულით ადიდეს ღმერთი იმპერატორის ასეთი პასუხისთვის. განიხარეს ზეცაში წმინდანების სულებმა და ანგელოზთა დასებმა - ქერუბიმთა და სერაფიმთა, განიხარეს, დაინახეს რა იმპერატორში ღვთის ამდენად დიდი სიყვარული და რწმენა. ეს ყველაფერი დამტკიცდა იმით, რაც მოხდა მოგვიანებით, რადგან შემდეგივე ღამეს წმინდა მოციქულების, პეტრესა და პავლეს, მეშვეობით თავად ზეციურმა მეფემ – მაცხოვარმა იესო ქრისტემ გამოუცხადა მას,

რომ მისი სრულყოფილი სარწმუნოებისთვის მან მიიღო უშუალოდ ღვთისგან ხელდასხმა მოციქულთა სწორთა ხარისხში და წმინდა სილვესტრის[4] ხელით მიღებული ნათლობით მას მიენიჭა როგორც ხორცის, ასევე სულის ჯანმრთელობაც. მოინათლა მეორედ შობის ემბაზში და განიწმინდა ყოველი ავადმყოფობისაგან.

ჰოი, კონსტანტინე მეფის დიდო სარწმუნოებავ! ნეტა ვის ძალუძს გონებით ჩასწვდეს მას? და რადგან მაგხელა რწმენა ჰქონდა დიდ იმპერატორს მანამდე, სანამ შეიმოსებდა წმინდა ნათლისღების სამოსელს. უნდა ნახოთ, სარწმუნოების რაოდენ დიდ სიმაღლეზე ავიდა ნათლობის შემდეგ.

ირეოდა ეკლესიის მშვიდობა პირუტყვული არიოზული მწვალებლობის გამო და სარწმუნოების მართმადიდებლობა ებრძოდა ურწმუნოების ტალღებს, და ამ გაჭირვების ჟამს გამობრწყინდა კეთილშობილი კონსტანტინეს, როგორც ნათელი და ბრჭყვიალა ვარსკვლავი. მოიწვია რა ნიკეაში დიდი და ქებული კრება, დააცხრო ეკლესიის მღელვარება. როგორც წესი, ბუნება აჩენს სამკურნალო მცენარეს იქ, სადაც სიკვდილის მატარებელი თესლებია, მაგალითად, მორიელს აქვს მომაკვდინებელი შხამი, მაგრამ მას მერე, რაც თვითონ კვდება, ის გადაიქცევა სამკურნალო ნივთიერებად; გველგესლა იკბინება სასიკვდილოდ, მაგრამ მისი სხეულიდან კეთდება შხამის საწინააღმდეგო წამალი. ასევე ღვთის განგებამ ინება, რომ უწმინდური არიოზის დროს გაბრწყინებულიყო კურთხეული კონსტანტინე, რათა რწმენის ნათელით განედევნა არიოზის მწვალებლობის ბნელი ღრუბელი.

ჭეშმარიტად ანგელოზებრივი გონების უნდა ყოფილიყო, რომ გამოემჟღავნა წმინდა სწავლებები, რომელიც თვითონვე დაწერა ქრისტიანობის გასაძლიერებლად, ღვთის სადიდებლად, მრავალი ეკლესიის ასაშენებლად, გაჭირვებულების დასახმარებლად და ყველას მიმართ ქრისტიანული სიყვარულის გასაზიარებლად.

მოციქულთა სწორმა იმპერატორმა მიაღწია რა რწმენაში ასეთ სიმაღლეებს, როგორ ფიქრობთ, რაოდენ დიდად გაიზრდებოდა თავმდაბლობაში, რადგან თავმდაბლობა არის რწმენის ნაყოფი. შეხედეთ მის უთვალავ გამარჯვებებს და მიღწევებს, რომლებიც იყო უფრო მეტი, ვიდრე მისი სიცოცხლის დღეები. შეხედეთ მის უდიდეს ძალაუფლებას, რომელიც იწყებოდა შორეულ აღმოსავლეთში და სრულდებოდა დასავლეთში.

ასეთ დიდებულ და საშინელ იმპერატორს, ასეთ ძლევამოსილ ადამიანს რაოდენ ბევრი მიზეზი ექნებოდა, რომ ყოფილიყო ამპარტავანი, რომ დამტკბარიყო თავისი დიდებით, მაგრამ მან ეს არ გააკეთა; რადგან მას მოციქულთა სწორობის ხელდასხმა მიღებული ჰქონდა არა ადამიანებისგან, არამედ თავად ზეციერი მღვდელმთავრისაგან – მაცხოვარი იესო ქრისტესაგან, მას

ჰქონდა უფლება, რომ პირველი მჯდარიყო საეკლესიო წმინდა კრებებზე, მაგრამ, როგორც თავმდაბალი ადამიანი, არასდროს დამჯდარა პირველ ადგილას, არამედ მხოლოდ წმინდა მამების ბოლოს და არა სამეფო მაღალ სკამზე, არამედ დაბალზე და უბრალოზე.

კურთხეული იმპერატორის ბრძანებებით შენდებოდა ეკლესიები, სამლოცველო სახლები და ღვთისთვის სათნო სხვა შენობები. როგორც თავმდაბალი ადამიანი, ის ჩამოდიოდა მისი მაღალი დასაჯდომლიდან, ხელიდან უშვებდა თავის სკიპტრას, იხდიდა სამეფო სამოსელს, იხსნიდა ძვირფას გვირგვინს, როგორც უბრალო ადამიანი, სხვებთან ერთად თხრიდა საძირკვლებს და ეზიდებოდა ეკლესიებისთვის ასაშენებელ ლოდებს.

ჰოი, უსაზღვრო თავმდაბლობავ! ჰოი, მოდით უდაბნოს მოღვაწენო, და თავმდაბლობის მასწავლებელნო, მოდით და გაიკვირვეთ დიდი იმპერატორისა მოციქულთა სწორის თავმდაბლობით; აღიარეთ, რომ ასეთი თავმდაბლობისთვის ჯერ არავის მიუღწევია, არაა გასაკვირი, რომ თქვენ შესძელით მიგეღწიათ დიდი თავმდაბლობისათვის, რადგან მთელი ცხოვრება ებრძოლეთ ხორცის ცხოველურ ვნებებს, უარყავით უსარგებლო სურვილები, შეიყვარეთ აკრძალვები, უარყავით ამპარტავნება, ცხოვრება გაატარეთ სიწმინდეში, არ არის გასაკვირი, რომ გახდით თავმდაბლობის მაგალითნი, რადგან სოფლის განტევება და უპოვარება ამდაბლებს ადამიანის სულს.

მაგრამ დიდმა კონსტანტინემ, დიდმა იმპერატორმა, მსოფლიოს მბრძანებელმა, უზარმაზარი სამეფოთი და სრული ძალაუფლებით, როგორ მოახერხა და თავი დააღწია ამპარტავნებას, უფრო მეტიც, გახდა თავმდაბლობის ნიმუში და მაგალითი?! განა ეს არ არის სასწაულთა სასწაული?! განა არ არის დიდი სიწმინდის მაგალითი?! განა არ არის ზეციური ღმერთის მიერ მოცემული დიდი მადლის ნიშანი?!

და რადგან დიდი და მოციქულთა სწორი კონსტანტინე გაბრწყინდა თავისი გამორჩეული სათნოებებით, ის ყველა ქრისტიანს და ყველა ადამიანს, რომლებიც დღეს აღნიშნავენ მის ხსენებას, აძლევს მაგალითს იარონ წმინდა სიმამაცით ცხონების გზაზე, რომ მიიღონ ღვთის მიერ აღთქმული მადლი და გახდნენ ზეციური, მარადიული სიხარულისა და ნეტარების მატარებელნი.

წმინდა კონსტანტინე აძლევს მაგალითს მდიდრებს, რადგან თვითონ იყო ძალიან მდიდარი, მაგრამ სახარების ბრძანებისამებრ ის საგანძურს იგროვებდა ზეცაში. აძლევს მაგალითს კეთილშობილ ადამიანებს, რადგან ის იყო ყველაზე კეთილშობილი, მაგრამ აირჩია უბრალო და მარტივი ცხოვრებით ყოფნა. მაგალითს აძლევს მეფეებს, რადგან მაგხელა ძალაუფლების იმპერატორი იყო, მაგრამ მთელი ძალით ცდილობდა მოეხვეჭა ქრისტეს მიერ აღთქმული მადლი. მაგალითს აძლევს ხელოსან და მდაბალ ხალხს, რადგან მასში სიმდი-

დრე და დიდება დამარცხებულ იქნა სიკეთის კეთების სურვილით! ამ ყველაფ
რის შემდეგ როგორ არ გამრავლდებოდა აქ უბრალოება, რადგან უბრალოებ
არის სიკეთის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, როგორც ამას ამბობს დავით წინა
სწარმეტყველი?

გიხაროდენ, ჰოი, კურთხეულო იმპერატორო, ცათა სასუფეველში! ამაღ
ლდი ღვთაებრივი ნეტარების სიმაღლეზე სადაც აგიყვანა შენ სრულყოფილმ
თავმდაბლობამ. დაკრიფე შენი სარწმუნოების ნაყოფი, რომელიც დაგიგროვე
ბია უხვად ცათა სასუფეველში, რომელიც უხვად დაგითესია აქ დედამიწაზ
და დაგიგროვებია ცათა სასუფეველში. მაგრამ ნურც ჩვენ უღირსებს ნუ დაგ
ტოვებ შენი მფარველობის, შეწევნისა და მხურვალე მეოხების გარეშე ღვთი
წინაშე. უფრო მეტად ევედრე ღვთის სიტყვასა და ძეს, უფალსა ჩვენსა იეს
ქრისტეს, რომ დაიცვას ჯანმრთელად და ბედნიერად შენი სიკეთის ჭეშმარი
ტი ხატი, შენი ქრისტიანული ცხოვრების ნამდვილი მემკვიდრე და ქრისტე
მოყვარე, ჩვენი ქრისტიანი ბატონი და მთავარი [კონსტანტინე].

დაუმორჩილე მის ფეხქვეშ დასუსტებული და ღონედაცლილი მტრები, ის
ვე როგორც შენ დაამარცხე სარწმუნოების მოწინააღმდეგეები, რათა მრავა
ჟამს იდგეს მტკიცედ ჩვენი მთავარის მეუფება, რათა იყოს სამართლიანობი
მცველი, სიკეთის განმმრავლებელი და ბოროტების შემზღუდველი.

დაე, იდიდოს მაღალმა ღმერთმა, განმტკიცებულ იყოს ჭეშმარიტი სარ
წმუნოება, რომელთა ზიარების იმედიც გვაქვს შენი მეოხებით. დაე, ჩვენი მთა
ვარი, რომელიც შენს სახელს ატარებს, იქმნეს შენი სათნოებათა სრულყოფ
ლი მატარებელი. ამინ!

კომენტარები:

ანთიმი ამ თემას უძღვნის სხვა ქადაგებასაც. იხ. X ქადაგება

ლკ.14.11

[3] მაქსენტი – რომის იმპერატორი 306–312 წლებში.

[4] რომის პაპი წმინდა სილვესტრი, IV საუკუნის წმინდანი, მოღვაწეობდა იმპერ
ტორ კონსტანტინეს დროს. იგი კურნებათა სასწაულებითაა ცნობილი.

ქადაგება № 29

მაცხოვარ იესო ქრისტეს შობაზე

„რამეთუ არა სადაჲთ ანგელოზთაჲთ იწყო, არამედ ნათესავისაგან აბრაჰამისა იწყო.“ ამბობს ნეტარი პავლე მოციქული ებრაელთა მიმართ ეპისტოლის მეორე თავში.[1]

ორი გამორჩეული ბუნება შექმნა ღმერთმა, ანუ ანგელოზებრივი და კაცობრივი; რადგან ანგელოზები და ადამიანები ღმერთმა შექმნა თავისი ხატებისამებრ, როგორც ეს არის ნათქვამი შექმნათა წიგნში: „ვქმენით კაცი ხატებისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ.“ [2] მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ არა ხორცისთვის, არამედ სულისთვის არის ნათქვამი, რომ ადამიანი ღვთის ხატებად არის შექმნილიო, რადგან ღმერთი არ არის ხორციელი, არამედ სულია, როგორც ამბობს ამას მაცხოვარი ქრისტე: „სული არს ღმერთი“. ანგელოზი, ასევე არის სული, როგორც ამბობს ამას დავით წინასწარმეტყველი: „რომელმაც შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა“. ადამიანის სულიც სულია, როგორც ამბობს ამას იგივე წინასწარმეტყველი: „აღიღებს სულსა მისსა და აღარ იქმნა და მიწად იქმნება ..“

ღმერთი არის უხილავი, ანგელოზი არის უხილავი და ადამიანის სულიც არის უხილავი. ღმერთი არის უკვდავი, ანგელოზი არის უკვდავი და ადამიანის სულიც არის უკვდავი.

ღმერთს აქვს გონი და თავისუფალი ნება, ანგელოზს აქვს გონი და თავისუფალი ნება და ადამიანის სულსაც აქვს გონი და თავისუფალი ნება.

მაშასადამე, ორივე ბუნება დაცემულია ამპარტავნების გამო: ანგელოზის – რადგან მოინდომა ღმერთთან გათანასწორება, როგორც ამბობს ამას ისაია წინასწარმეტყველი მე-14 თავში: „მაღლა ღრუბლებში ავიჭრები, უზენაესს გავუტოლდებიო!“ ამიტომაც შთააგდო ღმერთმა ის ჯოჯოხეთის უფსკრულის წყვდიადში; ადამიანისაც – რადგან, ასევე, მოინდომა ღმერთთან გათანასწორება, მაშინ, როდესაც მიიღო გველის პირიდან ნათქვამი სიტყვები - რა დროსაც შეჭამთ კეთილისა და ბოროტების ცნობადობის ხის ნაყოფს, გახდებით, ვითარცა ღმერთნიო; და რადგან შეჭამა, გაგდებულ იქნა ედემის ბაღიდან და მიიღო წყევლა, რომ დაუბრუნდებოდა მიწას, რომლისგანაც შეიქმნა.

ხოლო, ახლა ღმერთი ადამიანებს უბოძებს უდიდეს წყალობას იმით, რომ იერთებს მათ დაცემულ ბუნებას; ხოლო ანგელოზებს ასეთ წყალობას არ აძლევს და შედეგად, იმათ ბუნებასაც არ იერთებს. ამის შესახებ გვეუბნება წმინდა პავლე მოციქული: „რამეთუ არა სადაჲთ ანგელოსთაით იწყო, არამედ ნათესავისაგან აბრაჰამისა იწყო“.

ამიტომაც, ჩემო საყვარელნო, დღევანდელ სიტყვაში მინდა აგიხსნათ, რატომ მიიღო ღმერთმა კაცობრივი ბუნება და არა ანგელოზებრივი; ასევე, რატომ მიიღო კაცობრივი ბუნება ძე ღვთისამ და არა წმინდა სამების რომელიმე სხვა პირმა – ან მამამ, ან წმინდა სულმა. ამ ყველაფრის შესახებ გეტყვით ძალ-

ზედ მოკლედ, რომ ზედმეტად არ დაგღალოთ, ამიტომაც ვევედრები მართალ ღმერთს, რომ მომცეს ძალა და შეწევნა, ხოლო თქვენ გთხოვთ სიყვარულით მოსმენას.

პირველი მიზეზი, რატომაც ღმერთმა მიიღო კაცობრივი ბუნება და არა ანგელოზებრივი არის ის, რომ ყველა ანგელოზი არ დაცემულა, არამედ ბევრი მათგანი დარჩა, ხოლო ადამიანები, თავდაპირველი ურჩობის ცოდვის გამო, ყველანი დაეცა. ამაში ჩვენ შეგვიძლია დავრწმუნდეთ ლუკას სახარების მე-15 თავში მოცემული მაცხოვარი იესო ქრისტეს იგავით: „ვის თქუენგანსა კაცსა ედგას ასი ცხოვარი და წარუწყმდეს მას ერთი მათგანი, არა-მე დაუტევნესა ოთხმეოც და ათცხრამეტნი იგი უდაბნოსა ზედა და წარვიდეს წარწყმედულისა მისთვის ვიდრემდე ჰპოოს იგი? და ჰპოოს რაი, დაისუას იგი მხართა თვისთა ზედა სიხარულით“.

იმ კაცში იგულისხმება თავად უფალი იესო ქრისტე, რადაგან ასე ამბობს დავით წინასწარმეტყველი: „გამოვალს კაცი საქმესა თვისსა და შრომასა თვისსა მიმწუხრამდე.“ ოთხმოცდაცხრამეტ ცხვარში იგულისხმება ანგელოზთა ცხრა დასი, რომლებიც ქრისტემ მიატოვა ზეცაში და წავიდა დაკარგული ცხვრის საძებრად, ანუ კაცობრივი ბუნების, რომელიც დაშორებული იყო ღმერთს და დაკარგული ამ სოფელში. რადგან ასე ამბობს დავით წინასწარმეტყველი ღვთის მიმართ: „დავკარგულვარ ვითარცა ცხოვარი, მომიძიე მონა შენი“.

მოიძია ქრისტემ ის დაკარგული ცხვარი და აიყვანა თავის მხრებზე, ანუ იტვირთა კაცობრივი ბუნება, როგორც ამბობს ამას უფლის მოციქული: „გამოჩნდა ხორცში“.

ამაში შეგვიძლია დავრწმუნდეთ ქრისტეს სხვა იგავითაც, სადაც ნათქვამია: „დედაკაცსა, რომელსა აქუნდა დრაჰკანი ათი და წარწყმიდოს ერთი, არა-მე აღანთისა სანთელი და მოჰმართოს სახლი და ეძიებნ გულსმოდგინედ, ვიდრემდე პოის იგი?“ [3]

იმ ქალში იგულისხმება ღვთაების მეორე პირი, რომელმაც დატოვა ზეცაში ცხრა დრაჰკანი, ანუ ანგელოზთა ცხრა დასი, გარდამოხდა დედამიწაზე დაკარგული დრაჰკანის, ანუ კაცობრივი ბუნების მოსაძიებლად, ანთებული სანთელითო, ანუ ღვთაებრივი სწავლებით. რადგან ასე ამბობს დავით წინასწარმეტყველი: „სანთელ არს ფერხთა ჩემთა ჰსჯული შენი და ნათელ ალაგთა ჩემთა“[4].

მოიძია ის დაკარგული დრაჰკანი ღვთაების მეორე პირმა, ანუ ძე ღვთისამ და შეიმოსა ადამიანის სხეული, როგორც ამბობს ამას იოანე წინასწარმეტყველი: „და სიტყუაჲ იგი ჴორციელ[5] იქმნა“.

ამიტომაც, ანგელოზები არ დაღუპულა ყველა, რადგან მათგან დარჩენილა ზეცაში ცხრა დასი, ხოლო ადამიანის ბუნება იყო სრულად დაკარგული, რომელშიც იგულისხმება დაკარგული ცხვარი და დრაჰკანი და რომლებიც მოიძია ქრისტემ.

მეორე მიზეზი, რატომაც ღმერთმა მიიღო კაცობრივი და არა ანგელოზებრივი ბუნება, იყო ის, რომ ადამიანმა შესცოდა სისუსტის გამო, რადგან

ხორცში იყო და ამ ხორცმა მიდრიკა კიდევაც ცოდვისკენ. სამი მიზეზის გამო შეიძლება სცოდავდეს ადამიანი: ან სისუსტის, ან უცოდინრობის, ან ბოროტი ბუნების გამო. სისუსტის გამო ჩადენილ ცოდვას ეძახიან მამა ღმერთის წინაამღდეგ ჩადენილ ცოდვას, რადგან მამა ღმერთი არის ყოვლადძლიერი.

უცოდინრობის გამო ჩადენილი ცოდვა არის ძის წინაამღდეგ ჩადენილი ცოდვა, რადგან ძე ღმერთი არის სიბრძნე.

ბოროტი ბუნების გამო ჩადენილი ცოდვა არის სული წმინდის წინააღმდეგ ცოდვა, რადგან სული წმინდა არის კეთილი.

ადამიანი თუ შესცოდავს სისუსტის ან უცოდინრობის გამო, ღმერთი შედარებით უფრო ადვილად შეუნდობს მას თუ, რა თქმა უნდა, ის შეინანებს. რადგან ასე ამბობს დავით წინასწარმეტყველი: „ცოდვას სიჭაბუკისა და უმეცრებისა ჩემისა ნუ მოიხსენებ". მაგრამ ადამიანი თუ სცოდავს ბოროტი ბუნების გამო, ანუ სული წმინდის წინაამღდეგ, ღმერთი აღარ შეუნდობს მას ასე იოლად. რადგან ასე ამბობს უფალი იესო ქრისტე: „ყველა ცოდვა და გმობა შეენდობა ადამიანს, ხოლო გმობა სული წმინდის წინაამღდეგ არ მიეტევება მას".

სასიკვდინო ცოდვა სულ შვიდია, რაც იგულისხმება, რომ ეს ცოდვები სულიწმინდის წინააღმდეგაა. ეჭვგარეშეა, რომ ეს ცოდვები არ მიეტევება ადამიანს, თუ არ მიიღო სათანადო განკურნება. პირველი ცოდვა არის ამპარტავნება, რომელიც წარმოშობს ქედმაღლობასა და ურჩობას; მეორე ცოდვა არის შური, რომელიც წარმოშობს მტრობასა და მკვლელობას; მესამე არის ვერცხლის მოყვარეობა, რაც იგივე კერპთაყვანისმცემლობაა, რომელიც ყველანაირ ბოროტებას წარმოშობს; მეოთხე არის სჯულის დარღვევა, ანუ ყველანაირი წესებისა და კანონების უგულებელყოფა, რაც წარმოშობს ურწმუნოებასა და ღვთის უარყოფას; მეხუთე ცოდვა არის მეგობრებსა და ძმებს შორის მტრობის დათესვა, ცოდვა, რომელიც თავად სატანამ ჩაიდინა, შესაბამისად, ვისაც ახასიათებს მსგავსი რამ, უშუალოდ ეშმაკს ემსგავსება; მეექვსე არის ბოროტი სასოება, რომელიც ახასიათებს ზოგიერთ მორწმუნეს იმ გაგებით, რომ აღარ ებრძვის ცოდვებს, ფიქრობს, ვითომ ღმერთი მას მაინც შეუნდობს, ამის გამო წარმოიშვება ღვთის უშიშრობა და ყველანაირი სიბილწე; მეშვიდე, ბოლო და დანარჩენზე ყველაზე მძიმე ცოდვა არის სასოწარკვეთა, ანუ ღვთის წყალობის არ რწმენა, რომ ღმერთი როდესმე შეუნდობს მას მის ცოდვებს, აქედან წარმოიშვება სულიერი სიკვდილი და ჯოჯოხეთის მარადიული ტანჯვა.

და ვისაც გააჩნია რომელიმე ამ ცოდვათაგანი და არ მოისურვებს გამოსწორებას, სჯობდა, რომ დედამისს არც გაეჩინა ეს ადამიანი, რადგან ამბობს ისაია წინასწარმეტყველი 48-ე თავში: „ვიცოდი, რომ ჯიუტი ხარ და რკინის ძარღვები გაქვს კისერზე და სპილენძის შუბლი". [6]

ამიტომაც მიიღო ღმერთმა კაცობრივი და არა ანგელოზებრივი ბუნება, რადგან ადამიანმა სისუსტის გამო შესცოდა მამა ღმერთის წინაამღდეგ, ხოლო ანგელოზმა შესცოდა ბოროტი ბუნების გამო, ანუ სული წმინდის წინააღმდეგ.

მესამე მიზეზი, რატომაც მიიღო უფალმა კაცობრივი და არა ანგელოზებრივი ბუნება, არის ის, რომ ანგელოზმა შესცოდა თავისივე ნებით, ხოლო ბე-

ჩავი ადამიანი შეაცდინა გველმა. რადგან ცოდვაც ორი სახისაა: ერთი -რომელსაც ჩვენ თვითონვე ჩავდივართ, ხოლო მეორე არის ის, რომელსაც ჩადის სხვა ადამიანი, მაგრამ ჩვენც ვხდებით იმ სხვისი ცოდვის თანაზიარნი. მაგრამ ღმერთი გვსჯის იმ სხვისი ცოდვების გამოც, ისევე, როგორც ეს ხდება ადამიანის სხეულში, რადგან, როდესაც ავადმყოფობს სხეულის ერთი ნაწილი, ყველა დანარჩენიც იტანჯება. ასევეა მსოფლიოშიც, რომელიც არის სხეული, ანუ ქრისტეს ეკლესია - ქრისტიანთა კრებული, ერთი ბოროტი ადამიანის გამო შეიძლება ღმერთმა ბევრი კეთილი ადამიანიც დასაჯოს, როგორც ეს არის ბევრ წიგნსა და ისტორიაშიც. მოციქულის სიტყვები გვასწავლიან, რომ „მცირე საფუარმა მთელი ცომი ამოიყვანა“, ასევე ერთი ადამიანის ცოდვამ და ბოროტებამ შეიძლება ბევრს მოუტანოს განსაცდელი.

ამიტომაც სთხოვდა დავით წინასწარმეტყველი ღმერთს, რომ შეინყალოს სხვისი ცოდვის გამო. ამიტომაც მიიღო ღმერთმა ადამიანის ბუნება და არა ანგელოზის, რადგან ანგელოზმა შესცოდა თავისივე ნებით, ხოლო ადამიანმა შეცდენით, ამ ცოდვის თანაზიარი, რა თქმა უნდა, გახდა ბოროტი ანგელოზიც, ანუ ეშმაკი, რადგან მან შეაცდინა ადამიანი გველის მეშვეობით.

მეოთხე მიზეზი, რატომაც მიიღო ღმერთმა კაცობრივი ბუნება და არა ანგელოზებრივი, იყო ის, რომ ანგელოზი უფრო დიდ პატივში იყო, ვიდრე ადამიანი; ამიტომაც ის ვალდებული იყო უფრო მეტად დაეცვა თავი ცოდვისაგან. რადგან, ვინც უფრო მეტ პატივშია, ის ჭია და მატლია. ასეა ნათქვამი იობის წიგნის 25-ე თავში: „აჰა, მთვარე რომ მთვარეა, ისიც ბნელდება და ვარსკვლავებიც არ არიან სუფთა მის თვალში! მით უფრო კაცი, რომელიც ჭიაა, და ადამის ძე, რომელიც მატლია!“[7] (ამიტომაც აუცილებელია, რომ სულიერი, ანუ ეკლესიური ადამიანი) იყოს მეტად წესიერი და პატიოსანი, ვიდრე ურწმუნო, რადგან ყველა უნდა ხედავდეს ეკლესიური ადამიანის კეთილ ცხოვრებას და მისგან მაგალითს იღებდეს.

ამიტომაც მაცხოვარი იესო ქრისტე სულიერ ადამიანებს ეძახის მარილს: „თქუენ ხართ მარილი ქუეყანისაი. უკეთუ მარილი იგი განქარდეს, რაითა-მე დაიმარილოს?“[8] ასევე მათ ეძახის ნათელს: „თქუენ ხართ ნათელი სოფლისანი“.[9] და იქვე აგრძელებს: „ეგრეთ ბრწყინავდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაითა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა“. [10] მათ ეძახის ქალაქს, როდესაც ამბობს: „ვერ ხელ-ეწიფების ქალაქსა დაფარვად, მთასა ზედა დაშენებულსა“.[11] ეძახის ასევე სანთელს ასეთი სიტყვებით: „არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე ხვიმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, და ჰნათობენ იგი ყოველთა, რომელნი იყვნიან სახლსა შინა“.[12]

რადგან ღმერთის მრისხანება მიმართულია არა იმდენად უბრალო ადამიანზე, როდესაც ის ცოდვას ჩადის, არამედ უფრო მეტად ეკლესიურ და პატივცემულ ადამიანზე. ამიტომაც ეკლესიურებს უფრო მეტად გვმართებს პატიოსნება და უფრო მეტად უნდა ვერიდოთ ცოდვებს.

მაშასადამე, ამ ოთხი მიზეზისთვის, რაც ვთქვი, მიიღო ღმერთმა კაცობრივი და არა ანგელოზებრივი ბუნება. მაგრამ, რატომ მიიღო ძე ღვთისამ კაცობრივი ბუნება და არა წმინდა სამების სხვა რომელიმე პირმა, მამამ ან სულმა წმინდამ? ამასაც ოთხი მიზეზი აქვს. პირველი, რადგან ძე ღვთისას სიბრძნეს

ეძახიან და მან მიიღო კაცის ხატება, რომ განკურნოს ადამიანის უგუნურება, რომლითაც ის ჩავარდა ცოდვაში.

მეორე, რადგან ძე ღვთისა არის უჟამო, ამიტომაც განკაცდა, რომ ძე კაცისაც გამხდარიყო მარადიული.

მესამე, როგორც ძე ღვთისა გახდა ძე კაცისა, ასევე ძე კაცისა უნდა გამხდარიყო ძე ღვთისა, როგორც ამას ამბობს იოანე მოციქული: „და მიეცათ მათ ძალა გახდნენ ძენი ღვთისა".

მეოთხე, რადგან ძე არის წმინდა სამების პირებს შორის შუა პირი, ამიტომაც განხორციელდა ძე ღვთისა, რომ გამხდარიყო შუამავალი ღმერთსა და კაცს შორის, როგორც ამას ამბობს პავლე მოციქული: „რადგან ერთია შუამავალი ღმერთსა და კაცს შორის, კაცი იესო ქრისტე".

რაც შეეხება მაცხოვარი იესო ქრისტეს შობას, რომელსაც აღნიშნავს დღეს ჩვენი წმინდა ეკლესია, არანაირი აზრი არ აქვს იმის გამოძიებას, თუ როგორ იშვა ძე ღვთისა მამისაგან დედის გარეშე და მერე, როგორ განკაცდა დედისაგან მამის გარეშე, რადგან ეს უდიდესი საიდუმლოა, რომელიც აღემატება ჩვენს გონებასა და ბუნებას. არამედ მხოლოდ რწმენითა და დიდების სიტყვებით უნდა ვცემდეთ თაყვანს მას, როგორც სიმართლის მზეს, ქალწულის საშოდან გაბრწყინებულს ჩვენთვის, რომლებიც ვსხედვართ წყვდიადსა და სიკვდილის აჩრდილში. მხურვალე გულებით შევსწიროთ მადლობა იმ უთვალავი და მრავალი სიკეთისთვის, რაც მან გაგვიკეთა, რადგან თავისი შობით მან განგვიახლა ჩვენი ბუნება. ხოლო მე, ულირსი, ვევედრები მხოლოდშობილ ძეს ღვთისას და ჭეშმარიტ ღმერთს, უბოძოს ჩვენს დიდებულ მთავარს, მთელ მის ოჯახს და ყველას, ჩვენს ქრისტიან მრევლს ჯანმრთელობა, მტკიცე და ბედნიერი ცხოვრება, და დავესწროთ მრავალ შობას სიკეთითა და კეთილდღეობით. ამინ!

კომენტარები:

ებრ 2. 16

დაბადება 1.26.

ლუკა 15.8

ფს. 118;105

ინ 1;14

ისაია 48: 4

იობი 25: 5-6

[8] მათე 5: 13

[9] მათე 5: 14

[10] მათე 5: 16

მათე 5: 14

[12] მათე 5: 15

ქადაგება № 30

ქადაგება მაცხოვარი იესო ქრისტეს შობაზე 25 დეკემბერს

„ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა ესერა გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა: რამეთუ იშვა დღეს თქუენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა“[1]

დღევანდელი წმინდა წერილის ეს სიტყვები უდიდეს სულიერ სიხარულს გვანიჭებს ჩვენ, მორწმუნეებს, და დღესასწაულის მოყვარულთ. ამ სიტყვებიდან ვსწავლობთ ორ სასწაულებრივ და ზებუნებრივ რამეს: პირველი, ვიგებთ სასიხარულო ამბავს, რომელიც არც მანამდე და არც მის მერე აღარ იქნება გაცხადებული; და მეორე, ვიგებთ ამბავს, რომელიც მთელ დედამიწაზე ნებისმიერ მნუხარებას, გლოვასა და ცრემლს წარხოცავს. დიდად მსურს, რომ ქადაგების ეს სიტყვები გავშალო თქვენ წინაშე, როგორც მდიდარი სუფრა, და მოგართვათ სულიერი ტრაპეზი და შეძლებისდაგვარად ნაირ-ნაირი ნოყიერი საჭმელების მაგივრად სახარების სიტყვები მოგართვათ. მათრობელი სასმელის მაგივრად, თქვენი ყოვლადბრძენი თავების ბარძიმები შევავსო დიდი სიხარულის სიტყვებით, და ამისათვის ვეევედრები ყოვლადძლიერ ღმერთს, რომელიც უცოდინართ აღავსებს სიბრძნით, განგვინათლოს გონება და შეგვეწიოს, რათა დავტკბეთ ქადაგების სიტყვათა ნადიმით და დავატკბოთ ჩვენი სულიერი გული და სასმენელნი.

ყველა სახელთა შორის, რომელთაც ისაია წინასწარმეტყველი უწოდებს მაცხოვარს, ყველაზე უპირატესი არის საკვირველი; და ნამდვილად მას შეჰფერის ეს სახელი, რადგან არა მხოლოდ ერთში, არამედ ყველა საქმეში მაცხოვარი იყო საკვირველი. საკვირველი იყო მისი ჩასახვა, მისი შობა, მისი ცხოვრება, სწავლება, სიკვდილი, აღდგომა, ზეცად ამაღლებაც; საკვირველი იყო მისი ამაღლების დიდებაც, რადგან მასთან ერთად ჩვენც საკვირველად ავმაღლდით. მაგრამ ჩვენი დღევანდელი დღესასწაული ყველაზე საკვირველია, რადგან როგორც მახარებელი წერს: „და შვა ძე იგი მისი პირმშოჲ და შეხჳა იგი სახუევლითა და მიაწვინა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო მათა ადგილ სავანესა მას.“[2] რა არის ამაზე დიდი საკვირველება, რომ ყოველთა უფალი ღმერთი იწვეს ბაგაში? განა არ იყო მისთვის ამ სამყაროში სხვა, უფრო შესაფერისი ადგილი? რა არის ამაზე დიდი საკვირველება და დიდება, რომ შემოქმედი ღმერთი დაგდებულ იქნეს პირუტყვთა სადგომში? ხედავენ ანგელოზები ზეცათა უფალს ნაგავში დაგდებულს და გალობენ: დიდება მაღალთა შინა ღმერთსა!

ეს შობა არ იყო მხოლოდ მაცხოვნებელი, არამედ საკვირველიც. რადგან, ერთის მხრივ, ჩვენ უნდა გვიკვირდეს ღვთის განგების სიბრძნე, ხოლო, მეორეს მხრივ, უნდა ვადიდოთ მისი საქმეების სიდიდე. რადგან მივიღეთ დღეს

ზეცისა და ქვეყნის მსაჯული, რომელმაც დახია ჩვენი ცოდვების სია, წყალობა ჰქმნა და დაამსხვრია ჩვენი ცოდვების ბორკილებიც.

დღეს მივიღეთ უფალი, რომელმაც ჩვენს მხრებზე არსებული ძველი მონობის უღელი დაამსხვრია და ამ სოფლის მწუხარება სიხარულად გადააქცია იმით, რომ ადამიანებს მოგვანიჭა მარადიული თავისუფლება. დღეს მივიღეთ მშვიდი და სათნო მეუფე, რომელიც ზეციური სამართლიანობის ნაბიჯებით დადის რა ამ სოფელში, გაანადგურა ბოროტისა და სულიერი მტრის ტირანია.

დღეს გამობრწყინდა ახალი ადამი, რომელიც არ არის უბრალო მოქალაქე, არამედ ცათა სასუფევლის უფალი და მბრძანებელი, რომელსაც აკრძალული ხის ნაყოფის მშვენება არ მოხიბლავს, გველი არ მოატყუებს და ქალი არ შეაცდენს.

დღეს გამობრწყინდა ნათელი ბნელსა შინა!

დღეს მაღალი ღმერთი, რომელიც არყევს ცასა და ცასა ცათასა, სოფელმა მიიღო ისე, რომ ვერც შეიცნო ის.

იხილეს ჩვენმა წინაპრებმა უთვალავი და დიდი სასწაულები, მაგალითად: მეწამული ზღვა გაიხსნა და გაატარა ისინი; ცეცხლი სვეტის სახით ემსახურა და გაუნათა ღამე; ღრუბელმა დაიცვა დღის სიცხისაგან და მზის სხივთა სიმხურვალისაგან; ზეცამ ანგელოზთა პური მისცა მათ; ხმელმა ლოდმა დასალევი ტკბილი წყალი გაუხსნა მათ; იორდანემ თავისი სწრაფი დინება უკუაქცია; მტერთა გალავანები საყვირის ხმისაგან დაეცნენ; მზემაც შეაჩერა თავისი მსვლელობა ცის კამარაზე და გაახანგრძლივა დღე. მაგრამ, მსგავსი სასწაული აქამდე არ მომხდარა და არც არასოდეს სმენია ვინმეს, რომ მხოლოდშობილი ძე ღვთისა, რომელსაც შიშით ემსახურებიან ანგელოზები, დღეს გვეცხადება ადამიანის ხორცში და იმ ხორცს განამღრთობს.

ამიტომაც ეს საიდუმლო რამდენადაც მაცხოვნებელია, იმდენად საკვირველიც, ადამიანის ენასაც ვერ ძალუძს მისი გამოთქმა და არც ანგელოზებს, რომელნიც გვახარებენ დღეს ამ ზეციური გალობით, არ ძალუძთ ამ სასწაულის გამოხატვა.

ნათქვამი იყო ავგუსტუს კეისრის მიერ გამოცემულ ბრძანებაში: რომ აღწერილიყო მთელი სამეფო, ანუ ყველა თავისი სახელისა და დაბადების ადგილის მიხედვით უნდა ჩაწერილიყო. ამიტომაც ამ ბრძანების გამო, რაკი იოსები გალილეის ქალაქ ნაზარეთიდან იყო, წავიდა ჰურიასტანს, დავითის ქალაქში, რომელსაც ერქვა ბეთლემი (რადგან ის იყო დავითის სახლისა და სამკვიდროსაგან), რათა მასთან დაწინდულ მარიამს, რომელიც იმ დროს ორსულად იყო, აღწერაში მიეღო მონაწილეობა. ყველასათვის გასაგებია რაოდენ რთული და დამქანცველი მოგზაურობა იქნებოდა, იმასაც გავითვალისწინებთ, თუ ვინ მოგზაურობდა და როგორ. რადგანაც ჟამი იყო ზამთრისა და სიცივისა და ცივი

ქარების გამო, მიწაცა და წყალიც გაყინული იყო; ამ პირობებში ახალგაზრდა და მოკრძალებული ქალწული, რომელიც არც სახლიდან გამოსვლას იყო ჩვეული და თან მშობიარობის ჟამიც უახლოვდებოდა, ასეთ ძნელსა და განსაცდელებით აღსავსე გზას ადგება. ნეტავ ბეთლემში მისულთათვის მოძებნილიყო მშობიარობისათვის შესაფერისი სახლი; მაგრამ სიღარიბის მოყვარულმა უფალმა თავად ინება, რომ მდაბალ გამოქვაბულში დაბადებულიყო.

და როგორც ამბობს მახარებელი, გამოქვაბულში მოუწია მშობიარობის ჟამი; და იყო ღამე, რომელიც მზეზე მეტად განათდა; ღამე, რომელშიც გაბრწყინდა მზე სიმართლისა. უფრო მეტიც, მე იმ დღეს ღამეს დავარქმევდი, რომელშიც პირველმა ადამიანმა, ადამმა, მოისურვა ღმერთის მსგავსი გამხდარიყო და შესცოდა. ხოლო ეს ღამე, რომელშიც გაბრწყინდა ამ სოფელში ზეციური ნათელი, ანუ ახალი ადამი, მას დავარქმევდი დღეს!

ხოლო წმინდა ქალწული მოუთმენლად ელოდა ამ ჟამს, რომელშიც ღმერთი იშვებოდა, როგორც ყრმა, რათა აეყვანა, მკლავებზე მიეწვინა, მოფერებოდა თავისი ხელებით, გამოეკვება იგი თავისი ძუძუთა რძით, და ეს ყველაფერი სიმშვიდითა და დუმილით.

როდესაც ღამემ თავის გზის ნახევარი გალია, ამა სოფლის ნათელში გამოვიდა მაცხოვარი, როგორც სიძე თავისი პალატებიდან; გამოვიდა, როგორც ყოველთა საუკუნეთა სასოება, ანგელოზთა სიხარული, ადამიანთა მაცხოვარი, მიცვალებულთა აღდგომა, წყალობის წყარო და სიცოცხლის ფესვი. გამოვიდა სიტყვა მამისა, ქალწულისაგან მიღებული ხორცით მოსილი; გამოვიდა შიშველი, რათა შეგვმოსოს ჩვენ; ღატაკი, რათა გაგვამდიდროს ჩვენ; მდაბალი, რათა აღგვამაღლოს ჩვენ ზეცაში; როგორც ყრმა, რომ გაგვხადოს ჩვენ სრულყოფილნი და გვიბოძოს მარადიული ცხოვრება. გეკითხებით, გაგონილა ოდესმე მსგავსი ამბავი? ან გსმენიათ, რომ კიდევ მოხდება მსგავსი რამ? იმ დროს, როდესაც კარგ, მაგრამ დროებითსა და წარმავალ ამბავს, დიდი სიხარული მოაქვს ადამიანებისათვის, ეს ამბავი შეუდარებლად უზომო სიხარულის მომტანია მთელი სამყაროსათვის! როგორც მზის სიმხურვალე აშრობს წყალს და ორთქლი დედამინიდან ზეცას აედინება, ხოლო შემდეგ წვიმის სახით კვლავ მიწაზე ეშვება, მიწა ხარობს და ნაყოფს იძლევა ამის გამო, ასევე მამაკაცის თესლის გარეშე, ნაყოფად გამოიღო მაცხოვარი იესო ქრისტეს სხეული, რომელიც არის ნათელი ჭეშმარიტი, გამოვიდა ამა სოფლის ნათელში და გაახარა მთელი კაცთა მოდგმა.

ღვთისმშობელი, ამქვეყნად მაცხოვარ იესო ქრისტეს შობამ, უფრო მეტად გაამშვენიერა, ვიდრე ნებისმიერი მინიერი ნივთებით შემკობილი რომ ყოფილიყო. ყველა სათნოებათა წყარო, რომელიც თავისი უბიწოებითა და ქალწულობით, ყოველგვარი ტკივილის გარეშე მოავლინა ამ სოფელში ეს წმინდა ყრმა.[3]

ბევრ ქვეყანაში არის წესი, რომ იმას, ვისაც ახალი ნაყოფი შემოაქვს გასაყიდად, ყველანაირი სავალდებულო საბაჟო გადასახადი ეხსნება. მსგავსად ამისა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელიც იმსახურებდა, რათა გათავისუფლებულიყო მშობიარობის „სავალდებულო“ ტკივილებისაგან, რადგან მან პირველმა და ერთადერთმა ამ სოფელში მოიყვანა ნამდვილი ახალი ნაყოფი. ყველა სხვა ქალს, რომელსაც ყრმა გაუჩენია ამ სოფელში, პირვანდელ ცოდვაში ჩასახული ძველი ნაყოფი მოუყვანია. ხოლო ის, ვინც შვა ყოვლადწმიდა ქალწულმა, ჭეშმარიტად არის ახალი ნაყოფი, რადგან იშვა კაცი, ჩასახული სიწმინდისაგან და არა მხოლოდ კაცი, არამედ ღმერთიც. ერთადერთმა მოიყვანა ამ სოფელში ეს ულამაზესი ნაყოფი, ამიტომაც გათავისუფლდა მშობიარობის ტკივილთა „ვალდებულებებისგან“ [1] და ამავე დროს არ დაკარგა ქალწულობის სიწმინდე. რადგან ვინც ამ სოფლად მოვიდა იმისათვის, რომ ყველა ადამიანი აქციოს წმიდად და უბიწოდ, განა საკუთარ დედას რამე ვნებას მიაყენებდა?

ამიტომაც რა შეიძლება იყოს მეტად დიდებული და საკვირველი, ვიდრე ეს შობა? რადგან განცვიფრებისგან ბნელდება ადამიანის გონება და არ ძალუძს ჩაწვდეს: თუ როგორ შვა ქალწულმა ძე? ამ დიდ ძღვენში, რომელიც ამ სოფელს მოევლინა, ორი ძღვენი იყო დაფარული: ერთი-სამყაროს შემქმნელი იშვება თავისი ქმნილებისაგან, ქალწული, რომელსაც არ მისდგომია მამაკაცი, თავად გაკვირვებულია თავისი საშოს ნაყოფით; და მეორე - ქალი ხდება თავისივე დასაბამის დასაბამი.

არ ვიცი, უწინარეს ყოვლისა, რითი ვიყო გაკვირვებული? უთესლოდ მუცლადღებით, თუ შობით, რომლის დროსაც განდიდდა ქალწულობა? არ არის გასაკვირი, რომ შობის შემდეგაც დარჩა წმიდა ქალწულად, რადგან შვა ის, ვინც არის ქალწულების საწყისი და ყოვლადწმიდა.

ვის შეუძლია გამოთქვას, თუ რა სიყვარულითა და ამავდროულად შიშით ჩაიხუტა თავისი ძე, რადგან რწმენით იყო სავსე და იცოდა, რომ იგია ჭეშმარიტი ღმერთი და ამავდროულად მისი შვილიც. თან საკუთარ თავზეც იცოდა, რომ დედაცაა და მსახურიც. ამის გამო, როგორც დედა სიყვარულით იხუტებდა, ეფერებოდა და ეამბორებოდა ყრმას, ხოლო, როგორც მსახური, მხოლოდ თავისი ყოვლადწმიდა ხელებით ბედავდა შეხებოდა ყოვლადძლიერ ღმერთს. რადგან იცოდა, რომ არც მღვდლებს ჰქონდათ უფლება შეხებოდნენ რჯულის კიდობანს, რომელიც ამ დიდი საიდუმლოს აჩრდილს წარმოადგენდა; იცოდა, რომ ის, ვინც ატარებდა უფლის წმიდა ჭურჭელს, პირველად თავად უნდა განწმენდილიყო, და თუ ძველი აღთქმის ტაძრის სპილენძს სჭირდებოდა ამხელა სიწმინდით მიდგომა, მითუმეტეს, რამხელა სიწმინდე დასჭირდებოდა სიწმინდის წყაროსა და სათავეს.

ამიტომაც, ყოვლადბრძენი ქალწული შიშითა და სიყვარულით, მრავა-

ლი ცრემლით, რომელთაც ღვრიდა თავისი შვილის სიყვარულის გამო, რწყავდა ყოვლადწმიდა ახალშობილი ყვავილის ბუტკოს, თან ხელში აიყვანა, სახვევლებში გაახვია, მკლავებში ჩაიხუტა და თავისი ქალწულებრივი ძუძუებით დაიწყო მისი გამოკვება.

და ის, რაც შემდეგ მოხდა, ნამდვილად აღემატებოდა ყველანაირ კაცობრივ გონებას, რადგან ნათქვამია: „და შეახვია სახვევლითა და მიაწვინა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო მათი ადგილი სავანესა მას“,[5] ის, ვინც არის ყოვლადმაღალი, შეახვია ისე, თითქოსდა ყველაზე მდაბალი და მცირე საგანი იყო. როგორ არ შევკრთები გაკვირვების გამო, რადგან ამ ყრმას, რომელიც მიწვენილია ბაგაში, ჩვენი რწმენის მზერა ზე რომ აღვმართოთ, მას დავინახავთ ზეცაში ღრუბლებიდან ელვათა კრთომას, ჭექასა და ქუხილს რომ წარმოქმნის, დავინახავთ, რომ იგია ის, ვინც განაგებს მზის, მთვარისა და ვარსკვლავების მსვლელობას და მთელი სამყაროს სიმყარესა და წესრიგს მართავს.

ვინ არის ის, ამდენად მცირე და ამავდროულად დიდი, ამდენად მდაბალი და ამავდროულად შემოუსაზღვრელი, რომელიც ბაგაში მიწვენილია და ამავდროულად ანგელოზთა ხმებით არის განდიდებული. ვინ შეიძლება იყოს მეტად მცირე და მდაბალი, რომ იშვას ვინმე ბაგაში, რადგან ეს ადგილი განკუთვნილია პირუტყვთათვის და არა ადამიანებისათვის; და ამავდროულად, ვინ შეიძლება იყოს მეტად დიდებული და ამაღლებული, რომ ამავე შობისას მთელი დედამიწა აღივსო ანგელოზების დასთა სიხარულის გალობით: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა!“ და აღივსო მთელი ცა ამ ტკბილი და მანუგეშებელი ხმებით. სად გაგონილა სამყაროს დასაბამიდან, ან რომელიმე ადამიანის დაბადებისას ეგალობათ ანგელოზებს? ადამიანო, შენი სისუსტის გამო, თუ არ შეგიძლია ირწმუნო, როგორ იშვა ღმერთი დედაკაცისაგან, იცოდე, რომ ის იშვა ქალწულისაგან. და თუ მიგაჩნია დამამცირებლად, რომ ჩვილი იყო უბრალო სახვევებში, შეხედე და განცვიფრდი, როგორი გალობით ადიდეს იგი, რა სიტყვებით ადიდა ის ანგელოზთა დასმა. და თუ საზიზღრად გეჩვენება პირუტყვთა ბაგა, აღმართე შენი მზერა და ზეცაში დაინახავ ახალ ვარსკვლავს, რომელიც მთელ სამყაროში ამოწმებს უფლის შობას. და თუ გწამს ის, რაც არის მდაბიო, ირწმუნე ისიც, რაც აღმატებულია. და თუ ჩაწვდები იმას, რაც თავმდაბლობიდან მოდის, ადიდე ისიც, რაც ზეციურია და ყოვლად მაღალი.

ვინ არ დაინახავს, რომ მასში, ვისშიაც დიდება და სიმდაბლეა გაერთიანებული, ორი ბუნება აქვს, რომელთაგან ერთი ღირსია დიდებისა, ხოლო მეორე სათნოების მიმღებია? ამ ორ ბუნებაზე მეტყველებს ისაია წინასწარმეტყველი: „ყრმა იშვა ჩვენთვის და ძე მოგვეცა ჩვენ“. როდესაც იგი ყრმას უწოდებს, გულისხმობს კაცობრივი ბუნების სიმდაბლეს, ხოლო, როდესაც ძეს უწოდებს, გულისხმობს ღვთაებრიობის სიმაღლეს.

ჩვენთვის იშვა ის, ვინც დაუსაბამოა, ამიტომაც იშვა მამა ღმერთისაგან, ქალწულისაგან იშვა ის, ვინც წვდება სამყაროს კიდეებს; მოგვეცა ის, ვინც დაუსაბამოა; იშვა ის, ვინც სხვაზე ბევრად ახალგაზრდაა; მოგვეცა ის, ვინც ყოველ მშობელზე უზენაესია; იშვა ის, ვინც მოკვდება; მოგვეცა ის, რომლისაგანაც ცხოვრება იშვება, და ასე შემდეგ; მოგვეცა ის, ვინც არის დაუსაბამო და იშვა ისიც, ვინც მანამდე არ არსებობდა. ერთი ზეობს, ხოლო მეორე თავს იმდაბლებს. თავად ზეობს და ჩვენ, მის მორწმუნეებს, გვიმზადებს სამკვიდროს; და არავინ იფიქროს, რომ განკაცებით რამენაირად დამცირდა მისი ღვთაებრივობის სიდიდე. იგი არ იშვა ანგელოზებისათვის, რადგან მათ, ვინც მადლში მყოფობს, არ სჭირდება ცხონება, მხოლოდ დაცემულებს აღარ შეეძლოთ გამართლება და ამიტომაც ჩვენ მოგვეცა და ჩვენთვის იშვა ძე ღვთისა.

მაშინ როცა დასნი ანგელოზისანი გალობით ადიდებენ უფალს, მით უმეტეს, ჩვენ, ადამიანებს, გვმართებს მისი ქება და მადლობის შეწირვა იმისათვის, რომ შეგვარიგა ჩვენ მამა-ღმერთთან. მთელ ქვეყნიერებაზე გადმოიღვარა უდიდესი სიხარული, გვიხსნა ბოროტისაგან, გაგვიხსნა სასუფევლის კარნი და სხვა უთვალავი სიკეთისათვის, რომელიც მოგვანიჭა და გვანიჭებს ყოველთვის, იმ ყველაფრისათვის, სულიერი სიხარულით, ქებით, მადლიერებითა და დიდებით ვთქვათ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა!“

და თაყვანი ვცეთ მის შობას და ფილოსოფოსებთან ერთად სიყვარულით, შიშითა და ღირსებით მივართვათ მას სათნოების ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური. ხოლო ოქროს ნაცვლად, როგორც ზეცისა, ქვეყნისა და ქვესკნელთა მეუფეს, მივართვათ ჭეშმარიტი სარწმუნოება; გუნდრუკის ნაცვლად, როგორც მარადიულ ღმერთს, მივართვათ სიყვარული; ხოლო მურის ნაცვლად, როგორც სამყაროს იმედს, მივართვათ ჩვენი კეთილი სასოება.

და ასეთი ძღვენის მირთმევით ჩვენ ვიქნებით უფალი იესო ქრისტეს შობის ნამდვილი თაყვანისმცემლები და მედღესასწაულენი, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ვართ უღირსნი, ვეუედრებით, როგორც მრავალმოწყალეს, გვიბოძოს მისი უსრულესი წყალობა; და როგორც მოწყალება ქნა და მისი განუსაზღვრელი სიმდაბლით დაამხო ამპარტავანი ლუციფერი, ასევე დაამხოს ჩვენი ყოვლადბრწყინვალე უდიდებულესობისა და ქრისტესმოყვარე მთავრის, იო კონსტანტინ ვოევოდას ხილული და უხილავი მტრები. და, როგორც მაცხოვარმა თავისი შობით განაახლა მთელი სამყარო და ადამიანთა სიცოცხლე, ასევე განაახლოს მისი უდიდებულესობის ცხოვრების წლები, რათა ღვთისათვის სათნოდ და მრავალჟამიერ აღნიშნავდეს ამ ნათელ დღესასწაულს ბედნიერებით, სრული ჯანმრთელობით, მშვიდობითა და კეთილდღეობით. და აღირსოს ღმერთმა ჩვენს მთავარს, რომ ხანდაზმულობამდის თავის მაღალ ტახტზე ბატონობდეს და სიკეთით მართავდეს მისთვის ჩაბარებული ერი და სამწყსო, მის

ღვთივკურთხეულ და განათლებულ ოჯახთან ერთად, მის განათლებულ ქალბატონთან, მის ყლორტებთან - ვაჟებთან და ქალიშვილებთან ერთად, მთელ კეთილშობილ თავად–აზნაურებთან ერთად, რომლებიც აქ არიან და ისინიც, ვინც ახლა აქ არ არიან, მთელ საქრისტიანოსთან და ქვეყანასთან ერთად, მეოხებითა და კურთხევით ყოვლადუსამღვდელოესთა მიტროპოლიტთა, ქრისტესმოყვარე ეპისკოპოსთა, მეოხებითა ღირსთა იღუმენთა, პატიოსანთა მღვდელთა და ყოველთა დასთა ეკლესიისათა. ერთითა პირითა და ერთითა გულითა, სულიერი სიხარულით ანგელოზებთან ერთად ვთქვათ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება!“ ამინ!

კომენტარები:

ლკ 2;11

ლკ 2;7

[3] ეს ერთ-ერთი რთულად გასაგები და სათარგმნი ადგილია ქადაგების ტექსტში: რთულია, როგორც ლინგვისტურ-სინტაქსურად, ისე საღვთისმეტყველო ნიუანსების თვალსაზრისითაც. დედანშია მამრობითი სქესის მხოლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი „el“ როცა წესით უნდა იყოს მდედრობითი სქესის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი „ea“. კონტექსტიდან უფრო ბუნებრივი ჩანს. ვფიქრობ, რომ წინადადება შეეხება ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს და ამიტომა უნდა ეწეროს „ea“ და არა „el“, შესაძლოა, აქ საქმე გვქონდეს გადამწერთა ან გამომცემელთა მექანიკურ ლაფსუსთან (მთარგმნელის შენიშვნა)

[4] ბიბლიის თანახმად, ადამისა და ევას დაცემის ერთ–ერთი შედეგი გახდა ის, რომ ქალებისთვის მშობიარობა გახდა მტკივნეული: “დედაკაცს უთხრა: სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ ორსულობას, ტანჯვით შობ შვილებს“ (დაბადება 3: 16).

[5] ლკ 2;7.

ქადაგება № 31

ქადაგება გარდაცვლილი ადამიანის გასვენებაზე

დიდად ვნებული და მომთმენი იობი, ბოროტთან დიდი შერკინების შემდეგ, წარმოჩნდა, როგორც მოთმინების კლდე, ბოროტმა წამშივე დაუცარიელა მთელი ქონება, წაართვა მთელი მისი ღირსება, სიმდიდრე, დიდება, წაართვა ასევე ყველა მისი ტოლი და იგი დარჩა მხოლოდ ერთი მეუღლის ამარა, სანაგვეში უსახლკაროდ მჯდომი, ძალზედ საცოდავ მდგომარეობაში, სავსე წყლულებითა და მატლებით. ეს ყველაფერი იმისათვის, რომ ბოროტი ეშმაკი შერცხვენილ და დამარცხებულიყო იობის სულის სიმამაცითა და მოთმინებით. როგორც დაწვრილებით მოთხრობილია მის ისტორიაში, მან არ დაგმო ღმერთი და თავისი ბაგეებით არ შესცოდა, რადგან იგი მთელი ამასოფლის სიამეს ამაოებად თვლიდა, ამ ცხოვრების საზრუნავს არაფრად მიიჩნევდა, თუმცა ტიროდა და მოთქვამდა: „სიკვდილს მოვუხმე, რომ გახდეს ჩემი მამა“,[1] ანუ იგულისხმა, რომ მამაჩემი არს სიკვდილი, რომელმაც მშვა მეო.

ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს, ჩემო საყვარელნო, იობის ეს სიტყვები? სიკვდილი, როგორც ცელი ჭრის და ანადგურებს, ხოლო მამა შობს. მაგრამ როგორ შეიძლება შობა და ხრწნადობა იყოს ერთად, რადგან ურთიერთსაწინააღმდეგონი არიან? იქნებ, მართალი იობი იმ მრავალ განსაცდელთა და დანაკარგთა გამო, რაც მან განიცადა, დაკარგა გონება და ამიტომ თქვა, რომ სიკვდილი მამაჩემიაო; ამ მრავალი ტკივილების გამო, არ იცოდა, რას ლაპარაკობდა?

არა, ჩემო საყვარელნო, არა!

არ დაუკარგავს გონება და კარგად იცოდა, რასაც ლაპარაკობდა. რადგან იცოდა, რომ ადამიანს არ ძალუძს ცხონება ვნებებისაგან და ამ ცხოვრების უბედურებათაგან გათავისუფლება, გარდა მხოლოდ სიკვდილით, როგორც მართალი იობი სხვა ადგილას ამბობს: „სიკვდილი არის ადამიანის განსვენება.“[2]

მაგრამ აქა ვდგავარ და მიკვირს, რატომ არ თქვა: სიკვდილს მოვუხმე, რომ ვცხონდე, არამედ ამბობს სიკვდილს მოვუხმე, რათა ჩემთვის იყოს მამაი,?

ჩემო საყვარელნო, მოისმინეთ ქრისტიანული სწავლება და განგება. შეიცანით, რომ ყველა ქრისტიანს აქვს სამი შობა: ერთი ხორციელი, მეორე სულიერი და მესამე მაცხოვნებელი. ხორციელი შობა არის ის, როდესაც ვინმე იშვება მამისაგან და დედისაგან, როგორც ამას ვხედავთ არა მხოლოდ ადამიანებში, არამედ ცხოველებშიც და ამიტომაც ქვია მას ხორციელი შობა, რადგან, როგორც ამბობს თავად მაცხოვარი იესო ქრისტე: „რაც იშვება ხორცისაგან ხორცი არს.“

მეორე შობა არის სულიერი, რომელიც არ ეძლევა ყველა ადამიანს, არამედ

მხოლოდ იმათ, ვინც იშვა სულიერად, წმიდა ნათლობის საბანელში, როგორც ამას ეუბნება იესო ქრისტე თავის ფარულ მოწაფეს, ნიკოდიმოსს: „ვინც არ იშვება წყლისაგან და სულისაგან, არ ძალუძს შევიდეს ცათა სასუფეველში“.

ხოლო მესამე შობა, როგორც უკვე ვთქვი, არის მაცხოვნებელი. ამაზე ლაპარაკობს იობი, როდესაც ამბობს, რომ სიკვდილი მისთვის მამაა, რადგან როგორც პირველი, ანუ ხორციელი შობის დროს, ადამიანი თავისი დედის საშოს ბნელი საპყრობილედან გამოდის და მზის სინათლეს ხედავს; მეორე შობის დროს, ანუ წმიდა ნათლობის საბანელის მიღებისას, ურწმუნოების სიბნელიდან გამოდის და ღვთის ცნობიერების ნათელში შემოდის, და თვითონაც იწყებს ნათებას წმინდა სამების სამპიროვანი ნათელით; ასევე მესამე შობისას, რომელიც მაცხოვნებელია, იშვება ადამიანის სული და გამოდის სხეულის სიბნელისა და უწმინდურებებისაგან და როგორც საპყრობილედან გამოსული მარადიული ცხოვრების, ნეტარების, დიდებისა და ნათელის სახილველად მიდის!

ამ მაცხოვნებელი შობის ნახვა ასევე სურდა დავით წინასწარმეტყველს, რომელიც ამბობდა: „გამოიყვანე საპყრობილით სული ჩემი, რაითა აუვარო სახელსა შენსა.“[3] ასევე პავლე მოციქული ამბობს: „გული მეტყჳს განსლვად და ქრისტეს თანა ყოფად, უფროჲს და უმჯობეს ფრიად.“[4]

ეს მესამე შობა არის ბევრად უკეთესი და სასარგებლო, ვიდრე დანარჩენი ორი, რადგან ხორციელ შობას ქვია ბნელი შობა, ხოლო სულიერ შობას, როგორც წმინდა ნათლობის შობას ეძახიან ნათელს. ამიტომაც წმინდა ნათლობას ხშირად ნათელს უწოდებენ, ხოლო მონათლულებს - ნათელღებულებს.

ხოლო მესამე შობა - სიკვდილი, რომელიც მაცხოვნებელი და მართალია, კეთილმორწმუნე ადამიანს ემართება, რადგან გარდაცვალების შემდეგ ადამიანს აღარ ძალუძს შეცოდება.[5]

ამიტომაც, ყველა ჩვენს მორწმუნე მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად ვაცილებთ მიცვალებულს სასაფლაომდე (ან ეკლესიამდე) პატიოსან მოძღვრებთან, მორწმუნე ქრისტიანებთან ერთად; მივაცილებთ მას წმინდა გალობით, დანთებული სანთლებით, კმევით, სადიდებელი და სავედრებელი ლოცვების წარმოთქმით.

ამ შობით დაიბადა დღეს ჩვენი ნეტარი ძმაც (სახელი), რომელიც გარდაიცვალა. და მის შემდეგ, რაც შესრულდა ყველანაირი ქრისტიანული წესი და საყოველთაო ვალდებულება - მას საფლავამდე მივასვენებთ, რათა სამუდამოდ დატოვოს ეს ცხოვრება. ჩვენ სავსენი ვართ იმედით, რომ თავის დროზე ვიხილავთ მას საიქიო ცხოვრებაში. ამისათვის ყველამ უნდა შევუნდოთ მიცვალებულს. სულის სიღრმიდან მთელი გულით გთხოვთ ყველას, რომ ვთქვათ: ღმერთმა შეუნდოს! რადგან იცხოვრა ჩვენთან ერთად, როგორც

ადამიანმა ამსოფელში; შეიძლება ვიღაცას აწყენინა, მწუხარება მიაყენა, სიტყვით ან საქმით, ამიტომაც ყველამ ერთად ვთქვათ: ღმერთმა შეუნდოს! რადგან ამ გზის გავლა მოგვიწევს ყველას და ჩვენც გარდაცვალების შემდეგ, ცოცხალთაგან მივიღოთ ჩვენი ცოდვების შენდობას. კიდევ ერთხელ, მესამედ ვთქვათ: ღმერთმა შეუნდოს მას, და ჩვენ შეგვიწყალოს და გვაცხოვნოს, რამეთუ კეთილ და კაცთმოყვარე არს! ამინ!

კომენტარები:

იობი. 17

იობი. 3.

ფს 141;7

ფილიპელთა 1,23.

ეს ფრაზა ეხმიანება კირკეგორის ცნობილ დებულებას, რომ თუ ადამიანს არ სწამს, იგი ვერ მოკვდება.

ქადაგება № 32

ქადაგება მიცვალებულ ადამიანზე

მწუხარე, საცოდავი და მწარეა სიკვდილის ზემოქმედება ადამიანზე; ურჩობის ცოდვის გამო სიკვდილით დასჯილ ჩვენს წინაპარ ადამს ღმერთმა უთხრა: „მიწა ხარ და მიწად იქეც!“ მაგრამ, თუ მთელი გულითა და გონებით დავუფიქრდებით ამ სასჯელსა და ღვთის განგებას, დავინახავთ, რომ სიკვდილი არ არის ტანჯვა და სასჯელი, არამედ სიკეთეა და დიდად სასარგებლო რამ. ღმერთს, რომ ადამიანისთვის სიკვდილი არ დაეწესებინა, მაშინ ბოროტება დარჩებოდა უკვდავი და ცოდვა შეუმუსრავი. ამიტომაც არის წმიდა წერილში ნათქვამი: „ნუსადა მიყოს ხელი თვისი და მიიღოს ხისაგან ცხოვრებისა და ჭამოს და ცხონდეს უკუნისამდე.“[1]

მიხვდით ახლა მიზეზს? მას შემდეგ, რაც კაცმა იგემა ცნობადის ხის ნაყოფი და დაეცა ურჩობის ცოდვით, ღმერთმა არ მიუშვა, რომ ცხოვრების ხის ნაყოფიც ეგემნა, რადგან ამ შემთხვევაში ბოროტება დარჩებოდა უკვდავი, და ადამიანი მარადიულად ცოდვით დაცემულ მდგომარეობაში დარჩებოდა. ამაზე დიდი და საშინელი ბოროტება რა იქნებოდა დაცემული ადამიანისათვის, რომ მარადიულად ასეთ მდგომარეობაში ეცხოვრა?

ამიტომაც დიდი წყალობა და მაკურნებელი მადლი მისცა ღმერთმა ადამიანს იმით, რომ მომკვდარიყო და გახრწნილიყო ეს ცოდვით დამძიმებული ხორცი, რათა საყოველთაო აღდგომის ჟამს, ისევ აღსდგეს სულიერი, უხრწნელი და უკვდავი ხორცით. დიდი სარგებელი მოაქვს ადამიანისათვის სიკვდილს, როგორც ამას ამბობს წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი: ნადგურდება ცოდვა, რათა ბოროტება არ დარჩეს მარადიული და ამქვეყნიური ტანჯვა გადაიქცეს წყალობად და კაცთმოყვარეობად. ამიტომაც წმიდა წერილში ნათქვამია: „მიწა ხარ და მიწადცა მიიქცევი“. ამიტომაც უფალმა ღმერთმა გამოიყვანა ადამი ედემიდან, რათა იქნეს იმ მიწის მუშაკი, რომლისგანაც თვითონვე იქნა შექმნილი. ამიტომაც ნათქვამია: „ოფლისა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა ვიდრე მიქცევამდე შენდა მიწად, რომლისაგან მოშორებული იქმენ“.[2]

ამიტომაც შეიმოსეს ლეღვის ფოთლები, ამიტომაც შეიმოსეს ტყავის სამოსელი, რომელიც, როგორც განმარტავს წმინდა გრიგოლი: „ნიშნავს მძიმე და მოკვდავ სხეულს“.

ამიტომაც, ჰოი, ჩემო საყვარელნო მსმენელებო, ჩვენი მიცვალებული დღეს განიმოსა ცოდვით დამძიმებული სხეულისაგან და დააგდო იგი მიწაზე, როგორც ძველი და გაცვეთილი პერანგი.

ვამბობ, რომ ეს ნეტარი გარდაცვლილი ჩვენი ძმა (სახელი),[3] განიმოსა ამ სხეულისაგან, რათა შეიმოსოს სხვა, უხრწნელი სხეულით, დატოვა

ამქვეყნიური სამყოფელი, რომ მოიღოს სხვა სამყოფელი ზეცაში, როგორც ამას ამბობს წმინდა პავლე მოციქული: რადგან ვიცით, თუ დაიშლება ჩვენი სხეულის ამქვეყნიური სახლი, ღვთისგან გვაქვს ზეცაში სხვა მარადიული და ხელთუქმნელი სახლი. ამიტომაც მივაბარებთ მის ნეტარ სულს ღვთის ხელებში, პატიოსანი მღვდლების კრებით, მორწმუნე ქრისტიანების სიმრავლით, წმინდა გალობით, დანთებული სანთლებით, კმევით და ყველანაირი სავედრებელი და სადიდებელი ლოცვებით.

ამ შობით დაიბადა დღეს ჩვენი ნეტარი ძმაც (სახელი), რომელიც გარდაიცვალა. და მის შემდეგ, რაც შესრულდა ყველანაირი ქრისტიანული წესი და საყოველთაო ვალდებულება - მას საფლავამდე მივასვენებთ, რათა სამუდამოდ დატოვოს ეს ცხოვრება. ჩვენ სავსენი ვართ იმედით, რომ თავის დროზე ვიხილავთ მას საიქიო ცხოვრებაში. ამისათვის ყველამ უნდა შევუნდოთ მიცვალებულს. სულის სიღრმიდან მთელი გულით გთხოვთ ყველას, რომ ვთქვათ: ღმერთმა შეუნდოს! რადგან იცხოვრა ჩვენთან ერთად, როგორც ადამიანმა ამსოფელში; შეიძლება ვიღაცას აწყენინა, მწუხარება მიაყენა, სიტყვით ან საქმით, ამიტომაც ყველამ ერთად ვთქვათ: ღმერთმა შეუნდოს! რადგან ამ გზის გავლა მოგვიწევს ყველას და ჩვენც გარდაცვალების შემდეგ, ცოცხალთაგან მივიღოთ ჩვენი ცოდვების შენდობას. კიდევ ერთხელ, მესამედ ვთქვათ: ღმერთმა შეუნდოს მას, და ჩვენ შეგვიწყალოს და გვაცხოვნოს, რამეთუ კეთილ და კაცთმოყვარე არს! ამინ!


კომენტარები:

შესაქმე, 3. 24.

შესაქმე, 3.21.

ტექსტში არ არის მოხსენიებული კონკრეტული სახელი, უბრალოდ სიტყვა"სახელს" ხმარობს ავტორი.

ანთიმოზ ივერიელის სხვა თხზულებები



"ანთიმოზ ივერიელის მონასტრის ტიპიკონი"[1]

დარიგებანი ყოველთა წმინდათა სახელობის წმინდა მონასტრის ტიპიკონისათვის, ანუ 32 თავი, რომლებშიც თავმოყრილია მონასტრის მთელი მართვა-გამგეობა, მონასტრის შემოსავლებიდან მთელი წლის განმავლობაში ღარიბთა და გაჭირვებულთათვის მოწყალების გაცემის წესი. ამ სახით დადგენილია ჩვენ მიერ, ქტიტორის მდაბალი უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტის ანთიმოზ ივერიელის მიერ. მაღალ ყოვლად უბრწყინვალესი მთავრის იო კონსტანტინე ბრინკოვიანუს ბასარაბ ვოევოდას მმართველობის ჟამს.

სამყაროს დასაბამიდან 7221 წლის 24 აპრილი, როდესაც დაიწყო ტაძრის მშენებლობა.

ყოველი სული აქებდით უფალსა!

ს ა რ ჩ ე ვ ი

ამ წიგნში შესული თავებისა

მონასტრის ხელშეუვლობისათვის
იღუმენთათვის[2] ---------- 201
ეპიტროპთათვის[3] ---------- 201
ბერთათვის ---------- 201
მღვდელთათვის ---------- 202
ბავშვთა განათლებისათვის ---------- 203
მიცვალებულთა დაკრძალვისათვის ---------- 204
პატიმართა და უპოვართათვის მოწყალების გაღებისათვის ---- 205
შიშველთა შემოსვისათვის ---------- 205
ქალიშვილის გათხოვებისათვის ---------- 205
უცხოელთა მიმართ ზრუნვისათვის ---------- 206
კანდელთათვის ---------- 206
ოთხი წმინდანისა და პანაშვიდებისათვის ---------- 206
წირვებისათვის ---------- 207
მომსახურეთა საზღაური და მათი მართვა ---------- 208
ნაყოფის შემომწირველთათვის ---------- 208

სტამბისათვის ---------- 209
ბიბლიოთეკისათვის ---------- 209
დავთართა განახლებისათვის ---------- 210
მღვდელმთავართა დავანებისათვის ---------- 210
მიტროპოლიტის შესაწირავისათვის ---------- 211
ავადმყოფთა ზრუნვისათვის ---------- 211
იღუმენის[4] დაკრძალვისათვის ---------- 212
ეპიტროპთა საქმიანობისათვის ---------- 213
შემოსავლების მეათედისათვის ---------- 214
იღუმენის არჩევისათვის ---------- 214
ეკლესიის[5] შემოსავლებისათვის ---------- 215
სკიტებისათვის ---------- 216
მოსახსენიებლისათვის ---------- 216
ეპიტროპთა პატივისცემისათვის ---------- 216
მოწყალების გაორმაგებისათვის ---------- 216
თავების წაკითხვისათვის ---------- 217

დარიგების სხვა თავები

1. წმინდა ზიარებისათვის ——————————
2. მონასტრის შემოწირულობებისათვის ——————————
3. რათა მონასტერში არ იქნეს დამალული უცხო ქონება ——
4. რათა სხვისი მამული არ იქნეს ხელყოფილი ———
5. ეკლესიის შიგნით არსებული საფლავებისათვის ———
6. ეკლესიის პირველი ეზოს მოვლისათვის ——————
7. ჩვენი პანაშვიდისათვის ——————————
8. სხვათა ნივთების შენახვისათვის ——————————

წინასიტყვაობა

უპოვართა და ეკლესიათა კეთილისყოფა უპირატესად გამორჩეული საქმიანობაა ღვთის წინაშე. თავადაც ვიცით წმინდა სახარებიდან, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე არავის ჩათვლის ზეციური სასუფევლის მკვიდრად, თუ მან ამქვეყნიურ ცხოვრებაში კეთილი საქმენი არ მოიმოქმედა: ღარიბთათვის არ გაიღო მოწყალება, მშიერნი არ დააპურა, მწყურვალენი არ დაარწყულა, შიშველნი არ შემოსა, უცხონი არ ანუგეშა, ავადმყოფნი და პატიმარნი არ მოიკითხა.

ღვთივგანბრძნობილმა მოციქულმა - პავლემ უწყოდა, რომ კეთილი საქმეები ადამიანს სულის ცხონებაში ეხმარება; ამიტომაც ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-13 თავში, იგი გვასწავლის: არ დავივიწყოთ და ყოველთვის მოშურნეობით შევასრულოთ მისი დარიგება: „ხოლო კეთილისა საქმესა და ზიარებასა ნუ დაივიწყებთ, რამეთუ ესევითარნი მსხუერპლნი სათნო არიან ღმრთისა."[6]

ამ აზრით მოცულმა მე, მდაბალმა უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტმა ანთიმოზ ივერიელმა, ჩემი სულის მცირეოდენი სარგებლისა და მოხსენიებისათვის როგორც ამსოფლად, ისე გარდაცვალების მერე, ამ წმინდა სავანის საძირკვლის ჩაყრა და აშენება გადავწყვიტე, სადიდებელად ღვთისა და ყოველთა წმინდათა თაყვანისცემად. ამ მცირე მონაგრით, რომელიც ღვთის წყალობამ მომმადლა, ასევე დიდი შრომითა და ოფლის დენით დავასრულე და შევამკე იგი, რაც ყველას შეუძლია, იხილოს. ასევე ჩემი შესაძლებლობის შესაბამისად დავუდგინე მცირე შესაწირავი: პირველი - რომ ღვთის სახლს ჰქონდეს შესაფერისი მშვენება და წესრიგი, მეორე - რომ ამ ეკლესიის ყველა შემომწირველი, ჩემთან ერთად, მარადის იქნეს მოხსენიებული.

რადგანაც სიკეთე სიკეთედ არ ჩაითვლება, თუ მას კეთილად არ აღასრულებ, ამიტომ ეს თავები ჩვენ შევადგინეთ იმისათვის, რომ ისინი დარჩეს უცვლელი, ხოლო მონასტრის მართვა ყოველთვის იყოს ღვთის შიშით, სიბრძნით, ღრმა დაფიქრებითა და წესრიგით, ისე როგორც თავიდანვე მქონდა ჩაფიქრებული და როგორც ამას კეთილად მართვის კანონი მოითხოვს.

ეს ტიპიკონი და ყველანაირი საქმის მართვის წესი, რომელიც ჩვენი სიმდაბლით დაიწერა ბუქარესტში ღვთის სადიდებლად და ყოველთა წმინდანთა თაყვანისცემისთვის, ჩვენ მიერ აშენებულ ეკლესიაში მუდმივად და უცვლელად უნდა სრულდებოდეს ყოველთვის, წლების განმავლობაში.

თ ა ვ ი 1. მონასტრის ხელშეუვალობისათვის

ეს წმინდა ეკლესია, რომელიც ღვთის სადიდებლადა და ყოველთა წმინდანთა მოსახსენიებლად და თაყვანისცემისთვის აღვაშენე, ჩემი მრავალი ღვაწლის ნაყოფია. მე იგი დიდი სიყვარულითა და ღირსებით შევწირე და დავუმორჩილე ჩვენს ღმერთს, მაცხოვარ იესო ქრისტეს, რადგანაც ის არის ყოველთა მბრძანებელი.

გადავწყვიტეთ, რომ მონასტერი სრულიად თავისუფალი იყოს: იგი არავის ემორჩილებოდეს და მასზედ არავინ მბრძანებლობდეს - არც ქვეყნის მთავარი, არც მღვდელთმთავარი, რომელიც ჩემ შემდეგ დადგება. და არც ერთი თავადი. ხოლო თუ რომელიმე სასულიერო, ან საერო პირი (რაიმე მიზნით ანდა საშუალებით, რომელსაც მისი გონება მოიფიქრებს) მაინც მოინდომებს მის დამორჩილებას და მონასტრის, ან მის კუთვნილებაში მყოფი რამე ნაწილის, ვინმესთვის შეწირვას, იგი შეჩვენებულ და შეუნდობელ იქნეს ყოვლისმპყრობელი ღვთის მიერ, მიეცეს ანათემას ამ და საუკუნო ცხოვრებასა შინა და საშინელი სამსჯავროს ჟამს მხილებულ იქნეს ყველა წმინდანის მიერ.

თ ა ვ ი 2. იღუმენთათვის

მონასტერი უნდა იყოს გარედან და შიგნიდან მართული ერთი იღუმენის მიერ, რომელიც მომავალში (ჩემი შემდეგ) იქნება. იღუმენი უნდა მართავდეს ღვთის შიშით, წინდახედულებითა და კეთილგონიერებით. ყოველთვის ფხიზლობდეს, ზრუნავდეს მონასტრის ძლიერებაზე, ამისათვის სიმდაბლით, სიზარმაცისა და დაუდევრობის გარეშე, უნდა იღებდეს ყველა რჩევასა და დარიგებას ეპიტროპთაგან, მათ შესახებ ქვემოთ იხილავთ, რათა მონასტერში სუფევდეს უფრო მეტი წესრიგი და სამართლიანობა. როგორც მაცხოვარი იესო ქრისტე ბრძანებს: „ერთი კარგია, მაგრამ ორი-უკეთესი“.

თ ა ვ ი 3. ეპიტროპთათვის

იღუმენის დასახმარებლად, მონასტრისა და მისი შემოსავლების კეთილად მართვისათვის, ვადგენთ ჩვენი კეთილი ნებით შერჩეულ და დადგენილ ხუთ ეპიტროპს ვაჭართა ფენიდან. ესენი არიან: ყოფილი მამასახლისი ჟუპანი[7] ნეაკშული, ჟუპანი ნიკა - მევახშე, ჟუპანი მანული აპოსტოლის ძე, ჟუპანი გეორგე ვასილის ძე - აბაგი[8] და ჟუპანი შერბანი გროზის ძე - მათ ღვთისა და ეკლესიის სიყვარულით უნდა იღვაწონ, წელიწადში ორჯერ წმინდა გიორგისა

და წმინდა დიმიტრის ხსენების დღეებში უნდა მიაკითხონ იღუმენს და მოსთხოვონ ანგარიშის ჩვენება სახლის (იგულისხება-მონასტერი) შემოსავლებისა და გასავლების შესახებ. ეს ყოველივე - მთელი შემოსავალი და გასავალი - მოკლედ და გასაგებად უნდა ჩაიწეროს დიდ წიგნში, იმისათვის რომ ყოველწლიური ჩანაწერებიდან ჩანდეს მონასტრის მოგება, თუ წაგება. ხოლო თუ ეპიტროპები დაინახავენ, რომ იღუმენის ცუდი მმართველობის გამო სახლს დანაკარგი აქვს, ვთხოვ მათ, რომ უფლის სახელითა და ძმური სიყვარულით დაეხმარონ და ასწავლონ იღუმენს, გამოასწოროს საქმე, რათა სახლს აღარ ჰქონდეს დანაკარგი, არამედ მოგება ნახოს.

ხოლო თუ ეპიტროპები დაინახავენ, რომ იღუმენი არ დაემორჩილა სამართლიან მოთხოვნას, არც დარიგებას და შემდგომ წელს მისი დაუდევრობის გამო სახლმა ისევ ზარალი ნახა, ეპიტროპებს უფლება აქვთ ქვეყნის მთავარსა და მიტროპოლიტს შეატყობინონ (ეს ამბავი. რედ.), გადააყენონ ის იღუმენი და მის ადგილას დააყენონ ის, ვინც დაემორჩილება სამართალს და თავიდან ბოლომდე დაუჯერებს მათ. ხოლო ის დანაკარგი, რომელიც მონასტერს იღუმენის ცოდნითა თუ არცოდნით მიადგა, უნდა დაუბრუნდეს მონასტერს ამ იღუმენის მიერ, მას შემდეგ, რაც ქვეყნის მთავარი და მღვდელმთავარი გაიგებენ ამის შესახებ. უნდა დაისაჯოს ისე, როგორც დაისაჯა ზარმაცი და ბოროტი მონა, რომელმაც დამალა თავისი ბატონის ტალანტი. ასევე დაისაჯოს როგორც სიწმინდეთა ქურდი და ღატაკთა დამყაჩაღებელი, რათა სხვებმა დაინახონ და გამოსწორდნენ, სახლის ეს შემოსავალი ეკუთვნით უპოვართ, როგორც ამას ქვემოთ აღწერილში ნახავთ.

ეპიტროპები მთელი ყურადღებით უნდა აკვირდებოდნენ, გასცემს თუ არა იღუმენი ამ მოწყალებსთს. იღუმენი კეთილი მწყემსი უნდა იყოს და არა დაქირავებული.

ამიტომ, როგორც საყვარელ შვილებს, შეგთხოვთ, რომ შეასრულოთ თქვენზე დაკისრებული მოვალეობა და მთელი ძალისხმევით აღასრულოთ ჩვენ მიერ დადგენილი, რისთვისაც ღვთისაგან მიიღებთ კუთვნილ საზღაურს გაწეული შრომისათვის.

თავი 4. ბერთათვის

მონასტრის პირველ ეზოში ღვთისმსახურების აღსასრულებლად მუდმივად უნდა ცხოვრობდნენ შემდეგი პირები: იღუმენი, ორი ბერძენი მღვდელმონაზონი, რომლებიც დიდ კლიროსში იმსახერებენ და იგალობებენ ბერძნულ ენაზე, ერთი დიაკონი, ერთი ბერი, ან შესაძლებელია მღვდელმონაზონიც, ეკლესიარქი[9], ერთი პარაკლისიარქი[10], ერთი - სენაკის მნე, იღუმენის დასახმარებლად და ერთი მგალობელი, ბერი ან უცოლო ერისკაცი.

და თუ რომელიმე პატიოსან ქრისტესმოყვარე ქრისტიანს, თავადთა ან ვაჭართა წრის წარმომადგენელს, საკუთარი ნებით გაუჩნდება ბერ-მონაზვნური მოღვაწეობისა და მონასტერში ცხოვრების სურვილი - მიიღონ!

მეორე - ეზოში უნდა იმყოფებოდნენ: ერთი ბერი, მეკლიტე, ერთი ხაბაზი, ორი უცოლო ჭაბუკი, მსახურებისათვის, ორი მოჯამაგირე, ერთი მებაღე, ერთი მეჯინიბე და ერთი ბოშა მამაკაცი ბავშვთან ერთად, სამზარეულოში საქმიანობისათვის. თუ იღუმენი, ან ეპიტროპნი დაინახავენ, რომ მონასტერს მსახურთა ეს რაოდენობა არ ყოფნის, დაუმატონ იმდენი, რამდენიც იქნება საჭირო, თან გაითვალისწინონ, რომ თითოეულმა მონასტერში უნდა იტრაპეზოს და მიიღოს ისეთი ჯამაგირი, რომელიც დააკმაყოფილებს.

თავი 5. მღვდელთათვის

გვნებავს, რომ ეკლესიის მცირე კლიროსში ორი დაოჯახებული მღვდელი მსახურობდეს და გალობდეს რუმინულად, რადგან ტაძრის ამ ადგილზე, ადრე, ხის ძველი სამრევლო ეკლესია იდგა. არ გვინდა, რომ ეს ორი, ქალაქის გარეუბანში მცხოვრები მღვდელი, ხელცარიელი დარჩეს და თანაც, რომ ამ გარეუბნის მოსახლეობას მოძღვრის ყურადღება მოაკლდეს. ვადგენთ: თითოეულს ოც-ოცი ტალერი მიეცეს ჯამაგირად და საკვებად ექვს-ექვსი კილო პური; ხოლო ეკლესიის შემოსავლიდან და არც მონასტერში შესრულებული წესებიდან მათ არაფერი ეკუთვნით, გარდა თითო ტალერისა, რომელსაც გადახდილი პანაშვიდებიდან მიიღებენ.

თავი 6. ბავშვთა განათლებისათვის

სამ ღატაკ ბავშვს, რომელთაც სურთ სწავლა ყოველწლიურად კვებისათვის მიეცეთ ექვს-ექვსი ბანი[11], ასევე სააღდგომოდ მიეცეთ ორზლოტიანი ჩოხა, თითო პერანგი, თითო წყვილი წაღები. და ეს სამი ბავშვი ასაკით არ უნდა იყოს არც ათ წელზე უმცროსი, არც თხუთმეტ წელზე უფროსი. ეს მოწყალება მათ უნდა ეძლეოდეთ ოთხი წლის განმავლობაში; რადგან ამ დროის განმავლობაში ბავშვმა შესაძლებელია სლავურიცა და ბერძნულიც შეისწავლოს, ხოლო შემდეგ მათ ადგილზე მიიღონ სხვები. თუ რომელიმემ ბერად გახდომა და მონასტერში დარჩენა მოისურვა - მიიღონ!

განათლების დასრულების შემდეგ იღუმენმა ყველას უნდა გადასცეს თითო წერილი: თუ ვინმე დააპირებს დაოჯახებას, შეძლოს მოსვლა და

ქორწილისათვის დახმარების -15 ტალერის, მიღება. ხოლო თუ რომელიმე მღვდლად გახდომას დააპირებს, მას მიეცეს ცალკე სხვა - 13 ტალერი; აქედან 8 ტალერი დიაკონად და მღვდლად კურთხევისათვის, 5 ტალერი კი დარჩეს ხელზე იმისათვის, რომ თავად გადაიხადოს პანაშვიდი[12] და მოიხსენიოს მთავარი, რომელიც იმჟამად ქვეყანას მართავს და კიდევ ეს ხუთი სახელი: იოანე, მარია, მღვდელმინაზონი მაკარი, მღვდელმთავარი თეოდოსი და ცოდვილი მღვდელმთავარი ანთიმოზი; ყველაფერი ეს ჯამში შეადგენს 54 ტალერს.

ამ ორი დაოჯახებული მღვდელიდან ერთ-ერთმა, რომელიც უფრო განათლებული იქნება, ბავშვებს ასწავლოს საგნები და საეკლესიო წესები ისე, როგორც ეს სწავლა-განათლების გეგმითაა დადგენილი. ყოველ სამ მოსწავლეზე მიეცეს 20 ტალერი მონასტრის შემოსავლებიდან. იმისათვის რომ ამ ბავშვებმა ისწავლონ ღვთის შიში და ეკლესიური ცხოვრების წესი, ისინი ყოველდღე უნდა მოდიოდნენ ეკლესიაში: მწუხრზე, ცისკარზე და წირვაზე. სასწავლო წიგნები ბავშვებს გადასცეს მონასტერმა.

ესეც იყოს ცნობილი: სწავლების ორი წლის გასვლის შემდეგ მასწავლებელმა მღვდელმა, უნდა ჰკითხოს ბავშვებს, ხომ არ აპირებს რომელიმე მომავალში გახდეს მღვდელი და თუ მსურველი აღმოჩნდება, იმას მღვდელმსახურების წესიც შეასწავლოს.

ხოლო თუ ოთხი წლის დასრულებამდე რომელიმე ბავშვმა არ მოისურვა სწავლის გაგრძელება, მას აღარ მიეცეს ის მოწყალება, რომელიც ზემოთ დავადგინე, ანუ არ მიეცეს ხელზე ხელწერილი, რომლითაც იგი შეძლებს მომავალში მოსვლას და 15 და 13 ტალერის მოთხოვნას. მიატოვეებს თუ არა ბავშვი სწავლას, მაშინვე მის ადგილზე სხვა მიიღონ.

თავი 7. მიცვალებულთა დაკრძალვისათვის

იმ ბოროტი ჩვეულების მოსაშლელად, რომელსაც უცხოელებიც დასცინიან, როდესაც ღარიბი მიცვალებული ქალისა თუ კაცის ცხედარს ქუჩა-ქუჩა დაატარებენ და მისი დასაფლავებისათვის მოწყალებას ითხოვენ, ვადგენ: მონასტრის შემოსავლებიდან გამოიყოს 300 ბანი; 200 ბანით შეიძინონ სანთლები, სუდარა და დასაფლავებისათვის საჭირო სხვა ნივთები, ხოლო 100 ბანი გადაეცეს იმ მღვდელს, რომლის ეკლესიაშიც დაასვენებენ იმ ღატაკ ადამიანს. მანვე გადაუხადოს სამი შეკვეთილი წირვა: ერთი გარდაცვალებიდან მესამე დღეს, მეორე-მეცხრე, და მესამე- მეორმოცე დღეს.

იმ მღვდელს, რომელიც არ გადაიხდის შეკვეთილ წირვებს, პასუხი საშინელი სამსჯავროს წინაშე მოეთხოვება.

თავი 8. პატიმართა და გაჭირვებულთათვის მოწყალების გაღებისათვის

მთელი წლის განმავლობაში, ორმოცდათორმეთივე შაბათ-კვირის ყოველ შაბათს, საპყრობილეში მყოფთათვის გამოიყოს 20 ბანი, ყოველ კვირა დღეს - უპოვართათვის 13 ბანი. ოღონდაც ეს უკანასკნელნი რიგის მიხედვით სხვადასხვა კვირადღეს უნდა მოდიოდნენ, რათა ერთმა და იმავე ადამიანმა არ მიიღოს დახმარება, ხოლო სხვები კი ხელცარიელები დარჩნენ. უწესრიგობის თავიდან ასაცილებლად ცალკე ფურცელზე აღინუსხოს ყველა უპოვარი და ღატაკი; ყოველ კვირა დღეს დაიბარონ 13-13 ადამიანი, რათა თითოეულმა მიიღოს თავისი კუთვნილი ბანი. მთლიანობაში ეს შეადგენს 12 ტალერსა და 16 ბანს.

თავი 9. შიშველთა შემოსვისათვის

ყოველ დიდ ხუთშაბათს სამ გაჭირვებულ ვაჟს მიეცეს ერთი ლეის ღირებულების მატყლის თითო ჩოხა, ასევე სამ გაჭირვებულ გოგონას მიეცეს ტალერ- ნახევრის ღირებულების კაბა და ტალერ- ნახევრის ღირებულების ნაღები, რაც სულ 9 ტალერს შეადგენს.

ეს მოწყალება ერთსა და იმავე ადამიანებზე არ უნდა გაიცეს, არამედ ყოველწლიურად მიეცეს სხვადასხვა ადამიანს იმავე წესით, როგორც ეს უპოვართა მიმართ დავადგინეთ.

თავი 10. ქალიშვილის გათხოვებისათვის

ყოველ წელიწადს, წმინდა დიმიტრის (თესალონიკელის) ხსენების მეორე დღეს, ერთ გაჭირვებულ გოგონას, რომელიც დააპირებს გათხოვებას, ქორწინებისათვის მიეცეს 15 ტალერი. მაგრამ ეს გოგონა არ უნდა იყოს ერთ-ერთი იმ სამიდან, რომლებზეც ზემოთ დავწერეთ. გოგონას გამორჩევა შემდეგნაირად უნდა მოხდეს: წმინდა დიმიტრის დღესასწაულამდე სამი კვირით ადრე, კვირის წირვის შემდეგ, იღუმენმა საჯაროდ უნდა გამოიხმოს გაჭირვებული გასათხოვარი გოგონა და სთხოვოს საკუთარი სახელის თქმა. თუ ასეთი სამი ან ოთხი გოგონა აღმოჩნდება, უთანხმოების თავიდან ასაცილებლად და მიკერძოების მცირეოდენი ეჭვიც რომ არ აღიძრას, უნდა იყაროს წილი. წილისყრით გამორჩეულ გოგონას იღუმენმა გადასცეს წერილი. ქორწინების წინ ამ გოგონამ მიაკითხოს იღუმენს და მიიღოს კუთვნილი თანხა.

თავი 11. უცხოელთა მიმართ ზრუნვისათვის

სხვა ქვეყნიდან ჩამოსული სამი უცხოელი, რომლებიც ამ ქვეყანაში გაჭირვების გამო ჩამოვლენ, სამი დღის განმავლობაში შეინახოს მონასტერმა, ანუ მათ მიეცეთ საჭმელ-სასმელი, მესამე დღეს თითოეულს მიეცეს 30-30 ბანი; ხოლო ერთდროულად თუ სამზე მეტი უცხოელი მიაკითხავს მონასტერს - ნუ მიიღებთ. სამი დღის შემდეგ მათ უნდა დასტოვონ მონასტერი და სხვაგან სცადონ მოწყალების მიღება. მთლიანობაში ყველა ეს ხარჯი წელიწადში შეადგენს 78 ტალერს.

თავი 12. კანდელთათვის

სამი კანდელი დღე და ღამე მუდმივად იყოს დანთებული: ერთი წმინდა ტრაპეზზე, წმინდა ტარიგის წინ; მეორე-ყოველთა წმინდათა ხატთან და მესამე-ოთხი წმინდანის: წმინდა ნიკოლოზის, წმინდა ანთიმოზის, წმინდა ალექსისა და წმინდა აღათის ხატთან.

თავი 13. ოთხი წმინდანისა და პანაშვიდებისათვის

გვსურს და ვადგენთ: მუდმივად, ყოველ წელს ჩატარდეს წირვები ოთხი წმინდანის საპატივცემულოდ, რომლებიც გამოსახულნი არიან მცირე კლიროსთან [13] არსებულ ხატზე. ასევე ამ დღეებში გაიცეს მოწყალება უპოვართათვის.

სამ სექტემბერს წმინდა ანთიმოზ (ნიკომიდიელის. რედ.) პატივსაცემად გაკეთდეს დიდებული კოლიო და ხატის წინ დიდი სანთელი დაინთოს. 40 ეკლესიაში სათითაოდ დარიგდეს ლეის მეოთხედი, რათა იქაურმა მღვდლებმა შეკვეთილი წირვები ჩაატარონ და მოიხსენიონ იმჟამინდელი მთავარი, მღვდელმთავარი და ასევე კიდევ ხუთი სახელი: იოანე, მარია,[14] მღვდელმონაზონი მაკარი,[15] მღვდელმთავარი თეოდოსი[16] და ცოდვილი მღვდელმთავარი ანთიმოზი. რადგან ჩვენი მფარველისა და მოსახელის, წმინდა ანთიმოზის, პატივსაცემად ყოველ წელიწადს ჩვენ (ტრადიციულად) გამშვენებულ წირვას ვატარებთ.

ყოველ 6 დეკემბერს წმინდა ნიკოლოზის პატივსაცემად მომზადდეს დიდებული კოლიო და მისი ხატის წინ დიდი სანთელი აინთოს. გაჭირვებულებს დაურიგდეთ 40 ბანი. ამას ვადგენთ, რადგან ამ ადგილის მოუხერხებლობის გამო, ჩვენ მისი სახელობის ეკლესიის დაშლა და სხვაგან აშენება მოგვიწია.

ყოველი წლის 5 თებერვალს, წმინდა მოწამე აღათიას (სიცილიელის. რედ.) ხსენების დღეს, ერთი ღარიბი გოგონა შეიმოსოს პერანგით, კაბით, წაღებითა და სარტყლით და მას ხელზე მიეცეს 30 ბანი. მაგრამ ეს გოგონა არ უნდა იყოს ერთ-ერთი იმ სამიდან, რომლებიც დიდ ხუთშაბათს უნდა შემოსონ და არც ის, რომელსაც მოწყალება უნდა მიეცეს ქორწინების ჟამს. ამ საქმისათვის დაიხარჯოს სამ - ნახევარი ტალერი. ამას ვადგენთ, რადგან ამ წმინდანის ხსენების დღეს, ღვთის შთაგონებით, გადავწყვიტეთ ამ ეკლესიის აშენება.

ყოველი წლის 17 მარტს, წმინდა ალექსი ღვთისკაცის ხსენების დღეს, ერთი ღატაკი ვაჟი შეიმოსოს პერანგით, საცვლებით, ჩოხით, შარვლით, წაღებით, ძვირფასი ბეწვის ფაფახითა და ქამრით და მას ხელზე მიეცეს 30 ბანი. ოღონდაც ეს ყმაწვილი არ უნდა იყოს ერთ-ერთი იმ სამიდან, რომელიც დიდ ხუთშაბათს უნდა შემოსონ. ამ საქმისათვის დაიხარჯოს ოთხი ტალერი. ამას ვადგენთ იმიტომ, რომ ამ წმინდანის ხსენების დღეს მაკურთხეს მღვდელმთავრად.

ამიტომაც დავაწესეთ, რომ ყოველი ზემოთ ნახსენები წმინდანისათვის შესაბამის დროს ჩატარდეს ხოლმე ჩვენი სულის საცხოვნებლად მოსახსენებელი ღვთისმსახურება.

თავი 14. წირვებისათვის

თუ ნოემბრის თვის პირველი დღე არ დაემთხვა ორშაბათს, არამედ სამშაბათი, ოთხშაბათი, ან სხვა რომელიმე დღე იქნა, ის კვირა გამოვტოვოთ და წირვების ჩატარება მომდევნო კვირის ორშაბათიდან დაიწყოს.

ჩატარდეს შეკვეთილი წირვები:

ორშაბათს: ყველა ჩემი ყოფილი მასწავლებლისა და დამრიგებლისათვის. ამავდროულად, უპოვარებს დაურიგდეთ 40 ბანი.

სამშაბათს: ყველა ჩემი სულიერი მამისათვის, რომლებიც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ჩემი მოძღვარნი იყვნენ. უპოვარებს დაურიგდეთ 40 ბანი.

ოთხშაბათს: ყველასთვის, ვინც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ჩემი ნაცნობი, მეგობარი და კეთილისმყოფელი იყო. უპოვარებს დაურიგდეთ 40 ბანი.

ხუთშაბათს: ყველა მსახურისათვის, იყო ის ერისკაცი თუ ბერი, ვინც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მემსახურა. უპოვარებს დაურიგდეთ 40 ბანი.

პარასკევს: ყველასათვის, ვისაც ჩემი ცხოვრების მანძილზე ვაწყენინე, უსამართლოდ მოვექეცი ან ბოროტად დაველაპარაკე. უპოვარებს დაურიგდეთ 40 ბანი.

წყევლას ვაყოლებ ამ ანდერძს მათთვის, ვინც ხსენებულ წირვებსა და მონყალებას არ შეასრულებს ყოველწლიურად, ვიდრე ეს ტაძარი იარსებებს.

თავი 15. მოსამსხურეთა საზღაური და მათი მართვა

დიდი წყევლას ვაყოლებ ამ ანდერძს მათთვის, ვინც ამ სავანეში მსახურების პერიოდში მონასტრის მომსახურე პირს, კეთილს, გინდაც ავ ადამიანს, დაუკავებს ჯამაგირს. ხოლო როდესაც იგი თავისი ნებით შეთანხმებულ დროს ან იმაზე უფრო ადრე დატოვებს სავენეს, ან იმ შემთხვევაში, თუ მას იღუმენი დროზე ადრე გააგდებს [სამსახურიდან] - მიეცეს სრული ჯამაგირი და დამატებით კიდევ ერთი ტალერი და 3 პიტი - სამგზავრო ფულად.

ხოლო თუ მოხდება ისე, რომ მოსამსახურე პირი გარდაიცვლება, მონასტერი ვალდებულია მისი დასაფლავებისათვის დახარჯოს 300 ბანი და უსასყიდლოდ გადაუხადოს სამი შეკვეთილი წირვა: გარდაცვალებიდან მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მას ასაღები დარჩება ჯამაგირი, ან რაღაცა ტანსაცმლი, ან სხვა რამე მისი კუთვნილი ნივთი დარჩება, ბევრი იქნება ის თუ მცირე, წყევლით ვტოვებ ამ ანდერძს, რომ მონასტერმა არაფერი დაიტოვოს. ყველაფერი გადაეცეს ან მის მშობლებს, თუ იმ დროს ეყოლება, ან სხვა ნათესავს და მათ გადაწყვიტონ თუ როგორ განკარგავენ იმ ნივთებს. ხოლო თუკი არც ერთი ნათესავი არ ეყოლება, მისი ყველა ნივთი, რაც კი დარჩება, დაურიგდეს უპოვართ მისი სულის მოსახსენებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი თავად, საკუთარი ნებით, მოისურვებს ყველა საკუთარი ნივთის მონასტრისათვის შეწირვას. თუმცა ამ შემთხვევაში, ავი საუბრების თავიდან ასაცილებლად, ამ ნივთების ნაწილი მაინც გადაეცეს მის მშობლებს, ან ნათესავებს.

თავი 16. ნაყოფის შემომწირველთათვის

იმ ადამიანთა სახელები, ვინც მოწყალებას გაიღებს ამ მონასტრისათვის ადგილ-მამულით, ფულით, ვერცხლით, საქონლით, ანდა სხვა რამით, ჩაიწეროს მოსახსენებელში და მთელი წლის განმავლობაში, ყოველ შაბათ დღეს, გადახდილ იქნეს პანაშვიდი კოლიოთი და მოიხსენიონ შემომწირველების ყველა მიცვალებული. პანაშვიდის დროს იგალობონ მიცვალებულთა მე-8 ხმის კანონი: „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი...“. ამავდროულად, ყოველი თვის ერთ–ერთ ხუთშაბათს ჩატარდეს ხოლმე შეკვეთილი [საჯანმრთე-

ლო] წირვა ცოცხალი შემომწირველებისათვის, რადგანაც ისინი ტაძრის კეთილისმყოფელნი არიან და ქტიტორებად ითვლებიან. ხოლო, როდესაც რომელიმე ნაყოფის შემომწირველთაგანი გარდაიცვლება, იმ დღეს უსასყიდლოდ გადაუხადონ სულის მოსახსენებელი შეკვეთილი წირვა.

თავი 17. სტამბისათვის

რამდენ ხანსაც მონასტერში იმუშავებენ ბერძნულენოვანი და რუმინულენოვანი სტამბები, იქნება ეს გარედან შემოტანილი თუ მონასტრის ფულით, აწყობილ ერთ სტამბურ ფურცელში უშუალოდ მესტამბემ და მისმა შეგირდებმა, რამდენიც არ უნდა ჰყავდეს, საზღაურად მიიღონ 3 ტალერი და ასევე მესტამბემ ათი, ხოლო მისმა შეგირდებმა თითო-თითო წიგნი წაიღონ. აწყობილი სტამბური ფურცელის ღირებულება 6 ტალერი იყოს, აქედან ნახევარი ჯამაგირად აიღონ მესტამბეებმა და ნახევარი დარჩეს მონასტერს.

თუ სტამბას გაუფუჭდება რამე, მონასტერი ვალდებულია გაიღოს ხარჯი მისი შეკეთებისათვის.

ხოლო თუ არც მონასტრის ფულით და არც გარედან შემოსული დაკვეთით მესტამბე თავად, საკუთარი ფულით, მოინდომებს წიგნის დაბეჭდვას, თუკი იგი ამას შეატყობინებს იღუმენსა და ეპიტროპებს, მიეცეს მას ამის უფლება. მესტამბე ვალდებულია წიგნის გამოცემით მოგებული ფულის ერთი მეოთხედი გადასცეს მონასტერს.

მესტამბემ არ გაბედოს ჩვენი რჯულის საწინააღმდეგო რაიმე წიგნის დაბეჭდვა, მაშინაც კი, თუ ერთ აწყობილ ფურცელში 100 ოქროს მონეტას დაპირდებიან. თუ ამ ბრძანებას არ დაემორჩილება - მიეცეს ანათემას. თუ ცნობილი გახდება, რომ მან მსგავსი რამ მაინც ჩაიდინა, მაშინვე ეცნობოს მთავარს, რათა მან უმკაცრესად დასაჯოს, ისე როგორც მან თავად იცის.

ამ ბრძანებასაც წყევლას ვაყოლებ: მესტამბე ვალდებული უნდა იყოს, რომ თავისი ცოდნა მომავალ თაობებს გადასცეს, რათა ამ ქვეყანაში ეს ხელობა არ დაიკარგოს და არ მოისპოს წიგნების ბეჭდვის საქმე.

თავი 18. ბიბლიოთეკისათვის

წყევლას ვაყოლებ ამ ანდერძს, რომ არავინ გაბედოს რომელიმე იმ წიგნის გასხვისება, რომელსაც ვტოვებ ჩემს ბიბლიოთეკაში - ბერძნულ ენაზე

იქნება ის თუ რუმინული და რომლებიც ჩამოწერილი მაქვს ეკლესიის იადგარში. იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს რომელიმე წიგნი (რედ.) დროებით დასჭირდება წასაკითხად, გადასაწერად, ან მასში რაიმეს მოსაძებნად - აიღოს ხელწერილით, სადაც პირობას დადებს, რომ დააბრუნებს წიგნს დადგენილ დროს. ხელწერილის გარეშე არ მიეცეს. მონასტერმა იზრუნოს წიგნის უკან დაბრუნებისათვის.

თავი 19. დავთართა განახლებისათვის

იღუმენი ვალდებულია, რომ მომავალში ყველა ჩვენ შემდგომ მღვდელმთავარსა და მთავარს სთხოვდეს წყალობასა და იმ სიგელ–გუჯართა განახლებას, რომლებითაც მტკიცდება ამ მონასტრისათვის დადგენილი ეს ტიპიკონი. ყველა წერილი, საბუთი, რომელშიც აღრიცხული იქნება ადგილ-მამულები, ვენახები, ბოშები (იგულისხმება ყმები. რედ.) და სხვა ქონება, რომელიც ღვთის წყალობით და მორწმუნე ქრისტიანთა შემოწირულობებით შეიძლება შეიძინოს ამ სავანემ, ყველაფერი, დიდი იქნება ის თუ მცირე, უნდა ჩაიწეროს მონასტრის დიდ დავთარში, რომელსაც ვტოვებთ ამ საქმისათვის, რათა არაფერი დაიკარგოსა და არ გაიფანტოს.

იღუმენი უნდა სთხოვდეს მთავარს, რომ დიდ დავთარში ყველა ჩანაწერი თავისი მცირე ბეჭდით დაამტკიცოს და თუ რომელიმე შემოწირულობის ხელწერილი დაიკარგება, დავთარში აღრიცხული დარჩება ის დაკარგული შემოწირულობაც. ამიტომაა აუცილებელი ყველა ჩანაწერის მთავრის ბეჭდით დამტკიცება.

თავი 20. მღვდელმთავართა დავანებისათვის

როდესაც ამ ქვეყნის რომელიმე მიტროპოლიტი, ან რომელიმე ეპარქიის ეპისკოპოსი მოხუცდება და დაუძლურდება და სურვილი გაუჩნდება დაბინავდეს ამ მონასტერში - მიღებულ იქნეს და მიეგოს შესაბამისი პატივი ყველაფერში. მონასტერმა იზრუნოს მისი ოთხი მსახურისა და ორი ცხენის შენახვისათვის. მაგრამ ის მღდელმთავარი არ უნდა ეხებოდეს მონასტრის წესებსა და ტრადიციებს, არ უნდა ცვლიდეს მათ და არ უნდა ერეოდეს მონასტრის მართვა-გამგეობაში. მისთვის ზრუნვას ვაწესებთ არა იმიტომ, რომ მისი რაიმე ვალი ჰქონდა მონასტერს, არამედ სიკეთის ქმნისა და ღვთისმოსაობის გულისთვის.

თავი 21. შესაწირავი მიტროპოლიტისათვის

ყველა ძმას, რომელსაც ღმერთი ამ ქვეყნის მწყემსმთავრად დაადგენს, ღვთის სახელითა და ძმური სიყვარულით შევთხოვ: წყალობა იქონიეთ ამ სავანის მიმართ და ყოველთვის ყველაფერში მისი მხარდამჭერნი და დამცველნი იყავით, რომ არ დაირღვეს ჩემ მიერ დადგენილი წესები და კანონები, რომ ყველაფერი შეუცვლელად რჩებოდეს, რომ ყოველთა წმინდათა მეოხებით ღმერთმა დაგლოცოთ და მოგმადლოთ მშვიდობა სამოციქულო ტახტზე მწყემსობისას. ასევე გთხოვთ, რომ იქონიოთ წყალობა და ღვაწლი, რომ ყოველ წელიწადს დააყენოთ ხოლმე ორი წირვა ტაძრის დღესასწაულის დღესა და მეორე დღესაც, და მიიღოთ დღესასწაულის დღეს შესაწირი 10 ტალერის ღირებულების ხალიჩა, მეორე დღეს - 10 ტალერი და 5 ტალერის ღირებულების სირმის ძაფებით ნაქარგი ნაჭერი. მიტროპოლიტის ერთ მღვდელსა და ორ დიაკონს დღესასწულის დღეს და მეორე დღესაც მიეცეთ: მღვდელს -ერთი ლეი, ერთ დიაკონს- ერთი ზლოტი და მეორეს- ერთი ტულტი.

მაგრამ თუ მის ყოვლადუსამღვდელოესობას არ ექნება ხელშეწყობა, რომ ჩაატაროს ზემოთხსენებული წირვები, ეკლესიასაც შესაბამისად არ ექნება ვალდებულება, მისცეს ეს საჩუქრები და თანხა.

იღუმენი ვალდებულია, რომ წელიწადში ოთხჯერ ქვეყნის მიტროპოლიტს მიართვას ხოლმე შესაწირი: ქრისტესშობას, აღდგომას, წმინდა კონსტანტინეს ხსენების დღეს და როდესაც მას ტაძრის დღესასწაულზე მიიწვევენ. ყოველ ჯერზე უნდა მიართვას ერთი ოყა ყავა და ერთი ოყა შაქარი: მაგრამ ეს პროდუქტები თუ არ ექნება, მაშინ მათი ღირებულების სხვა რამე საქონელი უნდა მიართვას. იღუმენმა მიტროპოლიტს ასევე უნდა მიართვას შესაწირი წმინდა დიმიტრის ხსენების დღესაც. ასევე ორ დაოჯახებულ მღვდელს, რომლებიც იმ დღეს იმორიგეებს ეკლესიაში, მიეცეს ორი ოქროს მონეტა.

თავი 22. ავადმყოფთა ზრუნვისათვის

იღუმენი, მღვდელმონაზონნი და მღვდელნი, როგორც კი შეიტყობენ რომელიმე ადამიანის: შინაურისა თუ უხცოს, ქალისა თუ კაცის, ამ, თუ სხვა უბნის მაცხოვრებლის ავადმყოფობის შესახებ, ვალდებულნი არიან, რომ მიაკითხონ თავადნ, ან გაუგზავნონ ვინმე გამოცდილი მღვდელი, რომელიც შეძლებს ავადმყოფს ნუგეში სცეს და დაარწმუნოს, რომ აუცილებელია აღსარების თქმა, შვიდგზის ზეთისცხება, ზიარება და ანდერძის შედგენა იმ მცირე თუ დიდი ქონების თაობაზე, რომელიც ავადმყოფის მფლობელობაშია. ხოლო ანდერძი უნდა შედგეს ჩვენ მიერ დადგენილი წესისა და რიგის

მიხედვით, რათა ავადმყოფის სული არ დამძიმდეს და არც მისი ნათესავები დარჩნენ უკმაყოფილონი. და ეს ანდერძი არ უნდა შედგეს მომხვეჭელობის, შურისა და თვალთმაქცობის სულისკვეთებით, როგორც ამას სამწუხაროდ ბევრი აკეთებს.

იმ მღვდელმა ყველანაირი საშუალებით უნდა სცადოს, რომ დაარწმუნოს ავადმყოფი საკუთარი ქონების რაღაცა ნაწილი შესწიროს მიტროპოლიტსაც. ის ნაწილი, რასაც იგი თავად ჩათვლის საჭიროდ, რადგან ასეთი შესაწირს ითხოვს სამართალი და წესი. რადგანაც მიტროპოლია არის ყველა ტაძრისა და ქალაქის დედა. ავადმყოფების მოკითხვა და მათ სულებზე ზრუნვა ბოშებისა და მათი შვილების შემთხვევაშიც არის საჭირო, რადგანაც დაისჯება ის მღვდელი, რომელიც არ მიაკითხავს მათ, რამეთუ ისინიც მონათლულნი არიან წმინდა სამების სახელით და ჩვენსავით ქრისტიანები არიან.

თავი 23. იღუმენის დაკრძალვისათვის

ჩემ შემდეგ ყველა დადგენილ იღუმენს თუ ექნება ამ მონასტერში მოსვლამდე სხვაგან ნაშოვნი ცოტა, ან ბევრი ფული და იგი საკუთარი კეთილი ნებით საჭიროდ ჩათვლის, გარდაცვალების შემდეგ ეს დანაზოგი სავანეს დარჩეს - კარგი იქნება. რადგან ამ სავანეში ყოფნისას ის მშვიდად ცხოვრობდა და თანაც მონასტრის ტიპიკონში დადგენილია მისი სულის ცხონებისა და გაპატიოსნებისათვის დადგენილი შესაბამისი ლოცვებისა და წესების აღსრულება. მაგრამ თუ გადაწყვეტს, რომ ის ფული მოწყალებაში სხვაგან გასცეს, ან დაუტოვოს ნათესავებს, თუ ასეთები ეყოლება, მას თავისი ქონების განკარგვის სრული უფლება აქვს. მაგრამ ეს არ უნდა იყოს მონასტრის ფული, რადგან ამ შემთხვევაში იგი ცოდვას ჩაიდენს და სასჯელს დაიმსახურებს. მით უმეტეს, რომ ტაძარს მისთვის არაფერი ცუდი, არანაირი ბოროტება არ უქნია არც ამ ცხოვრებაში და არც მერე, მისი გარდაცვალების შემდეგ, რამეს დააკლებს: ის იღუმენი, თუ იქნება პატიოსანი და კარგი ქრისტიანი ადამიანი, ამაში თვითონაც დარწმუნდება მის მერე, როდესაც გაეცნობა ამ ტიპიკონს.

ხოლო იღუმენის დაკრძალვის მზადების დროს ხუთივე ეპიტროპს დაეკისროს ვალდებულება, ეახლონ მიტროპოლიტს და სთხოვონ, რომ მობრძანდეს თორმეტ მღვდელსა და ორ დიაკონთან ერთად, რომლებსაც თვითონვე შეარჩევს, რათა შეასრულონ მიცვალებულის წესის აგება. ხოლო ამ შრომისათვის მის ყოვლადუსამღვდელოესობას მონასტრის თანხიდან მიეცეს ოთხი ოქროს მონეტა და სირმით ნაქარგი ნაჭერი, ყველა მღვდელს - თითო ზლოტი და დიაკვნებს - ორ-ორი ორცი. ასევე ეპიტროპებს დაევალოთ, სხვა იღუმენის

დადგენამდე, დანიშნონ ადმინისტრატორი, რომელიც იზრუნებს მონასტრის საქმეებზე.

ეპიტროპებმა დაავალონ მღვდლებს, რომლებიც იმსახურებენ ეკლესიაში, შეასრულონ გარდაცვლილი წინამძღვრის სულის მოხსენებისათვის ყველა აუცილებელი წესი, ანუ პანაშვიდები გადაიხადონ სრულად: კოლიოთი და ხუთი ოყას[17] რაოდენობის სანთლების დარიგებით. წესისამებრ, პანაშვიდები უნდა გადაიხადონ გარდაცვალებიდან მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს, ექვსი თვისა და ერთი წლის თავზე. ხოლო სამი წლის გასვლის შემდეგ ეპიტროპებმა მიაკითხონ ქვეყნის მღვდელმთავარს და სთხოვონ ოთხ მღვდელსა და ორ დიაკონთან ერთად ჩაატაროს შეკვეთილი წირვა კოლიოთი, პანაშვიდის გადახდით და ათი ოყას ოდენობის სანთლის დარიგებით. მიტროპოლიტმა გარდაცვლილს ასევე წაუკითხოს შენდობის ლოცვა.

ამ შრომისათვის მიტროპოლიტს მიეცეს შესაწირი 4 ოქროს მონეტა და სირმით ნაქარგი ნაჭერი, ხოლო ოთხ მღვდელს - თითო ზლოტი და ორ დიაკონს- ორ-ორი ორცი.

თავი 24. ეპიტროპთა საქმიანობისათვის

იმისათვის, რომ დადგენილი წესი უცვლელად გაგრძელდეს, ვიდრე ეს ტაძარი იარსებებს, ჩვენი მონასტრის ყველა ეპიტროპს დაევალოს გარდაცვალების წინ დაასახელოს თავისი შემცვლელი ადამიანი, რომლის შესახებაც ეცოდინება, რომ არის კეთილი და ღვთის მოშიში.

ხოლო თუ მოხდება ისე, რომ რომელიმე ეპიტროპს დაავიწყდება თავის ადგილზე შემცვლელის დასახელება, დანარჩენმა ოთხმა აირჩიოს მეხუთე ეპიტროპი, რათა არასდროს იყოს ხუთზე ნაკლები.

ასევე ვთხოვ მათ, იქონიონ ამ მონასტრის მიმართ წყალობა და ყოველთვის იზრუნონ მისი აღორძინებისათვის: არ გაბედოს რომელიმე მათგანმა ამ ეკლესიისათვის დადგენილი რომელიმე წესისა და კანონის დარღვევა, რომ არ ჩავარდნენ მსოფლიოს ოთხი პატრიარქისა და ჩემი სიგელით დამტკიცებული წყევლისა და შეჩვენების ქვეშ. არამედ თითოეულმა მათგანმა, თავისი ძალებისა და გულმოწყალების შესაბამისად, იშრომოს ღვთის ვენახში ამ წმინდა სალოცავის აღორძინებისა და ღარიბ–ღატაკთა დახმარებისა და ნუგეშისცემისათვის. ხოლო უფალი ჩვენი იესო ქრისტე, (რომელმაც თქვა: როდესაც სიკეთეს უკეთებთ ერთ–ერთ მცირეთაგან ჩემს ძმას, ამით მე მიკეთებთ იმ სიკეთეს), რომელიც არის ყოვლადმოწყალე და თქვენ მიერ გაღებული ღვაწ-

ლის დიდად დამფასებელი, გიბოძებთ ყოველგვარ სიკეთეს, სულის ცხონებას და მომავალ ცხოვრებაში ყოველთა წმინდათა მეოხებით ცათა სასუფეველში დამკვიდრებას.

თავი 25. შემოსავლების მეათედისათვის

წყევლას ვაყოლებ ამ ბრძანებას - რომ ჩემ შემდეგ ყველა მომავალი იღუმენი ვალდებულია: რა თანხაც არ უნდა შემოუვიდეს მონასტერს, რა წყაროდანაც არ უნდა იყოს ის: პანაშვიდებიდან, სხვადასხვა საეკლესიო წესების შესრულებიდან, მორწმუნეების მიერ გაღებული შემოწირულობებიდან, ღვინისა თუ თაფლის გაყიდვებიდან, ან სხვა ნებისმიერი წყაროდან, შემოსული თანხის ერთი მეათედი გადაიდოს სპეციალურ ყულაბაში. შემოსავალი მხოლოდ 10 ბანიც რომ იყოს, ერთი ბანი ჩაიდოს იმ ყულაბაში, რომ მონასტრისათვის განსაცდელის, გაჭირვებისა და დიდი უბედურების ჟამს, როდესაც სხვა საშუალებით შეუძლებელი იქნება მდგომარეობის შველა, მაშინ გაიხსნას ეს ყულაბა და აიღონ და გამოიყენონ ეს ფული. ხოლო თუ გარკვეული დროის შემდეგ გამოჩნდება რამე სხვა დახმარება ან შემოწირულობა, ის თანხა, რომელიც იქნა დახარჯული, დაბრუნდეს ყულაბაში და შემოწირული ფულის მეათედი ასევე ჩაიდოს იქ, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, გაჭირვებისა და უბედურების ჟამისათვის ყოველთვის უნდა არსებობდეს თანხა.

იმ უბედურებებსა და გაჭირვებაში, რომლებზეც ვწერთ ამ თავში, ვგულისხმობთ: (ღმერთმა დაგვიფაროს) მიწისძვრას, ხანძარს, ქარიშხალსა და სხვა მსგავს სტიქიებს, რომლებსაც შეუძლიათ დიდი ზიანისა და ნგრევის მიყენება და მონასტერს უნდა ჰქონდეს საშუალება აღადგინოს განადგურებული.

თავი 26. იღუმენის არჩევისათვის

ის ხუთი ეპიტროპი ვალდებულია, რომ მონასტრის იღუმენის გარდაცვალების შემდეგ, თუ ამ მონასტრის ორ მღვდელმონაზონთაგან ერთ-ერთი კეთილი, ღვთისმოშიში და წინამძღვრობის ღირსი აღმოჩნდება, მართოს ეს სავანე (რადგან კეთილი და ღვთისმოშიში ადამიანი ბევრია, მაგრამ ყველა არ არის ღირსი მართოს მონასტერი), ის მღვდელმონაზონი უნდა აირჩიონ და გარდაცვლილის ადგილზე დააყენონ წინამძღვრად, რათა პატიოსნად ემსახუროს მონასტერს.

იმ შემთხვევაში, თუ ამ ორ მღვდელმონაზონთაგან არც ერთი არ აღმოჩნდება წინამძღვრობის ღირსი, უნდა მონახონ სხვა მღვდელმონაზონი, იქნება ის ბერძენი,[18] თუ რუმინელი. მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს უცხოელი, შურით სავსე ადამიანი, ანუ ვგულისხმობ ვინმე მთაწმინდელს, სინაიტელს ან იერუსალიმელ ბერს, რადგანაც ეს შესაძლებელია მომავალში ბევრი ცუდი რამის მიზეზი გახდეს.

ხოლო იმ პიროვნებამ, რომელსაც იღუმენად შეარჩევენ, კურთხევამდე[19] ჯერ ეპიტროპებს უნდა მისცეს ფიცის წერილი, რითიც აღუთქვამს, რომ სიცოცხლის ბოლომდე იღვაწებს ამ მონასტრის კეთილდღეობისათვის, რომ სამართლიანობითა და მონდომებით იმუშავებს, ხოლო აღსრულების შემდეგ იქვე, მონასტერში, დაიმარხება. მხოლოდ ამის შემდეგ აკურთხონ იგი წინამძღვრად. ამგვარად დადებული პირობა სამართლიანია და სასიკეთოა თავად მისივე სულისა და ხორცისათვის. რადგან, თუ იგი მონასტრისათვის სასარგებლოდ და სასიკეთოდ იღვაწებს, მისი ცხოვრებაც უზრუნველყოფილი იქნება ყველაფრით; ეს მონასტერი საკუთარ სახლადაც იქცევა მისთვის და გარდაცვალების შემდეგ მას აქვე მოიხსენებენ მანამდე, ვიდრე მონასტერი იარსებებს.

თავი 27. ეკლესიის შემოსავლებისათვის

როგორც ტიპიკონის მესამე თავში ითქვა, იღუმენის მიერ წარმოდგენილი მონასტრის შემოსავლებისა და გასავლების ანგარიშების შემოწმებისას თუ ზედმეტი თანხა აღმოჩნდება, არა აქვს მნიშვნელობა დიდი, თუ მცირე აოდენობისა და ამასობაში აღმოჩნდება, რომ სასწრაფო საქმისათვის გარკვეული თანხაა საჭირო, ეპიტროპებმა იღუმენს, საჭიროებისამებრ, ამ თანხის გამოყენების უფლება უნდა მისცენ. ხოლო მორჩენილი თანხა ეპიტროპებმა ბეჭდებით უნდა დალუქონ და ეკლესიის ყულაბაში შეინახონ იქ, სადაც ინახება მეათედები. როდესაც იღუმენს მონასტრის რაღაცა საქმისათვის დასჭირდება გარკვეული თანხა, ეპიტროპების ნებართვით, მას შეუძლია ამოიღოს იგი ყულაბიდან, მაგრამ მეათედების თანხა ხელუხლებლად უნდა დარჩეს.

როდესაც ეპიტროპები მონასტრის შემოსავლებს დათვლიან, მეათედების თანხა ცალკე გადათვალონ და ისე დალუქონ ცალკე ქისაში და შეინახონ იმავე ყულაბაში. ეპიტროპებმა ორ ცალად შეადგინონ დოკუმენტი, სადაც ყოველწლიურად ცალ-ცალკე აღინიშნება მეათედების თანხა და მონასტრის შემოსავლებიდან მორჩენილი ზედმეტი ფული. დოკუმენტის ერთი პირი შეინახონ ყულაბაში, მეორე ერთ-ერთ ეპიტროპთან, სხვა ეპიტროპთან ინახებოდეს ბეჭედი, რომლითაც დაილუქება ქისები, მესამესთან - ყულაბის გასაღები.

თავი 28. სკიტებისათვის[20]

თუ მომავალში ქრისტესმოყვარე ადამიანები შესწირავენ ამ მონასტერს ადგილ-მამულებს და იქ სკიტები დაარსდება, მომავალი წინამძღვარი ეპიტროპებთან ერთად ვალდებულნი იქნებიან, რომ ისეთივე ღვთაებრივი მოშურნეობითა და ღვაწლით იზრუნონ სკიტების განვითარებისა და კეთილდღეობისათვის, როგორც ამ მონასტრისათვის. იღუმენი და ეპიტროპები ვალდებულნი იქნებიან წელიწადში ორჯერ მოიკითხონ სკიტები და შეამოწმონ მათი მდგომარეობა, და თუკი აღმოაჩენენ რაიმე სახის უწესრიგობას ან დანაკარგს, მათ ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად მთელ ძალისხმევას უნდა მოუხმონ. ამ მოშურნეობისთვის ღმერთი მათ სულიერ საზღაურს მიუზღებს.

თავი 29. მოსახსენიებლისათვის

გვსურს, რომ მთელი წლის განმავლობაში ახლაც და მომავალშიც, ყოველ კვირა დღესა და დღესასწაულებზე ტაძრის შუაგულში ხმამაღლა მოიხსენიონ ცოცხალთა და მიცვალებულ ქრისტესმოყვარულ ქრისტიანთა სახელები, ანუ ამ წმინდა ადგილისათვის შემოწირულობათა გამღებნი, იმ წესით, როგორც ეს არის დაწერილი მონასტრის დავთარში და ყოველდღიურ მოსახსენებლებში, ასევე უნდა წაკითხულ იქნეს იქ დაწერილი შენდობის ლოცვა.

თავი 30. ეპიტროპთა პატივისცემისათვის

გარდა მონასტრის მოსახსენებელში დადგენილი მოხსენიებისა, იმ ღვაწლისათვის, რომელსაც ეპიტროპები გაიღებენ, ისინი ყოველ წირვაზე ხმამაღლა მოიხსენიონ შემდეგნაირად: "მერმეცა გევედრებით წყალობისა, სიცოცხლისა, მშვიდობისა, დღეგრძელობისა, კეთილად წარმათებისა, ცხონებისა და ცოდვათა შენდობისათვის მონათა ღვთისათა, ეპიტროპთა ამ წმინდა მონასტრისა (სახელები), რათა შეენდნეთ მათ ყოველნი შეცოდებანი მათნი ნებსითნი და უნებლიეთნი".

წელიწადში ორჯერ - წმინდა გიორგისა და წმინდა დიმიტრის ხსენების დღეს, როდესაც ეპიტროპები ანგარიშების შესამოწმებლად მობრძანდებიან, იღუმენი ვალდებულია მათ საპატივცემულოდ გაშალოს 5 ტალერის ღირებულების ტრაპეზი. იმავე დღეს, ტრაპეზის შემდეგ, თითოეულს დალოცვის სახით გადასცეს ორ-ორი ოქროს მონეტა.

თავი 31. მოწყალების გაორმაგებისათვის

მაღალი ღმერთი, რომელიც ხან გლახაკად გაქცევს და ხან გაგამდიდრებს, ხან დაგამდაბლებს და ხან აღგამაღლებს, თავისი დიდი წყალობით ამ მონასტერს თუ გამდიდრებასა და ამაღლებას უბოძებს და მონასტერს გაუჩნდება ბევრად დიდი შემოსავალი, ვიდრე ღვთისწყალობით აქვს ამჟამად, ამ შემთხვევაში, ღატაკთათვის და სხვათათვის მოწყალების გაცემის ყველა წესი, რომელიც აღნიშნულია ამ ტიპიკონის თავებში, უნდა გაორმაგდეს. ამას ვუბრძანებთ იმას, ვინც ჩვენ შემდეგ დადგება იღუმენად. ამას ვადგენთ, რომ ღვთის ყოვლად წმინდა სახელი უფრო მეტად იქოსა და იდიდოს.

თავი 32. თავების წაკითხვისათვის

ასევე გვნებავს, რომ ჩვენ შემდეგ დადგენილმა ყველა წინამძღვარმა, რათა არ დაიმსახურონ წყევლა, წელიწადში ოთხჯერ, ყოველ დიდ მარხვაში თითო - ჯერ, ტიპიკონის ყველა თავი ხელახლა გადაიკითხონ ხოლმე და იზრუნონ მათი შესრულებისათვის იმგვარად, როგორც დაწერილია ჩემ მიერ.

ხოლო მოწყალე ღმერთი, ზეციური მადლით, შეეწიოს იღუმენს, რომ ყველაფერი სიყვარულითა და მოშურნეობით აღასრულოს და გაიღოს მოწყალება ღარიბ-ღატაკთათვის, იღვაწოს ჩვენი და ამ სავანისათვის შემომწირველთა სულების ცხოვნებისათვის და ასევე იღვაწოს ამ წმინდა სალოცავის აღშენება - კეთილდღეობისათვის.

ამ წიგნაკში ეს 32 თავი დაიწერა ყოველთა წმიდათა სახელობის მონასტრის კეთილდღეობისათვის, ღარიბ-ღატაკთათვის მოწყალების გაღებისათვის, ჩემი ცოდვილი სულის ცხონებისა და ამ წმინდა სავანის ნაყოფის შემომწირველთა საუკუნო მოხსენიებისათვის.

თუ რომელიმე პირი: საეკლესიო თუ საერო დასთაგანი, დიდგვაროვანი, თუ უბრალო, ადგილობრივი თუ უცხოელი, შეცვლის ან დაარღვევს რამეს, რაც ჩემი კეთილი ნებით დავაწესე - შეჩვენებულ იქნეს მამისა და ძისა და წმინდისა სულისა მიერ და საშინელი სამსჯავროს ჟამს ყველა წმინდანი იყოს მისი მამხილებელი.

ანთიმოზ უნგრო - ვლახელი.

დარიგების სხვა თავები

გარდა დაწერილი ამ 32 თავისა, აქ ჩამოვწერთ კიდევ რამოდენიმე საჭირო სწავლებას მონასტრის მეტი კეთილდღეობისა და პატივის მიგებისათვის და ამიტომ გვსურს, რომ ეს ქვემოთ ჩამოწერილი მუხლებიც მომავალი იღუმენების მიერ ყოველთვის შესრულებულ იქნეს ისევე, როგორც ზემოთ დაწერილი თავები. წინააღმდეგ შემთხვევაში, წინამძღვარი ჩავარდება მძიმე და გაუხსნელი შეჩვენების ქვეშ.

1.

როდესაც მღვდელს ავადმყოფი ქრისტიანის საზიარებლად დაუძახებენ, გვნებავს, რომ მღვდელი ოლარითა და ფილონით შემოსილი წაბრძანდეს და თან წაიღოს წმინდა ტარიგი მისთვის დაწესებულ ჭურჭელში ისე, რომ დიდი მოკრძალებითა და პატივით ჰქონდეს ის მკერდზე დაკიდებული. ამ დროს მის წინ წინასწარ გამზადებული და ანთებული სანთლებით ხელში ორმა ბავშვმა უნდა იაროს. მღვდელს უკან მოჰყვებოდეს კიდევ ორი ბავშვი, რომლებიც მორიგეობით იგალობებენ 144 ფსალმუნს: "აღგამაღლო შენ, ღმერთო ჩემო". ეს ბავშვები უნდა იყვნენ იმათგანნი, ვინც მონასტრის მოწყალებით სწავლობენ ამ სავანეში.

2.

თუ რომელიმე ქრისტეს მოყვარე მორწმუნე, ვინც არ უნდა იყოს ის, მოისურვებს და თავისი სიცოცხლის ბოლოს, ყოველთაწმინდათა სახელობის მონასტერს შესწირავს დიდ თანხას, რომლის სანაცვლოდაც ამ მორწმუნეს ექნება სურვილი, რომ სანამ იარსებებს ეს ეკლესია, იქამდე მონასტერი უკეთებდეს რაიმე წყალობას მისი სულის საცხოვნებლად, წინამძღვრებმა, რომლებიც ჩვენ შემდეგ იქნებიან, ყველანაირი დაზარების გარეშე უნდა შეასრულონ ყველაფერი მთელი წლის განმავლობაში ისე, როგორც მოისურვებს ეს ადამიანი, რომელმაც შესწირა ეს დიდი თანხა. ფული, რომ არ გაჩერდეს სარგებლის გარეშე და თუ რომელიმე ხელობისა და საქმის ადამიანი მოისურვებს აიღოს სესხი იმ პირობით, რომ წელიწადში 100 ტალერზე გადაიხადოს 7 ტალერი, მიეცეს მოთხოვნილი თანხა ხელწერილით და მოგებული ფულიდან იღუმენმაშეასრულოს გარდაცვლილი შემომწირველის სულის მოსახსენებელი ანდერძი.

3.

წინამძღვრებმა, რომლებიც იქნებიან ჩემ შემდეგ, არ გაბედონ და რაიმე ხერხით არ დამალონ მონასტრის ქონებაში შინაური თუ უცხო ადამიანების საკუთრება იმ მიზნით, რომ იმათმა თავი დაიხსნან გადასახადებისაგან. არ დამალოს სხვისი ცხვარი, ღორი, ფუტკრის სკები, ღვინო, პური ან ნებისმიერი სხვა რამ. ეს იმიტომ, რომ სავანეს არ გაუტყდეს სახელი, რის გამოც თავად მონასტერს შეიძლება დიდი ზიანი მიადგეს. ხოლო თუ რომელიმე იღუმენი გაბედავს მსგავსი რაიმეს ჩადენას, მის თავს ანათემა დაატყდება.

4.

თუ ვინმე ადამიანს ექნება მამული მონასტრის მამულთან ახლოს, ან ვენახი მონასტრის ვენახთან ახლოს, სათიბი მინდვრები, ხილის ბაღები ან ბუჩქნარი არც ერთ შემთხვევაში სხვისი ადგილი არ უნდა იყოს დაჩაგრული, მიტაცებული ან დაზიანებული მონასტრის ადგილით.

5.

შიგნით ტაძარში არ გაკეთდეს მაღალი და წარწერიანი საფლავები. ასევე, არ დაუშვან, რომ შიგნით ტაძარში ხისა ან ქვის შანდლებზე ანთებდნენ სანთლებს, როგორც ეს იციან ხოლმე, არამედ ტაძარში მუდმივად ენთოს მხოლოდ ის კანდელები და იმ ადგილებში, რომლებიც სპეციალურად ამისათვის არის დადგენილი. ასევე ტაძრის შიგნით არ დაიდოს სკივრები გასაყიდი ტანსაცმლით, რადგან ღვთის სახლი არ უნდა გადაიქცეს ვაჭრობის სახლად, არამედ ეკლესიაში ყველა ადგილი უნდა იყოს სუფთა და ნათელი.

6.

მონასტრის პირველ ეზოში, ანუ ტაძრის გარშემო არ დაიმარხოს არავინ, ვინც არ უნდა იყოს და არ გაკეთდეს საფლავები გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გარდაცვლილი ძალზედ საპატივცემულო ადამიანი იქნება, მაგრამ საფლავის ქვები მაინც არ დაედოს, რადგან ეზო არის ვიწრო და კიდევ უფრო დავიწროვდება. ხოლო ქრისტიანები დაიმარხონ საავადმყოფოს ეზოში, სადაც ყოველ შაბათ დღეს ერთმა მღვდელმა ჩაატაროს ხოლმე წირვა და წესისამებრ საზოგადოდ მოიხსენიოს ყველა მიცვალებული ქრისტიანი. ასევე არანაირი ჯიშის პირუტყვი არ შევიდეს პირველ ეზოში, არც კელიებში მიიღონ შესანახად ვაჭართა ან თუნდაც მონასტრის საქონელი, რადგან მონასტერში

და კელიებში მუდმივად უნდა იყოს სისუფთავე. მაგრამ თუ მოხდება და ვინმე მოიყვანს შესანახად საქონელს, მაშინ ეს საქონელი მეორე ეზოში შეინახონ.

7.

მომავალმა იღუმენმა დაავალოს მონასტრის მღვდლებსა და მღვდელმონაზვნებს ჩემი სულის მოსახსენებლად გადაიხადონ ხოლმე 40 დღიანი პანაშვიდები, დაიწყონ ხოლმე აღდგომას და დაასრულონ ამაღლებას. ამ საქმეში წინამძღვარმა გადაიხადოს 10 ტალერი შემდეგი სახით: მღვდლებმა მიიღონ ორ-ორი ტალერი, დიაკონმა - ერთი ტალერი და მგალობელმაც - ერთი ტალერი. ხოლო წინამძღვარმა არ დაუკავოს ამ თანხიდან არც ერთი ბანი.

8.

თუ მოხდება ისე, რომ ვინმე იღუმენს ჩააბარებს შესანახად ფულს, სამუშაო იარაღებს, ან ტანსაცმელს, გაუფრთხილდეს მას, როგორც თვალის ჩინს მთელი სამართლიანობით და პატიოსნებით, ყველანაირი ბოროტი განზრახვის გარეშე. და როდესაც მას მოსთხოვენ იმ საგნების დაბრუნებას, ყველაფერი სრულად დააბრუნოს, რათა მონასტერს სახელი არ გაუტყდეს და მასზე ბოროტად არ ილაპარაკონ.

ცალკე თავი, რომელიც ჩვენმა სიმდაბლემ დააწესა დღეს, 7224 [1716] წლის 15 მარტს, და გვნებავს, რომ იყოს საუკუნოდ დაცული შეუცვლელად, ხოლო ამისი დამრღვევი მძიმე და მოუხსნელი შეჩვენებით დაისაჯოს.

ის შემდეგ, რაც ყოვლად მოწყალე მამამ, ყოვლის ნუგეშინისმცემელმა ღმერთმა, მისი გამოუთქმელი სიკეთიდან გამომდინარე მოიყვანა ღვთივკურთხეული დიდი უფალი, იონ ნიკოლაე ალექსანდრუ ვოევოდა, ვლახეთის მთავრად, ღვთისმოშურნეობითა და მოწყალებით სავსემ გვიბოძა სიგელ-გუჯარი, რომლითაც გაამდიდრა ამ წმინდა ადგილის შემოსავალი. ამიტომ ვადგენთ, რომ ღარიბებისათვის მთელი წლის განმავლობაში ყველა ის გასაცემი მოწყალება, რომელიც დადგენილია ამ ტიპიკონის 32 თავში, ყველა გაორმაგდეს. ეს ყველაფერი გაკეთდა მისი დიდებულების იონ ნიკოლაე ალექსანდრუ ვოევოდას ვლახეთის მთავრისა და მისი განსვენებული მშობლების მოსახსენებლად.

ასევე ვადგენთ, რომ ჩვენთვის გაღებული ამ დიდი მოწყალებისთვის, წინამძღვრები, რომლებიც იქნებიან ჩვენ შემდეგ, ვალდებულნი იყვნენ ყოველ წელიწადს, სანამ იარსებებს ეს მონასტერი, 40 ეკლესიას შესწირონ 40 ორცი, რომ ერთ დღეში ყველგან გადაიხადონ პანაშვიდი და მოიხსენიონ მთავრის

მიცვალებულთა მოსახსენებელში დაწერილი ყველა სახელი, რომელიც დართულია მონასტრის ყოველდღიურ მოსახსენებელსა და მონასტრის დავთარში. და ეს შესრულდეს ყოველი წლის 10 მაისს, როდესაც აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ბევრ ქვეყანაში აღინიშნება წმინდა ნიკოლოზის ნაწილების გადასვენების დღე. ასევე ამ დღეს მონასტრის მცირე ეკლესიაში ცალკე გადაიხადონ პანაშვიდი და მოიხსენიონ მისი უდიდებულესობის, მთავრის, მოსახსენებელში ჩაწერილი ყველა სახელი.

კომენტარები:

ტიპიკონი (ბერძ. ტვიპოსიდან – სახე, მაგალითი), ტიპიკონი ეწოდება საეკლესიო წეს-განგებათა კრებულს,იგი მოიცავს სახელმძღვანელო მითითებებს ყოველგვარი მღვდელმსახურებისათვის საწელიწდო კალენდრის დღეებში, შვიდეულის დღეებში და ყოველდღიური ღვთისმსახურების ჩატარების წესისა და თანმიმდევრობის შესახებ. ტიპიკონი უჩვენებს, თუ რომელი საეკლესიო პრაქტიკის მიმდევარია ეკლესია ან მონასტერი, რომელიც ამ ტიპიკონით ხელმძღვანელობს., არსებობს ღვთისმსახურების შესრულების ორი წესი და, შესაბამისად, ორი ტიპის ტიპიკონი: სამრევლო და სამონასტრო.

სამრევლო ეკლესიის პირველი ტიპის ტიპიკონი ჩამოყალიბებულია იერუსალიმში, ქრისტეს საფლავის ეკლესიის ღვთისმსახურების წესის საფუძველზე, ხოლო მოგვიანებით - კონსტანტინეპოლის აია-სოფიის დიდი ეკლესიის წესის მიხედვით.

სამონასტრო ტიპიკონებიდან ყველაზე ცნობილია: პალესტინაში – საბაწმიდის ლავრის ტიპიკონი, კონსტანტინეპოლში – სტოდიელთა მონასტრის ტიპიკონი, ხოლო ათონის მთაზე – ათანასე მთაწმიდელის ლავრის ტიპიკონი. საქართველოს ეკლესიას, რომელიც დაარსების დღიდან პალესტინურ ლიტურგიკულ პრაქტიკას მიჰყვებოდა, სახელმძღვანელოდ იერუსალიმური ტიპიკონი უნდა ჰქონოდა. ეს მოსაზრება გაამართლა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მიკვლეულმა ძეგლმა `განჩინება და განწესება მოძღუართა მიერ მართლმორწმუნეთა, რომელსა ჰყოფენ იერუსალიმს". ეს ვრცელი თხზულება წარმოადგენს იერუსალიმში ქრისტეს საფლავის (გოლგოთის) ეკლესიაში შემუშავებულ ტიპიკონს, რომელსაც `კანონი"ეწოდება.

ამ კანონში შემონახულია VI საუკუნის რედაქციის ტიპიკონი, რომელიც ქართულად ნათარგმნია VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე. ამ ძეგლის ბერძნული დედნის ძველი ფენა V საუკუნეში უნდა შექმნილიყო. ამ ტიპიკონით, რომლის რამდენიმე ქართული ხელნაწერი X საუკუნისაა, საქართველოს ეკლესია X საუკუნემდე ხელმძღვანელობდა. ათონის მთაზე ქართველთა მონასტრის - `ივირონის" დაარსება გახდა საფუძველი აია-სოფიის ანუ კონსტანტინეპოლის `დიდის ეკლესიის" ტიპიკონის თარგმნისა, რომელსაც გიორგი მთაწმინდელის თარგმანში `დიდი სნაქსარი" ეწოდება, ხოლო ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანში - `მცირე სნაქსარი", რადგან ეფთვიმემ ძეგლი შემოკლებით გადმოიღო, ხოლო გიორგიმ – სრულად. გიორგის თარგმანში შეტანილია ელემენტები სტოდიელთა მონასტრის სამონასტრო ტიპიკონიდან და ათონის მთის მონასტერთა

ლიტურგიკული პრაქტიკიდან. ეს ტიპიკონი ანუ `დიდი სნაქსარი" XII საუკუნემდე იყო სახელმძღვანელო ქართული ეკლესიისა, თუმცა, მაინც გამოიყენებოდა XIV-XV საუკუნემდე. XII საუკუნის დასაწყისში, დავით აღმაშენებელს დაუვალებია არსენ იყალთოელისათვის, რომ მეფის ბრძანებით და არსენის პრაქტიკული საქმიანობით შიომღვიმის მონასტრის ახლად აშენებული ღვთისმშობლის მიძინების მთავარი ტაძრის მშენებლობის დასრულებასთან დაკავშირებით შეერჩია მონასტრისათვის ტიპიკონი. არსენმა შეარჩია შავი მთის, სვიმეონ მესვეტის მონასტრის ტიპიკონი, რომელიც იერუსალიმის საბა განწმედილის მონასტრის ტიპიკონის რამდენადმე შეცვლილი ტიპისა იყო, ალბათ იმიტომ, რომ არსენი კარგად იცნობდა მას, რადგან ამ მონასტერში მან რამდენიმე ხანს იმოღვაწა, თარგმნა ეს ტიპიკონი. ამრიგად, XII საუკუნის პირველი მეოთხედიდან საქართველოში რიგით მესამე ტიპიკონი ამოქმედდა -საბას ლავრის ტიპიკონი, რომელსაც შიომღვიმის ტიპიკონი ეწოდა (მისი ცნობილი ეგზემპლარია H-1349, XIII საუკუნის, თუმცა არსებობს უფრო ძველი ხელნაწერები – იერუსალიმის (Ier.) ქართული ხელნაწერების კოლექციიდან (Ier.146, XII ს.). აღსანიშნავია, რომ საბას ლავრის სამონასტრო ტიპიკონი საქართველოში, კერძოდ, კლარჯეთის ეკლესიებში ცნობილი უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ IX საუკუნიდან, რადგან ცნობილია, რომ გრიგოლ ხანძთელმა მის მიერ დაარსებულ მონასტრებს ეს ტიპიკონი დაუდგინა. მან საგანგებოდ ათარგმნინა თავის მოწაფეს, რომელიც საბას ლავრაში მოღვაწეობდა და რომელმაც ეს ტიპიკონი გრიგოლს გამოუგზავნა (ძეგლები, I, გვ. 265-266). შიომღვიმის ტიპიკონი საქართველოში, როგორც ჩანს, XVIII საუკუნემდე მოქმედებდა. მისი მოქმედების არეალი ძალიან ფართო იყო, თამარ მეფის დროს ამ ტიპიკონით ხელმძღვანელობდნენ არა მარტო სამრევლო ეკლესიები და მონასტრები, არამედ მეფის კარის ეკლესიაც კი. ეს ჩანს მემატიანეს სიტყვებიდან: `საეკლესიო ლოცვა და წესი ლოცვისა დაუკლებლად აღესრულებოდის, ვითარცა ტიბიკონი მოასწავებდა და განწესება პალესტინისა მონასტრისა მოგვითხრობს, ყოველი სრულად. დარბაზის კარს მყოფნი წირვად ვერვინ დააკლდებოდა: მწუხრი, დილეულ, სამხარი, ვითარცა თქუმულ არს". თავდაპირველად ჩვენში შემოვიდა საბაწმიდის ტიპიკონის „სვიმეონწმიდის" რედაქცია, რომელშიც შემდგომ ადგილი მოიპოვა ათონის მონასტერთა ლიტურგიკული პრაქტიკის ელემენტებმა. ასე რომ, საბოლოოდ ჩვენში დამკვიდრდა `მთაწმიდის რედაქცია" საბაწმიდის ტიპიკონისა. ეს რედაქცია პალესტინური ტიპიკონისა უცვლელად მოქმედებდა XVIII საუკუნის ნახევრამდე, სანამ იგი ანტონ I-მა არ შეასწორა სლავური ტიპიკონის მიხედვით.

სამონასტრო ტიპიკონების სახელწოდებაში გაჩნდა სიტყვა `ქტიტორული" იმის აღსანიშნავად, რომ ზოგიერთი დიდგვაროვანი და შეძლებული მორწმუნე თავის ქონებას ახმარდა მონასტრის აშენებას, რომელსაც სამონასტრო წესს მისი დამაარსებელი - `ქტიტორი" უწესებდა. ასეთ მოქმედებას ადგილი ჰქონდა საქართველოშიც. ილარიონ ქართველის ცხოვრებაში მოთხრობილია, როგორ აუშენა მონასტერი ექვსი წლის ილარიონს მამამ `და შეკრბეს მუნ ძმანი რიცხვით, ვითარ ათექსუმეტნი ოდენ" (ძეგლები, II, გვ. 10-11). შემდეგ, იერუსალიმიდან დაბრუნებულმა ილარიონმა დაქვრივებული დედისა და დისათს `აღაშენა მონასტერი დედათათს მოწესეთა... და განუწესა

წესი და კანონი..." (იქვე, გვ. 16); `და კუალად აღაშენა სხუა მონასტერი მამათათს... და განუწესა მათცა წესი და კანონი..." (იქვე). ქტიტორები ამ წესს წერილობით სახეს აძლევდნენ და ასე იქმნებოდა მრავალი ქტიტორული ტიპიკონი. ასეთი ქტიტორული ტიპიკონიდან მხოლოდ ცალკეული ადგილებია მოტანილი `გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში", გრიგოლის მიერ აშენებული მონასტრების წესებიდან (ძეგლები, I, გვ. 265-267). ქტიტორულია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ მთაწმიდის ქართველთა მონასტრისათვის დადგენილი წესები, რომელთა დიდი ნაწილი წარმოდგენილია `იოანესა და ეფთვიმე მთაწმიდელების ცხოვრებაში" (ძეგლები, II, გვ. 69-85 – წარმოდგენილია 42 პუნქტი). ქტიტორული ტიპიკონების რიცხვს განეკუთვნება ტიპიკონები: 1) დავით აღმაშენებლის `ანდერძები", მიცემული შიომღვიმის მონასტრისადმი (გამოც. ვ. სილოგავასი, თბილისი, 2003, გვ. 114-142); 2) გრიგოლ ბაკურიანისძისა, პეტრიწონის ტიპიკონი 1084წ. (გამოც. ი. დოლიძისა, ქართ. სამართ. ძეგლები, III, გვ. 35-105); 3) მხარგრძელისა `განგება ვაჰანის ქუაბთა მონასტრისა" (გამოც. ლ. მუსხელიშვილისა, თბილისი).

თანამედროვე საეკლესიო პრაქტიკაში ხმარებული ტიპიკონი შინაარსობრივად 3 ნაწილად იყოფა:

I ნაწილი (1-47 თავი) შეიცავს ზოგად მითითებებს: ა) მღვდელმსახურებათა თანმიმდევრობაზე საზოგადო მსახურების გარკვეულ დღეებში (თ. 1-26); ბ) როგორ უნდა განლაგდნენ მლოცველები ღვთისმსახურების დროს (თ. 26-32); გ) მონაზონთა ცხოვრების წესი (თ. 31-47).

II ნაწილი (თ. 47-52) გვაძლევს მითითებებს წლის თითოეული დღის მღვდელმსახურებაზე და მათ თანმიმდევრობაზე ღვთისმსახურების დროს.

III ნაწილი (თ. 52-დან) წარმოადგენს ტიპიკონის I და II ნაწილების დამატებას და შეიცავს: ა) ისეთ ზოგად მითითებებს საწელიწდო კალენდრისა და შვიდეულის დღეების მოკლე საგალობლებზე, რომლებიც არ არის შეტანილი ტიპიკონის I და II ნაწილებში; ბ) ისეთ საგალობლებს, რომლებზედაც მითითებანი ამ ნაწილშია წარმოდგენილი: კონდაკებს (საგალ.), სტიქარონებს, იბაკოებს და ა.შ.

[2] ანთიმოზ ივერიელი აქ გულისხმობს მონასტრის წინამძღვარს.

[3] ადმინისტრაციული მმართველი, ზედამხედველი. დღეს მონასტერში მას უწოდებენ ეკონომოსს, წინამძღვრის მოადგილე, რომელსაც ჩაბარებული აქვს ეკონომიკური საკითხები-სამეურნეო საქმიანობა, მშენებლობა და სხვ.

[4] იგულისხმება მონასტრის წინამძღვარი

ანთიმოზ ივერიელი მთელ ტექსტში სინონიმურად იყენებს სამ სიტყვას-ეკლესია, სახლი, მონასტერი. ყველგან ერთი - მონასტრის მნიშვნელობით.

[6] ებრაელთა მიმართ. 3. 16.

ნიშნავს ბატონს. ჟუპანი ნეაკშული იგივეა, რაც ბატონი ნეაკშული.

შალის ტანსაცმლის მეწარმე და გამყიდველი

პირი, რომელსაც უშუალოდ ტაძრის მართვა-გამგეობა ავალია.

[10] ტაძრის მთავარი სტიქაროსანი.

ამჟამად რუმინული ვალუტის ყველაზე მცირე ერთეული, ნვრილი ფული;

წმ. გიორგი მთაწმინდლის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნ „კურთხევანში" ვპოულობთ ცოცხალთათვის გადასახდელ პანაშვიდის წესს. ამავდროულად, რუმინეთის ზოგიერთ პროვინციაში არსებობს ტრადიცია, როდესაც ასაკოვანი ადამიანები სიცოცხლეშივე თავისთვის წინასწარ უკვეთავენ მღვდლებს მიცვალებულისათვის ყველა აუცილებელი მსახურების შესრულებას (პანაშვიდები, წესის აგება და შეკვეთილი ნირვები) ეს ტრადიცია დღემდე შენარჩუნებულია იმ პროვინციებში, სადაც ანთიმი მსახურებდა.

[13] კლიროსი (κλῆρος)შემაღლებული ადგილი მართლმადიდებელ ეკლესიაში, სადაც განლაგებულნი არიან მგალობელნი და მედავითნენი. თითქმის ყველა ეკლესიაში ორი კლიროსია. ერთი უფრო მცირე, ჩვეულებრივ, კანკელთანაა, მეორე ან მოპირდაპირე მხარეს, ან აივანზეა განლაგებული.

[14] იოანე და მარია (მარიამი) – წმინდა ანთიმოზ ივერიელის მშობლების სახელები.

[15] მღვდელმონაზონი მაკარი – მოლდო–ვლახეთის (მოლდოვის) სამთავროს დედაქალაქ იასთან ახლოს არსებულ ჩეტაცუიას მონასტრის წინამძღვარი, რომელიც წმინდა ანთიმოზ ივერიელის პირველი ვლახელი სულიერი მოძღვარი იყო, რომელმაც, როგორც ჩანს, დიდი წვლილი შეიტანა ანთიმოზის სულიერ ჩამოყალიბებაში. მღვდელმონაზონ მაკარის გარდაცვალების შემდეგ ანთიმოზი გახდა მისი სულიერი მემკვიდრე და ჩეტაცუიას მონასტრის წინამძღვარი.

[16] მღვდელმთავარი თეოდოსი – უნგრო–ვლახეთის (ბუქარესტის) მიტროპოლიტი, რომლის ანდერძითა და რეკომენდაციით, მისი გარდაცვალების შემდეგაც, რიმნიკის ეპისკოპოსი ანთიმოზი არჩეულ იქნა უნგროვლახეთის მიტროპოლიტად.

[17] ძვ. საქართველოში ნონის ერთეულია, რომელიც უდრის 1.36 კგ-ს.

[18] ანთიმი აქ გულისხმობს ადგილობრივს, რუმინეთში დაბადებულ ეთნიკურად ბერძენ ადამიანს.

[19] ძველი ლიტურგიკული ტრადიციით, რომელიც საბერძნეთისა და რუმინეთის ეკლესიებშია შემორჩენილი მღვდელმონაზონის წინამძღვრად არჩევისას ტარდება კურთხევის სპეციალური რიტუალი.

[20] მცირე ზომის დასახლება, რომელშიც 5-10 ბერი მოსაგრე ცხოვრებას ეწევა. სკიტი ძირითად მონასტერს ემორჩილება. სკიტის დაარსების მიზეზი შესაძლებელია ორი იყოს: ბერების ნაწილის გასვლა უფრო შორეულ, განმარტოებულ ადგილზე ასკეტური ცხოვრებისათვის, მეორე- მონასტრისაგან მოშორებით არსებული მეურეობის მისახედად.

საეკლესიო სწავლება

მღვდელთა განათლებისათვის ყველაზე საჭირო და სასარგებლო სწავლება, ახლა ამ სახით დაბეჭდილი [ქალაქ] ტირგოვიშტეში წმინდა მიტროპოლიის მიერ ქრისტეს შობიდან 1710 წელს. გადაეცეს მღვდლებს საჩუქრად.

ღვთის წყალობით ყოვლად უსამღვდელოესი უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტი და მთიანეთის ეგზარქოსი.

ჩვენს ეპარქიაში მყოფ ყველა პატიოსან მღვდელს ღვთისგან ვუსურვებთ წყალობას, მშვიდობას, ჯანმრთელობას, წმინდა ცხოვრებასა და სულიერ ცხონებას, ხოლო ჩემი უღირსობისაგან გითვლით კურთხევას, დალოცვასა და ცოდვათა შენდობას.

მღვდელმთავრობის ამ მაღალ ხარისხში ყოფნისას, რომელზეც ჩემი აყვანა ინება ღმერთმა, ყველაზე დიდი და საპასუხისმგებლო მისია, რომელიც მაკისრია არის ეკლესიის მართვა–გამგეობა და ჩვენი პირმეტყველი სამწყსოს სულიერ ცხონებაზე ზრუნვა. ამისთვის ვალდებულები ვართ ვიფხიზლოთ დღე და ღამე, რადგან ღვთის წინაშე პასუხს ვაგებთ პავლე მოციქულის სიტყვებისამებრ: მწყემსთა დასაბამის იესო ქრისტეს მსგავსად, რომელმაც სული თვისი დასდო ჩვენთვის, ჩვენც უნდა დავსდოთ ცხოვრება ჩვენი სამწყსოს დასაცავად.

მაგრამ ამ კეთილ მსახურებას ვერ შევასრულებ მარტო მე ისე, როგორც საჭიროა, თუ ჩემს გვერდზე არ მეყოლება თანამოღვაწე და თანამსახური ადამიანები, რომლებიც დამეხმარებიან ამ დიდ საქმეში, რადგან სადაც სამკალი ბევრია, იქ ბევრი მომკალიცაა საჭირო. როდესაც სამწყსო დიდია, ხოლო მწყემსი კი ერთი, ის მწყემსი როგორი გამორჩეული, ღირსეული, გამოცდილი მართვაში და განათლებულიც არ უნდა იყოს, ვერ შეძლებს ვერც ყველაფრის დანახვას და ვერც ყველაფრის ცოდნას. ამიტომ მას ჭირდება მღვდლები და სულიერი მოძღვრები, რომლებიც დაეხმარებიან ყოვლად უსამღვდელოეს მწყემსს თვალებივით, რომ დაინახოს ყველაფერი, ხელებივით, რომ გააკეთოს საჭირო და აუცილებელი საქმეები და ფეხებივით, რომ სწრაფად მივიდეს ყველას დასახმარებლად.

ამიტომაც ამ დიდ საქმეში დამხმარენი ხართ თქვენ, პატიოსანნო მღვდელნო, რომლებსაც მუდმივი ვალდებულება გაქვთ სიტყვითა და საქმით იშრომოთ და იღვაწოთ დღე და ღამე თქვენს მწყემსმთავართან ერთად ამ პირმეტყველი სამწყსოს ცხონებისთვის, რომელიც ჩაგვაბარა ჩვენ მაღალმა ღმერთმა. მაგრამ რა იმედი უნდა მქონდეს მე თქვენი? ან რა დახმარებას უნდა ველოდო მე თქვენი შრომისაგან?

რადგან სხვა მწუხარებებთან ერთად, რომლებიც მწარედ მტკენს გულს

და სევდას მგვრის, არის ის, რომ ჩემს მღვდლთა შორის არიან გაუნათლებელი და უმეცარი მსახურები, რომლებიც, როგორც მე ვიცი, საწყალ სამწყსოს ვერ უწევენ ვერც დახმარებასა და ვერც სწორ დაკვალიანებას. ამიტომ, ღვთის შიშით შეპყრობილმა, დავინახე რა თქვენი უმეცრება და უცოდინარობა, გადავწყვიტე გაგანათლოთ ამ პატარა წიგნით, რომელიც დავყავი სამ ნაწილად.

პირველ ნაწილში ძალზედ მოკლედ განვმარტე ზოგიერთი აუცილებელი საეკლესიო სწავლება და წმინდა საიდუმლოებები, რომელთა ცოდნაცა და შესრულებაც გევალებათ თქვენც და თქვენ გარშემო მყოფ მორწმუნეებს.

მეორე ნაწილში დავწერე სწავლება აღსარების შესახებ, რომ ყველა მოძღვარმა იცოდეს, როგორ ჩაიბაროს აღსარება და როგორ დაარიგონ და გამოასწორონ მასთან მისული აღმსარებლები.

მესამენაწილშიდავწერედარიგებებიიმუწესოებებისადადანაშაულებების შესახებ, რომლებიც ჩვენ აქამდე გვსმენია და რომ ამის შემდეგ აღარ უნდა მოხდეს მსგავსი რამ.

პატიოსანნო მოძღვარნო, დალოცვასთან ერთად უსასყიდლოდ გიშლით ამ სულიერ სუფრას იმ იმედით, რომ ამ მცირე სწავლა–დარიგებებით დანაყრდებით ცოდნის ნათელით და ამით დაეხმარებით გაჭირვებაში მყოფ ქრისტიანებს.

ხოლო თუ ასე მოკლედ, ძალზედ გასაგები და მარტივი ენით დაწერილი სწავლების მიმართ გამოიჩენთ დაუდევრობას, გამოჩნდება, რომ არ გინდათ იღვაწოთ არც ქრისტეს სიყვარულისთვის, არც ეკლესიის გამტკიცებისთვის, არც ქრისტიანთა დახმარებისათვის, არც თქვენი პატივისათვის და განსაკუთრებით არც იმ საზღაურისთვის, რომელიც მოგეცემათ ღვთისგან თქვენ მიერ გაწეული შრომისათვის. ამიტომაც პასუხს აგებთ თქვენ ქრისტეს საშინელ სამსჯავროზე, რადგან მე შევასრულე ჩემი მოვალეობა და გასნავლეთ, რაც აუცილებელი და საჭიროა, როგორც ამას ამბობს მაცხოვარი იესო ქრისტე იოანეს სახარების მე–15 თავში: „უკეთუმცა არა მოვედ და ვეტყოდე მათ, ცოდვაიმცა არა აქუნდა; ხოლო აწ მიზეზი არა აქუს ცოდვათა მათთათვის."

მაგრამ თუ თქვენს გულებში იმას იტყვით, რომ დაკავებულობისა და ბევრი საქმეების გამო არ შეგვიძლია ამ ყველაფრის შესრულებაო, ეს არაფერს გარგებთ და უზენაესი მსაჯულის წინაშე ვერ გაიმართლებთ თავს. რადგან, მათეს სახარების 22–ე თავში, უფალი იესო ქრისტე ამბობს შემდეგ სიტყვებს: „მიეცით კეისრისა კეისარსა და ღმრთისაი ღმერთსა". რადგან, როგორც მეფე ითხოვს თავისი ქვეშევრდომებისაგან ხარკს, ასევე ღმერთიც ქრისტიანებისაგან და განსაკუთრებით მღვდლებისაგან ითხოვს რწმენასა და კეთილ საქმეებს. ზოგიერთისაგან მეტს და ზოგიერთისაგან ნაკლებს, ანუ თითოეულისაგან თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების შესაბამისად, რაც მიეცა.

ამიტომაც შეეშვით მიზეზებსა და საბაბებს, რადგან ამაოა ყველაფერი. ნუ გაურბიხართ შრომას და არ იზარმაცოთ, რადგან წყევლის ქვეშ მოიქცევით, როგორც ეს ნათქვამია წმინდა წერილში იერემია წინასწარმეტყველის წიგნის

48–ე თავში: „წყეულ იყოს, ვინც მცონარებით ასრულებს ღვთის საქმეს.“

მაშასადამე, მთელი ძალით, მონდომებითა და სიყვარულით იღვაწეთ ქრისტიანი ერის ცხონებისათვის, რომ თითოეული თქვენგანი ღირს იქმნას, გაიგოს სამართლიანი ამნაზღაურებელი ქრისტეს ნეტარი ხმა: „მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შეეგედ სიხარულსა უფლისა შენისასა.“[1] ამ სიხარულის ღირსები გაგხადოთ თქვენ ღვთის მადლმა და ჩემი უღირსობის ლოცვამ.

1. ამ წიგნის კიბისაღმწერი
2. რა ძალა აქვს ჯვარს და როგორ უნდა გადავიწეროთ პირჯვარი?
3. უფლის ლოცვა და მისი განმარტება.
4. რამდენი მუხლი აქვს მრწამსს და რას ნიშნავს თითოეული?
5. ეკლესიის შვიდი საიდუმლო, რა ძალა და მადლი აქვს თითოეულს?
6. რას გვასწავლის ეკლესიის ცხრა დიდი მცნება?
7. ღვთის ათი მცნება, რომელთა დაცვაც გვეევალება ყველას; წინაამღდეგ შემთხვევაში ვერ აღვასრულებთ სჯულს.
8. რამდენი და რომელია სული წმიდის ნიჭები?
9. სამი საღვთისმეტყველო სათნოება.
10. სულის ოთხი სათნოება.
11. ხორცის ოთხი სათნოება
12. შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა.
13. რომელია მოწყალების თორმეტი ნაყოფი?
14. სწავლება აღსარების შესახებ.
15. სხვა აუცილებელი სწავლებანი.

ჯვარი არის ნიშანი და იარაღი ბოროტის წინააღმდეგ, რადგან, როგორც ამბობს პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ ეპისტოლის პირველ თავში, ჯვარი ღვთის ძალა და სიბრძნეა. ხოლო მართლმადიდებელ ქრისტიანს პირჯვრის წერა მართებს შემდეგი წესით:

ჯერ შეაერთოს მარჯვენა ხელის სამი თითი (ანუ დიდი და მის გვერდზე ორი მომდევნო თითი), მიიდოს შუბლზე და თქვას: სახელითა მამისათა, შემდეგ დაიდოს ჭიპზე და თქვას: და ძისათა, შემდეგ მიიდოს მარჯვენა მხარეზე და თქვას: და სულისა წმიდისათა, შემდეგ მიიდოს მარცხენა მხარეზე და თქვას: ამინ.

ლოცვა, რომელიც ასწავლა მოციქულებს უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ:

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა. ეს სიტყვები გვასწავლის, რომ არ გვყავს სხვა მამა გარდა ღმერთისა, როგორც ეს ნათქვამია მათეს სახარების 25–ე თავში: ამ ქვეყნად ნურავის ნუ უწოდებთ მამას, რადგან ერთი გყავთ მამა ზეციერი.

წმიდა იყავნ სახელი შენი. ღვთის სახელი არის წმიდა სათნოებებითა და კეთილი საქმეებით, როგორც ეს ნათქვამია მათეს სახარების მე–5 თავში: „ეგრეთ ბრწყინავდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაითა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა“.[2]

მოვედინ სუფევა შენი. ამ სიტყვებით სული ლოცულობს, რომ ღმერთმა დაამყაროს თავისი სუფევა, ანუ უბოძოს მას შეწევნა, სიმართლე და ცოდვის ძალისაგან დაცვა, როგორც ნათქვამია ეს რომაელთა მიმართ მე–6 თავში: „ნუ უკუე სუფევენ ცოდვაი მოკუდავთა მაგათ ხორცთა თქუენთა მორჩილებად მისა გულის თქუმათა შინა მისთა“.[3]

იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. ამ სიტყვებით ჩვენ ვთხოვთ ღმერთს, რომ მისი ნება სრულდებოდეს ამ ქვეყნად ისევე, როგორც ის სრულდება ზეცაში, ანუ, როგორც ანგელოზები ყველაფერში და ყველანაირი ეჭვის გარეშე ემორჩილებიან ღვთის ნებას, ასევე ამქვეყნადაც ადამიანები, რომ ვემორჩილებოდეთ მას. ამის შესახებ პავლე მოციქული ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეს მე–2 თავში ამბობს შემდეგს: „რაითა სახელისა მიმართ იესო ქრისტესისა ყოველი მუხლი მოდრკეს ზეცისათანი და ქუეყანისათანი და ქუესკნელთანი“.[4]

პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს. ამ სიტყვებით, უპირველეს ყოვლისა, ღვთისგან ჩვენ ვითხოვთ ზებუნებრივ სულიერ საკვებს, რომელიც ღვთის სიტყვას ნიშნავს. ამის შესახებ ნათქვამია მათეს სახარების მე–4 თავში: „არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“.[5]

და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა. ეს სიტყვები შთაგვაგონებენ, რომ მეტს ვპატიობდეთ ხოლმე ადამიანებს ჩვენ მიმართ ჩადენილ შეცდომების გამო, რომ ღმერთმაც შეგვინდოს ჩვენი ყოველდღიური ცოდვები, როგორც ნათქვამია ეს მათეს სახარების მე–6 თავში: „უკეთუ მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან“.[6]

და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა. ამ სიტყვებით ჩვენ ვთხოვთ ღმე-

რთს, რომ არ შეგვიყვანოს არც ამ ქვეყნის, არც ეშმაკის და არც ჩვენი ხორცის განსაცდელში, რადგან ეს სამი განსაცდელი მოიცავს ყველა სხვა განსაცდელს. ამიტომ, თუ თავს დავიცავთ ამ სამისაგან, შესაბამისად დაცული ვიქნებით ნებისმიერი სხვა განსაცდელისაგანაც.

არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. ამ სიტყვებით ჩვენ ვთხოვთ ღმერთს, რომ გვიხსნას ყველანაირი ბოროტებისა და ცოდვისაგან; და განსაკუთრებით, რომ გარდაცვალების ჟამს დაგვიცვას ყველანაირი ბოროტი სულისაგან.

რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება უკუნისამდე. ამინ. ეს სიტყვები გვარწმუნებს, რომ რამდენჯერაც ვილოცებთ მამა ღმერთზე სუფთა რწმენითა და სასოებით, ყოველჯერზე შეგვისრულებს თხოვნასა და გვიხსნის გაჭირვებისაგან, როგორც ყოვლადძლიერი მეუფე. ასეა ნათქვამი იოანეს სახარების მე–14 თავში: „რაიცა ითხოვოთ სახელითა ჩემითა, იგი ვყო“.[7]

რწმენის სიმბოლო, რომელიც იყოფა 12 მუხლად

მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა.

ეს მუხლი გვასწავლის, რომ ერთია ღმერთი – მამა, როგორც ნათქვამია ეფესელთა მიმართ ეპისტოლის მე–4 თავში: „ერთ არს და მამაი ყოველთაი, რომელი ყოველთა ზედა არს და ყოველთა მიერ და ჩუენ ყოველთა შორის“.[8] ასევე გვასწავლის, რომ მან შექმნა ყველაფერი, რაც ხილულია და რაც უხილავი, არაფრისგან– მხოლოდ სიტყვით.

და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

მეორე მუხლი გვასწავლის ვირწმუნოთ, რომ უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, არის ჭეშმარიტი საუკუნო ღმერთი, არა ქმნილი, არც აგებული, არამედ შობილი უწინარეს ყოველთა დროთა, მამის ბუნებიდან და მამასთან ერთად თანასწორად დიდებული, როგორც ნათქვამია ეს იოანეს სახარების მე–17 თავში: „და აწ მადიდე, მამაო, თავისა შენისა თანა დიდებითა მით, რომელი მაქუნდა წინაშე შენსა უწინარეს სოფლის დაბადებისა“.[9]

ასევე გვასწავლის რწმენას, რომ იესო ქრისტე არის ყველა საგნისა და დროს შემქნელი, როგორც ეს ნათქვამია იოანეს სახარების პირველ თავში: „სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმან იგი ვერ იცნა“.[10]

რომელი ჩვენთვის, კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა.

მესამე მუხლი გვასწავლის, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე გარდამოხდა ზეციდან ჩვენი ცხონებისათვის, ჩაისახა სულისაგან წმიდისა ქალწული მარიამის საშოში და იშვა მეტყველი სულით სრულყოფილი ადამიანი კაცობრივი ბუნების ყველა თვისების მქონე (გარდა ცოდვისა), ისე, რომ არც ღვთაებრიობა შეიცვალა კაცობრიობაში და არც კაცობრიობა ღვთაებრიობაში, არამედ ორივე ბუნება შეერთებულად სრულყოფილად შენარჩუნდა: ღმერთი სრული და კაცი სრული.

და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატეს–ზე, და ივნო, და დაეფლა.

ეს მუხლი გვასწავლის, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე ჯვარზე ეცვა პილატეს მიერ (რომელიც იყო პონტოდან), დასთხია თავისი ყოვლადპატიოსანი სისხლი ჯვარზე, რომ გვიხსნას ცოდვის მონობისაგან; უცოდველი ივნო, მაგრამ არა ღვთაებრიობით, არამედ კაცობრიობით. და როგორც ჭეშმარიტად ივნო ჯვარზე, ასევე ჭეშმარიტად მოკვდა, როგორც ეს ნათქვამია ლუკას სახარების 23–ე თავში: „და ხმა–ყო ხმითა დიდითა იესო და თქუა: მამაო, ხელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა. და ესე რაი თქუა, განუტევა სული“.[11] ხოლო, დამარხვის შემდეგ მისი საფლავი დაბეჭდეს, როგორც ნათქვამია მათეს სახარების 27–ე თავში: „ჰრქუა მათ პილატე: გაქუს თქუენ დასი; წარვედით და დაჰკრძალეთ, ვითარცა იცით. ხოლო იგინი წარვიდეს და დაჰკრძალეს საფლავი იგი და დაჰბეჭდეს ლოდსა მას დასისა თანა“.[12]

და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა.

ამ მუხლიდან ვსწავლობთ, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე მისი ღვთაებრიობის ძალით აღსდგა მკვდრეთით იმავე სხეულით, რომლითაც იშვა და დაიმარხა წერილისამებრ; ანუ როგორც ეს იყო ნაწინასწარმეტყველები ძველი აღთქმის წმინდა წერიში და როგორც თავად იესო ქრისტე ამბობდა მარკოზის სახარების მე–17 თავში: “ძე სამე კაცისაი წარვალს, ვითარცა წერილ არს მისთვის“.[13]

და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

ეს მუხლი გვასწავლის, რომ იესო ქრისტე იმ სხეულით, რომლითაც იშვა, დაიმარხა და მკვდრეთით აღსდგა, ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯვენით მამისა, როგორც ნატქვამია ეს მარკოზის სახარების მე–16 თავში: „ხოლო უფალი შემდგომად სიტყუათა ამათ მათდა მიმართ ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით ღმრთისა“.[14]

და კვალად მომავალ–არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

აქედან ვსწავლობთ, რომ იესო ქრისტე მეორედაც მოვა, რომ განსაჯოს ცოცხლებიცა და მიცვალებულებიც, რომ თითოეულს აუნაზღაუროს მისი ქმედებების მიხედვით, როგორც თავად მაცხოვარი ამბობს ამას მათეს სახარების 25–ე თავში: „ხოლო [რაჟამს] მოვიდეს ძე კაცისაი დიდებითა თვისითა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა".[15] ასევე იოანეს სახარების მე–5 თავში ნათქვამია: „და გამოვიდოდიან კეთილის–მოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბოროტის–მოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა".[16]

და სული წმიდა, უფალი და ცხოველს–მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყვანის–იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.

ეს მუხლი გვასწავლის, რომ სული წმიდისაც უნდა გვწამდეს, რომ ის თანაარსია მამისა და ძისა, და რომ ის იდიდება მამასთან და ძესთან ერთად. და რომ ის მამისაგან გამოვალს, როგორც ამას მოწმობს თავად მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე იოანეს სახარების მე–15 თავში: „ხოლო რაჟამს მოვიდეს ნუგეშინიმცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაი, რომელი მამისაგან გამოვალს".[17] ასევე ეს მუხლი გვასწავლის, რომ სული წმიდა იყო ის, ვინც მეტყველებდა წინასწარმეტყველების მიერ.

ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

ეს მუხლი გვასწავლის, რომ უნდა ვემორჩილებოდეთ საყოველთაო და სამოციქულო ეკლესიის დადგენილებებს, როგორც გვასწავლის ამას თავად იესო ქრისტე მათეს სახარების მე–18 თავში: „ხოლო უკეთუ კრებულისაიცა [18] არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერე და წარმართი".[19]

აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა.

ეს მუხლი გვასწავლის, რომ უნდა ვაღიარებდეთ ერთ ნათლობას ცოდვების მისატევებელად, ანუ ჩვენ ქრისტიანები უნდა ვინათლებოდეთ სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, წყლითა და სულით, რომ მოგვეტეოს თავდაპირველი და სხვა ცოდვები, როგორც ამას ამბობს თავად მაცხოვარი იესო ქრისტე იოანეს სახარების მე–3 თავში: „უკეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელ–ეწიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა".[20]

მოველი აღდგომასა მკვდრეთით.

ეს მუხლი გვასწავლის, რომ ჭეშმარიტად იქნება ადამიანების ხორცით აღდგომა იოანეს სახარების მე–5 თავში მაცხოვრის ნათქვამი სიტყვებისამებრ: „მოვალს ჟამი, და აწვე არს, ოდეს მკუდართა ისმინნენ სიტყუანი ძისა ღმრთისანი; და რომელთა ისმინენ, ცხონდნენ".[21]

და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა. ამინ.

ეს მუხლი გვასწავლის, რომ მომავალში ღვთის კურთხევა იქნება მის რჩეულებზე და მათ ექნებათ სულიერი სიხარულით სავსე დაუსრულებელი და მარადიული ცხოვრება, როგორც ამას მოწმობს წმიდა წერილი კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლეს 2–ე თავში: „რომელი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუხდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თვისთა“.[22]

წმინდა ეკლესიის შვიდი საიდუმლო

წმინდა ნათლისღება. 2. მირონცხება. 3. ევქარისტია. 4. მღვდლობა. 5. აღსარება, ანუ სინანული. 6. სჯულიერი ქორწინება. 7. ზეთის კურთხევა.

რა ძალა და მადლი აქვს ამ შვიდ საიდუმლოს

ნათლისღება არის საფუძველი ყველა დანარჩენი საიდუმლოსი და პირველია შესრულების რიგში. ამ საიდუმლოს აქვს დიდი მადლი და ძალა და ნათლისღების გარდა არც ერთ სხვა საიდუმლოს არ შეუძლია ადამიანი გახადოს ქრისტიანი. ნათლისღება დააწესა თავად უფალმა იესო ქრისტემ, როდესაც უბრძანა თავის მოციქულებს მისი შესრულება, როგორც ეს არის ნაჩვენები მათეს სახარების 28–ე თავში: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ–სცემდით მათ სახელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა, და ასწავებდით მათ დამარხვად, ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ“.[23] ამ საიდუმლოს, ასევე, როგორც დანარჩენ ექვს საიდუმლოს აქვს ოთხი მიზეზი.

პირველი არის მოქმედების მიზეზი. მეორე არის მატერია. მესამე არის ფორმა და მეოთხე არის შესრულების მიზეზი.

წმინდა ნათლისღების, ისევე როგორც ყველა დანარჩენი საიდუმლოს, მოქმედების მიზეზი არის ღმერთი, რომელიც მღვდლის მეშვეობით საღვთო მადლით მოქმედებს საიდუმლოში.

მატერია არის სუფთა, ყველანაირი შენარევების გარეშე წყალი.

ფორმა არის წმიდა სამების მოხმობა, როგორც ეს უკვე ზემოთ ითქვა, ანუ: ნათელ იღებს მონა ღვთისა სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ამინ.

შესრულების მიზეზი არის თავდაპირველი ცოდვის და [დაცემული] კაცობრივი ნების წაშლა და რომ ნათელღებული ადამიანი გახდეს ნეტარი, სრულყოფილად წმინდა, ცოცხალი და მადლისმიერი ძე ღვთისა.

წმინდა მირონცხებისათვის.

ნათლისღების შესრულებას მოყვება მირონცხება, როდესაც მღვდელი ახალ მონათლულს სცხებს წმინდა მირონს. მირონის მასალა არის ზეთი სხვა მრავალრიცხოვან სურნელოვან მატერიებთან ერთად. ფორმა არის სიტყვები და ლოცვები, რომლებსაც [მირონის კურთხევისას] ამბობს მღვდელმთავარი და მხოლოდ მღვდელმთავარს შეუძლია მისი კურთხევა, ამის შემდეგ უკვე მღვდლის მიერ ნათელღებულ ადამიანს ეცხება მირონი სიტყვების წარმოთქმით: ბეჭედი მადლისა სულისა წმიდისა. ამინ. და დასასრული არის ქრისტიანის გამტკიცება რწმენაში და ბოროტის წინაამღდეგ ძალის მიღება.

საღვთო ევქარისტიის საიდუმლო

ევქარისტიის საიდუმლოში ხდება პურისა და ღვინის გადაქცევა ქრისტეს სისხლად და ხორცად. ამ საიდუმლოს მატერია არის სუფთა ხორბლის პური, სუფთა ღვინო და სუფთა წყალი. მღვდლის მიერ მაცხოვრის სიტყვების წარმოთქმისას აღესრულება ამ საიდუმლოს ეპიკლეზისი: «და ჰყავ უკვე პური ესე პატიოსან ხორც ქრისტეს შენისა. ამინ. ხოლო ბარძიმსა ამას შინა, პატიოსან სისხლ ქრისტეს შენისა. ამინ. შესცვალე სულითა შენითა წმიდითა. ამინ». მიზანი ევქარისტიის საიდუმლოსი არის ღვთის ტარიგის შეწირვა კაცობრიობის ცხონებისათვის.

მღვდლობის საიდუმლო

მღვდლობა არის მაცხოვარი იესო ქრისტეს მიერ დაწესებული საღმრთო საიდუმლო, რომელშიც ადამიანთა მეშვეობით მოქმედებს ადამიანთა მაცხოვნებელი საღმრთო მადლი. ამ საიდუმლოს მატერია არის ის, ვინც ღებულობს ხელდასხმას, ხოლო ეპიკლეზისი[24] აღესრულება მღვდელმთავრის სიტყვებით: «საღმრთო მადლი, უძლურთა ყოველთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი, ხელდასხმულ-ჰყოფს (და დანარჩენი) და სამღვდელოდ გამზადებული ადამიანისათვის თავზე ხელების დადებით.

საიდუმლოს მიზანი არის ხელდასმულ ადამიანთა სულში ისეთი საღმრთო მადლისა და ძალის აღბეჭდვა, რომ მან შეძლოს საიდუმლოებების შესრულება. მღვდლობის საიდუმლოს შესრულება შეუძლია მხოლოდ მღვდელმთავარს.

აღსარების ანუ სინანულის საიდუმლო

სინანული არის ღვაწლით, მოშურნეობითა და თვისუფალი ნებით ადამიანის მობრუნება ბოროტებიდან სიკეთისაკენ და ეშმაკიდან ღვთისაკენ.

სინანულის საიდუმლოს მატერია არის აღსარება ბაგით, გულის შემუსვრა და კანონის შესრულება. ამ საიდუმლოს ეპიკლეზისი არის ის ძალა, რომელიც მაცხოვარმა მხოლოდ თავის მოწაფეებსა და მოციქულებს მისცა, როგორც ეს არის ნათქვამი, მათეს სახარების მე–8 თავში.[25] «რაოდენი შეჰკრავთ ქუეყანასა ზედა, კრული იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი გაჰხსნათ ქუეყანასა ზედა ხსნილ იყოს იგი ცათა შინა». და სხვა. [ამ საიდუმლოს შესახებ დაწვრილებით ვისაუბრებთ. აღსარების შესახებ სწავლებაში]. ხოლო ამ საიდუმლოს მიზანი არის ადამიანის განწმედა ცოდვებისაგან და ღვთის მადლის ხელახლა მიღება.

სჯულისმიერი ქორწინების საიდუმლო

ქორწინება არის მამაკაცისა და დედაკაცის შეერთება, რათა აღსრულდეს ღვთის სიტყვები: «გამრავლდით და აღორძინდით».

ამ საიდუმლოს მატერიას წარმოადგენენ მამაკაცი და დედაკაცი, რომლებიც მოდიან მტკიცე გადაწყვეტილებით იცხოვრონ ერთად განუშორებლად. ამ საიდუმლოს ეპიკლეზისი სრულდება მაშინ, როდესაც მეფე-პატარძალი ერთმანეთს ეუბნება: გინდივარ მეუღლედ? და პასუხი: მინდიხარ! ქორწინების საიდუმლოს სრული აღსრულებისათვის, ამ სიტყვების შემდეგ მღვდელი კითხულობს შესაბამის ლოცვებსა და კურთხევებს. მიზანი ამ საიდუმლოსი არის კაცობრიობის გამრავლება და ხორციელი სურვილის დაცხრომა, როგორც ამას ამბობს პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ I ეპისტოლეს მე-7 თავში: «ხოლო სიძვისათვის, კაცად-კაცადსა თვისი ცოლი ესვინ, და თითოეულსა თვისი ქმარი ესვინ (კორ. I. 7:2).

ზეთის კურთხევის საიდუმლო

ზეთის კურთხევის საიდუმლო არის ავადმყოფებზე სუფთა ზეთის[26] ცხება, რომელსაც მღვდლის კურთხევის შედეგად აქვს ძალა ცოდვებისგან მობრუნებულ ადამიანებს მიანიჭონ სულიერი და ხორციელი ჯანმრთელობა, როგორც ეს ნათქვამია იაკობ მოციქულის კათოლიკე ეპისტოლეს მე–5 თავში: «უძლურ თუ ვინმე არს თქუენ შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა და ილოცონ მის ზედა და სცხონ მას ზეთი, სახელითა უფლისაითა და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი და აღადგინოს იგი უფალმა დაღაცათუ ცოდვაი რამე ექმნეს, მოეტეოს მას (იაკობ. V: 14-15).

ამ საიდუმლოს მატერია არის სუფთა ზეთი, ეპიკლეზისი სრულდება მღვდლის მიერ წარმოთქმული ლოცვით: «შენ, მეუფეო, განსწმიდე ზეთი ესე, რათა იქმნეს, რომელთა იცხონ ამისგან, საკურნებელად (და დანარჩენი). ხოლო საიდუმლოს მიზანი არის დარჩენილი ცოდვების შენდობა და ავადმყოფისათვის სულიერი და ხორციელი ჯანმრთელობის მოპოვება.

ეკლესიის ცხრა დიდი მცნება

გვმართებს გულის შემუსვრითა და თავმდაბლობით ვილოცოთ ღმრთის მიმართ.

დავიცვათ დადგენილი ოთხი მარხვა: ქრისტეს შობის, აღდგომის, მოციქულებისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის.

პატივს უნდა ვცემდეთ სულიერ მოძღვრებს, რომელნიც, როგორც ღვთის მსახურნი ლოცულობენ ღვთის წინაშე ჩვენთვის და ასევე უნდა ვეკითხებოდეთ მათ რჩევებს სულიერ საკითხებთან დაკავშირებით.

ქრისტიანული სჯულის მიხედვით ხელდასხმულ სულიერ მოძღვართან წელიწადში ოთხჯერ დიდი მარხვების დროს უნდა ვთქვათ ხოლმე აღსარება. ხოლო თქვენ შორის უფრო ღვთისმოსავებმა აღსარება ჩააბარონ წელიწადში თორმეტჯერ, ხოლო ყველაზე დაუდევრებმა წელიწადში ერთხელ მაინც.

ავადმყოფებმა აღსარება თქვან უფრო ხშირად, შვიდგზის ზეთისცხებაც მიიღონ ხოლმე და ხშირად ეზიარონ. და ასე დაიმკვიდრებენ მარადიულ ცხოვრებას.

არ წაიკითხოთ მწვალებელთა ღვთისმგმობელი წიგნები, მოძღვრებანი და სწავლანი. არ მოუსმინოთ წმინდა წერილის უცოდინრებს, გაუნათლებლებს: არც იმეგობროთ და არც ესაუბროთ მათ.

ილოცეთ ყველა ადამიანის განსამტკიცებლად: პირველად-სამღვდელო დასისათვის და ტაძრის სხვა მსახურებისათვის; მეორედ-მთავრობისა და მხედრობისათვის;

შემდგომ ეკლესიის კეთილისმყოფელთა და შემომწირველთათვის და ჭეშმარიტი, საყოველთაო სარწმუნოების განმტკიცებისათის.

უნდა შესრულდეს მღვდელმთავრის მიერ მისი ეპარქიისთვის ნაბრძანები ყველა მარხვა და ლოცვა, რომ უბედურების ჟამს ერს მოსცილდეს ღვთის რისხვა და ხალხი გადაურჩეს ნებისმიერ გაჭირვებასა და ძნელბედობას.

ერისკაცთათვის აკრძალულია ეკლესიიდან თვითნებურად და ძალმომრეობით რაიმეს წაღება და გამოყენება; მხოლოდ მღვდლებსა და ეკლესიის მსახურებს აქვთ უფლება ეკლესიიდან მიიღონ სარჩო და მოწყალება და გასცენ გაჭირვებულებსა და უცხოებზე.

ეკლესიის მიერ აკრძალულ დღეებში არ გაიმართოს ქორწილები. ქრისტიანებს ამ დღეებში არ მართებთ ცეკვა-გართობა, როგორც ამას წარმართები აკეთებენ, არამედ შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად თავი შეიკავონ ამგვარი საქციელისაგან.

ღვთის ათი მცნება, მეორე სჯულთა წიგნის მე–5 თავი

1. არ გეყოლებათ სხვა ღმერთი თვინიერ უფლისა ჩვენისა.
2. არ ამოიღოთ სახელი უფლისა ამაოსა ზედა.
3. აღვნიშნოთ და დავიცვათ [საეკლესიო] დღესასწაულები.
4. პატივს მივაგებდეთ ჩვენს მშობლებს.
5. არ მოვკლათ.
6. არ ვიმრუშოთ.
7. არ მოვიპაროთ.
8. ცილი არ ვწამოთ.
9. არ მოვისურვოთ სხვისი ცოლი.
10. არ მოვისურვოთ სხვისი ქონება.

სული წმიდის შვიდი ნიჭი, ისაია, 11:2

1. სული სიბრძნისა, 2. სული გონიერებისა, 3. სული მეცნიერებისა, 4. სული ზრახვისა, 5. სული კეთილმსახურებისა, 6. სული სიმამაცისა, 7. სული ღვთის შიშისა.

ღვთისმეტყველების სამი სათნოება. 1. კორ. 13:13

1. რწმენა, 2. სასოება, 3. სიყვარული

რწმენა, როგორც ამბობს პავლე მოციქული, ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-11 თავში, არის «მოსავთა მათ ძალ, საქმეთა მამხილებლად არა - ხილულთა».

სასოება არის ღვთის მიმართ ჭეშმარიტი გამბედაობა, რომელიც ღვთისაგან აქვს ნაბოძები ადამიანის გულს, რომ არასდროს არ დაკარგოს ღვთის მადლის იმედი, არამედ იყოს დარწმუნებული, რომ სინანულით მიიღებს ცოდვათა შენდობას და რომ ღმერთი შეუსრულებს ამქვეყნიურ ან მარადიულ თხოვნებს.

სიყვარული, როგორც პავლე მოციქული ამბობს, არის უფრო მეტი, ვიდრე რწმენა და ვიდრე სასოება. სიყვარული არის ყველა სათნოების დასაბამი და მწვერვალი, რომელიც ყველას აერთიანებს და ღვთის გზაზე მიუძღვის.

სულის ოთხი სათნოება

1. სიმამაცე, 2. სიბრძნე, 3. სამართლიანობა და 4. სიწმინდე.

შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა

1. ამპარტავნება, 2. ვერცხლისმოყვარეობა, 3. სიძვა, 4. მრისხანება, 5. ნაყროვანება, 6. შური, 7. მცონარება კეთილი საქმეებისა მიმართ.

მათი საწინააღმდეგო შვიდი სათნოება.

1. თავმდაბლობა, 2. მოწყალება, 3. უმანკოება, 4. სიმშვიდე, 5. მარხვა, 6. სიყვარული, 7. ღვაწლი.

მოწყალების თორმეტი ნაყოფი,

როგორც ეს წერია მათეს სახარების მე-15 თავში

მშიერი დააპურე. მწყურვალს დაალევინე. უცხო მიიღე შენს სახლში. შიშველი შემოსე. ავადმყოფს მოუარე. პატიმარი შეიწყალე.

კიდევ ესეც არსებობს: მიცვალებულები დაასაფლავე, მწუხარენი ანუგეშე, სულის მაცხოვნებელი რჩევები მიეცი, ასწავლე უმეცართ, დამნაშავეთ შეუნდე, მადლიერებით მოითმინე ყველა განსაცდელი, რომელიც გემართება ღვთისგან თუ ადამიანებისგან და ილოცე ღვთის წინაშე არა მხოლოდ შენთვის, არამედ ყველასათვის.

1. ნებისმიერი მღვდელი, რომელიც თავისი სამრევლოს საზღვრებს გარეთ თუ ჩაატარებს წირვას, სახლის კურთხევას, ჯვრისწერას ან ჩაიბარებს აღსარებას, ან აზიარებს ვინმეს, ან მიცვალებულს აუგებს წესს, ან ჩაატარებს ნებისმიერ სხვა საეკლესიო წესს ადგილობრივი სამრევლოს მღვდლის ნებართვის გარეშე - ასეთი მღვდელი, წმინდა მამების კანონების მიხედვით, უნდა განიკვეთოს და ჩვენც მას განვკვეთთ.

2. ასევე არც ერთმა თქვენგანმა არ გაბედოს ჯვარი დაწეროს სხვა ქვეყნიდან ჩამოსულ უცხო მამაკაცს ან უცხო დედაკაცს, ან ამ ქვეყანაში მცხოვრებ, მაგრამ უცნობ მამაკაცს ან უცნობ დედაკაცს, სანამ კარგად არ გამოიკვლევთ მათ შესახებ. რადგან ბევრი ჩამოდის აქ, ზოგი უნგრეთიდან და ზოგი თურქეთიდან ან სხვა შორეული ქვეყნებიდან და აქ ქორწინდებიან. არადა თავიანთ ქვეყნებში მამაკაცებს ჰყავთ ცოლები ან ქალებს - ქმრები, რომლებიც მიატოვეს და გამოიქცნენ აქ; ან უკვე არიან მესამეჯერ ჯვარდაწერილები და ჩამოვიდნენ აქ, რომ მოიყვანონ მეოთხე ცოლი ან ქალი, რომ გაყვეს მეოთხე ქმარს, რაც არის მრუშობა და უსჯულო საქმე.

ასეთ ხალხს ჯვარი არ დაეწეროთ, თუ თან არ ექნებათ, საიდანაც წამოვიდნენ იქაური მღვდლის წერილი, სადაც ეწერება, რომ არ არიან ქორწინებაში, ან რომ იყო ქორწინებაში და ამჟამად ქვრივია, ან რომ ეს იქნება მეორე ქორწინება და შესაბამისად შეუძლია ახალი ცოლის მოყვანა. ეს იმიტომ, რომ არ მოხდეს უსჯულო საქმე, როგორც ბევრჯერ მომხდარა და ამიტომაც გადავწყვიტეთ ასე.

3. მაგრამ თუ შეუძლებელი იქნება, რომ წერილი მოიტანონ იმ ადგილის მღვდლისაგან, საიდანაც ჩამოვიდნენ, ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, თითოეული მათგანი დააფიცეთ და თუ დაიფიცებენ, რომ თავიანთ ქვეყნებში მამაკაცს არ ჰყავს ცოლი და დედაკაცს არ ჰყავს ქმარი, ან რომ ჰყავდათ ადრე ერთი ან ორი მეუღლე, მაგრამ ორივე გარდაეცვალა და იმ შემთხვევაში თუ მათი ფიცით დამტკიცდება, რომ ახლა ესენი პირველად, მეორედ ან მესამედ ქორწინდებიან, მხოლოდ ამ შემთხვევაში დაწერეთ ჯვარი. მაგრამ თუ რომელიმესათვის იქნება მეოთხე ქორწინება, არც ერთ შემთხვევაში ჯვარი არ დაწეროთ.[28]

4. ასევე გიბრძანებთ მღვდლებს, რომ არც ერთმა თქვენგანმა არ გაბედოს განაქორწინოს ქმარი ცოლისაგან ან ცოლი ქმრისაგან და არც შეეკრათ მათ მსგავს უსჯულოებაში, რადგან გავიგე, რომ მსგავსი უღირსი საქმე კეთ-

დება ბევრ ადგილას; რადგან ჩამოვარდება რა მტრობა ქალსა და მამაკაცს შორის, მაშინვე მიდიან ხოლმე ან მხარის მმართველთან, ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთან, ან სოფლის მღვდელთან, ან ბატონთან და წერილობით განქორწინდებიან, რაც არარის ქრისტიანული საქმე, რომელსაც წარმართებიც კი არ სჩადიან ხოლმე. რადგან ნათქვამია: რაც ღმერთმა შეაერთა, კაცი ნუ განაშორებს. და თუ იქნება მართლა ვინმე განსაქორწინებელი, გამოგზავნეთ აქ მღვდელმთავართან, რომ განქორწინება მოხდეს სჯულის კანონის მიხედვით.[29]

5. არც ერთმა მღვდელმა, რომელსაც არ ექნება ნებართვა მიცემული თავისი მღვდელმთავრისაგან, არ გაბედოს და ხალხისაგან არ დაიწყოს აღსარებების მიღება (თუ ვინმე არ აღმოჩნდება სიკვდილის საშიშროების წინ). გვსმენია, რომ ბევრი მღვდელი შემოსავლის მიღების მიზნით, ნებართვის გარეშე, იწყებს აღსარებების მიღებას.[30]

6. ასევე მათ, ვისაც აქვთ აღსარების მიღების ან ნებისმიერი სხვა შვიდთაგანი საიდუმლეობის შესრულების უფლება, არ გაყიდოს სიწმინდე და მადლი ამ საიდუმლეობებში სარგებლის მიღების მიზნით. რადგან ეს იუდას საქმეს ემსგავსება და გაგვიგია, რომ ამას ბევრი სჩადის. როდესაც ეძახიან ხოლმე ავადმყოფის საზიარებლად, ან ავადმყოფი ბავშვის სასწრაფოდ მოსანათლად ზოგიერთ მღვდელს არ უნდა ხოლმე წასვლა, ეზარება, ითხოვენ დიდ თანხას და იგონებენ ბევრ მიზეზს ადგილის სიშორისა ან თითქოს დროის უქონლობის გამო.

7. თითოეულმა მღვდელმა თავის სამრევლოში დაარიგოს თავის მორჩილებაში მყოფი მორწმუნეები, რომ მთელი წლის განმავლობაში ყველა კვირა დღეს, ყველა საუფლო და ღვთისმშობლის დღესასწაულებზე და ყველა დიდი წმინდანის ხსენების დღეს მოვიდნენ ხოლმე ეკლესიაში საღამოს მწუხრზე, დილით ცისკარზე და განსაკუთრებით წირვაზე, რადგან ესენია ყველაზე მადლიანი, ვიდრე სხვა ნებისმიერი ღვთისმსახურება თუ ლოცვა.

და ასეთ დღეებში არც იშრომონ, არც იყიდონ და გაყიდონ რამე გარდა საკვებისა, რადგან ამ დღეებში შრომა არის აკრძალული და შეჩვენებული. ხოლო მარხვების დროს თქვან ხოლმე აღსარება და ეზიარონ [ქრისტეს სისხლსა და ხორცს საეკლესიო] წესის მიხედვით.

და ნებისმიერ თქვენგანს თუ ეყოლება სახლში ავადმყოფი ადამიანი, არ გადადოს მისი ზიარება გარდაცვალების საათამდე, როდესაც ავადმყოფს აღარ შეეძლება ლაპარაკი, არამედ დროზე, სანამ საღ გონებაზე იქნება, დაუძახეთ მღვდელს, რომ ჩაიბაროს აღსარება და აზიაროს. და თუ რომელიმე თქვენგანი არ იზრუნებს ამაზე და აზიარებთ ავადმყოფს, რომელსაც აღარ შე-

უძლება აღსარების თქმა, გარდა იმ შემთხვევისა თუ სიკვდილის ჟამი არ მოუწია უცაბედად, რაც ზოგიერთს ემართება, ასეთ შემთხვევაში გეწევათ ღვთის სასჯელი და მღვდლობისგანაც განიკვეთებით.

8. არც ერთმა მღვდელმა არ გაბედოს და ადგილობრივი მღვდელმთავრის კურთხევის გარეშე, არ გადავიდეს სხვა სამრევლოში, რადგან ნებისმიერი მსახურება, რომელსაც იგი ჩაატარებს, იქნება უმადლო და მღვდელიც დაისჯება.

9. თითოეული თქვენგანი და განსაკუთრებით მთავარხუცესები, იყავით ხოლმე ყურადღებით, რადგან სოფელ-სოფელ დადიან ხოლმე თვითმარქვია მღვდლები და ბერები, ატარებენ სამღვდელო მსახურებებს და ატყუებენ მორწმუნეებს. ასეთები გამოგზავნეთ ხოლმე ჩვენთან, რომ ჩვენ გავარკვიოთ არიან თუ არა ნამდვილი მღვდლები. მოკლედ რომ ვთქვათ, არ მიიღოთ არც ერთი უცხო მღვდელი, თუ ჩვენგან არ ექნება წერილობითი ნებართვა.

რა მიზეზებით შეუძლია ნებისმიერ მღვდელს ჩაატაროს მსახურება სხვის სამრევლოში

1. თუ ვინმე სიკვდილის საშიშროების წინაშე იქნება და იმ სოფლის მღვდელი არ აღმოჩნდება ადგილზე, იქნება წასული სადმე შორს, ან თვითონვე იქნება ავად, მაშინ სიკვდილის მოახლოების საშიშროების გამო, უახლოესი მეზობელი სამრევლოს მღვდელს ჰქონდეს უფლება მივიდეს, ჩაიბაროს აღსარება, აზიაროს და თუ ის ავადმყოფი გარდაიცვლება, წესი აუგოს კიდევაც, რომ არ მოხდეს ისე, რომ ვინმე წავიდეს ამქვეყნიდან სულიერი მომზადების გარეშე, როგორც ეს ქრისტიან ადამიანს შეშვენის. იგივე წესი ძალაშია გადაუდებელი ნათლობის შემთხვევაშიც.

2. ასევე იმ მიზეზით, რომ ვინმეს მოულოდნელად არ მოუწიოს გარდაცვალების ჟამი, ყველა მღვდელმა, როდესაც დააპირებს თავისი სამრევლოდან წასვლას გარკვეული დროით, შეატყობინოს ხოლმე მეზობელი სამრევლოების მღვდელმსახურებს, რომ საჭიროების შემთხვევაში, მისი არყოფნის დროს, მოვიდნენ მის სამრევლოში და მომაკვდავი ავადმყოფისაგან ჩაიბარონ აღსარება და აზიარონ.

3. სამრევლოში ადგილობრივი მღვდლის არყოფნის დროს, თუ დაუძახებენ მეზობელი სამრევლოს მღვდელს მძიმე ავადმყოფის აღსარებისათვის და ზიარებისათვის და ის უარს იტყვის იმ მიზეზით, მაგალითად, რომ არ სცალია, რომ ადგილობრივ მღვდელთან აქვს მტრობა და მოხდება ისე, რომ ის ავად-

მყოფი გარდაიცვლება მოუმზადებელი, მაშინ, ის სასულიერო პირი სრულად დაკარგავს მღვდლობას, რადგან დასაღუპად მიატოვა ადამიანი – ადამიანი, რომლის ცხონებისთვისაც თავად ღმერთი განკაცდა და ჯვარზე ეწამა.

4. ასევე იმის გამო, რომ ბევრი ადამიანი გარკვეული საჭიროებების გამო, მოგზაურობს ხოლმე სხვა სოფლებსა და მხარეში, გიბრძანებთ შემდეგს: სადაც არ უნდა იმყოფებოდეს ადამიანი, არ აქვს მნიშვნელობა, იქნება ის სიკვდილის პირას, თუ არა და მოისურვებს აღსარების თქმას და ზიარებას მანამ, სანამ დაბრუნდება თავის მშობლიურ მხარეში, აუცილებლად ჩაიბარეთ ასეთი ადამიანის აღსარება და აზიარეთ, რადგან ეს ორი რამ აუცილებელია ყოველი ქრისტიანისათვის. ხოლო თუ ასეთი, უცხო მხარეებიდან ჩამოსული ადამიანი, მოისურვებს დაქორწინებას, ჯვარს ნუ დაწერთ, სანამ არ ჩატარდება გამოძიება: ხომ არ არიან მექორწინეები სისხლით ახლო ნათესავები, ან ადგილი ხომ არ აქვს სხვა რამე დამაბრკოლებელ მიზეზს, რომელზეც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. რადგან აღსარებისა და ზიარების გარეშე ადამიანი ვერ ცხონდება, ხოლო ქორწინების გარეშე ადამიანის ცხონება შესაძლებელია.

5. ასევე გიბრძანებთ, რომ აღარ დართოთ ნება და აღარ ხდებოდეს ჯვარზე დაფიცებით დაძმობილება. რადგან ბევრი უღირსი საქმე კეთდება ხოლმე ასეთი ძმობის მეშვეობით. ხოლო თუ რომელიმე მღვდელი გაბედავს და შეკრავს ასეთ ძმობას, დაისჯება თვითონაც და ის დაძმობილებიც, როგორც ეს ნაბრძანებია სჯულისკანონში - 198 გვერდზე, 210 თავში.[31]

6. ასევე გაფრთხილებთ ბოშებთან დაკავშირებით, რომ ამას იქეთ აღარ ხდებოდეს ის, რაც აქამდე ხდებოდა ხოლმე მათ შორის; ანუ თუ ქორწინების მიზნით მოვლენ თქვენთან ბოშა მამაკაცი და დედაკაცი, სანამ დაწვრილებით და მთელი გულდასმით არ გამოიძიებთ, ხომ არ გააჩნიათ ქორწინებისათვის რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი, როგორც ეს ეხება ყველა ქრისტიანის შემთხვევაში, მანამდე ჯვარს ნუ დაწერთ.

განსაკუთრებით, თუ ჯვარდასაწერი ბოშები იქნებიან სხვადასხვა ბატონის მფლობელობაში, სანამ თითოეული მათგანი არ მოიტანს თავისი ბატონისგან ქორწინების თანხმობის წერილს, და სანამ ორივე მხარე არ შეთანხმდება, რა პირობით აქორწინებენ ამ წყვილს, ქვეყნის ტრადიციის მიხედვით, სული სულზე გაცვლით ან ერთ–ერთის ფულით გამოსყიდვით, მანამდე ჯვარს ნუ დაწერთ. არც ერთ შემთხვევაში: არც ძალადობის და არც დაშინების შემთხვევაში.

და ის ნებართვის წერილი, ყოველი შემთხვევისათვის, საგულდაგულოდ შეინახეთ. ისე არ მოხდეს, რომ დაქორწინებული ბოშების რომელიმე ბატონმა აღარ დაიცვას თავისი სიტყვა და მტრობის და ბოლმის მიზეზით, მოინდომებს

მათი დაშორება, მაშინ თქვენ გქონდეთ პასუხის გასაცემი საბუთი, სხვა შემთხვევაში გეწევათ ღვთის სასჯელი. რადგანაც ბოშებიც არიან ქრისტიანები და მონათლულები წმინდა სამების სახელით. ასევე გვაქვს ვალდებულება, ყველა საშუალების გამოყენებით, ბოშები დავაყენოთ ქრისტიანობის გზაზე. ხოლო თუ არ ვასწავლით მათ, რაც არის აუცილებელი, ყველანი პასუხს ვაგებთ უზენაესი და საშინელი სამსჯავროს წინაშე მათი სულებისათვის. ეს ეხება მათ ბატონებსაც, თუ ისინი არ დაემორჩილებიან ეკლესიის სწავლებასა და სამართალს.

7. ასევე იცოდეთ, როდესაც ადამიანს ერთი მღვდელი ნათლავს, მომავალში დასაშვებია, რომ უკვე სულ სხვა მღვდელმა დაწეროს ჯვარი. ეკლესია ამას არ კრძალავს. ამას ვწერთ, რადგანაც ამ მიზეზით აღარ ხდებოდეს არეულობა და დაპირისპირება, როგორც ბევრჯერ მომხდარა აქამდე: მოსულან ჩვენთან საჩივრებითა და საქმის განსახილველად.

8. ასევე გაფრთხილებთ, რომ არავინ გაბედოს ადგილობრივი მღვდელმთავრის ლოცვა-კურთხევის გარეშე სადმე ახალი ეკლესიის აშენება და არც სხვას მისცეთ ამისი ნება, ვიდრე ამის შესახებ ეპისკოპოსს არ ეცნობება და მისგან არ მიიღებთ შესაბამის კურთხევას, როგორც ამას სჯულის კანონი ითხოვს. ამ მიზეზის გამოც ხდება ბევრი დაპირისპირება და სულიერი ზიანის მიყენება, ამისგან საჭიროა თავის დაცვა.

9. ამით გასწავლეთ, რაც ჩავთვალეთ, რომ აუცილებელი და სასარგებლოა იმ შემთხვევებიდან გამომდინარე, რასთანაც საქმე გვქონია, როდესაც ჩვენ მოგვმართავდნენ საჩივრებითა და სხვადასხვა საქმეების განსახილველად და ასევე, რის შესახებაც გაგვიგია პატიოსანი და სარწმუნო წყაროებიდან. ამიტომაც ყველას გიგზავნით ამ დარიგებებს დაბეჭდილი სახით, რათა თავადაც ისწავლოთ და სხვებსაც ასწავლოთ, თუ რა ვითარებაში, როგორ უნდა მოიქცეთ, რას უნდა ასწავლიდეთ და რისგან უნდა დაიცვათ თავი.

თუ რომელიმე თქვენგანი ამ წიგნში დაწერილის საპირისპიროდ მოიქცევა, ან დაიზარებს და არც კი წაიკითხავს აქ დაწერილს და არ ეცოდინება, თუ როგორ უნდა დამოძღვროს ქრისტიანთა სულები, ასეთმა მღვდელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ მას სრულად განვკვეთთ, როგორც ამას ითხოვს წმინდა მოციქულებისა და საეკლესიო კრებებზე მიღებული კანონები. რომ არც საკუთარი სული დაიზიანოს თავისი უმეცრებით და არც სხვები შეიყვანოს ცოდვაში.

ხოლო თუ დაიცავთ ამ წესებს, მაშინ იქნებით ჭეშმარიტი ღვთის ჭეშმარიტი მღვდლები და მისი მცნებების დაცვისათვის ამქვეყნად ღმერთი გიბოძებთ სიკეთეს, ხოლო იმქვეყნად - ცათა სასუფეველს.

შეასრულეთ ისე, როგორც გწერთ და მადლო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ჩემი უღირსობის ლოცვა–კურთხევა მარადის იქნება თქვენთანა.

დაიბეჭდა ტირგოვიშტეს წმინდა მიტროპოლიაში სამყაროს შექმნიდან 7219 (1710) წელს, 8 ნოემბერს გიორგი რადოვიჩის მიერ.

დასასრული და ღმერთს დიდება!

კომენტარები:

1 მათე 25:21

2 მათე 5:16

3 რომ. 6:12

4 ფილიპე 2:10

5 მათე 4:4

6 მათე 6:14

7 იოანე 14:13

8 ეფეს. 4:6

9 იოანე 17:5

10 იოანე 1:10

11 23:46

12 მათე 27:65–66

13 რეალურად არის მე–14 თავი: მარკოზი 14:21

14 მარკოზი 16:19

15 მათე 25:31

16 იოანე 5:29

17 იოანე 15:26

18 სიტყვა ეკლესია ზედმიწევნით „კრებულს" ნიშნავს (ბერძნული εκκαλεω – ვიწვევ, ვკრებ)

19 მათე 18:17

20 იოანე 3:5

21 იოანე 5:25

22 I კორ. 2:9

23 მათე 28:19–20

24 ეპიკლეზისი - ნიშნავს ძღვენის კურთხევას. იგი არის მართალთა ლიტურგიის ნაწილი.

25 დედანში შეცდომაა გაპარული, ციტატა მოყვანილია მათეს სახარების XVIII თავიდან, მე-18 მუხლი

26 რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციის მიხედვით ზეთის კურთხევის საიდუმლოში გამოიყენება მზესუმზირის ზეთი ღვინოსთან შეურევნელად.

27 "აღსარების შესახებ სწავლება"-ის მეორე ნაწილი 1705 წელს რიმნიკში დაბეჭდილი "მოკლე სწავლება სინანულის საიდუმლოს შესახებ" მროშურის პრაქტიკულად იდენტურია. მას აკლია მხოლოდ ლოცვები, რომელთა ავტორი არ არის ანთიმოზი.

28 სჯულის კანონის მიხედვით მართლმადიდებელ ქრისტიანებს ცხოვრების მანძილზე მაქსიმუმ სამი ქორწინების უფლება ეძლევათ, მეოთხე ქორწინება, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ის, უკანონოდ და ბათილად ითვლება.

29 სჯულის კანონის მიხედვით საეკლესიო განქორწინების („ჯვრის აყრის") უფლება აქვს მხოლოდ ეპისკოპოსს.

30 არსებობს ძველი საეკლესიო წესი/ტრადიცია ზოგან კიდევ მოქმედი, როდესაც დამწყებ, ანუ ჯერ გამოუცდელ, მღვდელს არ აძლევენ აღსარებების მიღების უფლებას.

31 XVII-XVIII საუკუნეებში ჯვარზე დაფიცებით დაძმობილება დამახასიათებელი იყო ქურდ–ყაჩაღებისათვის, რის საფუძველზეც იკვრებოდნენ ხოლმე ბანდიტური დაჯგუფებები, ამიტომაც ეკლესია მკაცრ ზომებს იღებდა ასეთი პრაქტიკის წინააღმდეგ.

კანონთა თავები

კანონთა თავები ყველა საეკლესიო დასისათვის -ყველა მღვდლისა და დიაკონისათვის, რათა მათ მოვალეობა სრულად და ღირსებით დაიცვან. დაბეჭდილია ტირგოვიშტეს მიტროპოლიაში სრულიად ვლახეთის უფლისა და უზენაესი მმართველის იო შტეფან კანტაკუზინო ვოევოდას მართველობის დროს, 7022 (1714)წელს.

ყოვლადუსამღვდელოესი ანთიმოზი, ღვთის წყალობით უნგრო-ვლახეთის მთავარეპისკოპოსი, რუმინული მიწების ეგზარქოსი.

ღირსნო მღვდელნო და დიაკონნო უნგრო-ვლახეთისანო, ყოვლადძლიერმა ღმერთმა გიბოძოთ თქვენ წყალობა, მშვიდობა, ჯანმრთელობა, წმინდა ცხოვრება და სულის ცხოვნება, ხოლო ჩემი მხრიდან სიმდაბლით გიგზავნით ლოცვას, კურთხევასა და ცოდვათა შენდობას.

ყოვლად მოწყალე ღმერთმა, როგორც კეთილმა განმგებელმა მამამ, ყველა იმ ადამიანის მაცხოვნებელმა, ვისაც მის მიმართ სასოება აქვს, დაინახა რა თქვენი, საკურთხევლის მსახურთა, გაჭირვება და სიმდაბლე, სიყვარულითა და წყალობით შთააგონა კეთილმორწმუნე და აღმატებული მთავრის, უნგრო–ვლახეთის მმართველის იო სტეპეფანე კანტაკუზინო ვოევოდას გულს კეთილი აზრი ეკლესიისა და მთელი სამღვდელოებისათვის.

ჩვენს დროში ღვთის ნებით შთაგონებულმა მისმა უდიდებულესობამ სიკეთითა და კაცთმოყვარეობით განახორციელა წმინდა და ღვთისათვის ისეთი სათნო საქმე, რომელიც ჩვენი ქვეყნის არც ერთ მთავარს ჯერ არ რგებია პატივად, რომ მსგავსი რამე გაეკეთებინა უხსოვარი დროიდან მოყოლებული დღემდე. ქრისტეს მოყვარე მთავარმა და ჩვენი აღმოსავლეთის წმინდა ეკლესიის შვილმა თავისი სამთავრობო სიგელით სამღვდელო დასს მოუხსნა გადასახადები. ჩვენ ამ წერილით გაცნობებთ ყველა მღვდელსა და დიაკონს ამ განუზომელი წყალობისა და სიკეთის შესახებ, რომელიც გაკეთდა თქვენთვის, რომ დიდება აღავლინოთ ყოვლადმოწყალე და კეთილისმყოფელი ღვთის მიმართ და განუწყვეტლივ ილოცოთ, საღამოს, დილით და შუადღეს, ჩვენი მთავრის მშობლების და წინაპრების სულების ცხოვნებისა და თავად მისი ჯანმრთელობისათვის, მთავრის ტახტზე მტკიცედ ყოფნისათვის, და რომ ღმერთმა დაიცვას იგი მტერთა მხრიდან ბოროტ საქმეთაგან და მის ფეხქვეშ დაემხოს ყველა მის წინააღმდეგ მებრძოლი.

ამასთან ერთად ღვთის სახელით მოგმართავთ, გასწავლით და გიბრძანებთ:

პირველი – როგორც ამბობს დავით წინასწარმეტყველი: სდექით სახლსა შინა უფლისასა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა თქვენისათა, რათა ემსახუროთ წმინდა ეკლესიას, ატაროთ დაწესებული ღვთისმსახურებები ღვაწლით, მონდომებით, ღვთის შიშითა და შემუსვრილი გულით სწირავდეთ უსისხლო მსხვერპლს, რომ დიდად მომთმენი ღმერთი იყოს მოწყალე ქვეყნისა და ერის მიმართ.

მეორე – ყოველ წელიწადს თითოეულმა ჩაატარეთ ხოლმე პარაკლისი მთავრის, ყველა თავადის და მთელი ქვეყნისათვის, როგორც ეს წერია სამთავრო სიგელ–გუჯარში; პარაკლისის გადახდა დაიწყეთ თომას კვირიაკედან და აკეთეთ ეს თქვენთვის გაღებული მოწყალების მადლიერებისათვის.

ხოლო ვინც არ გადაიხდის, ის პასუხს აგებს ღვთის საშინელი სამსჯავროს წინაშე, ხოლო თუ ეს საქმე გაცხადდება თავისი მღვდელმთავრის მიერაც, ძალიან მკაცრად დაისჯება.

მესამე – რადგან ყველა ადამიანი ვალდებულია იყოს საკუთარი კეთილისმყოფელის მიმართ მადლიერი, გავალდებულებთ, რომ ყოველ წელს ჩაატაროთ ხოლმე ორი წირვა: ერთი წმინდა სტეფანეს ხსენების დღეს, 27 დეკემბერს, და მეორე- 2 აგვისტოს, ამ წმინდანის წმინდა ნაწილების გადმობრძანების დღეს. ეს წირვები აუცილებლად ჩააატარეთ თქვენც და იმ მღვდლებმაც, ვინც იქნებიან თქვენ შემდეგ, ნიშნად მადლიერებისა და იმ წყალობის მარადიული ხსოვნისათვის, რომელიც გიბოძათ თქვენ მისმა უდიდებულესობამ იო სტეფანე ვოევოდამ; ხოლო თუ რომელიმე თქვენთაგანი იზარმაცებს და არ შეასრულებს, ის წყეულ იქნება.

მეოთხე – დღეის ამას იქით, თუ ოდესმე რომელიმე ერისკაცი მოისურვებს, მიიღოს მღვდლობის ხარისხი, იგი უნდა წავიდეს საკუთარ მღვდელმთავართან და გაჩერდეს მასთან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო თუ ვინმე უკვე გამოცდილი და ნასწავლი გამოჩნდება, მას მოუწევს ნახევარი წელი გაჩერება მაინც იმისათვის, რომ ისწავლოს მღვდლობის ყველა წესი ისე, როგორც ამას ითხოვს წმინდა ეკლესია, და არ გაბედოს სხვა რაიმე ხერხითა თუ ეშმაკობით მიიღოს მღვდლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რომელიმე სოფელში აღარ იქნება მღვდელი და იქ გაჩნდება განსაკუთრებულად დიდი საჭიროება მღვდლის დანიშვნისა; ღვთის წყალობით გამოჩნდება კიდეც გამოცდილი და ნასწავლი ადამიანი.

თუ ის მღვდელმთავრები, რომლებიც ჩვენ შემდგომ იქნებიან ღვთის სადიდებლად, ეკლესიისადმი პატივის მისაგებად და მრევლის სასარგებლოდ არ დაიცავენ ამ წესს, ღმერთმა განსაჯოს ისინი.

მეხუთე – გიბრძანებთ თქვენ, მღვდლებსა და დიაკვნებს, ნუ ჩაერევით საერო საქმეებში, ანუ სიცრუეში, ცბიერებაში, მლიქვნელობაში, ფიცში, ცრუ დაპირებებში და სხვა მსგავს საქმეებში, რომლებსაც ხალხში შემოაქვთ შფოთი და ეჭვი; განსაკუთრებით მოერიდეთ ვაჭრობას, რადგან მისგან სასჯელს მიიღებთ.

თითოეულს ჰქონდეს შემოსავალი საკუთარი ქონებიდან, რასაც ღმერთი უბოძებს. იქიდან დაიტოვოს თავისთვის იმდენი, რაც დასჭირდება, ხოლო დანარჩენი, ნებისმიერი რამ, რაც არ უნდა იყოს, აუცილებლად გაყიდოს.

მეექვსე – რადგანაც მღვდლები არ იხდიან გადასახადს და ამის გამო, თუ ვინმე მოინდომებს მღვდლობას ქრთამით, დაპირებებით, ან რომელიმე გავლენიანი თავადის დახმარებით რომ მხოლოდ თავის სახლში მშვიდად იჯდეს სამრევლოს[1] გარეშე და არაფერს აკეთებდეს, მან უნდა იცოდეს, რომ მასაც გლეხებთან ერთად დაევალება გადასახადი.

მეშვიდე – თუ რომელიმე მღვდელზე ან დიაკონზე გახდება ცნობილი, რომ იგი არ ატარებს მღვდლობის პატივს ისე, როგორც ამას წესი მოითხოვს, არამედ დადის დუქნებში და ხელს მიჰყოფს მემთვრალეობას, მან უნდა იცოდეს, რომ პირველი და მეორე გაფრთხილების შემდეგ მას საერთოდ წაერთმევა მღვდლობის მადლი და გლეხებთან ერთად დაეკისრება გადასახადი.

მან არ იფიქროს, რომ გარკვეული დროის გავლის შემდეგ ქრთამით, ან ვიღაცის დახმარებით ისევ დაიბრუნებს მღვდლობას, არამედ ბოლომდე დარჩება ამ სასჯელის მატარებელი და პატივაყრილი.

მერვე – თუ რომელიმე სოფელს დასჭირდა მღვდელი, არავინ იკურთხოს ვიდრე იმ სოფლიდან არ მოვა ხუთი მკვიდრი მოსახლე, რომლებიც დაიფიცებენ, რომ ნამდვილად არ ჰყავთ მღვდელი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება, რომ მღვდელმთავარმა დაუნიშნოს ამ სოფელს მღვდელი. ზოგი სოფლიდან შესაძლებელია უფრო ნაკლები-სამი, ან ოთხი ადამიანიც მოვიდეს და მღვდელმთავარმა მათთვის აკურთხოს, როგორც ადრე ითქვა, პატიოსანი, განათლებული, მშვიდი და უბოროტო ადამიანი.

მეცხრე – არც ერთმა მღვდელმა არ გაბედოს თავისი სახლიდან ღვინის გაყიდვა, არც ცოლსა და არც მსახურებს დაავალოს ეს საქმე. ხოლო, თუ ვინმე დაარღვევს ამ ბრძანებასა და ჩაიდენს ამ უღირსსა და უსჯულო საქმეს, სამუდამოდ წაერთმევა მღვდლობის მადლი და უბირი გლეხების რიგში განწესდება.

მეათე – არც ერთმა მღვდელმა არ გაბედოს და არ გადავიდეს სხვა ადგილას (იგულისხმება სხვა სამრევლო. რედ.), არ მიატოვოს საკუთარი სამრევლო საპატიო მიზეზისა და თავისი მღვდელმთავრისაგან მიღებული დასტურის წერილის გარეშე. მსგავს შემთხვევაში მას არსად არ მიიღებენ.

მეთერთმეტე – ყველამ პასუხისმგებლობითა და გულდასმით იკითხოს ის წიგნაკი, საეკლესიო სწავლების შესახებ, რომელიც ქრისტეს შობიდან 1710 წელს დაიბეჭდა და ყველას დაურიგდა საჩუქრად. ყველამ უნდა შეასრულოს ყველაფერი, რაც იმ წიგნში წერია. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაისჯება. თუ ვინმეს არ აქვს ეს წიგნი, მან უნდა მიმართოს თავის მღვდელმთავარს და მიიღებს მას.

ასევე ეს წიგნიც, რომელიც ამ თორმეტ კანონს შეიცავს, თითოეულმა თქვენგანმა თვალის ჩინივით შეინახოს და რაც მასში წერია მთელი მონდომებით შეასრულოს. არავინ თქვას, რომ წიგნი დაეკარგა, ან სახლში დაეწვა, ან ვიღაცამ მოპარა, რადგან ვერაფრით გაიმართლებს თავს და უბირ გლეხთა რიგში ჩამოქვეითდება.

მეთორმეტე ხალხში არსებული ზოგიერთი სულის წარსაწყმედელი პრაქტიკის გასაუქმებლად: იმისი, რასაც ყოველდღიურად ვხვდებით დიდგვაროვნებშიცა და უბრალო ხალხშიც, ვადგენთ ორ წესს და ღვთის სახელით გიბრძანებთ მთელი მოშურნეობით აღასრულოთ ისინი, რათა არ წარწყმდნენ ადამიანთა სულები და დაისვენონ საეკლესიო და საერო მოსამართლეებმა.

პირველი - მოსაწესრიგებელია ანდერძების შედგენის წესი, რომლებსაც სიცოცხლის ბოლოს წერენ ქრისტიანები. რადგან თქვენ შორის ბევრია გაუნათლებელი მღვდელი, არც თქვენ იცით მათი შედგენა და არც რიგითმა ქრისტიანებმა იციან, თუ როგორ გასწავლონ მათი დაწერა. ამის გამო ჩნდება ამდენი ჩხუბი, სასამართლო, დავა, ფიცის დადება, შეჩვენების წერილების წერა და ბევრი სხვა ბოროტება. ამიტომ ვადგენთ ანდერძების შედგენის წესს, რომელიც უნდა შესრულდეს.

მეორე - მზითევის დავთრები ქვემოთ მოცემული ნიმუშის მიხედვით უნდა შედგეს.

წესები, რომელთა დაცვითაც უნდა შედგეს მტკიცე და შეუცვლელი ანდერძი

პირველი- ანდერძი ღვთის შიშით, შურისა და ცბიერების გარეშე უნდა შედგეს როგორც ანდერძის ავტორის, ასევე მისი შემდგენლის მხრიდან.

მეორე - ანდერძი უნდა შედგეს მაშინ, როდესაც ადამიანი არის საღ გონებაზე და არა უშუალოდ გარდაცვალების წინ. რადგან ამ დროს მისი გონება არეულია და მან არ იცის, რასა იქმს მისი გონება.

მესამე - უნდა გაუქმდეს ის ბოროტი ჩვევა, როდესაც ზოგიერთი ადამიანი არაფერს უტოვებს საკუთარ ნათესავებს იმ მიზეზით, რომ მათ თავის დროზე არ მოიკითხეს გაჭირვების, ან ავადმყოფობის ჟამს, ან იმის გამო, რომ მათ შორის იყო მტრობა. მავანი, ამ ბოღმის გამო, მთელ ქონებას უტოვებს უცხო ადამიანებს, ნათესავებს კი მემკვიდრეობის გარეშე ტოვებს.

მეოთხე - იმ შემთხვევაში, თუ ანდერძი არ იქნება ზემოთ დაწერილი წესებით შედგენილი, იცოდეს ყველამ, რომ ღვთისგან საზღაურს ვერავინ მიიღებს და მათი ანდერძი შემდგომში დაირღვევა და ნათესავები მაინც მიიღებენ მის შემდეგ დარჩენილ ქონებას. სასჯელი, შეჩვენების სახით, არ ასცდება ანდერძის ასეთ შემდგენელსაც.

მეხუთე - ანდერძის დასაწერად მიწვეული ნებისმიერი მღვდელი, რომელიც დაინახავს, რომ ანდერძის დაწერის მსურველი ადამიანი ბოღმითა და შურით არის აღვსილი საკუთარი ნათესაობის მიმართ, ვალდებულია, დაარწმუნოს იგი, რათა ანდერძი სამართლიანად შეადგინოს; სხვა შემთხვევაში მღვდელმა არ უნდა დაწეროს ანდერძი, რადგან თავადაც დაისჯება. ანდერძის ბოლოს მღვდელმა უნდა დაწეროს საკუთარი სახელი და მიუთითოს რომელი სოფლიდანაა; მასთან ერთად დოკუმენტს ხელი უნდა მოაწეროს შვიდმა, ან ხუთმა, გაჭირვების შემთხვევაში, სამმა მოწმემ მაინც, როგორც ამას სჯულის კანონი მოითხოვს.

მეექვსე - I) ანდერძში, უპირველეს ყოვლისა, გაწერილი უნდა იყოს ქალის მზითევი იმგვარად, როგორც ეს მისი მზითევის დავთარშია აღნუსხული. ასევე უნდა ჩაიწეროს ყველა ის საჩუქარი, სამკაული, რომელიც მან ქორწილამდე და ქორწილის მეორე დღეს მიიღო, როგორც ამას სჯულის კანონი ბრძანებს.[2]

II) თუ ადამიანს აქვს ვალები, ანდერძში უნდა დაწეროს მათი განკარგვის თაობაზე.

III) ანდერძში უნდა გამოიყოს ყველა ის ხარჯი, რომელიც თან მოჰყვება დაკრძალვასა და წესის მიხედვით ეკლესიაში მის მოხსენიებას ერთი წლის განმავლობაში, და დამატებით კიდევ სხვა ხარჯები: მოწყალებები, პანაშვი-

დები, რისი გაღების და გადახდის საშუალებაც ექნება ადამიანს მისი სურვილისამებრ. ხოლო, დარჩენილი ქონება შესაძლებელია უკვე დაურიგდეს მემკვიდრეებს, თუკი ამას საჭიროდ ჩათვლის ანდერძის შემდგენელი. ამ წესით შედგენილი ანდერძი იქნება სამართლიანი.

ანდერძის ნიმუში. რადგან უცნობია, თუ რა გველის მომავალში და ეს არც ანგელოზებმა იციან, არამედ მხოლოდ ღმერთისთვისაა ყველაფერი ცნობილი; ამიტომაც მე, (სახელი), ძე (მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი), ვიდრე გარდაცვალების ჟამი არ დამდგომია და ვიდრე ჯანმრთელი ვარ და საღ გონებაზე ვიმყოფები, გადავწყვიტე ანდერძის შედგენა. ამით მსურს, დავადასტურო ჩემი ნება მემკვიდრეების მიმართ- თუ ვინ უნდა განაგოს ჩემი უძრავი და მოძრავი ქონება.

უპირველეს ყოვლისა, ვევედრები მრავალმოწყალე ღმერთს, რათა შემინდოს ჩემი მრავალი ცოდვა, რომელიც, როგორც ამ სოფელში მკვიდრმა ჩავიდინე. ასევე შევთხოვ ყველა ქრისტიანს, შემინდოს, თუკი ვინმეს რამე დავუშავე. ასევე ჩემგანაც იყოს შენდობილი ყველა ადამიანი, ვინც რამე დამიშავა, ან რამე ბოროტება ჩაიდინა ჩემ მიმართ.

ამის შემდეგ ვბრძანებ, რომ უპირველეს ყოვლისა, ჩემმა კანონიერმა ცოლმა (სახელი) მიიღოს მზითევი იმგვარად, როგორც ეს მისი მზითევის დავთარშია აღნუსხული და ყველა ის საჩუქარი, სამკაული, რომელიც მან ქორწილამდე და ქორწილის მეორე დღეს მიიღო ჩემგან. ესენია: ესა და ეს (აქ ნივთები უნდა ჩამოითვალოს).

მეორე- ყველა ჩემი ვალი იქნეს გადახდილი (ამას და ამას: სახელები და ვალები, რომლებიც ხელწერილებით და ხელწერილების გარეშეა აღებული).

მესამე - დასაფლავების შემდეგ შეასრულონ ყველა წესი მიღებული და აუცილებელი ჩემი სულის მოხსენებისათვის ერთი წლის განმავლობაში. ასევე გაიცეს მოწყალებები; პანაშვიდები იქნეს გადახდილი სრულად, როგორც ვბრძანებ. ამის შემდეგ, ჩემმა შვილებმა და ჭეშმარიტმა მემკვიდრეებმა ამათ (სახელი, სახელი და სახელი) ძმურად და მშვიდობით გაიყონ ჩემი ქონება. ხოლო ამან (სახელი) მიიღოს თავისი წილი: ესა და ეს. ხოლო ამან (სახელი) მიიღოს: ესა და ეს. და ამან (სახელი) მიიღოს: ესა და ეს.

ასევე მონობიდან[3] ვათავისუფლებ ჩემს ერთგულ მონას (სახელი) და ერთგულ მხევალს (სახელი). ჩემი სულის ცხონებისათვის ამას (სახელი) ვუტოვებ: ამას და ამას.

ჩემი ნება ასეთია: ჩემმა მემკვიდრეებმა შეასრულონ ეს ყოველივე ჩემი გარდაცვალების შემდეგ, რაც ჩემი საღი გონებით განვაწესე, ჩემმა ენამ თქვა და ჩემმა ხელმა დაწერა ამ სარწმუნო მოწმეების წინაშე, რომლებიც სახეზე არიან: (სახელი, სახელი, სახელი, სახელი, სახელი, სახელი, სახელი).

ხოლო თუ რომელიმე ჩემი მემკვიდრე, რომელიც ვახსენე, ან მოსამართლე, ან თავადი, ან საეკლესიო, თუ საერო პირი მოისურვებს ამ ანდერძის დარღვევას ან გაუქმებას, მან პასუხი აგოს უზენაესი და ყოვლად სამართლიანი მოსამართლის უფალი ჩვენი იესო ქრისტესა და ჭეშმარიტი ღვთის საშინელ სამსჯავროზე. წელი, თარიღი.

მე (სახელი) ჩემი ხელით შევადგინე და ჩემი ბეჭდით დავამტკიცე ეს ჩემი ანდერძი ამ სანდო მოწმეების თანდასწრებით, რომელთა სახელებიც ქვემოთ წერია.

მე (სახელი) ვადასტურებ ღვთისა და ადამიანთა წინაშე იმას, რაც თავისი პირით თქვა და ჩემ წინაშე დაწერა ამ ანდერძის შემდგენელმა და ვამოწმებ ჩემი ბეჭდით.

ამგვარად, დაადასტუროს დანარჩენმა შვიდამდე მოწმემაც.

წესები, რომელთა დაცვითაც უნდა შედგეს მტკიცე და შეუცვლელი მზითევის დავთარი

პირველი - დიდი გულისხმევით გამოიძიონ დაქორწინების მსურველი წყვილი, დაადგინონ, ხომ არ არის მათ შორის ხორციელი ან სულიერი ნათესაობა და რომ ნამდვილად ორივეს სურვილია შეუღლება, როგორც ამას სჯულის კანონი ითხოვს. ორივეს შესახებ გამოძიება იყოს საფუძვლიანი და სამართლიანი, რათა შემდგომში არ მოხდეს მათი დაშორება. ხოლო უფრო მეტი სიმტკიცისა და ნამდვილობისათვის, სოფლის მღვდელმა სამ მოწმესთან ერთად ფურცელზე ხელმოწერებით დაადასტუროს დადგენილი ამბავი.

მეორე - ჩამოიწეროს დაწვრილებით ყველა ის ნივთი, რომლის ჩუქებასაც მშობლები ისურვებენ თავისი ქალიშვილისათვის, იქნება ეს ვერცხლის, ოქროს, ან სპილენძის ნაკეთობა, ტანსაცმელი, პირუტყვი, ან ნებისმიერი სხვა ნივთი, ასევე მიეთითოს დავთრის ბოლოს ყველა მათგანის ღირებულება. იმ შემთხვევაში, თუ სია სრულად არ დაიწერება, მაშინ არცაა საჭირო, რომ დაიწეროს, რათა შემდგომში არ აღიძრას ეჭვი, შური და არ ჩამოვარდეს მტრობა.

მესამე - თუ ქალი გარდაიცვლება და მას არ დარჩება შვილები, მის ქმარს არ აქვს უფლება დახარჯოს მისი მზითევის ერთ მესამედზე მეტი მისი დასაფლავებისა და გაპატიოსნებისათვის. დანარჩენი ორი წილი დარჩეს ხელშეუხებლად, ვიდრე ქალის ნათესავები არ წაიღებენ. ისე როგორც ამას სამართლიანობა ითხოვს და როგორც ეს ნაბრძანებია სჯულის კანონში. თავისი ცოლის

მზითევიდან ქმარს არაფრის აღების უფლება არ აქვს, გარდა თეთრეულისა.

მზითვის დავთრის ნიმუში. იყავნ უფალო წყალობაი შენი ჩვენს ზედა, ვითარცა ჩვენ შენ გესავთ, რაჟამს ვადგენთ ჩვენი ქალიშვილის (სახელი) მზითევის დავთარს.

რასაც ვწერთ ქვემოთ და ვადასტურებთ ჩვენი და მოწმეების ხელმოწერით, რომლებიც ესწრებიან ამ დავთრის შედგენას, საჭიროების შემთხვევაში მომავალში გამოყენებულ იქნეს, როგორც მამტკიცებელი საბუთი. წელი, თარიღი.

როგორც ანდერძის, ასევე მზითევის დავთრის შედგენის შემთხვევაში, თუ რომელიმე მღვდელი დავთარს ღვთის შიშით, სიყვარულით, საღი გონებითა და იმ წესით, რომელსაც აქ ვადგენთ, არ შეადგენს, მას ღვთის სამართალს ვანდობთ, რადგან ჩვენ ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ და გავაფრთხილეთ. ხოლო თუ შემდგომში აღმოჩნდება, რომ ვინმე ამ ღვთის სათნო საქმეს დაუდევრად მოექცა და მას მზაკვრობით მიუდგა, ის მღვდელი მკაცრად დაისჯება თავისი მღვდელმთავრის მიერ.

გიბრძანებთ, გააკეთოთ ყველაფერი, რათა ქვემოთ დაწერილი სამი რამ თავიდან ავიცილოთ.

პირველი - აღმოიფხვრას ქალიშვილების მოტაცების ბოროტი ჩვეულება, როდესაც ზოგიერთი ახალგაზრდა მშობლების ნებართვის გარეშე მასთან (მოტაცებულთან) ერთად გარბის. ზოგს იტაცებენ საკუთარი ნებით, ზოგს - ნების გარეშე, შემდეგ კი აგზავნიან შუამავლებს და მათი მეშვეობით ცდილობენ შემოირიგონ მშობლები. ასეთ წყვილს არც ჯვარი დაწეროთ და არც ეკლესიაში მიიღოთ, ხოლო მთავარხუცესს მიეცეს უფლება დააჯარიმოს ქალიშვილი 200 ბანით, ხოლო ვაჟი 400 ბანით. და ვიდრე არ მიაკითხავენ მღვდელმთავარს შენდობის სათხოვნელად და არ მიიღებენ მისგან ჯვრისწერის ნებართვას, მანამდე ჯვარს ნუ დაწერთ.

მეორე - თუ რომელიმე რუმინელმა მამაკაცმა მოისურვა ბოშა ქალის ცოლად მოყვანა, ან რუმინელი ქალი მოინდომებს ბოშას გაჰყვეს ცოლად - არც ერთ შემთხვევაში არ დაწეროთ ჯვარი, რადგან ეს ხალხში იწვევს მითქმა-მოთქმას, ჭორს, უკმაყოფილებას, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამით თავისუფალი ერი მონობაში ექცევა.

მესამე - თუ ბატონი ნებას არ დართავს რუმინელს[4] მღვდლობაზე, არც

ერთ შემთხვევაში არ აკურთხონ, ხოლო თუ ნებას დართავს წერილობით - მაშინ მღვდლად იკურთხოს. ხოლო მღვდლად კურთხევის შემდეგ რამდენი შვილიც ეყოლება არავის ჰქონდეს უფლება მათი გარუმინელებისა, რადგან უკვე თავისუფლები არიან.

რაიონი... ამა და ამ ეკლესიის მღვდელი...

კომენტარები:

სამრევლო - ყველაზე მცირე საეკლესიო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომელიც კონცენტრირებულია სოფლისა ან ქალაქის მოქმედი ეკლესიის გარშემო. სამონასტრო ტაძრებისაგან განსხვავებით, რომელნიც მხოლოდ მონასტრის წევრებისთვისაა განკუთვნილი, სამრევლო ტაძრების დანიშნულებაა ემსახურონ მრევლს.

[2] აქ ჩანს ძველი საეკლესიო და საერო კანონმდებლობის წესი, რომლის მიხედვითაც მზითევში მიღებული ქონება ქალს სიცოცხლის ბოლომდე პირად საკუთრებაში რჩებოდა. მისი ნებართვის გარეშე არავის, არც ქმარს, ჰქონდა მისი განკარგვისა და გასხვისების უფლება. მეუღლის გარდაცვალების ან სხვა რაიმე მიზეზით ოჯახის დანგრევის შემთხვევაში მზითევი ხელშეუხებლად რჩებოდა ქალის საკუთრებაში. ქალის გარდაცვალების შემთხვევაში მისი მზითევი ავტომატურად გადადიოდა თანაბრად მისი ქალიშვილების საკუთრებაში-სამზითვოდ, ხოლო ქალიშვილების არარსებობის შემთხვევაში მზითევი ერგებოდა ვაჟებს.

[3] რუმინეთის სამთავროებში-ვლახეთსა და მოლდოვაში მონობის ინსტიტუტი არსებობდა მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებამდე. 1867 წელს მოლდოვა და ვლახეთი გაერთიანდა ერთ სახელმწიფოში მთავარ ალექსანდრუ იოან კუზას მიერ, მანვე გააუქმა მონობა რუმინეთში. რუმინეთში მონებად ჰყავდათ კონკრეტული ეთნოსის-ბოშების წარმომადგენლები.

აქ რუმინელი სოციალურ სტატუსსაც ნიშნავს. მეთექვსმეტე საუკუნიდან მოყოლებული გაუსაძლისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო წვრილ მესაკუთრეთა გაღატაკებული ნაწილი თავის თავს ყიდდა მთავრებზე , მონასტრებსა ან თავადებზე. ამით ისინი კარგავდნენ თავისუფლებას, თავისუფალი გადაადგილების უფლებას, საკუთარ ადგილ-მამულს და რჩებოდნენ ბატონის მფლობელობაში.

სწავლება სინანულის საიდუმლოს შესახებ

მოკლე სწავლება სინანულის საიდუმლოს შესახებ ამჟამად ამ სახით დაბეჭდილი მისი ბრწყინვალების, მთავარ კონსტანტინე ბრინკოვიანუ ბასარაბ ვოევოდას, სიცოცხლეში, კეთილშობილი და პატიოსანი, ყოფილი მეჭურჭლეთუხუცესის, შერბან კანტაკუზინოს შემოწირულობითა და მისი ყოვლადუსამღვდელოესობის, მიტროპოლიტი თეოდოსისა და ღვთისმოყვარე რიმნიკუს ეპისკოპოსის, მეუფე ანთიმოზის, ლოცვა-კურთხევით ქრისტეს შობიდან 1705 წელს.

სინანულის შესახებ მოკლე გადმოცემა და სულისთვის სასარგებლო სწავლება

იმ მრავალ და უთვალავ წყალობათაგან, რომელნიც გვიბოძა ყოვლად ბრძენმა და სულთა მკურნალმა მაცხოვარმა იესო ქრისტემ ღმერთმა ჩვენმა, ერთ-ერთი არის სინანულის საიდუმლოც. გვიბოძა იმისთვის, რომ მოვწყდეთ ადამიანის სულის მტრის, ეშმაკის ბოროტების ყველა სათავეს. და რომ ამ სინანულის მეშვეობით ცოდვის შემდეგ, ისევ გავხდეთ უცოდველი და თავისუფალი მარადიული ტანჯვისაგან.

ხოლო მე ვფიქრობ იმ მიზეზებზე, რომლების გამოც ჩვენ ქრისტიანები მივემხრეთ ხორციელ ვნებებს, გავხდით ცოდვისა და ეშმაკის მონები, მყრალი ჭურჭლები და ჭეშმარიტად მარადიული ტანჯვათა ღირსები. ამავდროულად იმდენად შეგვიპყრო ბოროტებამ და ცოდვამ, რომ მივბაძეთ პირუტყვებს და სრულად მივემსგავსეთ მათ, იმდენად რომ ბოროტება სიკეთედ მიგვაჩნია. და თუ რომელიმე დღე ისე გაივლის, რომ ცოდვას არ ჩავიდენთ, გვგონია რომ ამის გამო მნიშვნელოვანი რამ დაგვაკლდა. ჩვენ გვიყვარს, ვიცხოვროთ ჩვენი მტრის – ეშმაკის კარნახით, ვიდრე ყოვლის მპყრობელისა და ყოველთა სიკეთეთა გამგებლის – ღვთის ნებით. მივდივარ დასკვნამდე რომ ამ ყველაფრის მიზეზი არის გაუნათლებლობა და უვიცობა, რადგან არ გვიყვარს კითხვა და განათლება, არც ჩვენი მოძღვრებისა და მასწავლებლების მოსმენა გვიყვარს, რომლებიც ღვთის სიტყვას, ღვთის მცნებებს, რწმენასა და ცხონების გზას გვასწავლიან. ადამიანი, რომელსაც არ წაუკითხავს წმინდა წერილი, სხვა საეკლესიო წიგნები, წმინდა კანონები დაკითხვა თუ არ ისწავლის სხვებისგან, რომლებსაც აქვთ ამის ცოდნა, ემსგავსება პირუტყვს-საქონელს, რომლებმაც არ იცის რას აკეთებეს, რადგან არა აქვს გონება. ემსგავსება ბრმას, რადგან

როგორც ბრმა ვერ ხედავს მზის სინათლეს და არ იცის, სად მიემართება და რა ელის მას წინ, ამიტომ ხშირად ვარდება ორმოებში და უფსკრულებში და ასე იღუპება, ზუსტად ასეა ადამიანის გონებაც, რომელსაც არა აქვს მართალი სიტყვის, ანუ ჭეშმარიტი ნათელის ცოდნა. ასეთი ბრმა ვერ გრძნობს და ვერ იგებს ვერაფერს, კარგავს ღვთაებრივ და პირმეტყველ კეთილშობილებას და საკუთარი თავის მართვის თავისუფლებას და ხდება პირუტყვი, ვნებების მონა.

მაშასადამე, ამ სამარცხვინო გაუნათლებლობის გამო ღვთის შიშისა და ადამიანთა სირცხვილის გარეშე ჩავდივართ ამდენ ბოროტებასა და მომაკვდინებელ ცოდვას: მთელი დღეები ვლოთობთ, ვჩხუბობთ დუქნებში, ვმრუშობთ და ყველანაირ უსამართლობას ჩავდივართ. ადამიანებს ვაყენებთ ტკივილებს, ვცრუობთ, ვდებთ ცრუ ფიცს, ცრუ მოწმობებს ვიყენებთ, ვამბობთ გმობის სიტყვებს, ჩავდივართ მკვლელობებს, ცილისწამებებს, ვართ შურიანები, მტრულად განწყობილნი და სხვათა მდევნელნი და სხვა უთვალავ ცოდვას ჩავდივართ. ეს ყველაფერი სასიკვდილოდ აავადმყოფებს ჩვენს საცოდავ სულს.

და თუ უცოდინარი და საცოდავი ადამიანი სინანულისა და აღსარების გარეშე გარდაიცვლება, მისი სული ეშმაკის ხელში ანუ მარადიულ ცეცხლში და უკუნით სიბნელეში ვარდება, სადაც დაუძინებელი მატლი, კბილთა ღრჭენაა და სადაც ის მოკლებულია ღვთის დიდებას, ანგელოზთა სიხარულს, სამოთხის მშვენიერებას, წმინდანთა ნეტარებასა და მარადიულ ცხოვრებას.

ჰოი, ქრისტიანენო, ჰოი, მამანო და ძმანო, როდემდე ვიყოთ ბოროტებასა და ცოდვაში, როდემდე უნდა გვეძინოს მცონარებისა და სიზარმაცის არეცელში? როდემდე უნდა ვიყოთ სიკვდილის მომტან მძიმე ძილში? და ამ ყველაფერს რის გულისთვის ჩავდივართ? იმისთვის, რომ მივიღოთ დასათრობად მცირეოდენი ღვინო; იმისთვის, რომ მყრალი მრუშობის მწარე სიტკბო მივიღოთ; ფული, რომელიც მიწის ნაცარია; ამას ჩავდივართ ამპარტავნების გამო, ამაოებისათვის, ამა სოფლის დიდებისათვის, სადაც ყველანაირი უწმინდურობაა, და ამით ჩვენს ზეციურ შემქმნელსა და მამა ღმერთს მტრად ვიხდით და ჩვენივე ნებით გადავდივართ ღვთისა და ჩვენი მტრის – ეშმაკის მხარეს, რათა მან უმოწყალოდ და მარადიულად გვტანჯოს. როდემდე არ დავდგებით საღ აზროვნებაზე, როდემდე არ უნდა ვითხოვოთ სიკეთე? როდემდე არ უნდა მოვინანიოთ? როდემდე არ უნდა ვუმკურნალოთ ჩვენი სულის ვნებებს? როდემდე უნდა ვამბობდეთ უარს ცოდვის შეძულებაზე და სიკეთის შეყვარებაზე? რატომ ვართ ჩვენი კეთილის მყოფელი მაცხოვრის მიმართ ასეთი უმადურნი?

ვეევედრები ღმერთს და თქვენც მოგმართავთ მე, რომელიც მთელ მსოფლიოში არსებულ ადამიანებზე მეტად ცოდვილი ვარ, ყველამ ჩემთან ერთად მოვინანიოთ ჩვენი ბოროტებანი, ვიტიროთ ოხვრითა და მწარე ცრემლით, და

კაცთმოყვარე ღმერთს მივმართოთ მებაჟის სიტყვებით: „ღმერთო, შემინყალე მე ცოდვილი“, ასევე მივმართოთ უძღები შვილის სიტყვებით: „მამაო, შევცოდე ზეცასა და შენს წინაშე“.

ხოლო ჩვენი ზეციერი მამა დაინახავს რა ჩვენს ნამდვილ სინანულსა და ცრემლებს, როგორც მოწყალე და მრავალმომთმენი ღმერთი, ჭეშმარიტად შეგვინდობს ჩვენს ცოდვებს. მაშასადამე, თუ სინანული არ იქნება ისეთი, როგორიც საჭიროა, იგი ადამიანს არაფერში არგებს. ამიტომ მოკლედ აგიხსნით სინანულის გზას.

ჩემი სიტყვა იყოფა ორ ნაწილად: პირველ ნაწილში ნათქვამია, რა უნდა გააკეთოს მონანულმა ადამიანმა, რომ ღვთისაგან მიიღოს შენდობა; ხოლო მეორე ნაწილში ახსნილია მოძღვრება, თუ როგორ უნდა ჩაიბაროს მოძღვარმა აღსარება და როგორ უნდა დააყენოს მონანული ადამიანი გამოსწორების გზაზე.

ნაწილი პირველი

სინანულისთვის. რა არის სინანული, რა საშუალებით მოიპოვება და როგორ უნდა განხორციელდეს.

ჭეშმარიტი სინანული სამი ნაბიჯით მიიღწევა. პირველი— ეს არის გულის შემუსვრა, მეორე - ცოდვების აღიარება, ანუ აღსარება სულიერ მოძღვართან და მესამე— სინანულის კანონის შესრულება. ამ სამ რამეს უნდა ასრულებდეს ადამიანი, ვისაც სულის ცხოვნება სურს. პირველად, მოკლედ ვიტყვით, თუ რას ნიშნავს გულის შემუსვრა, რადგან სინანულის გზა ამითი იწყება.

ვისაც მთელი გულით სურს, რომ ღმერთს დაუბრუნდეს და როგორც უძღები შვილი მამის სახლში შევიდეს, იცოდეს, რომ პირველი კარი, რომელშიც უნდა შევიდეს, არის გულის შემუსვრა, რაც დიდ მსხვერპლს წარმოადგენს ღვთის წინაშე: „გული შემუსვრილი და დამდაბლებული ღმერთმა არა შეურაცხყოს“.

გულის შემუსვრა ასევე იყოფა ორ ნაწილად: პირველი— არის სინანული და წარსულ ცოდვებთან სრული განშორება და მეორე— არის მტკიცე გადაწყვეტილება და ჭეშმარიტი პასუხისმგებლობა იმის თაობაზე, რომ დანარჩენი ცხოვრების განმავლობაში აღარ ჩავიდენთ ცოდვებს.

მაშასადამე, პირველი რაც უნდა გააკეთოთ, თუ ჭეშმარიტი სინანული გაგაჩნიათ, მთელი სულით უნდა შეიძულოთ და შეიზიზღოთ თქვენი ცოდვები; ეს უნდა გააკეთოთ უღრმესი შინაგანი გულისტკივილითა და მწუხარებით: პირველი— უნდა იცოდე, რომ ცოდვით დაიმკვიდრებ მარადიულ ტანჯვას და

დაკარგავ ცათა სასუფეველს; მეორე– უნდა იცოდე, რომ საძულველი ცოდვით მწუხარება და ტკივილი მიაყენე ყოვლად კეთილ ღმერთს. რამდენადაც გვმართებს ყველაფერზე მეტად, რაც არის ამ სამყაროში, გვიყვარდეს და თაყვანს ვცემდეთ მაღალ ღმერთს. მით უმეტეს, უნდა გვტკიოდეს და ვწუხდეთ, როდესაც ვცოდავთ მის წინაშე და ამით ვკარგავთ მის სიახლოვეს. ჩვენ, საცოდავები, მთელი სიმწრითა და ცრემლებით უნდა დავსტიროდეთ ღვთის მადლის დაკარგვას უფრო მეტად, ვიდრე რომ დაგვეკარგა რამე უძვირფასესი ნივთი, რადგან, რაც მეტია დანაკარგი, მით უფრო მეტია მწუხარებაც. ამიტომაც გამოუთქმელი სიძულვილით უნდა ვმტროდეთ ცოდვას, რადგან იგი აღუწერელ დანაკარგს გვანიჭებს.

თუ გსურს, რომ მიაღწიო გულის შემუსვრილობასა და სიმდაბლეს, რომლის მეშვეობითაც გვებოძება ღვთის წყალობა, ამისთვის ბევრი დამაფიქრებელი და შთამაგონებელი მიზეზი არსებობს, ოღონდ გულწრფელად და მტკიცე ნებით უნდა იფიქრო მათზე.

პირველი - იმაზე იფიქრე, რომ ცოდვის შედეგი ღვთისაგან გაშორებს ისე, რომ ვეღარ ხედავ ღვთის სახესა და დიდებას. ბრძენი კაცისათვის გასაგებია, რომ არ არსებობს საკმარისი სინანული, რომ ღვთის სიახლოვე დაიბრუნოს. რადგან ადამიანისათვის არ არსებობს იმაზე მეტი საშინელება, ბოროტება და დანაკარგი, ვიდრე ის, რომ გარდაცვალების შემდეგ ვერ იხილოს წმიდა სამების დიდება და [სასუფევლის] აღუწერელი მშვენება და ნეტარება, რომელსაც წმინდა ანგელოზები მარადიულად განიცდიან და ვერასოდეს სწყინდებათ ეს. რადგან ასეთი ნეტარი განცდისა და ღვთის სახის ხედვისათვის შექმნა ღმერთმა ადამიანი, მაგრამ ღვთის ნებას დაშორებული ადამიანი კარგავს ცხოველსმყოფელ მადლს და იხრწნება.

მეორე - იფიქრე, რომ ღვთის არც ერთი მცნება და სწავლება არ დაგიცავს; იფიქრე, როგორ წაბილწე შენი სული და ხორცი მრუშობით, სიძვით, მამათმავლობით, ცდუნებებით, ლოთობით და გემოთმოყვარეობით. შენი ხელები გაწვდილია სიამოვნებათა მისაღებად, უკუღმართობებისკენ, მტაცებლობისკენ, მკვლელობისკენ და სხვა; სასმენელნი შენნი სავსეა ბინძური სიმღერებით, სიტყვებით და სხვათა ცილისწამებით; თვალნი შენნი მიმართულია მრუშობისაკენ და ვნებების დაკმაყოფილების გზების მოსანახად. შენი ენა სავსეა შენი ქრისტიანი ძმების გინებით, დასმენით და ცილისწამებით, ასევე ცრუმორწმუნეობებით, ფიცით და გმობით. ამ ყველაფრის თქმას მიჩვეულია ბევრი ბილწი პირი - აგინებენ რჯულს, ჯვარს, საეკლესიო კანონებს და საიდუმლოებებს, მღვდლებსა და თვით ღვთის სახელსაც კი. ჭეშმარიტად გაკვირვებული ვარ ამ ეშმაკთა ხრიკებითა და წარმართობით, რადგან ასეთ ხალხს ადამიანებს ვერ ვუწოდებთ. ჰოი, როგორ არ გადმოდის ზეციდან ცეცხლი და არ წვავს მათ! დიდად მომთმენია ღმერთი და ელოდება მათ სინანულს!

ხოლო თუ არ გამოსწორდებიან, ბოროტებას დაამატებენ ბოროტებას და როდესაც მოუწევთ თავისი დრო, ეშმაკებთან ერთად მარადიული ტანჯვით უმოწყალოდ დაიტანჯებიან. ზოგიერთები კი თავისი სისხლისმიერი მშობლების დასმენითა და გინებით არიან დაკავებულნი და ხშირად სცემენ კიდევაც მათ, ამას უკეთებენ მშობელ და გამზრდელ დედ-მამას, რომელთა პატივისცემას გვიბრძანებს ღმერთი: „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა“. და ჩვენ გვაკისრია ვალდებულება, მოვუაროთ მშობლებს მათი სიბერის ჟამს; ჭეშმარიტად, ასეთი ადამიანები არც ამქვეყნად ეწევიან ბედნიერებას და იმქვეყნად ჯოჯოხეთის ტანჯვას დაიმკვიდრებენ.

მოკლედ, იფიქრე, რამდენჯერ წაიბილწე ხორციელი ვნებებით სული და ხორცი დაიბინძურე, მათი სიმყრალე ზეციური მამის სავანესაც კი აღწევს.

მესამე - იფიქრე იმ ზიანზე, რომელსაც სასიკვდილო ცოდვა გაყენებს: გისჯის მარადიულ სატანჯველს; გშლის სიცოცხლის წიგნიდან, სადაც ღვთის შვილნი არიან ჩაწერილი, ეშმაკის მონად გაქცევს, და ნაცვლად იმისა, რომ სული შენი იყოს წმიდა სამების სავანე, მას ცოდვა აქცევს ავაზაკთა და გველთა ბუნაგად; და რაც ყველაზე დიდი ბოროტებაა, გაკარგვინებს ღვთის სახის ხედვის უნარს.

ადამიანო, უთხარი შენს სულს: ჩემო საბრალო სულო, აიხილე თვალები და დაინახე რა იყავი და რად გადაიქეცი ცოდვის შედეგად; მაღალთა შინა მყოფის სძალი იყავი, ცოცხალი ღმერთის სავანე და გამორჩეული ფასდაუდებელი ჭურჭელი, ასევე ჭეშმარიტი სოლომონის ანუ ქრისტეს ტახტი; ისააკის ტახტი სიბრძნისა, ანგელოსთა ძმა[11] და მარადიული ნეტარების მემკვიდრე.

იტირე და მწუხარე იყავ სულო, რადგან აღარ გაგაჩნია ის ღირსებები, რადგან სიწმინდე დიდ უწმინდურებაში გაცვალე, რადგან ღვთის სძალი იყავი და გადაიქეცი ეშმაკის მეძავად, იყავი სულიწმიდის სავანე და გადაიქეცი ქვაბ-ავაზაკთა, იყავი გამორჩეული და წმინდა ჭურჭელი და გახდი უწმინდურობის ჭური, ქრისტეს სასახლე - იქეცი მყრალ საღორედ, ღვთის კაცი, გადაიქეცი ნაწყმედილების საჯდომად, ანგელოზთა მეგობარი იყავი და გადაიქეცი ეშმაკების მორჩილად, გაიხსენე როგორ მიფრინავდი მტრედივით ზეცისკენ, ხოლო ახლა გველივით მიხოხავ მიწაზე.

იტირე და იგლოვე, ჰოი, უბადრუკო სულო ჩემო, და დაუფიქრდი შენს დიდ დაცემას; იტირე, რადგან შენ დაგტირის ზეცა; იტირე, რადგან შენ გგლოვობს ეკლესია და ყველა წმინდანი; ცრემლები ღვარე, რადგან შესცოდე; იტირე, რადგან შენ დაგტირიან წინასწარმეტყველნი, რომლებიც აქედანვე ხედავენ შენზე დაშვებულ ღვთის სამართლიან მრისხანებას; იტირე, რადგან იერემია შენთვის უფრო მეტად ღვრის ცრემლებს, ვიდრე ოდესღაც იერუსალიმის დანგრეული კედლებისთვის; იტირე, უბადრუკო სულო, სანამ არ განიბანები შენი ცოდვებისაგან და არ დაუბრუნდები შენს თავდაპირველ ღირსებას.

მეოთხე - იმისთვის, რომ გაიჩინო ცოდვის მიმართ სიძულვილი და წმინდა მწუხარება, იფიქრე, რამდენად სძულს ყოვლად კეთილ ღმერთს ცოდვა, და რადგან ის სძულს, რამდენჯერ მოუვლინა კაცობრიობას საშინელი სასჯელები ცოდვების გამო; გამოუგზავნა წარღვნა და წარწყმიდა ყველა ცოდვილი; გააანადგურა სოდომი, დასცა ეშმაკი ზეციდან ჯოჯოხეთში; და ადამი და ევაც განაგდო ედემიდან. სიტყვის შემოკლებისათვის ვტოვებ ბევრი სხვა მაგალითის მოყვანას.

მეხუთე -ცრემლებით გაიხსენე სიკვდილი, როდესაც სცილდება ცოდვილი სული ხორცს და მას გარშემო ეხვევიან საშინელი და ველური სახეების მქონე ეშმაკები, რომელნიც მოსულან სულის გასატაცებლად. ასევე გაიხსენე სამართლიანი მოსამართლის საშინელი სამსჯავროს დღე და უფლის ის შემაშფოთებელი სიტყვები, რომლებსაც სამართლიანობითა და ბრძანებით ეტყვის ცოდვილებს: წარვედით ჩემგან, წყეულნო, მარადიულ ცეცხლში, რომელიც გამზადებულ არს ეშმაკისა და მისი მსახურებისათვის. გაიხსენე მარადიული ჯოჯოხეთის საშინელი ტანჯვა, სადაც შთავარდნილი მთელი შენი სხეული აუტანელი ტკივილებით დაიტანჯება, გაიხსენე უნუგეშო მწუხარება, რომლითაც შეპყრობილია იქ მყოფი ყველა ცოდვილი, ტანჯვისაგან გათავისუფლების იმედის გარეშე მყოფნი.

მეექვსე— იფიქრე მაცხოვარ იესო ქრისტეს სიკეთეების უთვალავ სიმრავლეზე, რადგან, რაც უფრო მეტად ფიქრობ ყოვლად კეთილი ღვთის მიერ შენთვის ბოძებულ სიკეთეებზე, მით უფრო გრცხვენია მის მიმართ გამოჩენილი შენი უმადურობისა და მზაკვრობის გამო.

მაშასადამე, ამ ყველაფერზე დაფიქრებით შეძლებ გაიჩინო ცოდვის მიმართ სიძულვილი და გულის შემუსვრილება, რაც სინანულის გასაღებს წარმოადგენს. იმარხულე, ცრემლებით ილოცე და მარადის გახსოვდეს შენი ცოდვები. გაიღე ხოლმე მოწყალება და სხვა კეთილი საქმეებიც გააკეთე, რომ შეგინდოს ღმერთმა შეცოდებანი შენი.

საკმარისია უკვე, რამდენიც ვთქვი გულის შემუსვრილების შესახებ, რომელიც სინანულის კეთილ დასაწყისსა და პირველ ნაბიჯს წარმოადგენს და ახლა გადავდივართ მეორე ნაბიჯზე, ანუ აღსარებაზე.

აღსარებისათვის

აღსარება ძალიან უყვარს ღმერთს და მის გარეშე შეუძლებელია ვინმეს ცხონება, რამდენი კეთილი საქმეც არ უნდა ჰქონდეს გაკეთებული ადამიანს. ამიტომაც არსებობს მრავალი გზა იმისთვის, რომ ადამიანმა შეიცნოს თავისი ცოდვა და მდაბალი გულით თქვას აღსარება. ამიტომაც მოუწოდა მაღალმა ღმერთმა ურჩობის ცოდვაში დაცემულ ჩვენს წინაპარ ადამს, რომ შეიცნოს თავისი ცოდვა და უთხრა: ადამ სად ხარ? ანუ, სად დაეცი, რამხელა ბოროტე-

ბა ჩაიდინე, მოტრიალდი სინანულისკენ და აღიარე შენი ცოდვა, რომ მიიღო შენდობა. იგივე უთხრა ევასაც, კაენსაც და ძველი აღთქმის წმინდა წერილის სხვა ადგილებშიც ჩანს, რამდენად სასარგებლოა აღსარება.

სოლომონი ბრძანებს: "ადამიანი, ვინც ფარავს თავის ცოდვებს, ვერ ცხონდება, ხოლო, ვინც აღიარებს მათ, ის წყალობას მოიხვეჭს".

ასევე მეფე და წინასწარმეტყველი დავითი აქებს აღსარებას ბევრ სხვა და სხვა ფსალმუნში, მაგალითად: "აღვიარებ, უფალო, ყოვლითა გულითა ჩემითა". შემდეგ: " კეთილ არს აღსარება უფლისა", და სხვა მრავალი მსგავსი.

წინასწარმეტყველი ისაია ამბობს: "თუ გაქვს რაიმე ცოდვა, გამოაცხადე ის, რომ მიიღო შენდობა". სიტყვის შემოკლებისათვის, წმინდა სახარების სხვა მრავალ ადგილსაც გამოვტოვებ.

მაშასადამე, ამ მცირე მაგალითებიდან დავინახეთ, თუ რამდენად სასარგებლო და აუცილებელია აღსარება ჩვენი ცხონებისათვის და რომ გვმართებს ხშირად ვამბობდეთ ხოლმე აღსარებას. მაგრამ იმისათვის, რომ აღსარება ჩაბარებული იყოს ისე, როგორც საჭიროა, ანუ ისე, როგორც გვასწავლიან ამას ჩვენი ეკლესიის წმინდა მამები, შემდეგი ნაბიჯები უნდა გადადგას იმან, ვინც ემზადება აღსარებისათვის. პირველი— აღსარებამდე ორი-სამი დღით ადრე უნდა დაიწყოს მომზადება და ფიქრი, რამდენი დრო გავიდა მისი ბოლო აღსარებიდან; გულისყურით, დაკვირვებითა და შეგნებით უნდა გამოიძიოს საკუთარ თავში რამდენი ცოდვა ჩაიდინა იმ წუთიდან დღევანდელობამდის, ღმერთის ათი მცნებიდან რომელი არ დაიცვა; რომელი მომაკვდინებელი ან სხვა სახის ცოდვა ჩაიდინა, რა გრძნობით სცოდავდა; ჭეშმარიტად და სწორად თუ სწამს მრწამსის 12-ვე მუხლი ისე, როგორც ამას ასწავლის აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესია, ასევე ჩვენი ეკლესიის რომელი მცნება ან წესი არ დაიცვა; რამდენჯერ ჩაიდინა ცოდვა, ან რამდენი ხანია, რაც იმყოფება ამ ცოდვაში, და სხვა ბევრ რამეზე უნდა დაფიქრდეს, რომლის შესახებაც ვისაუბრებთ მეორე ნაწილში.

მას შემდეგ, რაც ასეთი სახით მოემზადება, ადამიანმა უნდა სცადოს გამოცდილი, ღვთისმოსავი და მცოდნე მოძღვრის მოძებნა, რომ მან შეძლოს მისი გამოსწორება; მოძღვარი უნდა იყოს განათლებული, ღვთის წმინდა კანონებისა და წესების მცოდნე და არა ვინმე გაუნათლებელი და ღვთისმგმობელი, ან ისეთი, ვისგანაც თითქოსდა სარგებელს მიიღებს, ანუ ვინც იოლად შეუნდობს და არ დაადებს სინანულის სასჯელს, რაც აუცილებელია გამოსწორებისა და განკურნებისათვის. ვინც ეძებს ასეთ უწესო მოძღვარს, უაზრობას სჩადის, რადგან არაფერს არგებს ასეთი ცუდი აღსარება; და ვინც აბარებს და ვინც იბარებს ასეთ აღსარებას, ორივე მომაკვდინებელ ცოდვას სჩადის და ორივე დაისჯება. რადგან ამბობს მაცხოვარი იესო ქრისტე: "როდესაც ბრმა ხდება სხვა ბრმის წინამძღოლი, ორივე ორმოში ჩავარდება". ხოლო მის შემდეგ, რაც ადამიანი ნახავს კარგ მოძღვარს, ყოველთვის სულ მასთან უნდა იაროს აღსარებაზე და არა ხან ერთთან და ხან მეორესთან და ასეთნაირად ვაჭრობდეს

სინანულის საიდუმლოს, როდესაც რცხვენია მას აღიაროს, რომ მეორედ და მესამედაც ჩაიდინა ადრე უკვე ნათქვამი ცოდვა და რომლისთვისაც მოძღვარმა დაარიგა, რომ დაანებოს და აღარ ჩაიდინოს ის. ამის მაგივრად, ქრისტიანმა ადამიანმა მთელი ღვთისმოსაობითა და სიმდაბლით უნდა აღიაროს მოძღვართან თავისი ცოდვები სხვა ადამიანებზე, ან ეშმაკზე გადაბრალების გარეშე, არამედ საკუთარ თავს უნდა აღიარებდეს დამნაშავედ. ამავდროულად, ყველაფერი უნდა აღიაროს და არ დამალოს არც ერთი ცოდვა; რადგან თუნდაც ერთი დამალული ცოდვა ყველა დანარჩენსაც შეუნდობელს ხდის.

ხოლო თუ დაავიწყდება რომელიმე ცოდვა, მერე, გახსენებისთანავე უნდა წავიდეს და მოინანიოს ის; ხოლო აღსარებისა და მოძღვრის კურთხევის გარეშე არავინ გაბედოს ზიარება, რადგან დაისჯება ის საწყალი.

რაც შეეხება აღსარებას, სიმოკლისათვის მეტ წილს ვტოვებ, რადგან ვთვლი, რომ ესეც საკმარისია. ახლა გადავიდეთ მესამე ნაბიჯზე, ანუ სინანულის სასჯელის შესრულებაზე.

სინანულის კანონის შესრულებისათვის

რადგან სასჯელის კანონის დადების თაობაზე საუბარი გვექნება ჩვენი სიტყვის მეორე ნაწილში, რადგან იქ არის მისთვის უფრო შესაფერისი ადგილი, ამიტომაც აქ ავხსნი მხოლოდ იმას, რა არის სინანულის კანონი და როგორ უნდა დავიცვათ ის და ამით დავასრულებ.

კანონის შესრულება გულისხმობს სინანულის გამოხატვის ნიშად, გარკვეული საქმეების აღსრულებას, როგორც ამას ამბობს წმ. იოანე ნათლისმცემელი, წინასწარმეტყველი და წინამორბედი: „მაშ, შეიქმენით მონანიების ღირსი ნაყოფი“.[2] კანონის შესრულება, ასევე გულისხმობს მოძღვრის მიერ ცოდვებისათვის დადებული კანონის შესრულებას, ხოლო თუ აღმსარებელი არ შეასრულებს იმ კანონს, ის დაკარგავს აღსარების საზღაურს (შენდობას). როგორც ავადმყოფ ადამიანს არაფერს არგებს, თუ ექიმს მხოლოდ მოუყვება თავისი ავადმყოფობის შესახებ და მისთვის დანიშნული სამკურნალო ბალახეულობას არ მიიღებს; ასევე ცოდვილსაც არ შეენდობა მხოლოდ აღსარებით, არამედ მოძღვრის მიერ დანიშნული კანონი უნდა შეასრულოს, რომელიც არის ცოდვის განადგურებისა და გამოსწორების საშუალება.

აქ ვასრულებთ პირველ ნაწილს, სადაც ვისაუბრეთ სინანულის შესახებ და სამ ნაბიჯზე, რომლითაც მიიღწევა ჭეშმარიტი სინანული და შენდობა: პირველი ნაბიჯი არის გულის შემუსვრა, რომელსაც პავლე მოციქული ეძახის ღვთიურ მწუხარებას, მეორე – აღსარება და მესამე – კანონის შესრულება. თუ ამ სამთაგანს რომელიმე გამოაკლდება, სინანული არ შედგება.

როგორი უნდა იყოს მოძღვარი, როგორ უნდა ჩაიბაროს აღსარება და გამოასწოროს ადამიანები

აქ, ჩვენი სიტყვის მეორე ნანილში ჩაფიქრებული გვაქვს მოკლედ ვისაუბროთ სხვა საკითხებზეც, რომლებიც აუცილებელია სინანულისა და აღსარებისათვის. ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ, უპირველეს ყოვლისა, ვთქვათ იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს მოძღვარი, რადგან ეს საკითხიც ძალიან მნიშვნელოვანია.

ის მღვდელი, რომელიც ისურვებს მიიღოს აღსარების მძიმე და ძნელი ტვირთი, ასაკით უნდა იყოს მოხუცი, სულ მცირე 40 წლის, იყოს ღირსი, პატიოსანი, ზნეკეთილი, სიტყვასა და საქმეში გამოცდილი, არ უნდა იყოს ლოთი; არ უნდა იყოს დუქნებში მოსიარულე, მრისხანე, მგმობელი და ენაბილწი. მოკლედ რომ ვთქვათ, მაქსიმალურად უნდა ერიდოს, რომ ხალხს არ აძლევდეს სკანდალისა და ბოროტი ლაპარაკის მიზეზს.

მეორე – განათლებითა და კეთილი საქმეებით უნდა იყოს შემკული, უნდა იცოდეს ჩვენი ეკლესიის წმიდა წიგნები და კანონები, რომლებითაც შეძლებს მასთან აღსარებაზე მისული ხალხის გამოსწორებას და ამ საქმეს უნდა აკეთებდეს ღვთის შიშით და არა რაიმე ბოროტი გამორჩენის მიზნით.

აღსარებაში არ უნდა ითხოვდეს ფულს და არც სხვა რომელიმე საიდუმლოს შესრულებაში, რადგან ასეთი მღვდელი იუდასთან ერთად დაისჯება, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღოს ფული, თუ აღმსარებელი თავისი ნებით შესწირავს.

აღსარების დროს არავისი რიდი არ უნდა ჰქონდეს, ვინც არ უნდა იყოს ის. არ უნდა იყოს პირფერი, არამედ ჩადენილი ცოდვიდან გამომდინარე ყველას უნდა დაადოს სწორი სასჯელი წმინდა საეკლესიო კანონების შესაბამისად. აღსარების მიღების უფლება მღვდელმა უნდა მიიღოს ადგილობრივი მეუფე მღვდელმთავრისაგან.

რა უნდა ჰკითხოს მოძღვარმა აღმსარებელს და როგორ დაიწყოს აღსარების მიღება

როდესაც ვინმე მღვდელთან მივა აღსარებაზე, ორივენი მაცხოვარი იესო ქრისტეს ხატის წინ დადგნენ ფეხზე და მოძღვარმა თქვას: კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი...., შემდეგ: „მეუფეო ზეცათაო“, „ყოვლადწმიდაო სამებაო“, „მა-

მაო ჩვენო", „უფალო შეგვიწყალენ" 12 – ჯერ და 50 – ე ფსალმუნი „მიწყალე მე ღმერთო".[3] შემდეგ, მოძღვარი დაბრძანდეს ღირსებით ისე, რომ ქრისტეს სახეს განასახიერებდეს, ხოლო აღმსარებელი იდგეს თავმოხდილი, მკერდზე გადაჯვარედინებული ხელებით, თავდახრილი, ღვთის შიშითა და ღირსებით.

შემდეგ მოძღვარმა ჰკითხოს: პირველი, ბოლოს როდის თქვა აღსარება, როდის ეზიარა და თუ შეასრულა მოძღვრის მიერ მიცემული კანონი. ამის შემდეგ ჰკითხოს: დაოჯახებულია თუ არა და რა ხელობის კაცია, აზნაურია თუ არა? ეს იმისთვისაა საჭირო, რომ გაიგოს, თუ რა კითხვები დაუსვას და როგორ გამოასწოროს ის. შემდეგ ჰკითხოს: ეჭვ შეუვალად სწამს თუ არა ჩვენი აღმოსავლეთის ეკლესიის დოგმატები და სარწმუნოების სიმბოლოს 12 – ივე მუხლი ანუ მრწამსი, ასევე ჰკითხოს: თუ იცავს ღვთის 10 – ივე მცნებას და თუ არა, რომლებში სცოდავს. ამ ათი მცნებიდან პირველში ნათქვამია: გიყვარდეს ღმერთი შენი ყოვლითა სულითა და ყოვლითა გულითა და ყოვლითა ძალითა შენითა და რომ სიყვარულითა და მოშურნეობით უნდა ასრულებდეს ღვთის მცნებებს, როგორც კეთილი შვილი ასრულებს მამის ნებას და გონებაში სხვა არაფერი უნდა ჰქონდეს, გარდა იმისა, როგორ მოაწონოს თავი ღმერთს. ასევე უნდა უყვარდეს თავისი მოყვასი ძმა ქრისტიანი და სიკეთე უსურვოს მას ისევე, როგორც საკუთარ თავს.

მეორე ყველა სიტყვასა და საქმეზე არ უნდა იფიცებდეს ღვთისა და წმინდანების სახელს ან სხვა რამე ფიცით, არც სიმართლეზე და არც სიცრუეზე.

მესამე – იცავდეს შაბათს, ანუ კვირა დღეს და წლის განმავლობაში ყველა დღესასწაულს, რომელსაც აღნიშნავს ჩვენი ეკლესია, ამ დღეებში უნდა იუქმოს ხორციელ საქმეთაგან და მხოლოდ სულიერი და საღვთო საქმეებით იყოს დაკავებული: ანუ ლოცვით, საღვთო მოძღვრებებისა და წმინდათა სამაგალითო ცხოვრებების მოსმენით. უნდა ეცადოს მაქსიმალურად მიემსგავსოს მათ, რათა განდიდებული იქნენ ღმერთის მიერ ისევე, როგორც ისინი.

ღვთისმოსაობით მოისმინოს მწუხრი, ცისკარი და არ ეძებოს მიზეზები, რომ დღესასწაულებზე ეკლესიაში სიარულის ნაცვლად სჩადიოდეს ბევრ ცოდვას: სიმთვრალით, უპოატიო ქცევით, სიმღერით, ცეკვა – თამაშით, მრუშობით და ტალახში ამოგანგლილი ღორის მსგავსად იქცეოდეს, რადგან ღმერთი მსგავსი ქმედებებისთვის მეტად მკაცრად დასჯის ადამიანს, ვიდრე უქმის გატეხვისა და დღესასწაულის დღეს შრომისათვის.

მეოთხე – პატივი სცეს დედასა და მამას და იზრუნოს მათზე, მოხუცებულობასა და გაჭირვების ჟამს; პატივისცემით დაემორჩილოს მათ ბრძანებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი უბიძგებენ წარმართული და უსჯულო საქმისაკენ. ასევე პატივი სცეს სხვა ნათესავებსაც და ყველას, ვინც არის მასზე უფროსი. ასევე ადგილობრივ თავადებსა და ხელისფალთ და განსაკუთრებით სასულიერო პირებს, რადგან მღვდლები და მღვდელმთავრები ღვთისმსახურ-

ნი არიან, მიუხედავად იმისა, ცოდვილები არიან ისინი, თუ პატიოსანნი; და თუ ვინმე მასხარად იგდებს ან სცემს და აგინებს [ღვთის]მსახურს, ეს შურაცხყოფა და დამცირება ბატონსაც ეხება, ანუ ამ შემთხვევაში ღმერთს. ქრისტიანნო! ერიდეთ ამ დიდ ცოდვას, რადგან განგირისხდებათ ღმერთი და მარადიული ტანჯვით დაისჯებით.

მეხუთე – არც თვითონ ჩაიდინოს მკვლელობა და არც სხვას დაავალოს ან ურჩიოს.

მეექვსე – არ იმრუშოს, არ ისიძვოს, არ იმამათმავლოს, არ აცდუნოს ვინმე და არც რომელიმე ცხოველთან დაეცეს.[4]

მეშვიდე – არ მოიპაროს, არ შეჭამოს ის, რაც სხვისია, დაქირავებულ მუშებს ყოველთვის მისცეს ჯამაგირი, და დროულად დააბრუნოს ვალი.

მერვე – არ იცრუოს და ასეთნაირად ადამიანს, მის სიცოცხლეს, მის ქონებასა თუ ღირსებას რაიმე ზიანი არ მიაყენოს.

მეცხრე – გულმა არ უზრახოს მეზობლის, ან სხვა ნებისმიერი უცხო ადამიანის ცოლზე, არამედ ლტოლვა მხოლოდ თავისი ჯვარდაწერილი ცოლის მიმართ ჰქონდეს.

მეათე – არა გული უთქმიდეს და არც მოეწონოს და უსამართლოდ არა ხელჰყოს თავისი მეზობლის, ან სხვა ადამიანის სახლზე, ვენახზე, მამულზე ან მონაზე.

ესაა ღვთის ათი მცნება, რომლებიც სხვა წიგნებში უფრო ფართოდ არის განმარტებული, ხოლო ჩვენ ბევრი რამ გამოვტოვეთ, რადგან ვიცნობთ ადამიანების სიზარმაცეს და ამა სოფლის ზრუნვისაკენ მიდრეკილებას, რის გამოც ამ მოკლე სიტყვებსაც ბევრი არ წაიკითხავს, რაც უთვალავი ცოდვის მიზეზი გახდება.

ამ მცნებების გარდა მოძღვრებმა ჰკითხონ აღმსარებელს სხვა მომაკვდინებელი, თუ შედარებით მსუბუქი ცოდვების შესახებ: ანუ თუ დაგმო ღმერთი, ან წმინდანები, ან საეკლესიო საიდუმლოებები ან სხვა რამე, ან თუ ეშმაკით დაწყევლა ვინმე, ან შეაჩვენა ვინმე ცოცხალი, ან მკვდარი, ან თუ გაუკეთებია ჯადო, ან თუ ნაკვერცხალში ჩაუყრია ლობიოს მარცვლები[5]; ან თუ სხვას გააკეთებინა ესენი; თუ სწამს ჯადოების, თან ატარებს თილისმებს, აკეთებს შელოცვებს და სხვა ეშმაკეულ საქმეებს. ამ ცოდვების გამო აღმსარებელს უნდა დაედოს მძიმე კანონი (ეპიტიმია) რადგან ამ ჯადოებით ის უარს ამბობს ღმერთზე და ეშმაკის მორწმუნე ხდება. ჰკითხე თუ უყვარს სხვა ადამიანისათვის ზიანის, დანაკარგის მიყენება და სხვისი უპატივისმცემლობა, ან რომელიმე ადამიანის დაფარული შეცდომის საჯაროდ ხმამაღლა გამხელება, რომ ამით შეარცხვინოს ის, ან ხომ არ დაარღვია რომელიმე აღთქმა, ან შეთქმული მოწყა-

ლების გაღება არ შეასრულა, ცილი ხომ არ დასწამა, ან სიხარულით მოისმინა სხვებზე ბოროტი სიტყვები, ან ხშირად არ დადის ეკლესიაში ღვთისმოსაობით, ან არ ლოცულობს სახლში დილას და საღამოს ისე, როგორც საჭიროა; [უნდა ჰკითხოს] ხომ არიგებს სახლეულებს -ცოლს, შვილებს, მოჯამაგირეებს არ გააცდინონ წირვა-ლოცვა კვირაობით და დღესასწაულებზე, ხომ ასწავლის მათ ლოცვას და ღვთისმოსავ ქრისტიანულ ცხოვრებას, წარსულში ხომ არ ჰქონდა და ახლაც ხომ არ აქვს უთანხმოება და მტრობა ვინმესთან, ან ხომ არ გაამხილა მისთვის განდობილი რამე საიდუმლო, ხომ არ ფიქრობს სიტკბოებით დამამცირებელ საქმეებზე და ხორციელ ვნებებზე, ხომ არ იამპარტავნა და იტრაბახა, ან მასხარად აიგდო გაჭირვებულები; თავისი ავადმყოფობისა, ან სიღარიბის გამო, ხომ არ გამოხატა უმადურობა ღვთის მიმართ და დაგმო იგი, სიზმრებისა ხომ არ სწამს, ხომ არ გააბრუნა და არ მიიღო თავის სახლში მოსასვენებლად მასთან მისული უცხო მგზავრი, ან არ შემოსა შიშველი, არ აჭამა მშიერს, არ მოინახულა და არ ანუგეშა სიტყვით და საქმით ვინმე სატუსაღოში, არ იზრუნა ავადმყოფზე, ღარიბ-ღატაკზე და უცხო ტომელზე; ან თუ ბოროტებაზე ბოროტებით უპასუხა, ან თუ არ უყვარს თავისის მტრები, ან თუ ჰქონდა საშუალება დახმარება გაეწია რომელიმე გაჭირვებულებისათვის და გადაერჩინა ის და არ მოინდომა: ამ ყველაფრის შესახებ მოძღვარმა უნდა ჰკითხოს ღვთისმოშიშ აღმსარებელს, რომ მან ყველაფერი დაუფარავად აღიაროს.

მის მერე, რაც მორწმუნე იტყვის ყველაფერს, მოძღვარმა კარგად უნდა დაარიგოს, რომ აღარ ჩაიდინოს ცოდვები, შეიძულოს ვნებები და დღედაღამე ლოცულობდეს ჩვენს უფალ იესო ქრისტეზე თავმდაბლობითა და მხურვალე ცრემლებით, რომ ღმერთმა შეუნდოს მას მისი ლოცვები და მის შემდეგდაიცვას იგი დაცემისაგან. აღირსოს ცათა სასუფეველს და ყოველად სამართლიანმა და მოწყალემან ღმერთმან არ დასაჯოს ის და რომ არ მოვიდეს მასზედ მოულოდნელი სიკვდილი და მოუნანიებელი, გამოუსწორებელი და უბადრუკი არ დაისაჯოს.

სწავლა-დარიგების შემდეგ მისცეს სინანულის კანონი, რომელიც ეკუთვნის: არც ძალიან მკაცრი, არც ნამეტნავად მსუბუქი. გაითვალისწინოს მონანულის ასაკი - ახალგაზრდაა თუ მოხუცი, დაოჯახებულია თუ არა, მდიდარია თუ გლახაკი, მღვდელია, ერის კაცი თუ ბერი, ნასწავლი თუ უსწავლელი, ასევე ჰკითხოს რამდენჯერ ჩაიდინა ცოდვა, ან რამდენი ხანი და როდის ეწეოდა ცოდვილ ცხოვრებას, მარხვაში თუ ხსნილში, რა ადგილას, ეკლესიაში თუ სხვაგან, რა ხერხით, ცხადად თუ ფარულად, ვინმე ნათესავთან თუ უცხო ადამიანთან. მოძღვარმა სხვა მსგავსი კითხვებიც უნდა დაუსვას, რომ გაიგოს რა ხერხებით, რანაირად ჩაიდინა კაცმა მძიმე თუ მსუბუქი ცოდვა და შემდეგ დაადონ სწორი სასჯელი.

მოძღვარმა უნდა გადახედოს აღმსარებლის ყველა ცოდვას და მათ შორის რომელიც იქნება ყველაზე მძიმე, იმაზე დაადოს კანონი. მაგალითად, კაცმა ჩაიდინა მრუშობის ცოდვა და მკვლელობაც. მკვლელობა უფრო დიდი ცოდვაა და შესაბამისად კანონი მკვლელობისათვის უნდა დაედოს.[7]

ასევე მოძღვარმა უნდა დაარიგოს, თუ მთელი ცხოვრების მანძილზე რა კანონი შეასრულოს, უნდა ახსოვდეს თავისი ცოდვები -ოხვრითა და ცრემლებით უნდა წუხდეს მათ გამო, დავით წინასწარმეტყველის მსგავსად უნდა ლოცულობდეს ღვთის მიმართ, რომ მან შენდობა უბოძოს; ყოველ ღამე უნდა ასველებდეს სინანულის ცრემლით სარეცელს და მრავალჯერ აღავლენდეს ლოცვას დღისა და ღამის განმავლობაში.

კანონი იმ წესით უნდა შეასრულოს, რაც ჩვენი ეკლესიის მამებმა დაადგინეს, ანუ მარხვით, ლოცვით, მოწყალების გაღებით და ღვთისათვის სათნო სხვა საქმეების აღსრულებით. კანონის სახით მოძღვარმა არ უნდა დაავალოს ქრისტიანებს ჭამონ მიწა და ნახშირი და სხვა მსგავსი რამ, როგორც ამას გაუნათლებელი ადამიანები ასწავლიან ხოლმე.

ეს იყო მოკლედ ნათქვამი მცირე სწავლებანი, ხოლო ღმერთმა და წმინდა სამებამ გიბოძოთ თქვენ ყველაფრის შეგნება, საკუთარი ცოდვების უწყვეტი ხსოვნა[6] და მათი გამოსწორებისკენ სწრაფვა. ასევე მაღალმა ღმერთმა დაგიცვათ სატანის ყველა მზაკვრობისაგან და გაგხადოთ ცათა სასუფევლის მკვიდრნი, მეოხებითა ყოვლად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა და ყოველთა წმინდათა, ამინ.

აღსრულდა ღვთის დიდება.

კომენტარები :

[1] დედანში ანთიმოზი ქმნის ახალ სინტაგმას იმის მაგივრად რომ იხმაროს სიტყვა frate (ძმა) ის ხმარობს სიტყვას Sora (და), ოღონდ გადაჰყავს ის მამრობით სქესში Sor

[2*] მათე 3.8*

დედანში ყველა ეს ციტატა მოცემულია სლავურ ენაზე.

იგულისხმება ზოოფილია.

[5] აქ მკითხაობას ნიშნავს.

[6] აქ ანთიმოზი გულისხმობს ცოდვების გახსენებას, მათ არ დავიწყებას, რათა ჩადენილის გამო სინანული მარად თან სდევდეს ადამიანს.

7ანთიმოზი ამ პასაჟში ავლენს კლასიკური აბსოლუტიზმის ფარგლებში არსებული მსჯელობის ნათელ ნუმუშს.

თავდასაცავად დაწერილი უსტარები

სამყაროს დასაბამიდან

7220 წლის 13 იანვრის წერილი

კვირა დღეს, საღამო ჟამს, ყოვლადუგანათლებულმა უფალმა და მთავარმა კონსტანტინე ბასარაბ ბრინკოვიანუმ მოძებნა დრო ზოგიერთი საქმის გამოსაძიებლად, რომლების ბოროტი მზრახველი და ჩამდენი თითქოს და ვიყო მე. შურითა და ბოროტებით სავსე ზოგიერთი საეკლესიო თუ საერო პირის მიერ შთაგონებულმა, მისმა უდიდებულესობამ, გამოგვიგზავნა ჩვენ თავისი მოძღვარი, ეპისკოპოსი ნისისი, მეუფე მიტროფანე თასიტელი, რომელიც იყო მთაწმინდელი და ჩამოსული დიონისიუს მონასტრიდან. მან გადმომცა შეტყობინება, რომ გადავდგე ჩემივე ნებით, დავტოვო მიტროპოლიტის კათედრა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი უდიდებულესობა გადამაყენებს ძალით და მისწერს წერილს კონსტანტინეპოლში, რათა განმკვეთონ კიდევაც. ამის გამო სამშაბათს, საღამოს, მივედი მასთან სასახლეში, პირისპირ ვესაუბრე მის უდიდებულესობას და ვუთხარი, რომ გადავდგები ჩემივე ნებით მღვდელთმთავრობიდან და გადავეცი ეს თორმეტ-მუხლიანი წერილი, რომელსაც აქაც წარმოგიდგენთ, რათა მათ, ვინც ჩემს შემდეგ იქნება, გაიგონ და იცოდნენ ჩემი უდანაშაულობის შესახებ.

„უფალი არს ნათელ ჩემი და მაცხოვარ ჩემდა," ფსალმუნი 26.

ეს წერილი, რომელსაც ვწერ თქვენი უდიდებულესობის სიბრძნის იმედით, გეველდრებით ყოვლადსახიერი ქრისტეს სახელით, როგორც მოწყალესა და ქრისტეს მოყვარე მთავარს, წაიკითხოთ სიმშვიდით, როდესაც გექნებათ დრო. და რაც დაწერილია, გთხოვთ, შეისწავლოთ დაწვრილებით, სიმართლით[1] და გაიგებთ ჭეშმარიტებას. ამოიღეთ თქვენი უდიდებულესობის გულიდან ის ხიჭვი, რადგან (იცის უფალმა) არ ვარ ისეთი, როგორადაც მთვლის თქვენი უდიდებულესობა და როგორ ცილსაც მწამებენ ჩემი მტრები. მაქვს ღვთის იმედი, რომ მალევე დამტკიცდება ჩემი სიმართლე: „რამეთუ უბრალოებასა შინა ჩემსა ვიდოდი, ხოლო შენ უფალო წყალობაი მიყავ მე". ვიცი რომ ჩემმა მტრებმა უსჯულო სიტყვები მოგიტანეს, ჩემს კეთილის მყოფელს, ჩემ წინააღმდეგ და ამ ყველაფერზე განა რა პასუხის გაცემა შემიძლია გარდა შემდეგისა:

1) თუ როდესმე ვეცრუე თქვენს უდიდებულესობას, ან თქვენს სახელს, ან თუ მქონდა რაიმე ბოროტის ჩადენის ფიქრი (სანამ ღმერთი თავისი მრავალის მომთმენლობიდან გამომდინარე გამიგრძელებს ცხოვრებას ამ დედამიწაზე), თქვენი უდიდებულესობის ცხოვრებაშიც და თქვენი ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგაც ვიყო მე შეჩვენებული და კრული; ხოლო თუ არა! დაე, ეს წყევლა იმ უსჯულოებზე ახდეს, ვინც უდანაშაულზე ამპარტავნებითა და შურით ილაპარაკა.

2) მეორე, (ღვთის სიტყვის ქადაგებისას) ეკლესიაში, მის გარეთ, ჩუმად, ან თქვენი უდიდებულესობის წინაშე თუ ოდესმე ვთქვი რამე სიტყვა ისეთი, რომელიც არ იყო თქვენი უდიდებულესობისათვის მოსაწონი, მე ეს ვთქვი ჩემი მოვალეობიდან გამომდინარე, როგორც სულიერმა მოძღვარმა და არა ცბიერებით, რომ ცუდი გაგიკეთოთ სულიერად ან ხორციელად.

3) აქ, ამ ქვეყანაში, მე არ მოვსულვარ ჩემი ნებით, ან რაიმე გაჭირვების, ან სიღარიბის გამო; არც სნაგოვის მონასტრის წინამძღვრობა მიმიტაცია ძალით, და რასაც მივაღწიე მანდ შვიდი წლის განმავლობაში, ყველაფერი, რაც იქ გავაკეთე (არა იმდენად სავანის შემოსავლებით, არამედ ჩემი პირადი შრომითა და ოფლით), ყველა ის საქმე თავად ლაპარაკობს თავის თავზე. მართალია, თქვენს უდიდებულესობას არ სურდა ჩემი იქიდან წამოსვლა, მაგრამ, ისინი, ვინც გახდნენ ჩემი იქიდან წამოსვლის მიზეზი, ღვთის წინაშე აგებენ პასუხს. სიმართლე ისიცაა, რომ იქიდან მე წამოვედი ღირსებით და არავის ჩემთვის არავითარი ბრალი არ წამოუყენებია, რადგან აშკარად ჩანდა, რაც გავაკეთე და შევმატე მონასტერს. არაფერი დამიკლია და დამიშავებია მისთვის.

4) რაც შეეხება რიმნიკუს ეპარქიას, მოწმედ მოვიხმობ ღმერთს, რომელიც გულთა მხილველია, ოცნებაშიც არასდროს წარმომიდგენია, რომ როდესმე გავმხდარიყავი მღვდელმთავარი, რადგან მიმაჩნია ჩემი თავი დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ადამიანზე ყველაზე მეტად ცოდვილად და უღირსად. მაგრამ ღმერთმა, რომელიც ყოველივეს განაგებს სასიკეთოდ, ინება ასე, რომ უნაყოფო მიწისაგან და ნაგვისაგან ამიყვანა მე მდაბიო არსება, რომ დავესვი ერის დიდებულების გვერდით, მე რა უნდა მექნა? მე ვილოცე ღვთის წინაშე და მივენდე მას!

იქაც გავჩერდი, რომ არ ჩავთვალოთ ორი თვე, სამი წლის განმავლობაში და რაც ვიშრომე და ვიღვაწე, ყველას თვალწინ ვაკეთე არა ეპარქიის შემოსავლებით, არამედ ჩემი პირადი შრომითა და ოფლით.

იქიდანაც ჩემი წამოსვლა არ იყო ჩემი ნებით. ვიყავი წყნარად და მყოფნიდა ჩემი გაჭირვება; ხოლო, იქიდანაც, რომ წამოვედი, წამოვედი ღირსებით და არავის დაუდია ჩემთვის რაიმე ბრალი, არც რაიმე ვალი დამიტოვებია, რადგან ასე ვმსახურობდი მე.

5) არც მიტროპოლიტის ტახტი მიმიტაცია ძალით, არც ქრთამით, არც თხოვნით. ღმერთმა დამსაჯოს, თუ ჩავიდინე რომელიმე მათგანი, არამედ ეს მოხდა ღვთის ნებით და ასე შთაგაგონათ ღმერთმა თქვენს უდიდებულესობას და ვიყავი გადაყვანილი ერთი ტახტიდან მეორეზე.[2] ვაცნობიერებდი რა, რომ ეს გადაყვანა არის სულიერი (ანუ, ღვთის ნებით), ვიღვაწე დაუზოგავად, დღე და ღამე ვიშრომე, რათა გამემრავლებინა ღვთისაგან მოცემული ტალანტი და არ აღვრიცხულიყავ მცონარე მსახურთა შორის. და ჩემი მცირე გონების შესაბამისად ვიღვაწე, რაც შემეძლო. ხოლო უფლის ვენახში თუ არ მიშრომია როგორც მე-9 ჟამს მისული მუშაკს, მე-11 ჟამს მისული მუშაკივით მაინც მიშ-

რომია და იმედი მაქვს, რომ ღმერთისგან მივიღებ სრულ საზღაურს, რადგან თავად მაცხოვარს მევენახეთა შესახებ იგავში უთქვამს: „ჯერ–არს ჩემდა, რაიცა მინდეს, ყოფად ჩემსა ზედა“. და რაც ვიშრომე ჩემი ხელებით და რაც ვიქადაგე ჩემი ენით, ვისაც უნდა შეაფასოს სწორი გონებით, მიუკერძოებლად და ღვთით, ვერაფერს ვერ ნახავს ისეთს, რაც არ იყოს ღვთის სადიდებლად, თქვენი უდიდებულესობის საპატივცემულოდ და ქვეყნის სასარგებლოდ.

6) ბოროტება და შური არ მოჰკლებია ამ სოფელს და არც როდესმე მოაკლდება, რადგან ადამიანი თავისი ყრმობიდანვე არის მიდრეკილი ცბიერებისაკენ და არ ეშვება სხვისი ღირსებისა და სიკეთის შურს. ამიტომაც ვიცი, ბევრი ცდილობს, თავისი ლაპარაკით მოშხამოს თქვენი კეთილი ზნეობა და ეშმაკობით ცდილობენ, გაიძულონ ჩაიდინოთ ის, რაც ყმანვილობიდან არ ჩაგიდენიათ, ანუ გიბიძგებენ ადამიანთა ცილის წამებისაკენ და თქვენი სულის დაღუპვისაკენ.

7) იმათ, ვინც ჩემს წინაამღდეგ ბოროტებას სჩადიან და ცილს მწამებენ, ყველას კარგად ვიცნობ, ვიცნობ ისევე კარგად, როგორც მე ჩემს საკუთარ თავს: ყველანი უცვლელნი არიან მათ ბოროტებაში. მაგრამ, დიდად მსურს, რომ თქვენი უდიდებულესობისა და ხალხთა სიმრავლის წინაშე დავდგე მათთან პირისპირ და ვამხილო მათი ცილისწამებანი, რომლებსაც დღემდე უშედეგოდ ვებრძვი. თუმცა მე, როგორც მღვდელმთავარს, არ შემფერის არც ამბის მიტანა, არც ვინმეზე საუბარი უკეთურად, მაგრამ, ღვთის შეწევნით, ასე მგონია, რომ იმათ ისედაც ფრიად შერცხვებათ.

8) ცილის წამებათა და დაბეზღებათა შორის, რომლებსაც მიმზადებენ ჩემი მტრები ისეთივე სულისკვეთებით, როგორითაც იუდამ გაყიდა ქრისტე, არის ის, რომ თქვენს უდიდებულესობასთან მიიტანეს ამბავი, თითქოსდა მე დავწერე 24 მუხლიანი წერილი თქვენს წინააღმდეგ. ჰკითხეთ მეუფე ნისისს და ის გეტყვით იმ წერილის შესახებ, რადგან მე თავად წავუკითხე მას ის მუხლები, რომელებიც იმ წერილში იყო ჩამოყალიბებული. იმ შეხვედრას ასევე ესწრებოდა ოდრიანეც. მე ვაპირებდი ის წერილი მაშინთვე თქვენთვის მეჩვენებინა და ამელო ნებართვა, რათა შემეჩვენებინა იმის დამწერნი; მაგრამ ზოგიერთებმა არ ისურვეს ეს. და თუ თქვენს უდიდებულესობას სურს, გადმოგცემთ კიდევაც იმ წერილს და ნახავთ, მეც რა „პატივს მცემს“ ჩემი ზოგიერთი სულიერი შვილი და რას წერენ ჩემზეც. ვინც თქვენ მოგიტანათ ამბავი იმ წერილის შესახებ, როგორც ყველა სულიერად სუსტი ადამიანი, დაეცა, რადგან არც სურვილი და არც საამისო დრო მქონდა, რომ მისთვის წამეკითხა ის წერილი, მან სრულად საპირისპირო ამბავი მოგიტანათ თქვენ თითქოს და ჩემი დაწერილი იყო ის წერილი. ღმერთმა თითოეულს მიუზღოს საქმეთა მათთაებრ; მე უდანაშაულო ვარ.

9) რაც შეეხება მიტროპოლიტობიდან ჩემს გადადგომას, როგორც ამის ბრძანება მომივიდა მე თქვენი უდიდებულესობისაგან, გეტყვით, რომ ვერ ვბედავ ამის გაკეთებას, რადგან ჩვენ მღვდელმთავრები კურთხევისას აღთქმას ვდებთ ღვთის წინაშე (და ეს ჩვენი აღთქმა, ეკლესიის წესისამებრ, იწერება

სიგელში, რომელსაც ხელს ვაწერთ ჩვენი მაკურთხეველი მღვდელმთავრების თანდასწრებით), რომ ჩვენ ჩვენივე ნებით არასდროს გადავდგებით, სხვანაირად სჯულის–კანონისა და აღთქმის დამრღვევნი გამოვალთ; ხოლო ღმერთი ასეთ შემთხვევებში არ ხუმრობს. პავლე მოციქული ამბობს: „თითოეული დარჩეს იქ, სადაც იყო მოწოდებული“. ხოლო, თქვენი უდიდებულესობის მიმართ სიყვარულის გულისთვის, თუ მიბრძანებთ, ვიზამ ამას, რომ არ იფიქროთ, რომ მე გეწინააღმდეგებით. მაგრამ, თქვენო უდიდებულესობავ, გთხოვთ, სამართლიანად და ღვთის შიშით განსაჯეთ და ისე მიიღეთ გადაწყვეტილება.

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ხორციელ კავშირზეა საუბარი, ღმერთს უთქვამს: „იქ, სადაც ღმერთმა შეაერთა, კაცი ნუ განაშორებს“. ამიტომაც უსამართლობა იქნება თუ ძალადობით ვინმეს უთხრან: ყველანაირი დანაშაულის გარეშე, გაეყარე შენს ცოლს, დატოვე სახლი და უარი თქვი მთელ შენს მონაგარზე. მით უმეტეს უსამართლობაა იქ, სადაც სულიერი კავშირია, ანუ მღვდელმთავარს ვინმემ, რომ უთხრას – ყველანაირი დანაშაულისა და სასამართლოს გარეშე დატოვე შენი ეპარქიაო.[3] ეს იმ დროს, როდესაც მღვდელმთავარი ვალდებულია, თავისი სისხლის დათხევამდე, არ მიატოვოს სამწყსო, როგორც ამას ამბობს მაცხოვარი იესო ქრისტე: „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართათვის“. თუმცა, მიუხედავად თქმულისა, მზად ვარ თქვენი უდიდებულესობის ნების შესრულება და არა ჩემი.

10) განსაჯეთ, თქვენო უდიდებულესობავ, როგორც ქრისტიანმა მთავარმა, სწორი იქნება, რომ ახლა ჩემი სიბერის ჟამს მოვაკლდე ორივეს: ჩემს სამწყსოს, რომელიც მე უღირსს ჩამაბარა ღმერთმა; და ჩემი ახალგაზრდობის წლების ნაშრომსა და ნამოღვაწარს? გაიხსენეთ, რაც წერია წმინდა წერილში: „ნუ დასჯი ორჯერ ერთი დანაშაულისთვის“. ხოლო თუ თქვენი უდიდებულესობა ჩათვლით, რომ ჩემთვის ორი რამის ნართმევა სამართლიანია, მაშინ, იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ ამიერითგან და უკუნისამდე.

11) ხოლო, თუ თქვენი უდიდებულესობა იკითხავთ, სად დავხარჯე თანხები, რომლებიც ეპარქიას ვალად დაედო, გიპასუხებთ, რომ დაიხარჯა ბევრ რამეში, მაგრამ უაზროდ არაფერი დახარჯულა. ვხარჯე, როგორც მამასახლისი საკუთარ სახლში, როგორც ჭეშმარიტი მწყემსი და არა როგორც დაქირავებული, რომელიც იტაცებს და განაბნევს. იმასაც ვიტყვი: ჩვენს დროში, ვინც ვცხოვრობთ ამ უბედურ ქვეყანაში, ვის არ აქვს ვალები? პირველი თქვენი უდიდებულესობა ამბობთ ხოლმე, რომ ქვეყანას დიდი ვალები აქვსო – ორასი და მეტი ქისა თანხა; ამ ვალების მიზეზი თქვენი უდიდებულესობაა თუ ჩვენი დროს მძიმე პირობები? რა თქმა უნდა, მძიმე პირობები! ამან აგვაღებინა ჩვენ და ყველას ეს ვალები. თქვენო უდიდებულესობავ, გევედრებით, ნუ გამწირავთ ამ მდგომარეობის გამო.

12) სხვათაშორის, იმასაც ლაპარაკობენ, რომ ვარ უცხოელი და არ მეკუთვნის ვიყო ამ ქვეყნის მიტროპოლიტი.[4] ქრისტეში ყველანი ერთნი ვართ. თანაც ვლახეთში მხოლოდ მე არ ვყოფილვარ უცხოელი ეპისკოპოსი და მიტროპოლიტი, არამედ სხვა ბევრიც, როგორც ეს ჩანს დიპტიხებიდან და როგორც ეს არის მსოფლიო ეკლესიის მმართველობის წესი. ამ ქვეყანაში მთავრებიც ყოფილან

უცხოელები, ისევე როგორც სხვა ქვეყნებშიც, რადგან ღმერთმა ეს სამყარო შექმნა თავისუფალი ყველასთვის.

ასევე, ერთი რამაა დაუშვებელი – რომ უდანაშაულო მღვდელი გადაიყვანონ რომელიმე ღარიბ ეკლესიაში ან მონასტერში, და თუ მსგავსი რამ ხდება, ხალხი ლაპარაკს იწყებს, რომ უსამართლოდ მოექცნენო. მით უმეტეს, არ შეიძლება უსამართლოდ გადააყენონ ეპარქიის წინამძღოლი, ამას აუცილებლად მოყვება მრავალი ადამიანის სულის დაბრკოლება და ეკლესიის შიგნით დიდი არეულობა და ამის მაგალითს ბევრგან ვნახავთ. და ის, რომ თქვენს უდიდებულესობას შეუძლია გააკეთოს ყველაფერი თქვენი ნების შესაბამისად, ეს სიმართლეა, მაგრამ მე ვიტყოდი, რომ უკეთესია იმოქმედოთ არა თქვენი, არამედ ქრისტეს ნების შესაბამისად. და თუ მაინც მთელი თქვენი არსებით დამნაშავედ მთვლით, გეტყოდით: „მიუტევეთ და მიგიტევებათ თქუენ“.

ეს ყველაფერი სიმართლითა და ჭეშმარიტებით დავწერე ჩემს გასამართლებლად, და რაც ვთქვი, ამას აღარ უარვყოფ; იყავნ ნება შენი და ღმერთი მშვიდობისა იყავნ შენ თანა.

კვირა, 3 თებერვალი, პასუხი რომელიც გავეცი მეორე ჯერზე[5]

„ყველა შენს მიერ ნათქვამ სიტყვაში გაიხსენე – შედეგად, რა მოგელის და არასდროს მოგივა შეცდომა“ – ამბობს წინასწარმეტყველი ზირაქი. უკვე მეორეჯერ გაწუხებთ, თქვენო უდიდებულესობავ, ამ მცირე და მდაბალი წერილით და ვიმეორებ დავით წინასწარმეტყველის სიტყვას: „განრისხნებოდით, და ნუ ჰსცოდავთ, რა სთქუათ გულთა შინა თქუენთა“.[6] ქრისტეს სიყვარულისთვის, გთხოვთ, მიაქციეთ ყურადღება ამ წერილს მართალი ფიქრით და თუ გნებავთ, რომ თქვენი უდიდებულესობა იყოთ მშვიდად და სულიერი ზიანის გარეშე და მეც კმაყოფილი დავრჩე, გთხოვთ, სამართლიანად განსაჯეთ და თქვენს სასმენელთ ნუ მიანდობთ მავანთ, რომ ნაგიბილწონ შხამიანი ენებით, რადგან ამბობს დავით წინასწარმეტყველი: „ცრუ არიან ძენი კაცთანი, სასწორთა მათ ზედა სიცრუისათა“.[7]

თქვენო უდიდებულესობავ, როდესაც გამოგზავნეთ ჩემთან მეუფე ნისისი, მან პირდაპირ მითხრა, რომ მოვიქცე ისე, როგორც მიბრძანა თქვენმა უდიდებულესობამ და ჩემივე ნებით გადავდგე კათედრიდან, თუ არა, 15 დღის შემდეგ თქვენ თვითონვე გამაგდებთ შერცხვენითა და ზარალით. ხოლო მე, რომ არ გამოვჩნდე თქვენი უდიდებულესობის წინაშე შფოთისა და აურზაურის მოყვარე და რომ დავაცხრო თქვენი უდიდებულესობის მრისხანება, ვუპასუხე მეუფე ნისისს, რომ მოვიქცევი ისე, როგორც მიბრძანებთ და თვითონ ვეახლები თქვენ უდიდებულესობას, როგორც მოვიქეცი კიდევაც. მაშინ მთელი ჩემი სიმდაბლით მოგმართეთ ცოცხალი სიტყვითა და წერილობით, იმედით, რომ მის შემდეგ, რაც წაიკითხავდით ჩემს მიერ დაწერილ 12 მუხლიან წერილს, თქვენ გადაიფიქრებდით და ჰეროდეს[8] (რომელიც გიბიძგებთ ჩემს უსამართლოდ დასჯისკენ) გამოაშკარავებდით ცრუდ, რადგან მან არ იცის ალილუ-

იას გალობა[9] და თქვენც არ შემოხვალთ ჩემთან ცოდვაში და მთელი ხალხის სალაპარაკოდ არ გაიხდიდით თავს. მაგრამ, რადგანაც ვხედავ, რომ მთელი ძალით განგიზრახავთ შეასრულოთ ჩანაფიქრი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ დავემორჩილები თქვენს ბრძანებას, ოღონდ ვეევედრები თქვენს უდიდებულესობას, რომ შეინყალოთ ჩემი ხანდაზმულობა და უძლურება. მეუფე ნისისგან ვიცი, რომ ღმერთმა გაგინათლათ გონება და გაგაგებინათ რაში დაიხარჯა იმ სამი ქისის თანხა. ასევე, გთხოვთ, გაიგოთ დანარჩენი ოთხი ქისის ამბავიც, ნახეთ ჩემს მოვალეთა ხელწერილები და ისევ უკან დამიბრუნეთ. ამის შემდეგ მეც ჩემი ხელით დავწერ მიტროპოლიტობიდან გადადგომის წერილს. და ეს იმიტომ, რომ დასრულდეს ჩხუბი და აურზაური, რომლებიც, როგორც თვლის თქვენი უდიდებულესობა ჩემგან გამომდინარეობენ. ასე თქვენი უდიდებულესობასაც არ დაედება ცოდვა და მეც დავრჩები კმაყოფილი და დასვენებული. და ვინც მოვა ჩემს შემდეგ, იქნება კანონიერი და არა უკანონო მღვდელმთავარი, რადგან გადავდგები ჩემივე ნებით. თუ სხვანაირად მოხდება ჩემი გადაყენება, არცერთი ჩემი მემკვიდრე არ ჩაითვლება კანონიერად, რომც მოხდეს ჩემი [სასულიერო ხარისხიდან] განკვეთა, როგორც ეს მოხდა ალიქსანდრიას შემთხვევაში, რადგან ის განკვეთა განკვეთად არც ითვლება, არამედ ეს არის ღვთის ეკლესიისა და წმინდა საიდუმლოებების მასხრად აგდება, რის გამოც ზეცაში მყოფი ღმერთი დასცინის და მასხარად აიგდებს მათ (ვინც მიიღო განკვეთის განჩინება).

თქვენო უდიდებულესობავ, მოიქეცით, როგორც ქრისტიანი და მოწყალე მთავარი და ნუ დამტოვებთ დაჩაგრულს და სახეზე ცრემლშეუშრობელს, რამეთუ ცოდვა იქნება. და რადგან ქვეყნის მართვის საქმეში არ ჩქარობთ ხოლმე და ყოველთვის ისე იღვწით, რომ თქვენს უდიდებულესობის სახელს მიეგოს სათანადო პატივი; ასევე, ნუ აჩქარდებით საეკლესიო საქმეში, რომ ღვთის სახელსაც, ასევე, მიეგოს შესაბამისი პატივი! ბოროტების ქმნა იოლია, ხოლო მისი გამოსწორება ძნელი!

დაუფიქრდით ამ ყოველივეს და ღმერთმა განგინათლოთ გონება, რომ მოიმოქმედოთ ისე, როგორც ღირსეულია და მართალი; და მე შევევედრი ღმერთს, რომ მისი წყალობა მარადის იყოს თქვენთანა.

თქვენი უდიდებულესობის ჩაგრული მვედრებელი,
ანთიმოზ უნგრო-ვლახელი.

კომენტარები:

„ქმნა მართლისა სამართლისა ნება შეიქმს ხმელსა ნედლად“ (რუსთაველი)

[2] იგულისხმება რიმნიკუ-ვირჩეას ეპარქიის მმართველობიდან უნგრო-ვლაჰეთის მიტროპოლიტად გადაყვანა

[3] საეკლესიო ტრადიციაში, ეპისკოპოსისა და ეპარქიის ურთიერთობა შედარებუ-

ლია მეუღლეების ურთიერთობას, ანუ მღვდელმთავრები „ქორწინდებიან" თავიანთ ეპარქიებთან და ამიტომ ეს კავშირი სამუდამოა. ეს გულისხმობს, რომ ეპისკოპოსს არ აქვს ეპარქიის თვითნებურად დატოვების ან გამოცვლის უფლება.

წერილის ეს პასაჟი, ცალსახად აბათილებს ზოგიერთი რუმინელი მკვლევარის ჰიპოთეზას, თითქოს ანთიმოზი იყო ეროვნებით რუმინელი, რადგან ქართველი ან სხვა უცხოელი ვერ შეძლებდა რუმინულ ენაზე შეექმნა ასეთი ტექსტები, ხოლო ივერიელი მხოლოდ ფსევდონიმი შეიძლება იყოს, რომელიც ამ მოღვაწემ მიიღო წმინდა ივერონის მონასტერში ყოფნისას.

[5] ავტორი მიმართავს რუმინეთის იმჟამინდელ მმართველს კონსტანტინე ბრინკოვიანუს. ანთიმოზ ივერიელისა და კონსტანტინე ბრინკოვიანუს ურთიერთობა - როგორც ქვეყნის უზენაესი ხელისუფლისა და უზენაესი მღვდელმთავრისა. ე. წ. სიმფონიის პრინციპს ემყარებოდა, რაც სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ჰარმონიზებას გულისხმობს ორივე ინსტიტუციის ავტონომიის ურთიერთაღიარებით. ეს პრინციპი ბიზანტიის იმპერიის დროს ჩამოყალიბდა, როდესაც მოხდა ეკლესიის ლეგალიზება და სახელმწიფოს მხრივ ჯერ დევნის შეწყვეტა 313 წელს მილანის ედიქტით, შემდეგ კი დომინანტ რელიგიად აღიარება და დაკანონება. ანთიმოზისა და ბრინკოვიანუს ერთობლივი ძალისხმევის შედეგად ვლახეთი იქცა მართლმადიდებლური განათლებისა და წიგნიერების მსოფლიო ცენტრად; რამაც გამოიწვია შური და მტრობა ანთიმოზის მიმართ. გაძლიერდა სასახლის ინტრიგები და კარგად ორგანიზებული ცილისმწამებლური კამპანიები, რომლის მიზანი იყო ანთიმოზის გადაყენება მიტროპოლიტის პოსტიდან. ანთიმოზი დამაჯერებელი არგუმენტაციით უსაბუთებს ქვეყნის საერო ხელისუფალთ ამ პროცესების ნამდვილ არსს, და ცნობიერების იმ საფრთხეებს, რაც შეიძლება მათი ურთიერთობის ჩაშლას და კონფლიქტს მოჰყვეს. კონსტანტინე ბრინკოვიანუმ გულმოდგინედ წაიკითხა ეს ეპისტოლე და დარწმუნდა მისი ავტორის უდანაშაულობაში. ანთიმოზი დარჩა ვლახეთის პირველ მღვდელმთავრად. ანთიმოზის მტრებმა მისი გადაყენება მხოლოდ ბრინკოვიანუს სიკვდილით დასჯის შემდეგ მოახერხეს. თვითონ საეკლესიო წრეებში აღმოჩნდნენ მღვდელმთავრები, რომლებმაც პოლიტიკურ კონიუქტურას გაუწერეს ანგარიში და ანთიმოზი ეკლესიიდან განაყენეს. 1990-იან წლებში, როდესაც დადგინდა ანთიმოზ ივერიელის წმინდანად კანონიზების საკითხი, საჭირო გახდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში ეკლესიიდან განყენების აქტის გაუქმება.

[6] ფსალმუნი 4: 4.

[7] ფსალმუნი 61: 10.

[8] ჰეროდე – იუდეველთა მეფე, რომლის დროსაც დაიბადა მაცხოვარი მან ბეთლემში 14.000 ჩვილის მოწყვეტა ბრძანა.

[9] არ იცის ალილუიას გალობა – გამოთქმა, რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანი არის ბოროტი და უღვთო.

ანთიმოზ ივერიელის მიერ დასტამბულ გამოცემათა წინასიტყვაობები და მიძღვნები

ბუქარესტში 1693 წელს დაბეჭდილი ბერძნულ–რუმინული „სახარების" ბოლოსიტყვაობა

ჯანმრთელობა და კეთილდღეობა საყვარელ მკითხველს!

იგავში ნათქვამია, რომ მცენარეთა შორის გამორჩეულად საქებარი აბზინდაა. ასევე მეც, საყვარელნო მკითხველნო, მცოდნე, გამოცდილი და მოღვაწე მესტამბეების წინაშე წარვსდგები ამ წმინდა სახარებით, ანუ ღვთაებრივ სამ ტონალობაზე მჟღერი, ტკბილხმოვანი ოთხსიმიანი ვიოლინოთი, რომელიც ჩვენი წმინდა სარწმუნოების ღვთისმეტყველების მთავარ და საწყის ინსტრუმენტს წარმოადგენს. საღმრთო საიდუმლოთა მჭვრეტელი მოციქულების მიერ ნაქადაგები ამ სახარების მეშვეობით ჩვენც შევიცანით განუყოფელი, დაუტევნელი და სრულყოფილი წმინდა სამება, ანუ არშობილი მამა, მამისაგან შობილი ძე და ასევე მამისაგან გამომავალი სულიწმიდა - სამპიროვანი ერთი ღვთაება და ერთარსება.

მე, მდაბალმა, დავინახე რა ღვთისმეტყველების ეს სიღრმე, შევეცადე და ხელი მოვკიდე ამ წიგნის დაბეჭდვის საქმეს. აღვივსე ტკბილი იესო ქრისტეს მიმართ წმინდა სარწმუნოებითა და სასოებით, რომელმაც მათეს სახარების 21-ე თავში ბრძანა: „თუ რწმენა გექნებათ და არ დაეჭვდებით, ამ მთასაც რომ უთხრათ აიწი და ზღვაში ჩავარდიო, ასეც მოხდება. ყველაფერს, რასაც ლოცვაში რწმენით ითხოვთ, მიიიღებთ."[1]

დიდი შრომითა და ღვაწლით მოვკიდე ხელი ამ სულისათვის სასარგებლო საქმეს, რომელიც შესრულდა პირველ რიგში ღვთის ნებითა და განგებით და ასევე მისი ბრწყინვალების ყოვლადპატიოსანი მართლმადიდებელი ქრისტიანის, სრულიად უნგრო-ვლახეთის კურთხეული მთავრის, იოან კონსტანტინ ბასარაბ ვოევოდას, შემოწირულობით და ჩემი, მღვდელმონაზონთა შორის უმცირესის, ივერიიდან მოსული, მესტამბე ანთიმოზის,[2] შრომით.

მაშასადამე, გთხოვთ ძმური და კეთილი ნებით, შეჩვენების გარეშე, ჩემი უცოდინრობის და უყურადღებობის გამო დაშვებული შეცდომების გამოსწორებას. ასევე გთხოვთ ილოცეთ ღვთის წინაშე ჩემი მდაბალი და უღირსი სულისათვის.

ბუქარესტში 1694 წელს რუმინულ ენაზე დაბეჭდილი „ფსალმუნის“ მიძღვნა

ჩემს კეთილისმყოფელსა და მოწყალე მბრძანებელს, სრულიად რუმინეთის კურთხეულ, დიდებულ, ბრწყინვალე, ყოვლადკეთილ, საქებელ მართლმადიდებელ და ქრისტეს მოყვარე მთავარს, იოანე კონსტანტინე ბასარაბ ვოევოდას, ჩემგან ვუთვლი მეტანიით დადასტურებულ თაყვანისცემას, ხოლო ღვთისგან ვუსურვებ მადლსა და კურთხევას.

დიდო და ყოვლადბრწყინვალეო ბატონო, მთელი ქმნილება: ხილული და უხილავი, პირმეტყველი და პირუტყვი, რომელიც მაღალი ღმრთის სიბრძნითაა შექმნილი და რომელიც მიისწრაფვის, რომ შეასრულოს მისთვის დავალებული მისია. ასევე ყველა სტიქიონი, როგორც ხილული სამყაროს პირველმიზეზნი, აიძულებენ ბუნებას, რომ მოისხას და გასცეს თავისი ნაყოფი შესაბამის ჟამს.

მაგრამ ყველაზე მეტად ადამიანი, რომელიც ყველაზე გამორჩეული და პირმეტყველი ქმნილებაა, ცდილობს გამოიღოს მრავალი სახის ნაყოფი როგორც ხორციელი, ასევე (უფრო მეტად) სულიერიც, რადგან თვითონაც ორივე ნაწილისაგან – სულისა და ხორცისაგანაა შედგენილი. და ყველაფერი მისთვისაა შექმნილი, მისთვისაა მოცემული მთელი ეს გრძნობიერი სამყარო თავისი მშვენიერებითა და სილამაზით, როგორც მრავალი ყვავილის დამტევი ბაღი, რომლისგანაც ადამიანი ირჩევს ყველაზე კეთილსა და მშვენიერს და მისით იმკობს საკუთარ თავს. ასევე ღვთის შთაბერვით მას მიეცა ზეციური სამყაროც, რომლისგანაც, თუ ინება, მიიღებს მადლს საკუთარი სულიერი ხატის შესამკობად და ამით მიემსგავსება თავისი შემოქმედი ღმრთის ხატებას.

მიუხედავად იმისა, რომ ადამის მოდგმის ბევრმა შვილმა მეტად ხორციელის მიმართ ლტოლვა გამოავლინა, რითიც ჭეშმარიტების გზას აცდა და დაიკარგა. ბევრმა სხვამ კი სულიერი შეიყვარა და ამით გადიდდა ამქვეყნად და იმქვეყნადაც დაიმკვიდრა მარადიული ცხოვრება. მათ შორის შენც, დიდებულო და კურთხეულო მთავარო, გამოჩნდი ვითარცა სულიერ საქმეთა მოშურნე და აღმსრულებელი და მთელი ღვაწლით ცდილობ გამოიღო მრავალფერი სულიერი ნაყოფი, რომ შენს მწყურვალე მართლმადიდებელ ერს მისცე სულიერი წყარო. როგორც ამბობს დავით წინასწარმეტყველი, ყველაფერზე მეტად შენ შეიყვარე ღვთის სახლის მშვენება, ანუ წმინდა ეკლესია და, მიუხედევად იმისა, რომ სხვა მრავალი შემოწირულობებითა და ძღვენით ამშვენებ ღვთის სახლს, ყველაზე მეტად მეტყველი სამკაულით, წმინდა წერილის დაბეჭდვა–გავრცელებით, გამოიღე ყველაზე დიდი ნაყოფი სხვა ყველა შენს წინამორბედთან შედარებით და ამით გამოაჩინე ყოველთა მართლმადიდებელთა

მიმართ შენი კურთხეული სიყვარული. ამიტომაც სულისათვის სასარგებლო სხვა მრავალრიცხოვან დაბეჭდილ წიგნებთან ერთად შენ, დიდო მთავარო, ეს სულიწმინდით შთაგონებული და დავით წინასწარმეტყველის მიერ ნაგალობი წიგნიც შეიყვარე, რომელსაც საზოგადოდ ფსალმუნს ვეძახით.

თუ ვინმეს სურს, ღირსეული ხოტბა შეასხას ამ წიგნს, უნდა შეხედოს სულიწმინდის ზებუნებრივ მოქმედებებს და იმ სიტყვებს, რომელსაც შეიცავს ყველა ფსალმუნი; და ასე შეიცნობს, რაოდენ დიდი ქების ღირსია ეს წიგნი. შენო უდიდებულესობავ, მიუხედავად იმისა, რომ იგი უწინ სხვებმაც დაბეჭდეს სხვადასხვა სახით, შენ დაინახე რა ამ წიგნში არსებული სულიერი საგანძური, ახლა მეტი ღვაწლით ხელახლა გამოაქვეყნე ის და სხვებთან შედარებით უფრო მეტად შეამკე, ანუ ამჟამინდელ გამოცემაში ყველა კანონი, ტროპარი და ლოცვა უშუალოდ რუმინულ ენაზე გადაითარგმნა და დაიბეჭდა, რათა ფსალმუნთა წიგნი ყველა მკითხველისათვის იყოს მეტად გასაგები და სასარგებლო.

თქვენო უდიდებულესობავ, შენ მიბრძანე, რომ მთლიანად შენი ხარჯით დავბეჭდო ეს წიგნი და საჩუქრად დავურიგო მართლმადიდებელ ქრისტიანებს. ისინი დღეის იქით ვალდებულნი იქნებიან, ევედრონ ყოვლადძლიერ ღმერთს შენი სიცოცხლისათვის, ძლიერებისათვის და ნეტარებისათვის, რომ დაცული იყო, როგორც შენთვის ღვთისაგან ბოძებული ერის მმართველი. და როგორც მოციქულთა სწორმა კონსტანტინემ გაამრავლა და გააძლიერა მართლმადიდებლობა, დაე, შენც გებოძოს ღვთის სასუფევლის დიდების გვირგვინი. ამინ.

შენი დიდებულებისათვის მლოცველი მღვდელმონაზონთა შორის, მდაბალი და მცირე ანთიმოზ ივერიელი მესტამბე.

მიძღვნა სნაგოვის მონასტერში 1697 წელს იოან კარიოფილის მიერ დაბეჭდილ წიგნზე „სახელმძღვანელო რამდენიმე გაუგებარი საკითხის შესახებ"

მის მაღალ ღირსებას, დიდ ბრწყინვალებას, მზესავით დიდებულს და ღვთის ნებით სრულიად უნგრო-ვლახეთის ბატონსა და მბრძანებელს, იოან კონსტანტინ ბასარაბ ვოევოდას, ღვთისაგან გებოძოს კეთილი ცხოვრება, წყალობა, ცხონება და სრული ნეტარება.

ნათქვამია, რომ ღმერთს და ეკლესიას არასდროს მოაკლდება ერთგული მეომრები (სინესიუსის მე–V ეპისტოლე); ანუ არასდროს და არცერთ შემთხვევაში უფალს არ მოაკლდება ღვთისგან მოვლენილი მებრძოლნი, არც ღვთის წმინდა ეკლესიის უშიშარი ჯარისკაცნი, რომლებიც ჭეშმარიტებით ანთებულნი, მცოდნენი, ნებისმიერი მწვალებლური ფალანგის მძლენი და ნებისმიერი ელინური თუ ათეისტური მცდარი სწავლების წინააღმდეგ გაწვრთნილნი არიან, ისინი მხოლოდ წმინდა წერილის დამარწმუნებელი სიტყვებითა და მტკიცებულებებით შეიარაღებულნი კი არ არიან, არამედ, უფრო მეტიც, აზროვნებენ შეუმცდარად და ლოგიკურად, რასაც იყენებენ ჭეშმარიტების იარაღად: ხან თავდაცვისათვის, ხან კი მოგერიებისათვის.

მათეს სახარების ოცდამერვე თავში ნათქვამია: „აჰა, ესერა მე თქვენთანა ვარ აღსასრულამდე სოფლისა", შესაბამისად ღმერთმა განაწესა, რომ სოფლის აღსასრულამდე ჭეშმარიტება ყოველთვის მართლმადიდებელ მორწმუნეებთან იქნება. ამავდროულად, როგორც გვასწავლის თავად უფალი წმინდა სახარებაში, ჩემ გარეშე არაფრის კეთებას შეძლებთო, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ ღვთის დახმარების გარეშე არაფრის მაქნისები ვართ.

ამიტომ ჩვენს დროშიც არიან მართლმადიდებლობისა და რწმენისათვის უშიშარი მებრძოლები და დამცველები. შესაბამისად ღვთის განგებით დიდმა სუფრაჯმა[3] კონსტანტინე კანტაკუზინომ, თავადთა შორის უკეთილშობილესმა და უპატიოსნესმა კაცმა, დაინახა რა, რომ ბევრი კეთილი მართლმადიდებელი ადამიანი, ზოგიც უმეცარი და გაუნათლებელი პიროვნება ბრკოლდებოდა ზოგიერთი ბერძნული დოგმატის გამო, როგორიცაა მაგალითად: ბედისწერისა და იღბლის საკითხი და განსაკუთრებით კალვინისტური და ათეისტური სწავლებები, ასევე სხვა რამდენიმე საჭირბოროტო პრობლემა, ინება და სთხოვა ყოვლად ბრძენსა, ყოვლად აღმატებულსა და ყოვლად პატიოსანს, მაცხოვრის დიდი ეკლესიის[4] დიდ ლოგოფეტს[5], მეუფე იოანე კარიოფილს, რომელიც მანამდე ნამყოფი იყო ბუქარესტში ღვთისმსახურების ჩასატარებლად, რომ თავისი სიბრძნითა და ცოდნით გაეცა პასუხი მსგავს საკითხებზე.

მით უმეტეს, მას ეს სიბრძნე და ცოდნა მიღებული აქვს ღვთის მადლით, რომელიც დაფუძნებულია წმინდა მამების კანონებზე, ჩვენი წმინდა და კათოლიკე ეკლესიის სწავლებაზე მართლმადიდებელი ქრისტიანების განსამტკიცებლად, მწვალებელთა და ურწმუნოთა სამხილებლად და შესარცხვენად. უფრო მეტიც, კონსტანტინ კანტაკუზინოს თხოვნით მეუფე იოანეს მიერ მომზადებული პასუხები უნდა ყოფილიყო დაწერილი მარტივი ენით, ადვილად გასაგები და ზემოთ ხსენებული საეჭვო საკითხებისათვის ნათელის მომფენი.

ამიტომაც ყოვლადბრძენმა მოძღვარმა, კი ხსენებული თავადის შეთავაზების მიღებისთანავე, დაინახა, თუ რა სარგებელი ექნებოდათ ამ შრომის შედეგად მორწმუნეებს და დიდად იღვაწა იმისათვის, რომ ეს სწავლებანი ჩამოეყალიბებინა. ამ მიზნით მან მთელი სიცხადით ახადა ფარდა და განაბნია ცრუ და უგუნური სწავლებანი ისევე, როგორც ობობის ქსელნი, ამავდროულად, ჩვენი წმინდა ეკლესიის სწავლება და სახარებისეული ჭეშმარიტება დაიცვა და განმარტა.

ჩამივარდა რა ხელში ეს ნაშრომი, მე ის სიღრმისეულად და დიდი ყურადღებით წავიკითხე, დავინახე, რომ იგი ძალზედ სასარგებლოა თითოეული მართლმადიდებელი მორწმუნესათვის ცრუ დოგმატების დასამხობად და ჭეშმარიტი სწავლების დასამტკიცებლად. უდიდესი სიხარულითა და ღვთაებრივი მოშურნეობით გამიჩნდა სურვილი, რომ დამებეჭდა ეს წიგნი მორწმუნეთა სულიერი საჭიროება–სარგებლობისათვის და ასევე იმ გმირების სახელების უკვდავსაყოფად და მათი სულების საცხოვნებლად, რომლებმაც დიდად იღვაწეს მართლმადიდებელი სარწმუნოების დასაცავად.

მაგრამ, თქვენო ყოვლადუმაღლესობავ, ბატონო ჩვენო, ვერ გავბედე მისი დაბეჭდვა გარკვეული შესწორებისა და გამართვის გარეშე. ამ საქმისთვის ვთხოვე და დავიხმარე ყოვლადბრძენი, უგანათლებულესი და ყოვლად პატიოსანი ბატონი –კიმინიტეს ტრაპეზუნელი, რომელსაც ჭეშმარიტი დოგმატების საკითხში აქვს დიდი ცოდნა და გამოცდილება. იგი არამარტო მართლმადიდებელი დოგმატების კარგი მცოდნეა, არამედ აქვს განსაკუთრებული სასოება სიწმინდეთა მიმართ, არის ღვთისმოსავი, ყოვლად პატიოსანი და მხურვალე მუშაკი.

მე მას მივმართე, როგორც აქაური განთქმული სკოლის ერთ-ერთ მოღვაწეს; ეს სკოლა ღვთის სიყვარულითაა დაარსებული, შენი უბრწყინვალესობის მიერ შეწირული დიდი თანხის მეშვეობით, რომელიც თანამემამულეთა და აქ ჩამოსულ უცხოელთა სწავლის მოყვარეთათვის არის გახსნილი.

მისმა უგანათლებულესობამ იშრომა რა ღირსეულად და თავდადებულად, გაასწორა არა მხოლოდ ის ადგილები, რომლებიც შეცდომით, ან დავიწყების გამო უყურადღებოდ იყო დარჩენილი, არამედ სხვა ადგილებიც, რომლებიც

ძნელად გასაგები იყო, ისინი განმარტა და ზოგი რამ დაამატა, რათა უფრო გასაგები გამხდარიყო იმათთვის, ვისაც მანამდე არ ესმოდა. ღვთის შეწევნით დაგვირგვინებულ ამ ნაშრომს გიძღვნი, როგორც შენი მადლიერი ადამიანი და შენი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ქვეშევრდომი. ეს ღირსეული წიგნი საამაყო და, ამავდროულად, სულისათვის ძალზედ სასარგებლო ნაშრომი იქნება, ერთი მხრივ, მართლმადიდებლობის განსადიდებლად, მეორე მხრივ, მოწინააღმდეგეთა სამხელად და შესარცხვენად; წიგნი ზომით არის მცირე, მაგრამ შინარსით არის ძალზედ დიდი.

ამიტომაც ღვთის მიერ დიდებულო და უბრწყინვალესო კეთილისმყოფელო ბატონო, მიიღე კეთილგანწყობით ძალზედ სასარგებლო სულიერი სახელმძღვანელო. შეხედე მას და შეაფასე არა სიდიდის, არამედ შინაარსის მიხედვით, და განსაკუთრებით იფიქრე შენი მსახურების მადლმოსილებაზე, შენ მიერ ყოველდღიურად აღსრულებული მრავალ კეთილ საქმეზე.

ამ გულუხვი შემოწირულობების გამო, რომელთაც ვღებულობთ შენი უმაღლესობისაგან, მარადის ვრჩებით შენს მევალედ. განუწყვეტლივ ვევედრებით მოწყალე და ყოვლადკეთილ ღმერთს, რომ დაიცვას და დაიფაროს ღვთის მადლით შენი უდიდებულესობის ბრწყინვალება მისი ყოვლადძლიერი მარჯვენით და თავისი ფრთების ჩრდილის ქვეშ შეგიფაროს და დაგიცვას ნებისმიერი მტრის თავდასხმისაგან, მტკიცედ და ბედნიერად გამყოფოს შენს მაღალ ტახტზე ხანდაზმულობამდე, იმისათვის, რომ გააერთიანო და მართო შენთვის ჩაბარებული ქრისტეს სამწყსო და გააძლიერო მსოფლიოში ყველგან მყოფი მართლმადიდებელი ქრისტიანი. ამინ!

მღვდელმონაზონთა შორის ყოვლადმდაბალი და შენი ბრწყინვალე უდიდებულესობის უმორჩილესი მსახური, მესტამბე, ანთიმოზ ივერიელი.

სნაგოვის მონასტერში 1697 წელს დაბეჭდილი სლავური ენის „გრამატიკის" შესავალი სიტყვა

ღვთისმოსავობაში ყოვლადბრწინვალეს, კეთილშობილს და კეთილისმყოფელს, ყოვლადბრწყინვალე მთავარს, იო კონსტანტინე ბასარაბ ვოევოდას, სრულიად უნგრო-ვლასეთის მბრძანებელს, ამა ცხოვრებასა შინა ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, წარმატებას და მარადიულ ცხონებას.

„გრამატიკის" წინასიტყვაობა

თქვენი მმართველობის ჟამს, აჰა, ნაყოფი გამოიღო უცხო თესლმა, ანუ სლავურმა გრამატიკამ – ცნობილმა, კეთილმა და საჭირო ხელოვნებამ. ყველასათვის საკვირველი და სასიხარულო ამბავია, როდესაც მის მამულში სხვა ენის თესლი გამოიღებს ნაყოფს, რადგან ხედავს ახალ და უცნობ ხილს, რომელიც მისთვის მანამდე არ იყო ცნობილი. გასაოცარია, რომ ჩვენს ერს აქამდე არ გააჩნდა ეს თესლი, ანუ ვერ ახერხებდა სლავურ ენაზე დაწერილი წიგნების სწორად ნაკითხვას და არც მისი ნაყოფი იყო ცნობილი, ანუ წაკითხული ტექსტის სწორი გაგება. თქვენი ღვაწლის შედეგად, დიდო მთავარო, დადგა ბედნიერი ჟამი, როდესაც უკვე შესაძლებელი გახდა სლავური ენის გაგება.

და თუ სლავური ენა თავიანთ შინაურებში, ანუ სლავებში არის დიდად განდიდებული და პატივცემული, ანუ იქ, სადაც ის გამოიყენება, როგორც მშობლიური ენა, მით უმეტეს ჩვენ, რომლებიც ვიყენებთ მას არა როგორც მშობლიურს, არამედ როგორც უცხოსა და ნათხოვარს, აღფრთოვანებით უნდა ვადიდებდეთ და ვაფასებდეთ მას, რომ შეგვეძლოს მისი სწორი გამოყენება.

მაშასადამე, რომელია და რას წარმოადგენს ის კეთილი ნაყოფი, რომელიც გვეძლევა სულიწმიდის მადლით? ესაა, მაგალითად, სული ადამიანის სხეულში და ნათელი მზისგან გამოსული, ასევე მარილი საკვებისათვის. როგორც სხეული სულის გარეშე მკვდარია, როგორც მზე სინათლის გარეშე არ ანათებს და როგორც საკვები უგემურია უმარილოდ, ასევეა კითხვა და წერა გრამატიკის გარეშე უშინაარსო.

თუ ვინმეს სურს, იცოდეს ასო-ბგერების და მარცვლების ბუნება და თუ სურს, რომ სიტყვები სწორად გამოთქვას და სწორი მახვილი დაუსვას, მან უნდა შეისწავლოს გრამატიკის პირველი ნაწილი, ანუ ორთოგრაფია.

თუ სურს ვინმეს, მეტყველება დაჰყოს სწორ ნაწილებად, მან უნდა ზედმიწევნით შეისწავლოს მეორე ნაწილი, ანუ ეტიმოლოგია.

თუ ვინმეს სურს, გამართული მეტყველება შეძლოს, მან უნდა აითვისოს სინტაქსის წესები. ვისაც სურს მელექსეობის წყობილსიტყვაობას დაეუფლოს, მან უნდა შეისწავლოს პროსოდია[6].

პირდაპირ რომ ვთქვათ, იმავე გონების წესებმა, რომლებმაც წარმოშვეს ბერძნული, ლათინური, თუ ნებისმიერი სხვა ენა, შექმნეს სლავური ენაც. და ამ წესების ცოდნა საშუალებას გვაძლევს ენა გრამატიკულად განვასხვავოთ მისი შემადგენელი ნაწილებისაგან, ვიცოდეთ სახელების ბრუნვა და ზმნების უღლება მათი შინაარსისა და დაბოლოების მიხედვით და მივხვდეთ ხოლმე სიტყვებისა და მეტყველების უზუსტობას, ანომალიას, ზედმეტობას ან ცვლილებას. ერთი სიტყვით, გრამატიკას ითვისებს ის, ვინც მას გულმოდგინედ სწავლობს და უნდა სწორედ მეტყველება და წერა. ეს ყველაფერი გვაკლდა ჩვენ, რადგან არ გაგვაჩნდა მეტყველების მომწესრიგებელი გრამატიკა.

ამიტომაც ბევრს და, მით უმეტეს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სლავური გრამატიკის შესასწავლად ეს სახელმძღვანელო წიგნი არის ძალზედ სასარგებლო, რადგან ჩვენს ეკლესიებში მიჩვეულები ვართ სლავურენოვან ღვთისმსახურებას; მაგრამ, რადგანაც არ ვიცნობთ ჩვენთვის ამ უცხო ენას, ხშირად ვუშვებთ შეცდომებს. თქვენო უდიდებულესობავ, თქვენ იცოდით გრამატიკის მნიშვნელობა, ხოლო ჩვენ, მკითხველებს, ღვთის იმედი გვქონდა, რომ გვეღირსებოდა ასეთი წიგნი. და ამ იმედმა გაამართლა თქვენი მმართველობის დროს, რადგან ვხედავთ, რომ ამ თესლმა ჩვენს ქვეყანაში გაიდგა ფესვი და თქვენს შრომას ღვთის დახმარებაც ეწევა, რადგან ქრისტეს სიყვარულით სხვა კეთილ საქმეებთან ერთად თქვენ მცირეწლოვანი ბავშვებისათვის სლავური ენის შემსწავლელი სკოლაც დაარსეთ.

მაგრამ დავანებოთ თავი გრამატიკის თაობაზე ზედმეტ ლაპარაკს; თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ფასეულია იგი, ამას დრო გამოაჩენს. მუხლი მოვიდრიკოთ ლოცვით და გულმოდგინედ ვევედროთ ღმერთს, რომ მისი ნებით ეს წიგნი კეთილად იქნეს გამოყენებული ღვთის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის და ყოველთა წმიდათა სადიდებლად და, რა თქმა უნდა, მართლმორწმუნე ერისთვის სულიერი და ხორციელი სარგებლის მისაღებად.

ხოლო თქვენი უდიდებულესობისათვის, რომელმაც იზრუნეთ ამ წიგნის გამოცემისათვის, ღვთისაგან ვითხოვოთ დღეგრძელი ცხოვრება, ხორციელი ჯანმრთელობა, მეცნიერება და ყველაფერში წარმატება, ხოლო ზეცაში ყველანაირი ნეტარებისა და სიკეთის მიღება. ამიტომაც ამ მცირე წიგნით ხელში, რომელიც თქვენი ბრძანებით ახლა დაიბეჭდა, მუხლს ვიდრეკთ თქვენი ბრწყინვალე უდიდებულესობის წინაშე და გევედრებით, იყავით მოწყალე ჩვენდამი, ვინც ვიმუშავეთ მისი გამოცემისათვის.

ღვთის წინაშე ყველაზე უღირსი მლოცველი, მღვდელმონაზონთა შორის ყველაზე მდაბალი და თქვენი უდიდებულესობის ერთგული, ანთიმოზი, მესტამბე.

მიძღვნა სნაგოვის მონასტერში 1701 წელს ბერძნულ ენაზე დაბეჭდილ სევასტოს კიმენიტელის წიგნზე „ეორთოლოგიონი"

ყოვლად სათნოს, ყოვლად ბრწყინვალეს, ყოვლად ნათელს და ღვთივგვირგინოსან მთავარსა და სრულიად უნგრო-ვლახეთის მმართველ ბატონს, იოან კონსტანტინ ბასარაბ ვოევოდას, ვუსურვებთ ცხონებას, დღეგრძელობას, ღვთის მფარველობას და ყველაზე დიდ ბედნიერებას. ყველა მგრძნობიარე და მოაზროვნე არსების საწყისი, შუა და დასასრული, უფალი და მბრძანებელი არის ყოველთა შემოქმედი ღმერთი. ხოლო მთვარისქვეშეთში არსებული ყველა არსების მეუფე და გვირგვინი არის ადამიანი. ხოლო ადამიანის დანიშნულება, რისთვისაც არის ის ღვთისაგან შექმნილი, არის ნეტარება და თავად ღმრთის მოპოვება, [7]რადგან ადამიანისათვის შეიქმნა მთელი ეს სამყარო, ხოლო, როგორც ნათქვამია, ადამიანი ღვთის მიერ შეიქმნა, რომ მოიპოვოს ღმერთი.

ღმერთს მოიპოვებენ ის ადამიანები, რომლებსაც მართლა სწამთ ის და ზედმიწევნით ასრულებენ მცნებებს. ხოლო ყველა მცნება ამ ორ მთავარშია გამოხატული: გიყვარდეს ღმერთი და შენი მოყვასი. მაშინ მიიღწევა ღვთის სიყვარულის შეცნობა, როდესაც, როგორც ვთქვი, ზედმიწევნით სრულდება წმინდა მცნებები, რადგან თავად უფალი ბრძანებს სახარებაში: თუ გიყვარვართ, დაიცავით მცნებანი ჩემი.

მოყვასის მიმართ სიყვარული მაშინ მიიღწევა და სრულდება, როდესაც გვიყვარს საქმით, მთელი სულით, როგორც საკუთარი თავი. ისე როგორც ამას ბრძანებს ღმერთი. ნათქვამია: გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი გულით, მთელი სულით და მთელი შენი ძალით; ხოლო მოყვასი შენი, როგორც საკუთარი თავი. ასევე ნათქვამია: ამას გიბრძანებთ, რათა გიყვარებოდეთ ურთიერთას, რადგან მაშინ მიიღწევა ასეთი სიყვარული, როდესაც სიტყვით და საქმით სიკეთეს ვუკეთებთ ერთიმეორეს როგორც ხორციელში, მაგრამ განსაკუთრებით სულიერ და მაცხოვნებელ საქმეებში თითოეული ჩვენი ძალებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

ხოლო მე, მესტამბეობის საქმიანობის გარდა, სხვა საშუალება არ გამაჩნია ჩემი მოყვასების დასახმარებლად და ამიტომაც არასდროს მოკლებიათ და არც როდესმე მოაკლდებათ, შეძლებისამებრ, ჩემს ქრისტესმიერ ძმებს სულისათის სასარგებლო და მაცხოვნებელი წიგნები.

ამიტომაც ვიპოვე რა ეს წიგნი, რომელიც არის ყოვლად ბრძენი და უგანათლებულესი პროფესორის, ბატონ სევასტოს ტრაპეზუნელი კიმენიტის,

ნაშრომი, წავიკითხე ის და, ჩემი აზრით, ჩავთვალე ძალზედ სასარგებლოდ და საჭიროდ ნებისმიერი მართლმადიდებელი ადამიანისათვის, განსაკუთრებით ეკლესიის სასულიერო პირთათვის, განათლებისა და სწავლის მოყვარულთათვის და ზოგადად ყველა განათლებული ადამიანისათვის. მით უმეტეს, ის დაწერილია მარტივი ენით და გასაგებად ადვილია. ამიტომაც ვინებე მისი დაბეჭდვა მკითხველების სასარგებლოდ.

წიგნის მბეჭდავებში არსებობს ტრადიცია, რომ წიგნის დაცვისა და მკითხველთათვის მისი რეკომენდაციის მიზნით თითოეული წიგნი მიეძღვნება რომელიმე მნიშვნელოვან საეკლესიო თუ პოლიტიკურ პირს. ამიტომაც თქვენზედ მლოცველი და მსახური, ყველაზე მცირედთაგანი [მღვდელმონაზონი ანთიმოზი], გწირავთ ამ წიგნს თქვენს აღმატებულებას, ღვთისაგან დიდებულსა და დაცულ ბატონ მთავარს იმ უთვალავი სიკეთეთათვის, რომელნიც გაგიკეთებიათ ჩემთვის მცირედთაგანისათვის, და იმისათვის რომ ეს წიგნი თქვენ მიერ იყოს დაცული და მკითხველებისათვის რეკომენდირებული. მიიღებთ რა ამ წიგნს, გთხოვთ, მადლიერების ნიშნად ხელი შემიწყოთ კეთილი და სასარგებლო საქმეთა კეთებაში.

ხოლო ღვთის ყოვლისმპყრობელი, ყოველთათვის ყოვლადმზრუნველი და ყოვლის მხედველი განგება ყოფილიყოს თქვენთვის მაცხოვნებელი და თქვენი ღვთივგვირგვინოსანი ნათელის მფარველი ყოველი ავისა და ბოროტისაგან. გაგაძლიეროთ ღმერთმა თქვენს ტახტზე ბატონობისას დღეგრძელობით, ბედნიერებით და ყველაზე ღრმა და ყველაზე სრულ ხანდაზმულობამდე მიღწევით, რომ გეშრომოთ ქრისტე ღმრთის მიერ თქვენთვის ბოძებული სისავსის დასაცავად და განსავითარებლად და ყველა მართლმადიდებელი ერისთვის კეთილი სახელის, დიდებისა და ქების მოსახვეჭად.

ხოლო ამ წუთისოფლიდან გასვლის შემდეგ გიბოძოთ თქვენ ყველას ცათა სასუფეველი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ქრისტესშობიდან 1701 წელი ივნისის თვე.

თქვენი ღვთივდაცული ბრწყინვალებისთვის მდაბალი მლოცველი და მსახური ანთიმოზ მღვდელმონაზონი, მესტამბე ივერიიდან.

მიძღვნა ბუქარესტში 1703 წელს დაბეჭდილ „ახალ აღთქმაზე"

ყოვლად ბრწყინვალეს, დიდებულს და კეთილმორწმუნე მთავარს, სრულიად რუმინეთის მბრძანებელს, იო კონსტანტინ ბასარაბ ვოევოდას ჩვენგან მდაბალი თაყვანისცემა.

ცნობილია, რომ მაგნიტი ყოველთვის ჩრდილოეთისაკენ იყურება, ცეცხლი ყოველთვის ზეცისკენ მიემართება, ქვა ყოველთვის დედამიწის შუაგულისკენ ვარდება, წყლები ყოველთვის ზღვებისაკენ მიედინებიან; მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა საგანი თავისი სტიქიისაკენ მიემართება.

ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ყველაფერი, რაც შენს ქრისტესმოყვარე, მორწმუნე და ქრისტიან სულში არსებობს, მიემართება ახალ აღთქმაში დაწერილი ღვთის სიტყვებისაკენ, როგორც თავისი ბუნებრივი სტიქიონისაკენ. რატომ? იმიტომ, რომ სიწმინდე სიწმინდისაკენ მიილტვის, რაც ნაკურთხია ნაკურთხისაკენ, ასევე რაც ქრისტიანულია ქრისტიანულისაკენ.

ბევრი ჭეშმარიტად ქრისტიანული, ღვთისთვის სათნო და სულისთვის სასარგებლო წიგნი შენი უდიდებულესობის ხარჯებით ხალხის სასარგებლოდ დაბეჭდილა, მაგრამ ყველაზე მეტად სასარგებლო და მაცხოვნებელი სულისათვის არის ეს, ახალი აღთქმა. რადგან, წმინდა პავლე მოციქული ამბობს, რომ სახარება ყველასათვის, ვისაც სწამს, ყველა მორწმუნესათვის არის მაცხოვნებელი ღვთის ძალა და ამით აჩვენებს, რომ ყველა საეკლესიო წიგნთა შორის იგი არის სულისათვის ყველაზე სასარგებლო და მაცხოვნებელი.

სახარება არის მახვილი, რომელიც ამსხვრევს ბოროტის ყველა იარაღს, რომლითაც ვძლევთ ყველა განსაცდელს, სიმამაცით ვითმენთ ყველანაირ წინააღმდეგობას, დევნას, მწუხარებას, სიდუხჭირეს, სიკვდილს და ამით ვემსგავსებით მრავალვნებულ მაცხოვარ იესო ქრისტეს. სახარების მეშვეობით ვამარცხებთ იუდეველებს, ვარცხვენთ ამა სოფლის ცრუ ბრძენთა უგუნურ სიბრძნეს. სახარებით დაამდაბლა რომის ამპარტავნება პავლე მოციქულმა და ქრისტიანობაში მოაქცია ის; იოანე მოციქულმა სახარების ნათელით გაანათლა დაბნელებული საბერძნეთი; პეტრე მოციქულმა მოაქცია მთელი იუდეა და ყველა მოციქულმა ერთად აღაშენა სულიერი ვენახი, ანუ ეკლესია; დაიმორჩილეს აღმოსავლეთი, დაამარცხეს ტირანები ისე, რომ არც ვითომც გონიერ შეგონებებს დაუჯერეს, რომ თავი დაენებებინათ ქადაგებისთვის, არც წამებას, არც დევნას, არც სიკვდილს გაექცნენ, არამედ სიხარულით მიდიოდნენ ხალხში საქადაგებლად.

სახარება გვიცხადებს მას, ვინც ჩვენთვის ხორცი შეისხა, ივნო და ჯვარზე

აღესრულა, გვიცხადებს მის სრულ ღვთაებრიობას და სრულ კაცობრიობას; გვიცხადებს მაცხოვრის ძალაუფლებას სიცოცხლეზე და სიკვდილზე. სახარებით ჩვენ შევურიგდით ღმერთს, ნათლობის საიდუმლოს მეშვეობით [უძღები] შვილებისაგან, ზეციური მამის შვილებად ვიქეციით. „რამეთუ ქრისტე იესუს მიერ სახარებისა მისგან მე გშვენ თქუენ“ – [ნათქვამია პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში].[8]

მაშასადამე, ყოვლადბრწყინვალეო მთავარო, როგორ ფიქრობ, რა საზღაურს მიიღებ გულუხვი ღმრთისაგან ამ ღვთივშთაგონებული და სულისთვის სააარგებლო ახალი აღთქმის წიგნის დაბეჭდვისათვის? ჭეშმარიტად დიდი ქება და უკვდავი პატივი მიიღო ეგვიპტის იმპერატორმა პტოლემეუსმა ბერძნულ ენაზე ბიბლიის გადათარგმნისათვის, ხოლო შენი უდიდებულესობა უფრო მეტ პატივსა და საზღაურს მიიღებ ორთავე სოფელსა შინა, რადგან მაცხოვარ იესო ქრისტეს ეს ახალი აღთქმა მშობლიურ ენაზე გადათარგმნილი შენი ხარჯებით დაბეჭდე და გაავრცელე ყველას სასარგებლოდ.

ამიტომაც ვადასტურებ, რომ უეჭველად უხვად მოიმკი შენი ქრისტიანული კეთილი საქმეების ნაყოფს: ამ ცხოვრებაში გექნება მშვიდი სიმტკიცე შენს მაღალ ტახტზე მართველობისას, ასევე დღეგრძელი ცხოვრება, მტრებზე გამარჯვება და შენს ბრწყინვალე ოჯახში ღვთის წყალობა და შეწევნა; ხოლო მომავალ ცხოვრებაში გექნება ყველა ის სიკეთე და მადლი, რომელიც სამყაროს დასაბამიდან მომზადებულია ქრისტიანი და რწმენის ერთგული ხელმწიფეებისათვის.

მაშასადამე, მიიღე ეს წიგნი კეთილი თვალით და გვეყოლე ჯანმრთელი, დღეგრძელი მართლმადიდებელი ქრისტიანების გასამტკიცებლად და სულისათვის სასარგებლო, მსგავსი საქმეების გასამრავლებლად.

შენი უდიდებულესობისთვის მლოცველი და ყველა მღვდელმონაზონთა შორის ყველაზე მცირე და მდაბალი, ანთიმოზ ივერიელი.

წინასიტყვაობა ბუქარესტში 1704 წელს [ახალ] ბერძნულ ენაზე დაბეჭდილ წიგნზე „პარალელური ბიოგრაფიები"

სწავლისმოყვარულნო, დიდად საყვარელნო მკითხველნო, ანთიმოზ მღვდელმონაზონი ივერიიდან და ბუქარესტის სამთავრო სტამბის მესტამბე, ღვთისგან გისურვებთ ჯანმრთელობას და სურვილების აღსრულებას.

სწავლისმოყვარულნო მკითხველნო, განათლების მიმართ მოშურნეობით სავსე სიყვარული მავალდებულებს, რომ ყოველთვის ვიზრუნო და დაუღლელად ვეძებო ისეთი წიგნები, რომლებითაც თქვენს შიმშილს, ცოდნის მხრივ, მივაწოდო ნოყიერი საკვები.

ამიტომ როდესაც შევიტყვე, რომ ყოვლადბრწყინვალე და ქრისტესმოყვარე ჩვენი მთავრის, ბატონ იოანე კონსტანტინ ბასარაბ ბრინკოვიანუს ერთ-ერთმა ღვთივდაცულმა, ყოვლადბრწყინვალე, უგანათლებულესმა, მჭერმეტყველმა და ღრმად მოაზროვნე შვილმა, ბატონმა კონსტანტინემ პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები" [ძველი] ბერძნული და რომაული (ლათინური) ენებიდან ჩვეულებრივ[3] თანამედროვე ბერძნულ ენაზე გადათარგმნა, ასი და ათასი ხერხი გამოვიყენე, რათა დამერწმუნებინა ის, რომ ჩემთვის გადმოეცა ეს წიგნი დასაბეჭდად.

[ბატონი კონსტანტინე], როგორც თავმდაბალი, ბრძენი, ჭკვიანი და გონიერი ადამიანი, რომელიც არაფრად აგდებს თავისი განსაკუთრებული ნიჭიერების ამაო ქებასა და პირმოთნე განდიდებას, როგორც ეს ზოგადად დამახასიათებელია ჭეშმარიტად ბრძენი და განათლებული ადამიანებისთვის და არა როგორც უმეცართათვის, ვისაც ხალხის წინაშე სურთ ბრძენ ადამიანებად თავის წარმოჩენა. ჩემი მრავალი და განუწყვეტელი თხოვნის შემდეგ დამთანხმდა ამ წიგნის გადმოცემაზე. აჰა, [საყვარელნო მკითხველნო], ახლა თქვენი სიბრძნის წინაშეა წარდგენილი ყოვლად გენიალური და ყოვლად უჭკვიანესი გააზრებანი.

ხოლო იმისათვის, რომ უფრო მეტად დააფასოთ ყოვლადბრწყინვალე მთარგმნელის სიზუსტე და ფართო განათლება, გთხოვთ ჩახედოთ პლუტარქეს ბერძნულ ტექსტსაც და ნახავთ, რომ მან პლუტარქეს ტექსტში არსებული ნაკლოვანი ადგილი არ უგულვებელყო, არამედ დიდი რუდუნებითა და მონდომებით ფართოდ აღწერა ის ისტორია, რომელსაც ავტორი გაკვრით,

თითქოსდა ნაჩქარევად ეხება.

ვაღიარებ, რომ ამ ნაშრომის წაკითხვის შემდეგ მთელი გულით მივულოცე ჩვენს ყოვლად ბრწყინვალე მთავარს, რომ იმ მრავალ საჩუქარს შორის, რომელიც მას ღმერთმა უბოძა, ყოვლად გამორჩეულნი მისი ვაჟებია, რომლებიც მათი მცირეწლოვანების მიუხედავად, შესაშური ღირსებებით არიან შემკულნი და სწორედ ამის გამო მათ აქებს კიდევაც ხალხი. ეს იმ უცხოელი, თუ ადგილობრივი ადამიანების დამსახურებაა, რომლებიც ამ ბავშვებთან იმყოფებიან, უვლიან მათ, ესაუბრებიან. მაგალითად, ქების ღირსია დიდ ეკლესიაში წმინდა სახარების ყოვლადბრძენი მასწავლებელი, მაღალღირსი, ბატონთა ბატონი, მღვდელი გეორგე მაიოტა; ეს ადამიანი ხალხში ქებულია იმიტომ კი არა, რომ მთავრის ასეთი კეთილშობილი და დიდებული შვილების მასწავლებელია, არამედ იმიტომ, რომ მას ღმერთმა აღირსა ჰყოლოდა ტალანტებით უხვად შემკული მოწაფეები, რომლებიც იმისათვის, რომ თავისი ყოვლად ბრძენი პროტოტიპის[10] სულიერ ხატებად ქცეულიყვნენ, დაუღალავად, საკუთარი მარტივი და ლოგიკური აზროვნებით, განსაცვიფრებლად იოლად იზიდავდნენ ცოდნის ყვავილს ისევე, როგორც ქარვა მსუბუქი გასმისას იმწუთასვე აჩენს ბუნებრივი მიზიდულობის თვისებას.

მაშასადამე, საყვარელნო მკითხველნო, სიხარულით მიიღეთ თქვენთვის დაბეჭდილი ეს წიგნი, როგორც მოწმობა იმისა, რაზეც ზემოთ გესაუბრეთ; იგია მცირედი გამოხატულება თქვენ მიმართ ჭეშმარიტი, გულწრფელი და არაცბიერი სიყვარულისა. გისურვებთ ჯანმრთელობას.

მიძღვნა ქალაქ ტირგოვიშტეში 1715 წელს ანთიმოზ ივერიელის მიერ გადათარგმნილ და დაბეჭდილ საღვთისმსახურო წიგნზე „ჟამნი“

მის ბრწყინვალებას, კეთილ ქრისტიანს და მის აღმატებულებას, სრულიად უნგრო-ვლახეთის ხელმწიფეს და მთავარს იო შტეფან კანტაკუზინოს ვოევოდას ღვთისგან ვუსურვებთ მშვიდობას, ხოლო ჩვენი უღირსობისაგან ვუთვლით მღვდელმთავრულ კურთხევას.

ყოვლადაღმატებულო მთავარო, ეს „ჟამნი“, რომელიც მოიცავს დღისა და ღამის საეკლესიო ღვთისმსახურების წესს, არ შეიძლება იყოს მიძღვნილი სხვა პირისთვის, გარდა თქვენი ღვთივკურთხეული უდიდებულესობისთვის, რომელიც ეკლესიის გამორჩეული შვილი, სახელმწიფოს ყოვლადქებული მმართველი, მართლმადიდებელთა ბრწყინვალე დიდება და ქრისტიანობის საკვირველი მხარდამჭერი ბრძანდებით.

ჭეშმარიტად ეს თხოვნა, რომ ძღვნად მიიღოთ ეს წიგნი, არის გულწრფელი და თქვენ მიმართ თქვენ მიმართ თაყვანისცემის გამომხატველი ,რადგან, როგორც სტამბიდან ამ წიგნზე მეტად გამშვენებული და რუმინულად სრულად გადათარგმნილი წიგნი ჯერ არ გამოსულა, ასევე არც უნგრო-ვლასეთის ტახტზე ჯერ არ ყოფილა ესოდენ დიდი და გამორჩეული ნიჭით შემკული, ურიცხვი სიკეთით დაჯილდოებული და თქვენისთანა გაბრწყინვებული ქრისტიანული და სამეფო სულის მქონე მთავარი.

თქვენამდე სხვებიც ყოფილან ქებული მბრძანებლები, ზოგი დიდებული გვარიშვილობის გამო, სხვები - მრავალი სიქველის, ანდა გამორჩეული სიბრძნის, ზოგი კი საყოველთაოდ საკვირველი გულადობისა და სიმამაცის გამო.

ხოლო თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ, კანტაკუზინების დიდებული სამეფო გვარის გამორჩეულო რტოვ, გადააჭარბე ყველას, რადგან ყველა სხვა თქვენამდე მყოფ მთავარში არსებულ სხვადასხვა ნიჭს ერთად თავმოყრილს ვხედავთ თქვენს ქრისტიანულ აღმატებულებაში. თქვენში ბრწყინავს დიდი სამეფო სამკაული მრავალი კეთილი საქმით გამშვენებული; სახელმწიფოებრივი სიბრძნე გაერთიანებულია ქრისტიანულ მოშურნეობასთან; [მეგობრული] რჩევა-დარიგების დიდი უნარი გაერთიანებულია კანონიერ სამართლია-

ნობასთან; მართალი და წინასწარი მსჯელობა კი - სათნოებასა და დიდ მოთმინებასთან.

მაგრამ თქვენი უდიდებულესობის ყველა ჩამოთვლილი ღირსების გარდა, ყველაზე მეტი ღირსება ქრისტიანულ სულიერებაში გაგაჩნიათ. თქვენი კეთილი საქმეები განუწყვეტლივ ჭეშმარიტ ღმერთს ადიდებენ, თქვენი მორჩილებით ეკლესიას პატივს მიაგებთ, თქვენი კეთილი ქმედებებით სამღვდელო დასს ანუგეშებთ და თქვენი დიდი შემოწირულობებით ღვთის წმიდა სახლებს ამკობთ. ამავდროულად, თქვენი გულმოწყალება და კეთილგონიერება ბევრად წინ გაყენებთ თქვენს წინამორბედ მთავრებთან შედარებით! თქვენს ქვეშევრდომებს გულუხვი საჩუქრებით ამდიდრებთ და ქვეყანას, თავადებსა და ერს საკუთარ სამშობლოში ცხოვრებას უმსუბუქებთ, უცხოელებს სტუმართმოყვარეობთ, ღარიბ-ღატაკებს სწყალობთ და მთელ ქვეყანას უთვალავი სიკეთით ამდიდრებთ.

ამიტომაც, როგორც ამბობს დავით წინასწარმეტყველი, ჭეშმარიტად გცხო შენ უფალმან ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისა უმეტეს მოყუასთა შენთა. შენი სამართლიანობით ღმერთმა მოგანიჭა კურთხეული სათნოებები და, როგორც ერისაგან გამორჩეული შვილი, სამართლიანად აღგამაღლა, ამ ღვთივდაცული ქვეყნის მთავრის ტახტზე დაგაყენა. თქვენი ქვეშევრდომები ხედავენ რა თქვენს მშობლიურ სიყვარულს, მრავალ სიკეთეს, თქვენს ნათელ საქმეებს და ღვთისთვის სათნო ღვაწლს, რომელიც ნათელივით ბრწყინავს კაცთა წინაშე, ადიდებენ ზეციურ მამას, რომელმაც მოგვხედა თავისი სიმაღლიდან და აღგვიდგინა ერთიანობა და გვიბოძა თქვენისთანა კეთილი, მოწყალე, სამართლიანი, სტუმართმოყვარე, უბოროტო, კეთილისმყოფელი, სიკეთის მოყვარული და ბოროტების მდევნელი მთავარი.

აღმატებულო მთავარო, ამიტომაც ამ მრავალი და შემკობილი თვისებებისთვის და ღვთის წინაშე დიდი ღირსებებისთვის, დიდი სიყვარულით გჩუქნით და გიძღვნით ამ წმინდა წიგნს. და ყველანი ეჭვის გარეშე ვიმედოვნებთ, რომ ეს წიგნი იქნება მიღებული ღირსებით და სიხარულით არა მხოლოდ იმიტომ, რომ შეიცავს სამპიროვანი ღმრთისთვის დაწერილ სადიდებლებს, რომლის ცოცხალ ხატს ამქვეყნად წარმოადგენთ თქვენ თქვენი სამთავრო ხელისუფლებით, არამედ იმიტომაც, რომ იგი შეიცავს ყველა წმინდანის ტროპარ–კონდაკს, რომელთა თაყვანისმცემელი ხართ თქვენ და მუდმივად შესთხოვთ მათ შეწევნასა და დახმარებას. ყოველთა წმიდათა განუწყვეტელი მეოხება და ღვთის მადლი, რომელიც იცავს მართლმორწმუნე ხელისუფალთ, გეწეოდეთ თქვენც, ყოვლადბრწყინვალეო მთავარო, რომ თქვენი მმართველობა იყოს მტკიცე მშვიდობით, ქებული დიდებით, ჭეშმარიტი ნარმატებით ქვეყნის მართვაში, ერის გამტკიცებისა და მთელი სამთავროს გაძლიერებისათვის.

ღვთისგან პატივცემული თქვენი უდიდებულებისათვის ქრისტეს წინაშე მლოცველი უნგრო-ვლახეთის მდაბალი მიტროპოლიტი, ანთიმოზი.

ანთიმოზ ივერიელის [რუმინულენოვანი] ხელნაწერი მიძღვნა 1709 წელს თბილისში დაბეჭდილ „სახარებაზე"

ყოვლადმოწყალეო მთავარო, ეს წმინდა და ღვთივშთაგონებული სახარება, რომელიც თაყვანისცემით მიერთმევა თქვენს უმაღლესობას, არის ახალი ნაყოფი, რომელიც მოწეულ იქნა ივერიელთა მიწაზე და მოირწყა თქვენი მეფური წყალობით. და ეს ქვეყანაც, რომელსაც მიენიჭა ამგვარი ბედნიერება და გამდიდრდა თავის ენაზე დაბეჭდილი წიგნებით ისევე, როგორც არაბულენოვანი დაბეჭდილი წიგნებით გამდიდრდა არაბეთი, ბერძნულენოვანი წიგნებით – საბერძნეთი და რუმინულენოვანი წიგნებით- უნგრო-ვლახეთი, მადლობას სწირავს თქვენს უდიდებულესობას ისევე, როგორც ხსენებული დანარჩენი სამი ქვეყანა. თქვენი კეთილმორწმუნე და ქრისტიანული დიდი კეთილმოსილება ერთგვარ ოქროს მდინარედ იქცა, რომლისგანაც გამოედინა ეს ოთხი წყარო: რუმინელების, ბერძნების, არაბებისა და ივერიელების მესტამბეობა. როგორც ნეტარების ბაღში არსებული თავდაპირველი მდინარიდან გამოედინებოდა ოთხი მდინარე: ფისონი, გეონი, ტიგროსი და ევფრატი.[11]

ხოლო იმ ოთხი მდინარის წყალობით მიწამ მოისხა წარმავალი და ხრწნადი ნაყოფნი, ხოლო თქვენი კეთილი ნებით გამოდენილი მესტამბეობის მდინარენი ყველგან იძლევიან მტკიცე, უხრწნელ და მარადიულ ნაყოფს.

და რადგან ამ დიდი სიკეთის მიზეზი და წყარო ხართ, ამიტომაც თქვენს უდიდებულესობას დარჩება მარადიული დიდება და ხსენება.

[სამყაროს შექმნიდან] 7218 წლის 21 მაისი, თქვენი უდიდებულებისათვის ქრისტეს წინაშე მლოცველი, უნგრო-ვლახეთის მდაბალი მიტროპოლიტი, ანთიმოზი.

კომენტარები:

შდრ. "ლოდი, რომელ შეურაცხყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა; უფლისა მიერ იყო ესე და არს საკვირველ წინაშე თუალთა ჩუენთა. ამისთვის გეტყვი თქუენ, ვითარმედ: მიგეღოს თქუენგან სასუფეველი ღმრთისაი. და მიეცეს ნათესავსა, რომელნი ჰყოფდენ ნაყოფსა მისსა.და რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განანქრიოს იგი " მათ. 21; 43-44

[2] "de la iviriia".

[3] ტექსტში ნახმარია ტერმინი-Stolnic

[4] „დიდ ეკლესიას" კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ტაძარს ეძახდნენ.

დიდი თანამდებობა რუმინეთის სამეფო კარზე.

[6] მარცვალთა შეთანხმება ლექსში.

ტექსტში მოცემული სიტყვის "Castigare" ლექსიკონური მნიშვნელობაა მოპოვება

[8] I კორ. 4: 15.

[9] ანუ ახალ ბერძნულ ენაზე

[10] იგულისხმება ღმერთი, რომლის ხატებად და მსგავსებად არის შექმნილი ადამიანი.

იხ. წმ. იოანე დამასკელის "მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმინევნითი გადმოცემა". თავი 23. წყალთა შესახებ.

სახელთა საძიებელი

ა

ანთიმოზ ივერიელი
აარონი 30, 55,
აბაკუმი 28, 31.აბრაამი 11, 17, 25, 30, 51, 79, 84, 85, 96, 118, 142–145.
აბირონი 164,
ადამი 48, 60, 65, 195, 259.
ალექსანდრე 53, 76, 301.
ალექსი 207.
ანა 29, 30, 55, 56.
ანაქსაგორა 163.
ანაქსიმენე 163.
ანდრია 5, 46, 76, 132, 272.
ანდრია კრიტელი
ანთიმი 179, 224.
არიოზი 129, 177.არისტოტელე 163.
არკადი 158, 159.
არტაქსერქსე 16.
აფროდიტე 62.

ბ

ბარსაბა 85.
ბასილი მაკედონელი 295.
ბესარიონი 297.
ბრინკოვეანუ 72,

გ

გაბრიელი 58, 87.
გედეონი 28, 31.
გეორგ მაიოტა 298.
გეორგე მაიეტა 296.
გიორგი 6, 221, 224, 243
გრიგოლი 50, 112, 155, 223.

დ

დავითი 8, 26, 27, 30, 87, 131, 138, 151, 152, 185, 186, 260.
დანიელი 28, 31.
დემოკრიტე 163.
დიმიტრი 4, 5, 146, 151, 162, 167, 168, 202, 205, 211, 216.
დოსითე ნოტარა 5, 295, 301.

ე

ევდოკია 158.
ევტიხი 70.
ეზეკიელი 28, 31.
ეზრა 147, 148.
ელენე 14, 21, 73, 175.
ელიმა მოგვი
ელისე 90, 167, 169.
ენეა 67.
ენუქი 25, 30.
ეფთვიმე 221, 223.

ზ

ზაქარია 57, 116, 148, 171, 172, 174.
ზირაქი 95, 102, 148, 154, 157, 271.

თ

თეოდოსი 204, 206, 0224, 254, 298.

თეოფილაქტე 134, 135, 141, 144, 145, 147.

ი

იაიროსი 82, 134, 135.

იაკობი 11, 20, 22, 30, 56, 58, 84.

იაფეტი 160,

იერემია 11, 20, 67, 72, 98, 120, 121, 148, 226, 258.

ილია 17, 18, 23, 24, 90, 97, 140.

იოაკიმე 29, 55, 56, 57, 58.

იოან კომნენი 297.

იოანე 13, 20, 21, 22, 23, 35, 40, 50, 51, 56, 63, 80, 84, 86, 87, 89, 94, 99, 105, 130, 131, 140, 144, 145, 169, 243, 284.

იოანე და მარიამ ქურციძეები 295.

იოანე დამასკელი 91, 123, 151, 160, 291.

იოანე კარიოფილი 277.

იოანე ნათლისმცემელი 20, 56, 261.

იოანე ოქროპირი 50, 68, 74, 83, 86, 139, 151, 152.

იობი 184, 192.

იოვანე 15, 95.

იონ ნიკოლაე 220.

იოსები 11, 186.

ისააკი 56, 84, 85, 96, 142, 143, 144, 258.

ისაია 150, 163, 172, 180, 183, 184, 189.

ისიოდე 75.

ისუ ნავე 90, 167.

იუდა 65.

კ

კონსტანტინე 78, 158, 175, 176, 177, 178.

კაენი 50.

კონსტანტინე / ბასარაბ

ბრინკოვეანუ 11, 72, 198, 254, 267, 273, 298, 300.

ლ

ლაზარე 131, 134, 135, 137.

ლუკა 14, 23, 30, 41, 47, 73, 84, 102, 108, 110, 115, 135, 144, 152, 160, 243.

ლუციფერი 60, 190.

მ

მათე 14, 20, 23, 47, 45, 94, 130, 1310,, 135, 144, 152, 162, 164, 166, 174, 243, 244, 246.

მაკარი 204, 206, 224.

მალაქია 95, 102, 137, 143, 171.

მარია 224, 290.

მარიამი 26, 30, 31, 57.

მარკოზი 152, 160, 166, 169, 243.

მატრონა 297.

მაქსენტი 175, 179.

მელეტი სმოტრიცკი 296.

მიტროფანე 295.

მიტროფანე გრიგორაში 299.

მიტროფანე თასიტელი 267.

მიხაი იშტვანოვიჩი 296, 298.

მოსე 17, 18, 22, 23, 24, 66, 89, 91, 97, 98, 126, 140, 143.

ნ

ნემანი. 90.
ნიკოდიმოსი. 193.
ნიკოლაი მავროკორდატი. 301.
ნიკოლოზი. 61, 62.
ნისისი. 267, 269, 271, 272.
ნოე. 91, 105, 143, 160.

პ

პავლე. 12, 26, 30, 33, 34, 39, 43, 49, 54, 55, 59, 60, 61, 64, 68, 71, 74, 78, 83, 84.
პეტრე. 14, 15, 18, 20-22, 67-70, 86, 94, 95, 143, 144, 284.
პეტრაშკუ ბუზოიანუ. 301.

რ

რადუ ბრინკოვეანუ. 297, 298.
რაქელი 30.

ს

სევასტოს კიმენიტელი. 282, 296.
სემი. 160.
სიმონ იონასი. 69.
სოლომონი. 34, 84, 98, 114, 122, 172, 258, 260.
სამოელი. 8, 56.
სტეფანე. 246, 297.

ტ

ტაბითა 67, 70.
ტიბერიუსი. 150.
ტიმოთე. 127.
ტუმჩიუნი. 76.

ფ

ფილიპე. 15, 243.

ქ

ქორე. 164.

ღ

ღირსი გრიგოლი დეკაპოლიტელი
ღირსი პარასკევა. 296.

შ

შერბან კანტაკუზინო. 254
შტეფან ბრინკოვიანუ. 297.
შტეფან კანტაკუზინო. 245, 301.

ხ

ხრისანტ ნოტარა. 295, 300.

ჰ

ჰეროდე. 88, 273.

წმინდა ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებისა და შრომების ქრონოლოგია

1650 წელი – წმინდა ანთიმოზ ივერიელის (ერისკაცობაში ანდრია) დაბადების თარიღი: საქართველო, მესხეთის სოფელი უდე. დაბადების წელი და სოფლის სახელი დოკუმენტურად არ არის დადასტურებული. მისი მშობლები იყვნენ იოანე და მარიამ ქურციძეები (გვარი „ხურციძე“ ასევე არ არის დოკუმენტურად დადასტურებული, თუმცა უეჭველია, რომ მისი ოჯახი მიეკუთვნებოდა მაღალ სოციალურ ფენას).

ცნობილია, რომ საქართველოში მან მიიღო გამორჩეული განათლება ღვთისმეტყველებაში, ფილოსოფიასა და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში. მას ასევე უნდა სცოდნოდა რამდენიმე უცხო ენა. ყმაწვილი ანდრიას საქართველოდან გატაცებისა და სტამბოლში მონად გაყიდვის ზუსტი თარიღი არ არის ცნობილი. ბოლო კვლევებით მტკიცდება, რომ აქ მას გამოისყიდის იერუსალიმის პატრიარქი დოსითე ნოტარა. მასთან ერთად იგი მიემგზავრება იერუსალიმში, სადაც აღიკვეცება ბერად, მალევე აკურთხებენ მღვდლად და მაცხოვრის საფლავის ტაძრის ეკონომოსად ნიშნავენ.

1689 წელს მღვდელმონაზონი ანთიმოზი უკვე დოკუმენტურად მოხსენებულია, როგორც მოლდო – ვლახეთის სამთავროს დედაქალაქ იასთან ახლოს მდებარე იერუსალიმის საპატრიარქოს მეტოქიონის მონასტრის ჩეტეცუიას, წინამძღვარი. მოლდო – ვლახეთში ყოფნისას ანთიმოზი ეუფლება მესტამბეობის ხელოვნებას. დოკუმენტურად მტკიცდება, რომ ამ მიზნით მას იერუსალიმიდან გადმოეგზავნა 200 გროში.

1690 წელს ანთიმოზ ივერიელი მოლდო – ვლახეთიდან გადმოდის უნგრო – ვლახეთში, სადაც მოღვაწეობას აგრძელებს ბუქარესტის სტამბაში.

1691 წელის 10 ივნისი – ბუქარესტის სტამბის ხელმძღვანელი მიტროფანე იკურთხება ქალაქ ბუზეუს ეპისკოპოსად და სტამბის მმართველობას აბარებს ანთიმოზ ივერიელს.

1691 წლის ოქტომბერში – ანთიმოზი ბეჭდავს თავის პირველ წიგნს ახალ ბერძნულ ენაზე სათაურით: *„ბასილი მაკედონელის სწავლებანი თავისი შვილის ლეონის მიმართ“*. ტექსტი ითარგმნა იერუსალიმის მომავალი პატრიარქის, ხრისანტ ნოტარას, მიერ, რომელთანაც მთელი ცხოვრების მანძილზე ანთიმს ხან კარგი, ხანაც დაძაბული და რთული ურთიერთობა ჰქონდა, განსხვავებით მისი ბ იძის – იერუსალიმის პატრიარქ დოსითე ნოტარასგან, რომელთანაც ანთიმოზს გულითადი ურთიერთობა ჰქონდა მთელი ცხოვრების მანძილზე.

1692 წელი – ბუქარესტში ბერძნულად იბეჭდება „წმინდა ღირსი პარასკევასა და ღირსი დეკაპოლიტეკლას ღვთისმსახურება.“

1693 წელი – ანთიმოზი ბუქარესტის სტამბაში ბეჭდავს მონუმენტალურ ნაშრომს: *„ბერძნულ – რუმინული სახარება“ (ოთხთავი)*, რომელიც მორთული იყო ანთიმოზ ივერიელის ხელით შექმნილი ორიგინალური ორნამენტებითა და ჩუქურთმებით.

1694 წელი – ბუქარესტის სტამბაში ანთიმოზი ბეჭდავს თავის ბოლო წიგნს: რუმინულენოვან ფსალმუნს. იმავე წელს, ზაფხულში, ანთიმი ინიშნება სნაგოვის მონასტრის წინამძღვრად, სადაც აარსებს ახალ სტამბას და მესტამბეობის სკოლას. აქ მისი მთავარი დამხმარე – მიხაი იშტვანოვიჩია (იშტვანის ძე). ეს პიროვნება 1709 წელს ანთიმოზის მიერ გამოგზავნილი იქნა საქართველოში ქართული სტამბის მოსაწყობად თბილისში.

1696 წელი – სნაგოვში რუმინულად იბეჭდება *„წმინდა მეფე კონსტანტინეს და დედოფალ ელენეს ღვთისმსახურება“.*

1697 წელი – ბერძნულ ენაზე იბეჭდება სქელტანიანი წიგნი: „ანტოლოგიონი“. იმავე წელს იბეჭდება რუმინულენოვანი სახერება. იმავე წელს ბერძნულ ენაზე იბეჭდება ბერძენი თეოლოგის, იოან კარიოფილის, დოგმატური შინაარსის ნაშრომი: *„სახელმძღვანელო რამდენიმე გაუგებარი საკითხის შესახებ“.* ბერძნულ ენაზე იბეჭდება თეოლოგ გეორგე მაიეტას წმინდა კონსტანტინესათვის მიძღვნილი პანეგირეკი. ასევე იბეჭდება რუსი სწავლულის მელეტი სმოტრიცკის სახელმძღვანელო: *„სლავური ენის გრამატიკა“.*

1698 წელი – ანთიმოზი ბეჭდავს *„ღვთისმშობლის დაუჯდომელს“.*

1699 წელი – სნაგოვის მონასტერში ბერძნულად იბეჭდება დოგმატური შინაარსის წიგნი *„მართმადიდებლური აღმსარებლობა“.* იმავე წელს ანთიმოზი, უკვე რუმინულ ენაზე ბეჭდავს ასევე დოგმატური შინაარსის წიგნს: *„წიგნი, ანუ ნათელი“.*

1700 წელი – იბეჭდება ზნეობრივი ღვთისმეტყველების შინაარსის 170 გვერდიანი წიგნი: *„მადლის ყვავილი“,* რომელიც პოპულარული ხდება და მომავალში მრავალჯერ გამოიცემა. იმავე წელს ბერძნულ ენაზე იბეჭდება *„ფსალმუნნი“.*

1701 წელი – ანთიმოზი აწყობს პირველ არაბულენოვან სტამბას, სადაც ანტიოქელი მართლმადიდებლებისათვის ბეჭდავს ბილინგვურ „ბერძნულ – არაბულ კონდაკს“. იმავე წელს ბერძნულ ენაზე იბეჭდება თეოლოგ სევასტოს კიმენიტელის პრაქტიკული თეოლოგიის შინაარსის მქონე ნაშრომი: „

ეორთოლოგიონი". იმავე წელსვე იბეჭდება დოქტორ იოან კომნენის ნაშრომი *„ათონის მთის გ ზამკლევი"*.

მიუხედავად იმისა, რომ 1704 წლის 24 მაისამდე ანთიმოზი მოიხსენება როგორც სნაგოვის მონასტრის წინამძღვარი, 1701 წლის ზაფხულში იგი იცვლის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს და სტამბასთან ერთად გადადის ბუქარესტში. იმავე წელს უკვე ბუქარესტში ანთიმოზი ბერძნულ ენაზე ბეჭდავს უნგრო – ვლახეთის მთავრის, კონსტანტინეს, ერთერთი შვილის, შტეფან ბრუინკოვიანუს, მიერ დაწერილ ორ *„პანეგირიკს"*. ერთი მიძღვნილია წმინდა მოციქულთასწორ კონსტანტინე დიდისადმი, მეორე კი, – წმინდა პირველმოწამე სტეფანესადმი. ორივე ნაშრომი ხელახლა დაიბეჭდა 1702 წელს.

1702 წელი – ანთიმოზი ბუქარესტის სტამბაში ბერძნულ ენაზე ბეჭდავს *„წმინდა ღირსი მატრონა ჰიოპოლიტელის ღვთსმსახურებას"*, ხოლო ივნისის თვეში ბუქარესტშივე იბეჭდება *„ბერძნულ – არაბული ჟამნი"* (ჰიმნოგრაფიული შინაარსის წიგნი)

1703 წელი – ამ წელს ბუქარესტში იბეჭდება რუმინულ ენაზე *„ახალი აღთქმა"*, ხოლო ბერძნულ ენაზე სამი ნაშრომი, აქედან პირველი – *„დოგმატური სწავლება"*, მეორე – „ეკლესიათა კურთხევის მსახურება" და მესამე – შტეფანე ბრინკოვიანუს მიერ დაწერილი *„პანეგირიკი ღვთისმშობლის მიძინებაზე"*. იმავე წელს იბეჭდება *„სლავურ – რუმინული ჟამნი"*.

1704 წელი – ბერძნულ ენაზე იბეჭდება ორი წიგნი, ასევე უნგრო – ვლახეთის მთავრის, კონსტანტინეს, ერთ – ერთი შვილის, რადუ ბრინკოვიანუს მიერ დაწერილი: *„ქადაგება სიტყვა–ღმერთის ვნებაზე"* და იმავე მთავრის უფროსი შვილის, კონსტანტინეს, მიერ დაწერილი წიგნი: *„ბერძნული და რომაული პარალელები"*.

1705 წლის 16 მარტი – ანთიმოზი არჩეულ იქნა რიმნიკის ეპისკოპოსად. იმავე წელს ბუქარესტში ბერძნულ ენაზე იბეჭდება *„ლარისას მთავარეპისკოპოსის წმინდა ბესარიონის ღვთისმსახურება"*. იმავე წელს ქალაქ რიმნიკში ანთიმოზი აწყობს ახალ სტამბას, სადაც ბერძნულ ენაზე ბეჭდავს დოგმატურ – პოლემიკური შინაარსის წიგნს: *„სიხარულის ტომი"*. იმავე წელს რუმინულ ენაზე რიმნიკში ბეჭდავს „ანტოლოგიონს" და თავის პირველ ორიგინალურ ნაშრომს: *„მოკლე სწავლება სინანულის საიდუმლოს შესახებ"*, რომლის მიზანი იყო სასულიერო პირების ცოდნისა და განათლების ამაღლება.

1706 წელი – ანთიმოზ ივერიელის ლოცვა – კურთხევით, მისი მოწაფე მიხაი იშტვანიოვიჩი, რიმნიკის სტამბაში ბეჭდავს რუმინულენოვან საღვთისმსახურო წიგნებს: 1. *„ღვთისმშობლის მიძინების ღვთისმსახურება"*; 2. *„პარაკლიტონი"*; 3. *„დიდი კურთხევანი"*, რომლის წინასიტყვაობაშიც მიხაი იშტვა-

ნოვიჩი გვაწვდის საინტერესო ინფორმაციას ანთიმოზის ცხოვრების შესახებ. იმავე წელს იბეჭდება რადუ ბრინკოვიანუს მიერ ბერძნულ ენაზე დაწერილი ორი პატარა წიგნი: *„ქადაგება მაცხოვნებელი ვნების შესახებ“* და მეორე *“პანეგირიკი წმინდა ნიკოლოზის შესახებ“.*

1706 – 07 წლები – რიმნიკის ეპისკოპოსი ანთიმოზი აქტიურად იღწვის ეკლესია – მონასტრების: სტრეჭაიას, სურპატელეს, კოზიას, ჰოტერანის, ფედელეშოიუსა და გოვორას აღდგენა – რესტავრაციისათვის. ამ უკანასკნელად ხსენებულ ორ ტაძარში დღემდეა შემორჩენილი ანთიმოზის, როგორც ადგილობრივი მღვდელმთავრისა და ქტიტორის, მიერ შესრულებული ფრესკები.

1707 წელი – რუმინულ ენაზე იბეჭდება თეოლოგ გეორგ მაიოტას წიგნი: „სიტყვა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მაცხოვნებელ ვნებაზე.“

1708 წლის 30 იანვარი – კვდება უნგრო – ვლახეთის მიტროპოლიტი თეოდოსი, რომელიც ანდერძით თავის მემკვიდრედ ასახელებს რიმნიკის ეპისკოპოსს, ანთიმოზ ივერიელს. იმავე წელს 28 თებერვალს, მართლმადიდებლობის დღესასწაულის კვირა დღეს, მოხდა ანთიმოზ ივერიელის ინტრონიზაცია უნგრო – ვლახეთის მიტროპოლიტად.

1709 წლის 1 ივლისი – ანთიმოზი რუმინეთის მთავარ კონსტანტინე ბრინკოვიანუს ჩუქნის რუმინული ხელოვნების შედევრად აღიარებულ თავის ხელნაწერს, ორიგინალურ ნაშრომს: *„ძველი და ახალი აღთქმის სახეები“*, რომელსაც თან ახლავს მისივე ხელით შესრულებული ბიბლიური პერსონაჟების 500 – ზე მეტი მინიატურული პორტრეტი. ეს ნაშრომი დღემდე ინახება კიევის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში. იმავე წელს მიტროპოლიის ერთ – ერთ რეზიდენციაში, ქალაქ ტირგოვიშტეში, ანთიმოზი აარსებს კიდევ ერთ სტამბას და აგვისტოში ბერძნულ ენაზე ბეჭდავს ნაშრომს: „წიგნი, რომელიც მოიცავს მთელი წლის ციკლის საეკლესიო ღვთისმსახურებებს“.

1709 წელი – ანთიმოზი ბუქარესტში აწყობს ქართულ შრიფტიან სტამბას, სადაც ბეჭდავს ქართულენოვან ოდიკებს. იმავე წელს თავის საუკეთესო მოწაფესა და მეგობარს, მიხაი იშტვანოვიჩს, საქართველოში გამოატანს დაბეჭდილ ოდიკებსა და სტამბის მოწყობილობებს. იმავე წელს ქართულენოვანი სტამბა იწყებს ფუნქციონირებას თბილისში.

1709 – 12 წლები – თბილისში მიხაი იშტვანოვიჩი ბეჭდავს 10 წიგნს, საიდანაც 9 წიგნი სახეზეა, ერთის ადგილმდებარეობა კი დღემდე უცნობია:

ა) 1709 წელი – *„სახარება“ (ოთხთავი)* – დაბეჭდილია რუმინეთიდან ჩამოტანილი, დიდი ზომის ნუსხა–ხუცური შრიფტით;

ბ) 1709 წელი – *„დავითნი“ (ფსალმუნნი)* – დაბეჭდილია დიდი ზომის ნუსხა–ხუცური შრიფტით;

გ) 1709 წელი – *„სამოციქულო“* – დაბეჭდილია შავ–წითელი დიდი ზომის ნუსხა–ხუცური შრიფტით;

დ) 1710 წელი – *„კონდაკი“* – ტექნიკურად და მხატვრულად ყველაზე დახვეწილი გამოცემაა. დაბეჭდილია სხვადასხვა ზომისა და ფერის შრიფტით, გამოყენებულია ბევრი ორნამენტი, თავფურცლის მეორე მხარეს პირველად იბეჭდება ბაგრატიონების გერბი თავისი აღწერილობით, წიგნი შეკრულია მაღალხარისხიან ტყავის ყდაში;

ე) 1710 წელი – *„ლოცვანი“* – დაბეჭდილია მცირე ზომის მხედრული შრიფტით;

ვ) 1710 წელი – *„ყამნი“* – დაბეჭდილია მხედრული შრიფტით. ეს წიგნი აღწერილია 1950 წელს ერთ–ერთი ინვენტარიზაციის დროს, მაგრამ დღეს იგი დაკარგულად ითვლება. დაუდასტურებელი ინფორმაციით ეს წიგნი ერთ–ერთ კერძო კოლექციაში ინახება;

ზ) 1710 წელი – *„ყამნი“* – დაბეჭდილია ნუსხა–ხუცური შავ–წითელი შრიფტით;

თ) 1711 წელი – *„სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“* – დაბეჭდილია მხედრული შრიფტით. წიგნის ავტორი არის ვინმე ბერი გერმანე, წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ წიგნის დაწერის მიზანი ახალგაზრდების ქრისტიანულ მართლმადიდებელ სარწმუნოებაში გამტკიცებაა, ამიტომ ის განგებ დაწერილია მარტივი ენით, რომ ბავშვებისა და მოზარდებისათვის ადვილად გასაგები და სასწავლი ყოფილიყო.

ი) 1711 წელი – *„დავითნი“ (ფსალმუნნი)* – დაბეჭდილია მხედრული შრიფტით;

კ) 1709–1722(?) წლები – *„ბიბლია“* – დაბეჭდილია მხედრული შრიფტით. ნაშრომი დაუსრულებელია, არ აქვს ყდა. მოიცავს წლების განმავლობაში სხვადასხვა დროს დაბეჭდილ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს. ტექსტი სრული არ არის, კერძოდ, ძველი აღთქმიდან დაბეჭდილია მხოლოდ წინასწარმეტყველთა ყველა წიგნი, ახალი აღთქმიდან კი – ყველა წიგნი, გარდა იოანეს გამოცხადებისა, რომელიც ბოლოში დართულია ხელნაწერის სახით.

1710 წელი – ტირგოვიშტეში მესტამბე მიტროფანე გრიგორაშის დახმარებით ანთიმოზი ბერძნულ ენაზე ბეჭდავს სამ წიგნს: *„დოგმატური პანოპლია“*, *“წმინდა ეკატერინეს ღვთისმსახურება“*, *„სინას მთის გზამკვლევი“*. ხოლო მესტამბე გეორგე რადოვიჩის დახმარებით აწყობს და ბეჭდავს ორ

წიგნს რუმინულ ენაზე: „ფსალმუნნი“ და ანთიმოზ ივერიელის ორიგინალური ნაშრომი „საეკლესიო სწავლება“. ეს უკანასკნელი, მიზნად ისახავდა მღვდლების ცოდნა – განათლების ამაღლებას, იგი განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო იმდროინდელი მღვდელმსახურთათვის, რის გამოც 1741 წელს ხელახლა გამოქვეყნდა.

1711 წელი – როდესაც რუსეთის იმპერიის ჯარი მიუახლოვდა მოლდო – ვლახეთის საზღვარს, ანთიმოზმა ბუქარესტში შეკრიბა პატრიოტულად მოაზროვნე რუმინელი თავად – აზნაურობა. რუსების ჯარის რუმინეთის ტერიტორიაზე შემოსვლის შემთხვევაში, ისინი თურქების წინააღმდეგ დიდი აჯანყებისათვის უნდა ყოფილიყვნენ მზად. მაგრამ რუსეთის ჯარების უკან დახევის გამო, ანთიმოზ ივერიელის მიერ თურქების წინააღმდეგ მომზადებული აჯანყება ჩაიშალა.

1712 წელი – ტირგოვიშტერში რუმინულ ენაზე იბეჭდება საღვთისმსახურო წიგნი „პარაკლიტონი“ და *„ყოველდღიური ლოცვანი“*

1713 წელი – ანთიმოზი ბუქარესტში იწყებს ყოველთაწმინდანთა სახელობის მონასტრის მშენებლობას და ადგენს ამ *„მონასტრის ტიპიკონს“*, რომელიც განსაკუთრებული თეოლოგიური და კულტურულ – ისტორიული მნიშვნელობისაა და წმინდანის ერთგვარ ანდერძადაა მიჩნეული. იმავე წელს ტირგოვიშტეში იბეჭდება ლიტურგიკური შინაარსის რამდენიმე წიგნი: რუმინულენოვანი *„კონდაკი“*, ტრილინგვური: სლავურ – ბერძნულ – რუმინულ – ენოვანი *“კატავასიერი“*, ამავე წელს ხელახლა გამოიცა 1706 წელს რიმნიკში დაბეჭდილი *„დიდი კურთხევანი“*; და წიგნი *„ფილოსოფიური იგავები“* ბერძნულ და რუმინულ ენებზე.

1714 წლის 25 მარტი – შიდაპოლიტიკური ინტრიგების გამო უნგრო – ვლახეთის მთავარი კონსტანტინე ბრიანკოვიანუ თურქებმა დაატუსაღეს და გადაგზავნეს სტამბოლში, სადაც 15 აგვისტოს თავის ოთხ ვაჟიშვილსა და სიძესთან ერთად მოწამეობრივად აღესრულა. იმავე წელს ანთიმოზი ტირგოვიშტეში ბეჭდავს რუმინულ ენაზე კანონიკური შინაარსის ორიგინალურ ნაშრომს: *„კანონთა თავები“*. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს წიგნი 1775 წელს ხელახლა დაიბეჭდა. ამავე წელს იბეჭდება საღვთისმსახურო შინაარსის ორი წიგნი: სლავურ – რუმინული *„ჟამნი“* და *“კატავასიერი“*.

1715 წელი – *„ჟამნი“* და *“კატავასიერი“* უკვე მხოლოდ რუმინულ ენაზე დაიბეჭდა. იმავე წელს ბერძნულ ენაზე იბეჭდება იერუსალიმელი პატრიარქის, ხრისანტ ნოტარას, ნაშრომი: *„ქრისტეს წმინდა ეკლესიის კლერიკოსების, იერარქიისა და თანამდებობების შესახებ“*. რის შემდეგაც სტამბა ანთიმოზს გადმოაქვს ტირგოვიშტედან ბუქარესტში, სადაც ბერძნულ ენაზე ბეჭდავს

ორ წიგნს: ლექსად დაწერილი პატარა წიგნი „ქრისტიანულ – პოლიტიკური დარიგებანი მთავარ შტეფან კანტაკუზინოს მიმართ“; და იერუსალიმის ყოფილი პატრიარქის დოსითე ნოტარას სქელტანიან ნაშრომს: *„იერუსალიმის პატრიარქთა ისტორია.“*

ამავე წლის ნოემბერში მთავარი შტეფან კანტაკუზინო, რომელიც ანთიმოზის მეგობარი და თანამოაზრე იყო, პოლიტიკური ინტრიგების გამო, მამასთან, კონსტანტინესთან ერთად, დააკავეს და გაამგზავრეს სტამბოლში, 1716 წლის 7 ივნისს მთავარი შტეფან კანტაკუზინო და მამამისი სიკვდილით დასაჯეს.

1716 წლის **10 თებერვალი** – ბუქარესტში ინიშნება პროთურქული ორიენტაციის ახალი მთავარი, ნიკოლაი მავროკორდატი. მალევე, იმავე წლის **15 მარტს,** მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდ თანხას სწირავს ანთიმოზის მიერ ბუქარესტში აშენებულ ყოველთა წმინდანთა სახელობის სამონასტრო კომპლექსს, ჩანს, რომ ახალი მთავარი არ ენდობა ანთიმოზს, მას ეჭვი ეპარება თურქების მიმართ მის კეთილგანწყობაში. იმავე წელს ზაფხულში ყოველთა წმინდანთა სახელობის მონასტერში იწყებს მუშაობას ახალი სტამბა, სადაც აგვისტოში იბეჭდება ალექსანდრე მავროკორდატ ექსაპორიტელის მიერ დაწერილი წიგნი *„წმინდა, ანუ იუდეველთა ისტორია“*. **15 აგვისტოს** უნგრო – ვლახეთის საზღვარს მიუახლოვდა ავსტრო – უნგრეთის ჯარი, რის გამოც ნიკოლაი მავროკორდატი სასწრაფოდ ტოვებს ბუქარესტს და თან მიჰყავს ანთიმოზ ივერიელი. ისინი მიემართებიან თურქეთის საზღვრისკენ მდებარე ქალაქ ჯიურჯიუში. გზაში მიტროპოლიტ ანთიმოზსა და მთავარ ნიკოლაი მავროკორდატს შორის შედგება დაძაბული საუბარი; ამ საუბრის დროს ანთიმოზი უარს ამბობს თურქეთში გახიზვნაზე და ბრუნდება ბუქარესტში, სადაც პატრიოტულად მოაზროვნე თავად – აზნაურობასთან ერთად სათავეში ჩაუდგება თურქეთის მოწინააღმდეგე ახალი მთავრის, პეტრაშკუ ბუზოიანუს, არჩევას. ამ ქმედებებით ნათლად გაცხადდება ანთიმოზ ივერიელის ანტითურქული ორიენტაცია. **10 სექტემბერს** ავსტრო – უნგრეთის ჯარის უკან დახევის შემდეგ ნიკოლაი მავროკორდატი თურქულ სამხედრო ძალებთან ერთად ბრუნდება ბუქარესტში, სასტიკად უსწორდება აჯანყებულებს, ხოლო ანთიმოზ ივერიელს აპატიმრებს; საპყრობილეში მას განსაკუთრებულად ამცირებენ, შეურაცხყოფენ და აბუჩად იგდებენ. **20 სექტემბერს** ნიკოლაი მავროკორდატი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან გამოითხოვს ანთიმოზ ივერიელის სასულიერო ხარისხიდან განკვეთისა და სინას მთაზე წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში სამუდამო გადასახლების განაჩენს. სამონასტრო წესების მიხედვით ბერი, ეპიტიმიის შემთხვევაში, იგზავნება მის მშობლიურ მონასტერში. საქმე ის გახლავთ, რომ ანთიმოზ ივერიელი ბერად

აღიკვეცა იერუსალიმში, ხოლო სინას მთის მონასტერი მაცხოვრის საფლავის მეტოქიონს წარმოადგენდა. ამავე წლის სექტემბრის დასასრულსა და ოქტომბრის დასაწყისში ბულგარეთის ტერიტორიაზე გადასახლების ადგილისკენ მიმავალ ანთიმოზს, საიდუმლო ბრძანების თანახმად, თურქი ჯარისკაცები კლავენ და მის ცხედარს აყოლებენ მდინარე ტუნჯიას, რომელიც ჩაედინება მდინარე მარიცაში და საბოლოოდ უერთდება ადრიატიკის ზღვას. მისი წამების თარიღი უცნობია, მაგრამ ცნობილია, რომ **22 სექტემბერს** იგი ჯერ კიდევ ცოცხალია.

1741 წელი – ბუქარესტში მეორედ იბეჭდება *„მეუფე ანთიმოზის საეკლესიო სწავლება“*.

1774 წელი – ბუქარესტში უკვე მესამედ იბეჭდება ანთიმოზ ივერიელის *„საეკლესიო სწავლება“*.

1775 წელი – ბუქარესტში მესტამბე დიმიტრი პეტროვიჩის მიერ მეორედ იბეჭდება წმინდა ანთიმოზის *„კანონთა თავები“*, თუმცა ამ გამოცემაში ავტორის სახელი ნახსენები არ არის.

1865 წელი – რუმინეთის ეკლესია აცხადებს ავტოკეფალიას, რის გამოც კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ, რომლის იურისდიქციაში მანამდე შედიოდნენ უნგრო–ვლახეთისა და მოლდო–ვლახეთის მიტროპოლიები, პროტესტის ნიშნად გაწყვიტა კანონიკურ–ევქარისტიული კავშირი რუმინეთის ეკლესიასთან.

1885 წელი – კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქო ოფიციალურად აღიარებს რუმინეთის ეკლესიის ავტოკეფალიას და აღადგენს მასთან კანონიკურ–ევქარისტიულ კავშირს. რუმინეთის ეკლესიის ავტოკეფალიის მიღების შემდეგ რუმინელი საეკლესიო და კულტურის მოღვაწეები შეძლებენ ანთიმოზ ივერიელის რეაბილიტაციას. იწყება მისი ნაშრომების პოპულარიზაციის პროცესი.

1886 წელი – იბეჭდება ანთიმოზ ივერიელის *„დიდაქეების“* პირველი გამოცემა. წინასიტყვაობაში რომანის ეპარქიის ეპისკოპოსი მელქისედეკი პირველად აქვეყნებს ანთიმოზის სრულ ბიოგრაფიას.

1888 წელი – ქვეყნდება ანთიმოზ ივერიელის *„ქადაგებების“* ახალი გამოცემა.

1895–1911 წლები – იბეჭდება *„დიდაქეების“* სხვადასხვა ფრაგმენტები.

1915 წელი – პირველად ქვეყნდება *„დიდაქეების“* გამართული და დახვეწილი გამოცემა.

1916 წლის 23–25 მაისი – რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდი აღნიშნავს ანთიმოზ ივერიელის მოწამეობრივი აღსასრულის 200 წლისთავს. პირველად გაჟღერდება ანთიმოზის წმინდანად შერაცხვის წინადადება, მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმა შეაფერხა შესაბამისი პროცედურების წამოწყება.

1956 წელი – ანთიმოზ ივერიელის პიროვნების მიმართ ინტერესი საგრძნობლად იზრდება, საეკლესიო საღვთისმეტყველო ლიტერატურაში იბეჭდება ანთიმოზ ივერიელისადმი მიძღვნილი უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის სამეცნიერო შრომები. ხელახლა დგება ანთიმოზის კანონიზირების საკითხი.

1962 წელი – ქვეყნდება *„დიდაქეების“* პირველი კრიტიკული გამოცემა.

1966 წელი – რუმინეთის საპატრიარქო და მეცნიერებათა აკადემია აღნიშნავს ანთიმოზ ივერიელის მოწამეობრივი აღსასრულის 250 წლისთავს. იმავე წელს რუმინეთის წმინდა სინოდის მოთხოვნაზე კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქო აუქმებს 250 წლის წინანდელ უნგრო–ვლახეთის მიტროპოლიტ ანთიმოზის განკვეთის აქტს.

1992 წლის 27 სექტემბერი – რუმინეთის ეკლესიის წმინდა სინოდი ანთიმოზ ივერიელს მღვდელმოწამის სახელით შერაცხავს წმინდანად. მისი ხსენების თარიღად რუმინეთში დაწესებულია 27 სექტემბერი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მის ხსენებას აღასრულებს 13/26 ივნისს.